



3(9)  
2014

# საგურამო

ლიცენზირებული ჟურნალი



3(9)

მაისი-ივნისი

2014

# შინაარსი

## თანამდევი სულეპი

3. გრიგოლ წერეთელი გენი, მამული, ენა და სარწმუნოება

## პრიტიკა

7. ჟაკლინ სირაძე უჩვეულო პოსტმოდერნიზმი

## ესეისტიკა

20. ბაჩანა ბრეგვაძე არისტოტელეს „პოეტიკა“

24. თემურ გაბუნია ცხრა მოთხრობა

## კინოსცენარი

37. რეზო ესაძე „Non Nescio“

## მეცნიერება

69. ირინე ნიკოლეიშვილი. ოლეგ გოლიაძე ქრისტიანული ეკლესია —

მნიგნობრობისა და სასულიერო ფერწერის პრინციპების სათავე

## რეცეზია

77. ლევან ბრეგაძე პრიორიტეტი

82. დარინა ყურუა კრიალოსნის მარცვლებივით აკინძული წარსული

84. თამარელა წონორია მზე ხელისგულიდან ამომდის

## ახალი თარგმანები

86. ოსკარ უაილდი ადამიანის სული სოციალიზმის დროს (თარგმნა ზურაბ ხასაძემ)

107. ოქროს და ვერცხლის პოეზია (თარგმნა ანდრო ბუაჩიძემ)


144. ანდრე მორუა დონ ჟუანი ანუ ცხოვრება ბაირონისა (თარგმნა დავით კახაბერმა)

მთავარი რედაქტორი  
ანდრო ბუაჩიძე

რედაქტორები  
ივანე ამირხანაშვილი  
უჩა შერაზადიშვილი

• უურნალში გამოქვეყნებული მასალების  
• გამოყენება რედაქციასთან შეუთანხმე-  
ბლად დაუშვებელია

• ტელ.: 551 18 37 76  
sagur.an@nag@gmail.com



გრიგოლ წერეთელი

## გენი, მამული, ენა და სარცხულოება ანუ გენეტიკური თავისთავადობის უზენაესობის შესახებ

## 1.

სხვადასხვა ქვეყანაში ყოფნისას, ლიტერატურული ძეგლების გარდა, ბუნებრივია, რომ ძალაუნებურად ახლოს ვეცნობოდი თვითონ ქვეყანას, ხალხს, ტრადიციებს, ეთნიკურ თავისებურებებს და ა.შ. თვრამეტი წელია გულდასმით ვაკვირდები რთული რელიეფით, ძირითადად ვერტიკალურ სიბრტყეში გაფენილი საქართველოს ბუნების მრავალფეროვან ზეიმს, მისი სახეობების, ტყეების, ველთა და მდელოთა სიკოცხლის ათასნაირ გამოვლინებას. საქართველოს ბუნების თავისთავადობის არაჩვეულებრივი მრავალფეროვნება სარკესავით ირეკლება ქართველი კაცის ხასიათში, მის კოლხური ძერიულ ეთნიკურ ჰარმონიაში იმ ზომამდე, რომ ვერსად იპოვით ფიზიკური და ფსიქიკური თავისებურებებით ერთმანეთთან მასობრივად ადაპტირებულ ტიპებს, რაც ასე გცემთ თვალში სხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით რუსეთსა და ევროპაში ყოფნის დროს.

ქართული ბუნების ეს უნიკუმი: მკვეთრად გამოხატულ საერთო-ეროვნულ ნიშან-თვისებათა ფონზე არსებული მრავალფეროვანი თავისთავადობა, თავისებურებების არაჩვეულებრივი სიუხვე, რაც ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა, ამ მიუვალ მთებსა და ხეობებში, ასეულობით საუკუნეთა მანძილზე ქართველურ ტომთათვის მკვიდრად

ტრადიციულ ურთიერთშეჯვარებათა შედეგად, ორიგინალურ გენოტიპად ჩამოყალიბდა ქართული ჯიშის, ქართველი კაცის სახით. ამიტომ ქართველი ერის ახლოს გაცნობისას ლოგიკურად გეუფლება აზრი, რომ აუცილებელია ამ თავისებური ეთნოგენოტიპის, როგორც სახეობის დაცვა და ისე გამრავლება, რომ შენარჩუნებულ იქნას ათასნლობით ნაწარმოები მისი ორიგინალური ჯიში, რადგან ამ მიმართულებით მცირეოდენი გადახრაც კი საფუძვლიანად არღვევს საუკუნეთა მანძილზე დახვეწილი გენოტიპის ბუნებრივ ჰარმონიას და მისი თვითმყოფადობის აღდგენა შემდეგ შეუძლებელიან თითქმის შეუძლებელი ხდება. ამ მსჯელობაში არ არის ეროვნული ფეტიშიზმისა და, მით უმეტეს, სხვა ერებისადმი ოდნავ მაინც ანტაგონიზმის რამენატამალი. იგი გამომდინარეობს შთამომავლობით კანონზომიერებათა შემსწავლელი მეცნიერების მიერ დადგენილი და საყოველთაოდ ცნობილი კლასიკური კანონებიდან, რომელთა ცხოვრებისეული კლასიკური მაგალითია ძველი ბერძნების ეროვნული გენის ტრაგიკული ისტორია: ძველმა ბერძენმა, მცირერიცხოვნობის, ათასგვარ კუნძულზე გაფანტული საცხოვრებლისა და გაუთავებელი, გამანადგურებელი ომების მიუხედავად, თავისი ჯიშის, მიწის, ენისა და სარწმუნოების

შთაგონებულმა, მკაცრი შიდაეროვნული შეჯვარების მიმდევარმა, შექმნა იმდენად თავისთავადი ერთი, რომ ერთიანად დაიპყრო ადამიანურ შესაძლებლობათა მწვერვალები, მაგრამ საქმარისი გახდა სხვა ეთნოსთა მასობრივი შერევა და მყისვე დაკარგა ეროვნული გენეტიკური თავისთავადობით განპირობებული გენიალური გამოვლინებანი და ათასწლობით ნაწარმოები დიდებული ისტორიული სახე.

დღევანდელი ქართული გენოტიპი ბევრი რამით ჰგავს ადამიანური მოდგმის ამ ფენომენს — ძველ ბერძნ გენოტიპს ჰგავს ამოუნურავი ინდივიდუალური მრავალფეროვნებით, უსაზღვრო შემოქმედებითი შესაძლებლობებით, არაჩეულებრივი თავისთავადობით და იმ უნარით, რომლითაც შექმნა ქართველმა ხალხმა საკუთარი კულტურა და ზნეობა, ჰუმანური აზრით და ცხოვრებისეული სიბრძნით დატვირთული ეროვნული ჩვევები და ტრადიციები, უნიკალური ენა და დამწერლობა, ლიტერატურა და ხელოვნება, უმდიდრესი ისტორია და, რაც მთავარია, მიზეზი ყოველივე ამ სიკეთისა, ათასწლობით დახვეწილი, დაცული და დღემდე შემონახული საკუთარი გენეტიკური შედევრი, სუფთა ჯიში მშვენიერი ქართველი კაცისა.

## 2.

დღეს საქართველო ფართო, მრავალპლანიანი და ახლო ინტერნაციონალურ ურთიერთობებში ჩამოავარება სხვადასხვა ხალხთან. ეს, რა თქმა უნდა, დადებითი მოვლენაა, მაგრამ სირთულე ის არის, რომ დღევანდელი მთავრობა, საკაცობრიო იდეებით გამართლებული ტოტალური ინტერნაციონალიზმით და აქედან გამომდინარე, ყოველივე ეროვნულისადმი კოსმოპოლიტური ანტაგონიზმით, ყოველმხრივ უწყობს ხელს მცირერიცხვანი ერისათვის დამღუცველი ეთნიკური ასიმილირების პროცესების გააქტივებას და ამით გენეტიკური თავისთავადობის დაკარგვისაკენ მიერეცება ბუნებით ისედაც ინტერნაციონალურ, ისედაც უცხოთმოყვარე, ისედაც მიმდინდობ და ისედაც ჰუმანურ ხასიათის ქართველ კაცს.

უნებლივით იბადება კითხვა: შეიძლება თუ არა, რომ ერის უმთავრესი სიმდიდრე — გენეტიკური თავისთავადობა დამოკიდებული არ იყოს ამა თუ იმ მთავრობაზე და ხელისუფლებაზე, არაეროვნული ორიენტაციის შემთხვევაში ერთ თვითონ გახდეს თავისი ჯიშისა და მოდგმის პატრონი, საიმედო დამცველი, შემნახველი და გადამრჩენელი?

ამ კითხვაზე მეტად დამაჯერებელ პასუხს იძლევა ებრაელი ხალხის საყოველთაოდ ცნობილი, ისტორიულად უნიკალური გენეტიკური გმირობის მაგალითი: თითქმის ოცდაათი საუკუნის წინ მამულიდან აყრილმა და უმისამართოდ განდევნილმა ებრაელმა ერმა თავის გადარჩენისათვის უზენაეს მოვალეობად ცნო საკუთარი ჯიშის სინმინდის შენარჩუნება. იმისათვის, რომ ებრაელ მამაკაცთან ერთად ქალსაც აეღო ხელში ეს პასუხისმგებლობა, შვილი მხოლოდ ებრაელი მამაკაცისგან გაეჩინა და ერი გარდაუვალი გადაგვარებისაგან ამით გადაერჩინა, ებრაელშა, იმის მიუხედავად, რომ ამ დროს უკვე ბატონობდა აზრი შთამომავლობაში მამაკაცის განმსაზღვრელი და ნამყვანი როლის შესახებ, რომ მამაკაცი არის თესლის, მარცვლის ანაბლოგი, ხოლო ქალი ნიადაგია, გარემოა, სადაც თესლი უნდა გაღვივდეს, შთამომავლობაში მანიკურის დომინანტი დააკანონა. ამით მან უზენაესობად აღიარა გენეტიკური თავისთავადობის ანუ საკუთარი მოდგმის, საკუთარი ჯიშის სინმინდის დაცვა როგორც მამაკაცის, ისე ქალის მხრიდან და ამ რჩმენით ღრმად შთაგონებულმა, რამდენიმე ათასი წლის მანძილზე ლვთის ანაბარად დედამიაზე მიმოფანტულმა, ნატანჯვა და მინასთან ათასგზის გასწორებულმა ხალხმა მოაღწია თავისი უცვლელი, ბიბლიური სახით და დღეს იგი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი გენეტიკური თავისთავადობის მქონე ერია. ამ თავისთავადობის შენარჩუნება არის დღესაც მისი არსებობის მთავარი აზრი, რადგან იცის, რომ ამით იგი ადრე თუ გვიან დაიბრუნებს ყოველივე დაკარგულს და შეიძლება უფრო შორსაც წავიდეს. ეს არის იმის კლასიკური მაგალითი, თუ როგორ შეიძლება საყოველთაო დევნისა და მორჩილების პირობებში მყოფა ერმა, მშვიდობიანი და შთაგონებული ზრუნვით, სამუდამოდ შეინარჩუნოს საკუთარი ეროვნული სახე, საკუთარი მოდგმის სინმინდე, თავისთავადობა და ამით ყველაფერი დანარჩენი.

საქართველოში დღეს სრულიად საპირისპირო რამ ხდება: საკუთარი მამულის, ენისა და სარწმუნოების პირობებში მყოფი, მაგრამ ჰიპერბოლიზებული ინტერნაციონალიზმით (რომელსაც საერთო არაფერი აქვს ქართველთათვის ბუნებრივად დამახასიათებელ ჯანსაღ კაცთმოყვარეობასთან) გაბრუებული ქართველი ხალხი, საკუთარი მრავალსაუკუნოვანი ჯიშის გადარჩენის აუცილებლობის შეგნებადაქვეითებული, სრულიად შეუგნებლად მიექანება გენე-

ტიკური გადაგვარებისაკენ. არ მცილდება აზრი: თავისთავადობისათვის ბრძოლაში ამოდენა ჭირგამოვლილი, მონამეობრივი ისტორიის მქონე, გამჭრიახი, მოხერხებული და შეუპოვარი ქართველი კაცი, ნუთუ ალ-ლოს ვერ აუღებს უკანმოუხედავი ინტერნაციონალიზმის იმ პრიმიტიულად გაუთავებელ ბლავილს და ამით მცირერიცხოვან ერთა გენეტიკური რღვევის პოლიტიკას? ნუთუ ასე დარჩება იგი მხილოდ მამულისა და ენის მოჩვენებითი ხელშეუხებლობის გულუბრყვილო შემყურე და თვალებს დახუჭავს იმ უმთავრესის დაკარგვაზე, რომლის გარეშე აზრი ალარ აქვს არც მამულის, არც ენის და არც სარწმუნოებისათვის თავგამოდებას? თვალებს დახუჭავს საკუთარი ჯიშის, საკუთარი მოდგმის თავისთავადობის დაცვის აუცილებლობაზე მაშინ, როდესაც ამისათვის მხოლოდ ერთი და ისიც მისი სულისათვის სრულიად ბუნებრივირამ სჭირდება: სხვა ერებთან ტრადიციულად ჰუმანური დამოკიდებულების ფონზე შეურევლად გამრავლების აუცილებლობის ღრმა ეროვნული თვითშეგნება.

### 3.

მე მაქვს ამის მცირე იმედი, მაგრამ ეჭვის დიდი დოზით განზავებული, რადგან ძნელია დღეს ქართველი ხალხის გენეტიკური აზროვნების მობილიზება ეროვნული შთაგონების დონეზე. ძნელია, რადგან განადგურებულია ეროვნული სულით და ფიქრით გამსჭვალული მისი ტრადიციული არისტოკრატია, ეკლესია და ფართო ასპარეზია გადაშლილი უმდაბლესი ფენებიდან გამოსული, ყოველივე ძველისადმი ავი და ნიკილისტური სულისკვეთებით შთაგონებული ახალი ტიპის ინტელიგენციის ისე გამოსაზრდელად, რომ იგი გონიერივად, ქონებრივად და ზნეობრივად მთლიანად დამოკიდებული იყოს კოსმოპოლიტურად მოაზროვნე პატოკრატიაზე. ერთ ეზრდება საკაცობრიო იდეებით ყალბად შეირაღებული, სინამდვილეში კი ყოველდღიურ პირად კეთილდღეობაზე გადარეული და საკუთარი ერის გენეტიკური თავისთავადობის უარყოფით ღრმად გამსჭვალული ნიკილისტური საზოგადოება, რომელსაც უკეთეს შემთხვევაში საუკუნეები დასჭირდება ტრადიციული ქართული, ჰუმანური არისტოკრატიის ეროვნული აზროვნების დონეზე ასასვლელად. ამასობაში იგი მთლიანად დაარღვევს და მშვიდობიანად მოძალებულ უცხოტომელთა ზღვაში შეუმჩნევლად გაადნობს თავისი მცირერიცხოვანი, მაგრამ მეტად თავისებური, სწორედ საკაცობრიო მნიშ-

ვნელობით საინტერესო და სასარგებლო ერის არსებობის საყრდენს — ქართველი ხალხის გენეტიკურ ხელშეუხებლობას და გადააქცევს მას სახელნოდებით ქართულ, მაგრამ არსით, სისხლით, გენით, ჯიშით, თვისებებით და მისწრაფებებით კოსმოპოლიტურ კონგლომერატად, ანუ ყოველგვარი ეროვნული თავისთავადობისა და პიროვნული ინდივიდუალობისაგან განძარცვულ, მორჩილ მასად, რომლის მთელი ენერგია, აქტივობა და აგრესია მიმართული იქნება, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული თავისთავადობის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, — საერთო-საკაცობრიო ჰუმანიზმის მომიზეზებით.

არსებობს გზა ხსნისა: ყოველი ქართველი პიროვნულად, ნებისმიერი მთავრობის ხელში და ნებისმიერ სიტუაციაში ღრმად უნდა განიმსჭვალოს საკუთარი ჯიშის, საკუთარი გენეტიკური თავისთავადობის მშვიდობიანი, ჰუმანური გზით შენარჩუნების შესაძლებლობის და აუცილებლობის რწმენით. იწამოს, რომ ეროვნული თვითმყოფადობისადმი ნიკილიზმი ისეთივე დამლუპველია ნებისმიერი ერისათვის, როგორც აგრესიული, უკიდურესი ეროვნული ფეტიშიზმი. შთაგონოს საკუთარი თავი შეურევლად გამრავლების მოვალეობის ღრმა შეგნებით.

### 4.

არიან ხალხები, ასიმილაციის მახვილი-სადმი შედარებით გამძლენი, რომლებიც სხვა ერებთან შეჯვარების მიუხედავად, ასე თუ ისე, მთელ რიგ თაობებში ინარჩუნებენ საკუთარ გენეტიკურ თავისებურებებს, მაგრამ ქართველებზე, ისევე როგორც ევროპულ ხალხთა უმრავლესობაზე, როგორც ძველ ბერძნებზე და ძველ ებრაელებზე, ასიმილაცია მომაკვდინებელ ზეგავლენას ახდენს და მისი შედეგები შთამომავლობაში გამოუსწორებელი ან უკიდურესად ძნელი გამოსასწორებელი ხდება. გენეტიკურ მეცნიერებაში საყოველთაოდ ცხობილი ამ ფაქტის გათვალისწინება აუცილებლელია ქართული ეროვნული, ნამდვილად კეთილშობილი სულისკვეთებისათვის, რომელიც თავის თავში არ ატარებს სხვა ხალხებისადმი არავითარ ანტაგონიზმს, არამედ, პირიქით, მაგრამ არც თვითშენახვის უზენაესპრინციპს უგულვებელყოფს.

ინტერნაციონალიზმისა და კოსმოპოლიტიზმის წრეგადასული ქადაგების დღევანდელ პირობებში ბუნებრივად ჩნდება სრულიად მარტივი კითხვა: როგორ შეიძლება ერმა არ იზრუნოს საკუთარი მოდგმის სიმწინდის შენარჩუნებაზე მაშინ, როდესაც

მიღიარდები იხარჯება ცხოველთა, ფრინველთა, მწერთა და მცენარეთა გენეტიკურად დახვენილი, ნმინდა ჯიშის ეგზემპლარების გამონახვაზე, მოვლაზე, შენახვაზე და ამ სახით მათ გამრავლებაზე? ეს პროცესები ათასჯერ უფრო გარდაუვალი, აუცილებელი და საჭიროა ადამიანთა საზოგადოებისათვის, პუნქტრივი და სასარგებლოა საზოგადო პროგრესისათვის... დადგება დრო, როდესაც ყოველგვარი აგრძესის გარეშე, მშვიდობიანად და ბუნებრივად, ყოველი ერის გენოტიპი დაექვემდებარება გარკვეულ დაცვას, ასიმილირებისაგან გარკვეულ გაფრთხილებასა და ისე გამრავლებას, რადგან სწორედ ეროვნული გენეტიკური თავისთავადობის საფუძველზე დამყარებული ეროვნებათა ჰარმონიული თანაარსებობა არის საყოველთაო სიკეთის მომტანი, ხოლო მათ განუკითხავ ურთიერთაღრევას და ეროვნული თვითმყოფადობისადმი უპატივცემულობას მხოლოდ გაურკვევლობა და ნიშილიზმი, სიძულვილი და უბედურება მოაქვს ყველასათვის. მეტიც, ქვეყანა, სადაც გენეტიკას, როგორც შთამომავლობით კანონზომიერებათა შემსწავლელ დიდებულ მეცნიერებას, და გენეტიკოსს, როგორც ეროვნულ მოღვაწეს, არ სცემენ ჰატივს და არაფერს ეკითხებიან, ისევე არანორმალურია, როგორც მხოლოდ საკუთარი ერის ფეტიშიზმით გადარეული ქვეყანა.

ყოველი მონინავე ერი, თუ დროის გარკვეულ მონაკვეთში ესა თუ ის ულირსი მთავრობა არ მოახვევს თავზე კაცითმოძულე პოლიტიკას, ზრუნავს სხვა ხალხებთან ჰუმანური და მშვიდობიანი ურთიერთობის საფუძველზე საკუთარი ჯიშის გარკვეულად დაცვასა და ისე გამრავლებაზე. ეს სულისკვეთება ძალზე ბუნებრივია ერთაშორისი ურთიერთობებისათვის არაჩვეულებრივად გახსნილი და კაცითმოყვარე ქართველი კაცისათვის. მსოფლიო კულტურის გადარჩენა ეროვნულ გენთა თავისთავადობის შენარჩუნებაზეა მთლიანად დამოკიდებული.

ისმის კითხვა: რა გადაარჩენს შექმნილ რთულსა და ასიმილირებისათვის ხანგრძლივად და ინტენსიურად მიმდინარე დღევანდელ სიტუაციაში ან ინტელექტუალურ, მაგრამ ძალზე დაუდევარ, უდარდელ, ასევე ძალზე ჰეროიკულ და ხალისიან, ბრძენსა და კაცითმოყვარე, უალრესად ფართო შესაძლებლობების მქონე ამ დამოუკიდებელ

გენოტიპს, მისთვის დამღუპველ ასიმილირებას? მე შემიძლია უპასუხო დამაჯერებლად და მოკლედ: ქართველთათვის ბუნებისაგან მონიჭებული არაჩვეულებრივი კაცითმოყვარეობისა და ჰუმანურობის ფონზე, ეროვნული გენის თავისთავადობის შენარჩუნებისათვის მშვიდობიანი და შთაგონებული ზრუნვა!

## 5.

ყველგან და ყველაფერში მშვენიერების ძებნის ჩემმა უცნაურმა ჩვეულებამ არაერთგზის დამარწმუნა სილამაზის თავისთავადობასა და მრავალფეროვნებაში. ერთფეროვნება, თუნდაც ულამაზესი, მშვენიერებად ვეღარ აღიქმება. სილამაზის თავისთავადობა და მრავალფეროვნება ბუნების კანონია. ამ კანონს ენინააღმდეგება მხოლოდ მრავალრიცხოვან ერთა გამრავლებისა და ამის გამო მცირერიცხოვან ერთა განწირულებისა აზრი. პირიქით, სწორედ ერთა ნაირგვარობასა და თვითმყოფადობის ნაირფეროვნებაშია სიცოცხლის აზრი და სილამაზე. მხოლოდ ის ერთა განვითარების პოტენციისა და სიცოცხლის უნარის მქონე, რომელმაც კაცითმოყვარე სულისკვეთებასთან ერთად შეინარჩუნა საკუთარი გენეტიკური, ზნეობრივ-კულტურული, ტერიტორიული და ენობრივ-სარწმუნოებრივი თავისთავადობა. თავისთავადობა საერთოდ და ამ შემთხვევაში ქართული თვითმყოფადობა, მთელი თავისებურებების სიუხვით, საკუთარი გენის, საკუთარი მამულის, საკუთარი ენის და სარწმუნოების თავისთავადობით არის ის ჭეშმარიტი მშვენიერება, რომელიც მუდმივად თანმდევს საქართველოში დაბრუნების პირველი დღეებიდანვე, ჩუმად მიზიდავს თავისაკენ და ვეღარ ვთავისუფლდები მისი ფარული, ბედნიერი ტყვეობისაგან. სწორედ ამიტომ, ჩემთვის თეზისი — გენი, მამული, ენა და სარწმუნოება დაღადებს უზენაეს ჭეშმარიტებას: არაფერი ისე მჭიდროდ არ არის დაკავშირებული ქართველი ერის ყოფნა-არყოფნის დილემასთან, როგორც ჯიში და ასიმილაცია. არაფერს ისე გაფრთხილება არ სჭირდება, როგორც საკუთარ ჯიშს. ჯიში ყველაფერია! მხოლოდ იგი განაპირობებს ქართველის სწრაფვას ყველაფერში ქართველად დარჩენისათვის! — და ეს კი, მთავარი რამ არის.

**თბილისი, ორთაჭალის ციხე. 1939წ.**





## ჟაკლინ სირაძე

# უჩვეულო პოსტმოდერნიზმი

რომან „გიორგი ბრწყინვალეს“ თაკითხვის მცდელობა  
არის სტრუქტურული „მატაფიზიზის მიხედვით“

„არისტოტელეს მიხედვით: «გონების აქტივობა არის სიცოცხლე»“.  
უ. გათრი

1. პოსტმოდერნისტულ რომან  
„გიორგი ბრწყინვალეში“  
ხელოვნურად მოძიებული  
საყრდენი ცერტიფიკატი,  
ანუ ჩავი 1 2 3 4 5

ჭაბუა ამირეჯიბის რომან „გიორგი ბრწყინვალის“ კითხვისას ისეთივე გაოცება და გაონება შეგიძლია როგორც ეს დაემართა ჟან-პოლ სარტრს უილიამ ფოლკნერის გახმაურებული რომანის „ხმაური და მძვინვარების“ კითხვისას. აი, რას ნერს ამ რომანის შესახებ ჟან-პოლ სარტრი:

— კლასიკურ რომანში მოქმედებას აქვს ცენტრი: ვთქვათ, როგორიცაა მამა კარამაზოვის მკვლელობა, ან ედუარდისა და ბერნარის შეხვედრა „ყალბი ფულის მჭრელებში“. ამაოდ დაშვრებით, თუ ამგვარი ცენტრის ძიებას დაიწყებთ „ხმაურსა და მძვინვარებაში“. იქნება ეს ცენტრი ბენჯის სიჩლუნგეა? ან კედის უილბლო სამიჯნურო თავგადასავალი? ან ქვენტინის თვითმკვლელობა? ან ჯეისონის მტრობა თავისი დისტვილისადმი? თითოეული ეპიზოდი, როგორც კი ჩავწვდებით, მეორეს გაგვახსენებს — ფაქტიურად, ყველა დანარჩენი ეპიზოდი მასთან არის დაკავშირებული“.

და ჩვენ ჟან-პოლ სარტრის შთაგონებითა და ზეგავლენით, რომან „გიორგი ბრწყინვალეს“ ტექსტში ნაწარმოების ცენტრის ძიებისას შეიძლება ასეთ ცენტრად მივიჩნიოთ



ანანია ლარგველის მიერ ბალდადის ბაზარზე მოპოვებული არის სტოტელეს „მეტაფიზიკა“, რომელშიც, როგორც ვიცით, საუბარი ღვთაებრივ საგნებზე მიმდინარეობს, ან შეიძლება ასეთ ცენტრად გიორგი ბრწყინვალეს საკუთარ ეგზისტენციაში მოძიებული ქრონისთან (მარადისობასთან) საუბარი მივიჩნიოთ, სადაც სულის უკვდავებაზე, კერძოდ, სინანულის რაგვარობასა და მისი მოპოვების შესახებ მიმდინარეობს მსჯელობა? იქნება

ცენტრი დილიკაში (განთიადის ქალღმერთ ეოსში) ჩასახული გიორგი ბრწყინვალეს მოდგმისგან შობილი ყრმა — დავითია? (რაც მინიშნებაა ტექსტში იესო ქრისტეს მოვლინებაზე, უფალი ჩვენი იესო ქრისტე ხომ დავითის მოდგმიდან მოვლინა კაცობრიობას). და მართლაც, რომანის ტექსტში ისტორიული ფაქტების აღუზიებით იერუსალიმში, წმინდა მინაზე ქართველ ქრისტიანთა უფლებების აღდგინება მოხდება. ჯერ ერთი, მხოლოდ მათ მოიპოვეს უფლება, ცხენზე ამხედრებული შესულიყვნენ ამ მინაზე და, მეორეც, მათ (ქართველებმა) შესძლეს ქრისტიანული სინმინდების დაბრუნება.) ან იქნებ ცენტრს მაშინ მოვიძიებთ, როცა გიორგი ბრწყინვალე დილიკას — ცხოვრების ხეს შეერტყმის და ედემში, ღმერთთან ბრუნდება? თუ მაშინ, როცა დილიკა მოტყუებით კლავს ტექსტში ურჩხულის სიმბოლოს, კერძოდ — მონღოლთა ურდოს ძლევამოსილ ყავნებს და იტყვის, „მან ქესტუმ აბუსაიდი“ (სპარს.) — „მე მოვკალი აბუსაიდი“. თუ ასეთ წერტილად შეიძლება რომანში აპოკალიფური ხილვების გროტესკული ირონიული თხრობა მივიჩნიოთ? (ამ თეატრალურ ბუფონადამი იყითხება ღვთის მოდერნიზებული სამსჯავრო. მაშასადამე, მსჯელობა მიმდინარეობს უარსებითეს საკითხზე — ქრისტესა და ანტიქრისტეს შესახებ, რომელიც წამოდგენილია როგორც ქრისტიანულ და მაპამადიანურ რელიგიათა შორის არსებული დაპირისპირება თამარ მეფის ხანაში, სადაც ერთი უჩვეულო ამბავ-იგავი, კერძოდ ვინმე დანიშმენდის ვირში გადაცვლა გადათამაშდება.) ასეთ წერტილად შეიძლება პერსონიფიცირებული სახელმწიფოები მივიჩნიოთ, როგორც გასაღები ისტორიული წიგნის კითხვისას?

და ჩვენ უნდებურად შეიში შეგვიპყრობს, რადგან უან-პოლ სარტრის მოხმობით: **ცენტრი ყველგანაა და არსადაც არაა.**

ასეთივე ანალოგიური კითხვები შეიძლება მთავარი გმირის მისამართითაც დაგვეხვა: ვინ არის მთავარი გმირი — გიორგი ბრწყინვალე, ის, ვინც ავტორის რთულ მოვალეობასაც ითავსებს და აღსარებს რთულ გზას გულწრფელად და უბრალოდ გადმოგვცემს? ან, იქნებ მთავარი გმირი ქრონია?

მაგრამ ჯერ დავსვათ კითხვა: ვინ არის ქრონი, თუ არა თავად გიორგი ბრწყინვალის ალტერ ეგო (Al ter ფო) - მისი გონება, რომელზედაც სულხან-საბა ორბელიანი ასე წერს:

„....> გონების ცნობა 20 კავშირში ჰპოო. B. გონება სიტყვიერი არს გონება მხედ-

ველობითი საცნაურისა და უკვდავისა სულისა. <....> საცნაურ არს გონებითა მოსაგონებლითა მოსაგონებელითა. ოთხნი არიან მგრძნობელნი: გონება და მოგონება, ნება და ოცნება.

— ან,

„....> ...გონება არს ხედვა უხორცო და უშრომლად, მომვლელი ყოვლისა. რამეთუ სამ სახედ ითქმის გონება: გონება ღმერთი, გონება ანგელოზი და გონება ჩვენიცა“.

რომანში ქრონი მართლაცდა განასახიერებს: „გონება-ღმერთს, გონება-ანგელოზს და გონება-ჩვენიცას“. და იგი ქრონი გიორგი ბრწყინვალის შინაგანი მეა, რომელიც მას დიდი სინამდვილის შესახებ გონების თვალს აუხელს და „გნოსეოლოგიის“ იმ წიგნს წააკითხებს, რომელიც მხოლოდ მიღმური სამყაროს მეშვეობით შეიძლება წავიტოხოთ.

ან, იქნებ მთავარი პერსონაჟი დილიკაა, ის, ვინც განასახიერებს გიორგი ბრწყინვალის — სიცოცხლის ძალმოსილებას, მის აღმტაც და დიდ ძალას, მის უკვდავ სულს, რომელიც ისევ სამოთხეში, თავის წიაღში, სულის ჰარმონიულ მდგომარეობას უბრუნდება და ჯვრის გემოს ნაზიარევი, ცხოვრების ხის ნაყოფსაც იგემებს?

ან იქნებ მთავარი პერსონაჟი ხურცია? რადგან ვინ არის ხურცი, თუ არა ყველა ის ზემინიერი ძალა რომელიც ჩნდება იქ და იმ დროს, სადაც და რა დროსაც ქართველი ერის მისტიკური ორგანიზმი მოითხოვს დაცვასა და შემართებას და ის, ვით ღვთაებრივი ნება, მისი მარად მოქმედ ძალად გაცხადდება?

და ჩვენ ალმოვაჩენთ, რომ ამაზე პასუხი არა გვაქვს, რადგან გიორგი ბრწყინვალე — იგივე ანანია ლარგველია (უფრო ზუსტად კი მისი წინარე ინკარნაცია), იგივე იონათამია (მაგრამ იონათამი იგივე ანანია ლარგველია, ოლონდ ხუთ მეფე გამონაცვალი), იგივე ქრონია, იგივე დილიკა, იგივე ხურცი. ისინი ერთი მთლიანი, ქართველი ერის მისტიკური ორგანიზმის ნაწილებს ნარმოადგენება და მათი ერთად ნარმოდგენის გარეშე, ჩვენ ნაწარმოებს ვერც ვერაფერს გავუგებთ.

მაგრამ ამ ერთობას თავს და ბოლოს ვერ ვუპოვით, თუ არ გავიაზრებთ იმ ფაქტს, რომ რომანში გადმოცემული ამბავი ორ ისტორიულ ფაქტს გამოხატავს და მხოლოდდენ მათი ინტეგრალური გადათამაშების, ანუ მათი მისტიკური კავშირის აღდგინებით შეგვიძლია ამ ნაწარმოების გააზრება. მაგრამ რომანის სირთულე აქ არ თავდება, რადგან ტექსტში ავტორი ისტორიულ ფაქტებს

თანადროულობის პრიზმიდან დაგვანახვებს. მაგრამ თუ გვინდა, რომ ეს ტექსტი წავიკითხოთ, მისი ეგზისტენციალურ შრეთა განჭვრეტა შევიძლოთ, უნდა გავიაზროთ, რომ ყველა პერსონაჟი ერთმანეთს ხვდება იმ ეგზისტენციაში, რასაც გიორგი ბრწყინვალის სუბსტანცია, მისი მისტიკური ორგანიზმის „შიდა სახლი“ შეიძლება ვუწოდოთ.

მოდით, ისეთი უჩვეულო და პოლიფონიური სტრუქტურის კითხვისას, რასაც წარმოადგენს ჭაბუა ამირეჯიბის რომანი „გიორგი ბრწყინვალე“, დავივიწყოთ ნებისმიერი განსაზღვრა და გულუბრყვილო თამაში წამოვიწყოთ. გავითამაშოთ, რომ ვკითხულობთ კლასიკურ ტექსტს, რომელშიც ძალიან ადვილად მოვიძიებთ საყრდენ წერტილს, თანამედროვეთათვის კი idé efixes.

და მოდით, გულუბრყვილოდ ვიკითხოთ: — სად არის რომანის ტექსტში საყრდენი წერტილი, idé efixe, ანუ სად ვიპოვოთ ცენტრი, რომელიც რომანის ტექსტს წავითხებს?

მით უფრო ეს ნიშნეულია ისეთი პოსტმოდერნისტული კომპოზიციისთვის (რაც თავისთავად ნებისმიერ კომპოზიციას გამორიცხავს) რომელშიც პირობითად ალებული ნებისმიერი „წერტილი“ შეიძლება მიჩნეული იქნეს ამბის დასაწყებად.

მაგალითად, ასეთ „წერტილად“ შეიძლება მივიჩნიოთ და მოდით, მივიჩნიოთ იგავი (რომელშიც ჩაწერილია, თუ როგორ აუკანვანდა ანანია ლარგველს სული არისტოტელეს „მეტაფიზიკის“ ძველთაძველი ფოლიანტის ხილვისას)?

## 2. იგავში ჩასაიდუმლოებული ნაცროვები

არაფერი ისე უჩვეულოდ არ მოგვეჩვენება, როგორც არისტოტელეს „მეტაფიზიკისა“ და ჭაბუა ამირეჯიბის რომან „გიორგი ბრწყინვალის“ გვერდიგვერდ განთავსება. მაგრამ რაც არ უნდა პარადოქსალურად უდერდეს „გიორგი ბრწყინვალეში“ მოთხოვობილ ამბავთა, უფრო ზუსტად კი მიმობნეულ ამბავმძივთა ძაფ-გასალებს სწორედ არისტოტელეს „მეტაფიზიკაში“ მოვიძიებთ, რაზედაც ავტორი ასე სასხვათაშორისოდ მოგვითხრობს:

„— ბალდადის ბაზარზე ანანიამ არისტოტელეს „მეტა ტა ფიზიკის“ ძველთაძველი ხელნაწერი ნახა, სული აუკანვანდა. საკმარისი ფული არ ჰქონდა. ქალაქებარეთ საბალ-

ახოდ მიშვებულ მშვენიერ ულაყს დაადგა თვალი. პალვანდი ახსნა. იმ დღეს ულაყიც გაიყიდა და არისტოტელეც ანანიასი შეიქნა. ის ფოლიანტი ჩვენს სასწავლებელში იყო, სანამ ყველაფერს ქარი წაიღებდა. ეგ არის, ცხენი ანანიას მასპინძლისა აღმოჩნდა, ერთობ შეწუხებული დახვდა. ლარგველმა ათი დღის თავზე ულაყი მასპინძელს მოჰვერა, სიმართლე უთხრა და მას მერე ანანიას ბალდადელ მასპინძელზე უკეთესი მეგობარი დუნიაზე სხვა აღარავინა პყოლია“.

ავტორი მკითხველს ამ იგავ-ამბით იმ გასაღებს სთავაზობს, რომლითაც იკითხება ის ისტორია, ის ამბავი, რომელშიც მოთხოვობილია როგორ ან რატომ, რა მიზეზმა განაპირობა, რომ ქართველმა ერმა გიორგი V-ს გიორგი ბრწყინვალე დაარქვა.

ანუ, მასში მოთხოვობილია, რა გზა გაიარა გიორგი V-მ გიორგი ბრწყინვალემდე. ეს იმასაც ნიშნავს, ვუპასუხოთ კითხვას:

— ანანია ლარგველს, გიორგი V-ის მეტექსე ინკარნაციას (მცხოვრებს თამარ მეფის ეპოქაში), რატომ აუკანვანდა სული არისტოტელეს „მეტაფიზიკის“ ძველთაძველი ფოლიანტის ხილვისას.

მაშ ასე, ისევ გავიმეოროთ და დავსვათ კითხვა:

— რატომ აუკანვანდა ანანია ლარგველს სული არისტოტელეს „მეტაფიზიკის“ ხილვისას? ანუ, რას ნიშნავს ეს?

## 3. ანანია ლარგველის მიერ გამოსხილი გვრცელები — გიორგი ბრწყინვალე

„რადგან როგორ მიმართებაშიცაა ლამურას თვალები დღის სინათლისადმი, ასეთსავე მიმართებაშია ჩვენი სულის გონება ბუნებით ყველაზე ნათელი მოვლენებისადმი“.

არისტოტელე, „მეტაფიზიკა“

ანანია ლარგველის მიერ გამოხსნილი მფრინველი რომ გიორგი ბრწყინვალეა, იმ კითხვის პასუხსაც გულისხმობს, რომელიც ჩვენ უკვე დავსვით:

— რატომ აუკანვანდა ანანია ლარგველს სული არისტოტელეს „მეტაფიზიკის“ ძველთაძველი ფოლიანტის ხილვისას?

ანუ რა წერია ფოლიანტში ისეთი, რაც მასში ისეთ სულიერ მღელვარებას გამოიხმობდა, რომ იძულებულს შექმნიდა ფულის უქონლობის გამო სხვისი, ბალდადელი მასპინძლის ცხენი პალვანდიდან აეხსნა,

მოეპარა, გაეყიდა და მხოლოდ ასე მოეპოვებინა აღნიშნული წიგნი (ძელთაძეველი ფოლიანტი არისტოტელს „მეტაფიზიკას“).

**ვიდრე ამ იგავის საიდუმლოებას, ანუ წიგნის მთავარ შინაარსზე ვისაუბრებდეთ, რომელიც იკვლევს სამყაროს არსს, იგივე სუბსტანციას, შემოვიფარგლოთ ზოგადი განმარტებით, კერძოდ, რა წერია არისტოტელეს „მეტაფიზიკაში“.**

„რადგან, ჩვენი აზრით, ღმერთია ყოველივეს მიზეზი და რაღაც საწყისი, ამიტომ ეს მეცნიერება (ცხადია, იგულისხმება არისტოტელეს „მეტაფიზიკა“) ან მხოლოდ ღმერთს, ან ყველაზე უფრო მეტად ღმერთს შეიძლება პქნონდეს“.

მაგრამ ჯერ უპირველესად უნდა გავიხსენოთ და გავიაზროთ, რომ ღვთაებრივი საგნებზე ფიქრი, ღვთაებრივის მიბაძვითა და მიმსგავსებით საქმეთა ზრახვა და აღსრულება ადამიანს მხოლოდ მაშინ შეუძლია, თუ ის მიწიერი სამყაროს მიჯაჭვულობისაგან სავსებით განთავისუფლდება.

და რადგან ამ ესეში მხოლოდ ზოგადად შემოვიფარგლებით იგავში მოხმობილ წიგნზე (არისტოტელეს „მეტაფიზიკაზე“) მოდით, მხოლოდ აბსტრაქტულად ვისაუბროთ თუ როგორ არის შესაძლებელი მიწიერი მიჯაჭვულობისგან თავდახსნა — განთავისუფლება.

თუ ცოტას მაინც კითხულობს ადამიანი, მისთვის უდაოდ ნაცნობი იქნება ლეგენდა ბერძენ ფილოსოფოს დემოკრიტეზე, რომელმაც, რათა ღრმად ჩასწვდომოდა სამყაროს არსს, რათა შესძლებოდა, პლატონის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ნმინდა აზრებით აზროვნება“, ანუ ღვთაებრივის ბაძვით ზრახვა და ქმედება, საკუთარი ხელით ორივე თვალი ამოითხარა.

რომან „გიორგი ბრწყინვალეში“ ქრონი — მარადისობის სიმბოლო, ასე ასწავლის გიორგი ბრწყინვალეს:

„...უამი კაკანათია, კაცი — მარად შიგ გაბმული მფრინველი. მაგრამ მარტივ კაცთავის არის ესე! მძლეობათვის: ისინი თავად ნადირობენ დროსა და ვითარებაზე. მძლენი არიან და ამად მოინადირებენ კიდეც.“

კაკანათი თუ დროსთან ასოცირდება, ის წუთისოფლის სიმბოლოც ყოფილა. რადგან დროის სუბსტანცია სამყაროსა და ადამიანის შექმნას უკავშირდება, მაგრამ თუ დრო მოიაზრება, როგორც კაკანათი, ის ადამიანის საწუთოროში გაუსაძლის მდგომარეობაზეც მიანიშნებს, რადგან კაკანათი-დრო — ის მოხერხებულად დაგებული მახეც ყოფი-

ლა და ასევე დაუნდობელი მტრისგან მკიდრად ნაგები, შეუვალი ციხესიმაგრეც, რომელსაც ადამიანი ან უნდა დაუსხლოს, ან უნდა დაეუფლოს.

ავტორის ინტერპრეტაცია — უამი კაკანათია, ანუ სხვაგვარად კაკანათი-დრო მიანიშნებს, რომ წუთისოფელში მოსული ადამიანი ბრმა. ის, ამ საპყრობილეში მომწყვდეული, სულაც ვერ შეიგრძნობს, რომ ღვთაებრივი სული გააჩინია, შესაბამისად, რომ თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა ღვთისგან აქვს ბოძებული.

მაგრამ ისიც საგულისხმოა, რომ კაკანათ-დროში გაბმულია არა უბრალოდ ადამიანის ბუნებითი მოცემულობა, არამედ ადამიანის ღვთაებრივი სული, სული ცისკენ მიმსწრაფი და ამიტომაც ადამიანის სულის გამოსახვისათვის ავტორი ძველ არქაულ, აღმატებულ და მუღლერ ქართულ სიტყვას დაწერს, წინდართული სუფიქსი „მ“-თი — მფრინველი.

არისტოტელეს „მეტაფიზიკაში“ ვკითხულობთ:

— ერთსა და იმავე საგანს მრავალნი სწავლობენ, მაგრამ ამათგან ყველაზე უფრო მცოდნეს უწნოდებთ იმას, ვინც იცის, თუ რას ნარმოადგენს, ან რას არ ნარმოადგენს საგანი. შესაძლებელია საგანი ერთმა მეორეზე უკეთ იცოდეს, მაგრამ ყველაზე უკეთ იცის იმან, ვინც იცის არსება (ანუ ღვთაებრივი ბუნება — უ. ს.) და არა იმან, ვინც იცის საგნის რაოდენობრივი ან თვისობრივი მხარე, მოქმედება, ან ვნება“.

და არისტოტელეს „მეტაფიზიკას“ ანალოგიურად რომან „გიორგი ბრწყინვალეში“ ყველაზე მცოდნეა ის, ვინც ღვთაებრივ ბუნებას სწავლება, ვინც თავად ღვთაებრივი ბუნების მატარებელია და ეს ქართველი ერის კრებითი სულია რომელსაც ამ ნაწარმოებში გიორგი ბრწყინვალე განასახიერებს იგივე მძლე, რომელიც რომანის პერსონაჟის ქრონის განმარტებით: „<...> „ისინი (მძლენი — უ. ს.) თავად ნადირობენ დროსა და ვითარებაზე მძლენი არიან და ამად მოინადირებენ კიდეც“.

მაგრამ თავი და თავი ამ იგავისა იმაში მდგომარეობს, რომ თავად გიორგი ბრწყინვალეს მეფედ მოვლინება დედამინაზე განპირობა მისმა წინარე ინკარნაციით მოვლენილმა ანანია ლარგველმა, იგივე ქართველი ერის კრებითმა სულმა. რადგან, როგორც აპოკალიფსის მუხლობრივ განმარტებაში ვკითხულობთ (თავი 5. 7; 8; 9): «სულები, რომლებიც მიწიერი მიჯაჭვულობისგან გათავისუფლდნენ და ზეციერს მიეწებნენ, მე-

ფეხი ხდებიან, რამეთუ ისინი ჭეშმარიტად უფლებენ თავის თავზე და ყველა არსებებზე. ისინი გახდებიან მღვდლები, რომლებიც განუწყვეტლივ სწირავენ მსხვერპლად ქებას. ასეთები არა მხოლოდ ზეცაში მეფობენ — მათი მეფობა ჯერ კიდევ დედამინაზე ცხოვრებისას იწყება.

და მივადექით იგავის ერთ-ერთ ფესვს — მეშვიდე ინკარნაციით მოვლენილი გიორგი ბრწყინვალეს მეექვსე ინკარნაციას — ანანია ლარგველს, რომელმაც თავისი ცხოვრებით, თავისი ქმედებით განაპირობა გიორგი ბრწყინვალის როგორც მეფედ, ანუ მძღედ მოვლინება დედამინაზე.

საინტერესოა, რომ როცა რომანის ერთ-ერთი პერსონაჟი, თომა ანანია ლარგველს (გიორგი ბრწყინვალეს მეექვსე ინკარნაციას) ეკითხება:

„*...> შენ ვიღა ხარ?*

„*...> ის პასუხობს:*

„*მე — ჯერ არავინა! ეგაც არაფერი და, საქმე ის არის, რომ არც ის ვიცი, ბოლოს ვინ ვიქები!*“

ანუ, ანანია ლარგველი სიტყვასიტყვით ამბობს: არ ვიცი, რომ მეშვიდე ინკარნაციაში საქართველოს სახელოვანი მეფე — გიორგი ბრწყინვალე შევიქმნები.

მაგრამ თავისთავად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სწორედ ანანია ლარგველი (ქართველი ერის კრებითი სული) თამარ მეფის ხანაში შეიძენს არისტოტელეს „მეტაფიზიკას“, რომლის მთავარი საკვლევი საგანია ღვთაებრივი საგანი და მისი ოთხი მიზეზი.

მანამდე კი უნდა გავიგოთ, თუ რა ამბავმა განაპირობა, ანუ როგორ მოხდა ანანია ლარგველის მინიერი სამყაროსაგან განთავისუფლება და ღვთაებრივ სამყაროში (ზეცაში) მისი მეფედ კურთხევა (გიორგი ბრწყინვალეს სახით მოვლინება).

ეს იმასაც ნიშნავს, დავაკონკრეტოთ, თუ რას ნიშნავს ღვთაებრივი საგნის შესწავლა არისტოტელეს „მეტაფიზიკის“ მოხმობით, რომლის ანალოგსაც ავტორი პოსტმოდერნისტული თამაშის ენით გადმოგვცემს.

ანუ, პოსტმოდერნისტული რომანის „გიორგი ბრწყინვალის“ მიხედვით ორი კითხვა გამოიკვეთება:

**1. რა არის შემეცნება? (ანუ როგორ შეიმეცნება ღვთაებრივი საგანი)**

მაგრამ ვიდრე გავარკვევდეთ რომანის ტექსტის მიხედვით, თუ რა არის შემეცნება, უნდა შევისწავლოთ ის წესი, რითაც ამ წიგნის კითხვას შევიძლებთ.

ადამიანმა რთულ არითმეტიკულ ოპერაციამდე პირი უნდა დაისწავლოს არითმეტიკის ტაბულა. ჭაბუა ამირეჯიბის „გიორგი ბრწყინვალეს“ წასაკითხად კი ასეთ ტაბულას წარმოადგენს არისტოტელეს „მეტაფიზიკა“, რომლის საძიებელი საგანია — სუბსტანცია — უსია — და მისი ოთხი მიზეზი.

მეორე კითხვა კი ასე დაისმის:

**2. როგორ წავიკითხოთ რომანი „გიორგი ბრწყინვალე“ — „არითმეტიკული ტაბულის“ — არისტოტელეს „მეტაფიზიკის“ დახმარებით?**

#### 4. რომანის წასაკითხად ზეპირად

**დასასწავლი ტაბულა —**

**არისტოტელეს „მეტაფიზიკის“ სუბსტანცია და მისი ოთხი მიზეზი**

როგორც უკვე აღვნიშნე, რთულ არითმეტიკულ ოპერაციამდე პირი უნდა დაისწავლილ იქნეს არითმეტიკის ტაბულა, ხოლო ამ ქმნილებისთვის ეს ტაბულა — არისტოტელეს „მეტაფიზიკა“.

მაშას ასე, შევეცადოთ შევისწავლოთ არითმეტიკის ტაბულა — არისტოტელეს „მეტაფიზიკა“.

რომანში პოსტმოდერნისტული თამაშის მთავარი ფიგურა არისტოტელეს „მეტაფიზიკას“ მთავარი საძიებელი საგანია — სამყაროს არსი, იგივე სუბსტანცია, რასაც არისტოტელეს სხვაგვარად „უსიად“ მოიხსენიებს. რომან „გიორგი ბრწყინვალის“ მიხედვით კი, სუბსტანცია, სამყაროს არსი — ქართველი ერის კრებითი სულია. მას ხან გიორგი ბრწყინვალის **ქვერ ქო — ქონი** განასახიერებს და კანონზომიერია, რომ ის მიღმურ სამყაროში ეცხადება ამ უკანასკნელს და მაშასადამე, ის მისტიკური არსებაა; ხან კი სუბსტანცია **ანანია ლარგველია**, რომელიც გიორგი ბრწყინვალეს წინარეცხოვების მეტექსე ინკარნაციაა თამარ მეფის ხანაში და ცხადია, ისიც მისტიკური არსებაა, რომელსაც ჩვენ ძევლთაძეველი ფოლიანტის მეშვეობით ვეცნობით, ხან კი ეს სუბსტანცია, სამყაროს არსი — ქართველი ერის კრებითი სული — **ილია ჭავჭავაძეა**, რომელსაც გიორგი ბრწყინვალეს მიმავალ დროში გადასვლით, ზმანების სახით ეცხადება — ისევ და ისევ ქართველი ერის მისტიკური ორგანიზმის მეშვეობით, ხან კი ეს სულხან-საბაორბელიანია და ა. შ. და ა. შ.

არისტოტელეს მიხედვით, ჩვენ ასეთ ახ-

სნას მოვუძებნით სუბსტანციის კონკრეტულ პირად გამოსახვის ფაქტს:

„ზოგადი - გვარი ყოველთვის რომელიმე სუბიექტის პრედიკატია. ის არ არსებობს დამოუკიდებლად. ადამიანისა რომელიმე ადამიანის პრედიკატი და არა დამოუკიდებლად არსებული. ნამდვილად არსებობს სოკრატე, კალისტრატე, ფედონი და სხვა, ადამიანისა კი მხოლოდ შესაძლებლობის აზრით არის არსებული...“

„<...>

**მაშასადამე, უსია არის სუბიექტი**“ (ხაზგასმა ჩემია — ჟ. ს.).

და როცა არისტოტელე თავის „მეტაფიზიკაში“ მიიჩნევს, რომ სუბსტანცია შეიძლება იყოს კონკრეტული, გრძნობადი საგანი, სულაც კანონზომიერია, რომ გიორგი ბრწყინვალე თავისი თავის შეცნობისას, რაც ქრონთან გასაუბრებით მიიღწევა, იხილავს თავის თავს, როგორც „კონკრეტულ, გრძნობად საგანს“ (ს. წერეთელი). კერძოდ, რომანის ტექსტში ის ქართველი ერის ეთნოსის სამოსით გამოცხადდება და, როგორც ავტორი წერს:

— ტანთ ჩოხა-ახალუხისა და ფეხთ წინდა-ქალამნის მეტი არაფერი ემოსა“.

მაშა ასე! პოსტმოდერნისტულად გადათა-მაშებულ ჭაბუა ამირეჯიბის „გიორგი ბრწყინვალეში“ ბერძენი ფილოსოფოსის ანალოგით საკვლევია არა მარტო სუბსტანცია, არსებობის მიზეზი (იგივე სუბსტანცია — ქართველი ერის კრებითი სული), რომელსაც ნამყო დროში გიორგი ბრწყინვალე განასახიერებს), არამედ ასევე საძიებელია თუ რამდენიმე მიზეზი არსებობს, რასაც ზოგიერთი ფილოსოფოსი რამდენიმე ასპექტად მოიაზრებს.

მოდით, ახლა შევეცადოთ დავსაზღვროთ პოსტმოდერნისტული რომანის ენაზე ეს ოთხი მიზეზი, რომელიც „გიორგი ბრწყინვალეში“ — ოთხი პერსონაჟითაა წარმოდგენილი.

მაშა ასე, შევთანხმდეთ, რომ ჭაბუა ამირეჯიბის პოსტმოდერნისტულ ტექსტში ამოკითხული ოთხი პერსონაჟი არისტოტელეს „მეტაფიზიკაში“ ჩაწერილი არისტოტელეს სუბსტანციის ოთხი მიზეზის ანალოგია.

ჯერ გავიხსენოთ, რომ „არისტოტელეს აზრით, ყოველ არსებულს, როგორც ასეთს, აქვს ოთხი მიზეზი: ფორმალური, მატერიალური, მოქმედი და ბოლოვადი, ანუ მიზანი.“

**პირველ მიზეზს ფორმალური** (ნამდვილი) ეწოდება.

საკითხი გავარჩიოთ მაგალითზე. არსე-

ბობს, მაგალითად, სოკრატეს მარმარილოს ქანდაკება.

— რა არის ამ ქანდაკების არსებობის მიზეზი?

„<...> სოკრატეს აი, ეს ქანდაკება იარსებებს მაშინ, თუ არსებობს ამ ქანდაკების სწორედ აი, ეს გარკვეულობა; საგნის გარკვეულობა...“ <...> ფორმა ჰქვია.

ამიტომ პირველი მიზეზი სოკრატეს ქანდაკების არსებობისა, არის ფორმალური მიზეზი, სახელდობრი, ის, რაზედაც ვიტყვით: „აი, ეს...“ <...> როცა მარმარილოსაგან გავაკეთეთ სოკრატეს ქანდაკება, შესრულდა რაღაც პროცესი, რაღაც მოხდა, რაღაც შეიქმნა; აი, სწორედ ის, რადაც რაიმე გახდა, არის პირველი მიზეზი გარკვეული საგნის არსებობისა. „<...>

**ყოველი საგნის არსებობის მიზეზი არის მისი გარკვეულობა, ფორმა**“.

რომანის „გიორგი ბრწყინვალეს“ ტექსტში საგნის გარკვეულობას, ფორმას წარმოდგენს ქართველი ერის კრებითი სულის სიმბოლო, თავად გიორგი ბრწყინვალე. მაშასა-დამე, ნიგნის მიხედვით, გიორგი ბრწყინვალე საგნის, ქართველი ერის გარკვეულობაა, მისი ფორმაა.

**მეორე მიზეზი კი მატერიაა — მასალა სუბსტანციისა.**

„მეორე მიზეზი რაიმეს არსებობისა, — ამბობს არისტოტელე, — არის ის, რაც ამად (აი, ამად) ხდება. მაგალითად, რაც აი, ამ სახლად ხდება, არის მარმარილო, აგურები. საიდან გავაკეთეთ ჩვენ სოკრატეს აი, ეს ქანდაკება, აი, ეს სახლი? პასუხი: მარმარილოსგან, აგურებისგან...“

„<...> ...მეორე მიზეზს არისტოტელე მატერიალურ მიზეზს უწოდებს. არისტოტელეს თქმით, მატერიალური მიზეზი არის ის, თუ რა უნდა იყოს, რომ ეს იყოს; რა უნდა იყოს, რომ ეს სოკრატეს მარმარილოს ქანდაკება იყოს? უნდა იყოს მარმარილო, რომ ეს ქანდაკება არსებობდეს, როგორც მარმარილოს ქანდაკება“.

მაშა ასე. არისტოტელეს ენით, მეორე მიზეზი „არის რაც ამად (აი, ამად) ხდება“.

არისტოტელეს მოხმობილი მაგალითებით, თუ ქანდაკების შემთხვევაში — ეს მარმარილოა, სახლის შემთხვევაში — ეს აგური.

მატერიალური მიზეზი რომან „გიორგი ბრწყინვალეში“ წარმოდგენილია ორი პერსონაჟით: გოროთა-თი და დილიკა-თი.

**გოროთას** — ერთ-ერთი მნიშვნელობაა მსოფლიო ხის ანალოგი. მეორე მნიშვნელობით ის განთიადის ქალღმერთი ეოსია.

ბერძნული მითოლოგის მიხედვით, განთიადის ქალღმერთის მამა — ლამე (ნიქტუნი), ხოლო დედა — მზე (ჰელიოსი). ამიტომაც გოროთას აცვია შავი კაბა (მამაზე, იგივე ნიქტუნზე მიმანიშნებლად), რომელიც ოქროსფერი წინწკლებითაა მოხატული (დედაზე — ჰელიოსზე მიმანიშნებლად).

სულ სხვა საუბრის თემაა, რომ მას ხელთ შავი ხელთათმანები აცვია, რომელსაც სვავის კლანზებივით ამოძრავებს. ამაზე შემდგომ ვისაუბრებთ წიგნის სხვა თავში.

აქ ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ გიორგი ბრწყინვალეს გოროთა მხოლოდ ზმანებაში ეცხადება. ხოლო დილიკა (სახელი წარმოებულია სიტყვა „დილი“-საგან), ანუ ისევ განვმეორდები: იგი იგივე განთიადის ქალღმერთია — ეოსი (ზოგი წერს ქართულად აისი — უ. ს.), სიცოცხლის სიმბოლო, ცხოვრების ხის ანალოგი.

მაგრამ ვიკითხოთ: რაზე მინაიშნებს ის ფაქტი, რომ რომანში **მატერიალური მიზეზი** — ორი პერსონაჟითაა წარმოდგენილი — გოროთა და დილიკათი?

ამისათვის უნდა გავიხსენოთ, რომ არის ტოტელეს მოხმობითა და მიხედვით, **მატერია** არის შესაძლებლობა სინამდვილისა, იგივე სუბსტანციისა, რომან „გიორგი ბრწყინვალეს“ მიხედვით კი მატერია შესაძლებლობაა ქართველი ერის კრებითი სულისა, იგივე გიორგი ბრწყინვალესა და ქრონისა, იგივე ანანია ლარგველისა, ილია ჭავჭავაძისა, სულხან-საბა ორბელიანისა და სხვათა და სხვათა.

ამიტომაც წერს ბერძენი ფილოსოფოსი: ის მატერია სუბსტანციაზეა დამოკიდებული, რომანის მიხედვით კი, გოროთა და დილიკა გიორგი ბრწყინვალეზე.

უფრო ზუსტად კი:

— **მატერია, რომ სინამდვილეში არსებობდეს, საჭიროა ფორმა**.

ისევ არისტოტელეს განმარტებით:

„სოკრატეს აა, ამ ქანდაკებას, რომელიც მარმარილოსია, მართლაც, არც მაშინ ექნება არსებობა, თუ ის არ არის ასეთი გარკვეულობა და არც მაშინ, თუ ის არ არის მარმარილოს. სოკრატეს ქანდაკება, რომელიც გაკეთებულია მარმარილოსგან, აი, ეს ქანდაკება არსებობს ორი მიზეზის გამო, ერთერთი ამ მიზეზთაგანის არარსებობა უკვე აი, ამ ქანდაკების არარსებობას ნიშნავს“.

მაშასადამე, „გიორგი ბრწყინვალეს“ მიხედვით, ქართველი ერის კრებით სულს, რომელიც „აგბულია“, „აშენებულია“ მატერია — დილიკა-გოროთასაგან (იგივე ცხოვრების ხისაგან, იგივე მსოფლიო ხისგან,

იგივე განთიადის ქალღმერთ ეოსისგან) — ცალ-ცალკე (ქართველი ერის კრებით სულს და არც დილიკა-გოროთას) არ შესწევთ უნარი იარსებონ.

მაშ ასე, გოროთა და დილიკა წარმოადგენენ მეორე მიზეზს — **მატერიას**, და როგორც არისტოტელე განმარტავს:

— მატერია არის პასიური მიზეზი, ის, რაც ხდება „აი ამად“.

ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ:

— მატერია პოტენციური სუბსტანციაა“.

ისევ არისტოტელეს მოხმობით საჭიროა გავარჩიოთ ორგვარი სუბსტანცია, ორგვარი არსებული.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ეს „არის ორი ხარისხის არსებობა, ორნაირად არსებული: „ერთია ნამდვილად არსებული, მეორე კი — არსებული შესაძლებლობის აზრით“.

და სწორედ ამ მიზეზითაა, რომ რომანის ტექსტში მეორე მიზეზი — მატერია, ის როსგანაც „იქსოვება“, „შენდება“ სუბსტანცია — იგივე ქართველი ერის კრებითი სული ორი სახისაა:

**შესაძლებლობა სინამდვილისა — გოროთა**

და

**ნამდვილად არსებული — დილიკა.**

და კიდევ, ისევ და ისევ არისტოტელეს მოხმობით:

— შესაძლებლობა და სინამდვილე (გოროთა და დილიკა) ერთი საგნის (ქართველი ერის კრებითი სულის) ორი მხარეა, რომელიც, ერთი მხრივ, თუ შესაძლებლობაა და მეორე მხრივ, კი — სინამდვილე“.

და მაინც, ისევ დაისმის კითხვა, რა დამოკიდებულებაა შესაძლებლობასა და სინამდვილეს — გოროთასა და დილიკას — შორის?

და ისევ არისტოტელეს მოხმობით:

— შესაძლებლობა სინამდვილის შესაძლებლობაა, სინამდვილე კი შესაძლებლობის სინამდვილეა. ისინი განსხვავებულიც არიან და ერთიანობაშიც იმყოფებიან. შესაძლებლობა და სინამდვილე ერთის ორი მხარეა“.

მაშ ასე, **ერთიანობაშიც იმყოფებიან** — წიგნის მიხედვით, ორივე ხომ განთიადის ქალღმერთი — ეოსია, ორივე სიცოცხლის ძალმოსილებაა, ბუნების ყოვლადობაა.

განსხვავება კი ის არის, რომ **გოროთა** სინამდვილის, სიცოცხლის შესაძლებლობაა მსოფლიო ხის ანალოგია, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ გიორგი ბრწყინვალეს ზმანებაში გამოკრთება და რომლის კერძი

**შემთხვევაა დილიკა —** სინამდვილე, ცხოვრების ხის ანალოგი. თუმცა არისტოტელესთან არა შესაძლებლობა უსწრებს წინ სინამდვილეს, არამედ პირიქით, სინამდვილე უსწრებს შესაძლებლობას.

არისტოტელე ხაზგასმას აკეთებს:

„— რომ რეალობა წინ უსწრებს შესაძლებლობას და ყოველგვარ ცვალებად საწყისს, ეს ცხადია“.

მაშასადამე, თუ არისტოტელეს „მეტაფიზიკის“ ანალოგით, მისი ფილოსოფიის ალუზით იქმნება რომანის ტექსტი — ავტორს აშკარად შეცდომა გაეპარა.

სულ სხვა საუბრის თემაა, რომ დილიკა, როგორც ბუნება, სიცოცხლის ყოვლადობა, ერთდროულად აშენებს და ანგრევს.

**აშენებს —** რომან „გიორგი ბრწყინვალის“ მიხედვით მისგან იშობა ყრმა დავითი — გიორგი ბრწყინვალეს, ქართველი ერის კრებითი სულის ნაშიერი, მემკვიდრე (ქართველი ერის სულიერობის, რელიგიურობის აღმნიშვნელი სიმბოლო. კერძოდ, დავითის შტოდან მოევლინა იესო ქრისტე კაცობრიობას).

**ანგრევს —** დილიკა ანადგურებს ქართველი ერის მტერს, რომელიც რომან „გიორგი ბრწყინვალეში“ მონდოლთა ურდოს სახითაა წარმოდგენილი.

და როცა ის (დილიკა) კლავს მონდოლთა ურდოს უძლეველ ყაენს, რის გამოც ისედაც დაუძლეურებული მონდოლთა ურდო იშლება, ის წარმოთქვამს ფრაზას: „მან ქესტუმ აბუსაიდ! (სპარს.) — „მე მოვკალ აბუსაიდი!“.

თუ, ერთი შეხედვით, გარეგნულად რომანში „განვითარებული ამბის“ მიხედვით, დილიკა თვითმკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს, ის (როგორც უკვე აღვნიშნე) მისტიკური შრიდან ყრმა დავითში აგრძელებს სიცოცხლეს, ანუ ის მხოლოდ ფორმას იცვლის.

და ჩვენ ისევ მოვიყვანთ ციტატას არისტოტელეს ფილოსოფიიდან:

„— მატერიალური ყოფიერება მარადიულია და დაღუპვას არ ემორჩილება. იგი მხოლოდ ფორმას იცვლის“.

ისევ არისტოტელეს მოხმობით:

„— მაგრამ საკითხავია, საკმარისია თუ არა ეს ორი მიზეზი ამ საგნების — სოკრატეს მარმარილოს ქანდაკებისა თუ აი, ამ სახლის — არსებობისათვის?“

არ არის საკმარისი. ფიქრობს არისტოტელე.

და ისევ:

„— საჭირო და აუცილებელია მესამე მიზეზიც. რას წარმოადგენს იგი? აი, ამ სახ-

ლად ხდება აგურები; აგურები სახლის მატერიაა, რომელიც ამ სახლად ხდება აგურები; აგურები სახლის მატერიაა, რომელიც ამ სახლად იქცევა. მაგრამ რა არის ის, რაც მატერიას ამ სახლად აქცევს? ის, რითაც მატერია „აი, ამად“ ხდება, არის მოქმედი მიზეზი, რომლის გარეშე მატერია და გარკვეულობა — ფორმა ერთიმეორეს არ შეუერთდება. აუცილებელია გარკვეული მოქმედი მიზეზი, რომ აგურები სახლად იქცეს, მარმარილო — სოკრატეს ქანდაკებად.“

მაშ ასე, არისტოტელე მესამე მიზეზად ასახელებს მოძრაობის საწყისს, რაც წარმოადგენს აქტიურ ფორმას.

ამიტომაც რომანში ამ პერსონაჟის სახელი ხურცი წარმოებულია სიტყვებიდან: მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი, მწიგნობართუხუცესი... სახელი ხურცი წიგნში მოიაზრება როგორც ყველა საქმიანობის ძირი, ფუძე, ის — მამოძრავია. ამიტომაც რომანის ტექსტის მიხედვით, ის ჩნდება იქ, სადაც საჭიროა მოქმედება და ძალა. არ არის უწნაური, რომ ტექსტში არავინ იცის მისი წარმომავლობა.

ავტორი, ჭაბუა ამირჯიბი ისევ ჩვეული თავისმოკატუნებით ცდილობს გზა-კვალი აგვიბნიოს და ვითომმ გაოცებული წერს:

„ხურცისა არც მოდგმა იცოდა ვინმემ, არც გვარი. ზოგი როგორ ამბობდა, ზოგი — როგორ.“

და ბოლოს, არისტოტელეს მიხედვით, სამი მიზეზი ვერ იარსებებს, თუ არ არსებობს მეოთხე მიზეზი, რომელიც <...> „...არისტოტელესეული გაგებით, მოითხოვს თე ა — ანუ მიზნის არსებობას, ესე იგი ისეთ სრულებრივებას, რომლის გავლენითაც შესაძლებელი ხდება აქტივობა ბუნების სამყაროში“.

ეს სამი მიზეზი კი, რომანის მიხედვით, არის: 1. გიორგი ბრწყინვალე, 2. დილიკა-გოროთა და 3. ხურცი.

„ეს სამი მიზეზი აუცილებელია რაიმე საგნის არსებობისათვის. არ შეიძლება არსებობდეს საგანი, თუ ის არ არის გარკვეული, ეს და არა სხვა, თუ არ არის მატერია, რომელიც გარკვეულობის გაურკვეველი ქვემდებარება, თუ არ არსებობს მოქმედი მიზეზი, რომელიც მატერიასა და ფორმას საგნად აკავშირებს. არის თუ არა საკმარისი ეს სამი მიზეზი საგნის არსებობისთვის? არისტოტელე ფიქრობს, რომ საჭიროა და აუცილებელი კიდევ მეოთხე მიზეზი“.

„არისტოტელეს აზრით, მეოთხე მიზეზი არის ის, რისთვისაც ხდება და არის რაიმე — ამ რაიმეს დანიშნულება, მიზანი.

მეოთხე მიზეზი არის „რისთვისაც“, — ამბობს არისტოტელე. მეოთხე მიზეზი არის მიზეზი, რომელიც ბოლოსაა, ბოლოვადი მიზეზი ანუ მიზანი. მაგ. სახლი არ იარსებებდა, მას რომ არ ჰქონდეს რაიმე დანიშნულება; სახლი გარკვეულ მიზანს ემსახურება; ასეა სოკრატეს ქანდაკებაც და სხვა. არისტოტელე ფიქრობდა, რომ ყველაფერი ხდება რაიმე მიზნისათვის, ყველაფერს აქვს მიზანი“.

უილიამ გათრი მიიჩნევს, რომ არისტოტელესთან უსარგებლოა როგორც ღირებულებებზე, ასევე პროგრესის დადგინებაზე საუბარი, თუ ხელთ არ გაგვაჩინა აბსოლუტური საზომი. ეს აბსოლუტური საზომი კი იგივე — სრულყოფილებაა.

და ისევ უილიამ გათრის მიხედვით: „არისტოტელეს სამყაროში ეს სრულყოფილება წარმოდგენილია ღმერთით, ერთადერთი მატერიის გარეშე არსებული ფორმით. ის არ არის ამ სამყაროში რაიმეს ფორმა <...>“

მეოთხე მიზეზის შესახებ არისტოტელე წერს: <...> „მაგრამ მიზნის მიღწევის იმედი რომ არ იყოს, არავინ არ მოჰკიდებდა ხელს რაიმე საქმეს და არც არსებობას ექნებოდა აზრი. რადგან გონიერი ყოველთვის რაიმე მიზნისთვის მოქმედებს, რაც საზღვარს წარმოადგენს, მიზანი ხომ იგივე საზღვარია“.

მიზანი — საზღვარი — რომანში პირდაპირ იხილება გიორგი ბრწყინვალეს — ერის მისტიკური ორგანიზმის პრიზმიდან სურათსატის სახით.

**მიზანი — საზღვარის შესახებ ტექსტში ასე იწერება:**

— დილაადრიანი იყო, გურჯაანს რომ მივაღწიე. მზე ამოინვერა, ნამმოფრქვეულ მდელოზე თეთრი ცხენი სძოვდა. იმ მწვანე ბალახზე და მზეზე ბრწყინვარე ნამზე თეთრი ცხენი თვალისმომჭრელ სილამაზედ მოჰქონდა იქაურობას. ვიდექი, ვუცქეროდი და ვფიქროდი (ისევ თავისმოსულელებით, იუმორით და ოდნავ აგდებული ტონით ყველაზე მნიშვნელოვანზე ავტორი სასხვათაშორისოდ მოგვითხრობს) — ესები რომ არ იყოს ცისა ქვეშე, სიცოცხლეც არად ელირებოდა-მეთქი“.

მოდით, შევეცადოთ წავიკითხოთ ეს მშვენიერი პასაჟი, რომელიც ერთდროულად აერთიანებს პერსონაჟებს და მაშასადამე, განასრულებს კიდეც ამბავს, რომლის მიზანი მშენებლობის აღსრულებაა, რომლის გასაგნებული სახეა „ზეობის შენობა“, რომელსაც სხვაგვარადაც შეიძლება ენოდოს: ღვთის სახლი — სიყვარული, სასო-

## ბა და რწმენა.

როგორც ვიცით, რომან „გიორგი ბრწყინვალეს“ ტექსტში ყველა სიმბოლოს ორი კოდი, ორი მნიშვნელობა აქვს და სულაც კანონზომიერია, რომ ეს ფრაგმენტი ასევე წავიკითხოთ:

**მზე** — ქრისტიანობის სიმბოლო, თავადი იესო ქრისტეა. ამიტომაც წმინდა მამათა მიხედვით, ის იწოდება: **იესო — მზე სიმართლისა.**

მაგრამ მეორე მხრივ, **მზე** — ყოველი ცოცხალი არსების მაცოცხლებელი წყაროა, მაცოცხლებელი ძალა ბუნების და სიცოცხლისა.

ახლა ავიღოთ **თეთრი ცხენი — ტრიუმფატორია ქრისტესი.**

მეორე მხრივ, ცხენი სიცოცხლის ძალა, მისი ძალმოსილება.

ბალახი ბუნებას განასახიერებს, თავად სიცოცხლის ძალაა და მისი თავნყარო. მაგრამ თავისთვავად **მწვანე** ფერი ერთდროულად გაზაფხულს, ბუნების აღმოცენების, განახლების, და სიხალისის ფერია... მეორე მხრივ კი, ქრისტიანულ ტრადიციაში ზურმუხტისფერი მწვანე — ქრისტიანული რწმენის, აღდგომისა და სამების ემბლემატური ფერია. ადრექრისტიანულ ხელოვნებაში ამ ფერითაა გამოსახული გოლგოთის ჯვარი და ზოგჯერ ღვთისმშობლის სამოსა.

და როცა ნამმოფრქვეულ (ისევ დილიკაზე მინიშნება, ქალღმერთ ეოსზე — განთიადის ქალღმერთზე) მწვანე ბალახზე თეთრი ცხენი სძოვს, ავტორს ეს წარმოუდგება თვალისმომჭრელ სილამაზედ, და დაკვირვებული მკითხველი ხედავს, თუ როგორ ედულბება ერთმანეთს ქრისტიანული რწმენა და სიცოცხლის ძალმოსილება.

თუ შევაჯამებთ, ავტორი სიტყვასიტყვით წერს: „თვალისმომჭრელი სილამაზე“, რომელშიც იგულისხმება, რომ სიცოცხლეს მხოლოდ მაშინ აქვს საზრისი, ანუ სილამაზე, მშვენიერება, პარმონია, მხოლოდ მაშინ ნამდვილდება, თუ ის რწმენითა აღვსილო.

„მაშასადამე, არისტოტელეს აზრით, ყოველ არსებულს, როგორც ასეთს, აქვს ოთხი მიზეზი: ფორმალური, მატერიალური, მოქმედი და ბოლოვადი მიზეზი, ანუ მიზანი.

ეს ოთხი მიზეზი ორად განიყოფება. ერთია პასიური მიზეზი — მატერია, ის, რაც ხდება „აი, ამად“, მეორეა დანარჩენი — აქტიური მიზეზები. ესენია: რაც ამოძრავებს — მოქმედი მიზეზი, რადაც ხდება — ფორმალური მიზეზი და რისთვისაც ხდება — მიზანი. ამ მიზეზებში გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს ფორმასა და მიზანს, რომ-

ლებიც საბოლოო ანგარიშით, ერთი და იგივეა და წარმოადგენს „აი, ამას“, არსებულს, როგორც არსებულს, არსებას, უსიას, დამოუკიდებლად არსებულს“.

ს. წერეთელი, ანტიკური ფილოსოფია, გვ. 382.

და შეჯამების სახით ვიტყვი, თუ არის-ტოტელეს „მეტაფიზიკის“ „მიხედვით ფორმა რომანის მიხედვით ქართველი ერის კრებითი სულია, მაშინ მისი მიზანი ღვთაებრივის მოპოვება-შემეცნება ყოფილა, რაც ისევ ქართველი ერის კრებითი სულის მიერ საკუთარი თავის შეცნობაა, რაც იდენტურია ღვთაებრივის შემეცნება – წვდომისა.

## 5. ძრონის გაკვეთილები ანუ რა არის შემაცნება?

„არისტოტელეს უეჭველად სწამდა, რომ თას-ის (გონიერის — უ. ს.) სახით კაცი რაღაც ისეთს ფლობს, რაც მას სიცოცხლის სხვა ფორმებისგან განასხვავებს და უნივერსუმის მარადიულ უძრავ მიზეზს ანათესავებს“.

\*\*\*

ჩვენ ვერ ჩავწერდებით ამ ნაწარმოებს „გიორგი ბრნყინვალეს“ (უფრო ზუსტად ვერ წავიკითხავთ) თუ არ გავიაზრებთ, თუ რას ნიშანას შემეცნება ავტორის (ჭაბუა ამირეჯიბის) ენაზე, ანუ როგორ შეიმეცნებს ავტორი, იგივე რომანის მთავარი პერსონაჟი გიორგი ბრნყინვალე სამყაროსა და მის პირველმიზეზს.

რომანის მიხედვით შემეცნება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ღვთაებრივის გზით. ავტორი აქ ამუშავებს არისტოტელეს მოსაზრებას შემეცნების შესახებ, რომელშიც, როგორც სავლე წერეთელი აღნიშნავს, „ფილოსოფოსმა ნაწილობრივ გაიზიარა თავისი მასწავლებლის პლატონის შემეცნების — მოგონების თეორია“ ამ პოსტმოდერნისტულ რომანში გადათამაშებული არისტოტელეს სუბსტანციას, უსიას (სამყაროს არსას), რაც არ უნდა უჩვეულოდ მოგვეჩვენოს (და რაც უკვე არაერთგზის აღვნიშნე) წარმოადგენს ქართველი ერის კრებითი სული, რომელიც საკუთარი თავის შეცნობისას, მაშასადამე, მოგონებისას იხილავს თავისთავში მყოფ თავის მისტიკურ ორგანიზმს, თავის A1 te ფუნქციას.

ამიტომაც იწერება ტექსტში გიორგი ბრნყინვალეს მიერ:

„— ქრონის ნახვა მინდოდა და გავწიე კიდევ“.

ან, მაგალითად, როცა ქრონის საუბარს ისმენს გიორგი ბრნყინვალე, მის გონებას ახსენდება, რომ ქრონის ნაუბარი დედის რძესთან ჰქონდა შენაწოვნების შესახებ:

„— ქრონმა თვალი თვალში გამიყარა, მიყურა და გაბრუნდა, ბალავარში დატანებულ კარს მიადგა“.

მაშასადამე, ისევ გავიმეორებ, შემეცნება შესაძლებელია მხოლოდ ღვთაებრივის გზით და ადამიანის ის ეროვნულობის სამანება განეცხადება. (ცხადია, აქ საუბარია რომანის ტექსტის „გიორგი ბრნყინვალის“ მიხედვით) ამიტომაცაა ქრონის — გიორგი ბრნყინვალეს ქართული ეთნოსის სამოსით, ჩოხა-ახალუხითა და ფეხთ კი ქალამნით ეცხადება. ამით მიგვენიშნება კიდევც, რომ ეროვნულობა ის სამანია, რომლიდანაც ნაჩვენებ-დაფარულად ძევსის სიბრძნე, რომელშიც შეიმეცნება ღვთაებრივი ნათელი. ამას კი უფრო ზუსტად მოგონება ეწოდება. ის კი უკვე ნანახისა და განცდილის გააზრებაა, მაშასადამე, უკვე ნაცნობ საგანში ჩამზერა — ცნობაა.

აქ, უდაოდ მკითხველს ისევ პითაგორასა და პლატონის მოგონების თეორია გაახსენდება, იგივე შემეცნების თეორია.

ავტორი — გიორგი ბრნყინვალე — წერს ქრონზე:

„— კუნძზე კაცი სთვლემდა. თვალი მიმტაცა: სხეულის იგურდივ შარავანდედი რამ ერტყა, როგორც წმინდანებს ადგათ ხოლმე თავს სხივთ ოქროსფერი გვირგვინი. მავრამ ამას ვერცხლისფერი ბურუსისა ერტყა...“ <...>

და აქაც, რომანის ტექსტის ამ კონკრეტული ამონარიდით ჭაბუა ამირეჯიბი წარმოგვიდგება პოსტმოდერნიზმის უბადლო დიდოსტატად, რომელსაც ხელეწიფება ნებისმიერი საგანი, ან სიტყვა ვირტუოზული დამაჯერებლობით წარმოგვიდგინოს ორმაგი კოდირებით.

მოდით, ჯერ განვიხილოთ ავტორის მიერ გათამაშებული პირველი ვარიანტი, ანუ პირველი კოდი: „იგურდივ შარავანდედსა“ და „ვერცხლისფერ ბურუსს“ შორის არ არ სებობს სხვაობა, ისინი იდენტური მნიშვნელობისაა. ამისთვის მოვიხმობ ან გარდაცვლილი, ჩვენი დიდი მეცნიერის რევაზ სირაძის წიგნიდან „ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხებიდან“ ამონარიდს:

„უმაღლესი სიბრძნე თვითაა აბსოლუტი, <...> ეს სიბრძნე არსებითად სიყვარულია,

კოსმიური სიყვარული (იგივე ეროსი)“.

და იქვე ავტორს, რევაზ შირაძეს მოჰყავს ლიკიის ულუმბორელი მეთოდიოს პატარელი III-IV საუკუნეთა მიჯნის უდიდესი ქრისტიანი მწერლის დიალოგიდან „ნადიმიდან“ ამონარიდები, რომელსაც თან ურთავს თავის ინტერპრეტაციას. ფილოსოფიის ასულ არეტესთან გამართულ ნადიმზე შეკრებილი ქალწულები უბიწოების და სათხოების საგალობელს ნარმოსთქვამენ, რათა სულიერად შეერწყან ზეციურ ნეფეს. ის (ზეციური ნეფე) უმაღლესი სიბრძნის გამოხატულებაა, რაც თურმე ამ ქალწულთა მშვენიერებამაც გამოავლინა. ეს ნიშნავს, რომ უმაღლეს სიბრძნესთან შერწყმა ხდება სულიერი სიყვარულით. ტრფიალების ქალური გრძნობა, ასე ვთქვათ, სუბლიმირებულია ადამიანის მიერ თავის სულში უმაღლესი სიბრძნის განკვდის გრძნობად.

„ასე გარდაიქმნება წარმართული ეროვი  
(კოსმიური სიყვარული) ქრისტიანულ თეო-  
ფილეად (საკუთრივ ღმერთის სიყვარულად).  
ეს უკანასკნელი კი თვით ითვლება უმაღლეს  
სიბრძნედ.

ეს სიბრძნე წარმოუდგებათ ვითარცა აბ-სოლუტური ნათელი ან არეპაგიტიკული ცნებით, „საღვთო ნისლი“. ესენი ერთი და იგივეა. მათი იგივეობის საფუძველერთ-ნაირი განუსაზღვრელობა. <...>

მაშასე, რევაზ სირაძის წიგნის ამონარი-დით „დავამტკიცეთ“, რომ პირველი კოდიტეს ორი განსხვავებული მახასიათებელი იდენტურია. თუმცა ახლა პოსტმოდერნიზმის ჩვეულით თამაშის ავტორის შემოთავაზებული მეორე კოდირების შემთხვევა ავხსნათ:

ავტორს ჩვეული ხერხით, იუმორითა და ლაზლანდარა ტონით, მოჩვენებითი უდარდელობით სურს, ყურადღება არ გავაძამახვილოთ ორ ჩვენებას — „იგურდივ შარავანდედსა“ და „ვერცხლისფერ ბურუსს“ შორის არსებულ განსხვავებაზე.

და თუმცა ტექსტში პირდაპირ ინტერება, რომ ქრონიკის (დრო-უამი) ღვთაებრივის შარავანდედით კი არ წარსდგა გიორგი ბრწყინვალეს წინაშე, არამედ მას ვერცხლის-ფერი ბურუსი ერტყა, რაც ნიშანავს, რომ ღვთაებრიობა ადამიანში სიბრძნის მადლით შემოიდის. აკი, ავტორი პოსტმოდერნისტულ თამაშში არისტოტელეს „მეტაფიზიკას“ და მის ფილოსოფიურ შეხედულებებს გადაათავაშებს, რომლის მიხედვითაც სწორედ <...> სიცოცხლის ყველა გამოვლინებას შორის გონიერა ერთადერთია გარედან შემოსული და ღვთაებრივი”.

მოდით, რევაზ სირაძის „უმაღლესი სი-  
ბრძნის თავისებურებანიდან“ მოხმობილი  
ამონარიდი ხელახლა გადავიკითხოთ:

„— ეს უკანასკნელი (საკუთრივ ღმერთის სიყვარული — ჟ. ს.) კი თვით ითვლება უმაღლეს სიბრძნედ. ეს სიბრძნე წარმოუდგებათ ვითარცა აბსოლუტური ნათელი, ან არეოპაგიტული ცნებით „საღვთო ნისლი“. ესენი ერთი და იგივე“.

და დავსვათ კითხვა, რათა მეორე ავტორ-ის ეული კოდირება „გავხსნათ“:

— რატომ ხედავს „ქრონის“ გიორგი ბრწყინვალე მაინც და მაინც „ვერცხლისფერ ბურჟუაზ“?

რევაზ სირაძის კომენტარიდან გამომ-  
დინარე შესაძლოა დავამტკიცოთ, რომ „ვერ-  
ცხლისფერი ბურუსი“ — „საღვთო ნისლი“  
მინიშნებაა დიონისე არეოპაგელის არ-  
ეოპაგიტულ ცნებაზე, რომლის თანახმადაც  
ადამიანს სიკეთე ანიჭებს ძალას და ამიტომ  
არა აქვს გამართლება მის უძლურებასა და  
სისუსტეს.

და მართლაც, ჭაბუა ამირეჯიბი რომანში  
მკაცრად განსჯის იმ ადამიანებს, ვინც არ  
დაეუფლა დროსა და ვითარებას, ანუ ვინც  
სიკეთის ძალა — ღვთაებრივი ძალა არ გამ-  
ოყენა და უქმდა გაფლანგა.

დასკვნის სახით იმასაც ვიტყვი, რომ  
ქრონისის თავზე ხილული „ვერცხლის-  
ფერი ბურუსი“ ერთდროულად საღვთო  
სიბრძნეებად სიყვარულით.

„ქრონის“-ს წარმოდგება სიტყვიდან „ქრონის“ (Chronos — დრო, დრო-უამი) — დრო, უამთასვლის ღვთაება. ორფიკელთა მოძღვრებით, ქრონისმა შვა მთავარი სტი-ქიები — ცეცხლი, წყალი და ჰაერი, თვითონ კი სამყაროს ერთ-ერთი საწყისია, ზევსისა და გეას თანაბარი დემიურგი, შემოქმედები-თი ძალა.

ქრონი რომ გიორგი ბრწყინვალეს Alte

ფი , მისი სულის ნაწილია, იმითაც მიგვენიშნება, რომ მან (მისმა ღვთაებრივმა ნაწილმა, გონიერამ) იცის, თუ ვინ არის ის (გიორგი ბრწყინვალე).

ამიტომაც, როცა გიორგი ბრწყინვალე უმთავრესს კითხვას დაუსვამს ქრონისს:

— იცი კია, ვინა ვარ და საიდან მოვდივარ?

ქრონი მყისვე პასუხობს:

— უფლისწული გიორგი ხარ, მეფე დიმიტრი თავდადებულისა და ბექა ჯაყელის ასულის — ნათელას ძე. მანდედან მოდიხარ. საქართველოს მეფედ კურთხევა გელის. ბოლოს სად გაგიყვანს განგება, ესეც ვიცი".

ამით მიგვენიშნება, რომ ქრონი გიორგი ბრწყინვალეს AI თე ფუ , მისი სულის ნაწილია და ჩვენ სამყაროს გარეთ, მის მიღმა კი არ ვმოგზაურობთ, არამედ პირიქით, ადამიანის ეგზისტენციის სილრმეში ვიძირებით.

რომანი (როგორც არაერთგზის აღვნიშნე) არისტოტელეს „მეტაფიზიკას“ პოსტმოდერნისტულ გადათამაშებას წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც მთავარი საძიებელი საგანი, სამყაროს არსი, მისი სუბსტანცია — უსიაა, რაც რომანის ტექსტის მიხედვით, ქართველი ერის კრებითი სულია. მაგ., ნამყოში — გიორგი ბრწყინვალე. მაშასადამე, შემეცნების მთავარი საგანი ყოფილა ქართველი ერის კრებითი სული, რომელიც გამოსახავს არსებულ დიდ სინამდვილეს, იგივე ღვთაებრივ სიბრძნეს, სიკეთესა და სიყვარულს.

და როცა გავიხსენებთ და შემდგომ კი გავიზიარებთ, რასაც მითოლოგიურ ლექსიკონებიდან ამოვიკითხავთ, კერძოდ ამ შემთხვევაში, რომ „ქრონისის თესლმა შექმნა სამი საწყისი სტიქია. სამყაროს მეუფებისთვის ქრონის შეება ძველი ოფიონევსი (ოფის, - „გველი“, მიწის სიმბოლო). უწმინდური ქრონისმა დაამარცხა და ცეცხლოვან ოკეანეში გადასტყორცნა მის მცველებთან ერთად".

ჩვენს გონებაში რომანის დედააზრი ხელახლა დალაგდება — წაიკითხება რადგან ქრონისი გიორგი ბრწყინვალეს AI თე ფუ -ა. მაშასადამე, ქრონისი, იგივე გიორგი ბრწყინვალე, შეებრძოლება ღვთაებრივის (ქართველი ერის კრებითი სულის) მტერს — ამ შემთხვევაში ქართველი ერის შესამუსრად მომართულ ურჩეულს, რომელსაც ტექსტში მონალლები განასახიერებენ.

ამიტომაცაა, რომ ქრონი ტექსტში ხაზგასმით გიორგი ბრწყინვალეს მიმართავს: „უფლისწულო!“ — რითაც ხაზგასმა ხდება, რომ აქ ავტორი, ერთი მხრივ, წმინდა გიორ-

გისა და ურჩეულის და ასევე ზღაპრის ყველაზე ცნობილ თემას, კერძოდ, უფლისწულის მიერ ურჩეულის შემუსვრის თემას ამუშავებს, რომლის დროსაც, როგორც საზოგადო ხდება, მზეთუნახავი უნდა იქნას გამოხსნილ-განთავისუფლებული (ტექსტში იწერება: განნირული შვენიერების სახელი — დილიკა, რომელიც სიცოცხლეს, სინამდვილის ყოვლადობას, გზნებასა და ვნებას განასახიერებს და რომელიც რომანის ტექსტში გამოხსნილი იქნება.) რაზედაც რომანის ტექსტში ასე იგავურად იწერება:

„დილაადრიანი იყო, გურჯაანს რომ მივაღწიო. მზე ამოინვერა, ნამმოფრქვეულ მდელოზე თეთრი ცხენი სძოვდა. იმ მნვანე ბალაზე და მზეზე მპრნყინავ ნამზე თეთრი ცხენი თვალისმომჭრელ სილამაზედ მოჰყენოდა იქაურობას. ვიდექი, ვუცქერდი და ვფიქრობდი, (ისევ თავისმოსულელებით, იუმრიოთ და ოდნავ აგდებული ტონით ყველაზე მნიშვნელოვანზე ავტორი სასხვათა-შორისოდ მოგვითხრობს, — უ. ს.) — ესევი რომ არ იყოს ცისა ქვეშე, სიცოცხლეც არად ელირებოდა-მეტექი".

მაშასადამე, შემეცნების მთავარი საგანი — ღვთაებრივი საგანია — ქართველი ერის სახით (სუბსტანცია), ხოლო შემეცნების მთავარი დანიშულება ამ ღვთაებრივის გააზრება-შეცნობა, მისი დაცვა და ასევე მტრის განადგურების გზების მოძიება.

მაგრამ პირველი ნაბიჯი, რაც უნდა მოიმქმედოს კაცმა, — ეს განთავისუფლებაა მიწიერი სამყაროსაგან, რათა ღვთისგან ბოძებულ ნიჭს, ენერგიასა თუ გონებას ის მიმართულება მისცეს, რაც შემეცნებისთვის უმთავრესი და ძირითადი საგანია. ეს საგანია ღვთაებრივი საგანი, არისტოტელეს მიხედვით კი — სუბსტანცია, რომანის მიხედვით კი, ქართველი ერი და მას დაცვა სჭირდება მონღლოლთაგან.

ქრონი ასე ლაკონურად გამოთქვამს სამოქმედო გეგმის დედააზრს:

<...> უამი და ვითარება უნდა დაემთხოს“.

ეს ერთგვარი ვარიაციაა ჭაბუა ამირეჯიბის რომან „დათა თუთამშიაში“ ხშირად მოხმობილი ფრაზისა:

„აქ და ამ დღეს, ამ სიტუაციაში“.

მაშასადამე, როცა ქრონი ამბობს „უამი და ვითარება უნდა დაემთხოს“, მასში ვითარება მოიაზრება როგორც მიწიერი სამყაროს ალმნიშვნელი მოვლენა, რომელშიც არამარტო კონკრეტული დრო და სივრცე მოიაზრება, არამედ თავად მასში მოქმედი

სუბიექტი, რომელიც სწორედ ამ ორი კომპონენტით გაამჟღავნებს თავისი ქმედების შინაარსს, საზრისს.

ანუ, სიტყვასიტყვით, ქრონისი ამბობს: მარადიულობის (ჟამის) ნიშნები და მიწიერ სამყაროში ამოქმედებული სუბიექტის ქმედება (ვითარება) — ერთმანეთს უნდა ეთანადებოდეს.

მაშ ასე, უფრო ლაკონურად ეს ასე ითქმის:

— მარადისობა და მიწიერი სამყაროს მოვლენა, ერთმანეთთან ჰარმონიაში უნდა იმყოფებოდეს.

რომანში მინიშნება ხდება იმაზეც, რომ ქართველი ერი ქრისტეს სიმბოლოა (აკი ქართველი ერის გამარჯვებას ავტორი გიორგი ბრწყინვალეს ყრმის დაბადებით — დავითით მიანიშნებს. როგორც ვიცით, დავითის შტოდან გამოვიდა უფალი ჩვენი იესო ქრისტე, რითაც მიგვენიშნება ყრმა დავითის ღვთაებრივი წარმომავლობა).

ავტორის მიხედვით, ყოველი ერის ისტორია იმეორებს კაცობრიობის ისტორიას, და ამიტომაც არამარტო ყოველმა კაცმა, არამედ ყოველმა ერმაც უნდა შეიცნოს თავისი თავი. უპირველესად, ეს ცოდვით დაცემული მისი მდგომარეობის გააზრებასა და მისგან თავდახსნაში მდგომარეობს.

თუმც, ერთი შეხედვით, გარეგნულად მსოფლიო ისტორიის თითოეულ ფურცელზე აღნუსხულია მტრისგან ქვეყნის დაპყრობა და აოხრება მისი კუთვნილი რელიგიის თუ კულტურის ექსპანსია, მაგრამ შინაგანი თვალით (ცხადია, აქ ავტორის შეხედულებას ვახმოვანებ) ეს ისევ და ისევ ადამისა და ევას შეცოდების, ანუ იგივე კაცობრიობის ცოდვით დაცემის ხელახალი ხილვაა ანმყო დროში.

სრულიად კანონზომიერია, ქრონი — ქართველი ერის მარადისი, მისტიკური ორგანიზმის გამომსახველი ღვთაებრივი ძალა, განასახიერებს საქართველოს მართლმადიდებლობის სიმბოლოს, რომელმაც გაიარა ქრისტეს გზა, და ცხადია ის ქრისტესდარად მფლობელია ჯოჯოხეთისა და სიკვდილის გასალებისა. და როგორც „აპოკალიფსის მუხლობრივ განმარტებაში“ წერია:

- „ადამის დაცემით გამოწვეული პირველი სიკვდილის შედეგები ქრისტეს აღდგომით დაინგრა“.

ამიტომაც ქრისტე ითვლება სიკვდილის დამთრგუნველად და სიკვდილისა და ჯოჯოხეთის გასალების მფლობელად

<...> იესო ქრისტე, ღმერთკაცი, თავისი სიკვდილით სიკვდილის დამთრგუნველი და ამიტომაც ჯოჯოხეთისა და სიკვდილის გასალების მფლობელი“.

ამის ნიშნად ავტორი — გიორგი ბრწყინვალე — ტექსტში წერს:

— ჩემმა მენტორმა კარს უჩხიკინა, მიაწვა. კარი შეალო, ქრონი შევიდა და მეც გადავიარე დირე“.

ქრონი გიორგი ბრწყინვალეს A1 ფუ -ა, რომელიც გიორგი ბრწყინვალეს მოგონების მეშვეობით შეამეცნებინებს თავისი ერის ახლანდელ მდგომარეობას, ეს კი შესაძლოა მხოლოდ და მხოლოდ იმ მეხსიერების მეშვეობით, რასაც ცოდვით დაცემული კაცობრიობის ისტორია, ბიბლია და ახალი აღთქმის ტექსტები ჰქვია. ამიტომაც კანონზომიერია, რომ ქრონის პირველი საუბარი შეეხება სიკეთისა და ბოროტების განყოფას, რაც მინიშნებაა ისევ და ისევ ადამისა და ევას შეცოდებაზე, კერძოდ შემეცნების ხის ნაყოფის დაგემოვნებაზე. აქვე მიმდინარეობს საუბარი სინანულის რაგვარობასა და მის აუცილებლობაზე, რაც შემეცნების უარსებითესი საგანია.

ქრონის მიერ სინანულზე საუბარი ერთგვარ გაპასუხებას წარმოადგენს გიორგი ბრწყინვალეს მიერ გოდებით წარმოთქმულ კითხვაზე:

— კაცი მოველ... ამ წყვდიადში“.

ან:

— ამომხედე-მეთქი, გზაუნდა გკითხო“.


სინანული ერთადერთი გზაა ღმერთამდე მისასვლელი და ამიტომაცაა, რომ ქრონი ყურადღებას ამახვილებს სინანულის უნარზე, „სინანულის უნარი თანდაყოლილი გონიერებიდან მოდის <...>

რომანის ტექსტში ხდება სინანულის მეშვეობით სამოთხეში, ღმერთის წიაღმი დაბრუნება (რაც სულ სხვა საუბრის თემაა და რაზედაც სხვა თავში ვისაუბრებთ).

და თუ შემეცნების საგანია სუბსტანცია, უსია — იგივე ქართველი ერის კრებითი სული, მაშასადამე, ჩვენი კვლევის საგანი — მისტიკური ისტორიაც ყოფილა.

**დასასრული შემდეგ ნომერში**





## ბაჩანა ბრეგვაძე

# არისტოტელის „პოეტიკა“

„პოეტიკა“ არისტოტელეს ერთ-ერთი უკანასკნელი ნაწარმოებია. ვარაუდობენ, რომ ის დანერილი უნდა იყოს 336-332 წლებს შორის (ძვ. წ. ა.). ესაა „ჭეშმარიტად მსოფლიო მნიშვნელობის მქონე ტრაქტატი“ (ა. ლოსევი), რომელმაც უფრო „მყარი და ნაყოფიერი გავლენა“ მოახდინა კაცობრიობის ესთეტიკური აზროვნების განვითარებაზე, ვიდრე ანტიკური ესთეტიკის ნებისმიერმა სხვა ძეგლმა. ამ გავლენის კვალი შეიმჩნევა ლიტერატურისა და ხელოვნების ელინისტურსა თუ რომაულ თეორიებშიც (თეოტრასტე, პლუტარქე, ათენაიოსი, ნეოპლონემოს პაროსელი, ფილოდემე გადარელი, პორაციუსი, ბოეციუსი, სიმპლიციუსი), აღმოსავლური სამყაროს ფილოსოფიურსა თუ ფილოლოგიურ მემკვიდრეობაშიც (IX საუკუნეში „პოეტიკა“ სირიულად თარგმნა ჰონაინმა, ხოლო X საუკუნეში სირიულიდან ორჯერ ითარგმნა არაბულად აბუ ლ-ბაშარ მატასა და იაჰა-ბენ-ადის მიერ; აქვე უნდა მოვიხსენიოთ „პოეტიკის“ არაბული პარაფრაზიც, რომელიც სახელგანთქმულ არაბ ფილოსოფობს, არისტოტელეს დიდ კომენტატორს ავეროესს — იბნ როშდს — ეკუთვნის), შუა საუკუნეების ესთეტიკურ დოქტრინებშიც და ახალი დროის ევროპულ ესთეტიკურ სკოლებსა თუ ლიტერატურულ მიმდინარეობებშიც. საკმარისია, ამ თვალსაზრისით ზოგადად მაინც გადავხედოთ დასავლეთ ევროპის მნერლობის ისტორიას (სრულსა და ამომწურავ მიმოხილვაზე, რა თქმა უნდა, ლაპარაკიც კი ზედმეტია).

იტალია: XIII საუკუნეში ვილიემ (გულელმო) დი მერბეკე, თომა აქვინელის რჩევითა და ხელშეწყობით, არისტოტელეს სხვა თხულებებთან ერთად („ანმარტებისათვის“, „რიტორიკა“, „ცხოველთა წარმოშობისათვის“, „სულისათვის“, „მეტეოროლოგია“, „მეტაფიზიკა“) ლათინურად თარგმნის „პო-

ეტიკასაც“; 1498 წელს ჯორჯო ვალა აქვეყნებს ლათინურ ენაზე შესრულებულ „პოეტიკის“ საკუთარ თარგმანს; ჰუმანისტი პიეტრო ვეტორი (1499-1585) — დიდი ერუდიტი, ციცერონის, სალუსტიუსის, ტერენციუსის, არისტოტელეს, პლატონის, ესქილეს, ევრიპიდეს, ქსენოფონტეს და სხვა ბერძენ თუ რომაელ კლასიკოსთა თხზულებების მკვდევარი, კომენტატორი და გამომცემელი, საფუძვლიანი განმარტებებით აქვეყნებს „პოეტიკის“ ტექსტს; 1548 წელს ჰუმანისტმა ფრანჩესკო რობორტელომ (1516-1567) ერთხელ კიდევ გამოსცა „პოეტიკის“ ბერძნული დედანი ლათინური თარგმანითა და კომენტარებითურთ; 1570 წელს, გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე ლოდვიკო კასტელვეტრო (1505-1571) ასრულებს „პოეტიკის“ თარგმანს კომენტარებითა და ვრცელი გამოკვლევითურთ, რომელსაც იმპერატორ მაქსიმილიანეს უძღვნის; არისტოტელეს თხზულების მეტ-ნაკლებად თვალსაჩინო გავლენითაა აღბეჭდილი იტალიელი პოეტების, მეცნიერების პოეტური თუ პროზაული ქმნილებები, რომლებიც პოეტური ხელოვნების პრობლემებს ეძღვნება: ჯიროლამო ფრაკასტოროს (1478-1553) „ნავგერიუსი, ანუ დიალოგი პოეტიკის შესახებ“, ჯოვანი ტრისინოს (1478-1550) „პოეტიკა“, მარკუს იერონიმუს (მარკ ჯიროლამო) ვიდას (1495-1566) „პოეტიკის სამი წიგნი“, ჯიროლამო მუციოს (1496-1576) „პოეტური ხელოვნება“, ტორკვატო ტასოს (1544-1595) „მსჯელობანი პოეტურ ხელოვნებაზე“, ბენედეტო მენძინის (1646-1704) „პოეტური ხელოვნება“, პიერ იაკოპო მარტელოს (1665-1727) „პოეტიკისათვის“...

ესპანეთი: XIII საუკუნეში „პოეტიკა“ არაბულიდან ლათინურად თარგმნა ტოლედოელმა სწავლულმა ჰერმანუს ალემანუსმა (ერმანო ალემანი); XVI საუკუნის დამლევს

არისტოტელეს თხზულების კომენტარებს წერს ექიმი და პოეტი ალონსო ლოპეს პინჩიანო — „პოეტური ხელოვნების ანტიკური ფილოსოფია“, მადრიდი, 1596; უფრო გვიან ხუსეპე ანტონიო გონსალეს დე სელასი განსაკუთრებული გამჭრიახობით განმარტავს „პოეტიკას“ თავის თხზულებაში „ტრაგედიის ახალი თეორია“, 1633; არისტოტელეს გარკვეულ გავლენას განიცდიან დიდი დრამატურგები — ლოპე დე ვეგა (1562-1635) და ტირსო დე მოლინა (1571-1658)...

საფრანგეთში „პოეტიკის“ პოპულარობას არანაკლებ მყარი საფუძველი აქვს, ვიდრე იტალიასა და ესპანეთში. არისტოტელეს ტრაქტატი არა მარტო ითარგმნება, როგორც ჩანს, ისნავლება კიდეც უმაღლეს სასწანავლებლებში. ყოველ შემთხვევაში, იოანე ჰარლანდიელი თავის „კითხვის ხელოვნებაში“ 1234 წელს გვაუწყებს, რომ პარიზის უნივერსიტეტში ისნავლება ყველაფერი, რაც დაუწერია არისტოტელეს; იულიუს ცეზარ სკალიგერი, ნარმომავლობით იტალიელი — ჯულიო ჩეზარე სკალიგერო (1484-1558) — მედიკოსი, ნატურალისტი, კრიტიკოსი, დიდი ერაზმუს როტერდამელის ლიტერატურული მეტოქე, წერს თავის სახელგანთქმულ „პოეტიკის შვიდ წიგნს“, რომელიც ავტორის სიკვდილიდან სამი წლის შემდეგ (1561) გამოვეყნდა; ესაა შუა საუკუნეების პოეტური ხელოვნების ყველა იმ კონცეფციის თანმიმდევრული ანალიზისა და სისტემატიზაციის საფუძვლიანი ცდა, რომლებიც არისტოტელესეული ტრადიციისაგან იღებენ დასაბამს; აღსანიშნავია, რომ სკალიგერის გამოკვლევაში საგრძნობი გავლენა მოახდინა ფრანგული კლასიციზმის თეორეტიკოსთა მსოფლმხედველობის ფორმირებაზე. არისტოტელეს „პოეტიკის“ არა ერთი და ორი დებულება მეტ-ნაკლებად მოდიფიცირებული სახით გადადის პოეტური ხელოვნების ფრანგ თეორეტიკოსთა შრომებში; დავასახელებთ მხოლოდ ზოგიერთს: პიერ დე რონსარის „პოეტური ხელოვნების მოკლე კურსი“, პარიზი 1563; უკადელა ტაილის „ტრაგედიის ხელოვნება“, პარიზი, 1572; ვოკლენ დე ლა ფრენეს „ფრანგული პოეტური ხელოვნება“, 1604; იეზუიტ რენე რაპენის „ფიქრები არისტოტელეს პოეტიკაზე“, 1674. რაც შეეხება ფრანგულ კლასიციზმს, მასზე „პოეტიკის“ გავლენის დეტალური ანალიზი ვრცელი მონოგრაფიის თემაა. პიერ კორნელი (1606-1684), უან რასინი (1639-1699), ნიკოლა ბუალო-დეპრე (1636-1711), ხოლო უფრო გვიან ვოლტერი (1694-1778), დენი დიდრო (1713-1784) და სხვ. და სხვ. — ყველა

ისინი მეტ-ნაკლებად დავალებულნი არიან არისტოტელესაგან...

ინგლისში „პოეტიკის“ გავლენა ნაკლებ მასშტაბურია. ალვნიშნავთ სერ ფილიპ სიდნეის (1554-1586) „პოეზიის აპოლოგიას“, რომელიც მეტნილად არისტოტელეს კასტელვეტროსეულ კომენტარებს ემყარება, აგრეთვე ჯონ მილტონის (1608-1674) პოემის „სულთმობრძავი სამსონის“ ავტორისეულ წინასიტყვაობას და ჯონ დრაიდენის (1631-1700) სახელგანთქმულ „ესსეს დრამატული პოეზიის შესახებ“ (ლონდონი, 1667)...

გერმანია: 1624 წელს გამოდის ოპიცის შრომა „გერმანული პოეტიკის წიგნი“, რომელიც არისტოტელეს აშკარა, თუმცა არა უშეუალო გავლენითაა აღბეჭდილი (ოპიცი სკალიგერის მიმდევარია)... მაგრამ ნუ გამოვუდგებით წვრილმანებს: საკმარისია ითქვას, რომ „პოეტიკით“ აღფრთოვანებულია გოტჰოლდ ეფრაიმ ლესინგი (1729-1791), რომელიც თავის „ჰამბურგის დრამატურგიაში“ (1767) მკვეთრად უპირისიპირდება როგორც ფრანგულ კლასიციზმს, ისე არისტოტელეს კლასიცისტურ ინტერპრეტაციასაც და „პოეტიკას“ ისეთსაცე აბსოლუტურად ზუსტ და შეუმცდარ წიგნად თვლის, როგორც ევკლიდეს „საწყისებს“. და განა მარტო ლესინგი? მის აღტაცებას თითქმის მთლიანად იზიარებენ ფრიდრიხ შილერი (1759-1805) და ვოლფგანგ გოეთე (1749-1832).

და ბოლოს, XIX-XX ს. ყოველივე ამას უნდა დაემატოს „პოეტიკის“ ათობით სხვადასხვა კრიტიკული გამოცემა, ასობით სხვადასხვა თარგმანი და მისი ლიტერატურული თუ ესთეტიკური პრობლემებისადმი მიძღვნილი მონოგრაფიების, სტატიებისა თუ გამოკვლევების ჭეშმარიტად უსასრულო რაოდენობა, პირდაპირ წალევკით რომ ემუქრება მკითხველს. ინგლისელი ესთეტიკოსები გილბერტი და კუნი მართებულად შენიშვნაენ თავიანთ „ესთეტიკის ისტორიაში“: „არისტოტელეს ესთეტიკური თეორია მოგვაგონებს ამებას, რომელიც განვითარების პროცესში ცალკეულ ნაწილებად იყოფა, შემდგომ თავისთავადსა და დამოუკიდებელ არსებობას რომ განაგრძობენო“. ერთი მაგალითი: უკვე პაოლო ბერი, „პოეტიკის“ იტალიელი გამომცემელი (1613 წ. პადუა; 1623 წ. ვენეცია), თავის კომენტარებში მიმოიხილავს „კათარსისის“ — არისტოტელეს ესთეტიკური მოძღვრების ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემის ათზე მეტ სხვადასხვა ინტერპრეტაციას, ხოლო 1931 წლისათვის, ბიბლიოგრაფიული სტატის-

ტიკის მონაცემებით ამ ინტერპრეტაციების რიცხვება 1425-ს მიაღწია. როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია...

მოკლედ, ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, თითქოს მთელი კულტურული კაცობრიობა ათასწლეულების მანძილზე გატაცებით ენაფება, სწავლობს, აზუსტებს, განმარტავს, აქვეყნებს, იკვლევს, ითვისებს, ეუფლება და შემოქმედებითად ავითარებს არისტოტელეს პატარა ტრაქტატს. მართალია, დროდადრო, კანტიკუნტად ხმას იმაღლებს „ურცხვი“ სკეპსისი: „არისტოტელეს პოეტიკას“ წესები მხოლოდ მაიმუნებისთვის არიან ვარგისნი და გამოსადეგნიო“ — აცხადებს ჯორდანო ბრუნო (არა მარტო დიდი ასტრონომი, არამედ მხატვრული სიტყვის ჭეშმარიტი ოსტატიც; სამწუხაროდ, მისი მშვენიერი ფილოსოფიური ლირიკა ნაკლებადაა ცნობილი), ხოლო ვოლტერი მისთვის ჩვეული არათანმიმდევრულობით, ხან კორნელის კვალდაკვალ იზიარებს არისტოტელეს შეხედულებებს, ხან კი „კათარსისის“ მისეულ თეორიას გალიმატიას უწოდებს, — მაგრამ ეს სკეპტიკური გამოხდომები უკვალოდ იკარგება მადლიერი კაცობრიობის ალტყინებულ დითირამბებში: „იმპერატორ ნოსტერ, ომნიუმ ბონარუმ არტიუმ დიცტატორ პერპეტუუს!“ — „მბრძანებელი ჩვენი, ყოველი ნამდვილი ხელოვნების მარადიული დიქტატორი!“ — შეიძლება ითქვას, რომ იულიუს სკალიგერის ეს სიტყვები არისტოტელეს ესთეტიკური თეორიის შეფასების ერთადერთ უნივერსალურ საზომად, ერთადერთ კრიტერიუმად იქცა. ყველა სხვაგვარი შეფასება ლამის მკრექელობად, ლამის ღვთისმგმობლობად იქნეს შერაცხილი.

მაგრამ არისტოტელეს თხზულებით ამ საყოველთაო ალტაცებამ, ამ უჩვეულო ეგზიალტაციამ, რბილად რომ ვთქვათ, ცუდი სამსახური გაუწია როგორც დიდი სტაგირელის მეცნიერული შესწავლის, ისე მსოფლიო ესთეტიკური აზრის განვითარების საქმეს. ნაცვლად იმისა, რომ მშვიდად, გულდინჯვალ, ჯიუტი მოთმინებითა და თანმიმდევრობით ეკვლიათ „პოეტიკას“ უაღრესად რთული და უკიდურესად ბუნდოვანი ტექსტი, გარდა სულ საუკუნეთა მეცნიერება, რომელთა უსაშველოდ ზოგადი, განყენებული გამოკვლევებისა და კომენტარების აბსოლუტური უმრავლესობა კიდევ უფრო ბუნდოვანია, ვიდრე მათი შესწავლის საგანი, — დასხ, ეს დარბაისელი მეცნიერები და მათი ფეხის ხმას აყოლილი მნერლები თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ არისტოტელეს ტრაქტატის ფუჭ განდიდებასა და მისი ავ-

ტორის მიმართ ასევე ფუჭი სახოტბო ეპითეტების დახვავებაში, რითაც თითქმის დაუძლეველი და გადაულახავი „ფსიქოლოგიური ბარიერი“ აღმართეს „პოეტიკის“ ობიექტური, ყოველგვარი წინაზრახვისაგან თავისუფალი კვლევისა თუ მკვლევრის წინაშე (აქ და ქვემოთ მე მთლიანად ვეყრდნობი ა. ლოსევის უახლესი გამოკვლევის შედეგებს — „ანტიკური ესთეტიკის ისტორია. არისტოტელე და გვიანი კლასიკა“, მოსკოვი, 1975, გვ. 178-215; 425-471).

დაროცა „ათასწლოვანი ჰიპნოზისგან“ (ა. ლოსევი) რის ვაივაგლაბით გამორკვეულმა მეცნიერებამ, ბოლოს და ბოლოს, ცრურნებუნის ლიბრით დაუბინდავი თვალით შეხედა საქმის ნამდვილ ვითარებას, საკვლევი საგნის ჭეშმარიტ არსა, ეს სინამდვილე სავალოზეც უარესი აღმოჩნდა: მეცნიერებს ხელთ შერჩათ შერყვნილ-შებდალული, უდვოთდამახინჯებული და აშკარად არასრული, ნაკლულევანი ტექსტი, საიდანაც მწყობრი აზრობრივი კონსტრუქციების გამოვლენა, ხშირ შემთხვევაში, თვით ყველაზე ერუდირებული მკვლევარის უნარს აღმატება. თავად განსაჯეთ: „ტრაგიკული კათარსისის“ 1425 სხვადასხვა ინტერპრეტაცია (ამ რიცხვმა სადღეისოდ ალბათ, უკვე კარგა ხანია გადააჭარბა 1500-ს) თავისთვად მოწმობს, რომ „პოეტიკას“ სათანადო პასაუიყველაფრის საშუალებას იძლევა, ზემოაღნიშნული პრობლემის ერთადერთი სწორი — ავტორისეული გაგების ან მისი ზუსტი რეკონსტრუირების გარდა. საქმე იქამდეც კი მიდის, რომ „პოეტიკის“ ერთი ყველაზე ავტორისეული თანამედროვე მკვლევარი (ტ. ბურნიუსი) პირდაპირ აცხადებს — „კათარსისის“ არსში თვითონ არისტოტელეც ვერ ერკვეოდაო. ამას უნდა დაემატოს ტექსტის სრული ქაოტურობა, აშკარა აზრობრივი შეუსაბამობანი და შინაგანი წინააღმდეგობანი, ურთიერთგამომრიცხველი დებულებების სიმრავლე, ზოგიერთი მოსაზრების მიუტევებელი ბანალურობა, ცალკეულ მსჯელობათა ფრაგმენტულობა, გულისგამანვრილებლად ღვლარჩენილი სტილი, და ჩვენ შეიძლება აღარ გაგვაკვირვოს ა. ლოსევის რადიკალურად მკაცრმა დასკვნამ:

„ზოგადად რომ დაგახასიათოთ არისტოტელეს ტრაქტატი და ყურადღება არ მივაქციოთ ყველა იმ ცრურნებუნას თუ ცრუ აზრს, რომლებიც ნაკარნახევია მისი ათასწლოვანი განდიდებით, უთუოდ უზდა ითქვას შემდეგი: ტრაქტატში გვხვდება ლიტერატურისმცოდნეობისათვის ბევრი ფრიად საინ-

ტერესო აზრი და ზოგიერთი, თუმცა ძალზე საგულისხმო მოსაზრება სპეციალურად ეს-თეტის დარგში. მიუხედავად ამისა, ფორმა, რომლითაც ჩვენს დრომდე მიაღწია ტრაქტატის ტექსტმა, ისეთი უთავბოლობის შთაბეჭდილებას ახდენს, რომ ამ ტექსტის არისტოტელესათვის მინერა ჭეშმარიტად წარმოუდგენელი ჩანს. ვინ და როდის დაწერა ეს ტრაქტატი, თვით არისტოტელეს მონაფეხბმა ჩაინერეს ნაჩქარევად მისი ლექციები თუ ანტიკური და შუა საუკუნეების დროინდელი გამოცემების რედაქტორები მოეპყრენ თვითნებური დაუდევრობით დედანს, ან იქნებ რომელილაც სხვა, შეგნებული თუ სტიქიური ისტორიული ძალების მოქმედებამ ჩააგდო ტრაქტატი ესოდენ სავალო დღეში, — ამ საკითხის გადაჭრა დღესდღეობით შეუძლებელია“.

ჩემი აზრით, ყველაზე არსებითი ფაქტორი, რამაც არისტოტელეს ტრაქტატის ტექსტი ესოდენ სავალო დღეში ჩააგდო, არის ისტორიული უკულმართობა, დიდი სტაგირელის შემოქმედებითი მემკვიდრეობის ჭეშმარიტად „ტრაგიკული ხვედრი“. სტრაბონი თავის „გეოგრაფიაში“ (XIII, 1, 54; შდრ. პლუტარქე, სულა, XXVI) გადმოგვცემს: „ქალაქ სკეპსისის მკვიდრნი არიან სოკრატიკოსი ფილოსოფოსები ერატე, კორისკე და კორისკეს ვაჟი ნელევსი: ეს უკანასკნელი არა მარტო არისტოტელესა და თეოფრასტეს მსმენელი იყო, არამედ მემკვიდრეობით მიიღო თეოფრასტეს ბიბლიოთეკაც, რომელშიაც არისტოტელეს თხზულებათა კრებულიც შედიოდა... ნელევსმა ბიბლიოთეკა სკეპსისში წილოდ და თავის გაუნათლებელ მემკვიდრებს დაუტოვა, რომლებსაც წიგნები ჩაკეტილი ჰქონდათ და რიგიანად ვერ ინახავდნენ. ხოლო როდესაც მათ გაიგეს, რა გაშმაგებით დაეძებდნენ იტალიელი მეფეები, რომლებსაც მაშინ ემორჩილებოდა სკეპსისი, წიგნებს პერგამონში თავიანთი ბიბლიოთეკის შესავსებად, შეშინდნენ და წიგნები ორმოში დამატეს. უფრო გვიან, მათმა შთამომავლებმა სინესტით გაფუჭებული და მატლებისაგან შექმული არისტოტელესა და თეოფრასტეს წიგნები დიდ თანხად მიჰყიდეს აპელიკონ ტეოსელს. ხოლო ეს აპელიკონი უფრო წიგნების მოყვარული იყო, ვიდრე მეცნიერების მოყვარე. ამიტომ, მატლებისაგან შექმული ადგილების აღდგენა რომ მოინადინა, მან ხელნაწერები ტექსტის ახალ ასლებს შეუდარა, არასწორად შეავსო ისინი და, ამრიგად, შეცდომებით სავსე წიგნები

გამოუშვა... აპელიკონის სიკვდილისთანავე, სულამ, რომელმაც აიღო ათენი, აპელიკონის ბიბლიოთეკა რომში გადაიტანა, სადაც ის არისტოტელეს თაყვანისმცემელს გრამატიკოს ტირანიონს ჩაუვარდა ხელში, ბიბლიოთეკარის ნინაშე მისი პირმოთნეობის წყალობით, რასაც არც სხვა წიგნთმოვაჭრენი თაკილობდნენ ხოლმე. ისინი ცუდ გადამ-ნერებს იხმარდნენ, ერთმანეთს არ უდარებდნენ ნუსხებს, ასეთი იყო ბევრი სხვა წიგნის ხვედრიც, რომლებსაც რომსა თუ ალექსანდრიაში გასასყიდად უშვებდნენ...“

მაგრამ მე, ცხადია, სულაც არ მსურს, ყოველივე ზემოთქმულის გავლენით, მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნას, თითქოს „პოეტიკაში“ აღარაფერი იყოს საინტერესო, საგულისხმო საკვლევი, სულიერი ზემოქმედების სხვადასხვა უანრის გენეზისი, მათი ფორმირებისა თუ განვითარების ისტორია, ხელოვნების, როგორც მიბაძვის („მიმესის“) ძველთუტველესი კონცეფცია და ხელოვნების ქმნილებათა კათარტიკული (სულიერად განმნიშვნელოვანი და ზნეობრივად ამამაღლებელი) ფუნქცია, დრამატულ ნანარმებთა შინაგანი სტრუქტურის ანალიზი და მნერლის ენისა თუ მხატვრული სტილის აქტუალური საკითხები, — აი, არასრული სია როგორც ესთეტიკის, ისე ლიტერატურის ისტორიის იმ დიდმნიშვნელოვანი პრობლემებისა, რომლებიც, მთელი მათი ბუნდოვანების, არასრული თუ არასრულყოფილი ფორმულირების, ფრაგმენტულობისა და დაუმთავრებლობის მიუხედავად, საკმაოდ ნაყოფიერ პერსპექტივას სსნიან მკვლევართა წინაშე. ამის წიმუშია, უწინარეს ყოვლისა, ა. ლოსევის ზემოთ დასახელებული ვრცელი და საფუძვლიანი გამოკვლევა. ამიტომ, ვიქტორბ, გამართლებული უნდა იყოს „პოეტიკის“ ხელმეორედ თარგმნა ქართულად. ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, დიდი პატივის-ცემით მოვიხსენიო განსვენებული მეცნიერის ს. დანელიას ღვანტლი, რომელმაც ქართულ ენაზე პირველად თარგმნა და ვრცელი გამოკვლევითა და კომენტარებითურთ გამოაქვეყნა (1944 წ.) არისტოტელეს „პოეტიკა“.

მე შორსა ვარ იმ ილუზისგან, თითქოს შევძელი ზუსტად და უნაკლოდ გადმომედო „პოეტიკის“ — ერთხელ კიდევ გავიმეორებ — უკიდურესად რთული და ბუნდოვანი ტექსტი. ამიტომ დაინტერესებული მკითხველის ყველა საქმიანი შენიშვნა დიდი დახმარება იქნება ჩემთვის.

„ცხრა მოთხობა“ სელინჯერმა 1953 წელს გამოსცა. მასში თავმოყრილია 1948-53 წლებში სხვადასხვა უურნალებში, ძირითადად კი — „ნიუ იორკერში“, გამოქვეყნებული მოთხობები. ცნობილია, რომ ამ პერიოდში სელინჯერი აღმოსავლური რელიგიების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა და ეს აისახა კიდეც მის შემოქმედებაში. „ცხრა მოთხობის“ კითხვისას ნათელი ხდება, რომ მწერალი არა მხოლოდ სუძუკისა და რამაკრიშნა-ვივეკანანდას მოდერნისტული მოძღვრებებით იყო გატაცებული, არამედ კლასიკური ინდუიზმითაც, „მაჰაბჰარატას“ ძველინდური ესთეტიკა ამ ნაწარმოების ერთგვარ ხერხემლადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ...



## თემურ გაბუნია

# ცხრა მოთხობა

### I ერთი ხელით შემოკრული ტაში

სელინჯერის „ცხრა მოთხობის“ გადაშლისთანავე ვგრძნობთ, რომ მისტიკურ სამყაროში აღმოვჩნდით, სადაც მხოლოდ ლოგიკური აზროვნებით გზას ვერ გავივლევთ. ამ განწყობის შექმნაში ხელს ვგინყობს ქენის კონი, წიგნს რომ აქვს ნამძღვარებული, აი, ისიც: „ჩვენ ვიცით, რომ ტაში ორი ხელით იკვრება, მაგრამ როგორია ერთი ხელით შემოკრული ტაში?“ არ არის აუცილებელი აღმოსავლური ფილოსოფიის ცოდნა იმის მისახვედრად, რომ მწერალი შემეცნების რაღაც ახალ, უჩვეულო გზას გვთავაზობს ლოგიკის ყოველგვარი კანონების გვერდის ავლით, რადგან ამ კანონების თანახმად, ტაში ორი ხელით იკვრება, ჩვენ კი გვთავაზობენ, ის ერთი ხელით შემოკრეთ.

მ კითხველს მორიგი სიურპრიზი პირველივე მოთხობაში „ბანანათევზას ამინდში“ ელის, სადაც ნაწარმოების მთავარი გმირი სიმორ გლასი საკმაოდ უჩვეულო ვითარებაში იკლავს თავს. თვითმკვლელობამდე ის ფლორიდის პლაზე სამი წლის გოგონას, სიბილს, უყვება თავისასავე შეთხზულ ზღაპარს ბანანათევზებზე, წყლისქვეშა გამოქვაბულში რომ შედიან, ბევრ ბანანებს ჭამენ, ბანანას ხურვება ემართებათ და კვდებიან. ერთით თევზი ვიცი, 78 ბანანი შეჭამაო, ამბობს სიმორი. თურმელორებს დამსგავსებული ბანანათევზები „ისე გაიყეყებიან, რომ გარეთ ვეღარ გამოდიან. კარში ვეღარ გამოეტევიან“.

ამ ზღაპრის მოყოლიდან რამოდენიმე ხნის შემდეგ სიმორი თავს იკლავს და ბუნებრივია, მკითხველიც ცდილობს გაერკვეს ამ თვითმკვლელობის მიზეზებში. სიმორის ცოლის, მიურიელის სატელეფონო საუბრიდან ვგებულობთ, რომ მისი მეუღლე იმის მონაწილეა და რომ იმის დასრულების შემდეგ სარეაბილიტაციოდ სამხედრო ჰოსპიტალში იწვა. მიურიელს დედა ურჩევს, ქმარი ფსიქოანალიტიკოსთან მიიყვანოს, რადგან მიაჩნია, რომ მისი საავადმყოფოდან გამოშვება ნაადრევი იყო...

ლოგიკის დახმარებით ჩვენ სიმორის თვითმკვლელობასთან დაკავშირებით მეტს ვერაფერს შევიტყობთ. მაშ, რაღა შუაშია ზღაპარი ბანანათევზებზე და რატომ არის გამოტანილი თევზების ამბავი სათაურში ანუ რატომ ქვია მოთხობას „ბანანათევზას ამინდი?“ ხომ არ არის ამ ზღაპარში რაღაც მინიშნება სიმორის თვითმკვლელობის მიზეზებზე? ან რას უნდა ნიშნავდეს ქენის კოენი, მოთხობების წიგნს რომ აქვს ნამძღვარებული?

ამ და კიდევ სხვა კითხვებს რომ ვუპასუხოთ, უნდა გავარკვიოთ, თუ ვის ეკუთვნის კოენი ერთი ხელით ტაშის შემოკვრის შესახებ და რა დანიშნულება აქვს მას ბუღიზმისა და ინდუიზმში. კოენის „ერთი ხელი“ ავტორია იაპონელი პოეტი, მხატვარი და მქადაგებელი ხაკუინ ოსე (1688-1766). ეს კოენი დღესდღეობით ქენის ერთ-ერთ ძირითად სულიერ ვარჯიშმად არის მიჩნეული. მასზე კომენტარს აკეთებენ თანამედროვე ინდუ-

ისტი მქადაგებლებიც. რითია გამოწვეული ესოდენ დიდი ინტერესი? რა არის ამ კოენში ასეთი საბაზისო და ანბანური?

როგორც მოგეხსენებათ, აღმოსავლური რელიგიურ-ფილოსოფიური სისტემები აგებულია რამდენიმე ძირითად სწავლებაზე. ერთ-ერთი მათგანია მოძღვრება ადამიანის შვიდი საწყისის შესახებ. არსებობს ამ მოძღვრების რამდენიმე ვარიანტი, შედარებით ძველი, ახალი... თუმცა, უკლებლივ ყველა მათგანში შეუვალ ჭეშმარიტებადაა მიჩნეული, რომ ინტელექტზე ანუ ლოგიკურ აზროვნებაზე უფრო მაღლა დგას ინტუიცია. აღმოსავლური მედიტაციის მთელი არსი კი ისაა, რომ ადამიანი შემეცნების დაბალი საფეხურიდან აიყვანოს უფრო მაღალზე. ანუ, გონებრივი ჭვრეტიდან — ჯერ ინტუიციურზე, შემდეგ კი ინტუიციურიდან — სულიერზე. მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ეს? ანუ როგორ უნდა აიყვანოს გურულ დამწყები სულიერი ჭვრეტის დონეზე? ამისთვის არსებობს მედიტაციის ერთგვარი ტექნიკა, დამწყებს ურჩევენ ჩაულრმავდეს კოენს „ერთი ხელი“.

როგორც შემდგომში, ცხრა მოთხრობის გაცნობისას ირკვევა, სელინჯერის მიზანსაც სწორედ მკითხველის სულიერი ჭვრეტის დონეზე აყვანა წარმოადგენს. ეს აშკარად იგრძნობა ცხრავე მოთხრობაში, სწორედ აქეთკენა მიმართული მწერლის ძალისხმევაც.

მოთხრობაში „ბანანათევზას ამინდი“ განსაკუთრებული სიმბოლური დატვირთვა აქვს ზღაპარს ბანანის მჭამელ თევზებზე. ამერიკელი ლიტერატორი ო'კონორი აღნიშნავს, რომ „როდესაც სიმბორი ხუმრობით უყვება გოგონას ზღაპრულ ბანანათევზაზე, რომელმაც... ბევრი ბანანები შეჭამა და მოკვდა, ის ამაში ფაქტიურად საკუთარ ქორწინებას გულისხმობს“. ო'კონორის მოსაზრებას იზიარებს რუსი მკვლევარი გალინსკაიაც, რომელსაც მიაჩნია, რომ სელინჯერი იგავური სახით განმარტავს ბანანათევზას ზღაპარში სიმორ გლასის თვითმკვლელობის მიზეზებს. ამ მოსაზრების დასასაბუთებლად ის იშველიებს „მაჰაბარატას“, სადაც ბანანი არამყარი სიყვარულის სიმბოლოდაა მიჩნეული, ბანანის ხის არამყარი ღეროს გამო. მკვლევრის აზრით, სელინჯერს არც ციფრები 78 და 6 აქვს შემთხვევით ნახსენები. მისი აზრით, 6 ბანანი, რომელსაც თევზი ჭამს, 6 არაწმინდა ვნების სიმბოლოა, ცნობიერებას რომ აბინძურებს, ციფრი 78 კი „მაჰაბარატაში“ 78 სიცოცხლის წყურვილს

შეესაბამება.

ამრიგად, თუკი ყოველივე ზემოთქმულს შევაჯამებთ, სიმბორის ზღაპრის შინაარსსაც ჩავწვდებით, რომელმაც მისტიკოსთა ენაზე გადმოგვცა, თუ რატომ უნდა მოეკლა თავი. ძირითადი მიზეზი იყო არამყარი სიყვარული, ცდურებები, რომელებიც ვერ დაძლია. არაზმინდა ვნებები (სიამყე, უმეცრება, ცრუშეხედულებები, ეჭვი, ეროტიკა, სიძულვილი), რომლებითაც ისე გაძლა, რომ ველარ მოინელა... სწორედ ყოველივე ამან მიიყვანა სიმორი თვითმკვლელობამდე.

მკვლევარი თავისებურად ხსნის ცხრა მოთხრობის შინაარსსა და თანამიმდევრობას. მისი აზრით, სელინჯერის ეს წიგნი მთლიანად ძველინდურ პოეტიკასთანაა დაკავშირებული. აღმოსავლურ ფილოსოფიაში არსებობდა ცხრა პოეტური განწყობა ანუ „რასა“: 1) ეროტიკა-სიყვარული; 2) სიცილი (ირონია); 3) თანაგრძნობა; 4) მრისხანება; 5) ვაჟაუცობა; 6) შიში; 7) ზიზლი; 8) გაოცება; 9) სიმშვიდე, რომელსაც ადამიანი განდგომილებამდე მიჰყავს. გალინსკაიას აზრით, სელინჯერის პირველი მოთხრობა „ბანანათევზას ამინდი“, პირველ პოეტურ განწყობაზე, ეროტიკა-სიყვარულზეა აგებული; მეორე — „კონეკტიკუტელი კუტი ძია“ — ირონია-იუმორზე; მესამე — თანაგრძნობაზე; მეოთხე — მრისხანებაზე და ა.შ.

რა შეიძლება ითქვას ამის შესახებ? „ბანანათევზას ამინდში“ ძირითადი თემა ეროტიკა-სიყვარული რომაა, ეს ყველაფრიდან ჩანს, თვით უმნიშვნელო დეტალებიდანაც კი. მოთხრობის პირველივე აბზაციდან ჩვენ ვეცნობით მიურიელს, რომელიც საქალაქთაშორისო ზარის მოლოდინში ქალთა უურნალში სტატიას კითხულობს — „სექსი ან სიამოვნება, ან — ჯოჯოხეთი“. მოთხრობაში თვით სამი წლის ბავშვიც კი ეჭვიანობს (სიბილი, თავის თანატოლ შერონლიპშუცზე) და რაც მთავარია, ნაწარმოების მთავარი გმირის, სიმორ გლასის ტრაგედიის ძირითადი მიზეზი სწორედ არსემდგარი სიყვარულია.

იგივე შეიძლება ითქვას წიგნის მეორე მოთხრობის შესახებაც. მისი გარდაცვლილი პერსონაჟი უოლტი სწორედ იუმორისა და ხუმრობის გამორჩეული ნიჭით დაჯილდოვებული ადამიანი იყო, რომელსაც გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგაც სწორედ ამ ნიჭის გამო იხსენიებს მისი ყოფილი საყვარელი. „ჯერ კაცს არ შევხვედრივარ, მასე გავეცინებინე, გულიანად მახარხარებდა ხოლმე... ჰო რას მაცინებდა! ...მე-

ლაპარაკებოდა — მაცინებდა, დამირეეკავდა — მაცინებდა, წერილებითაც კი მაცინებდა. კარგი ის იყო, რომ კი არ ცდილობდა ჩემს გაცინებას — ისე გამოსდიოდა”, — ასე ახა-სიათებს უოლტ გლასს ელოიზი. საგულისხ-მოა, რომ თავად უოლტის გარდაცვალების მიზეზიც ტრაგიკომიკურია, ამერიკა-იაპონიის ომისას ის ბრძოლის დროს კი არ დაიღუპა, არამედ ბენზინით სავსე ღუმლის ყუთიდან ამოღებისას, რომელიც პოლკოვნიკს უნდოდა შინ წასაღებად. ის ღუმელი უოლტს ხელში აუფეთქდა. ამ მოთხოვნის სათაურიდანაც ჩანს, რომ მასში მთავარი იუმორი-ირონიაა *Uphill e Wiggle* იუმორისტული საბავშვო ზღაპრის პერსონაჟია. განსაკუთრებული ადგილი უკავია მოთხოვნაში ელოიზის ქალიშვილს, პატარა რამონას, რომელსაც სამეზობლოში მეგობარი არ ჰყავს, რადგან მიყრუებულ ადგილას ცხოვრობენ. დედის სულიერი მდგომარეობა ბავშვზეც ისახება. გოგონა, რომელსაც დედისგან „დროდადრო ესმის გარდაცვლილ, მაგრამ აჩრდილივით მუდამ სახლში მყოფ უოლტზე“, თავადაც იგონებს არარსებულ მეგობრებს, რომლებიც უოლტის მსგავსად იღუპებიან. თუმცა, რამონას სიყვარული „უფრო თავდადებული და უანგაროა“, ვიდრე „დედამისის ეგოისტური გრძნობა“. გალინსკაიას აზრით, „პარალელური თემის“ გამოჩენა მოთხოვნაში ასევე ძველინდურ ესთეტიკაში იღებს სათავეს, სადაც ერთი ძირითადი თემის დამუშავება ორ ერთმანეთთან დაპირისპირებულ პლანში ხდებოდა. ამ შემთხვევაში გოგონას ამაღლებული პოეტური სიყვარული არარსებული, გამოგონილი ჯიმი ჯიმერინოსადმი კონტრასტულია დედამისის ეგოისტურ გრძნობასთან უოლტ გლასისადმი.

მკვლევარი კიდევ ერთ მსგავსებას პოულობს სელინჯერის მოთხოვნასა და „დჰ-ვანი-რასას“ შორის. „რასა-2“-ში სატირული განწყობა წესით და რიგით ზღვარს უნდა გადასულიყო. მოთხოვნაშიც მსგავსი რამ ხდება, მისი პერსონაჟები თავდაპირველად საკმაოდ „ბუნებრივად სუმრობენ და იცინიან, მაგრამ თანდათანობით, სასმელის ზეგავლენით, სულ უფრო და უფრო უცნაურები ხდებიან. მხიარულება ისტერიულ სიცილში გადადის, შემდეგ კი მთვრალ ქვითინში“.

მკვლევრის შემოთავაზებულ სქემას თუ გავყვებით, სელინჯერის შემდეგი მოთხოვნის, „ომი ესკიმოსთან“, ძირითად მოტივს თანაგრძნობა უნდა წარმოადგენდეს. გავიხსენოთ მოთხოვნის შინაარსი: ჯინი და სელ-

ენა კლასელები არიან. ისინი შეთანხმდნენ, რომ ყოველ შაბათ დილით ჩინგბურთი ეთა-მაშათ და ტაქსის ფულიც სანახევროდ გადა-ეხადათ... მაგრამ, უკვე მეოთხე დღეა, რაც სელენა ფულს არ იხდის და ჯინისაც ნერვებ-მა უმტყუნა, ის თანაკლასელს თხოვს დახ-არჯული ფული აუნაზღაუროს. გოგონები სელენა გრაფის ოჯახში მიდიან. და აი, ნანარმოებში ჩინდება პირველი მოტივი, რა-მაც წესით თანაგრძნობა უნდა გამოიწვიოს — სელენას დედა პნევმონიითაა ავად, მას ძინავს, გოგონამ კი ის დოლარისა და რალაც ცენტების გამო უნდა გააღვიძოს... თუმცა ეს გარემოება ჯინის არ ანაღვლებს, ყოველ შემთხვევაში იმდენად მაინც, რომ მასში სენ-ტიმენტალური გრძნობები აღძრას, ის მის-აღებ რთახში პალტოგაუხდელად ტახტზე ჯდება. სელენა დედამისთან ადის, ფული რომ გამოართვას. სასტუმრო ოთახში მალე სელენას ძმა ფრენკლინი შემოდის, რომელ-საც თითო აქვს გაჭრილი. „ოდესმე ძვლამდე თუ გაგიჭრია თითო?“ — ეკითხება ის გოგო-ნას შენუხებული სახით. მალე მათ შორის გულახდილი საუბარი იმართება. როგორც ირკვევა, ფრენკლინი უიმედოდაა შეყვარე-ბული ჯინის უფროს დაზე, რომელიც მალე თხოვდება. ფრენკლინი ხელმოცარული ად-ამინია, თანაც ავადყოფი, მას ბავშვობიდან მოყოლებული გული ანუხებს, რის გამო ომ-შიც კი არ წაიყვანეს. სანაცვლოდ ომის წლებში ის საავიაციო ქარხანაში მუშაობდა. თანდათანობით ჯინის ფრენკლინი არა მხ-ოლოდ ებრალება, არამედ მოწონს კიდეც-ზოგიერთ საკითხებში მათი აზრები ერთმა-ნეთს ემთხვევა. მაგალითად, ფრენკლინს მიაჩინა, რომ ჯინის უფროს დას ძალიან დიდი წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე. გულის სიღრმეში ჯინიც ასე ფიქრობს. ფრენკლინი ძალიან ყურადღებიანია. თუ ჩინგბურთი ახლახანს ითამაშე, მოშეიბული იქნებიო, ეუბნება გოგონას და მისთვის სენდვიჩი მოაქვს. ჯინი ისე მოხიბლა ფრენ-კლინმა, რომ სელენას ფულიც კი არ გამო-ართვა. მას არც სენდვიჩის ჭამა უნდა, მა-გრამ გადაგდებაც ენანება. მისი გული სავსეა ფრენკლინისადმი თანაგრძნობით...

„დჰ-ვანი რასას“ ესთეტიკის თანახმად, მეოთხე პოეტური გრძნობა მძვინვარებაა. შესაბამისად, თუკი სელინჯერი ძველინ-დური ესთეტიკით ხელმძღვანელობს, მისი მეოთხე მოთხოვნის სიუჟეტის ძირითადი მამოძრავებელი ღერძი სწორედ მძვინვარე-ბა უნდა იყოს. გარდა ამისა, სელინჯერის მკვლევარს, გალინსკაიას, „დჰ-ვანი რასადან“

ამოკრეფილი აქვს ის რეკომენდაციები, რომელთა დაცვასაც ხელოვანს სრულყოფილიპოტური განწყობის მისაღწევად ურჩევენ. აი, ისინიც:

1) რთული სიუჟეტი

2) შიშისმომგვრელი, პათეტიკური ელემენტებით გადატვირთული სტილი

3) ნითელი ფერის დომინირება

4) რთული, გრძელი სიტყვების ხმარება

დავინწყოთ სიუჟეტით. სელინჯერის მეოთხე მოთხოვის, „ადამიანი, რომელიც იცინოდა“, სიუჟეტი მართლაც რთულია, რადგან უშუალოდ მოთხოვის პარალელურად მოყოლილია ზღაპარიც. მოთხოვების მომოციოდე წლის კაცია, რომელიც საკუთარი ბავშვობისდროინდელ ამბებს იხსენებს. დაახლოებით ოცდაათიოდე წლის წინ მას და მის თანატოლებს ერთი დაქირავებული ლარიბისტულიცი ავარჯიშებდა ფეხბურთსა და ბეისბოლში, ჯონ გედსუდსკი, 22-23 წლის საკარიად მორცხვი და რბილი ხასიათის ახალგაზრდა კაცი. ჯონი ბავშვებს სამგზავროდ გადაკეთებულ კომერციულ ავტობუსში სხამდა და წიუიორკის ცენტრალური პარკისენ მიყვადა, სადაც მათ უნდა ევარჯიშათ. თითქმის ყოველ ჯერზე მწვრთნელი ბავშვებს მათთვის ძალიან საინტერესო და ამაღლევებელ ზღაპარს უყვებოდა კაცზე, რომელიც იცინოდა. ზღაპრის გმირი მდიდარი მისიონერების ერთადერთი ვაჟი იყო, რომელიც ჩინელმა ბანდიტებმა მოიტაცეს და სახე დაუმახინჯეს. და აი, ზღაპარში პირველად ჩნდება წითელი ფერი, მოცინარი კაცი სახეს ღია წითელი ფერის ნიღბით იფარავს, რომელსაც მხოლოდ მაშინ იხსნის, როცა ცხოველებს ელაპარაკება, ამის მიზეზი კი ისაა, რომ ცხოველები ერთადერთი არსები არიან, ის მახინჯად რომ არ მიაჩინათ.

მალე მოცინარმა კაცმა თავადვე დაიწყო ძარცვა-ყაჩალობა ჩინელი ბანდიტებისგან დამიუკიდებლად. ის უმეგობრდება მგელს, რომელსაც შავ ეშვს არქმევს, საყვარელ გნომ რმბას, მონღოლ გოლიათს, სახელად ჰონგს და დიდებულ ევროაზიელ გოგონას, რომელსაც ის უყვარდება. მალე მოცინარმა კაცმა შორს გაითქვა სახელი, მისი ეშინიათ და პატივს სცემენ, რადგან ჩინელ ბანდიტებთან შედარებით ის კეთილშობილიცაა (მხოლოდ მაშინ კლავს ადამიანებს, როცა სხვა გამოსავალი აღარა) ... ბავშვებს იმდენად მოსწონთ ეს ზღაპარი, რომ თავიანთ თავებს მის გმირთან აიგივებენ და სურთ მასსავით შიში და აღფრთოვანება დათესონ

ნაცნობთა გულებში. ისინი ერთმანეთს იდაყვებითაც კი ეჯაჯგურებიან, რათა უფრო ახლოს მოკალათდნენ ავტობუსში მწვრთნელთან, რომ უკეთ მოისმინონ მათი საყვარელი ზღაპარი.

თუმცა, ზღაპრის თხრობა რამდენჯერმე წყდება და მკითხველი ეცნობა ახალ პერსონაჟს — მერი ჰადსონს, მწვრთნელის შეყვარებულს, რომელიც ხანდახან მათთან ერთადაც კი თამაშობს ბეისბოლს. მთხოვნელი მაშინ ცხრა წლის ბიჭი გახლდათ და შეუძლებელია გაეაზრებინა, რა დამოკიდებულება უნდა ყოფილიყო მწვრთნელსა და მერის შორის. ის მხოლოდ წლების შემდეგ მიხვდა, რომ გოგონა, რომელიც ძალიან ძვირადღირებულ და პრესტიულ კოლეჯში სწავლობდა, საკმაოდ მდიდარი უნდა ყოფილიყო საიმისოდ, რომ მართლა ნიჭიერ, მაგრამ ღარიბ სტუდენტს გაყოლოდა ცოლად...

სელინჯერის მკვლევარ გალინსკაიას, როგორც ჩანს, ამ შემთხვევაშიც უნდა დავეთანხმოთ, მოთხოვის ძირითადი პოტური განწყობა მრისხანებაა, ის კარგად შეესაბამება დარიბი სტუდენტის (ჯონ გედცუდსკის) სულიერ მდგომარეობას, მდიდარმა და ლამაზმა შეყვარებულმა რომ მიატოვა. საგულისხმოა, რომ ეს განწყობა ზღაპრის სიუჟეტზეც ისახება, როცა მწვრთნელისა და მერი ჰადსონის ურთიერთობა კარგად მიდიდა, ზღაპრის გმირიც წარმატებული იყო, მაგრამ როგორც კი მათი სიყვარული დასრულდა, მოცინარი კაციც დაიღუპა.

მოთხოვის „კაცი, რომელიც იცინოდა“, დაცულია ძველინდური ესთეტიკის სხვადებულებებიც. ჩართული ზღაპარი პათეტიკურ სტილშია მოყოლილი და გადატვირთულია შიშისმომგვრელი ამბებით. მოთხოვის „მაპაბპარატაში“ კატრიების (მეომართა კასტის) სიმბოლოდ მიჩნეული წითელი ფერი. ყაყაჩის ფურცლებივით წითელი ნიღბი, ყაჩალების მიერ დაღვრილი სისხლით შეღებილი საწოლი, მინა... არწივის წითელი სისხლი, რომელსაც მოცინარი კაცი სვამს, ძალა და ენერგია რომ მიიღოს... და აი, უკვე მოთხოვის დასასრულს, კიდევ ერთხელაა ნახსენები აღნიშნული ფერი — ქარს წითელი გასახვევი ქაღალდი ლამპიონის ბოძისთვის მიუკრავს, რომელიც მოთხოვის ერთ-ერთ მოქმედ გმირს, ბეისბოლის მოთამაშე პატარა ბიჭს, რაღაცით მოცინარი კაცის ყაყაჩისფურცლებისფერ ნიღაბს აგონებს.

მოთხოვის „დპვანი რასას“ მეოთხე რეკომენდაციაც შესრულებულია, ნახმარია

საკმაოდ გრძელი, რთული სიტყვები. მაგალითად, მერი ჰადსონის გამომეტყველების აღსანერად მწერალი იყენებს ცხრასიტყვიან კომპოზიტს — som-er 1 sj ust-don't -kno w-when-t o -go -ho nE. მსგავს კომპოზიტებს სელინჯერი იშვიათად ხმარობს, ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ თავის მეოთხე მოთხრობაში სტილისტური თვალსაზრისით ის სწორედ ძველინდური ესთეტიკის პრინციპებით საზრდოობდა.

მომდევნო, რიგით მეხუთე მოთხრობა „კანჯოში“ გლასების უფროსი ქალიშვილის ბუ ბუს ოჯახს შეეხება. მოთხრობის დასაწყისშივე ნათელი ხდება, რომ ბუ ბუს ოთხი წლის ვაჟი ლაიონელი მოსამსახურე ქალმა რაღაცით გაანაწყენა. ლაიონელი კანჯოში ჯდება, რომელიც ტბაში პირსზე მიბმული და აღარ გადმოდის. მსგავსი რამ მას ერთი წლის წინათაც ჰქონდა გაკეთებული. ბავშვს, თურმე, მაშინაც რაღაც ეყყინა, გაიძუტა და სახლიდან წავიდა. მის მოსაძებნად პოლიციის დახმარებაც კი გახდა საჭირო. ბოლოსდაბოლოს ის იპოვეს თებერვლის ღამეს, თორმეტის თხუთმეტ წუთზე, პარკში, სადაც მანანნალებისა და ლოთების მეტი აღარავინ იმყოფებოდა. დროზე რომ ვერ ეპოვათ, ბავშვი შეიძლება გაყინულიყო კიდეც.

ბუ ბუ ხედება, რომ ვაჟის წავიდან გადმოყვანა არ იქნება ადვილი, რადგან ლაიონელი საოცრად ჯიუტი და მამაცი ბავშვია. ბუ ბუს გეგმა მარტივია, ის ცდილობს ვაჟი თამაშ-თამაშით გადმოიტყუოს.

— „მეგობარო, პირატო, ბინძურო ძალლო. აი, დავბრუნდი... ეს მე ვარ, ვიცე-ადმირალი ტანენბაუმი“ — ეუბნება ის ლაიონელს, მაგრამ ამ ხერხმა არ გაჭრა. შენ ადმირალი ვერ იქნები, რადგან ქალი ხარო, უპასუხა ლაიონელმა. შედეგი ვერ გამოილო გასაღებების ჯაჭვის ჩუქებამაც, ბიჭმა ის წყალში გადააგდო. თუმცა, ბოლოს ლაიონელს გული აუჩუყდა და ატირდა. ბუ ბუმ დრო იხელთა და ნავში ჩახტა. ახლა მას უკვე შეეძლო ვაჟის გაბუტვის მიზეზიც გაეგო...

როგორც გაირკვა, მთელი აურზაური თურმე მოსამსახურე ქალის, სანდრას სიტყვების გამო იყო ატეხილი, რომელსაც ლაიონელის მამაზე უთქვამს — დიდი ბინძური კიკე-იაო. ოთხი წლის ბავშვს, მართალია, არ ესმის სიტყვა კიკე-ის მნიშვნელობა, ის კიტე ჰგონია, მაგრამ მაინც ბრაზდება, რადგან გრძნობს, რომ მამამისს შეურაცხყოფა მიაყენეს. კიკე უარგონზე ებრაელების სალანდავი სიტყვაა, კიტე კი ფრანს ნიშ-

ნავს. მართალია, ბავშვმა ვერ გაიგო სიტყვის მნიშვნელობა, მაგრამ საქმის არს ზუსტად ჩასწვდა... ძველინდურ პოეტიკაში „რსა“ 5 — სიმამაცეა, მოთხრობის მთავარი მოქმედი გმირი ლაიონელიც მამაცი ბავშვია. მას ამ თვისებას ნამდვილად ვერ დავუკარგავთ...

მოთხრობა „ძღვნად ესმეს“ ავტობიოგრაფიული ხასიათისაა. მისი მთხრობელი სელინჯერის პროტოტიპად შეიძლება მივიწიოთ. თავად მოთხრობა კი იმ პერიოდს ეხება, როცა სელინჯერის ქვედანაყოფი ინგლისში გადიოდა საბრძოლო მომზადებას.

1944 წლის აპრილში ამერიკელი სამხედროების სამოცკაციან ჯგუფში, II ფრონტის გახსნამდე ქ. დევონში რომ იყო დაბანაკებული, მოწყენილობა სუფევდა. ჯარისკაცები თავისუფალ დროს წერილების წერაში ატარებდნენ და ხმას ძირითადად მხოლოდ მაშინ იღებდნენ, როცა ერთმანეთისგან მელანი უნდა ეთხოვათ. და აი, ლონდონში გამგზავრების დღეც დადგა, სადაც ისინი სხვადასხვა დივიზიებში უნდა გადაენანილებინათ, რათა მერე დესანტით გადაესხათ კონტინენტზე. მოთხრობის გმირმა თავისი ნივთები შეკრიბა და ჩანთაში ჩაალაგა (მათ შორის გაზის ნიღაბიც, რომლის სარგებლიანობაშიც მუდამ ეჭვი ეპარებოდა, რადგან ეშინოდა, რომ მოწამლავი აირის გამვებისას, თავზე წამოცმასაც კი ვერ მოასწრებდა).

წევიძიანი ამინდის მიუხედავად, ჯარისკაცი გადაწყვეტს ყაზარმიდან გავიდეს და ქალაქში გაისეირნოს. ის ჯერ ეკლესიაში შედის, მერე კი კაფეშიც. კაფეში ის კვლავ ხედება ცამეტიოდე წლის გოგონას ესმეს რომელიც ჯერ კიდევ ეკლესიაში გამოარჩია, რადგან პირველ რიგში იჯდა და ყველაზე უკეთ გალობდა. ესმე კაფეში თავის უმცროს ძმასა და გუვერნანტ ქალთან ერთად შედის. ის თავადვე ეცნობა ჯარისკაცს და მალე მათ შორის ემოციური საუბარი იმართება. გოგონა მოგვიანებით უხსნის, რატომ გამოიჩინა ინიციატივა, ძალიან მარტოსულად რომ გამოიყენებოდი, შენთან ამის გამო მოვედიო, ამბობს ის. მალე ესმე არკვევს, რომ მისი მოსაუბრე მწერალია. „ძალიან მასიამოვნებთ, როდესმე საგანგებოდ ჩემთვის თუ დანერთ მოთხრობას“, — ამბობს გოგონა და ამ თხოვნას მოგვიანებით უმეორებს. ესმე და ჯარისკაცი შეთანხმდნენ, რომ გოგონა წერილებს მიწერს. „იმედი მაქვს, ჯანმრთელი და სალალამათი დაბრუნდებით ომიდან“, ამბობს ის გამომშვიდობებისას და ეს სიტყვები ფრონტზე მიმავალსაც მეხსიერებაში სამ-

უდამოდ ებეჭდება.

მოთხრობის მეორე ნაწილი გერმანიის ქალაქ გაუფურტში ვითარდება. ომის დამთავრებიდან რამდენიმე თვეა გასული. გვიანი საღამოა. შტაბის სერუანტი X სამხედრო ჰოსპიტლიდან ახალი გამოწერილია, სადაც ნერვული აშლილობის დაიგნოზით იწვა და რეაბილიტაციის კურსს გადიოდა. ჰოსპიტალში ყოფნამ მას, როგორც ჩანს, ვერ უშველა, რადგან კონცენტრირება ისე უჭირს, რომ ნიგნის კითხვასაც ვერ ახერხებს. სერუანტი X მძიმე დეპრესიაშია, მას ეჩვენება, რომ ტვინი მატარებლის ვაგონის თაროზე შემოდებული ჩემოდანივით ულაყაყებს. ის ომიდან „ჯანმრთელი და საღალამათი“ ვერ დაბრუნდა, სახის კუნთები უთამაშებს და დროდადრო ხელიც უკანკალებს. უჩვეულოდ გამხდარი სერუანტის დანახვაზე ნაცნობები შემფეროთებას ვერ მალავენ. კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაშია მისი თანამებრძოლი Z, რომელსაც ერთერთი ხანგრძლივი საარტილერიო დაბომბვისას სიგიჟისთვის დამახასიათებელი მოვლენები დაეწყო.

სერუანტი X-ის სკამზე ზის და საწერმაგიდას დასცექრის. შემდეგ თაროდან გებელის წიგნს იღებს. „ლერთო დიდებულო, რა ჯოჯოხეთია ცხოვრება“, — ასეთი მინაწერი გაუკეთებია სახლის პატრონ ნაცისტ ქალს ერთ-ერთ გვერდზე. ეს გამონათქვამი კარგად ესადაგება მოთხრობის დეპრესიულ ფონს. სერუანტი X რამდენიმე წუთი მდუმარედ დაყურებს წიგნის ფურცელს, შემდეგ კი იქვე ფანქრით დოსტოევსკის სიტყვებს აწერს: „მამებო და მოძღვრებო, მე მიკვირს „რა ჯოჯოხეთი?“ ჩემი აზრით ესაა ტანჯვა სიყვარულის უნარის არქონის გამო“. „ძღვნად ესმეში“ დოსტოევსკის ეს გამონათქვამი მოგვიანებით საკმაოდ სიმბოლურ ჟღერადობას იძენს, რადგან ეს მოთხრობა სწორედ სიცოცხლის ხალისისა და სიყვარულის უნარის დაბრუნებით მთავრდება. ამ საქმეში კი სერუანტის მწვანე პაკეტი ეხმარება, რომელშიც ესმეს ნერილია...

### „ძვირფასო სერუანტო X!

იმედია, მაპატიებ 38 დღით რომ დაგიგვიანე წერილის მოწერა... თუმცა, შენზე ხშირად ვფიქრობდი და განსაკუთრებით იმ სასიამოვნო მუადლეზეც, ერთად რომ გავატარეთ 1944 წლის 30 აპრილს შუადღის 3:45-იდან 4:15 წუთამდე“

ესმეს წერილი ამ პატარა ნაწყვეტიდანაც გარკვევით ჩანს, რომ გოგონასთვის სერ-

უანტ X-თან შეხვერდა არ იყო ჩვეულებრივი მოვლენა, რადგან თვით 38 დღის გასვლის შემდეგაც კი მის ყოველი წუთი ზეპირად ახსოვს. როგორც ირკვევა, ესმეს გაცნობა არც სერუანტ X-თვის უნდა ყოფილიყო უმნიშვნელო, პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ ის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მოვლენაც კი იყო მის ჯარისკაცულ ცხოვრებაში, რომელიც სავსე იყო სამინელებებითა და სისასტიკით. ესმეს წერილმა და ნაჩუქარმა მამისულმა საათმა (გოგონა თილისმას რომ უწოდებდა) დეპრესიაში მყოფ სერუანტს არა მხოლოდ სიმშვიდე და სიცოცხლის ხალისი დაუბრუნა, არამედ შიშის დათრგუნვასა და სამყაროს შეცნობაშიც კი დაეხმარა. X მადლიერი რომ იყო, ამას ესმესადმი მიძლვილი მოთხრობაც ადასტურებს. მწერალმა 6-იოდე წლის შემდეგ თავის ძველ ნაცნობს გამორჩეულად მისთვის დაწერილი მოთხრობა მიუძღვნა, რაც ამავდროულად საქორწინო საჩუქარიც გახლდათ. ეს ყველაფერი კი იმის დამადასტურებელი იყო, რომ X ესმეს წერილის მიღების შემდეგ, ბოლო 6 წლის განმავლობაში, სრულიად „ჯანმრთელი და საღ... საღ-სა-ლა-მა-თი იყო“.

ძველინდური ესთეტიკის თანახმად, მექევსე პოეტური განწყობა შიშია, რომელიც ნელნელა მიიღებვა დამხმარე ეფექტებით. მოქმედების დრო, სასურველია, გვიანი საღამო იყოს, დომინანტი ფერი — შავი. შიშის ეფექტს თანამდევი მოვლენებიც უნდა ქმნიდეს. ინდოელ ბრძენკაც ბჟარატას ჩამოთვლილი აქვს ექვსი დამხმარე ფაქტორი, რომელიც ძირითად პოეტურ განწყობას უნდა ამყარებდეს: მოწყენილობა, დეპრესია, შემფეროთება, გალიზიანება, სიგიჟე, შეცბუნება. როგორც ჩანს, ამჯერადაც მოგვინევს დავეთანხმოთ მკვლევარ გალინსკაიას. სელინჯერი თავის მეექვსე მოთხრობაშიც მკაცრად იცავს ძველინდური ესთეტიკის პრინციპებს.

სელინჯერის მეშვიდე მოთხრობა „ჩემი მწვანე თვალებიდა ლამაზი ტუჩები“, გამორჩეულია თავისი მიზნობრიობით და ამ გამორჩეულობაში მას ხელს უწყობს რიგოთობაც. როგორც მოგეხსენებათ, „რასა“-8-ისა და 9-ის რეკომენდაციებში უკვე ღმერთან მიახლების (გამოცხადებისა და სრული განდგომილების შესახებაა საუბარი). ამიტომ, ბუნებრივია, ინდოელი ბრძენკაცები VII ეტაპზე ადამიანის სულიერ მომზადებას ისახავდნენ მიზნად, რათა მას მატერიალური სამყაროს ამაოება შეზიზლებოდა. მსგავსი

მიზანი ჰქონდა დასახული სელინჯერსაც თავის მეშვიდე მოთხოვბაში. მისი წაკითხვისას თვით ძელინდურ ესთეტიკაში ყველაზე გაუთვით ცნობიერებული მკითხველისთვისაც კი ნათელი ხდება, რომ მნერალი ცდილობს ადამიანს სიცრუე და მრუშობა შეაზიზლოს.

30 მოთხოვბა ტელეფონის ზარის წერიალით იწყება. ადვოკატი ლის, ქალთან ერთად რომ განმარტოებულა საძინებელში, თავისი კოლეგა არტური ურეკავს და ეკითხება, წვეულებიდან მოულოდნელად გაუჩინარებული ჯოანას ადგილსამყოფელი ხომ არ იციო. „არა, არტურ“, — პასუხობს ლი, მაშინ, როდესაც „მეგობრის“ ცოლი, ჯოანა, გვერდით უნევს, ხელი კი მის იღლიაში შეუცურებია.

აგზებული არტური ცდილობს კოლეგას გული გადაუშალოს. როგორც ირკვევა, ის მეუღლეს იმდენად არ ენდობა, რომ სამსახურიდან დაბრუნებული თავს ძლივს იკავებს, არ დაუწყოს ძებნა კედლის კარადაში დამალულ პოლიციელს, ლიფტიორს ან კურიერს.

ლი ცდილობს კოლეგის დამშვიდებას, რამდენიმე რჩევასაც აძლევს, მაგრამ არტური ისეთი აგზებულია, რომ არაფრის გაგონება არ სურს. მისი აზრით, ჯოანა ნამდვილი ცხოველია, რომელსაც ინტელექტის ნატამალიც კი არ გააჩინა. მისთვის ყველა მამაკაცი მიმზიდველია, თვით ყველაზე მოხუცი, ბინძური და გასაცოდავებულიც კი. ლი, რომელიც მოთხოვბაში ხშირადაა მოხსენიებული ჭალარათმიანად, კოლეგას ანყვეტინებს. „ეს უაზრობა არაფერს მოგვიტანს“, ამბობს ის მკაცრად და ცდილობს საუბრის თემა შეცვალოს.

როგორც ირკვევა, არტურს არც პროფესიულ საქმიანობაში უმართლებას. მან პროცესი წააგო, რის გამოც დარდობს, შიშობს და თანაც გული უგრძნობს, რომ სასტუმროს მეპატრონე, ვისი ადვოკატიცაა, უარს ეტყვის სამსახურზე... არტური კვლავ ოჯახურ თემას უბრუნდება. ის საკმაოდ ემოციურად იწყებს იმის მოყოლას, თუ როგორ აპირებდა წინა ზაფხულს ცოლთან გაყრას, მაგრამ შეეცოდა და გადაიფიქრა. მისი აზრით, ჯოანას ქმარი კი არა, ერთი მუტრუკი ნაბიჭვარი ჭირდება, ხმისამოულებლად რომ გადათელოს ხოლმე. არტური კი საკმაოდ სუსტია საიმისოდ, ცოლი რომ დააკმაყოფილოს. ლი ცდილობს დაარწმუნოს, რომ ეს ასე არაა, თუმცა არტური არც უსმენს. ახლა ის იხსენებს, როგორ გაუგზავნა ახალგაცნობილ ჯოანას ლექსი ვარდზე,

ლამაზ ტუჩებსა და მწვანე თვალებზე. ყოველთვის, როცა ცოლთან განქორწინებას აპირებს, რატომდაც სწორედ ეს ლექსი აგონდება და საქმე ბოლომდე ველარ მიყავს, თუმცა, სინამდვილეში ჯოანას არა მწვანე, არამედ ლურჯი თვალები აქვს. არტურის ლაპარაკით გაპეზრებული ლი კოლეგას ურჩევს ვისკი გადაკრას, ჩაწვეს და ჩაძინება სცადოს, ხოლო თუკი არაფერი გამოუვიდა, ისევ დაურეკოს. ლი ყურმილს დებს.

ჭალარათმიანი დაეჭვებულია, მას მიაჩინა, რომ არტურის დამშვიდება ვერ შეძლო. ჯოანა კი არნმუნებს, რომ საქმეს მშვენიერად გაართვა თავი... ამასობაში ტელეფონი ისევ რეკავს. ყურმილში არტურის გახარებული ხმა ისმის, რომელიც ლის ამცნობს, რომ ჯოანა სახლში დაბრუნდა. არტური კვლავ ეიფორიაშია, ის ცდილობს ყველაფერზე ერთად ისაუბროს: ოჯახზეც, სამსახურზეც, მომავალ გეგმებზეც... თუმცა ლის საუბრის ხალისი ეკარგება, ახლა მას ძალიან უნდა, რომ ყველამ თავი დაანებოს.

მიუხედავად იმისა, რომ „ჩემი მწვანე თვალები და ლამაზი ტუჩები“ ბანალურ თემაზეა დაწერილი, ის მკითხველს მაინც აჯადოვებს, ასევე ლიტერატორებსაც. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ აღნიშნული მოთხოვბა გამოქვეყნებისთანავე შევიდა საუკეთესო ამერიკული მოთხოვბების ანთოლოგიაში. რით შეიძლება ავხსნათ ეს? ალბათ იმით, რომ დიდ ხელოვანს ბანალურ თემაზეც კი შეუძლია სულშიჩამნვდომი მოთხოვბები წეროს.

ძველინდური ესთეტიკის მეშვიდე პოეტური განწყობა ზიზღია, „რომლის მიღწევაც სასურველია რაღაც სიმახინჯის მაღალმხატვრული აღნერით. დამხმარე ფაქტორებია — აგზება, სევდა, შიმისა და შეშფოთების შეგრძნება, უსიამოვნო ნინათგრძნობა. დომინანტი ფერია მწვანე“. მეშვიდე მოთხოვბაში სელინჯერმა მაღალმხატვრულად აღნერა სიმახინჯე — ცოდვის სახით, და მართლაც, ცოდვაზე მახინჯი ამქვეყნად არაფერია.

ინდოელი ბრძენებაცები მომდევნო, მერვე პოეტურ განწყობად გაოცებას მიიჩნევან. მათი აზრით, ადამიანი შეიძლება გააოცოს არა მხოლოდ ყოფითმა მოვლენებმა, არამედ უცნაურმა ხილვამაც. სასურველია ყოველივე ამას წინ უძლოდეს „განცდების მთელი გამა: მოუსვენობა, სიხარული, შთაგონება, აღფრთოვანება...“

ვნახოთ, როგორ ვითარდება მოვლენები სელინჯერის მერვე მოთხოვბაში „დე დომ-

იე-სმიტის ლურჯი პერიოდი“ ნაწარმოების მთავარი გმირი ოცდათორმეტი წლის მხატვარია, რომელიც იმ ამბებს გვიყვება, სიყმანვილეში რომ გადახდენია. 1939 წელს, როცა დედა გარდაეცვალა, ის ჯერ კიდევ ცხრამეტი წლის, პარიზში გაზრდილი ყმანვილი იყო. ამ უბედურების შემდეგ კი იძულებული გახდა მამინაცვალთან გადასულიყონიუ იორკში საცხოვრებლად. უცხო ქალაქმა მხატვარს სიმშვიდე დაურღვია. მას იქ ყველაფერი აღიზიანებდა და მიუხედავად იმისა, რომ სამხატვრო სკოლაში სწავლობდა, მაინც ცდილობდა ამ საძაგლე ქალაქს როგორმე გაცლოდა. და აი, გაზეთს რომ ათვალიერებდა, ერთხელ ასეთ განცხადებას წააწყდა: „გვესაჭიროება უმნიკვლო რეპუტაციისა და ორი ენის, ინგლისურისა და ფრანგულის მცოდნე კვალიფიციური პედაგოგი“. ეს მონრეალის ფერწერის დაუსწრებელი სწავლების კურსების დირექტორის, მუსიკი იოშიტოს განცხადება იყო. ქალაქიდან წასვლის პერსპექტივის გამოჩენით გახარებული მხატვარი სკოლის დირექტორს თავის მონაცემებს უგზავნის, სადაც 29 წლის ცნობილ ფრანგ მხატვრად, ონორე დომიეს ნათესავად და პაბლო პიკასოსთან დაახლოებულ პირად წარმოაჩენს თავს, რომლის რჩევითაც, თურმე, გამოფენის მოწყობისგან აქამდე თავს იკავებდა. ყმანვილის ფანტაზიორობას უკვალოდ არ ჩაუვლია, მისი კანდიდატურა მოიწონეს. ახალგაზრდა მხატვარი მონრეალში გაემგზავრა. სწორედ აქედან იწყება სიურპრიზების მთელი სერიაც, მკითხველს რომ აოცებს. მართლაც საოცარია, რომ მონრეალში მას ყველაფერი ხიბლავს, ე.წ. სამხატვრო სკოლა, ქალაქის ერთ-ერთ მიყრუებულ უბანში რომ მდებარეობს, მოუწესრიგებელი, არაფრით გამორჩეული სახლის მეორე სართულზე, რომლის ქვემოთაც ორთოპედიული ნივთების მაღაზიაა; ასევე ოთახი, მას რომ მიუჩინეს (სადაც, ყველაფერს თავი იორმ დავანებოთ, სკამიც კი არ დგას). დიახ, ყმანვილი ნიუ იორკში თავს უბედურად გრძნობდა, მიუხედავად იმისა, რომ მდიდრულ სასტუმროში ცხოვრობდა, მონრეალში კი უსკამო ოთახიც მონონს. თუმცა, ეს მხოლოდ დასაწყისია, მთავარი მოულოდნელობები მკითხველს წინ ელის. და აი, ყმანვილის ცხოვრებაში, რომლის მოვალეობასაც სტუდენტების გამოგზავნილი სურათების გადათვალიერება და მათთვის რეკომენდაციების მიცემა წარმოადგენდა, ახალი უცნაურობები ხდება. მაინც რა მოულოდნელობებზეა საუბარი? ან

რა სიურპრიზები ელის წინ მკითხველს?

მუსიკი იოშიტოს გადმოცემულ ნამუშევრებში მონაზონ ირმას ნახატიც აღმოჩნდა, წმინდა იოსების ორდენიდან. დედა ირმა „მზარეულობასა და ხატვას“ ასწავლიდა მონასტრის დაწყებით სკოლაში, ტორონტოს მახლობლად. საკუთარი ფოტოს ნაცვლად მონაზონს მონასტრის სურათი ჩაეკრა მითითებულ ადგილას საბუთებში. ასევე შეუვსებელი იყო ის გრაფაც, სადაც სამხატვრო სასწავლებლის სტუდენტს ასაკი უნდა მიეთითებინა.

დედა ირმას სურათი აკვარელით იყო შესრულებული. მცირე ზომის მიუხედავად, მასზე მაინც საკმაოდ ბევრი ადამიანი იყო გამოსახული: იოსებ არიმათიელი თავისი ორი მსახურით, მაცხოვარს რომ მიასვენებდნენ; გაღილეველი ქალი, მგლოვიარე ხალხი, ბავშვები... თუმცა, ყმანვილს ყველაზე მეტად მარიამ მაგდალინელი დამახსოვრდა, უფრო სწორად, ყველასგან განცალკევებით მდგარი ქალი, რომელიც მან მარიამ მაგდალინელად მიიჩნია. სურათმა ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მხატვარზე, რომ გადაწყვიტა დირექტორისგან დაფარულად პირად წერილი მიენერა დედა ირმასთვის. რამდენიმე პროფესიული რჩევის მიცემის შემდეგ, რომელიც უშუალოდ ნახატს შეეხებოდა, ყმანვილი მონაზვნის ასაკითაც დაინტერესდა. ასაკის ცოდნა, როგორც თავად განმარტავდა, პედაგოგიურ საქმიანობაში წაადგებოდა. იმავე მოტივით მხატვარი მონაზონს შეხვედრასაც თხოვდა, რაღა თქმა უნდა, თუკი მონასტრის განაწესი მსგავს შეხვედრებს დასაშვებად მიიჩნევდა. ბოლოს ყმანვილი აღნიშნავდა, რომ დედა ირმა გამორჩეულად ნიჭიერი მხატვარი იყო და თუკი ამ ნიჭს განვითარებდა, შესაძლოა დაესმე გენიალურიც კი გამხდარიყო.

ახალგაზრდა მხატვარი მოუთმენლად ელოდა საპასუხო წერილს და აი, ისიც მოვიდა, თუმცა, არა დედა ირმასგან, არამედ მონასტრის წინამდღვრისგან, რომელიც სამხატვრო სკოლის დირექტორს ამცნობდა, რომ მის მონაზონს სწავლის გაგრძელება კატეგორიულად ეკრძალებოდა. სასონარკვეთილი დომიე-სმიტი კიდევ ერთ წერილს წერს, თუმცა მას რატომდაც აღარ აგზავნის. სწორედ აქედან იწყება უცნაურობათა მეორე ტალღაც. ყმანვილს უყვარდება მონაზონი. მსგავსი რამ ქრისტიანულ სამყაროში სამწუხაროდ ხდებოდა. ისტორიას ახსოვს შემთხვევები, როცა არათუ ვიღაც გნოსტიკოს მხატვარს, არამედ თავად

ეპისკოპოსსაც კი შეყვარებით თავისი მონაზონი და ყოველგვარი საეკლესიო წესების დარღვევით ცოლადაც კი მოუყვანია... დიახ, ამქვეყნად ბევრი რამ მომხდარა, ზოგჯერ ისეთიც, რომ ადამიანს გაოცების უნარიც კი დაუკარგავს, მაგრამ როცა ვინმეს მონაზონი უყვარდება, თანაც ისე, რომ არც ცხადად უნახავს, არც სიზმრად და რაც მთავარია, არც მისი ასაკი იცის, ეს ნამდვილი საოცრებაა. რატომ წარმოიდგინონ ყმაწვილმა, რომ „ქრისტეს დაკრძალვის“ შემქმნელი მაინცდამაინც თვრამეტი წლის უნდა ყოფილიყო? ნუთუ არ შეიძლებოდა კარგი სურათი ასაკოვან ადამიანსაც დაეხატა? თუმცა, სელინჯერის მოთხოვნაში ყველაფერი სხვაგვარად ხდება, მხატვარი ისე მტკიცედაა დარწმუნებული მონაზონის ახალგაზრდობაში, ნატრობს კიდეც, რომ მას საბოლოო აღთქმა ჯერ კიდევ არ ჰქონდეს დადებული, რათა ერთად ყოფნა შეძლონ. რითი თავდება ეს უჩვეულო ამბავი?

ორთოპედიული მაღაზიის სიახლოეს მყოფ მხატვარს უეცრად ეჩვენება, რომ მომწვანო-მოყვითალო შიფონის კაბაში ჩაცმული ქალი ვიტრინაში ხის მანეკენს ბანდაჟს უცვლის. მოულოდნელად ქალმაც დაინახა მხატვარი, განითლდა და ბანდაჟი ხელიდან გაუვარდა... რამოდენიმე წამში ვიტრინასთან მდგომ მხატვარს ასეთი ხილვა ეწვია. თითქოს მზე ადგილს მოწყდა და დიდი სიჩქარით მიუახლოვდა. დაბრმავებული და შეშინებული მხატვარი წონასწორობის შესანარჩუნებლად ვიტრინას მიეყრდნო. როცა გონის მოეგო, ვიტრინაში ქალი აღარ ჩანდა, მას იქ მონიკელებული ყვავილების მინდორი დაეტოვებინა... მოგვიანებით თავის საძინებელში ვანმარტოებულმა მხატვარმა დღიურში ასეთი რამ ჩანრეა: „მე ვანიჭებ დედა ირმას თავისუფლებას საკუთარი ბედი განაგოს. ყველანი მონაზვნები არიან“.

რა შეიძლება ითქვას ყოველივე ამის შესახებ? გარდა იმისა, რომ მოთხოვნის მთავარი პოეტური განწყობა გაოცებაა, მასში აშკარად იგრძნობა ხაკუინ ოსეს კოენის „ერთი ხელის“ გავლენაც, რადგან წანარმოებში ნაჩვენებია, როგორ იღლვევა ლოგიკის კანონები, როგორ ცდილობენ ტაშის შემოკვრას მხოლოდ ერთი ხელით...

## II ტედი

„რამდენიმე წლის წინათ მე გამოვაქვეყნე უჩვეულოდ დასამახსოვრებელი, დაუკინებარი, უსიამოვნოდ ყბადაღებული და

სრულიად წარუმატებელი მოკლე მოთხოვნა ერთ „ნიჭიერ“ პატარა ბიჭი, რომელიც ტრანსატლანტიკური ლაინერით მოგზაურობს...“ ასე აფასებს სელინჯერი თავის მოთხოვნას „ტედის“ და ჩვენც უნებლიერ გაოცება გვიყიდვის. მართლაც, როგორ შეიძლება წანარმოები ერთდროულად იყოს დასამახსოვრებელიც და უსიამოვნოდ ყბადაღებულიც, დაუკინებარიც და წარუმატებელიც? თუმცა, მოთხოვნას წაკითხვის შემდეგ ვხვდებით, რომ მწერალი გარკვეული თვალსაზრისით მართალი იყო, მან ნამდვილად ობიექტურად შეაფასა საკუთარი წანარმოები...

„ტედი“ მეცხრეა სელინჯერის წიგნში „ცხრა მოთხოვნა“, ამიტომ მას მსოფლმხედველობრივად შემაჯამებელი ფუნქციაც კი ეკისრება. მასში უფრო დეტალურადაა დამუშავებული ის თემები, რომლებიც „ბანანათევზას ამინდშიც“ გვხვდება. ამ თვალსაზრისით ის კრავს ცხრავე მოთხოვნას, აკავშირებს რიგით პირველს — მეცხრესთან. „ტედი“ იმ მხატვრულ ნაწარმოებებს მიეკუთვნება, რომელიც სულ ცოტა ორჯერ მაინც უნდა წაიკითხო, რადგან პირველი წაკითხვისას რაღაც უკმარისობისა და გაურკვევლობის მსგავსი გრძნობა გვეუფლება. პირველ ჯერზე მკითხველი, ალბათ, ვერც შენიშვნას, თურა დატვირთვა ენიჭება ტედის კომენტარს ზედა გემბანიდან გადაგდებულ ფორთოხლის ქრექებზე, ოკეანის წყალში რომ ტივტივებს, შემდეგ კი იძირება. რატომ ამბობს: როცა ჩაიძირება, ჩემს ცნობიერებაში მაინც განაგრძობს არსებობას. მოგვიანებით კი რად იმეორებს მსგავს ფრაზას, ოლონდ ახლა უკვე საკუთარ თავთან დაკავშირებით: როცა ამ კაიუტიდან გავალ, მხოლოდ ჩემი წაცნობების მეხსიერებაში განვაგრძობას არსებობას. რატომ ადარებს ტედი იკერანები ჩაიძირულ ფორთოხლის ქრექებს საკუთარ თავს? ნუთუ ისიც უნდა გაქრეს? ან ვინ არის საერთოდ ეს ფილოსოფოსი ბიჭუნა?

ტედი მაკარდლი ზებუნებრივი შესაძლებლობების ათი წლის ბავშვია, რომელიც ევროპული მოგზაურობიდან გემით ბრუნდება ამერიკაში, თავის დედ-მამასა და ექვსი წლის დასთან ერთად. ამ პატარა გამხდარ ბიჭს, ლერნამივით წვრილი კისერი და ოდნავ დიდი თავი რომ აქვს, მეცნიერები აკვირდებიან, ის ყურადღების ცენტრშია, მის საუბრებს იწერენ. იმავე გემზე იმყოფება ამერიკის უნივერსიტეტის პედაგოგი, ვინმე ნიკოლსონი, რომელსაც თურმე ბოსტონში

ერთ-ერთ წვეულებაზე ტედის საყტრის ჩანაწერიც კი მოუსმენია. თუმცა მამამისი ვაჟის ზებუნებრივ ნიჭს ცოტა არ იყოს აგდებულად უყურებს, ის დასცინის ცოლსაც, რომელიც შევილის ამ ნიჭის სახალხოდ წარმოჩენის მომხრეა.

მოთხოვთ პირველი სცენა მშობლების  
კაიუტაში ვითარდება. მამა დაჟინებით თხ-  
ოვს ტედის თავისი ახალთახალი ტყაყის ჩან-  
თიდან ჩამოვიდეს, რომელზეც ის ფეხებით  
დგას. ამასობაში ირკვევა, რომ თურმე მამის  
ფოტოაპარატი „ლეიკა“ ტედის უმცროსი  
დისთვის უთხოვებია. გაბრაზებულ მამას  
სურს თავისი აპარატი დაუყოვნებლივ  
დაუბრუნონ. ტედი დედას ლოყაზე კოცნის,  
მამას მაგიდას ულაგებს, რომელზეც სიგა-  
რეტის ფერფლი და ნამწვავები ყრია და  
კაიუტიდან გადის. თუმცა, გასვლის წინ ის  
ამბობს გამოსამშვიდობებულ ფრაზას (რად-  
გან იცის, რომ იმ დღეს უნდა მოკვდეს),  
როცა ნავალ ჩემი ნაცნობების მეხსიერება-  
ში განვადრობა არსებობასო.

მომდევნო სცენა საოკეანო ლაინერის სპორტულ გემბაზე ვითარდება. ტედი თავის უძროს დას პოულობს, ფოტოაპარატს მხარზე კიდებს, კაიუტაში ისტუმრებს და აფრთხილებს, რომ ზუსტად თერთმეტის ნახევარზე ცურვის გაკვეთილზე იყოს. შემდეგ დასცენებისთვის განკუთვნილ გემბაზე ჩადის და შეზღონგში ჯდება, რომ დღიური შეაცვლოს. ტედი 1952 წლის 28 ოქტომბრის ჩანაწერს ასე ასრულებს: „ეს ან დღეს უნდა მოხდეს ან 1958 წლის 14 თებერვალს, როცა თექვსმეტის ვიქები. სასაცილოც კია ამის აღნიშვნა“. უცრად მის რვეულს ჩრდილი დაეცა და ტედიც შეკრთა. მას თავს ამერიკელი პედაგოგი ნამოღგომოდა. ნიკოლსონი იმდენად ახლოს იდგა ტედისთან, რომ, სავარაუდოდ, უნდა ნაკითხა კიდეც, თუ რას წერდა ბიჭუნა. მალე მათ შორის საინტერესო საუბარი გაიმართა. როგორც გაირკვა, ტედი ოქსფორდისა და ედინბურგის უნივერსიტეტებში ყოფილა მიწვეული, სადაც ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული მეცნიერები აკვირდებოდნენ. მოულოდნელად ტედი მოსაუბრეს ეკითხება, პოეტი ხომ არ ხართო, ხოლო როცა ნიკოლსონი უარყოფითად პასუხობს, მშვიდად განაგრძობს: „პოეტები თვით ამინდსაც კი პიროვნულ თვისებებს მიაწერენ. ისინი ემოციებით მუხტავენ ისეთ რაღაცებს, რომლებსაც ემოციები საერთოდ არ გააჩნია“. ტედისა არ ესმის, რატომ ანიჭებს ხალხი გრძნობებს ასეთ დიდ მნიშვნელობას. აი, მა-

გალითად, მამამისი გაზეთის კითხვისასაც კი ნერვიულობს. საერთოდ მის მშობლებს მიაჩნიათ, რომ ადამიანი ადამიანად არც კი შეიძლება ჩაითვალოს, თუკი ის რამეზე არ დარღობს ან არ ბრაზდება. „ნუთუ შენ ემოციები საერთოდ არ გაგაჩნია?“ — უკვირს ნიკოლ-სონს, მერე კი ეკითხება, უყვარს თუ არა ღმერთი. ტედი პასუხობს, რომ მას ღმერთი უყვარს, ოღონდ არა სენტიმენტალურად, რადგან ასეთი სიყვარული ცვალებადია და არამყარი... თურმე ბიჭუნას თავისებური შეხედულებები აქვს მშობლებთან ურთიერთობაზეც. მისი აზრით, ისინი ცდებიან, როცა ცდილობენ ბავშვი შეცვალონ, რადგან უმჯობესია ისეთი შეიცვარონ, როგორიცაა. საერთოდაც, ტედის აზრით, მამაშვილურ და დედაშვილურ სიყვარულს კარგად მიესადაგება სიტყვა „ნათესაური კავშირი“, რადგან ხშირად მშობლებს უყვართ არა თავად ბავშვები, არამედ ის მიზეზი, რის გამოც ისინი უნდა უყვარდეთ.

ცურვის გაკვეთილამდე ტედის ჯერ  
კიდევ ათიოდე წუთი აქვს დარჩენილი. ნი-  
კოლსონი დროს არ კარგავს და კიდევ ერთ  
შეკითხვას უსგამს, ამჯერად უკვე სულთა  
გადასახლების ვედანტურ თეორიაზე.  
როგორც ირკვევა, ტედის არათუ სჯერა ამ  
თეორიის, არამედ ახსოვს კიდეც, თუ ვინ იყო  
ნინა ცხოვრებაში. მისთვის ვედანტა რაღაც  
განსაკუთრებული მოძღვრება კი არაა,  
არამედ მისი ცხოვრების ნაწილიც. თურმე  
მან გასხივოსნების მსგავსი რამ ჯერ კიდევ  
ექვსი წლის ასაკში განიცადა. მაშინ ტედი  
უმცროს დას უყურებდა, რძეს რომ სვამდა  
და უეცრად მიხვდა, რომ ღმერთი ყველგან  
იყო, მის დაშიც და რძეშიც. მას შემდეგ ის  
უკვე სულსხვაგვარდ ალიქამდა სამყაროს.

„— როგორც ჩანს, მედიტაციით შენ რალაც ინფორმაცია მოიპოვე, რამაც დაგარ-ნმუნა, რომ ბოლო ინკარნაციაში წმინდანი იყავი და ინდოეთში ცხოვრობდი“, — ეკითხ-ება ნიკოლასონი.

„— მე წმინდანი არ ვყოფილვარ“, — პა-  
სუხობს ტედი, — „უბრალოდ ვიყავი ადამი-  
ანი, რომელიც სულიერად საკმაოდ კარგად  
პროგრესირებდა“.

ტედის ახსოვს რამაც დაბაძრკოლა მისი სულიერი განვითარება, ინდოეთში ცხოვრებისას. ის შეხვდა ქალს, რომელმაც აცდუნა. შეუსრულებელი კარმის გამო დაისაჯა კიდეც. სწორედ ეს გახდა მისი შემდგომი ინკარნაციის მიზეზი ამერიკაში, სადაც, როგორც თავად ამბობს: „ძალზე როულია სულიერი ცხოვრება, რადგან ხალხს

შერევილი ჰგონიხარ, თუკი ამას ცდილობ“. ტედი არათუ უცხოებს, საკუთარ მშობლებ-საც კი შერევილი ჰგონიათ (მამასაც და ნაწილობრივ დედასაც, რომელსაც ეშინია, ღმერთზე გამუდმებული ფიქრით ჯანმრთელობა არ შეერყას). და აი, ნიკოლსონს აცნობენ რაღაც სინთეზურ რელიგიურ-ფილოსოფიურ მოძღვრებას, რომელიც ძალიან ჰგავს იმას, რაც თავის დროზე ამერიკაში დოქტორმა სუძუკიმ და ვიცეკანანდამ იქადაგეს. ტედიც დაახლოებით მათი ენით საუბრობს:

— ლოგიკა უპირველესი რამაა, რაც თავიდან უნდა მოიშორო... იცი ის ვაშლი, ადამია რომ შეჭამა ედემის ბალში? — ამბობს ის.

ტედის აზრით, იმ ვაშლში ლოგიკა და ინტელექტუალური რაღაცები იყო დამალული და თუკი ადამიანს სურდა ჭეშმარიტებას ჩასწოდომოდა, სწორედ ის ვაშლი უნდა ამოერწყია. მაგრამ უბედურებაც ის გახლდათ, რომ ადამიანთა უმეტესობას ღმერთთან ყოფნას იმ აკრძალული ხილის ჭამა ერჩია, ეშმაკმა რომ შესთავაზა. ამდენი ვაშლის მჭამელი ერთად არასდროს მინახავსო, ამბობს ტედი. არც ამ ნააზრევშია რაიმე ახალი. სწორედ ლოგიკის „დამარცხებით“ ცდილობდნენ ძენის მიმდევრები ჯერ ინტუიციური, შემდეგ კი უკვე სულიერი ჭვრეტის საფეხურზე ასვლას. საამისოდ კი ისინი ხაკუინოსეს კოენს უღრმავდებოდნენ „ერთი ხელით შემოკრული ტაშის შესახებ“. საგულისხმოა, რომ სწორედ ეს კოენი აქვს წამდლვარებული სელინჯერის ცხრა მოთხოვასაც.

დიახ, ტედი თავისი რელიგიურ-ფილოსოფიური მსჯელობისას დაახლოებით იმასვე ამბობს, რასაც ქადაგებდნენ სუძუკი და ვიცეკანანდა. აქედან გამომდინარე ის, რაც მემდგომში ტედიმ უნდა მოიმოქმედოს, ცოტათი უცნაურია და შესაძლოა, მიუღებელიც ტრადიციული ბუდიზმისა და ინდუიზმის მიმდევრებისთვის (რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა რელიგიებზე). მაინც რას აკეთებს ის?

ტედის, როგორც მოთხოვადიან ჩანს, წინასწარმეტყველური ნიჭიც გააჩნია. მთელ რიგ მეცნიერებს, მას რომ იკვლევდნენ, ბიჭუნამუთხრა, როდის რა საფრთხე ელოდათ. გარდაცვალების თარიღების თქმაც კი შეეძლო, უხსნის ნიკოლსონს ბიჭუნა, მაგრამ გულის სიღრმეში მეცნიერებს არც სურდათ ამის ცოდნა, ამიტომ თავი შეიკავა. „მიუხედავად იმისა, რომ რელიგიასა და ფილოსოფიას ასწავლიან, მათ მაინც ძალიან ეშინიათ

სიკვდილის“, უკვირს ტედის. ბიჭუნას აზრით, ჭეშმარიტ მისტიკოსს არც უნდა ეშინოდეს აღსასრულის. ამის საილუსტრაციოდ მას ნიკოლსონთან საუბრის დასაწყისში იაპონური ლექსიდან ნაწყვეტიც კი მოყავს: „ვერავინ ვერ უნდა მიუხვდეს მომლერალ ციკადას, თუ როდის აპირებს სიკვდილს“. ეს ლექსი მშვენივრად ესადაგება ტედის სულიერ მდგომარეობას. ვერც ბიჭუნას შეატყობს ვინმე საუბარში, რომ სულ რაღაც ათ წუთში უნდა მოკვდეს და რომ ეს თავადაც მშვენივრად უწყის. ტედიმ იცის, რომ როდესაც დანიშნულ დროს საცურაო აუზზე მივა, ის დაცლილი დახვდება. ბიჭუნა აუზის კიდესთან დადგება, ფსკერს რომ ჩახედოს. სწორედ მაშინ მიირბენს მასთან უმცროსი და, რომელსაც ტედი მაინც დამაინც თვალში არ მოსდის და ხელს კრავს. ასე დასრულდება მისი სიცოცხლე. ამრიგად, მან ეს ყველაფერი იცის და მაინც არაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ რაიმე შეცვალოს.

ტედისა და ნიკოლსონის საუბარი მოულოდნელად წყდება, რადგან ბიჭუნას თერთმეტის ნახევარზე ცურვის გაკვეთილი აქვს. რამდენიმე წუთის შემდეგ საცურაო აუზზე მისულ ამერიკელ პედაგოგს ყურში პატარა გოგოს საშინელი კვილი ჩაესმის, რაც იმის მომასწავებელია, რომ ტედის წინასწარმეტყველება ასრულდა...

რა შეიძლება ითქვას ყოველივე ამის შესახებ? რატომ არ დაიცვა თავი ტედიმ, თუკი ყველაფერი წინასწარ იცოდა? ან რატომ აქცია უმცროსი და მკვლელად? ის ხომ ძმის შემთხვევითი მკვლელობის გამო, სავარაუდოდ, მთელი ცხოვრება ტრავმირებული იქნებოდა? რას ამბობს ამის შესახებ „ვედანტა“? დააღწევდა კი ტედისნაირი ადამიანი თავს შობა-გარდაცვალების ციკლს? მოთხოვანი მთავარი მიზანიც ხომ ბრაჟმასთან მიახლება და სიმშვიდის მოპოვება იყო? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად, ალბათ, უპრიანი იქნება, კიდევ ეთხელ თუ გავიხსენებთ თავად სელინჯერის სიტყვებს: „რამდენიმე წლის წინათ მე გამოვაქვეყნე უჩვეულოდ დასამახსოვრებელი, დაუვიწყარი, უსიამოვნოდ ყბადაღებული და სრულიად წარუმატებელი მოკლე მოთხოვა ერთ „ნიჭიერ“ პატარა ბიჭზე, რომელიც ტრანსატლანტიკური ლაინერით მოგზაურობს...“

რთულია არ დაეთანხმო სელინჯერს, მოთხოვანი მართლაც დაუვიწყარია, შაგრამ ამავე დროს წარუმატებელიც, რადგან შეუძლებელია იმის წარმოდგენა, რომ ვინმეს

ბრაჟმასთან მიახლება ისეთ მსხვერპლს მოითხოვდა, როგორიც ათი წლის ბავშვის სიკვდილი და მისი ექვსი წლის დის მკვლელად ქცევა იყო. საგულისხმოა ისიც, რომ „ტედი“ სწორედ იმ პერიოდში დაიწერა, როცა მწერალი დაინტერესებული იყო დოქტორ სუმუკისა და ვივეკანანდას მოძღვრებით. მწერალმა ცნობილი იაპონელი ძენის მქადაგებელი 1948 წელს გაიცნო. მას შემდეგ ის განუწყვეტლივ იცვლიდა მსოფლმხედველობას, ხან ძენის მიმდევარი იყო, ხან ინდუიზმის, ხან ტაოიზმის. ქრისტიანული საინტოლოგია, მაჰაკანა იოგა, ურინოთერაპია... აი, მოკლე სია იმ მოძღვრებებისა და მიმდინარეობისა, რომლებითაც სელინჯერი ინტერესდებოდა. შემთხვევით არ აღნიშნა მწერლის ქალიშვილმა, მარგარეტმა, თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში Dr eam Cat cher , მამაჩემს ლაპირი მაჰასაიას მოძღვრება რომ არ წაეკითხა, არც ჩემი მშობლები დაქორწინდებოდნენ და ალბათ, არც მე დავიბადებოდიო. ამ ირონიულ გამონათქვამში, მართლაც, არის ჭეშმარიტების რაღაც მარცვალი და აი, რატომ — ტრადიციული ინდუიზმი არ გამორიცხავდა შესაძლებლობას მეოჯახეც ზიარებოდა ბრაჟმას, პირიქით, ძველი ინდუისტი ვალდებულიც კი იყო გაევლოთხი საფეხური: მოსწავლის, მეოჯახის, განდეგილის და მოხეტიალე ქურუმის. მართალია, ეს წესი თანდათანობით მოიშალა, მაგრამ ძირითადი პრინციპი მაინც უცვლელი დარჩა. ადამიანი თავისი ცხოვრების პირველ საფეხურზე ვალდებული იყო ესწავლა, შემდეგ — დაოჯახებულიყო, შვილები აღეზარდა, დაებინავებინა და როცა დარწმუნდებოდა, რომ მათ მისი მზრუნველობა აღარ სჭირდებოდათ, ნება ეძლეოდა განდეგილადაც წასულიყო. განდეგილობა ერთგვარი მოსამზადებელი ეტაპი იყო კიდევ უფრო მაღალი საფეხურისთვის, მოხეტიალე ქურუმობისთვის. ინდუიზმი ქურუმი, რომელსაც არც სახლი ჰქონდა და არც კარი და ღმერთს მინდობილი მოგზაურობდა, უფალთან ყველაზე ახლოს მდგომ ადამიანად ითვლებოდა. ის ხდებოდა ბჟატი (სიყვარულისა და სათნოების) იოგას მიმდევარი. მოსწავლის საფეხური — ჯნანა (სიბრძნის) იოგაში განაფვას გულისხმობდა, მეოჯახება კი ძირითადად — კარმის (ანუ საქმის) აღსრულებას. ადამიანი, რომელიც თავის მოვალეობას ვერ ასრულებდა ოჯახის წევრებისა და საზოგადოებისადმი, უარყოფითი კარმით იტვირთებოდა და ისჯებოდა სამსა-

რაში (შობა-გარდაცვალების) ციკლში მოხვედრით. ასეთი იყო ინდუიზმში ადამიანის ქცევის კოდექსი. მაგრამ დროთა განმავლობაში არიული საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმები შეიცვალა. მასზე იმოქმედა ბევრმა ფაქტორმა, ერთ-ერთი მათგანი იყო შივაიზმი, ანუ თაყვანისცემა განადგურების ღმერთისადმი. შივა არიელების ღმერთი არ ყოფილა, ის იყო აპორიგენი მოსახლეობის ღვთაება, რომელიც ინდოევროპელმა ტომებმა დაიბყრეს. თავდაპირველად სისხლისმდვრელი რელიგიური ომებიც კი მიმდინარეობდა არიელებსა და ინდოეთის მკვიდრ (როგორც მეცნიერები ვარაუდობენ — ქალდეურ) მოსახლეობას შორის. მაჰაბჰარატაში არის ეპიზოდები ასეულ ათასობით გველის კოცონზე დაწვის შესახებ (გველებს არიელები შივაიტ ქურუმებს ეძახდნენ შივას მესამე თვალის გველის რუდიმენტულ თვალთან მსგავსების გამო). ეს რელიგიური ომები საუკუნეთა მანძილზე გრძელდებოდა, თუმცა, უშედეგოდ. ინდოევროპელებმა ვერ შეძლეს შივაიზმის ამოძირვა, პირიქით, განადგურების ღვთაება შივა, საბოლოო ჯამში, არიულ პანთეონშიც კი შევიდა. საგულისხმოა, რომ შივაიზმი იყო სელინჯერის ერთ-ერთი უსაყვარლესი მოძღვარი ვივეკანანდა, რომელმაც ძალიან დიდი გავლენა მოახდინა მწერლის შემოქმედებაზე. თუმცა, ვივეკანანდა მხოლოდ შივაიზმი არ ყოფილა, ის იყო მოდერნისტიც. მოდერნისტები კი ძველინდურ მოძღვრებას კასტებისა და ადამიანის განვითარების ოთხი საფეხურის შესახებ საერთოდ არ ცნობდნენ. სელინჯერი, როგორც ეს მისი ქალიშვილის, მარგარეტის ირონიული გამონათქვამიდან ჩანს, საწყის ეტაპზე დაინტერესებული უნდა ყოფილიყო თანამედროვე აღმოსავლური მოძღვრებებითა და მქადაგებლებით, ხოლო კლასიკურ ინდუიზმს ის მოგვიანებით გაეცნო. საგულისხმოა, რომ დოქტორ სუმუკის, რომელიც სელინჯერის მოძღვარი იყო, მის სამშობლოში, იაპონიაშიც კი აკრიტიკებდნენ ბუდიზმის მოდერნისტული ინტერპრეტაციის გამო. არატრადიციონალისტ ინდუისტებსაც ჰქონდათ ბევრი სერიოზული ნაკლი, მათგან უმთავრესი თვითმკვლელობისა და სიკვდილის გაიდეალება იყო. მაგალითად, ვივეკანანდა ოდებს უძღვიდა სისხლისმოყვარულ ქალღმერთ კალის, რომელიც შივაიზმი განადგურების ღმერთის შივას მეუღლედ იყო მიჩნეული, ხოლო ერთ-ერთი არაორთოდოქსული მიმდინარეობა, ჯაინ-

იზმი, თვითმკვლელობას ღმერთთან მისვლის გზადაც კი სახავდა. ჯაინისტებს მიაჩნდათ, რომ თუკი ადამიანს არ შესწევდა ძალა დაპირისპირებოდა ცხოვრების ცდუნებებს, რომელთა თავითმკვლელობით მიეღწია ნირვანისთვის. კლასიკური ინდუიზმი კი თვითმკვლელობას გმობდა. უფრო მეტიც, ძველი არიელები ტყეში ხეზე თავის ჩამომხრიობ ადამიანს ემსაურად მიიჩნევდნენ და არც კი მარხავდნენ.

ამრიგად, ორთოდოქსული ინდუიზმის თანახმად, ვერც სიმორი („ბანანათევზას ამინდი“) და ვერც ტედი ვერ მოხვდებოდნენ ნირვანაში დაუსრულებელი კარმისა და თვითმკვლელობის გამო. როგორც ჩანს, სელინჯერი ამას მართალია მოგვიანებით, მაგრამ მაინც მიხვდა, სხვაგვარად ის არც უნდებდა თავისსავე მოთხრობას „უსიამოვნოდ ყბადალებულსა“ და „სრულიად წარუმატებელს“. მით უმეტეს, უფრო გვიანდელ ნაწარმოებში, „ფრენი და ზური“, ის ქრისტიანული თემატიკითაც დაინტერესდა.

ქრისტიანული თვალთახედვით კი ბიჭუნა ტედი, რბილად რომ ვთქვათ, ცოტა არ იყოს „უცნაურიცაა“. საგულისხმოა ისიც, რომ როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1948-63 წლებში სელინჯერი ძალიან სწრაფად იცვლიდა მსოფლმხედველობასა და რელიგიურ შეხედულებებს. მაინც რა უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი? ალბათ, მწერალი თავადვე გრძნობდა, რომ არ იდგა მყარ რელიგიურ ნიადაგზე. ასე რომ, მოთხრობა „ტედიში“ ჩამოყალიბებული რელიგიურ-ფილოსოფიური მოსაზრებები არ შეიძლება მივიჩნიოთ მწერლის საბოლოო პოზიციად, რადგან მისი შექმნის მომენტში სელინჯერი ჯერ კიდევ რელიგიური ძიებების პროცესში იმყოფებოდა. თუმცა, მიუხედავად იმისა, ვეთანხმებით თუარა „ტედიში“ გამოთქმულ რელიგიურ-ფილოსოფიურ პოსტულატებს, ერთი რამ უდავოა, მხატვრული თვალსაზრისით ეს მოთხრობაც საკმაოდ ძლიერია. ასე რომ, თამამად შეიძლება განვაცხადოთ, ის „დაუვიწყარიცაა“ და ამავდროულად „უჩვეულოდ დასამახსოვრებელიც“.



სცენარი ეფუძნება ყველა დროის გენიალური ქართველი პოეტის  
გალაკტიონის დოკუმენტურ ჩანაწერებს და ...მასზე მოგონებებს

„ჩემგვარი კაცი განა შეიძლება ვინმეს უყვარდეს?!“ 37  
(გალაკტიონი)

## რეზო ესაძე

(ზურა სტურუას მონაწილეობით)

# „ომენ ექციო“

(ფსევდონიმი, რომლითაც ხელს აწერდა გალაკტიონ ტაბიძე)

\* \* \*

„... Товарищ, Хаскин...

Г. Табидзе“

სადგური. კოკისპირულად წვიმს. ეტაპით  
გადაჰყავთ ხალხი. უამრავი ბადრაგია. მო-  
ქალაქებს პატიმრებთან მისვლის უფლებას  
არ აძლევენ. უცებ მშვენიერი ამინდი დგება.  
მზე გამოანათებს. ხანდაზმული გალაკტიო-  
ნი სადგურის შენობაშია. ირგვლივ აუტანე-  
ლი სიტუაცია სუფევს. ყველანი გასასვლელს  
მიაწყდებიან. გალაკტიონი ნაკადს მიჰყვება.  
ხალხი ერთმანეთზე გადადის. ისმის შეძახ-  
ილები, ქვითინი. ჩამომდგარ მატარებელს  
ბადრაგის მწკრივი იცავს, ძაღლებით დაძრ-  
ნიან. ვაგონების ფანჯრები ძალიან მაღლაა  
და გისოსებშია ჩასმული. იქიდან მხოლოდ  
გარეთ გამოყოფილი პატიმრების ხელები  
ჩანს. ბედნიერ შემთხვევაში, ხელების ამ  
უკიდეგანო ტევრში, ჭირისუფალი თავისი-  
ანის ხელს ამოიცნობს და იმას ემშვიდობე-  
ბა. ამინდი ისევ იცვლება. წვიმას ქარიც  
ემატება. რუპორში აცხადებენ: **Поезд  
отправляется через минуту.**

ორთქმავალი საყვირს აძლევს, ორთქლს  
უშვებს და ნელა დაიძვრება. მასთან ერთად  
ხალხიც, დგას ერთი ალიაქთი, მატარებე-  
ლი სვლას უმატებს და სრულ სიჩქარეზე  
გადადის. ხალხი წივილ-კივილით მისდევს...

მათ შორის ახალგაზრდა გალაკტიონიც.  
დაცარიელებულ ბაქანზე კედელთან მიყრდ-  
ნობილი მელავებშითავრარგული ხანდაზმუ-  
ლი გალაკტიონი...

\* \* \*

წვიმს. ღამეა. ცრემლებში გაღვრილი  
მთვრალი გალაკტიონი მიბანცალებს.  
კედლები გახეხსა.

— წყეულიმც იყოს ჩემი საშობლო,  
რომელმაც გამწირა მე ქართველი კაცი, წყ-  
ეულიმც იყოს ჩემი სამშობლო, რომელიც არ  
მომეფერა მე!

ჭექა-ქუხილი ეხეთქება კედელს.

— წყეულიმც იყავით თქვენ, ადამიანებო,  
მხეცებო... მიეყრდნობა მწერალთა კავშირის  
ლობეს და წაიფორხილებს.

— სამხეცეს. საძაღლეს. მწერალთა  
სასახლეს ვერასდროს (განაწამები) ვერ  
მიეყუდები.

— Страна Руставели и Маш... Маш...  
Маш... єბ твою мать...

ნაბორძიკედება. ხესთან ჩაიკეცება, სი-  
ტყვებით: „წყეულიმც იყოს ჩემი სამშობლო,  
რომელმაც გამწირა მე, ქართველი კაცი“  
ბუტჭუტებს: „ჰეი მთებო, ღრუბლებო, რა  
მოგდით, რა გემართებათ, ღვინოს მე ვსვამ,  
თქვენ თვრებით...“ „ოცნება ნახაზი საგანთა  
უარით...“ „მღვრიე შენი...“ „შეშლილი  
ფერი...“ „თეთრი ქარები და თეთრი კუბო  
კავკასიონის...“ „მე მხოლოდ მარადი სიმაღ-  
ლე მიშველის, როცა მშობლიურ (ცის) თალს  
შეეშენები...“ შეჰყურებს ცას. წვიმა დიდი  
ხანია შეწყდა. ნაწვიმარზე ცა მოწმენდილა  
და ვარსკვლავებითაა მოჭედილი.

ვიღაც ახალგაზრდა კაცი ანჯლრევს: —  
აბრძანდით, ბატონო გალაკტიონ, აქეთ ნა-  
მობრძანდით. გალაკტიონი მას გაოგნებული  
უყურებს. მოშორებით, მეორე ბიჭი დგას.

\* დასასრული. დასაწყისი „საგურამოN 2(8)

გალაკტიონი: — პაპიროსი მომაწევინე  
ერთი, ბიძიკო...

ბიჭი, რის ვარავაგლახით ფეხზე ნამოაყ-  
ენებს მას, პაპიროსს მიაწოდებს და  
მოუკიდებს:

— ბატონი გალაკტიონ, შინ გაგაც-ილებთ.

მოშორებით მდგარი ბიჭი ეძახის: — წამო,  
კაცო, ვინაა?!

პირველი ბიჭი: — გალაკტიონია, ბიჭო...  
მეორე ბიჭი: — ვინა?

პირველი: — დიდი პოეტია...

მეორე: — მერე რა უნდა მაქანე?

გალაკტიონი გასწორდება,

მოიკრებს და ამბობს: — კაი ბიჭები

თქვენ. გაშორდება. ცოტას რომ გა

მოულოდნელად წაიფორხილებს. ახალ-  
გაზრდა ისევ ეძახის: — გაგაცილებთ, ბა-  
ტონო გალაკტიონ!

გალაკტიონი ხმას არ სცემს. მიღის. მერე უცებ შემობრუნდება:

— კაი ბიჭები ხართ თქვენ! — შესძახებს გალაკტიონი ცარიელ ღამეულ სივრცეს, სა-დაც უკვე აღარავინაა.

\*\*\*

„თბილისი ქალებს დარჩათ! დედებს, ცოლებს, დებს, ქალიშვილებს. მამები, ქმრები, შვილები და ძმები ფრონტზე გაიწვიეთ. ამ გარემოებამ საგრძნობლად შეცვალა სახე ტყილისისა. ღამ-ღამობით იმვათი წესრიგი დამყარდა. შუა ღამიდან გათენებამდე მორიგეობენ დიასახლისები. ქალების დიქტატურა იგრძნობა ყველა დაწესებულებაში. საავადმყოფოებში, სასწავლებლებში, კანცელარიებში, სავაჭრო წერტებში...“

გალაკტიონი, „ტრუბკა“, აფო და უფეხო „ბროდიაგა“ ბაზრის წინა მდებარე ქუჩის ტროტუარზე მოდიან. „ტრუბკას“ ხელში ათლიტრიანი ლვინის ბოცა უჭირავს. ისინი... ბაზარში შესვლას აპირებენ. ამ დროს ჯარისკაცების მწყობრი ნაბიჯის ხმა ისმის. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს გალაკტიონი, „ტრუბკა“, აფო და უფეხო „ბროდიაგა“ წითელარმიელებთან ერთად მწყობრში მოძრაობენ. უკან მანანნალა ბავშვები მოსდევენ. როცა ბაზარს გაუსწორდებიან ბავშვებთან ერთად მწყობრს გამოეყოფიან და გადაუხვევენ. მხოლოდ გორგოლაჭებზე მდგომი „ბროდიაგა“ ჩერდება და მაღლა ხელანეული თვალანთხებული იწყებს მაიაკოესკის „Левый марш“-ის დეკლამირებას.

ბას. მთელი ხმით გაჲყვირის და ზედ გარმონს აყოლებს.

— Ты чего орёш ёб твою мать, общественное спокойствие нарушаешь! —  
დაუცაცხანებს მილიციელი და კისერში მუშტს წაუთაქებს. „ბროდიაგა“ იქვე ჩაქრება და ნაწყენი გაურკვეველი მიმართულებით წავა.

— ამათ რა მოერევა, რა ძალა და რა ენერგიაა, ერთად რომ ამოისუნთქონ, ჩაგყლა-პავენ — ქირქილებდა გალაკტიონი, როცა შეციმდოთაან ერთად მოდიოდა.

გალაკტიონი, აფრ და „ტრუბკა“ ბაზარში  
შედიან. იქ სადაც უზარმაზარი კასრები დგას  
და ღვინო იყიდება. გლეხები გალაკტიონს  
იცნობენ თუ არა, მიიპატიუებენ. იშლება  
პურ-მარილი. კახური სიმღერა. გალაკტიონ-  
მა მოიწყინა — წავალ მე, ბიძიკოებო სახლ-  
ში, ცოლი მელოდება — ამბობს ხანდაზმუ-  
ლი გალაკტიონი.

ახალგაზრდა გაღატიონი გადის სად-  
გურში, საიდანაც ოლია გააცილა. მეკურტ-  
ნეები მას ურიკაზე გაშლილ სუფრაზე იპ-  
ატიუდებენ.

ღამის ვაგზალი. მატარებლების მოძრაობა. მთვარიანი ღამე. როდესაც გალაკტიონს ჩაეძინება, მეკურტნეები მის სადღეგრძელოს სვამენ.

\* \* \*

გალაკტიონი ლოგინზე ისევ იმნაირად ზის, როგორც ნინამ დატოვა... ნახევრად-გახდილი: წელს ზევით — ჰალსტუხი, „საროჩქა“, პიჯაკი — ლენინის ორდენით... წელს ქვევით — დამის საცვლის ამარა და ფეხშიშველი. სასთუმალთან სკამზე დადგმული კერძი ხელუხლებელია. ზის და არაამჭვეული გამომეტყველებით სადღაც იმზირება. ხელში ოლიას მცირე ზომის თოტო-სურათი უჭირავს.

— შენ ჯერაც არ დაწოლილხარ? —  
ეკითხება ღამის პერანგში დარჩენილი ნინა,  
— გაიხედე ზანჯარაში. რომელი საათია?

ნინა გალაკტიონის ხელში შეამტჩნევს ოლიას მცირე ზომის ფოტო-სურათს მაგრამ არათვარს იტყვის.

„ვერ ვარ რაცხა კარგად“, მოულოდ-ნელად ამბობს გალაკტიონი და უგონო მზ-ერას ფანჯარაზე გადაიტანს. ქუჩაში ჩვეუ-ლი ხმაურით ღამის დაგვიანებული ავტობუ-სი ჩაიგრიალებს და ჭერშიც მეზობელი ხმაუ-რობს.

გალაკტიონი: — გადახრა 360 გრადუსით.  
ნინა: — Мы решили, завтра-же утром

тебя укладываем в больницу... ნერვები  
გაქვს მისახედი.

ქუჩაში იმ საათისთვის შეუფერებელი  
ალიაქოთია. მანქანების გაბმული სიგნალე-  
ბი. უწესრიგოდ ჩამვლელთა სტვენა-შეძახ-  
ილები.

— რა ამბევია?! — კითხულობს შემტოთე-  
ბული გალაკტიონი

— არ იცი, რა ამბავია? ცოცხალი იყო  
სისხლი გამოგვწოვა, ახლა მკვდარი აღარ  
გვასვენებს — უკმეხად ამბობს ნინა, გალაკ-  
ტიონის საწოლთან დადგმულ გაციებულ  
ვახშამს ხელს წამოუსვამს, გაიტანს და გავა.

\* \* \*

თბილისი. 1956 წლის მარტი. ქალაქში  
დიდი არეულობაა. ტრანსპარანტებით და  
ლენინ-სტალინის სურათებით აღჭურვილი  
დემონსტრაციებითაა გაფედილი ქუჩები. კაცები  
ყველანი სტალინის ძეგლის მიმართულებით  
იძვრიან. როცა მომიტინგებს მთავრობა  
დენს უთიშავს, ძეგლის ტერიტორიას სანა-  
პიროსა და მშრალი ხიდის გაყოლებაზე ჩარი-  
გიბული კერძო მანქანები ანათებენ.

მომიტინგები კატეგორიულად მოითხოვენ სტალინის პიროვნების რეაბილიტაციას. ძეგლის ტრიბუნაზე დადგმული მიკროფონები ნაძვის ტოტებში ჩადგმულ გამაძლიერებელთანაა დაკავშირებული. ხანდახან გამაძლიერებელი მწყობრიდან გამოდის და ხრიალებს. სიტყვაში გამომსვლელთა ნაკადს ბოლო არა აქვს. ძეგლი მთლიანად გვირგვინებში და პალმებშია ჩარგული. რაიონიდან ჩამოსულ ერთ-ერთ სატელირო მანქანაზე შეგრიმული, ცოცხალი ხელიხელ ჩა კიდებული აონინი და სტალინი დაანან.

ხალხი მოითხოვს რომ ღენიმბა აკოცოს  
სტალინს. მსახიობები ასრულებენ ხალხის  
მოთხოვნას. გრიალებს ტაში და მოწონების  
შეძახილები. ვიღაც მიკროფონში მოითხოვს,  
რომ ყველამ უკლებლივ მუხლებზე დაიჩო-  
ქოს და ერთად იმღეროს „გორის ციხესთან  
სახლი დგას“. ხალხი მოითხოვნას ასრულებს.  
სასწრაფოში მწოდილი გალაკტიონი ოდნავ  
გადახსნილი ფარდიდან ხედავს, რაც ხდება  
გარეთ.

არეულობაა უნივერსიტეტის ახლო-მახლო ტერიტორიაზეც. უცებ გალაკტიონი ყურს მოკრავს: ვიღაც, ჰათოსით კითხულობს მის ლექსა, „თასი“: — „ხელში ვიღებ თასს სათოვერძეოს ათასს და ათასს...“ ა.შ.

გალაკტიონს წუთიერად ავინუდება  
სადაა, სანოლზე წამოჯდება, ფარდას ბო-  
ლომდე გადასწევს. გალაკტიონს სტუდენტ-

ები შეამჩრევენ, მანქანას შემოექვევიან. მძღოლს აიძულებენ მანქანის უკანა კარები გააღოს.

— ბატონი გალაკტიონ, გვითხარით  
რამე, რა ვქნათ?

— ტემპერატურა მაქვს მაღალი, სიცხე მაქვს ძამიკოებო, — ცდილობს მოგერიებას გალაკტიონი.

მანქანა მიღის.

\* \* \*

ରୂପର୍ଯ୍ୟୁସିନ୍ଦ୍ରବ୍ୟୁଲ୍ଲୀ କ୍ଷାଲାଜୀଳି କ୍ଷୁର୍ବିଦ୍ଧି ଶେବାର-  
ଅଲ୍ଲେବ୍ୟୁଲ୍ଲୀ ସାମିଶ୍ଵରନ୍ଦ୍ରେବି ତାତ୍ରବ୍ୟୁଲ୍ଲୀରେବେନ.  
ୟୁଗେଲାଭରିଦାନ ହିନ୍ଦୀ, କ୍ଷାଲାଜୀଶି ଡାଦାବ୍ୟୁଲ୍ଲୀ  
ଶିଥୁରାଫୁରା. ଆରାଲୋନି ସାମିଶ୍ଵରନ୍ଦ୍ରେବି ଏହା-ଏହ  
ସାଲ୍ଲେବ୍ୟୁଲ୍ଲୀ ସାବ୍ୟରାବ୍ୟେଦିଶ୍ଚେତ୍ରା ଗାନ୍ଧଲାଗ୍ରେବ୍ୟୁଲ୍ଲୀ.  
ଉନିବ୍ୟେରଣ୍ଟିକ୍ରିତିକ୍ରିତି ସାବ୍ୟରା ଡାରଦାଠି ଶତ୍ରୁ-  
ଛେନ୍ତି-କେବଳଗନ୍ଧବ୍ୟୁଲ୍ଲୀତାବା ଗାନ୍ଧେବ୍ୟୁଲ୍ଲୀ.

პრეზიდიუმში ტევა არაა.

ტრიბუნაზე გამომსვლელი ადანა-  
შაულებს უნივერსიტეტის პარტიულ ორგა-  
ნიზაციას, კომკავშირის კომიტეტს, რექ-  
ტორატისა და პედაგოგიურ საბჭოს, პირადად  
რექტორს, რომ ყველაფერში რაც ახლა ახ-  
ალგაზრდობაში ხდება, დამნაშავეა ის მანკ-  
იერი აღზრდის მეთოდი, რომელიც უნივერ-  
სიტეტშია დანერგილი.

გამომსვლელს სიტყვას რექტორი ან-  
ყველინებს.

— აღზრდის მეთოდის რა მანეჯერებაზე  
ლაპარაკობთ, ძვირფასო, — ამბობს ის —  
ახალგაზრდები სწორედ იმას მოითხოვენ,  
რასაც ჩვენ მათ ჩავჩიტინებდით: ლენინის  
გვერდით სტალინს და არა სხვა ვინმეს.

— ე.ი.ხრუშჩოვს არა?!

მუშატის ქნევით ფეხზე წამოხტება ვილაც. დარბაზში უსტვენენ. გამაყრულელი ღრიან-ცელია. მდგომარეობა უმართავი ხდება. უცებ სააქტო დარბაზში გალაკტიონი შემო-დის.

მოულოდნელობისგან ყველა გაისუსება.

გალაკტიონი, მისთვის დამახასიათებელი ოლიმპური სიდაცადით ტრიბუნისაკენ მიემართება, სცენაზე ადის, პორტფელიდან რაღაც ფურცელი ამოაქვს და არაამქვეყნიური შემართებით კითხულობს „მთაწმინდის მთვარეს“, ცნობილი პაუზით კითხვას ამთავრებს და როგორი ღირსებითაც მოვიდა, იქაურობას ტოვებს. დარბაზი მაშინვე ჯარიელდება.

\* \* \*

ფონეში სტალინის დიდი სურათი კიდია. კუთხევში — გაზეთების ჯიხურია. კარგიში

დგას კარისკაცი.

კარისკაცი: — Вы к кому?

გალაკტიონი: — К врачу Пондоеву, Меня у Вас, еще вчера уложили.

გალაკტიონი პალტოს გარდერობში აბარებს. პორტფელით ხელში კიბეს დინჯად აუყვება. წინ ექთანი ხვდება.

ექთანი: — Галактион Васильевич, Вы опять к нам пожаловали.

გალაკტიონი: — Да, რაღაც ვერ ვგრძნობ, ბიძიურ, თავს კარგად. გუშინ მომათავსეს, მაგრამ დღეს გადაუდებელი საქმის გამო გავედი.

ექთანი: — Врач у себя.

პონდოევი: — О, проходите Галактион Васильевич, а мы Вас ищем, вроде Вы вчера прибыли, а Вас всё нет и нет.

გალაკტიონი და პონდოევი ერთმანეთის პირისპირ სხდებიან.

— На что жалуетесь Галактион Васильевич.

გალაკტიონი: — Что-то мне нехорошо. Устал, руки дрожат, нервы, нервы ни как не могу успокоится... Голова болит, жутко.

პონდოევი: — Давление высокое, Вы не принимаете лекарств?

(პარალელურად წენვას უსინჯავს)

გალაკტიონი: — Иногда.

პონდოევი: — У Вас высокое давление. (ნამალს აძლევს და წყალს უსხამს)

— Головные боли у Вас часто бывают?

(გალაკტიონი ორივე ხელს თავზე იჭრს).

— Почти не сплю.

პანდოევი ზარს მისცემს.

შემოდის ექთანი. (პანდოევი ექთანს): — Тов. Табидзе нужно снять (აჩვენებს თავზე). ...Приготовьте нам всё.

ექთანი გადის.

პონდოევი: — Ну, Галактион Васильевич, пойдёмте вияснить что у вас в голове.

გადიან დერეფანში. შეჰყავთ ტომოგრაფიულ ცენტრში. აწვენენ. თავზე აპარატს უერთებენ. აპარატი ირთვება და მაჩვენებელი ჩამნერზე სირბილს იწყებს. გალაკტიონი თვალებდასუჭული წევს. მას სახე, ტანი და ხელები ხერვიულად უთროის. ისეთი მიუკარებელი და უხეში მამაკაცი ემსახურება, მისი ქცევა გალაკტიონში არასა-სიამოვნო მოგონებას იწვევს:

ხალხმრავალ ქუჩაში გალაკტიონს (მხარზე) უხეშად აჩერებენ. გალაკტიონი მიიხედვას. მის უკან სამხედრო ფორმაში გადაცმული ვიღაც არასასიამოვნო გარეგნობის პიროვნება აღმოჩნდება.

— Товарищ Табидзе, я лейтенант Шафиров. Вы на присланную нами записку не ответили. Тем не менее Вам неотложное дело. Разговор конфиденциальный. Следуйте за нами.

ახლა მეორე მხრიდან ადებენ ხელს გალაკტიონს და მოახედებენ. გალაკტიონმა არ იცის, საით გაიხედოს. შეცბუნებული გალაკტიონი КГБ-ს შენობაში შეჰყავთ. გრძელ დერეფანს გაივლიან. ოთახში, სადაც შედიან, დგას მაგიდა მკვეთრი, თვალისმძრელი შუქის მქონე ლამფით. რაც უფრო ლამფის აქტე განათებულია, მით უფრო მის უკან უკუნი დგას. სიბნელეში არავინ ჩანს. მაგრამ ეტყობა იქ ვიღაც ზის: ამას ადასტურებს ხანდახან სინათლეში შემოსული მისი ხელი და პაპიროსის წევისას ვიღაცის ამონაბოლქვი. გალაკტიონს აქმარტო ტოვებენ და ზურგს უკან კარგებს უკეტავენ.

— Садись, — ამბობს უხილავი ხმა.

ახალგაზრდა გალაკტიონი შეეცდება სკამი გამონიოს, მაგრამ აღმოჩნდება, რომ ის იატაცზეა მიღულებული. გალაკტიონი უხერხულად ჯდება:

— В чём дело, мне сказали... უხილავი ხმა ანუვეტინებს: — Вопросы задавать будем мы.

ჩამოწება მძიმე პაუზა.

სიბნელე:

— Известно ли Вам товарищ Табидзе что ваша супруга, Окуджава Ольга Степановна состоит в тайной контрреволюционной антигосударственной организации?

გალაკტიონი: — Что Вы... вы заблуждаетесь, Оля настоящий стопроцентный коммунист. Она совсем юной в 1917 году вступила в ряды...

— Достаточно! — თქვა სიბნელემ სრულიად მოულოდნელი მხრიდან და გალაკტიონისთვის უცებ გასაგები გახდა, რომ ოთახში არა ერთი (როგორც ამდენ ხანს ეგონა) არამედ ორი და შეიძლება მეტი პიროვნება არის, რომელსაც გალაკტიონი ვერ ხედავს. გალაკტიონი უფრო დაიძაბება.

— Вашу жену в 1929 году арестовали за антисоветские высказывания и исключили из партии.

— Да, но её оправдали, — гаლაკტიონი შეეცადა ხმისთვის დამაჯერებლობა მიეცა.

— Ей дали шанс, — სიბნელეში დამალულ ხელს გამოჰყოფს პირველი ხმა და ავის მომასწავებლად თითოის ქნევას დაიწყებს. მას (რატომღაც) საჩვენებელ თითზე ბეჭედი

აქვს წამოცმული.

— Ей дали шанс, который она не использовала.

— Кстати, — гаნაგრძობს აქამდე უცნობი ხმა.

— Вы тоже были арестованы... 1924 году за антисоветские выступления. Ты даже умудрился — аქ უკვე შენობით განაგრძობს პირველი ხმა, — напечатать аж целую поэму. სიბერელეს ახლა უკვე მესამე (რატომ-დაც) ბავშვის ხმა მიერაცა და მონაცვლეობით კითხულობენ, ნაწყვეტს გალაკტიონის პოემიდან.

პირველი: — მთელი სამი დღე გაგრძელდა სროლა, სისხლიც

მეორე ხმა: — ათოვდა. ორი მრისხანე სტიქიის ბრძოლა...

ბავშვის ხმა: — დაჭრილი, მკვდარი, მრავალი მსხვერპლი მსხვერპლს...

პირველი ხმა: — ეფარება სახელების ნაცვლად ნაცარი...

მეორე ხმა:

— ფერფლი...და ა.შ. მგლოვიარება,  
გამარჯვებული სასტიკი ხელით  
აღრჩობენ ტყვეებს,

ჰკაფავენ, ხვრეტენ,  
ხალხის სახელით უსპობენ დღეებს..."

სიბერელე ყეფს. ამ მისტერიის ფონზე გასურათდება გალაკტიონის მოგონებები: ცეცხლი. სახლები იწვის. ქალები წივილ-კივილით გარბიან. ჩვილი უმნეოდ დაბობდავს მკვდარი დედის მკერდზე. წითელარმიელები, ადამიანებით გატენილ სატვირთო ვაგონებს ტყვიამფრქვევებით ცხრილავენ. კვნესა-გოდება-სისხლი ერთმანეთშია არეული. რკინის გისოსებიდან გამოყოფილი ხელების ტევრი ნელ-ნელა მეჩხერდება და უკანასკნელი ხელის ჩაფუშვისას სისხლი უკვე იმ სიმაღლიდან გადმოდის და სივრცე ტირის.

მაგიდაზე აპრახუნებენ.

სამივე ხმა ერთად — Почему молчите?

გალაკტიონის წინ მხოლოდ სიბერელეა:

— У входа в вашу квартиру у порога с внутренней стороны под полом между первой и второй балками обнаружено...

აპარატის ქვეშ მწოდებელ გალაკტიონს მექანიკოსი უხეშად ანჯლრევს და სიბერელის ხმის კატეგორიულობით უკვე მერამდენედ მოითხოვს მისგან რომ ის გვერდზე გადატრუნდეს. თუმცა გალაკტიონი მოთხოვნას ასრულებს, მაგრამ მოგონებებს თავს ვერ და ვერ აღწევს.

## გალაკტიონის უბის ნიგნაკიდან

„...უნდა დავუბარო ვინმეს, რომ პატივი სცენ მინა ომიაძეს, მშიერი ვიყავი და ორი სადილი მაჭამა... გახდა ცხრა საათი. დახურეს სამკითხველო. ძალაუნებურად უნდა გამოვიდე და ვიხეტიალო.

თოვს. ხეტიალი ავადმყოფისა და უფულო კაცისა ღამით.“

...გალაკტიონი შედის სადარბაზოში. ბინის კარებში შეტამპიანი წერილია გაჩრილი. ბინაში და ქუჩაში უკუნი სიბერელეა. გალაკტიონი ასანთს გაკრავს, ლამფას აანთებს. ოთახი ამოყირავებულია. იატაქზე მიმოფანტულ ფურცლებს ფეხსაცმელების ანაბეჭდები ატყვია. გალაკტიონი პალტოს ქვეშ რაც თბილი ჰქონდა ყველაფერს იცვამს. ყელზე შარფს შემოიხვევს, თავზე, ყურებამდე ბოხოს ჩამოიფხატავს, წინდების გაუხდელად საწოლში წვება, საბანს თავზე წაიხურავს და გაისუსება. ქუჩას მთვარის სინათლე ანათებს და მისი მკრთალი ანარეკლი ოთახშიც აღნევს. ერთდროულად, ქუჩაში და ეზოში, იწყება, (ვიდაც ვიგინდარების წარმოდგენით), უკვე შეკვეთილი მისტერიის დემონსტრირება.

(ქუჩაში, — ფონი: ყალბი, ნაძალადევი, გაბმული ხარხარი).“

პირველი ჩრდილი — ...Я лично не признаю поэзию Галактиона Табидзе!

მეორე ჩრდილი: — Тоже мне король поэтов! ვინ ხერია, ...მითხარით — Меня там не было — когда его избрали! Шарлатан и самозванец!

გალაკტიონი საბნიდან თავს გამოყოფს და დააყურადებს. ხმა მიწყდება, მაგრამ ახლა მისტერია ეზოში გრძელდება.

პირველი ხმა ეზოდან: — Галактионова поэзия... это МОПСИ поэзия. (ისევ ის ფონი: ნაძალადევი, გაბმული ხარხარი)

გალაკტიონი საწოლზე წამოჯდება.

მეორე ხმა (რაც ძალა აქვს გაპკივის): — Галактион, Галактион!

გალაკტიონი ცდუნებას ვერ უძლებს. დგება. ფანჯარასთან მიდის. „ვინ არიან?“ ჩრდილები შეამჩნევენ, რომ ფარდა შეირხა. ერთი მათგანი შარვალ-ნიფხავს ჩაიხდის, მეორე ასოს ამოყრის, პირველი უკანალს მეორე ასოს მიუშვერს და ეპატიუებიან: — Вот тебе, король поэтов!.. და თეთრად შეღებილი კედლის ფონზე, მკრთალი განათებით, ფანჯრებზე მომდგარი ძილდამფრთხალი მეზობლების თანდასწრებით მიმდინარეობს შეწუხებული მთვარის მისტერია.

გალაკტიონი თვალს ახელს. თავზე ხსნიან  
აპარატურას. ექთნის ხმა: — **Вам плохо?**

გალაკტიონი: წყალი შორს გაქვთ აქედან?  
ექთანი ეხმარება ჩაცმაში. უკრავს  
ღილებს. **Пойдёмте к врачу, он вас ждёт.**  
გასვლისას ღია კარებში შემხვედრი ექთანი  
გალაკტიონს ჭიქა წყალს აწვდის. გალაკტიონი შესვამს ბოლომდე და იტყვის: —  
მშობლიური წყალი, ყველაზე დიდი წამალი.

\* \* \*

ექვსკაციანი პალატა.

გალაკტიონი კარებთან წევს. ფეხზე მასა-  
ჟს ჩასუქებული ექთანი უკეთებს. კედელზე  
ჩართულია ძველი რადიო. გალაკტიონი უბის  
წიგნაკში რალაცას წერს და პაპიროსს ეწე-  
ვა.

— **Вы очень много курите,** — შენიშვნას  
აძლევს ექთანი.

რადიოსთან ერთად ისმის ავადმყოფი  
სოფლელი მოხუცის საყვედური:

— მაიმუნები. რა იციან მაგათა. მე ფეხი  
მტკივა, იღლიას მისინჯამენ რაღაც ჩხირი-  
თა. კუთხეში გმინავს ავადმყოფი დაკიდებუ-  
ლი ფეხით. შუა პალატაში მწოლ პრესტიულ  
ავადმყოფს გარს მნახველები ეხვევიან სკა-  
მებზე შემომსხდარნი, მისდამი განსაკუთრე-  
ბულ ყურადღებას იჩენენ და რაც ძალაა, ჩას-  
ჩიჩინებენ „გივი, ჭამერა, შენი ჭირიმე. იქნებ  
ეს წინილა გათავაო. ეს სულგუნი ასშია  
ამორჩეული, დააყოლე ამ ბულიონს. აი,  
ხაჭაპურის ნაჭერიც, შენ ხაბიზგინა გიყვარს,  
ხაბიზგინა ხომ არ მოგცე, მიაყოლე რაა, ნუ  
გაგვიტე ხათრს“. ერთი მათგანი ოფლში  
გაწურულ გივის მარაოთი უნიავებს და ა.შ.

კუთხეში მწოლ ავადმყოფს სუდნოს უდე-  
ბენ. რადიო გადმოსცემს:

— В этом году исполняется 100 лет со  
дня смерти Руже де Лилия, автора  
„Марсельезы“. 26 июля, все оркестры  
Франции, в заранее установленный час  
одновременно исполнят „Марсельезу“...

ერთ-ერთი მნახველი რადიოს გამორ-  
თავს.

— რას ერჩი, რატომ გამორთე, ძამიკო, —  
ლოგინზე წამოჯდება გალაკტიონი.

მნახველი: — დამთავრდა, ბატონი, გადა-  
ცემა.

გალაკტიონი: — ჩართე, ბიძიკო, რას  
ერჩი... რას შერები კაცო! ჩართე... მნახველი  
ისევ ჩართავს რადიოს. რადიოში ისმის

გალაკტიონის ხმა — კითხულობს ლექსს  
„მთანმინდის მთვარე“.

„...და აჩრდილნო, მე თქვენს ახლოს  
სიკვდილს ვეგებები  
რომ მეფე ვარ და მგოსანი და  
სიმღერით ვკვდები...“

გალაკტიონი: — დააბრუნე უკან!  
მნახველი: — რაფრა დავაბრუნო?  
გალაკტიონი: — მოიცა მაშინ.  
რადიოდან ისმის გალაკტიონის ხმა, იგი  
ამთავრებს ლექსის თქმას.

თავისი თავით აღტაცებული გალაკტიო-  
ნი ეუბნება ექთანის:

— აჯობა, ნამდვილად აჯობა!  
პალატაში შემოდიან ნინა და ნუნუ. ნინას  
ხელში უჭირავს ბადე, რომელშიც აწყვია  
პროდუქტები.

— ესაა შენი პალატა? — ექთანმა მითხრა,  
სწორედ აქ დალია სული უშანები ჩხეიძემო.  
გალაკტიონი უხერხულად შეიშმუშნება და  
ირგვლივ მიმოხედავს. ნინა იწყებს „სეტ-  
კიდან“ პროდუქტების ამოლაგებას. ა, მაწ-  
ნი. ცოტა ვაშლი. ამ ქვაბში ჰერკულესი.  
შეაბობიე ვინმეს.

ნუნუ „ტუმბოჩერაზე“ თვალს მოჰკრავს  
გალაკტიონის დიაგნოზს. ხმით ჩაიკითხავს:  
„გულის გაფართოება...“

გალაკტიონი: — მაი კაია!..

ნუნუ აგრძელებს: — ნევრასტენია, ჰიპ-  
ერტონია, ქრონიკული ალკოჰოლიზმი.  
სისხლ-ძარღვთა მილების სკლეროზი.

ნინა: — ყველაფერი უბედურება შენ რავა  
გჭირს... ხო, მართლა შენი დიდი ფოტოა  
„ლიტერატურულ გაზეთში“. „სეტკიდან“ ამ-  
ონებს ფსკერზე დაფენილ ოთხად გადა-  
კეცილ დალაქავებულ გაზეთს, დაფერთხავს  
და გალაკტიონს მიაწოდებს. გალაკტიონი  
გამოართმეს. გაოგნებული უყურებს და სი-  
ტყვა ბაზე გადააქვს.

— ჩემი კაეინა რავაა, ბაბუკა არ ენატრე-  
ბა?

ნუნუ: — გკითხულობს ხანდახან, თუ  
შევახსენებთ...

გალაკტიონის გვერდით, მეზობლად მწო-  
ლიარე მოხუცი ლილინს იწყებს.

(ნინა — გალაკტიონის): — ფული გამოგვე-  
ლია. დანერე მინდობილობა, ფული მომცენ  
აკადემიაში. გალაკტიონი ბლოკნოტიდან  
ფურცელს ამოხევს.

ნინა და ნუნუ წასასვლელად ემზადებიან.  
გალაკტიონი მინდობილობას აწვდის.

— წავედით ახლა, ჩვენ ბევრი საქმე გვა-  
ქვს. რამე გინდა?

გალაკტიონი ხელს აწევს ნიშნად „არაფე-

რიო“.

გადიან. გალაკტიონი ქვაბს გადადგამს. გაზეთს აიღებს, მტკიცნეულად დასცერის თავის პორტრეტს, რომელსაც ქვაბის ვირის რკალი პირდაპირ სახეზე გადასდის. მოხუცი ავადმყოფი ლილინით „ტუმბოჩკაზე“ დაწყობილ გალაკტიონის ვაშლებიდან ერთს მიწვდება ფრჩხილებით, გაჩიჩქის და უქბილო პირით ცოხნას დაუწყებს. შემოდის ექთანი:

— К вам посетитель.

გალაკტიონი ტროსტს მოიმარჯვებს და პალატის კარიდან პირდაპირ გისოსებიან კარს მიადგება, რომელსაც სანიტარი მა-მაკაცი დარაჯობს.

— Я Табидзе, — ეუბნება გალაკტიონი კარისკაცს.

კარისკაცი: — А Табидзе. К вам посититель.

გასოსებს იქით ლამაზი ბალტისპირელი ქალი დგას.

— У вас пятнадцать минут — аფრთხილებს დარაჯი.

— Как я рад вас видеть, Ольга Юрьевна! — ქალს გისოსებში ხელს გაუწვდის გალაკტიონი.

ქალი მის ხელს დაიჭერს და ალარ უშვებს.

— Меня здесь изолировали, держат как зверя в клетке. Я должен написать расписку о моей нетрудоспособности. Они хотят растоптать меня как поэта! Скоро в Москве декада Грузинской культуры и литературы.

— Галактион Васильевич, успокойтесь, всё уладится...

— Они всячески стараются, чтоб я не попал на эту декаду.

Ольга Юрьевна — Вы должны взять себя в руки. Я поговорю с глав врачом о вашем возвращении домой.

(ამ დროს კარისკაცი იცვლება. პირველი უხესნის მეორეს რომ ამათი დრო ამოინურაო).

ქალი: — У меня есть связи, я постараюсь помочь вам. через несколько дней вы выпишитесь из больницы, главное возьмите себя в руки.

ამ დროს კარებში კარისკაცი იცვლება და დამხვდური შემცვლელს უხესნის, რომ ამათი შეხვედრის დრო ამონურულიაო.

— Я постараюсь вам помочь, — იმეორებს ბალტისპირელი ქალი — До свидания.

სავადმყოფოს შესასვლელს მიუახლოვდება ფატი ნიშნიანიძე და ვახტანგი. კარისკაცი წინ გადაუდგება.

— Вы к кому?

— ჩეგნ გალაკტიონ ტაბიძის ნახვა გვინდა (ფატი).

კარისკაცი: — Здесь такой не работает. ისმის გალაკტიონის ხითხითი. იგი იქვე მიეგებება მოსულებს. (გალაკტიონი): — „ეს, მაგან კი არა, ჩემმა ცოლმაც არ იცის ვინ არის გალაკტიონ ტაბიძე... რა მინდა მე აქ? წელებზე ფეხს იდგამენ, ქვეყანას ეფიცეპოან, რომ მე ავადმყოფი ვარ და თანაც ფსიქური! აბა, მეგობრებო, აბა! იმდენს იზამენ, მართლა გამაგიუებენ“ (დერეფანში სხდებიან).

ფატი: — ბატონო გალაკტიონ, თავს როგორ გრძნობთ, რა გტკივათ?

(თვალცრუემლიანი გალაკტიონი მიაჩერდება ფატის): „რა მტკივა და გული, ერთი კი არა, ასი რომ მქონდეს ჩემს მდგომარეობაში ყველა გამისკდება.“

— აქ მტკივა აქ (ხელს მიიღებს... ჩამოწვება სიჩუმე)

ფატი: — ბატონო გალაკტიონ, თქვენი პორტრეტია ლიტერატურულში. ძალიან ლამაზად ხართ!

გალაკტიონი უცებ გამხიარულდება. ახითხითდება. ჯიბიდან გაზეთს ამოიღებს. („ვიცი, ბიძიკო, ვიცი!“) გაშლის, ჩნდება გალაკტიონის გასვრილი სახე. გალაკტიონს უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ მას თავზე აღმუოთებული ექთანი დაადგება.

ექთანი: — Галактион Васильевич, почему вы без разрешения вышли?

გალაკტიონი არაფერს ეტყვის.

ექთანი: — Вас ждут, чтобы снять флюорографию.

გალაკტიონი: — აბა, წავედი, უნდა დავემორჩილო...

ვახტანგი (ეძახის): — ბატონო გალაკტიონ, ქალაქის თვითმმართველობა თქვენი დიდი სალამოს მოწყობას გეგმავს. მალე მომჯობინდით.

გალაკტიონი შემობრუნდება, კმაყოფილებით ხელს გულზე მიიღებს, ხელს მაღლა შემართავს. („გმადლობთ, ბიძიკოებო, გმადლობთ“ — ექთანი კვალში ჩაუდგება და ბავშვივით თავჩაქინდრული უკან მიჰყვება).

„...ღჯუკენ! ღჯუკენ! ღჯუკენ!

გ.მ.ნ.ზ.“

(გალაკტიონის დღიურიდან)

ექთანი და გალაკტიონი რენტგენის კაბინეტში შედიან.

— Разденьтесь и удалите все

металлические предметы.

მიმართავს ექიმი გალაკტიონს. გალაკტიონი პიუამოს ჯიბეებიდან ამოალაგებს ყველაფერს, რაც ჯიბეებში აქვს და მაგიდაზე აწყობს. ექთანი ეხმარება პიუამოს გახდაში. ქრეპა ექიმის ნათურა და რთავენ აპარატურას. კადრში ჩანს გალაკტიონის ჩონჩხი, ფილტვები და გული, რომელიც ფეთქავს.

\* \* \*

მწერალთა კავშირი. თავმჯდომარის კაბინეტი. სხედან: თვითონ ო.ა. და რამდენიმე პოეტი. ზოგიერთი მათგანი მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო ნიღბით. უსმენებ ჩვენს მიერ უკვე (საავადმყოფოში მოსმენილ გადაცემას მოსკოვიდან რადიოთი „მარსელიოზას“ ავტორის რუსე დე ლილისა და გალაკტიონის შესახებ). დიქტორი აცხადებს:

— А сейчас дорогие радиослушатели в нашем эфире для вас свои стихи (повторно) прочтет знаменитый Грузинский народный поэт Галактион Табидзе.

ო.ა.: — რა ვქნათ, გალაკტიონი არ წავიყვანოთ მწერალთა ყრილობაზე?

პირველი უსახური ნიღაბი: — სად წავიყვანოთ? ლოთია, შეგვარცხვენს.

ო.ა.: — როგორ არ წავიყვანოთ, ლენინის ორდენისანი სახალხო პოეტია. დღეს მესამეჯერ გადმოსცემს მოსკოვი მის შესახებ.

მეორე უსახური ნიღაბი: (სიცილით) — სახალხო პოეტი კი არა სახალხოდ დასახვრეტია მაგ.

— ... КАК ДЕЛА? რუსო?  
— ДЕЛА? НУ ВОТ: ДЕЛА,  
ДЕЛИ-ДЕЛА ДИЛ-  
ДИЛАВАДИЛА-ДЕЛА!.. უპასუხა რუსმა  
(გალაკტიონის ჩანანერებიდან)

მოსკოვი. სასტუმრო „МОСКВА“-ს ხმაურიანი შემოგარენი.

— Всем меня не помните Галактион Васильевич?!

ვილაც შემოსასვლელში აჩერებს გალაკტიონს და ეხვევა. გალაკტიონმა ვერ იცხო.

— Я вас отправил в Париж на конгресс, помните костюм...

— О, мой дорогой человек, как-же могу я забыть вами купленный костюм.

— Я сейчас в Союзе писателей работаю, если что... ეუბნება უცნობი.

— Благодарю — (ერთმანეთს ართმევენ ხელს) გალაკტიონს შემოესმება ქალის ხმა:

— Галактион Васильевич, нам нужно ваши фотографии для завтрашних газет. Вот Вам фотограф, если соизволите.

შეიყვანებოთახში. ფოტოგრაფი უდებს რამდენიმე სურათს. გალაკტიონი გაპადრულია. ყველა იქ მყოფთ ხელს ართმევს. დერეფანში გამოსვლისთანავე ხვდება რადიოკომიტეტის დირექტორი.

— Для нас большая часть познакомиться с вами Галактион Васильевич. Звонил из госиздата Деев. Просил что бы вы сегодня же зашли к нему. Ждёт. Можете воспользоваться моим служебным автомобилем. Я вас провожу.

გალაკტიონი: — Не буду вас беспокоить — გამარჯობა ძამიკო ეუბნება ვილაცას, ქართველს, რომელიც გვერდით ჩაუვლის.

მოსკოვის ქუჩები. მანქანა. გალაკტიონი კარგ ხასიათზეა.

— ძამიკო, а ты пишешь стихи.

მძღოლი: — Чаго, чаго, Какие еще там стихи.

გალაკტიონი: — У нас все пишут, доходное дело.

მძღოლი: — Как все?

გალაკტიონი: — Вот например Симон пишет Чиковани, Абашидзе пишет, Машавили пишет, Хута... пишет

მძღოლი: — Кто-кто? А что это?

გალაკტიონი: — Откуда я знаю, наш Хута пишет.

რუსიც აყვება ხითხითში.

მძღოლი: — А что писать? Я письма иногда пишу.

გალაკტიონი: — Нет, стихи надо писать, вот например ваш выдающийся поэт Андрей Белый написал замечательное стихотворение.

Осень наступала, холодно стало

Птички гавно перестали клевать

Чужая корова забор обосрала

Ну, погода-же bona мать.

ორივენი ჩაბჟირდებ.

მძღოლი: — Ну грузины бладъ, даёте.

გალაკტიონი ხითხითით შედის შენობაში. კარებში აჩერებებ.

კარისკაცი: — Вы к кому, товарищ

გალაკტიონი ხითხითს ვერ იკავებს. ბლოგოტში გვარს ეძებს.

— Забыл фамилию.

— А что здесь смешного, к кому идете

забыли а сами смеетесь.

— Проходите, Галактин Васильевич — Шорникова б յдаю с դյազո. გալակտիոն մոնուն նենու եղան արտմեզ վարուսաց, մեարծ եղան մոյտատյան դա դյազ մոամուրեան.

— Вас можно поздравить — յունենա դյազо — Сегодная в колонном зале покупают только вашу книгу или портреты Галактиона. Завтра в „Литературной Газете“ будет статья о вас.

— И портрет?

(дյազо ամոնդեան գանցետ դա եղան პորտման ըլ գազերժ դա արդյամեան)

...Вот пожалуйста „Вечерняя Москва“ статья начинается с вашего имени, Звонили из газет „Правда“, „Известия“, „Труд“, „Советская Россия“ просили вашу фотографию.

յեֆօնան սամֆոնիան.

дյազո յդանու մգուան: — Наташа, принеси пожалуйста нам чаю.

(բագանա գալակտիոն) — Вам может быть вино или водку.

гալակտիոն: — Мне только чаю без сахара!

дյազո: — А сейчас давайте поговорим о делах!.. Сколько у вас строчек?

գալակտիոն: — (պայովոյք ըլագ) — 9932 строчек.

...На калькуляторах пересчитывается точнее, Вам пологается больше.

дյազո օդոմիան դա ոներս 9932. մգուան նեմուայան հայո դա լազիոն.

дյազո: — За первую публикацию 20 рублей, а за остальные 14 рублей.

գալակտիոն (ետեսություն): — Хорошо у вас платят.

дյազո: — А у вас?

գալակտիոն: — У нас 3-4 рубля...

дյազո: — Мало, мало для такого поэта, как вы... просто издевательство.

գալակտիոն: — (զոտոմ զյու գաոցանա) յնու նոցնայան րազաւաս ոներս.

дյազո յդանու մգուան.

— Проводи, пожалуйста, Галактиона Васильевича в бухгалтерию. Ему должны выдать гонорар (մոյն բարյան գալակտիոն).

— Вам сейчас выдадут ровно половину вашего гонорара... вторую половину получите в течении недели. յրտման եղան եղան գալուտադա համուրտմեց. մգուան մօցուուն յունենան.

— Бухгалтерия на третьем этаже.

Четвёртая дверь справа. գալակտիոն եղան յմտեցու մգուան դա դաշուրեան մեսան եսարտուն. մեմուց յենան ետարուա:

— Господи, кого я вижу. Дорогой ты мой. յրտման յեցուան.

ետարուա: — Кстати, вы читали сегодняшние „Известия“. (յալո սայաձան ըլս եսնու դա գանցետ գալակտիոն անցուան)

— Вот, пожалуйста, на первой странице ваше стихотворение „Знамена скорей“.

գալակտիոն (ետեսություն): — Товарищ, надеюсь, завтра встретимся в колонном зале.

ետարուա մերժի յեցուա. գալակտիոն ետեսություն — Конечно, среди других товарищней.

գալակտիոն յուզո մերամդենյայեր ամինեան: յրտո սասայուրո პորտուն պալու յացալու դապաց, մացրամ լուսուն ար նեմուան.

մոսկովո. սայեցենան դարձանո. ձարգիւր մուգուուն յուսություն սածոցագուան պատասխան դցան.

...Дорогие товарищи. Я счастлив приветствовать вас - поэтов, писателей России, и хочу искренне поблагодарить вас и приветствовать вас моим новым стихотворением, которое написанно специально к этому дню“.

գալակտիոն յուտեսություն դրում յեն: յուենց ամգարո դարձանո գալակտիոն մերժալու մուսալմեան.

լուցուուն մկան դալու լու, գայր դի յագաեմոյւց յուլո գալակտիոն գամունուն. մկան դի մուսություն րամդեն անուն նոցնու դա նաեւըրա հաւուլու արցուն ծոտլու. նոն մուրման լու յեն մուսալմեան յեն մուսալմեան.

գալակտիոն: — ոչ, ոչ (ույց ոչ, մուրման ար ուցու րոցու մոյւց յուլո), յուր յաս մամունու, տանամում յուն, տանամու յալմու, րակուն յաս յայմարյունու.

մուրման: — յամարյուն ծագուան, ծագուան!

գալակտիոն: — նամո յրտո յեն հիմտան նուրման („ձագարյա“ մայս յեն ձագարյա“).

— նայացետ, յույց ադա նայացետ րակուն յաս.

մուրման: — րոցու, յուրոյւ ծագուան յալմու.

բոմբուուն յամունու յանդրու յանդրու յանդրու.

գալակտիոն: — ա, յուտես յայր յունուն յանդրու (յանդրու յանդրու յանդրու), տաւս անցուն յանդրու յանդրու.

ებს) — ხომ ხარ შენ სანდრუა ისევ იმ აზრზე, რასაც ჩემზე ამბობდი? თუ არ იყავი მაშინ ჭკუაზე?

სანდრო შეიშმუშნება.

გალაკტიონი: — ხომ ვარ მე პირველი პო-ეტი?

სანდრო: — ჰო, კარგ ლექსებს წერ, წერ (მეუღლეს ხელკავს გამოსძებს და სწრაფად იქაურობას გაეცლება. თან ეუბნება). გიუია ეგ ოხერი, ლოთი და აფრაკი.

გალაკტიონი მურმანს ნომერში შეუძლვება.

— ეჱ, წავაგეთ დეკადა, წავაგეთ რაჭუნიკა!

მურმანი: — პირიქით, ბატონი გალაკტიონ, მთელი მოსკოვი აღფრთოვანებულია თქვენით.

— მუავანაძე ჩამობრძანებულა მოსკოვს. გვერდით მოუსვამს სიმონიკა და მისთანები და ინანილებენ ორდენებს და პრემიებს. მარა, აფერია მაი. ა, ეგაა მთავარი (ხსნის ჩემოდანს, რომელიც პირთამდე სავსეა გალაკტიონის პორტრეტებით). ა, შენი „პადადარკა“, მარა ამოარჩიე მარტო ორი/ერთი სახსოვრად და მეორე სახმარად. წარწერა შენი ხელით გაუკეთე — „დედაქალაქში, პოეტების მეფესთან ერთად“. მერე მე რევოლუციას დაგიდებ. გალაკტიონმა სურათებში ხელი ჩაყო, რომელსაც შემთხვევით ოლიას და მისი ფოტო ამოჰყვა, „ამოარჩიე, რომელიც გინდა, ამის გარდა...“

### თბილისი. რედაქცია.

რედაქტორის კაბინეტი, მუშაკებით გარშემოხვეული გალაკტიონი და სახეგაბა-დრული აფო, ორი: დიდი, და ჩენენთვის უკვე ნაცნობი, ...პატარა ჩემოდნით. გალაკტიონი ამაღლებულ განწყობილებაზეა.

— ხომ კარგად, ბიძიკოებო, ხომ კარგად — ყველას ხელს ჩამოართმევს.

— დიას... თქვენ როგორ ბრძანდებით, ბატონო გალაკტიონ.

— ვერ ვარ ბიძიკოებო კარგად, ვერ ვარ, მაგრამ (რედაქტორს მიმართავს) — ა, მარგალიტები მოგიტანე, მარგალიტები. გალაკტიონის ნიშანზე აფო დიდ ჩემოდანს რედაქტორის მაგიდაზე დებს და ხსნის. ყველანი ხელნაწერებით სავსე ჩემოდანს გარს შემოესევიან.

— (გალაკტიონი — რედაქტორს) რედაქტორისა დაგვევალა ძამიკო შენ (ხითხითებს. ჩამოჯდება სკამზე და წერს):

„ბრძანება (ყველანი იცინიან. გალაკტიონი წერს და ხმამაღლა კითხულობს). მე, გალაკტიონ ვასილის ძე ტაბიძე ვბრძანებ, რომ ამხანაგი რედაქტორი დაინიშნოს ჩემი ხელნაწერების და ბიბლიოთეკის დირექტორად. ბრძანება ძალაშია დღეიდან, რაზეც ხელს ვაწერ. გალაკტიონი“. შემოდის მინა: — ვერ ისვენებ მაინც ხომ გალაკტიონ?

გალაკტიონი: — ა, ამხანაგო, სალარო, ფლური მერგება შენგან. და მიაწვდის რედაქტორის წერილს, მაგრამ ხელმოუწერლად.

მინა კითხულობს — აქარაა რედაქტორის ხელმოწერა.

გალაკტიონი (ხითხითებს): — ცოცხალი რედაქტორია აგერ და კითხე.

მინა: — ცოცხალი რედაქტორი კია, მაგრამ კაპიკი არა ჯერ გადმორიცხული და გადმორიცხავენ თუ არა, კაცმა არ იცის.

\* \* \*

თბილისი. ჩამოდგება ტრამვაი. იღება კარები. უკანა კართან ახალგაზრდა კაცი გზას უთმობს გალაკტიონს.

— მიბრძანდით ბატონო... გალაკტიონი პირიქით აქეთ უთმობს მას გზას (იმერული ზრდილობა).

— არა ბატონო, აბრძანდით, ჯერ თქვენ აბრძანდით. გალაკტიონი ახალგაზრდას უთმობს და ტრამვაიში ადის. ახალგაზრდა კაციც უნდა აპყოლოდა, მაგრამ იგივე ასაკის მეორე ახალგაზრდა კაცი მას ქვემოდან ეძახის:

— მანდ რა გინდა, ეგ სხვა ნომერია, აქეთ მოდი. უცნობები მეორე ტრამვაიში ადიან. ვაგონირომ ვაგონს გაუსწორდა, მათ გალაკტიონს შეხედეს და ქუდები მოუხადეს. კმაყოფილი გალაკტიონი ხელით მიესალმა. მერე ნინა სკამზე ბავშვიანი ქალის გვერდით დაჯდა. ბავშვი ტიტინით გალაკტიონის წვერს წაეტანა.

— მოგნონს, ბიძიკო — ხითხითით უბნება გალაკტიონი ბავშვები და ცხვირთან თითს მიუტანს. დედა ბავშვს გალაკტიონს მოარიდებს და ღვინის სუნით შეწუხებული ადგილს გამოიცვლის. ბავშვს გალაკტიონის სკენ გაწვდილი ხელი ჰაერში რჩება. გალაკტიონს თავზე დაადგება კონტროლიორი...

— თქვენი ბილეთი. გალაკტიონი ადგილზე აწრიალდება და ცდილობს სიტუაცია განმუხტოს.

— ჯერ არ ამიღია, უნდა დამაჯარიმოთ? კონტროლიორი ულიმის.

— ამ შემთხვევაში არა. ჩვენ სახალხო

პოეტებს არ ვაჯარიმებთ ბატონო გალაკტიონ (მოუხევს ბილეთს და მიაწვდის). გალაკტიონს გაუხარდება, ჩაიხითხითებს, ჩაიყოფს ხელს ჯიბეში, მერე მეორეში, ეძებს ხურდას.

— თუ არ გაქვთ, არა უშავს — ამბობს კონტროლიორი და უკან მიბრუნდება, სადაც ჯგუფი მგზავრებისა ამოდის. გალაკტიონი ბილეთს დახედავს და თავისითვის ამბობს:

**1941.11.9.** ეს ოლიას დახვრეტის თარიღია. მეორე დღეს კი... **МВД-ში...** შეხვედრა მომიწყვეს (მერვაცი). ბილეთს უბის წიგნაჟში ჩადებს და ჩაიწერს „ბილეთი, რომელშიაც სახალხო პოეტს ფული არ გადაახდევინეს“.

მნიშვნელოვანი ბილეთია, უბედურების აღმინშვნელი. უნდოდა თვალებზე ქუდი ჩამოეფხატა და მხრით ფანჯარას მიყრდნობოდა, მაგრამ ამ დროს ტრამვაის გარედან სამი ბიჭი შემოახტება და ფანჯარაში იჭყიტებიან.

გალაკტიონი: — რას შვრებით ბიძიკოებო, არ ჩავარდეთ ტრამვაის ქვეშ (ბიჭები გარედან უცინიან), — შემოდით, მიგ შემოდით — ხელს უქნევს ფეხზე წამომდგარი გალაკტიონი. მილიციელის სტვენაზე ბიჭები ჩახტებიან. გალაკტიონი ისევ ჩამოიფხატავს ქუდს, საყელოს აინევს, ფანჯარას მხრით მიეყრდნობა და დაესიზმრება დედა, რომელიც ტრამვაის ფანჯრიდან, იქ, სადაც ბიჭები იდგნენ, მას უყურებს. მერე ის მოულოდნელად გალაკტიონის გვერდით აღმოჩნდება და სკამზე ხელების ფათურით იწყებს რაღაცის ძებნას. წრიალებს.

გალაკტიონი: — რა არის, დედა?

დედა: — შენთვის მინდოდა, ბიჭო, და დამებნა საცხა.

გალაკტიონი: — რა, დედა?

დედა: — ფული. საცხა დამებნა, ან შეიძლება მომპარა ვინმე, აქ იყო...

გალაკტიონი: — აგერ არ დევს საფულე? ეს ხომ არ არის?

დედა: — ხო, სწორედ ესაა. ა, გამომართვი!

ამასთან, დედა სამჯერ უცნაურ სიტყვას წარმოსთქვამს — შერმადინა! შერმადინა! შერმადინა!

დედა შეეცადა გალაკტიონისთვის თავზე ხელი გადაესვა, მაგრამ ამ დროს გალაკტიონს მხარზე ხელს ადებს და აღვიძებს უკვე სხვა კონტროლიორი.

კონტროლიორი: — მოქალაქე, საფულე ამოგვარდნიათ! თქვენი ბილეთი (კონტროლიორი გალაკტიონს ხელში საფულეს ჩრის და მისგან ბილეთს ითხოვს). გალაკტიონი

იბნევა. ბილეთს რის ვაი-ვაგლახით მიაგნებს და აწვდის. კონტროლიორი ბილეთს ხერეტა? გალაკტიონი: — უპ, დახვრიტეთ? ისმის დედის ხმა: „შერმადინა! შერმადინა! შერმადინა!“ საფულით ხელში, გაოგნებული გალაკტიონი, ნელი ნაბიჯით ვაგონის გასასვლელისკენ მიემართება.

\* \* \*

გალაკტიონი ადის კიბეზე. ნასვამია. აიარა რამდენიმე საფეხური. სადარბაზოს შესასვლელთან გარიდებულად დგანან ქალები. გალაკტიონი შეჩერდება, კედელს ხელით მიეყრდნობა, ეტყობა ცუდად არის,

— **Ой ბედნიй, ბედნიй Галактион.**

გალაკტიონი საფეხურზე დაგდებულ კონვერტს დაინახავს. უნდა დაწვდეს, მაგრამ უჭირს. მთელ კონვერტზე, გასწვრივ, დიდი ასოებით აწერია „აბესალომ“. გალაკტიონი როგორდაც კონვერტს აიღებს, გაიხედ-გამოიხედავს და გახსნის. ქალები კარებს გაიხურავენ. აბესალომის ხმა „...გალაკტიონ, რა უნდა ქნას კაცმა, თუ რამე გითხარი, გული მოგდის. თუ ვინმემ რამე სასარგებლოდ გირჩია შენს გულისწყორმას საზღვარი არა აქვს — ჩემი მტერიაო. არ გრცხვენია? დარწმუნებული ვარ შენ შესძლებ თავის შემაგრებას, მაგრამ არ იხდომებ და თავს იღუპავ. გალაკტიონ, შეიბრალე თავი, ნუ ითვრები. იცოდე რომ მერე შენს ჭკუაზე აღარ ხარ და ქვეყნის სასაცილო და შესაბრალისი ხდები. აბა, თუ ძმა ხარ შენი ჭირიმე, გალაკტიონ, გამოიჩინე გმირობა. აჩვენე ქვეყანას, რომ შენ შეგიძლია უღვინოდაც ცხოვრება. მე საავადმყოფოში ვწვები. შენი ძმა აბესალომ ტაბიძე“. გალაკტიონი ნერილს გაკეცავს და ჯიბეში იდებს. კონვერტი ძირს უვარდება.

ბინის კარებში ოფიციალური დალუქული საუნდებო ნერილია გაჩრილი. გალაკტიონი მიიხედ-მოიხედავს სადარბაზოში აღარავინა.

Извещение.

Комиссариат внутренних дел ГССР извещает вас что коллектив комиссариата внутренних дел изъявил желание устроить встречу с народным поэтом Галактионом Табидзе. Встреча состоится 29 февраля сего года 15.00 по местному времени.

გალაკტიონი **МВД-ს** მუშაკებით გადაჭედილ დარბაზში შეჰყავთ. ტაშის გრიალში გალაკტიონი იწყებს.

— ამხანაგებო! სულით და გულით მოხ-

არული ვარ, რომ აქ ხდება ჩვენი მრავალმხრივ საგულისხმო შეხვედრა. ჩვენ შევიკრიბენით დღეს, რათა გავერთიანდეთ ჩვენი საყვარელი სამშობლოს და ... (მხურვალე ტაში), ყელსახვევებიანი პიონერები აცვივდებიან სცენაზე და გალაკტიონს გადასცემნ ყვავილების თაიგულს...

ქუჩა. გალაკტიონი მიდის ქუჩაში. უკან იყურება. კუთხეში ჩაუხვევს. მიმოიხედავს და ყვავილების თაიგულს ურნაში ჩატენის.

— Сволочი.

იქვე ხვდება უსახური ნიღაბი. ნიღაბს ყოველგვარი მოკითხვის გარეშე გალაკტიონმა სრულიად სერიოზულად ჰქონდა:

— მე მაინტერესებს, რას მიიჩნევ შენ ნიღბულიკა პოეზიად და როგორ აღიქვამ გარე სამყაროს.

ნიღაბი აპირებს რაღაცის თქმას: — იცი, ჩემი გალაკტიონ...

გალაკტიონი ნიღაბს აღარ აცლის და თვითონ იჩენებს:

— ბუნებასა და სინამდვილეში ყოველ საგანსა და მოვლენას აქვს საკუთარი მუსიკა, ულერადობა და მე მესმის მუსიკა ყოველივე იმისა, რასაც ვხედავ და შევიგრძნობ. პოეტმა უნდა აღიქვას ყოფიერების ამ მუსიკის ყოველი ნიუანსი, იგრძნოს ყოველი საგნისა და მოვლენის ტონალობა და შემდგომ საკუთარი სულის სიმებზე ააუღეროს ისე, რომ ყოველ საგანს შეუთანხმოს საკუთარი ტემბრი, ზუსტი ხმა... გაიგე ნიღბულიკა, სიმო? — ხელს დაჰკრავს მხარზე.

— წავედი ახლა მე სიმონიკა ნიღბულიკა... — მიუყვება გზას.

(ფიქრი): — ვერ ვარ რაცხა კარგად. (კიდევ მიიხედავს უკან): — ის ვიღაცები მგონი, ისევ მე მომყვებიან. ვინ ოხრები არინ ნეტა? (სპეციალურად შეჩერდება. ვითომ შეისვენებს. ამოიღებს პაპიროსს).

— ამ ხელის კანკალს ვერ მოვუხერხე ვერაფერი.

\*\*\*

მოსკოვი. ისევ სასტუმრო. ისევ დეკადა. ისევ გალაკტიონი და მურმან ლებანიძე.

გალაკტიონს მუხლზე უდევს ფოტო, (თვითონ, ოლიასთან ერთად).

გალაკტიონი: — ასე იყო ეს ამბავი, ჩემი რაჭუნიკა,.. რა ქენი, დაწერე?..

...რას შვები, მძარცვავ ძამიკო? (წამოყვირა): — მე,.. ორი სურათი მეთქი,.. და შენ, რამდენი აგილია?

(მურმანს ხელში ფოტო-სურათების მთელი შეკვრა უჭირავს)

— ბიჭებმა,.. ჩემი რომ არ წამართვან, ბატონო გალაკტიონ.

— ბიჭებს უყვართ გალაკტიონი, ბიჭებს უყვართ გალაკტიონი,... ხომ ასეა?!

კარებზე აკაკუნებებს.

გალაკტიონი: — Да?!

კარებს სართულის მორიგე შემოაღებს.

გალაკტიონი ქალს მიეგებება.

— Товарищ Табидзе?

— Имею честь.

ქალი: — Вам из Тбилиси звонили — какой-то Нодар.

გალაკტიონი აღფრთოვანდა.

— Это мой племянник!

ქალი: — Он просил, чтобы вы (в связи с болезнью вашего брата) срочно вернулись обратно... в Тбилиси.

გალაკტიონი წამით გაშეშდება.

— В чём дело?

ქალი: — Он больше ничего не говорил.

მურმანი: — რა მოხდა?

— ვერაა კარგად საქმე. ძმა მყავს საავადმყოფში (უცებ აფორიაქდება გალაკტიონი).

\*\*\*

**წარწერა:**  
**9X6=50**

**(გალაკტიონის დღიურიდან)**

**ვარიანტი** — („ჩვენს ადგილს ერქვა ჯერ ეზო, მერე შარა, შემდეგ გადაღმა, მერე ფშანი, მერე იქითა გადაღმა, შემდეგ ინყებოდა ჩვენი ტყე, იმას იქით გაღმა, ხვილიფი და თავდებოდა მეფის ჭალით“...)

(გალაკტიონის დღიურიდან)

თბილისი. გვიანი დამე. წვიმიანი ქარი. რკინიგზის საავადმყოფოს შესასვლელი. კარები დაკეტილია. გალაკტიონი აბრახუნებს კარებზე. დარაჯის სახე „ფორთოჩეაში“.

— Все уже ушли. Никого нет.

რუსი ფორთოჩეას ხურავს. გალაკტიონი უკაკუნებს.

დარაჯი: — Чего?

— Позови дежурного врача, сამიკო.

„ფორთოჩეა“ ღია რჩება, გალაკტიონი მარტოა წვიმაში. იღება კარები. გამოდის რუსი ექიმი.

— Заходите... Вы совсем промокли. Так и простудиться можно. На что жалуетесь?

სამორიგეო ოთახში შედიან.

— У меня здесь брат лежит (გალაკტიონი). Позвонили что ему плохо.

— Фамилия больного?

— Табидзе, Абесалом Васильевич.

ექმი დავთარს ჩაფურცლავს.

— Поднимитесь на второй этаж. Палата

№ 7.

გალაკტიონი ექებს პალატას. რაკი დერეფანში სხვა არავინაა, შორიდანვე ჩანან ერთ ადგილას შეჯვეულებული ტატიანა, კალისტრატე, პატარა ვასიკო და ნოდარი. სამარისებური სიჩუმეა. სკამზე მჯდარ ტატიანას (აბესალომის მეუღლე) სახე ხელის გულებში აქვს ჩარგული. ნოდარი და ვასიკო (ნოდარის უმცროსი ძმა) გალაკტიონს შემოეგებებიან.

გალაკტიონი ვასიკოს თავზე ხელს გადაუსვამს. ნოდარს გულში ჩაიკრავს.

ვასიკო: — გვიშველე, ბიძია.

გალაკტიონი ყველას ჩაუვლის და პალატაში შედის. საწოლზე, ზენარგადაფარებული მიცვალებულის ცხედარი ასვენია. იქვე მისი სათვალე დევს. გალაკტიონი ზენარს გადაუნევს, მიცვალებულს სახეს გამოუჩენს, შუბლზე ხელს გადაუსვამს და იწყებს მის გასწრივ ბოლთის ცემას. კალისტრატე მიცვალებულს ზენარს წააფარებს.

გარეთ საშინელი წვიმა და ქარია. პალატის ფანჯრების მინებს ხის ტოტები ეხლება, თუმცა ხმა არ ისმის. გალაკტიონი ფანჯრებთან ჩერდება და მის მოგონებაში აღმოცენდება მსგავსი სურათი.

\* \* \*

### ციცინოს ჩონგური (მოგონება)

გარეთ ქარია. წვიმს. ოთახის ფანჯრებს ეხება სველი ხის ტოტები. ტახტის თავზე დაკიდებულ ჩონგურს ზენარი აქვს მიფარებული, პატარა აბესალომმა იგი გადასწია, ჩონგური კედლიდან ჩამოხსნა და ტახტზე მჯდომ დედას გაუწოდა, გვერდით მიუჯდა. მათ წინ, სკამზე, ხანდაზმული გალაკტიონი ზის, ის შეეცდება მივიდეს დედასთან, პატარა აბესალომთან, თავზე ხელი გადაუსვას, მაგრამ ეს შეუძლებელია, რადგან გაწვდილი ხელი ცარიელ სივრცეში რჩება. ამიტომ იგი უწინდელ ადგილს უბრუნდება და უყურებს,.. რა ხდება: დედა ამბობს: — პირველი სიმი სმენით აიწყობა. მასზეა დამოკიდებული დანარჩენი სიმების ხმოვანება,...

ჩემს ქალიშვილობაში (ჰყვება დედა) მახსოვს, ერთი მოხუცი ქალი იყო. ციცინო. ჩვენთან ხშირად დადიოდა, გადასარევად უკრავდა ჩონგურზე. ასი წლის რომ გახდა, დაყრუვდა. ჩონგურის მომართვა თვითონ

აღარ შეეძლო და მე ვუწყობდი. თავდავინუებით უკრავდა და მღეროდა, თუმცა სრულებით არ ესმოდა და ამ მხრივ მთლიანად ჩემზე იყო მონდობილი. (ჩემს მიერ აწყობილ ჩონგურზე).

ჩონგურ, ჩონგურ, კეკეჩია

შენა ჭამ და მე ქე მშია,...

ხანდაზმული გალაკტიონი: — რა არის, დედა, კეკეჩია? (დედა, მას, კითხვაზე პასუხს არ სცემს და განავრძობს):

— ერთხელ, როდესაც მეზობლიდან სახლში ვპრუნდებოდი, კარებში სიცილკისკისით შემომხვდა მოსამსახურე გოგო.

— რა გაცინებს გოგოვ-მეთქი? — უნდა მეკითხა, მაგრამ აღარ მიკითხავს. სახლში რომ შევედი, ციცინო იჯდა და ჩონგურს უკრავდა, მაგრამ, ღმერთო ჩემო, რა ჩონგური იყო ეს, ციცინო უკრავდა აუწყობელ ჩონგურზე. ოთახში ისეთი არეულ-დარეული ხმები ისმოდა, წარმოუდგენელი რაღაც,.. მოსამსახურე გოგოს, თურმე, განგებ აშლილი ჩონგური მიეცა ციცინოსთვის. სულ ერთია, ხომ არაფერი ესმისო,.. იცინოდა და იცინოდა,.. ამაზრზენად იცინოდა.

\* \* \*

(ქაოსურ აშლილი ჩონგურის ეპიზოდი მკეთრად შეუპირისპირდება მომდევნო ეპიზოდს).

თბილისი. გალაკტიონის ბინა. ყველანი შინ არიან: წინა, წუნუ, კაკინა, დუტუ, უოზე (დავითის ცოლი), ნოდარი, გალაკტიონი.

გალაკტიონი (ბორგავს): — შეთქმულება. დაჯგუფებები. ინტრიგება. ნიღაბი, ნიღაბი, ნიღაბი მოიხსნა,.. საეჭვო პიროვნება!

ნინა: — დასაწვენი ხარ საავადმყოფოში. ვინ გაგიძლებს, ვინ?! (ნოდარზე მიუთითებს) შენ ამ ბიჭსაც გადარევ.

კაკინა რამდენიმეჯერ დაუსხლტება წუნუს და გალაკტიონს მიაშურებს, მაგრამ წუნუ დაეწევა და ცემა-ტყეპით უკან სამზარეულოში აპრუნებს. (გალაკტიონი ცდილობს ბავშვს შეეშველოს, მაგრამ უძლურია, რაიმე მოიმოქმედოს)

კივილ-წივილამდე მისული წუნუ: — გეყოფათ, ნუ გამიგიჟეთ ბავშვი.

გალაკტიონი: — ჩემი ტერიტორია — არნაუსვლელობა სახლიდან, იციან, რომ ხვალიდან როგორც კი ფეხს გადაადგამენ,.. აქ აღარ იქნებიან.

ნინა ცდილობს წუნუ დააწყნაროს, რასაც ვერ ახერხებს.

წუნუ: — ვინ, ვინ გაუძლებს ამას. სასწრაფოდ უნდა დავაწვინოთ საცა

საჭიროა. შეხედეთ, შეხედეთ, რა დღეშია? კნობა მისი შრომის უუნარობის შესახებ.

გალაკტიონი: — მე მინდა ვუთხრა ჩემს  
უსინდისო მტრებს წყნარად, წყნარად! თქვენ  
არავითარი უფლება არა გაქვთ, დიას, არა  
გაქვთ ხმამალლა ძელაპარაკოთ. ნოდარს მი-  
მართავს:

— ჰერი არ მყოფნის ნოდარიკო, ბიძიკო,  
ჰერი არ მყოფნის. გავალ გარეთ.

ნინ მკლავებგაშლილი ნინა გადაეღობება:

— Нет, нет никуда ты не пойдёшь, шагу не сделаешь. ხვალ ნაგათრევთ და მოგათავსებთ საავადმყოფოში. (ნინა კარებს გასალიბზე გადაკიტავს).

ნოდარი: — (უადგილოდ ჩაერთვება) — ბიძია, მოძრავი სტენდები გვაქვს გადმოსა-ტანი დიმიტროვის ქარხნიდან, დარეკეს, ხელს გვიშლისო.

ნუნუ: — მოძრავი სტენდები კი არა სა-ა-  
ვა-დმყო-ფო-ში-ა და-სა-წვე-ნიიი. ხალხო!  
სასწრაფოდ მისი სრული იზოლაციაა  
საჭირო ვერ, ზედებით ამას?!

კარებზე კაკუნია.

უოზე: — უჯას (გალაკტიონს ზიზღით  
გადახედავს) უდიერად დაყრის მის ხელნაწ-  
ერებს მაგიდაზე.

— Сиди! ბრძანების კილოთი ეტყვის ქმარს, რომელიც კარებთან მისვლას აპირებდა — Я открою.

ქოზე ნინას ხალათის ჯიბიდან (მის დაუკითხავად) გასაღებს ამოიღებს და კარებთან მიდის.

ნინა: — სამხეცევა პირდაპირ. მხეცივით  
ბორგავს. ვინ, ვინ გაუძლებს ამას. არა,  
მიკვირს პირდაპირ როგორ არ დახვრიტეს,  
როგორ არ გაანალებულეს?!

გალაკტიონი: — ნერვები, ნერვები,  
ნერვები.

ქოზე აღდებს. შემოდის ხანში შესული მე-  
ზობლის ქალი, ხელში მათლაფა სუფით,  
რომელზეც „ტილო“ აქვს გადაფარებული.  
(როგორ არის? — ეკითხება ქოზეს. — **Не  
можем успоконить.** — საცოდავი. იქნებ აგი-  
ესიამოვნოს) უსიტყვოდ მიდის გალაკტიონ-  
ისკენ, მორიდებით მიესალმება და მათლაფა  
სამზარეულოში გააჭვს.

— იქნებ შეჭამოს, ძალიან გემრიელია —  
ყველას გასაგონად აცხადებს სამზარეუ-  
ლოდან ჯამოსკონისას.

ნუნჯა: — დილიდან არაფერი უჭამია, გადაგვრია, დადის, დადის, დადის — მეზო-ბელი ჭირისუფალივით ჩამოჯდება გასასვლელთან და სინანულით შესცემირის გალაკ-

გომბს.

უოზე — დავითს: — И долго мы должны смотреть на этого психа?

დათო — ჩუ потерпи немного — დედა და  
ნუნუ ცოდოები არიან.

გალაკტიონი საფეროფეში პაპიროსს  
ჩაჭყლეტს და ისე ამბობს, თითქოს უნინ დაწ-  
ყებულ დავას აგრძელებს:

— სინათლე, მეტი სინათლე, ამბობდა  
გოეთე სიკვდილის წინ, „რას ჩადიხართ“ —  
იყო ილია ჭავჭავაძის უკანასკნელი სიტყვე-  
ბი. აქ ყველა მე მეტრძვის, ყველა, ჰაერი არ  
მყოფნის, ნოდარიკო, ბიძიკო, ჰაერი, სინა-  
თლე, საგნის მასში შესვლა და დაკარგვა მას-  
ში. პირველი, პირველი მიჯნურობა საგანთა.  
პირველი აღფრთოვანება მისით დაღლის და  
ჭუჭყის ნაცვლად. აქ ჭკუა არ კმარა არა, აქ  
მხოლოდ სიშმაგეა საჭირო და მიჯნურს შმა-  
გი ჰქვია და არა მიჯნური. ანუ თქვენებურად  
(ხელს იშვერს ნინაზე) გიუი. ამ ჭუჭყიანი ყო-  
ფიდან გასული სული, მსოფლიოში არ არის  
არც ერთი ერი, გარდა ქართველისა, რომელ-  
საც ეს აზრი ისე გამოიკვეთოს როგორც ეს  
რუსთაველმა გამოკვეთა. თავისი ნათქვამით  
აღფრთოვანებული გალაკტიონი თავდავინ-  
ყებით დეკლამირებს:

„პირველსა მიჯნურობასა ფკვიანნი ვერ  
მიხვდებიან“

(ცდილობს თვითოეული ფრაზა დამა-  
რცვლოს და მისაწვდომი გახადოს)

იმეორებს:  
„პირველსა მიჯნურობასა ჭკვიანი  
ვერ მიხვდებიან

## ენა დაშვრების მსმენლისა ყორნილა თავალობიან

ვთქვენ ხელობანი ქვენანი რომელნი  
ხორცია ხვდებიან

մարտ մասզե Ֆեազվեն զոնց ողջը  
առ Տուզվեն Շորոտ ծնդյանա

(და ამას ხაზგასმით ამტობს)  
მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულისა  
ითა “და ა.შ.

დიახ, გვარი „ზენათა“ ეს მხოლოდ ჭეშმარიტ ქართველზეა ნათქვამი და არა ყველაზე. უცებ კავინა ნუწუს ხელიდან დაუსხლტება და რაც ძალა გალაკტიონისკენ გარბის, მაგრამ დედამისი მას გალაკტიონთან მისვლამდე დაიჭერს და დაუზოგავი ცემატყეპით სამზარეულოში შეაგდებს, კარებს მიუჯახუნებს.

ბავშვი ისტერიულად ტირის. გალაკტიონი მოულოდნელობისაგან აიღოთრება:

— ეს რა ხდება, ეს რა ხდება ჩემს სახლში.  
Убирайтесь вон, вон из моего дома!

პირველი ნოდარი გადის, შემდეგ ყველანი და კარებს უხმოდ გაიხურავენ.

ნინა: — (ჩაილაპარაკებს) **Неблагодарныи.**

გარედან კარების გადარაზვის ხმა ისმის. გალაკტიონი ეჯაჯგურება:

— Убирайтесь вон (აქეთ-იქით აწყდება) ...ახლა... რაც მაგან ჩაიდინა, არ ჩაიდენს არც ერთი დედა. რად ჩაიდინა?! რა უნდოდა ამით ეთქვა ჩემთვის? მტრები. მტრები შინ და გარეთ... მე შეშლილი ვგონივარ... ინტრიგები, ჩემი სრული იზოლიაცია, ნიგნს გულზე მიისუტებს და აივანზე გადის. სახე ცისკენ აქვს აპურობილი

გალაკტიონი: — (მშრალი ხრიალით ხრიალებს,...) — ჰეჰ,... (ცაში) ,... ჰოუ,...

\* \* \*

სამზარეულო. მაგიდას უსხედან: ნინა, ნუნუ, დათუ, ჟოზე და მეზობელი.

აზლუქუნებული კაკინა დედას მუხლებზე უზის. როგორ არ ცდილობენ,... ვერ აწყნარებენ. ნოდარი ფანჯარასთან დგას ყველასთან ზურგშექცევით.

სამზარეულოს ელვა (ხანდახან) ანათებს. დაორთქლილ მინაში ჩანს აივანზე ცისკენ სახემშვერილი გალაკტიონი.

ნუნუ: — (ისტერიულად ამბობს) გიუია,... სრულიად არანორმალურია. ბავშვს გამივიჟებს.

— Да, да, к сожалению я согласна, его надо изолировать, — ამბობს ნინა.

ჟოზე თითს საფეთქელთან დაიტრიალებს. Его не изолировать, а лечить надо.

— არა და რა ნიჭიერია (...მეცოდება. ცხვირსახოცს თვალებზე მიიდებს მეზობელი).

ნინა: — მე არავის ვეცოდები, ამხელა ოჯახი კისერზე რომ მანევს.

დათუ: — საქმე თქვენ რომ ფიქრობთ, არც ისე მარტივია. საჭიროა შეტყობინება იქ (თითს გაუგებარი მიმართულებით იშვერს).

ნუნუ: — სად?

დათუ პასუხს არ სცემს.

ნუნუ: — კაცო შარში გაგვხვევს. აუცილებლად უნდა გაფორმდეს ქმედით უნარობის ცნობა.

მინდობილობა ჰონორარებზე და პენსიაზე? — კითხულობს ნინა.

ნუნუ: — გეუბნებოდი, ამდენ ხანს უნდა გაგეეთებინა მაგი.

ნინა ნუნუს ნათქვამს უპასუხოდ ტოვებს.

დათუ: — დღეს აქ რჩებით?

ნინა: — აი, ნოდარი დარჩება. ნოდარი სამზარეულოდან გადის.

— ოფიციალური ქალალდების გაფორმებას მე ვიღებ ჩემს თავზე (დათუ).

გალაკტიონის ზურგს უკან ქარი კარებს ისე მოახეთქებს, შუშა ჩაილენება. ნუნუ და ნინა ვერ ბედავენ, თუნდაც შეეცადონ გალაკტიონი როგორმე სახლში შემოვიდეს. ის სახლში მაშინ შემოდის, როდესაც ზურგს უკან კარებთან ატუზულ ერთიანად გალუმ-პულ ნოდარს აღმოაჩენს.

— Нет, с ними нельзя жить, они действитель но обе сумасшедшие, — უჩურჩულებს ნუნუ დედამისს — Надо от них уйти...

— ღმერთო ჩემო, რა დავაშავე, — გოდებს ნინა.

— შეხედე, რამხელა დანასავით ფრჩხილები აქვს, — ამბობს ნუნუ.

გალაკტიონს მართლა უჩვეულოდ გაზრდია ფრჩხილები. როცა გალაკტიონი ოთახში შემოდის, ნინა და ნუნუ სასწრაფოდ სამზარეულოში გადიან და კარებს ხურავენ.

— ოლკინ, ოლკინ,...ოლოლ, ... — ბუტბუტებს სველი და შეციებული გალაკტიონი.

(მანც) წიგნების კარადასთან მიდის და ინყებს ხელნანერების გადმოლაგებას. აწყობს

— Аმ ყოველივეს ვინ აკინძავს, ვინ დაითვლის, ვინ გაიგებს,... არავინ? მე არ მინდა წამიც ჩემი ნაგრძობის, ნააზრევის დაიკარგოს,... შეუმჩნეველი დარჩეს, ჩემი სულის, აზრის, გრძნობების ჟრიამული. (იელვებს, იქუხებს, გამოირთვება შუქი) გალაკტიონი ანვალებს ჩამრთველს. ეძებს ასანთს. („ნოდარი არ ჩანს, სად არის ნოდარი?“) აირევი ივერია... აირევი — ივერია... ბნედა. შხამით დათრობის და,... აგონია ლოკომოტივის შორეული ხმა არღვევს ლამის ხმაურს... ეს განნირულ ლტოლვილთა ძახილია. ლტოლვილი გასცეკრის მეწამულ ღამეს „ცივს, მიუსაფარს, უცხოს, გარეწარს,...“ (წვიმის წვეტები სახეზე ჩამოსდის).

ნოდარი: — სულ სველი ხარ ბიძია, გაცივდები,... მიდის კარადასთან, გამოაქვს სუფთა საცვლები, ზედა-ქვედა, პიუამო, პირ-სახოცი,... (და) ცდილობს მოეხმაროს: ჯერ თავს შეუმშრალებს. სახეს. გალაკტიონი შედის კარადის უკან და საცვლებამოცვლილი გამოდის. ბუტბუტით წვება. საბანს სანახევროდ წაიხურავს. ნახევრად შიშველ მკლავებს აქეთ-იქით გადაყრის (ისეთი შეგრძნებაა თითქოს იქვე ჩაეძინა).

შემოდის ნინა მაკრატლით. მიეპარება. უნდა ფრჩხილები დააჭრას. გალაკტიონს ეღვიძება. ლოგინზე ასხლტება და ისტერიულ ყვირილს გააბამს.

— მიშველეთ, თითებს მაჭრიან. (რაც ხელში ხვდება ყველაფერს ნინას ესვრის).

შემოვარდება ნუნუ: — რა ამბავია?!

ნინა: — არა, მორჩა. მე არ შემიძლია მაგასთან ცხოვრება. სხვა გზა არა მაქვს, გადმოვალ ისევ თქვენთან და ვიცხოვრებ ... ხელი ა უსტას.

ორთავენი გადიან. ნოდარი გაყვება. (გალაკტიონი) ფეხშიშველი მიიჭრება კარადასთან, უჯრიდან საქალალებების უზარმაზარ შეკვრას ამოიღებს და სამუშაო მაგიდაზე დადებს.

ნოდარი ცოცხით და აქანდაზით ბრუნდება. იწყებს მინის ნამსხვრევების შექუჩებას.

— ყველანი ნავიდნენ ბიძია. ნინა ბიცოლამ,.. აღარ დავბრუნდებიო.

ნოდარის გააქვს ნაგავი. ისევ ბრუნდება. ამჟამად შემოაქვს ჩაქუჩი, ლურსმანი, ფანერი და უნდა ჩამტვრეული მინა ადგილზე მიაჭედოს.

ნოდარი ფარდის ქვეშ აღმოაჩენს ამონახევს გალაკტიონის უბის წიგნაკიდან და თავისთვის კითხულობს.

გალაკტიონი: — რაო რა წერია მაქ?

ნოდარი (კითხულობს): — „ქროდა ქარი, თრთოდა იასამანი“.

გალაკტიონი: — დიდებულია, დიდებული. კიდევ, კიდევ?

ნოდარი: — „მთვარეში შავი შრიალებს ჩალა, შავი ლეჩაქი დაეცა ყანებს“ (და) „როგორც თვითმკვლელი დღიურს, შლიდა ლაჟვარდი ყანებს“.

გალაკტიონი: — ოხ, ოხ, ოხ...

გალაკტიონი იწყებს საუბარს.

— ნოდარი, ბიძიკო, რომ შეიძლებოდეს, მოვკვდებოდი, რათა ისევ დავიბადო და ვიცხოვრო, როგორც დღემდე მიცხოვრია. მე ხომ ამქვეყნად დასანანებელი არაფერი მაქვს... არ დამიძმობილდა არც სიყვარული, არც ბედნიერება, არც იმედი ბედნიერებისა... კი ხედავ როგორც ვარ, ნოდარი, ბიძიკო. (ნოდარი საქმეს თავს ანებებს. ჩამოჯდება) ბედნიერებაა ჩემი კალამი, რომელიც არასდროს მღალატობს,... განა არ შემეძლო სხვებივით მეცხოვრა? მქონდა კარგი ბინაც, კარგი მდგომარეობაც, მაგრამ ისიც კმარა ბიძიკო, რაც გვაქვს,, რადგან საპრძოლელად არ მცალია, შემოქმედებაში ჩამოვრჩები. ჩემთვის ყოველი სტრიქონი ჩემი ლექსისა უმაღლესი ბედნიერებაა... მე მიყვარს ის, რაც ვარ. ნოდარიკო, ბიძიკო, იყავი მედგარი, ამაყი, გიყვარდეს შენი თავი და შენი ნამოქმედარი და თვითონ დრო გეტყვის, ვინ ხარ შენ და რა გააკეთე,.. და ყველაფერი ეს პარ-

ნასზე აგიყვანს ან ეშაფოტზე,.. მე შენს მეტი ახლობელი აღარავინ მყავს, ბიძია,, არა კარგის მსურველი ცოტა არაა,, მაგრამ სულის სასურველი არის ძალიან ცოტა.

\* \* \*

კულტურის სამინისტრო. შემოდის გალაკტიონი პორთფელით, მოყვება დაბალი ტანის კაცი (რუსის ტიპაჟი) ნახატებისა და „პლაკატების“ ჩასაწყობებარისებით.

(გალაკტიონი — მდივანს): — გამარჯობა, ბიძიკო შენი. კაცო ადგილზეა, თუ იცი (...მე გალაკტიონ ტაბიძე ვარ, პოეტი).

მდივანი: — **Минуточку.** (კაბინეტში შედის, ისმის მისი ხმა): — **Там, к вам,.. говорит,.. какой-то,.. Галактион что-ли.**

ბატონი კაკო დაუყოვნებლივ შეეგებება გალაკტიონს.

— მობრძანდით, ბატონო გალაკტიონ.

გალაკტიონი შედის. მინისტრი სავართელთან მიიპატიჟებს.

(არაფიციალურად სხდებიან)

— ძამიკო, შენ ვანიდან ხარ? (გალაკტიონი).

— არა, ბატონო გალაკტიონ, მამა გახლავთ სოფელ დვალიშვილებიდან.

— სულორის აპანოში თუ გიპანავია?!

— არა (ბატონი კაცო ილიმება).

— აბა, რანაირი დვალიშვილი ხარ, ძამიკო?.. (ხითხითებს) უსათუოდ უნდა იბანაო სულორის წყალში. ეს კაცი, ჩემი ადვოკატია, ჩემი ინტერესების დამცველი. გალაკტიონის თანმხლები ტანმორჩილი კაცი მინისტრს თავის დახრით ნარუდგება. მას ქარისხე მკერდზე აქვს მიყუდებული. გალაკტიონი ოფიციალური კილოთი იწყებს.

— ქართულმა მწერლობამ გადაწყვიტა იუბილე გადაუხადოს გალაკტიონს. ხედავ, რას მოესწრო გალაკტიონი, ძამიკო?! — მოულოდნელად, ოფიციალური ტონიდან ქირქილზე გადადის.

ბატონი კაკო: — მერით შემიძლია ვემსახურო იუბილარს?

გალაკტიონი: — ძვირფასი ამხანაგების, ქართველი მწერლების აზრია, იუბილე ოპერის თეატრში გაიმართოს.

ბატონი კაკო: — დიდებული აზრია, ბატონო გალაკტიონ.

— ამხანაგებმა მითხვეს საზეიმო კონცერტის მომზადება თქვენ გეხებათ.

— როგორც პოეზიის მეფეს შეჰერერის, ისე იქნება.

— არა, არა, სულორის წყალში ნამდვილად ხარ ნაბანავები, ოქრო ხარ, ძამიკო,

ოქრო.

(ხითხითებს)

— ოღონდ ერთი თხოვნა მაქვს და უარი არ მითხრა. — საიუბილეო აფიშა ჩემეული ესკიზით მსურს დაიბეჭდოს.

გალაკტიონი ხელით ანიშნებს. ადვოკატს ქარისხიდან აფიშის ესკიზის გრაგნილი ამოაქვს და მაგიდაზე შლის. ბატონი კაკო გაოგნებული ათვალიერებს ესკიზს, რომლის აღნერილობა ასეთია.

ოპერის თეატრის აფიშის ქუდი. ქუდის ქვეშ შუაში მსხვილი შრიფტით წერია ციფრი 50. მთელ გამოსახულებაზე ასევე მკვეთრი მაგრამ ერთმანეთისაგან დაშორიშორებული შრიფტით — ნარჩერაა:

„გ ა ლ ა კტ ი ო ნ ი“

გამოსახულებაზე რამდენიმე ადგილას ცრემლებივით წითელი საღებავია ჩამოლვენთილი.

— ეს წითელი ლაქები რას ნიშნავს, ბატონო გალაკტიონ?

ცდილობს შინაგანი შეშფოთება დამალოს ბატონმა კაკომ.

— ეს სისხლის წვეთებია, ძამიკო, გალაკტიონის დიდი პოეტის სისხლის წვეთები. ეს იდეა დიდი ხნის წინათ ერთად შევთხეთ მე და ერთმა მეტად მშვენიერმა პრიბალტმა ქალბატონმა, ოლგა იურის ასულმა დარიუშმა, რომელსაც მე მაშინ დიდებული სტრიქონები ვუძღვენი:

„...მიმაფრენდა ნაბირებზე

ლურჯა ცხენი,

გადავიჩეხე —

უკურნებლად დაჭრილი ვარ...

დამეხსენი!

შეკიდებიან მთვარეს,

როგორც მძიმე მტევნები  
თეთრვარდისფერი ალუჩები

და მადრევნები...

ჩახმახის წუთი ბნელ სივრცეში  
აშლილი ბოლი

შავი ყვავილის სამუდამოდ

მკვდარი ფოთოლი...

მოულოდნელად ბატონი კაკო აგრძელებს გალაკტიონის ლექსს.

ლაუცისფერი — აი ღუციფერი...

ვინ არის ეს ქალი... ვინ არის ეს ქალი...

ასეთი ცისფერი...

გალაკტიონი აკაკის აყვება და ისინი ლექსის დარჩენილ ნაწილს ერთმანეთის წასწრებით ჩამთავრებენ...

შადრევნები და ჩანჩქერები...

ქანდაკებმა ჩაიარეს

მოხდენილ წყებად

სადღაც შორს მუსიკა

ქარივით კითხულობდა

აი ღუციფერი...

ვინ არის ეს ქალი... ვინ არის ეს ქალი...

ასეთი ცისფერი...

ადვოკატი ადგილიდან მოულოდნელად წამოხტება და უკან დაჯდება.

აღფრთოვანებული გალაკტიონი ადგილზე ბავშვივით ცქმუტავს და არ იცის თავისი სიხარული როგორ გამოხატოს. მინისტრი კარადასთან მიდის, კონიაკს და შოკოლადს გამოილებს და გალაკტიონს მიმართავს:

— ბატონო გალაკტიონ, თქვენი ნებართვით, ხომ არ დავლოცოთ ჩვენი იუბილარი?

ამ ეპიზოდის ბოლო პასაჟზე ისმის ოლგა იურიევნას ხმა (კითხულობს გალაკტიონისადმი მიღვნილ წერილს): „...Сыну солнца привет от Ольги Юрьевны. Милостливый государь, я вам звонила в назначеннное время, в назначенный вами час. Но вас дома не оказалось. Разве у вас могут быть какие нибудь определённые желания“ და ა.შ.

ქალის ხმა შემდეგ ეპიზოდზეც გადადის, რომლითაც გალაკტიონთან ერთად ჩვენ სხვა დროში და გარემოში აღმოვჩნდებით.

გალაკტიონი კარებზე დაკაუნებას გაადაიფიქრებს, გასაღებით მოსინჯავს, მაგრამ კარები ღია აღმოჩნდება. ალბათ ოლგა იურიევნას დარჩა ღია?! შეცბება გალაკტიონი და ღია კარში ეძახის, მაგრამ პასუხს არავინ სცემს. ბინაში ბენელა. რამის გარჩევა შეუძლებელია. გალაკტიონი ბინაში შესვლისთანავე აყირავებულ სკამს გამოედება, წაბორდიკება და კარადის კუთხეს ისე მწარედ მიეხეთქება, სულს ძლივს ამოითქვაშს. როგორც იქნა.. შუქს აანთებს. მხოლოდ ახლა ვხედავთ: რომ ის ძალიან ნასვამია, ბინაში ყველაფერი ამოყირავებულია და გაქურდებია.

— საქმეა ახლა ეს? — ამბობს გალაკტიონი. როგორლაც ახერხებს და აღებს ერთფანჯარას, მერე მეორეს, მერე აივანზე გასასვლელ კარებს. ქარი ააფრიალებს ფურცლებს და ოთახში მიმოფანტავს. მკერდზე ხელმიდებული გალაკტიონი მძიმედ ეშვება სკამზე. რატომლაც ცდილობს უპირველეს ყოვლისა, ფეხსაცმელები წაიძროს და ჯერ გაუხდელ „ნასკებში“ რჩება. კარებში გასაღების ხმა ისმის. სახლში ოლგა იურივნა დარიუსი შემოდის. ის გამჭოლი ქარის გამო კარებს ძლივს კეტავს. გალაკტიონის ოთახის კარი გაჯახუნდება, მაგრამ მაინც

ლიად რჩება.

ოლგა იურიევნა: — Это, что ты тут устроил!?

(სასწრაფოდ ფანჯრებს და კარებს კეტავს)

— Обокрали меня, обокрали и ребро сломали и ноги горят, — таვალებზე ცრემლმომდგარი შესჩივის გალაკტიონი.

— Ты как ребёнок, — ехиднёва олгა იურიევნა. როგორც ბავშვს თავზე ხელს გადაუსვამს და ცდილობს დააწყაროს. ტანზე ხდის, აწვენს და ტემპერატურას უსინჯავს.

ოლგა იურიევნა: — У тебя высокая температура.

— При входе в темноту я поскользнулся и сломал ребро. Наверное мне надо лечь в больницу, — галантно ცდილობს სანოლზე ნამოჯდეს, მაგრამ ოლგა იურიევნა მას ძალით უკან აწვენს:

ოლგა იურიევნა (ოდნავ გაღიზიანებული): — Ни куда тебе не надо лечь, я сама о тебе позабочусь.

მას სამზარეულოდან კოტოშებიანი კოლოფი გამოაქვს და გალაკტიონს შიშველზურგზე აყრის.

ოლგა იურიევნა იატაკიდან კრეფს და მაგიდაზე აწყობს გალაკტიონის ხელნაწერებს.

— Мерзавцы (ამბობს ის) — как они посмели тронуть твои рукописи?

— У меня в кармане деньги. Мне сегодня дали аванс.

ოლგა იურიევნა: — Галактион, тебе нельзя пить. Сколько раз я тебе говорила. Ты как непослушный ребёнок.

გალაკტიონი დუმს. ოლგა იურიევნას ხმაში და მოძრაობაში გაღიზიანება ემჩევა. „ბანკებს“ ხსნის. კოლოფში აწყობს. (გალაკტიონს ზურგი აქვს აჭრელებული) საპანს შემოუკეცავს. შუქს გამორთავს და ოთახიდან ფეხაკრეფით გადის.

„თუ მავანი მიწვდა მიტანს კიდეც დააიმასიტამს“ (ბუტბუტებს გალაკტიონი) ქუჩიდან შემოსულ სინათლეზე ლეიბის ქვეშ შენახულ უბის წიგნაკს მონახავს, „კარანდაშით“ სასწრაფოდ აკეთებს ჩანაწერს, მაგრამ დაწერილს იქვე გადახატავს და მის ადგილზე წერს: „აი ლუციფერი, აი ლუციფერი, ვინ არის ეს ქალი ასეთი ცისფერი“. „ცელქი ქარი გიუურად ატრიალებს“ დაფიქრდება და ამბობს — იდეალური დაწყება პასტორალისა. საპიდან ფეხებს გამოჰყოფს — უჲ, როგორ მიხურს ეს ოხერი — კარანდაშს და უბის წიგ-

ნაკს გვერდით გადადებს და ბუტბუტით (გარდამავალი უანრები: რომანსი, სერენადა, კანტანტა, ჰიმნი, პოემა, ორატორია...) ბანცალით „ვანნაიაში“ — აბაზანაში გადის. ფეხს ძლივს აწევს პირსაბანში ჩადებს, ონკანს მიუშვერს. განაგრძობს ბუტბუტს — ლექსი უნდა იკითხებოდეს დინჯად, ყოველივე აფეთქების გარეშე. აუცილებლად უნდა დავუბრუნო სიტყვას სითამამე. უნდა გავანთავსულო ხმა. მივცე სიმტკიცე... ძირითადი... (უცებ ფეხი გამოეშლება. ცდილობს თავი შეიმაგროს. გულალმა გადავარდება. ნაეტანება სარეცხიან ტაშტს. გადმოაყირავებს. დაეჯახება ვედროს და ყოველივე ამასთან და სხვასთან ერთად იატაკზე მოშვავდება). ხმაურზე გულგახეთქილი ოლგა იურიევნა შემოვარდება:

— Господи, господи, куда я попала, что я здесь делаю. Как так можно жить, кто это вынесет ты же не человек!.. Я не понимаю, как поэт, человек утонченный может так себя вести!

კარებს გაიჯახუნებს, მაგრამ ის თავისით იღება. გალაკტიონი როგორლაც დგება. ხალათს ჩაიცამს, ფაჩუჩებს. ოლგა იურიევნა უკან შემოიჭრება. აიღებს ამოსვრილ პიჯავს, პალტოს, ამოაბრუნებს ჯიბეებს:

— Мерзавец, где деньги?! Ты их пропил или обокрали. Сколько можно это терпеть?! Бедная моя дочь... ей нужны лекарства, хорошее питание... а ты бездельник, ты только о себе и думаешь, эгоист... Где деньги я спрашиваю. (ტირის. ჯიბეებამობრუნებულ ტანსაცმელს გალაკტიონს მიაურის) — Я ухожу. Ты меня не ценишь. Где аванс? Сколько я для тебя сделала... Нет. Я сейчас пойду в союз писателей, в центральный комитет — тебя надо немедленно изолировать. Я буду этого настойчиво требовать! ხმაურზე ბინაში ვასასი შემოიხედავს:

— Что случилось?

ოლგа იურიევნა: — Пойди и посмотри на твоего народного поэта.

ოლგа იურიევნა გადის,.. მაგრამ ჩემოდანს ტოვებს. ვასასი შედის გალაკტიონთან.

ვასასი: — რა მოხდა, გალაკტიონ?

გალაკტიონი: — დიდი ხიფათი შეემთხვა შენს გალაკტიონს. ფეხი შევუშვირე კრანს და მოვშვავდი, ა — ზედა სართულზე იწყება ხმაური.

გალაკტიონი: — ეს ქალი ნამდვილად გიჟია. დაიწყო,.. დაიწყო და მთელ ღამეს ასე

გასტანს. თითქოს ჩემს თავზე დადიოდეს.

ვასასი აბაზანას ალაგებს. გალაკტიონი ჩართავს ბეთჰოვენის მეათე სიმებიან კვარტეტს. შემოიხედავს მეორე მეზობელი:

— მშვიდობაა?

— გალაკტიონი: — მე დიდი პოემა მაქვს ჩაფიქრებული მშვიდობაზე,.. მე დავწერ და მას (თითს ჭერში იშვერს) და კიდევ ზოგიერთ აფხანიკებს შერცხვება მაშინ.

\* \* \*

კარებზე კაკუნია.

— საბრალო ქალი, — ბუტბუტებს გალაკტიონი. მიდის კარების გასაღებად:

— ეს უკანასკნელი ორი კვირაა რაც რაღაც მხეცს დაემსგავსა. ალბათ ფულისთვის დაბრუნდა. ღია კარებში მიშა ვადბოლსკი დგას.

გალაკტიონი: — О, Вадбольский, мой друг! შესძახებს გალაკტიონი. და აპირებს კიდევ რაღაც უთხრას, მაგრამ სად იყო სად არა, უცებ, საიდანლაც ჩნდება ოლგა იურიევნა, ის დაუყოვნებლივ ვადბოლსკის წინ გადაუდგება, ზურგს უკან კარებს მოხურავს, „კლიტეს“ კეტავს და ეუბნება:

— Он болен. Его нельзя беспокоить. (Прошу вас), приходите завтра... Он сегодня очень болен.

— Сейчас-же открои дверь! — ისეთი შემზარავი ხმით დაიყვირებს შიგნიდან გალაკტიონი, დარიუსი მაშინვე კარებს ალებს და განზე დგება.

— Хватит! — კატეგორიულად ამბობს გალაკტიონი.

ვადბოლსკიმ არ იცის როგორ მოიქცეს.

გალაკტიონი მას ხელმკლავს გამოსდებს და თავის კაბინეტში შეიყვანს.

გალაკტიონი: — Не обижайтесь это она так, так просто сказала.

ვადბოლსკის სავარძელში სვამს. თვითონ სკამზე ჯდება.

ვადბოლსკი: — Галактион Васильевич, дети парка культуры очень вас любят. И ждут, не дождутся встречи с вами. Как только вы сможете, мы хотели бы устроить вам встречу. გალაკტიონს სახეზე მღელვარება დაეტყობა და ლოყაზე ცრემლი ჩამოუგორდება.

გალაკტიონი: — Вы говорите, что дети меня любят? Как приятно... любят (ბოლო სიტყვას დამარცვლავს) — Какое это большое слово. Конечно я приду. Меня ведь другие ненавидят. რატომღაც წამოდგა, მაგრამ თავი ვეღარ შეიმაგრა და რომ არ

ვადბოლსკი, შეიძლება კიდეც დავარდნილიყო.

ვადბოლსკი (შეუსწორებს): — Вас любят и боятся Галактион Васильевич.

— Боятся? (გაიმეორა გალაკტიონმა და ჩაიხითხითა) Боятся и любят — хорошо ты сказал. გალაკტიონი შებრუნდება და ისე გაირინდება, თითქოს მის მეტი იქ არავინ იყოს. ვადბოლსკი მონინებით დგება და ისე რომ ხელი არ შეუშალოს, შეუმჩნევლად გადის. გალაკტიონს უჯრიდან საქალალდე ამოაქვს. ხსნის.

— იმისათვის რომ შექმნა რაიმე დიდი, საჭიროა ბერი შრომა:

„...არის პოეზიაში მუსიკა არა ქვების (მალარმე), არა არტიკულების (გერმანელი პოეტები), არა ნიუანსების (ვერლენი), არამედ სხვა — ნიჭის, ნიჭის და კიდევ ნიჭის. ეს მართალია პარადოქსია, მაგრამ სხვანაირად ვერ ახსნით ამას. სიტყვა არც რომანსია, არც სუიტაა, არც ოპერა, — ამათ ჰყავთ თავიანთი კომპოზიტორები. სიტყვა გამოძახილია მხოლოდ სხვა დიდი მუსიკის, რომლის სახელიც უნდა მოინახოს. საგნებს აქვთ თავისი მუსიკა და პოეტმა სწორედ მას უნდა მიაგნოს. შევადაროთ მარტინ ჰაიდეგერს: პოეზია არის სიმღერა“.

ჰიმნი ქართველ ქალებს

რარა-რა-რა რა-რა-რა-რა  
დარი-ირა რა-რა-რა-რა.

რა-რა-რა-რა  
რა-რა-რა  
რა-რა-რა-რა  
რა-რა-რა.

რა-რა-რა-რა რა-რა-რა-რა  
რა-რა-რა-რა რა-რა-რა-რა.

რა-რა-რა-რა  
რა-რა-რა  
რა-რა-რა-რა  
რა-რა-რა.

გალაკტიონი აიგანზე გადის. ჯერ მთან მინდას გახედავს, შემდეგ მზერას ცას ააყოლებს.

„გალაკტიონი — გალაკტიონი“ — ჩურჩულებენ ქუჩაში მიმავალი გამვლელები, როდესაც გალაკტიონს შენიშნავენ. თვითონაც იქით იხედებიან საითაც ის, მაგრამ რაკი იქ საინტერესოს ვერაფერს ხედავნენ, გალაკტიონს უბრუნდებიან. ქუჩა ნელ-ნელა

ივსება ცნობის მოყვარებით. ჩერდება მანქანები, ერთი ამბავია. გალაკტიონი გამოერკვევა. შეკრთება. ჩაიხედავს ქვევით. გაკვირვებული დააცქერდება ხალხს. მორცხვად თავს დაუკრავს. მკერდზე მოწინებით ხელს მიიდებს. შებრუნდება ოთახში. გაიხურავს კარს. ფარდას ფრთხილად გადასწეს და იქიდან იჭყიტება. (ქუჩაში ახალგაზრდა ქალი, რომელიც ძალიან ჰგავს ოლიას, ვიღაც მამაკაცს სახეში სილას გააწნავს). (ამ დროს ხდება ხანდაზმული გალაკტიონის გაორება — ასაკოვანს ახალგაზრდა ცვლის და მოგონებაში გადავდივართ): ფარდასთან ახალგაზრდა გალაკტიონი დგას. ქუჩაში იყურება. თითქოს ტანი რაღაცას უგრძნობს, უცებ მოიხედავს და შეცტება. თავზე (მოჩვენებასავით) მას მარტინი გადაცმული შონია ადგას.

— **Мне поручено,** — міймакартауз с іс галяктионін (ахалягдаზрдада галяктионін იცვლება ხანდаზმულот) — Вам передать извещение о том, что посланные вами гражданке Окуджаве О.С. 200 руб. возвращаются назад ввиду того что почтовый ящик адресата ГУ 1021 УЗ.100 закры. Укажите вот здесь (შონია ფურცელზე ადგილს უჩვენებს) полученную вами сумму.

გალაკტიონი (მაშინალურად) უწყებას მიეტანება.

- Нет (შონია), сперва пересчитайте!
- Не надо (გალაკტიონი) пересчитывать...
- Надо (შონია).

გალაკტიონი მოსინჯავს გადათვალის ფული, მაგრამ ხელებს ვერ იმორჩილებს. შონია ეხმარება. დათვლილ შეკვრას მაგიდაზე დებს.

— Здесь (შონია) распишитесь.

— გალაკტიონი ხელს აწერს.

შონია: — Отчётиливо. (გალაკტიონი განმეორებით ხელს ისე აწერს, როგორც შონია მოითხოვს).

შონია (უჩვენებს): — Здесь, адрес и число. (უწყებას გადაიკითხავს. დაკეცავს. უბის ჯიბეში ჩაიდებს და გადის).

\* \* \*

დახლთან მდგომი ხანდაზმული გალაკტიონი მედუქნებს მაჯაში ხელს ჩასჭიდებს, არყიან ბოთლს ააღებინებს, ჭიქას პირთამდე შეავსებინებს. სასმისს ბოთლზე აუსვამს და ძალიან ნელა დასცლის.

„...Олкин... Олкин... сколько неувзгод ты

пережила... О, только ты одна способна понять почему я на твои письма не отвечал. Я не мог знать — что делать. Отчаяние лешило меня всякой воли.

დახლზე მდგარ ლუდისნარჩენებიან დიდ კათაში აგდებს ლენინის ორდენს.

(გალაკტიონი — მიკიტანს): — დღეს ყველასი გადახდილია. შებრუნდება და ქუჩაში გადის.

მიკიტანი (მისდევს): — რას შვრებით, ბატონი გალაკტიონ?

ხელებანეული გალაკტიონი მას შემოუბრუნდება და უგონოდ უყურებს.

მიკიტანი: — დამიჭერენ, ბატონო გალაკტიონ — მიკიტანი მას შეუმჩნევლად ორდენს ჯიბეში უდებს და სწრაფად უკან ბრუნდება.

\* \* \*

შექეიფიანებული გალაკტიონი მწერალთა კავშირშია. სააქტო დარბაზში სხდომაა. შესასვლელთან თავი მოუყრიათ მწერლებს და პოეტებს. ვინც დარბაზში ვერ დაეტია ან პაპიროსის მოსაწევად გარეთ გამოსულა. ახალმოსული გალაკტიონი მათ შორისაა. როგორც ყოველთვის (ახლაც) თავი გამომწვევად უჭირავს. კარებს გამოაღებს, დარბაზში შეიხედავს, მაგრამ უკან მიხურავს და იქ მყოფ ეკითხება:

— რა ხდება, ძამიკოებო, შიგნითაც და გარეთაც ყველა მწერლები და პოეტები ხართ?! გუშინ დამირეკა აბაშიძემ. პირველ საათზე მწერალთა გაფართოებული სხდომა არისო და აუცილებელია შენი დასწრებაო.. მარა ნამეტანი გაფართოვებულხართ, ნამეტანი. (ქირქილებს და ...) მასთან ერთად ყველანი იცინიან.

— მეც მომიკიდე ერთი, თუ კაცი ხარ, — მიმართავს ის ახალგაზრდა მრელაშვილს, რომელიც ამ დროს თვითონ ემზადება პაპიროსის მოსაწევად.

— ახლა ხომ ხარ შენც ამათან, ძამიკო (...მთავარია იქ, იყო იქ — სააქტო დარბაზის კენი იშვერს თითს გალაკტიონი (ქირქილებს) უმჯობესია პრეზიდიუმში. ჯგუფთან ახალგაზრდა უცერემონიო კაცი გაჩერდა და უყრს უგდებდა მათ საუბარს.

ახალგაზრდა კაცი: — საშინელებაა, საზიზღრობაა... გადაიკითხეთ 37-38 ნლების გამოცემები და მიხვდებით. დაძველებული თაობა. საერთოდ ვთვლი, რომ ეს თაობა პოეტის დამსაფლავებლები არიან. უნდა აილაგმონ. ხელს უშლიან ქართული პოეზიის ნინსვლას და განვითარებას. მასთან (ჩერ-

დება) კიდევ ორი.

— ...მართალია (მარა) მთლად მასე არაა საქმე — ამბობს ერთ-ერთი მათგანი, რომელსაც „საპჭოთა საქართველოში“ შეე-ვეული უსახური ნიღაბი უჭირავს. გალაკტიონი ერვა საუბარში:

— როგორ გავხარ (ბიძიუ) იღია ჭავჭავაძეს.

(სიჩუმე ჩამოვარდება)

ახალგაზრდა (უხერხულად იშმუშნება მაგრამ) აშკარად კმაყოფილია.

გალაკტიონი: — (არა), ნამეტანი გავხარ.

(ახალგაზრდა წითლდება)

გალაკტიონი: — (ასეთი მსგავსება წარმოუდგენელია), ...გავხარ (ნამეტანი) გავხარ. მარა რა გაკლია, იცი?...

(პაუზას აკეთებს)

ახალგაზრდა: — რა, ბატონო გალაკტიონ?

გალაკტიონი უბის წიგნაკს ამოიღებს და წერს: (მიაწვდის)

ახალგაზრდა ხმამაღლა კითხულობს: — ტყვია შუბლში — ყველანი იცინიან. გალაკტიონი კიბეზე ასვლას აპირებს, მაგრამ გაახსენდება და მოპრუნდება:

— ბლოკნოტი დამიბრუნე, ტელეფონის ნომერი მაქვს ზედ.

გალაკტიონი: — ეს გაკლია, .. ისე ნამეტანი გავხარ.

(მხარზე ხელს მოუთათუნებს და ქირქილით გაშორდება).

\* \* \*

გალაკტიონის ბინა. მას კაბინეტში ელის ვადბოლსკი. (მუხლებზე საქაღალდე უდევს). ოლგა იურიევნა კაბინეტსა და სამზარეულოს შორის კურსირებს.

— Нет это невыносимо, опять кто знает где он, с кем он пьёт, свинья, как ему не стыдно!

კარებზე გაბმული ზარია.

ოლგა იურიევნა აღებს. გალაკტიონი ხელგამლილი, გაღიმებული სახით ემურება მისკენ.

— О, моя дорогая Ольга Юрьевна, — ქალი სახეს აარიდებს, ზურგს შეაქცევს და კბილებში გამოსცრის, — Чтоб ты сдох вонючий.

გალაკტიონი უცებ აირევა და განრისხდება.

— ასე ხვდებიან ქმარს ოჯახში? წამოავლებს სკამს ხელს და ძირს დაანარცხებს. ქალი კივილით შევარდება კაბინეტში, სადაც ვადბოლსკი უკვე ფეხზე დგას.

— Скажите, так встречают... (vas) так встречают мужа дома? — (ტელეფონს კედელს მიანარცხებს)

— ჰა, ასე ხვდებიან ქმარს? Где твоя совесть? — გალაკტიონი წამოავლებს ხელს ყვავილების დიდ ლარნაკს და სარკეს შეანარცხებს. სარკედა ლარნაკი იფშვნება. ოლგა იურიევნა წივის. გალაკტიონი ჩავლებს მხრებში ხელებს (— Что ты плачешь, как ты смеешь плакать?!)

ოლგა იურიევნა: — Ты такой чувствительный поэт.

გალაკტიონი: — Ты не имеешь право так говорить.

ოლგა იურიევნა: — Алкоголик ты, свинья!

გალაკტიონი მას უბიძგებს და კიდევ ერთ სკამს ძირს დაანარცხებს. (ვადბოლსკი, რომელიც მთელ ამ სცენას შეცემუნებული უყურებდა, ბოდიშს იხდის და იქაურობას გაეცლება) — Извините, Галактион Васильевич, я в другой раз зайду.

გალაკტიონი ხელს წამოუსვამს თავის ხელნაწერებს და ქალს პირდაპირ თავზე დააყრის. — Как вы смеете так со мной разговаривать?!

ოლგა იურიევნა ოთახიდან გადის და კარებს მიიჯახუნებს. აკანკალებული გალაკტიონი ჩამოჯდება სკამზე, პაპიროსს ამოიღებს, გააბოლებს, ეტყობა ცუდადა...

— ილგა იურიევნა! — დაიძახებს.

(არაფერი ისმის)

— Ольга Юрьевна? (დაიძახებს უფრო ხმამაღლა): — Мне плохо!..

სამარისებული სიჩუმეა.

გალაკტიონი გადის დერეფანში. შეიხდავს საძინებელ ოთახში. სამზარეულოში. ოლგა იურიევნა არსადაა. შედის აბაზანაში და ხედავს თავზე სარეცხვადაფარებული ოლგა იურიევნა კუთხეშია მიყუჟული. გალაკტიონი მიმართავს:

— ილგა იურიევნა

(ქალი ხმას არ იღებს)

— Ольга Юрьевна (ხმას აუწევს გალაკტიონი)

ქალი არ იძვრის. გალაკტიონი გამოდის აბაზანიდან. შევა კაბინეტში. გამოვა. მივა დაშლილ ტელეფონთან. შეაქუჩებს. გავა დერეფანში. მივა მოპირდაპირე კართან და მეზობელთან დააკაკუნებს.

მეზობლის ქალი: — რა დაგემართა გალაკტიონ?

გალაკტიონი: — ჩემო ვასასი, მიშველე. შემო ერთი ჩემთან.

ვასასი: — ცოტა ხნის შემდეგ რომ შემოვიდე?

გალაკტიონი: — დიდხანს არ დაგაყოვნებ, სულ ერთი წუთი.

ვასასი: — კაი, ახლავე შემოვალ (შინ შებრუნდა).

გალაკტიონი ელოდება.

ვასასი: — ცუდად ხომ არ ხართ?

გალაკტიონი ხელით ანიშნებს (ჩუმათო) და აბაზანისკენ გაუძლვება.

გალაკტიონი: — ა, შეხედე.

ოლგა იურიევნა ისევ ისე ზის, როგორც იჯდა.

— ოლგა იურიევნა! (გალაკტიონი)

ვასასი და გალაკტიონი დერეფანში გაჩერდებიან (— რა ვქნა? ცუდ დღეში ვარ ჩავარდნილი). სულ ასე მემალება და მაწვალებს. მერე უცებ გაუჩინარდება და გვიან მოდის. არ ვიცი, რა ვქნა. ვასასი: — გალაკტიონ, დამშვიდები ნერვები აქვს აშლილი, ალბათ, დამშვიდება და ყველაფერი ადგილზე დალაგდება,.. „გმადლობთ ვასასი“).

გალაკტიონი შებრუნდება და ფრთხილად, უხმოდ თავისი კაბინეტის კარებს გაიხურავს. დერეფანში ქალის ნერვიული ნაბიჯების ხმა ისმის.

\*\*\*

### ნარჩერა:

„...მე მაქვს ხუთი თუმნის (50 მან.)  
ობლიგაციები. გთხოვთ, ნებართვას მისი  
გადახურდავებისას.  
სახ.პოეტი გ.ჭაბიძე“

ოპერის შენობის წინ უამრავი ხალხია. გარკვეული ნაწილი გალაკტიონის აფიშასთანაა შექმნილი. გალაკტიონის თვალით დანახული აქაურობა, როგორც თვითონ წერს, („...ყველაფერს ირგვლივ მზე აჭერს და ოქროსფერი ბრწყინვაღებითაა განათებული...“) არაბუნებრივად გამოიყურება. აფიშა ჩამოხულია. აფიშასთან ჩამოვლელი ერთი ძველმოდური ქალბატონი დაინტერესებით კითხულობს.

ძველმოდური ქალბატონი: — ვის ასაფლავებენ ნეტა?

ახალგაზრდა წვერგაუპარსავი კაცი: — არც ვის. (მეორე ასეთივე — იუბილეა, იუბილე...)

ძველმოდური ქალბატონი: — ჰო -ო. აბარა ვიცი, შვილო, ღვთის წყრომად რომ იყურება ისეთი ახალგაზრდობა გვეზრდება.

(ყველაფერ ყურმოკრულს იქვე მდგომი გალაკტიონი უბის წიგნაკში იწერს).

მუცლიანი მოქალაქე: — არა კაცო, ეს ძველი აფიშაა. (დაკვირვებით ათვალიერებს) ამ საღამოზე მე უკვე ვიყავი. მარცხენა ლოუაში ვიჯექი.

მუცლიანი მოქალაქე შლიაპის გარეშე: — თქვენ ალბათ სხვა საღამოზე იჯექით.

მუცლიანი მოქალაქე: — არაფერიც, მე იქვიყავი.

— შეუძლებელია — ჩაერევა უმუცლო, მაგრამ შლიაპიანი მოქალაქე.

— რატომ? შენ რა იცი? — ეჭვი შეაქვს მუცლიან მოქალაქეს.

უმუცლო, მაგრამ შლიაპიანი: — იმიტომ, რომ რიცხვის მიხედვით შეუძლებელია.

— რიცხვი მოხეულია, — იცავს თავს მუცლიანი მოქალაქე.

უმუცლო შლიაპიანი მოქალაქე: — რიცხვი მოხეულია, მაგრამ ნელი და თვე ხომაა, აი (თითით უჩვენებს).

მუცლიანი მოქალაქე: — მერე?

უმუცლო, მაგრამ შლიაპიანი მოქალაქე: — მერე ის, რომ საღამო მომავალ თვეშია დანიშნული. რიცხვი მოხეულია, მაგრამ აი, თვე (უჩვენებს თითით).

ვიღაც ქლოვანი: — მაინც არავინ მივა. ამიტომაცაა აფიშა ახეული.

უმუცლო, მაგრამ შლიაპიანი მოქალაქე: — მივა, როგორ არ მივა, მაგას იარაღი უყვარს.

მუცლიანი მოქალაქე შლიაპის გარეშე: — სულ მაგის საქმეა ამ თბილისის არემარეზე ნადირს რომ ვეღარსად ნახავ, ნამლად რომ გინდოდეს.

\*\*\*

გალაკტიონი ელბატიძის დაღმართზე ეშვება. უკვე შებინდებულია. მთვრალი სამი რუსი გენერალი ხმამაღლა ლაპარაკობს. გალაკტიონი მათ შუაში გაყოფს და აქეთიქით მიყრის. ერთი (ლამის) კედელს მიენარცხება.

— Ой, я твою мать.

გალაკტიონი (ვითომ, არ გაუგია) გზას აგრძელებს. გენერალებიდან, ერთ-ერთი, რევოლვერზეც კი გაიკრავს ხელს, მაგრამ გალაკტიონი ბინდში უკვე აღარ ჩანს. აქოშინებული კედელს მიეყრდნობა და ბურტყუნებს:

— ტოტლებენმა უმტყუნა ერეკლეს.

— „Окупанты! Захватчики!“ გალაკტიონს ორი ვიღაც ხელმელავს გამოსდებს და ბალში შეჰყავი. წყვდიადში ხელის ფანრის ჩართ-

ვა-გამორთვისას, გასაგები ხდება რომ გალაკტიონს ძარცვავენ. ისმის გალაკტიონის ხმა: — როგორ უყვართ საქართველოში გალაკტიონი. როგორ უყვართ საქართველოში გალაკტიონი.

წყვდიადიდან გალაკტიონი გაძარცვული გამოდის.

ხიდზე ახალგაზრდები დგანან. ზოგი მათგანი მიბრუნდება გალაკტიონის შეძახილზე. გალაკტიონი მიუახლოვდება მათ.

— ხომ ვერ მეტყვით ყმანვილებო, ვისი სახელი ჰქვია ამ ხიდს?

ერთ-ერთი მათგანი — მგონი ელბაქიძის სახელობისაა. (გოგონა გადაიკისკისებს. გალაკტიონიც ხითხითებს).

— ვინ იყო ელბაქიძე, თუ იცით?

(ახალგაზრდები სიცილ-ღიმილით ერთ-მანეთს უყურებენ და პასუხს ეძებენ): — რევოლუციონერი იყო არა? (სათუოდ ჩაილაპარაკებს ერთ-ერთი).

— ვიღაც სასიკვდილოდ დაჭრა ...

— რა ლამაზია მტკვარი არა, ქალიშვილო? — (მიმართავს გოგონას გალაკტიონი) — ბარათაშვილს უყვარდა მტკვრის პირას ხეტიალი. თბილისში კი, ხიდიც არ არის ბარათაშვილის სახელობის. საქმეა ახლა ეს?

— ახალგაზრდები შეცბუნებულები უყურებენ გალაკტიონს და არ იციან როგორ მოიქცნენ.

— ხომ უნდა იყოს თბილისში ბარათაშვილის ხიდი, ბიძიკოებო, ხომ?

— დიახ, — არეულად პასუხობენ ყველანი.

გალაკტიონი: — კარგია მტკვარში თავის დახრჩობაც კი... ბიძიკო, შენ არ წერ ლექსებს? — მოულოდნელად მიმართავს ერთ-ერთ მათგანს.

— არა, ბატონო, — პასუხობს შეცბუნებული ახალგაზრდა. (გოგონა ისევ გადაიკისკისებს)

— ოხ, რატომ, შე კაცო, წერე, ბიძიკო, წერე, — ვაჟს ხელს გაუწვდის და მიდის.

გალაკტიონი მობრუნდება და მათ ეძახის: — უთხარით თქვენს მეგობრებს, გალაკტიონი ვნახეთ-თქო...

გაცდება ხიდს. მარცხენა სანაპიროზე (სადაც ქუჩის სინათლე ანათებს) ჩადის. პირდაპირ მტკვარს მიადგება და ნელ-ნელა წყალში შედის. უკვე, ლამის, ნიკაპამდე უწევს. ხიდის მოაჯირზე შემომჯდარი პატარა ბიჭები შეამჩნევენ და ყვირილით მიაშურებენ.

— თია, თია!

მათ (რის ვაი-ვაგლახით) ამოჰყავთ გა-

ლუმპულ-გალურჯებული გალაკტიონი, რომელიც შეციებული ძაგძაგებს და ბუტ-ბუტებს. მთელ სხეულზე წყალი ჩამოსდის. მხარში ამოუდგებიან.

— რა სულზე მომისწარით, ბიძიკოებო, — კანკალით ამბობს გალაკტიონი.

— ვეფხვები ვართ!.. (უცებ ერთ-ერთ მათგანს იცნობს): — შენ არ ახტებოდი ტრამვაის?

ბიჭი იცინის.

გალაკტიონი: — კი. შენ იყავი. (რა გაცინებს)

— მტკვარში ასე შესული კაცი პირველად ვნახე. (ამბობს ბიჭი)

— პირველად ნახე ხომ? ვეფხვები ვართ და იმიტომ.

ერთი ბიჭი, რომელიც უფრო მორცხვია ეუბნება. (— მე ვიცი თქვენ ვინ ხართ!)

— ვინ?

— გალაკტიონი.

— მოდი ჩემთან (მიიკრავს სველ ტან-საცმელზე. ბავშვი ცდილობს თავი დაალნიოს)

— რას შვრები, ბიჭო?

— დავსველდი.

— დასველდი, მაგრამ არ გაცივდები, იმიტომ რომ ჩემ ჩემ ვეფხვები ვართ. როგორ იციან და უყვართ გალაკტიონი ახალგაზრდებს.

— წამოდით, ბიძიკოებო, ჩემთან სახლში.

ბიჭები გალაკტიონს შინ მიაცილებენ. კარს ოლგა იურიევნა აღებს. დაინახავს თუ არა იგი სველ, გაქურდულ გალაკტიონს და მასთან ერთად ქუჩის ბიჭებს ერთ კივილ-ნივილს ატეხს.

— Кого ты в дом тащиш — всякую шваль, безумец, это они ограбили тебя?!

ბიჭები დაფრთხებიან და გარბიან. გალაკტიონი იბნევა... რაკი ქალს ვერ ანყნარებს, ხალხმრავალ ქუჩაში გაქცეულ ბიჭებს უკან გამოედევნება.

— ნუ წახვალთ, ბიძიკოებო, ნუ დაუჯერებთ! — შეშინებულ ბიჭებს ეძახის გალაკტიონი, მაგრამ ისინი სხვადასხვა მხარეს ხალხში იფანტებიან.

\* \* \*

დეკემბრის ბოლოა. ნასვამი გალაკტიონი პლეხანოვის გამზირზე მოაბიჯებს. მოირნევა. ცუდი ამინდია. პალტო გალელილი აქვს. ჰალსტუხი გვერდზე მოქცეული ხელში ანთებული პაპიროსი უჭირავს. ხშირად ჩერდება, თავისთვის ლაპარაკობს. შავი შლიაპიდან წვიმის წვეთები ჩამოსდის. გამ-

ვლელები ერიდებიან. „გალაკტიონი — გალაკტიონი“ ერთმანეთს ჩურჩულით მიანიშნებენ. შემხვედრი მიმართულებით მოდის ვადბოლსკი. გალაკტიონს რომ დაინახავს, მიაშურებს:

— Галактион Васильевич.

გალაკტიონი ჯერ ვერ ამჩნევს.

— Галактион Васильевич, — შეეხება იდაყვზე ვადბოლსკი, — Что с вами?

გალაკტიონი უცებ იცნობს და გადაეხვევა.

გალაკტიონი: — Вы меня любите?! Боже мой как приятно.

ტუჩები აუკანკალდება და მოულოდნელად ატირდება. ვადბოლსკი ხელმკლავს გამოსდებს, ქუჩაზე გადაიყვანს.

გალაკტიონი: — Я совсем один остался. Все отвернулись от меня, я никому не нужен.

ვადბოლსკი:

— Что вы, вы нужны Грузии, близким друзьям... в конце концов родной литературе... семье...

გალაკტიონი: — Нет у меня их (მოკლე დუშმილი)

— Вадбольский, куда мы идем?

— К вам домой... Вы должны лечь, отдохнуть.

— Нет. Только не домой... Я оттуда ушёл. Всё оставил открытым и ушёл. Пусть они идут и заберут всё. Они могут отнять всё, кроме моей поэзии. Я написал не сто, не двести а десять тысяч стихотворений... Которые никто не может украсть.

ვადბოლსკი თავზარდაცემულია.

— Вы оставили квартиру открытой?!

(ვადბოლსკი გალაკტიონს ვერც ძალით, ვერც ხვენა-მუდარით ადგილიდან ვერ ძრავს. გამვლელები მათ ყურადღებას აქცევენ. გალაკტიონი ვერავის ამჩნევს).

გალაკტიონი: — ვადბოლსკი, თქვენ მართლა ჩემი მეგობარი ხართ?

ვადბოლსკი: — რა თქმა უნდა!

გალაკტიონი: — მაშინ ამ ჭურჭლის მაღაზიაში შევიდეთ.

ვადბოლსკი: — რისთვის?

გალაკტიონი: — ნუ მენინააღმდეგები, შენ მეგობარი ხარ და არა ბრუტუსი.

გალაკტიონი მაღაზიაში ჭურჭლით სავსე დახლთან მივა. დაათვალიერებს. აიღებს ორ ფინჯანს, ერთმანეთზე ანკარუნებს. ახალ გაზრდა გამყიდველი ულიმის.

გალაკტიონი: — ცუდია ცარიელი ფინჯნები. რა შეიძლება იყოს ცარიელ ფინჯანზე მოსაწყენი. (ამას ქართულად ისეთ ოთხ-

სტრიქონიან ლექსს მიაყოლებს, გამყიდვები სიცილით იხოცებიან). ფინჯნებიდან ორს ამოირჩევს. შეუხვევენ. შეკვრას აიღებს და დახლს გამორდება. ვადბოლსკი ადგილიდან არ იძვრის.

გამყიდველი: — Аრაფერია, ეს პირველი შემთხვევა არ არის, ასე მიაქვს ხოლმე და მერე მოაქვს ფული.

გალაკტიონი უცებ ბრუნდება და ფინჯნებს უკან აწყობს.

— გადავიფიქრე. ხო, ხო, ფინჯნები, რა სისულელეა (ისევ სასაცილო ლექსს წარმოსთვამს, რაზეც გამყიდველები ხარხარებენ).

გალაკტიონი გამყიდველებს ხელებს უკოცნის. ვადბოლსკის მკლავს მოხვევს და მაღაზიიდან ქუჩაში გადიან.

— ...ფლირტი და ფინჯნები... ფინჯნებშიც არის ლირიკა. ახლა კი შინ... გაუმარჯოს მეგობარს.

გალაკტიონი ისე მტკიცე ნაბიჯით გაქანდება ნინ, ვადბოლსკი ძლივს ეწევა. კიბეზე კი... მძიმედ ადის. რამდენიმე საფეხურის შემდეგ ჩერდება.

გალაკტიონი: — აი, სახლშიც მოვედი.

ვადბოლსკის ჰაეროვან კოცნას უგზავნის და ამბობს:

— დავიძინებ, გმადლობ. რაღაც ვთქვი დაუფიქრებლად, აღარც კი მახსოვს რატომ.

შედის ბინაში და კარებს მძიმედ მიიხურავს.

\* \* \*

ისმის გასაღების ჩხაკუნის ხმა და კარები ნერვიულად იღება. ბინაში ოლგა იურიევნა, სავადმყოფოს თანამმრომლებთან ერთად შემოცვივდებიან.

ოლგა იურიევნა: — Галактион тебе надо срочно лечится. Мы тебя сейчас заберем, успокоим, вылечим... я всю ночь не спала, все время о тебе думала...

— Ты одел новое бельё? Ну и молодец!

\* \* \*

წარწერა:

„Я говорил — человек звучит гордо... да, да! Перефразируя сказанное — я могу добавить.

Галактион звучит гордо!!! Хорошее имя

Галактион, звучит гордо, да, да,

Галактион — звучит легендарно...

Именно легендарно и гордо...“

ბაქსიმ გორგი

გალაკტიონი ერთკაციან პალატაშია.

ფანჯრებზე რკინის გისოსებია. ოთახში ორ-ნაირი, — ჩვეულებრივი და ცისფერი განათებაა. გალაკტიონი ბოლთას სცემს. გისოსებს მოსინჯავს: „ფსიქოლოგიური დამოკიდებულება ალკოჰოლისადმი — როგორც ფიზიკური შიმშილი. დარღვეული მაქვს პიროვნული მე... ჩამიტარეს სისხლის განმენდა. ვლებულობ პრეპარატებს ტებრექტოლი და ფილეფსინი, აპომორფინი, რაც იწვევს საშინელი ალკოჰოლურ ლებინების რეფლექსს, ჰიპერტონია, ხელის კანკალი (ტრომბოტი). მიჭირს გადაადგილება...“

**ხმა დერეფნიდან:** — Время ужина, время ужина!

გალაკტიონი პალატიდან გადის. ხელში რკინის მათლაფა და კოვზი უჭირავს. ყველანი სასადილოსაკენ მიემართებიან (ავადმყოფები სხვადასხვანაირი გამოვლინებით) — შინაგანი ნერვული სტრესით — ისმის მხოლოდ მეტალის მეტალზე მიჭახუნების და ფეხის ხმა...

გალაკტიონი აშლილ რიგში დგება, რომელიც თუმცა ნელა, მაგრამ მაინც წინ მიიწევს. ულუფის გაცემა „ფორთოჩკაში“ ხდება. გალაკტიონი ითხეაციან მაგიდას მიუჯდება. ავადმყოფებს მათლატებში აქვთ თავი ჩარგული და უცნაური სისწრაფით ჭამენ. ისევ რკინის რკინაზე ჭახუნით პალატებს უბრუნდებიან. ერთს თავგზა აებნა. მხოლოდ ექთნის მემკვებით შესძლო პალატის მიგნება. გალაკტიონი თავის პალატაში ონკანს მოუშვებს ფაფით გათხვრილ მათლაფას და კოვზს რეცხს და მათ მისთვის უჩვეულო სიმსუბუქით „ტუმბოჩკაზე“ აწყობს. მერე სანოლის კიდეზე ჩამოჯდება და სპირონს გაბოლებს.

შემოდის ექთანი. ის სანოლის მეორე კიდეზე, გალაკტიონისაგან მოშორებით ჩამოჯდება.

**ექთანი:** — Это успокоятельное, — (შორიდან ანგლის აბს და ნულიან ჭიქას). გალაკტიონი არ შეხედავს, აბს ართმევს და სვამს.

პაუზა.

ექთანი: — Вам пора спать.

პაუზა.

**ექთანი:** — Вы ознакомились с внутренним распорядком?

გალაკტიონი დუმს.

**ექთანი:** — Потушите пожалуйста папиросу.

გალაკტიონი ნერწყვით პაპიროსს აქრობს და ნარჩენს საფერფლეზე დებს.

პაუზა.

ქალი გადის. გასვლისას, ჩვეულებრივ სინათლეს ჩააქრობს და დატოვებს მხოლოდ ცისფერს. იქ, სადაც უნინ ექთანი იჯდა, სანოლზე გალაკტიონის დედა ჩამოჯდება. მას ნითელი ხავერდის კაბა აცვია.

გალაკტიონი: — ჩემო ხავერდის დედოფა... (გაუგებარია, ამას თვითონ ამბობს თუ მას ესმის).

**დედა:** — ცუდად ხარ, გატუნია, შვილო. ახლავე შეგილოცავ, დედა. ვიცი ნათვალევის შელოცვა წენა. ახლავე ჩემო გატუნია.

(დედის შელოცვისას) გალაკტიონის გამოსახულებაზე ცივი ნისლი შემოდის ალაგალაგ ფერადი შენარევით და გამჭვირვალე ფარდას ქმნის, რომლის იქით ხან გამოკვეთილად ხან მოლანდებასავით გაიელვებს შელოცვისას ნაჩვენები ესა თუ ის საგანი.

(დედის ხმა): „გასკდა შავი კლდე. გამევიდა (შავი) კაცი,.. (შავი) ცხენით,.. (შავი) იარალით. წევიდა შავი (შავსა) ზღვასა. ჩაჰყო (შავი) ხელი. ამოილო (შავი) გველი. გადაჰკრა შავსა ქვასა: ისემც კვდება. ისემც — გჯება შენი ავი თვალით შემხედვარე“. დედა განაგრძობს. დედისა და გალაკტიონის გამოსახულებას ნისლში ნითელი მინარევი გადაუვლის. ნამით ყველაფერი ბურუსში იძირება, საიდანაც ისევ ამოდის დედისა და გალაკტიონის გამოსახულებები,...

მერე: „...გასკდა (ნითელი) კლდე გამევიდა (ნითელი) კაცი. (ნითელი) თოფ-იარალი. წევიდა ნითელ ზღვასა,,..

მერე...

გასკდა თეთრი კლდე. გამევიდა (თეთრი) კაცი... და ა.შ.

— გეამა დედა? გეამა შვილო. დედას სურს თავზე ხელი მოუსვას გალაკტიონს, მაგრამ ის (გალაკტიონის გამოსახულება) ალარა და იწყება გალაკტიონის მისტერია (მისივე ხმით, დედის ხმასთან ერთად) — და მისი ეფემერული ნარმოსახვა. (გისოსებში რიურაჟი ნათებას იწყებს)

დედისა და გალაკტიონის ხმები მონაცვლეობით: „...ორად (ორად გაიპო) გაიპო ნითელი,, (ნითელი) კლდე. ავარდა რაში (ნითელი). ნითელი მზით, უნაგირით. (ნითელი) ალით გაედევნა კაცი — მირაჟი (ის) შემოსილი გრძელი თმებით. ნითელი თაგრით. (მოახტა მერანს) გაიარა შარა (შარა) ნითელი. აჲა, გამოჩნდა ზღვა, ნითელი როგორც მარჯანი. შუა გააპო ნითელი ზღვა, (მოავიტელი) ჩაჰყო მის გულში სისხლისფერი ყავარჯენი, შემდეგ (სიცილით) ამოილო ნითელი გველი (და) ნითელ გზაზე გადაშევართა უზარმაზარი. ციდან, წვეთნვეთად მოდიოდა შხამები.

(მწველი) და მძლავრდებოდა დედამიწის ოხვრა საზარი. (დედის ხმა უსწრებს გალაკტიონის ხმას, რომელსაც მერე გალაკტიონის ხმა წამოეწევა და გაუსწრებს) — გაიპო (ცისფერი კლდე). გამოჩნდა რაში (ცისფერი) რაში. ცისფერი ზღვით. ცისფერ უნაგრით. ცისფერი ალით. გაედევნა ლურჯი რიურაჟი. ლურჯი ხელებით. ლურჯი ღვინით. ლურჯი მინანქრით. მოახტა მერანს, გაიარა შარა (შარა) ცისფერი. შუა გააპო ცისფერი ზღვა,... (როგორც სიზმარი). ჩაჰყო მის გულში ლილისფერი ხის ყავარჯენი, მერე (სიცილით) აიღო ცისფერი გველი და ცისფერ ცაზე გადაწვართა უზარმაზარი. (გისოსების ერთ და იგივე უჯრაში, ხან დედის სახე გამოჩნდება ხან გალაკტიონის, ხან ორივე ერთად. ისე როგორც მათი ხმები ცალ-ცალკე და (ხან) ერთდროულად — ცის სილაუვარდე ედებოდა ცივი და ნელი და ლურჯდებოდა დედამიწა როგორც თათარი. (აქ მეორდება ჩვენთვის ნაცნობი გამოსახულება, როცა გალაკტიონს მხრით ვაგონი ააქვს ელიას მთაზე.) დედა გალაკტიონს შეატოვებს შავ შელოცვას და გადადის ცისფერზე...

**დედა:** — გეამა ნენა? გეამა შვილო?

(ფანჯრის გისოსები გავარვარდება როგორც ცეცხლშირკინა,.. იქიდან შავი ძალლის თვალები ელავს, რომელიც ღრმა (ამაზრზენ) ცარიელ ფოსოებად იქცევა და ძალლი სულის ნამღებად წავავნებს, რასაც ზევიდან გალაკტიონის ხმა ედება.

დედის ხმა: „...შავი კლდე გაიბზარა. ავარდა რაში. შავი მირაჟი ფაფრით. შავი უნაგრით. შავი თვალებით გაედევნა შავ კამარაში. (დედის და გალაკტიონის ხმა, ერთად) დაუშვით ფარდა. გზა ჩაკეტეთ. ცეცხლი ჩაქრეთ. აპა, გამოჩნდა შავი ზღვა და ააჩქარა. (და) ღამემ ჩაჰყო მის გულში ღამისფერი ხის ყავარჯენი. შემდეგ (სიცილით) ამოიღო მან შავი გველი და შავსა ცაზე გააწვინა ვით შავი ძერა და იყო დუმილი ქვეყანაზე ცივი და ნელი. ეს იყო მხოლოდ მოჩვენება და ეფემერა.

(შემთხვევით) პალატის კარებს ექთანი შემოაღებს.

**ექთანი:** — **Почему вы не спите? А ну-ка спать, спать.** (საწოლში ანვენს) და გასვლისას, ცისფერ სინათლესაც გამოურთავს. გისოსებში ადრეული დილის მკრთალი სინათლეა და ისეთი შთაბეჭდილება ჩნდება, თითქოს იქიდან შავი ნაგაზი გაიძურნა. (და) გისოსები შეგნით იღება. გალაკტიონი გამოაღებს პალატის კარს. დერეფანში სიჩუმეა. მას აცვია „პიჟამო“ და „ჩუსტები“

— რაფერ ხართ, ძამიკოებო, რაფერ? (ეს ოთხვაციანი პალატაა). საწოლზე მოკავეული ავადმყოფი ძაგძაგებს. გალაკტიონი მას ვაშლს გაუწვდის. ავადმყოფი, (რაკი მიანოდეს), გამოართმევს და როგორც იწვა მაგრამ ახლა უკვე ვაშლით ხელში უნინდებურად მოკავეული წეს და ძაგძაგებს.

**გალაკტიონი:** — გოუძელი, ძამიკო, გოუძელი.

მეორე ავადმყოფი თავის საწოლზე ზის. ხელები თავზე აქვს შემოწყობილი და აკვანივით ირწევა. გალაკტიონი მასაც დაუდებს ვაშლს, ავადმყოფი არც შეხედავს. დანარჩენორ ავადმყოფს გათიშული ძინავთ. შეერთებული აქვთ სისხლის გადასასხმელი აპარატები. გალაკტიონი მათაც დაუწყობს ვაშლებს და ჩაილაპარაკებს: — „ეს ჩვენი პლანეტიდან თქვენს პლანეტას.“

გალაკტიონი თითქოს კედელში გადის, თუმცა ზურგს უკან კარებს გაისურავს. კედელ-კედელ დერეფანში მოფლაშუნობს „ჩუსტები“ და „ავოსკა“. ახალგაზრდა, რომელიც ძალიან უცნაურად გამოიყურება (თითქოს ადამიანს პირველად ხედავდეს), გალაკტიონის წინ ჩერდება, რატომდაც მას დაუჩირქებს და ეუბნება:

**ახალგაზრდა:** — აქ (გუშინ) ვიღაცას ეძებდნენ.

— კაი, ბიძიკო, კაი, — მას სასწრაფოდ ფეხზე ნამოაყენებს და ვაშლს აძლევს — ა, შენ ვაშლი.

— **Проходите, проходите, что вы мне здесь балет устроили?** — ამბობს დამლაგებელი, რომელიც ბინძური „შვაბრით“ იატაკს წმენდს. ასეთივე ბინძურ წყალში ამოვლებულ ბინძურ ტილოს აქეთ-იქით ახეთქებს.

შუა დერეფანში, გასაშლელ კიბეზე ასული ელექტრიკოსი ჭერში რაღაცას ამაგრებს, ქვევით მდგომი ინსტრუმენტს აწვდის. რაღაცაზე ჩხუბობენ.

**(მოხუცი ქალი გალაკტიონს):** — უკაცრავად აქ აბაზანა არის?

**გალაკტიონი:** — რა მიბრძანეთ, ძვირფას...

მოხუცი ქალი: — აქვანა არის? ორი დღის წინ ჩემი ბინა გაქურდეს. (ხითხითებს ქალი. გალაკტიონიც აყვება): — ყველაფერი ნაიღეს,.. მარტო ვაშლები დამიტოვეს. მოხუც ქალს ხელში ვაშლებით სავსე ცელოფნის ბადე-პარკი უჭირავს. გალაკტიონი ხედავს, ბადე-პარკის სახელური ნელ-ნელა ჩაიხევა და ვაშლები იატაზე იფანტება... ქალი სიცილით გადაფიჩინდება. გალაკტიონიც იცინის. კიბეზე ახალგაზრდები ჩამოდიოდნენ.

დაინახავენ რა თუ არა იატაკზე დაფანტულ ვაშლებს, ისინი ერთ ამბავს ატეხენ. დაედევნებიან, მაგრამ ვერ იჭერენ. ვაშლები კედლებში გაჟონავენ და ეზოში ცვივიან. სანიტარი მამაკაცი ჯერ ბოქლომს ხსნის, მერე კარს აღეს: გისოსებს იქით, ორთაჭალის ციხის მისაღებში ოლია ოკუჯავა დგას და ძმები — ოკუჯავები. მშობლები უფრო უკან (აქეთ) ნინა დგას. ნუნუ კაკინათი. დათუ. უზზე. იმათ უკან აბესალომი და ნოდარი. ოლიას იქით მარჯვენა მხარეს — ოლგა იურიევნა, რამდენიმე უსახურ ნიღაბთან ერთად. აფო, რუსი „ბროდიაგა“ „ტრუბკა“, ანეტა, ვასასი, დომენტი და კეთილი მეზობელი ოკუჯავებსა და ნიღბიანებს შორის არიან. ყველასგან განცალკევებით დგას შონია თავისი მეუღლით და გალაკტიონის გადამრჩენი ბიჭები. ყველაზე წინ (ოლიასგან მარცხნივ) ვახტანგი და ფატი ნიშნიანიდე დგანან. ყველანი გაყინული მზერით მისჩერებიან გალაკტიონს. თუმცა თვითონეულ მათგანს მთელი ტანით ხედავს, გალაკტიონს რატომდაც ეჩვენება, რომ ისინი მასთან ძალიან ახლოს დგანან. ოლგა იურიევნა წინ გამოდის და ხელს უწვდის გალაკტიონს.

**გალაკტიონი:** — Как я рад вас видеть, Ольга Юревна!

ოლგა იურიევნა უცებ ოლიად იქცევა და მისი ტყვიით გახვრეტილი ხელის მტევანი გალაკტიონს უჭირავს.

— Гал! (ეტყვის ოლია) — Мне очень болично. ის მკერდზე ხელისგულს მიიდებს, საიდანაც სისხლი წვეთავს. გალაკტიონს პალატაში ეღვიძება. მას სანოლზე მთავარი ექიმი უზის და პულსა უსინჯავს.

მთავარი ექიმი: — Ну как вы, Галактион Васильевич, себя чувствуете? Мы сегодня собираемся вас выписать.

გალაკტიონი თითქოს წამოხტა (ლოგინზე ისე წამოჯდება).

— ა, ბიძიკო, ლექცია მინდა წავუკითხო ავადმყოფებს! (გალაკტიონი მთავარ ექიმს განცხადებას აწვდის)

მთავარი ექიმი: — Лежите, лежите, კარდიოგრამა უნდა გადაგიღონ.

გალაკტიონი წვება. ექტნები მას კიდურებზე კარდიო-„ბორკილებს“ ადებენ და სანამ მთავარი ექიმი მის განცხადებას ხმამაღლა წაიკითხავს, გალაკტიონი მავთულებში გახლართული აღმოჩნდება.

მთავარი ექიმი: — Дорогой Галактион Васильевич, это для нас большая честь, и когда вы это задумали?

**გალაკტიონი:** — Несмотря на тяжелый сон, народный поэт сегодня-же может прочесть лекцию.

— ნუ მოძრაობთ!.. (და),.. ნუ ლაპარაკობთ, — აფრთხილებს კარდიოლოგი გალაკტიონს.

გალაკტიონი ჩუმდება.

მთავარი ექიმი — (ექტნებს): — Помогите ему собраться, а через час — (გალაკტიონი მას თანხმობის ნიშნად თავს უქნევს) — Все в актовый зал.

გაკრულია ტრანსპარანტი საბჭოური ლოზუნგით. აქეთ-იქით სტალინის და ლენინის დიდი პორტრეტებია. ამაღლებულზე, ცენტრში ტრიბუნა დგას. გალაკტიონი შემოდის საქალალდით და ტრიბუნისკენ მიემართება. გზად ზოგს თავის დაკვრით, ზოგს ხელის ჩამორთმევით ესალმება. ტრიბუნაზე გახსნის საქალალდეს და იწყებს: „...ძირფასო ამხანაგებო, ნარკოტიკების სრულიად მოსპობა კი არა შეცვლა საჭირო. ხელოვნება საუკეთესო ნარკოტია, ამხანაგებო. ამ სიტყვის უფართოესი მნიშვნელობით. ხელოვნებაც იგივეს აკეთებს, რასაც ალკოლი, ადამიანი გამოჰყავს თავისი (მეს) საზღვრებიდა...“ უცნაური ახალგაზრდა ავადმყოფი მეორე რიგში ზის. გალაკტიონის სიტყვებზე ის ტაშს შემოჰკრავს, მაგრამ აჩუმებენ. (გალაკტიონი აგრძელებს): — „როგორც ვიცით ამხანაგებო, ადამიანები სვამენ მოწყენილობისა და ბოლმის გამო. „ძირს კარჩაკეტილი განცალკევებული ცხოვრება“ (ხელს ლოზუნგისკენ იშვერს, რომელიც მის უკან კედებზე ჰქიდია). ახალგაზრდა ავადმყოფი კიდევ უფრო ინტენსიურად უკრავს ტაშს. მას სასწრაფოდ აჩერებენ და აფრთხილებენ.

**გალაკტიონი:** — საზოგადოებისადმი სწრაფვა, აი, რა არის მთავარი.

ახალგაზრდა ავადმყოფი ისევ შემოჰკრავს ტაშს. ვიღაცები ცდილობენ დაატოვებინონ მას დარბაზი, მაგრამ ის კატეგორიულ უაზზეა. გალაკტიონი აგრძელებს: — დადარდიანებული, მარტოხელობის გრძნობით შეპყრობილი ერთად იკრიბებიან ასეთი კაცები, რომელთაც არავითარი საერთო არა აქვთ, არც განვითარებით, არც მისწრაფებით. უფრო მეტიც, ერთი მეორის არავითარი ნდობა და პატივისცემა არა აქვთ და შინაგანი ელემენტის უქონლობის გამო, რაც უნდა აერთიანებდეს ამ სხვადასხვა ადამიანებს, ისინი მიმართავენ ხოლმე გარეგან ელემენტებს — არაყს, ღვინოს, მაგრამ ღვინოს არ შეუძლია შექმნას შინაგანი შეგნე-

ბა. ახლა, ყველასთვის მოულოდნელად, მეთე რიგში მჯდომი შუა ასაკის პაციენტი იწყებს სტვენას, მაგრამ სანამ სხვა მიუ-თითებდეს თვითონვე ხვდება დანაშაულს და ჩერდება. გალაკტიონი მას ხელს აუნევს და განაგრძობს.— ნევრასტენის, როგორც მოგეხსენებათ, ნერვების ავადმყოფობის ერთ-ერთი ნიადაგთაგანია ალკოჰოლი. შუა სნის პაციენტი კვლავ უსტვენს, ამჯერად გაცილებით ხანგრძლივად. იგი დაუყოვნებლივ გაჰყავთ დარბაზიდან. ამის შემხედვარე პაციენტები გასუსულები სხედან.

გალაკტიონი: — ხელოვნება სდევნის, აძევებს ალკოჰოლს, სადაც ხელოვნების სახელით იკრიბებიან ადამიანები იქ ადგილი არა აქვს მთვრალ კამპანიას. ძვირფასო ამხანაგებო, ხალხისათვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ხელოვნება, რაც აადვილებს და ამრავალფეროვნებს ცხოვრებას. ამხანაგებო! გაუმარჯოს ჩვენს დიდ პარტიას, რომელიც გიგანტური ნაბიჯებით მიიჩევს წინ და უზრუნველყოფს ადამიანის ჯანმრთელობის უფლებას. ძვირფასო ამხანაგებო, მუდამ გვახსოვდეს დევიზი „ჯანმრთელ სხეულში ჯანმრთელი სულია!“. ნება მომეცით დასასრულს სამედიცინო პერსონალს და ძვირფას დამსწრე საზოგადოებას გიძლვნათ ერთი ლექსი: „აი მიზეზი, მეგობრებო, აი მიზეზი...“ დარბაზი სიჩუმეა. ავადმყოფები უზმოდ გადიან. მედ. პერსონალი და მთავარი ექიმი „პარტიით“ აცილებენ გალაკტიონს. უცნაური ახალგაზრდა (რომელიც მოხსენების დროს მარტო უკრავდა ტაშს) ახლა ცდილობს მიიჭრას გალაკტიონთან და ხელი ჩამოართვას, მაგრამ მას ამის ნებას არ აძლევენ. ამიტომ გალაკტიონი თვითონ მიდის მასთან: — ყოჩაღ, ხელოვნება დევნის ალკოჰოლს. აბა, შენ იცი ძამიკო — რატომდაც ამ სიტყვებით მას მიმართავს და მხარზე ხელს უთათუნებს. ღია კარები (და) ფანჯრები გაჭედილია ავადმყოფებით, (მედ. პერსონალით). უკვე ჭიშკართან მისულ გალაკტიონს ექთანი თაიგულს დააწევს:

— ბატონო გალაკტიონ, — ეს ჩვენი ავადმყოფების საჩუქარია...

გალაკტიონი შებრუნდება საავადმყოფოსკენ, თავის დახრითა და მკერდზე ხელის მიდებით ემშვიდობება ყველას და დარაჯს, საზღასმით.

ფანჯარაში ავადმყოფები ტაშს დასცენებენ. მათ მედ. პერსონალიც აპყვება.

## ნარჩერა:

Постановление о возбуждении уголовного дела №1 с материалами связанными с кончиной Г. В. Т.

1959г. 17 марта. г.Тбилиси.

„При ознакомлении прокурор Орджоникидзевского р-на города Тбилиси К. и принимая во внимание что 17 марта 1959 г. в 18 часов с 4 этажа больницы IV управления министерства здравоохранения выпал больной Г. В. Т. который тут-же скончался.

Руководствуясь главами 91 и 96 процессуального уголовного кодекса Гр. ССР постановил, Возбудить уголовное дело в связи с фактом кончины Г.В.Т. и поручить следствие дела народному следователю М.“

საავადმყოფოს წინ ჩერდება ტაქსი. მძღოლის გვერდით მჯდომი ნოდარი მანქანიდან გადმოდის და გალაკტიონს კარს ულებს. გალაკტიონი არ გადმოდის, აყოვნებს. ის უკანა საგარძელზე ზის, ღია კარებიდან ჩანს მხოლოდ მისი მუხლი და მკერდი.

გალაკტიონის ხმა: — ნოდარიკო, ბიძიკო, იქნებ არ ღირდეს დღეს მისვლა? ვერ ვარ დღეს რაღაც კარგად, თან გულიც რაღაცას მეუბნება.

ნოდარი (კარებთან იხრება, ცდილობს გალაკტიონს სახეში შეხედოს): — არ შეიძლება, ბიძია. აუცილებელია მკურნალობა. სხვა გამოსავალი არაა.

გალაკტიონს ვერ გადაუწყვეტია, რაქნას, იშმუშნება ამიტომ კარების ჭრილში მისი სახე წამიერად გაკრთება და ისევ უკან იმაღლება. კადრში რჩება ისევ კარების ჭრილი, გალაკტიონის მუხლზე დადებული ხელი, „პორტფელი“ და მკერდი (მძღოლი, რომელიც მას სურდას უბრუნებს. გალაკტიონი ფულს იღებს და ჯიბეში იღებს): — რა ვიცი აბა,.. როგორ გითხრა ნოდარიკო, ბიძია.

ნოდარი (არ იხრება): — გუშინ შეგვეძლო მოვსულიყავით, მაგრამ თქვენ არ ისურვეთ. ხვალ შეიძლება საავადმყოფოში ადგილიც აღარ აღმოჩნდეს. (გალაკტიონი ცდილობს მანქანიდან გადმოვიდეს, მაგრამ არ გადმოვა. კარის ჭრილში გამოიხდავს).

გალაკტიონი: — ნოდარიკო, ბიძია, არ მინდა რაღაც დღეს დაწოლა.

ნოდარი: — აუცილებელია ბიძია, დამიჯერეთ. ნინა ბიცოლამაც ხომ ასე თქვა, — აუცილებლად უნდა დაწვეთ.

გალაკტიონი: — კი გამოჩნდენ მო-

ციქულები... მაშინ, რაკი სხვა გზა არაა...  
გალაკტიონი მანქანიდან გადმოდის და  
„შოფერს“ ხელს აუწევს.  
მას ნოდარი უღებს საავადმყოფოს კარს.  
გალაკტიონი დარაჯს ხელს ართმევს.

\*\*\*

**სასამართლო:**

მოსამართლე: — სახელი, გვარი  
დარაჯი: — ალექსანდრე, მუხიგულაშ-  
ვილი. ვმუშაობ მეოთხე სამმართველოს საა-  
ვადმყოფოში, დარაჯად... 17 მარტს, დილის  
8 საათზე მივიღე მორიგეობა...

მოსამართლე: — 17 მარტს, როცა მო-  
ქალაქე გალაკტიონ ტაბიძე შემოვიდა საა-  
ვადმყოფოს შენობაში, თქვენ ის ნახეთ თუ  
არ გინახავთ, ... როგორ მდგომარეობაში ნახ-  
ეთ. ვინ ახლდა მას?

დარაჯი: — როცა ტაბიძე მოვიდა, მას  
თან ახლდა ახალგაზრდა კაცი. ის ესალმებო-  
და და ლაპარაკობდა ყველა შემხვედრთან.

მოსამართლე: — 17 მარტს, სამი საათის  
შემდეგ იყვნენ თუ არა ტაბიძესთან მნახ-  
ველები?

დარაჯი: — 17 მარტს ჩემთვის ტაბიძის  
შესახებ არავის მოუმართავს. საქმესთან  
დაკავშირებით სხვა ცნობა არ გამაჩნია. რაც  
წავიკითხე ყველაფერი ჩაწერილია ჩემი კარ-  
ნახით რაზედაც ხელს ვაწერ.

**საავადმყოფო:**

1959 წლის 17 მარტი 12 საათი და 50  
წუთი. ---

ნოდარი გალაკტიონის პალტოს „გარდ-  
ერობში“ აბარებს. გალაკტიონი ექიმის კაბ-  
ინეტში შედის. ექიმი გალაკტიონს ფეხზე  
ნამოუდგება: „სალამი, ბატონობ პეტრე. ჩემი  
ახალი წიგნი მალე იხილავს მზის სინათლეს  
(გალაკტიონი)“. კერესელიძე: — დაჯექი  
გალაკტიონ, როგორა ხარ, განუხებს რამე?  
(გალაკტიონი ჯდება) „დაბრძანდით!“ (სკამზე  
მიუთითებს კერესელიძე ნოდარს) გალაკ-  
ტიონი: — ვერ ვარ კარგად. ტკივილები მაქს  
გულის არეში. საერთოდ სუსტად ვარ. (კერე-  
სელიძე): — ალკოჰოლთან? ალბათ შენობით  
(გალაკტიონი ხითხითებს. კერესელიძე): —  
დაგაწვენთ (არა უშავს) დაისვენებ — მორ-  
ჩები (მდივანი შემოიხედავს. ექიმი):  
„Позовите Ольгу Левченко“ (კერესელიძე  
გალაკტიონს უბრუნდება): — მალე ირაკლი  
მოვა და გამოგიძებით ადგილს (ოლგა  
ლევჩენკო შემოდის).

(კერესელიძე — ლევჩენკოს): —  
Проводите Галактиона Васильевича в  
поликлинику к врачу Паркадзе. Пусть  
обследует и оформит документы.  
Поместите в неврологическое отделение.

(გალაკტიონი და ნოდარი კერესელიძეს  
ემცვიდობებიან). კაბინეტიდან გასვლისას  
გალაკტიონი მიმართავს ექიმ კერესელიძეს:  
„დიდი მადლობა, ბატონობ პეტრე.“

ექ.კერესელიძე: — რისი მადლობა, ბა-  
ტონობ.

**სასამართლო:**

მოსამართლე: — Должность?

ექ.კერესელიძე: — Главный врач  
больницы-поликлиники 4-го управления  
министерства здравоохранения Грузии  
Пётр Кереселидзе.

მოსამართლე: — Где и в какой  
обстановке вы видели гражданина  
Табидзе?

ექ.კერესელიძე: — 17 марта 1959 года в  
12 ч. 50 минут в неврологическое  
отделение больницы был помещен  
народный поэт Галактион Васильевич  
Табидзе. На мои вопросы отвечал  
совершенно адекватно, держал себя  
гораздо лучше, чем в прошлом... нужно  
отметить, что в течении последних лет он  
неоднократно находился на лечении в  
веренной мне больнице... Последний раз  
в его поведении не отмечалось ничего  
странныго, а наоборот он был весел и  
спокоен.

Показанием ознакомился, всё записано  
верно с моих слов, под чём  
расписываюсь...

**საავადმყოფო:** 1959 წლის 17  
მარტი 13 საათი და 50 წუთი

ოლგა ლევჩენკო, გალაკტიონი და ნო-  
დარი ჩადიან ვესტიბიულში. (ოლგა ლევჩენ-  
კო — გალაკტიონს: „Проходите“) ოლგა  
ლევჩენკო, გალაკტიონი და ნოდარი შედიან  
თეთრ საპროცედურო ოთახში, სადაც დგას  
მაგიდა და სკამი. მაგიდაზე გადაშლილია  
დავთარი. კედელთან დგას სკამ-  
ლოგინი. კარადა — მედიკამენტები და საკი-  
დარი. კარები იხურება. ლევჩენკო მიმარ-  
თავს გალაკტიონს და ნოდარს: „Садитесь“  
(თვითონ გადის). გალაკტიონი და ნოდარი  
სხდებიან. ოლგა ლევჩენკო უცებ ბრუნდება.

მოაქვს საავადმყოფოს ტანსაცმელი და გალაკტიონს მიმართავს: „Раздевайтесь“ — გალაკტიონს გვერდით დაუდებს საავადმყოფოს ტანსაცმელს). ნოდარი გალაკტიონს ეხმარება. სანამ გალაკტიონი გადაიცვამს, ლევჩენკო ფანჯარასთან მიდის და მასთან ზურგით დგება. ნოდარი გალაკტიონის ტანსაცმელს ალაგებს „ჩემოდანში“. ლევჩენკო გალაკტიონს შეუკრავს „პიჟამოს“ ღილებს და მხრებზე ხალათს მოახურავს. გალაკტიონი ხალათს იცვამს და ლევჩენკოს ხელზე კოცნის. (ოლგა ლევჩენკო — გალაკტიონს „Ну вот, вы и готовы Галактион Васильевич. Подождите в вестибюле, санитар отведёт вас в палату“) გალაკტიონი და ნოდარი დერეფანში გადიან. ლევჩენკო ბრუნდება მაგიდასთან და განაგრძობს რალაცის წერას.

### სასამართლო : Акт допроса О. Левченко №22

Я работаю медсестрой на четвёртом этаже в нервном отделении, 17-го марта я дежурила,. Примерно в 2 часа дня я приняла больного Г. Табидзе. Его сопровождал молодой человек. Они разговоривали на грузинском языке что мне было непонятно. Я оформила больному приёмный листок, помогла переодеться и направила в палату.

С показанием ознакомилась, добавить ничего не могу, записано с моих слов верно, на что и подписываюсь.

საავადმყოფო : 1959 ნოემბრი, 14 საათი და 00 ნუთი

გალაკტიონი ვესტიბიულში ბოლთას სცემს. რამდენიმე გაზეთს ყიდულობს. გაშლის „ლიტერატურულ საქართველოს“, სადაც დაბეჭდილია: „მალვა დადიანი მთაწმინდაზე დაიკრძალება“ (კითხულობს ხმამაღლა) გალაკტიონი გაზეთებს ხალათის ჯიბეში ჩაიდებს და ნოდარს ეუბნება: „წადი ახლა, ბიძიკო, სახლში და ხშირად მოდი. ტელეფონით დამირეკე. შეიარე და გამიგე, როგორაა წიგნის საქმე... ეჰ, საწყალი შალვა სულ ნიღბით დადიოდა. არადა რამხელა ტკივილის მატარებელი იყო.“ (ამ დროს ვიღაც ჩაივლის ნიღბით და გალაკტიონს მოწინებით მიესალმება). გალაკტიონი ნოდარს კარებთან მიაცილებს: „ნოდარიკო, ბიძიკო, სახელგამშიც იკითხე წიგნის ამბავი მერე

ზარია ვასტოკას გამომცემლობაში შეიარე, იქაც წიგნი გამოდის კი იცი შენ“ (კარისკაცს მიადგნენ) „ალექსანდრე, როდისაა მნახველების მიღება თუ იცი?“ „ოთხიდან შვიდამდე“ (კარისკაცი):

(გალაკტიონი — ნოდარს): „ხშირად მინახულე, ბიძიკო, ხშირად“ (ნოდარი გადის).

### სასამართლო : Показания Нодара Табидзе

Галактион Табидзе мой дядя. Он в течении многих лет болел. Страдал нервным расстройством, алкоголизмом. В последнее время он стал более чувствительным к болезни, меньше владел собой. С осени прошлого года стал пить и болезнь продолжалась до сих пор. На протяжении этих 5-6 месяцев мы несколько раз помещали его в больницу, но в тот же день, когда он выписывался из больницы, начинал пить. Возможно организм потерял сопротивляемость.

Персонал больницы всегда его встречал хорошо, особенно директор больницы и врачи. Не помню ни одного случая чтобы директор больницы сразу же не поместил моего дядю в подобающую ему палату.

В 1937 году была арестована супруга и друг дяди Ольга Окуджава. Это обстоятельство, конечно, отразилось на его психике, настроении.

Он трагически воспринял гибель О. Окуджава. К показаниям больше ничего не могу добавить.

Показания написаны моей рукой.

საავადმყოფო : 1959 ნოემბრი, 14 საათი და 20 ნუთი

ლევჩენკო და გალაკტიონი ლიფტით ადიან ნევროლოგიურ განყოფილებაში. 16 კვ. მ. მოცულობის პალატაში ორი საწოლი დგას, რომლებიც ავადმყოფებს უკავიათ. სანიტარი კედელთან მესამე საწოლს დგამს. დებს ლეიბს. აფარებს ზენარს, საბანს და „ადიალას“. ექთანი (გალაკტიონს ეუბნება): „Вот ваше место“ გალაკტიონი ავადმყოფებს მიესალმება: „გამარჯვობათ“... ავადმყოფები არ პასუხობენ, რადგან გალაკტიონის მათთან შემოსახლებით ისინი უკმაყოფილონი არიან. (უფრო მეტიც გალაკტიონის მისალმებაზე ერთი მათგანი კედლისკენ გადაბრუნდება). „Спасибо вам за помощь“, ეუბ-

ნება გალაკტიონი ლევჩენკოს. („პორტფელი“ ართმევს ფეხებს შუა იდგამს, იწყებს იქიდან თავისი ფურცლების, წიგნების და ნივთების ამოლაგებას) „какой у вас тяжелый портфель“ ამბობს ლევჩენკო „отдыхайте“ (ლევჩენკო გადის). გალაკტიონი წვერს დაივარცხნის. სამ კოლოფ პაპიროსს, ორ კოლოფ ასანთს და სავარცხელს ჯიბეში იდებს. როდესაც გალაკტიონი შემოტრიალდება, მეორე ავადმყოფიც მას ზურგს შეაქცევს და კედლისკენ გადაბრუნდება. შემოდის ექთანი. ლანგარზე ჭიქები, თერმომეტრები და აბები ულაგია. „როგორ ბრძანდებით, ბატონო გალაკტიონ?“ „ასე ვარ ასე, ჩემო ელენე“ (გალაკტიონი). ექთანი ავადმყოფებს აბებს ჩააყლაპებს და თერმომეტრებს ჩამოურიგებს. „ექიმს თქვენზე ჯერ არაფერი უთქვამს“ (უუბნება გალაკტიონს). „არ უთქვამს ხომ?“ ხითხითებს გალაკტიონი. „კაი მაშინ, შევეცდები მეტი აღარ შეგანუხოთ, ამხანაგებო, მოისვენეთ, თუკი შეგიძლიათ. ფანჯრები ხომ არ გინდათ შეგიღოთ“ (პასუხს არავინ არ სცემს).

### სასამართლო: Акт допроса Елены Ананиашвили.

მოსამართლე: — Вы не заметили волнения у Табидзе?

ანანიაშვილი: — Нет, не заметила.

მოსამართლე: — 17-ого марта кто нибудь приходил к Табидзе? Или звал его к телефонному аппарату?

ანანიაშვილი: — Нет, с половины четвёртого, когда я приняла дежурство я никого не видела, а говорил ли он по телефону мне неизвестно.

Показание читала, записано с моих слов, что удостоверяю своей подписью.

საავტოფო: 1959 ნელი  
17 მარტი სამი საათი და  
ორმოცდათი ნუთი

სად იყო, სად არა, მოულოდნელად, კიბეებზე ოფიციოზისთვის დამახასიათებელი კოსტუმებით შემოსილი ადამიანების ჯგუფი გაიჩითა: გრძელი, მუქი პალტოები, თეთრი საყელოები და ფართეხატიანი ჰალსტუხები. მათ შორის, ზოგი საფეხურის გამოტოვებით, ზოგიც გამალებული სწრაფი ნაბიჯებით კიბეებზე ამოდიან თუ ამორბიან და მორგის კარებს (იქსადაც გალაკტიონი დგას) ეშურებიან. მაგრამ უცებ აღმოჩნდება, ეს რე-

ალური ადამიანები კი არა, თურმე რესპექტაბელურად შემოსილი ერთგვაროვანი ნილბები არიან, რომლებიც მოახლოვებისას თანდათან კონკრეტდებიან და ცნობილი პიროვნებების სახეებს ღებულობენ. გალაკტიონი მათ მიეგებება. მისასალმებლად ჯერ კონსტანტინე გამსახურდიას გაუზვდის ხელს, რომელიც მას აშკარად გაერიდება, ხელს არ ჩამოართმევს, თავისთვის ცივად ჩაილაპარაკებს: „გამარჯობაო“ და მორგში შევა. როგორც ის, სხვებიც, ასევე იქცევიან. გალაკტიონი რჩება ხელგანვდილი. ირაკლი აბაშიძე შეჩერდება ვალის მოსახდელად და გალაკტიონს ხელს ჩამოართმევს. ვალის მოსახდელადვე გამოელაპარაკება: „ხედავ, რა უბედურება დაგვატყდა თავს? აღარაა შალვა.“ (გალაკტიონი გაქვავებული დგას) „რა იყო გალაკტიონ?“, „ვერ ვარ რაცხა კარგად, ირაკლი“ (გალაკტიონი). (ირაკლი): „არაფერია, ნუ გახდები ავად...“ (მორგში შედის. კარებს ცხვირწინ მიუხურავს. მოულოდნელობისგან დაბნეული, თუ გალიზიანებული, თუ რაღაც მისთვის გაუგებარი მდგომარეობით აფორიაქებული გალაკტიონი ჯერ შეეცდება იქაურობას უმაღლეს გაეცალოს, მაგრამ გადაიიფირებს, უკან შემობრუნდება და კარს სწორედ იმ დროს შეაღებს, როდესაც მუქქპალტოებიან ზურგებს იქით (სილრისეულ ცივ სინათლეზე) ვიღაც ხალათიანები, ჯერ კიდევ შეუმოსავ შიშველ ცხედარს ტახტიდან სანახევროდ წამოსწევენ და საკაცეზე გადასვენებას უპირებენ. ამ დროს სახეზე აფარებული ზენარი შიშველი სხეულიდან ძირს ჩამოცურდება, ...თავზარდაცემული გალაკტიონი კარებს სასწრაფოდ უკან გამოიხურავს და იქაურობას გაეცლება).

### სასამართლო: Акт допроса доктора Пондоева

ექიმი პონდოევის დაკითხვის ფონზე ვხედავთ, პონდოევის კაბინეტში ტახტზე ნევს გალაკტიონი და მას სინჯავენ ექიმები (მათ შორის სუსანა არაქელოვა). ამ გამოსახულებას ედება პონდოევის ხმა სასამართლო პროცესიდან:

— Его болезнями были хронический алкоголизм, гипертония, склероз сосудов и головного мозга. Сердце и печень были увеличены. 17 марта он сам вошел в мой кабинет и мы его обследовали. В конце рабочего дня, в половине пятого я отправился домой.

გამოსახულება: გალაკტიონი ცდილობს

შინაგანი აღელვება დაფაროს. სუსანა არაქელოვას ღია მოფერებით ემშვიდობება. შეეცდება თავის პალატაში დაბრუნდეს. შეალებს კარებს. მაგრამ დაინახავს თუ არა, რომ ამ დროს ერთ-ერთი ავადმყოფის საწოლთან უამრავი ხალხი ირევა, გადაიფიქრებს, ალარ შევა და აივნის გასასვლელს მიაშურებს. (აღნიშნულ გამოსახულებაზე გრძელდება სასამართლოზე პონდოევის დაკითხვის ხმა)

**მოსამართლე:** — Запираете ли вы обычноно двери своего кабинета?

**პონდოევი:** — По окончании работы я не запираю дверь и не беру с собой ключ. Уборщица убирает кабинет, после чего помещает ключ в установленное место.

**გამოსახულება:** პონდოევი კაბინეტიდან გადის. კარებს ღიას ტოვებს და გასაღებს დამლაგებელს აძლევს.

**გალაკტიონი** ბრუნდება აივანზე გასასვლელთან. დამლაგებელს მოაქვს ვედრო წყალი, სველი ტილო. (დამლაგებელი): „Почему вы не ложитесь“ (გალაკტიონი პასუხს არ სცემს, პაპიროსს ეწევა. დამლაგებელი სკამს უდგამს): „Там сиро после дождя, лучше здесь сядьте“ დამლაგებელი გაუყვება

დერეფანს და სადღაც შედის. სველ იატაკს დამჩნეული ნაფეხურები პონდოევის კაბინეტამდე მიდის. კარები შეღებულია.

### პონდოევის კაბინეტი, 1959 წელი, 17 მარტი, 19 საათი და 50 წუთი

გალაკტიონი შედის პონდოევის კაბინეტში. კარებს მიხურავს. ჯდება. ჯიბიდან პაპიროსის კოლოფს ამოიღებს. ხუთ ცალ 50 მანეთიანს (ცალკე) სამ თუმნიანს. (კიდევ) მანეთიანს. შემნახველი სალაროს წიგნაკს )3525 (ასევე) მეორეს 94170 შრომის უუნარობის ფურცელს 089933 უბის წიგნაკს შიგ გრძელი და ვინრო ქაღალდით (ლურჯი მელნით) რუსული ლექსის ავტოგრაფს. მეორე ჯიბიდან „რეკორდის“ კოლოფს, რომელშიც რამდენიმე ცალ პაპიროსთან ერთად სამი ნამწვავია (და) სავარცხელს. სამ კოლოფ ასანთს. ნაცრისფერ ცხვირსახოცს. სათვალეს. (უბრალო) ფანქარს. „ავტორუჩკას“ (ამას ერთად დააწყობს მაგიდაზე. ხალათს გაიხდის, ნამწვავს ბოლომდე მოწევს. ფანჯარას გააღებს. სკამს მიადგამს. რაფაზზე ადის. ცას უმზერს. (მერე) გადაბიჯებს და გაქრება.



## ირინე ნიკოლეიშვილი ოლეგ გოლიაძე

### ქრისტიანული ეპლესია — მციგნობრობისა და სასულიერო ფერწერის პრინციპების სათავე

იუსტინიანეს ეკუთვნის სიტყვები: ეკლე-  
სიური კეთილმოწყობა იმპერიის ძლიერების  
საძირკველია. გადმოცემათა რწმუნებით,  
სოფიის ტაძრის მშენებლობისას იმპერა-  
ტორს სურდა, მასში ხორცქმნილიყო ბიზან-  
ტიის დიდება, ანუ გრანდიოზული ტაძრის  
მეოხებით, ვითარცა გრანდიოზული სამ-  
ყაროს ხატით, განედიდებინა იმპერიისა და  
საკუთარი პიროვნების გრანდიოზულობა. ამასვე ადასტურებს იმავე იუსტინიანეს სი-  
ტყვები, რომელიც თითქოსდა წარმოთქვა  
მან ნაგებობის გასრულებისას: მე დაგამა-  
რცხე ძენ, სოლომონ!

უთუოდ გასაზიარებელი ჩანს მოსაზრება  
იმის შესახებ, რომ ტაძარი არის, ზოგადად,  
სამყაროს მინამსგავსი, გაცილებით მიწიერი  
თავისი ორიგინალის მიმართ, მაგრამ შეუ-  
დარებლად მაღალი მასზე ჩანაფიქრის  
თვალთახედვით, ხოლო ამ ჩანაფიქრის  
დედაარსი ისაა, რომ ტაძარი არის სამყაროს  
პროექტი (ნ. ფილდოროვი).

გ. ვაგნერის დაკვირვებით, ცნებას — ტაძ-  
არი-სამყარო — ჰქონდა ერთობ ღრმა ისტო-  
რიული ტრადიცია, რომლისგანაც თავდა-  
პირველად გამოსაყოფა-გამოსაცალკევებე-  
ლია ბიზანტიური ასპექტი შემდეგი მო-  
საზრებების გამო: პირველი ის, რომ ბიზან-  
ტიაში ამ ცნებამ მიიღო ყველაზე მეტად  
გამოკვეთილი თეორიული და არქიტექტუ-  
რული დამუშავება, ხოლო, მეორე მხრივ,  
ათასწლეულობის შემდგომ საგანგებოდ გამ-  
ანაყოფიერებლად იქცა საზოგადოდ არ-  
ქიტექტურისათვის...“

ადრეულ ქრისტიანულ გარემოში სალო-  
ცავ-თავშესაკრებად გამოიყენებოდა  
მღვიმეები, კატაკომბები, ძველი წარმართუ-

ლი ბაზილიკები, ოთახები ცალკეული სახ-  
ლებისა, სადაც დადგინდა, აღსრულდა  
პირველად ევგერისტიის საიდუმლო. თვით  
სიტყვა-ცნება „ტაძარი“ ქრისტიანულ სი-  
ტყვათმიმოქცევაში შემოვიდა არაუადრეს IV  
საუკუნისა, რადგან ამ სიტყვა-ტერმინს უნ-  
დობლად აღიქვამდნენ იმის გამო, რომ წარ-  
მართები ასე უწოდებდნენ თავიანთ საკერ-  
პებს, ბომონებს. აյ შეინიშნება ადრეულ  
ქრისტიანთა არცთუ მცირე ინდიფერენტუ-  
ლობა, თუნდაც ფორმალური, აღნიშნული  
თემის, საკითხის მიმართ. უპირველეს ყოვ-  
ლისა — ესაა სულიერების საწყისის  
მთლიანი პრიორიტეტულობა ხორციელზე,  
ნივთიერზე, მატერიაზე.

მეცნიერ-ხელოვნებათმცოდნეთავაგან  
არაერთგზისაა შენიშნული, რომ რაც უნდა  
სულიერება თანხლებოდა მოციქულთა  
დროის წარმოდგენებს ტაძრის შესახებ, ახ-  
ალი კულტის განვითარება ითხოვდა თავის,  
საკუთარ, ხილულ საშუალებას. როგორც  
ჩანს, ამგვარი პრობლემა ადრიდანვე, მო-  
ციქულთა მოღვაწეობის პერიოდშივე დამდ-  
გარა და, ბუნებრივია, გზების ძიებაც დან-  
ყებულია. ვ. ვაგნერის მიერ მართებულადაა  
შენიშნული, რომ აღმოსავლეთში სინაგოგე-  
ბი ვერ იქცეოდნენ ამგვარ ხილვად საშუალე-  
ბად. ასეთი ფუნქციების დაკისრება არ შეი-  
ძლებოდა იერუსალიმის ტაძარზეც, მით  
უფრო, რომ ეს ტაძარი 70 წელს დაწყოიერს.  
თუ გავითვალისწინებთ დასავლეთს, იქ ბო-  
ლოსდაბოლოს, ასე ვთქვათ, კატაკომბები  
მომაბეზრებელი შეიქნა; იგივე ითქმის წარ-  
მართულ ბაზილიკებზე, თუმცა ადრეული  
ქრისტიანული ბაზილიკები შენდებოდა წარ-  
მართული ბაზილიკების მინამსგავსი ფორ-

მით. რომაულ ტრადიციებთან აღმავალი ცენტრისკენული ნაგებობანი (უმეტესწილად — დასაკრძალავი დანიშნულებისა, ე. წ. მემორიები) ასევე ვერ ეხამებოდა საზოგადოებრივ, საკრებულო ღვთისმსახურების პროცესს, თუმცალა მოგვიანებით იმ ტიპის არქიტექტურა არცთუ მცირე გავლენას იქონიებს ქრისტიანულ ტაძარზე.

ამ მხრივ ძიებანი უკვე V საუკუნისათვის იძლევა შედეგებს როგორც თვით ბიზანტიაში, ასევე დასავლეთსა და აღმოსავლეთში, ბიზანტიის ოკუმენაში, თუმცა, ყველგან და ყოველთვის არ შეიძლება დაბეჯითებით რამე ეჭვმიუტანელი, მართებული დასკვნის გამოტანა: ახალი, თალოვანი ტიპის ტაძრებში სამყაროს ხატი მართლაცდა შეიმეცნებოდა როგორც მიზანი ან ერთი მიზანთაგანი. სიმართლე და შედეგი კი, ბოლოს დაბოლოს ისაა, რომ მთელი VII, VIII და ნანილობრივ IX საუკუნეების ბიზანტიაში ტაძართმ-შენებლობა ვითარდებოდა ცენტრალურ-თაღოვანი არქიტექტურის ნიშნით (რა თქმა უნდა, განსხვავებულ ვარიანტებში). მეცნიერ-სპეციალისტთა მიერ დადგენილი, გაზიარებული თვალთახედვით, პარალელური პროცესი მიმდინარეობდა საქართველოსა და სომხეთში.

ქრისტიანული ეკლესია-მონასტრების მშენებლობა-დაარსების პრობლემა ქართველ მოღვაწეთ იმაზე ბევრად ადრე ანუხებდათ, ვიდრე ჩვენში (IV-VI საუკუნეებში) საბოლოოდ დამკვიდრდებოდა ქართული საეკლესიო-საგანმანათლებლო ცენტრები. ქართული ქრისტიანიზმის პირველი გზამკვლევი პიონერები, აღმოსავლეთის წმინდა ადგილებში განსწავლული წმინდა მამები, დროულად და ადრიდანვე მიეახლნენ ბიბლიურ წარმოდგენებს წუთისოფელზე, მიწიერი და ზეციური ყოფის მარადიულ ფასეულობებს, გაეცნენ და გაითავისეს ეგვიპტე-სირია-პალესტინის მეუდაბნეოთა სულიერი ღირებულებანი, რაც შემდგომში წარმატებით მოიტანეს და დამკვიდრეს მშობლიურ სანახებში...

ძველი ქართველი ბერ-მონაზვნების, ეკლესია-მონასტრებში მოღვაწე მწიგნობრების (ორიგინალური ავტორები, მთარგმნელები, გადამწერ-გადამნუსხავები, ინტერპოლატორები, მქადაგებელ-მოძღვრები) ცხოვრება, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, უსაზღვრო თავდადების უამრავ მაგალითს გვიჩვენებს (პეტრე იბერი, ასურელი მამები, იოანე-ზოსიმე, ბასილ ზარზმელი, გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელი, ათონელი

მოღვაწეები, სულხან-საბა ორბელიანი...) თავიანთი ცხოვრებისეული და შემოქმედებითი პრინციპებით.

ჩვენი მწიგნობარი ბერები, ზნეობრივი და განმანათლებლური იდეით მოსილი, ადრეულ პერიოდიდან მოკიდებული აარსებდნენ საქართველოში სავანეებს, სულიერი მისიის ცენტრებს, საგანმანათლებლო კერებს, რომელთაც ფართო სვლაგეზი მისცეს ქვეყნის ინტელექტუალურ ცხოვრებას, წარუხოცელი კვალი დააჩნიეს ქართველი ხალხის სულიერ ყოფას, გადამწყვეტი როლი ითამაშეს მსოფლიო ქრისტიანული კულტურის ისტორიაში ღირსეული ადგილის დამკვიდრებისათვის.

ქართული ქრისტიანული ეკლესია-მონასტრების სულიერ როლსა და მისიაზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის „იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ შესავალი ნანილის პასაჟები, რომლებშიც გვხვდება მსჯელობა იმგვარ მომენტებზე, რაც, საზოგადოდ, არ ახასიათებს სხვა ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულებებს, მაგალითად, საუბარია წმინდანებთან დაკავშირებულ ისტორიულ-ლიტერატურულ მასალაზე, მათ სულიერ მისიაზე, წმინდა პიროვნულ, ადამიანურ მომენტებზე: „რამეთუ წაცვლად ტკივილთა და ლუანლთა, რომელი მოითმინდეს საწუთო-სა ამას შინა ცხოვრებასა, ბრწყინვალენი ნიჭინი და სიმდიდრენი უხრენელთა შუებათანი მიენიჭნენ მათ, ზეცისა სავანეთა“ („ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნები...“).

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს „ცხოვრების“ წინასიტყვაობის მეორე ნაწილი, რომელშიც საუბარია მწერლის ფუნქციაზე, იმაზე, თუ როგორ უნდა ყალიბდებოდეს შემოქმედი-მწიგნობარი. აქ ავტორი უპირველეს პირობად ასახელებს ლოცვას.

ასურელ მოღვაწეთაგან მოყოლებული, ჩვენი ძველი საეკლესიო მწიგნობარ-ასკეტები ეკლესია-მონასტრების სათანადოდ მოწყობისათვის, კულტურისა და განათლების ცენტრთა შექმნისათვის ბოლომდე იხარჯებოდნენ სასულიერო-საგანმანათლებლო კერათა გამშენირებისათვის და ქმნიდნენ მყარ საძირკველს ზოგადქართული კულტურისათვის.

ასეთი თვალთახედვა, საბედნიეროდ, ძველ საქართველოში ისტორიულად არსებობდა. სული ეკლესიათა აღმშენებლობა-მოწყობისა და იქ მწიგნობრული კერის გაფურჩქვნისა, როგორც დასტურდება, იმთავითე სუფევდა. სანიმუშოდ გამოდგება ჩვენი უძველესი საკულტო ნაგებობანი და

შემდგომ, საწყის ეტაპზე, მათი გაფორმების ნიმუშები.

ეკლესია-მონასტრების აღმშენებლობისა  
და იქ საგანმანათლებლო ცენტრების შექმ-  
ნისათვის ქართული მოღვაწეობის გან-  
საკუთრებული, გამორჩეული ეტაპია ტაო-  
კლარჯეთის ლიტერატურული სკოლის შე-  
ქმნა, რომლის სათავეშიც მწიგნობარი  
გრიგოლ ხანძთელი გვევლინება: „ხოლო ესე  
მორწმუნისა და კეთილად მსახურისა ქვეყა-  
ნისაგან გამოიყანა ამის მიზეზისათვის,  
რაითა უქმთა მათ უდაბნოთა შინა გამო-  
ბრწყინდეს სანთელი ესე დაუცვებელი, რათა  
ხმასა მას და ოხრასა საყვირისასა აღეტყი-  
ნოს და გაბრწყინდეს სულთა ძლიერთა და  
მიუძღვეს საქორწინესა მას კრებულსა თანა  
მოწაფეთა მისთა წმიდასათა“.

საგულისხმოა, რომ გიორგი მერჩულე  
თავისი დიდი წინამორბედის, გრიგოლ ხანძ-  
თელის — აღმშენებლობით-საგანმანათლე-  
ბლო საქმიანობას პირველ მამათა სწავლე-  
ბასა და მათ მიზანსწრაფულ გრიგორებას  
უთანაბრებს: „...და აწცა ჟამთა ჩუქნთა არი-  
ან მსგავსი პირველთა მათ ნეტართა კაც-  
თანი მამენებელ მონასტერთა ადგილთა  
უქმთა შინა ღმრთისა სამკვიდრობლად“.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ტაძარი, მისი მშენებლობა, იქაური საქმიანობა (საღვთისმსახურო თუ საგანმანათლებლო) იმთავითვე, როგორც წესი, არაერთი საკრალური მომენტის შემცველია. ასევეა მისი ხუროთმოძღვრებაც, რომელშიც „მრავალი სიმბოლოა: ტაძრები დასავ-ლეთიდან აღმოსავლეთისაკენ დგას და ეს ნიშანს, რომ ჩვენი მზერა მიიქცევა მზისაკ-ენ. გუმბათი ზეცას განასახოვნებს, სარკ-მელები — ზეციური სინათლის წყაროს. ტაძრის სივრცე სამოთხის სიმბოლოა. ტაძრის ფრესკებზე გამოსახულნი არიან სამოთხის მკვიდრნი. ამიტომაა კედლებზე სამოთხის ცანი“ (რ. სირაძე). ე. ი. ტაძრის შიდა გარემო სათანადოდ ეტიკეტურია, სა-თანადო პრინციპებითაა მოწყობილი; სამ-წუხაროა, რომ დღესდღეობით არასათანადო განსწავლულობისა თუ სხვა მიზეზთა გამო ტაძრის მოხატვისას და ხატების განლაგებისას (ხელოვნებათმცოდნეთა და მხატვარ-სპეციალისტთა დაკვირვებით) ზოგჯერ ირ-ლვევა ან სულაც უგულებელყოფილია შუა-საუკუნეობრივი პრინციპები...

ზემოთქმულთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, ზედმეტი არ უნდა იყოს მცირე ექსპურსი ფერნერის ისტორიაში რ. სირაძის გონიერამახვილური და, რაკ მთავარია, პრო-

ფესიონალური მიგნება-დაკვირვებით: „ქართული ფრესკული ხელოვნება ერთი დიდი მხატვრული სამყაროა. მონუმენტური კედლის მხატვრობა ყოველ დროშია გავრცელებული, მაგრამ ფრესკა მაინც ტიპიური შუასაუკუნეობრივი მოვლენაა“. მთელი ქართული ფრესკული ხელოვნება მხატვრული ანსამბლია, მაგრამ მას შინაგანი მრავალ-ფეროვნებაც ახასიათებს“.

საერთოდ, უნდა ვითვალისწინებდეთ, რომ ტაძარში, გამოკვეთილად კი ჯვართაღოვანი სისტემის მქონეში, ყველაფერი განსაკუთრებულ პრინციპს ემორჩილება: ტაძრის გარეგანი იერსახე, შინაგანი სივრცე, მოხატულობა და ყველაფერი ეს „ოპტიმალურად ადეკვატური გახდა შუასაუკუნეობრივი ცნობიერების მეოხებით და ამის გამო ყოველმხრივ გამჭოლი, რაც მინიერი და ზეციური იერარქიის რთული სტრუქტურის სივრცულ-მოცულობით გამოისახებოდა“... (გ. ვაგნერი).

ქართული ფრესკული ხელოვნება იმითა-  
ცაა საცურადღებო, რომ მათზე არცთუ იშ-  
ვიათია მეფეთა, კტიტორთა და რაც  
ამჯერად ჩვენთვის მნიშვნელოვანია,  
ქართველ მწიგნობართა გამოსახულებანი.  
ასე რომ, ძველი ქართული საეკლესიო ფერ-  
წერა მართლაც მრავალმხრივადაა  
საგულისხმო და შესასწავლო.

საქართველოში შემორჩენილი უძველესი  
მხატვრობის ნიმუშები ქვის ხანას  
განეკუთვნება. დასავლეთ საქართველოს  
ტერიტორიაზე (მღვიმევი, აგცი) გამოქვაბ-  
ულები აღმოჩნდა ნახატები, რომელებიც  
მარტივ გეომეტრიულ გამოსახულებებს ქმ-  
ნიან. ფრიად მნიშვნელოვანია წალკის  
რაიონში მიკვლეული სხვადასხვა ეპოქის  
პეტროგლიფები — ქვის ან კლდის ზედა-  
პირზე ბასრი იარაღებით ამოკანრული ად-  
ამიანთა, ცხოველთა და ფრინველთა გამო-  
სახულებები, რომელთაგან უძველესებს  
აგრეთვე ქვის ხანით ათარიღებენ. ამ გულუ-  
ბრყვილი, მიამიტურ ნახატებში არეკლილ-  
ია იმდროინდელი ადამიანის რწმენა-ნარ-  
მოდგენები, ჩვეულებები. როგორც ჩანს,  
ადამიანს იმ უძველეს დროშივე გაუჩნდა  
სურვილი, აესახა თავისი ცხოვრება, დაეხა-  
ტა გარემო, სადაც ცხოვრობდა, ნადირობ-  
და.

მომდევნო ეპიქების შესახებ თითქმის აღარაფერი ვიცით. ჯერჯერობით დაუდგენელია, რა სახის იქნებოდა ჩვენი უძველესი წინაპრების ნახატები, ვთქვათ ძვ.წ.-ის ათასწლეულში, თუკი საერთოდ არსებობდა

იმ დროის მხატვრობა საქართველოში (უნდა ვიფიქროთ, რომ უეჭველად არსებობდა. ამის დამადასტურებელია მრავლად აღმოჩენილი ხელოვნების სხვა დარგთა ნიმუშები). შესაძლოა, ახალმა არქეოლოგიურმა გათხრებმა შეავსოს მხატვრობის დღემდე უცნობი ეს ფურცელი..

IV-V სს. განეკუთვნება მოზაიკები, რომლებიც ამეობდნენ ბიჭვინთის ტაძრის იატაკს (დღეს მათი დიდი ნაწილი გადმოტანილია საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში) და სოფ. შუბუთში (გურია) აღმოჩენილი აბანოს იატაკი. ამ მოზაიკებში წარმოდგენილი ცხოველთა და ფრინველთა სიმბოლური გამოსახულებები, გეომეტრიული ორნამენტები მსგავსებას ამჟღავნებს ახლო აღმოსავლეთის ელინისტურ ხელოვნებასთან, თუმცა, გამოთქმულია ვარაუდი, რომ ისინი ადგილობრივ სახელოსნოებში უნდა იყოს შექმნილი, მაგრამ რაღაც განსხვავებული წეს-კანონებითაა აღბეჭდილი. ამ დროიდან მოკიდებული, შეგვიძლია თვალი გავადევნოთ ქართული მხატვრობის ევოლუციის სურათს. მართლაც, თხუთმეტ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში მხატვრობის მრავალი ძეგლი დაზიანდა ან უკალოდ გაქრა, ძევრი გამქრქალდა, გახუნდა და დაიკარგა ძველი ბრწყინვალება, მაგრამ დარჩენილიც, ოდესალაც არსებულის არცოთ დიდი ნაწილი, უთუოდ წარმოაჩენს ქართული მხატვრობის იმ მაღალ არტისტულ ნიშნებს, რომელთა წყალობითაც იგი შუა საუკუნეების მოხატულობათა უბრნყინვალეს ნიმუშებსაც კი არ უდებს ტოლს.

ქართული მხატვრობის ისტორიაში იმგვარივე პერიოდები გამოიყოფა, როგორიც ხუროთმოძღვრებისა თუ ხელოვნების სხვა დარგების ისტორიაში. ჩვენც ამ პერიოდებს გავადევნოთ თვალი. უნდა აღინიშნოს მხოლოდ, რომ შუა საუკუნეთა მხატვრობის ისტორია (აქედან ვიწყებთ ქართული მხატვრობის ისტორიას) ფაქტიურად, ეკლესიებში წარმოდგენილი კედლის მხატვრობის ნიმუშებს, ფერწერულ ხატებსა და ძველ ქართულ ხელნაწერთა შემამკობელ მინიატურებს მოიცავს. არსებობს ლიტერატურული წყაროები, რომლებიც მიუთითებენ, რომ მდიდრული მოხატულობით იყო შემკული ქართველ მეფეთა დარბაზებიც, მაგრამ დღესდღეობით ძველი საერო მხატვრობის კვალიც კი აღარსად ჩანს (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ეკლესიებში შემორჩენილ საერო პირთა გამოსახულებებს).

ცნობილია, რომ „უძველესი ფრესკები დავით გარეჯის მღვიმეებმა შემოგვინახა. იგი დაახლოებით მეშვიდე საუკუნისაა. ეს ერთ-ერთი უძველესი ფრესკათაგანია. ალბათ, მანამდე ქართული ფრესკა არც არსებობდა. ეს გამონვეული იყო უცხო მონოფიზიტობის გავლენით. დვოთიურ ბუნების გამოხატვას შეუძლებლად მიიჩნევდნენ და მხატვრობას კერპთაყვანის მცემლობად თვლიდნენ. ეს უკვე სავალდებულო ესთეტიკურ პრინციპად აქციეს და მხატვრობის განვითარებაც შეფერხდა... მეშვიდე საუკუნიდან ჩვენში საბოლოოდ დამკვიდრდა დიოფიზიტური ესთეტიკა, თუმცა დიოფიზიტობა მანამდეც იყო ჩვენში. ღმერთში ადამიანური ბუნებაც დაინახეს და მისი გამოხატვა იწყეს. ფრესკული ხელოვნებაც მაშინ განვითარდა“. (რ. სირაძე).

VII საუკუნეს განეკუთვნება წრომის ტაძარში შემორჩენილი მოზაიკის ფრაგმენტები (დაცულია ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში). როგორც ჩანს, ტაძარი აგებისთანავე შეუმკიათ მოზაიკური დეკორით. საკურთხევლის კონქში გამოსახული სახარების ერთ-ერთი სიუჟეტი — ქრისტე და მოციქულები, რომელთა დიდებული, მონუმენტური ფიგურები ძრეროს უჯრედებისგან შედგენილ სადა, გლუკ ფონზეა წარმოდგენილი და წარმოდგენაში აცოცხლებს ელინისტური ხელოვნების ტრადიციებს. ეს ტრადიციები თავს იჩენს ფიგურათა დახვეწილ პროპორციებში, მათ პლასტიკურობაში, თავშეკავებულ ექსპრესიაში, ქესტისა და პოზის კეთილშობილებაში; ტრადიციები კი თავისთვალისწილებაში შემადგენელი კომპონენტია...

VII საუკუნეს განეკუთვნება აგრეთვე ატენის სიონის ადრეული, XI ს-ის ფენის ქვეშ აღმოჩენილი დეკორი. ეს ტაძარი თავიდანვე არ ყოფილა მოხატული. როგორც ჩანს, მშენებლობის დამთავრების შემდეგ შესრულდა მხოლოდ „გრაფიკული“ დეკორი — ნითელი საღებავით გამოიყო რელიეფური ჯვარი გუმბათში, ტრომპებში, ოთხივე აფსიდის კონქები, თვით ქვების წყობაც კი. ცოტა უფრო გვიან, VIII ს-ის წახევარში ტაძარი ისევ მოიხატა, მაგრამ ისევე ძუნნად, როგორც წინა — თავდაპირველი შემკულობის ელემენტებს დაემატა „განედლებული“ ჯვრების გამოსახულებები, რომლებსაც იმდროინდელ შეხედულებათა თანახმად, „დაცვითი“ ფუნქცია ეკისრებოდა. ერთ ეკლესიაში მხატვრობის სამი ფენის არსებობა სულაც არაა იშვიათი მოვლენა. არის შემთხვევაც ამას დამატებითი მოვლენა.

ვევები, როდესაც მხატვრული ფენები უფრო მეტი რაოდენობითაც მოიპოვება და იმის უტყუარი საბუთია, რომ ხელოვნების ძეგლი, ხუროთმოძღვრების ნიმუში იქნება ეს, ფერწერისა თუ სხვა რომელიმე დარგისა, თვითონვე წარმოადგენს ცოცხალ ისტორიას. ეკლესიის ხელახალ მოხატვას შეიძლებოდა სხვადასხვა მიზეზი ჰქონოდა. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია მხატვრულ სისტემათა ცვლა. ნიმუშად შეიძლება ისევ ატენი გავიხსენოთ. პირველი ორი მოხატვის შემდეგ, XI ს-ში ატენის ხელახალი მოხატვა გამოიწვია ეკლესიათა შემკობის ახალი სისტემის ჩამოყალიბებამ, რომლის თანახმადაც, ტაძრის ცალკეული ნანილები კი არ უნდა მოხატულიყო, მთელი შიგა სივრცეც (კედლები, გუმბათი, კამარები, პილასტრები...).

გარდამავალ VIII-X სს-ში ტაძართა ინტერიერის შემკობის სისტემა არ შეცვლილა. კვლავინდებურად საკურთხევლის კონქი, ან მთლიანად საკურთხეველი და გუმბათი მოიხატებოდა ხოლმე, ცენტრალური სივრცე კი მოუხატავი რჩებოდა ან ცალკეული დეკორატიული მოტივით იმკობოდა. ამ ეპოქაში არ შეცვლილა გამოსახულებათა იკონოგრაფია, არც მისა შინაარსი, მაგრამ ძირფესვიანად შეიცვალა სტილი ანუ წერის მანერა (უნდა ვიცოდეთ, რომ შუა საუკუნეთა მხატვრობის ძეგლებზე საუბრისას ორ ძირითად მომენტს გამოარჩევენ — იკონოგრაფიასა და სტილს, ანუ წერის (ხატვის) მანერას. მარტივად რომ ვთქვათ, იკონოგრაფიის ცნებაში შეიძლება ვიგულისხმოთ ის, რაც არის დახატული, სტილისა კი — როგორ არის დახატული).

X-XI სს-თა მიჯნაზე, მრავალი სხვა ქრისტიანული ქვეყნის მსგავსად საქართველოში გავრცელდა ეკლესიათა შიდა სივრცის მორთვის ახალი სისტემა, გარკვეულ თეოლოგიურ და ფილოსოფიურ-ესთეტიკურ შეხედულებათა საფუძველზე რომ ჩამოყალიბდა, რაც იმას ნიშნავს, რომ იქმნება ახალი ნორმა-წესი, ეტიკეტის ელემენტი. წინა პერიოდისაგან განსხვავებით, ახლა იხატება მთელი შიგა სივრცე, მთლიანი მოხატულობა დიდებულსა და იმპოზანტურ იერს ანიჭებს ტაძარს. მხატვრობის ახალი სტილის დამკვიდრებას ხელს ისიც უწყობდა, რომ ამ დროისათვის ხუროთმოძღვრების ახალ ტენდენციებს შიდა სივრცე მაორგანიზებელი ერთიანი დეკორატიული სისტემა სჭირდებოდა.

ეკლესიათა მოხატვის დროს მხატვრები

სარგებლობდნენ ე. წ. „დედნებით“ ანუ ნიმუშებით, მაგრამ ყოველი ახალი ეკლესის მოხატვა მხატვრისაგან მოითხოვდა შემოქმედებით მიღობმას — მისთვის ცნობილი მხატვრული სქემის, ე. ი. გარკვეული წესის (კომპოზიციათა განაწილებას) შეფარდებას ახალი შიდა სივრცისადმი. ამდენად, მისაბაძი ნიმუშების — „დედნების“, აგრეთვე ეკლესიის მეაცრი ნორმების მიუხედავად, მხატვრობის ძეგლი რაღაც ნიშნით მაინც განუმეორებელია, თავისთავადი ღირსების მატარებელი, თუნდაც ამ ჩარჩოების ფარგლებში. ამავე დროს, არიან მხატვრები, რომელთაც დიდი ნიჭის წყალობით შესწევთ ძალა, თავი დააღნიონ ამ საერთო, შემზღვდავ ნორმებს და შექმნან მაღალი რანგის უბრნყინვალესი მხატვრობის ნიმუშები, ისეთები, როგორებიცაა ატენის, ზემო-კრიხის, ვარძიის, ყინწვისის და სხვ.

XI ს-ის მანძილზე შექმნილ მოხატულობათაგან განსაკუთრებით გამოირჩევა ატენის სიონის მხატვრობა — ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშთაგანი მხატვრული სკოლისა, რომელიც მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისით ტაო-კლარჯეთის დიდებული მხატვრული სკოლის ტრადიციების გამგრძელებლად გვევლინება. როგორც უკვე ითქვა, ატენის სიონი ძველად, დეკორის ახალი სისტემის ჩამოყალიბებამდე, უკვე ორჯერ იყო მოხატული. ეს ბრნყინვალე მხატვრობა, რომელმაც თითქმის მთლიანად შემოინახა თავისი შემკულობის საერთო სქემა (მიუხედავად ცალკეულ ნანილთა საკმაო დაზიანებისა), XI ს-ის II ნახევრითაა დათარიღებული. ტაძარი რამდენიმე მხატვრის მიერაა მოხატული. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა შუა საუკუნეებში. როგორც წესი, მხატვრები ამ დროს ე. წ. არტელებად მუშაობენ — დაკვეთას ასრულებს რამდენიმე მხატვარი, ამათგან ერთი მთავარია, მას ეკუთვნის საერთო სქემა მოხატულობისა, დეკორის იდეა, რომელსაც ამავე დროს გარკვეულ ასპექტში უთუოდ განსაზღვრავს დამკვეთის ნებაც, შეპირობებული იმ დროის მაღალი საზოგადოების რელიგიური, ფილოსოფიური თუ ესთეტიკური იდეალებით და ეს უკვე ჩამოყალიბებული ეტიკეტური მომენტია.

გარეჯის კულტურული ცხოვრება მრავალი საუკუნის მანძილზე არ შეზყვეტილა. დოდოს რქაში, ლავრაში, უდაბნოში, ბერთუბანში, ნათლისმცემელსა და გარეჯის სხვა ეკლესია-მონასტრებშიც შემორჩენილი მოხატულობები ქმნიან მხატვრობის მეტად საინტერესო ჯგუფს — დროის დიდ

მონაკვეთზე გავრცობილს, რომელიც უაღრესად თავისებური სტილისტიკური და იკონოგრაფიული ნიშნებით ხასიათდება და საკმაოდ განსხვავდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებული მხატვრულ სკოლათა ნიმუშებისაგან (ახლო პარალელები მონუმენტური მხატვრობის ამ ჯგუფის ძეგლებისათვის საქართველოს ფარგლებიდან შორს — კაბადოკის გამოქვაბულთა მხატვრობებში შეიძლება ვიპოვოთ). ამ მხატვრობათა უმთავრესი სტილისტური თავისებურება — მისი გამოსახულებების „სილუეტურობა“ — აუცილებლობითაა ნაკარიახვი. ფონები გამოქვაბულებში, როგორც წესი, ლიან, ნათელი ფერებითაა შესრულებული, ფიგურები — მუქით. ამიტომ, მიუხედავად შუქის ნაკლებობისა, მუქი საღებავებით შესრულებული ფიგურები ნათლად იყითხება ლია ფონებზე, თუმცა დღესდღეობით შუქის ეს პრობლემა ფაქტიურად აღარ არსებობს, გამოქვაბულთა მეტი ნაწილის წინა მხარე ჩამონგრეულია და მზე უხვად ანათებს ამ შესანიშნავი მხატვრობის ნაშთებს, მზის სხივებისაგან, წვიმისა და ქარისაგან საკმაოდ ფერგადასულს (თუმცა არც ადამიანებს დაუკლიათ ხელი).

დავით-გარეჯში მოხატული იყო არა მარტო ეკლესიები, არამედ სატრაპეზოებიც. ეკლესიათაგან განსხვავებით, აქ სავალდებულო არ იყო ინტერიერის მთლიანად მოხატვა. იხატებოდა ცალკეული — შენობის დანიშნულების მიხედვით და აგრეთვე მხატვრის თვალსაზრისის თანახმად, უმთავრესი ადგილები. ამდენად, მხატვრობა ცალკეული ფერწერული აქცენტების სახით ნარმოგვიდგება. ინტერიერში შემორჩენილთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია უდაბნოს მონასტრის სატრაპეზოს მოხატულობა (XI ს.). ამ და სხვა სატრაპეზოების მოხატვისას შეარჩევდნენ უმეტესად ისეთ სიუჟეტებს, რომლებიც თვით შენობის ხასიათით იყო შეპირობებული. ასეთებია „საიდუმლო სერობა“, „აბრაამის სტუმართმოყვარება“ და სხვა. რომელიც თვით ეკლესიის მხატვრობის ფონისაგან განსხვავებით, ცისფერ ფონზეა ნარმოდგენილი. წმიდანთა გამოსახულებებიდან უპირველესობა ენიჭებოდა მათ, ვინც ასკეტურ ცხოვრებას ეწეოდა.

ტაო-კლარჯეთის სკოლის მსგავსად, გარეჯის სკოლის გავლენაც გასცდა საკუთრივ გარეჯის ფარგლებს. კახეთში შექმნილი ზოგ ეკლესიათა მოხატულობა (ბოჭორმის მხატვრობა, XI -XII სს-თა მიჯნა)

გარეჯელ ოსტატთა მიერ უნდა იყოს შესრულებული.

ცალკე მხატვრული სკოლა ჩამოყალიბდა საქართველოს მთიან რაიონებში — რაჭასა და ზემო სვანეთში. სვანეთში მრავალი მოხატული ეკლესია დღემდე შემორჩა. თუ უადრესი მოხატულობები IX-XI ს-ის მიეკუთვნება (ნესვუნის — I ფენა), გვიანდელი XVIII ს. თარიღდება. მრავლად შემონახული მოხატულობები ავსებენ ქართული კედლის მხატვრობის ეკოლუციის სურათს, მეორე მხრივ კი, ისეთ ადგილობრივ სტილისტიკურ და იკონოგრაფიულ ნიშნებს გამოავლენენ, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ, ვისაუბროთ სვანეთის სკოლის შესახებ, სადაც ერთომეორის გვერდით ნარმოდგენილია ოსტატთა ბრწყინვალე ნამუშევრები და ხალხური ნაკადის შემოქმედების ნიმუშები.

სვანეთის ეკლესიათა მოხატულობების თავისებური იკონოგრაფია დაკავშირებულია იმასთან, რომ საქართველოს ამ კუთხეში გვიანამდე შემორჩა ქრისტიანობამდელი რწმენა-ნარმოდგენები. სვანეთში უაღრესად პოპულარული წმ. გიორგის სახელი დაკავშირებულია წარმართულ მთვარის კულტთან. ვერც ერთი ეკლესიის საკურთხეველში ვერ ნახავთ ლვთისმშობლის გამოსახულებას კომპოზიციის ცენტრში.

ქართული კედლის მხატვრობის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები ხაზის უპირატესი როლი ფერთან შედარებით, თავშეებული, მაგრამ მეტყველი კოლორიტული გამა, ძლიერი შინაგანი ექსპრესია განსაკუთრებით მკაფიოდ სვანეთის მოხატულობებში იჩენს თაქს. საგანგებოდ აღსანიშნავია აქურ ეკლესიებში გამოსახულ წმინდანთა სახეები. ძალიან ხშირად ისინი ადგილობრივ მკვიდრთა პორტრეტებს მოგვაგონებენ. დიდად საგულისხმოა, რომ ფასადის მხატვრობაში რელიგიურ სიუჟეტებთან ერთად, ნარმოდგენილია „ამირანდარეჯანიანის“ სცენები (ლენჯერის თემი, სოფელი ლაშტხვერი). აქ შემორჩენილ მოხატულობებს ჩვეულებრივ ახლავს ასომთავრულით შესრულებული წარწერები, რომლებიც გვამცნობენ მოხატულობის შესრულების თარიღს, დამკვეთის ვინაობას და ზოგჯერ მხატვრის სახელსაც, რაც, უთუოდ, იქაური ფერმწერების თავისებურ წესკანონებს ნარმოგვისახავს.

გელათის მონასტრები თავისუფლად შეიძლება ფრესკათა მუზეუმს შევადაროთ. მთავარი ტაძრის შიდა სივრცეში ბატონობს კონ-

დამაარსებლის პორტრეტი აუცილებლად უნდა ყოფილიყო გელათში, ან თუ ეს ასე არაა, მაშინ XVI ს-ის მხატვარმა ერთგვარი ხარკი მოიხადა გადმოცემის წინაშე და მართლაც გამორჩეული ტანის მქონე ადამიანად დახატა იგი.

ქართული მხატვრობის უძრნყინვალეს ხანას განეკუთვნება თამარის ეპოქის ძე-გლები — ვარძია, ყინწვისი, ბეთანია და მრავალი სხვა. ისინი ისევე ძვირფასია და ზოგადეროვნული ლირიკულებისაა ქართვე-

ლი კაცისათვის, როგორც ბოლნისის სიონი, ჯვარი, სვეტიცხოველი... განსაკუთრებით პოპულარულია ვარძია — კლდეში ნაკვეთი დიდებული ხუროთმოძღვრული ანსაბჭლი, რომლის მთავარ ტაძარს და მინაშენს ამკობს მხატვრობა — შუა საუკუნეთა ქართული ფერწერის ნამდგილი მარგალიტი. ამ ძეგლის პოპულარობას უთუოდ ისიც ჰმატებს, რომ შემოგვინახა ლეგენდად ქცეული მეფის — თამარის გამოსახულება.

ყველა ამ ეკლესიაში კტიტორთა პორტრეტები შესასვლელის წინ, ყველაზე გამოსაჩენ ადგილასაა მოთავსებული. კომპოზიციურად ისინი ისეა გადაწყვეტილი, რომ ეკლესიაში შემსვლელის ყურადღებას იქცევენ თავიდანვე. ჩანს, რომ ამ ეპოქის მხატვრობისათვის, ისევე, როგორც XI ს-ის ოსტატებისათვისც (ატენის, ზემო კრიხის — კტიტორები), საერო პირთა გამოსახულებებს, შესაძლოა, მეტი მნიშვნელობა ჰქონოდა, ვიდრე სასულიერო ხასიათის სცენების ასახვას. ეს თვისისება — საერო ელემენტების განსაკუთრებული აქცენტირება — საუკუნეთა მანძილზე გასდევს ქართულ მხატვრობას. თამარის ეპოქაში შექმნილი დიდებული მოხატულობები (მათ რიცხვს ეკუთვნის აგრეთვე ტიმოთესუბნის მხატვრობა, ახტალის მოხატულობის ერთი ფენა და სხვ.) ინარჩუნებენ მონუმენტურობის გრძნობას, მაგრამ უკვე საკმაოდ ძლიერ ავლენენ ახალ სტილისტურ ინშენებს. უპირველეს ყოვლისა, მხატვარი ბევრად უფრო თავისუფლად გრძნობს თავს ინტერიერში. მოხატულობის საერთო სისტემის შექმნისას იგი აღარ იზრდება თავს შენობის მკაფიო არქიტექტურული დანაწევრებით. არის შემთხვევები, როდესაც ირლვევა რეგისტრის ჰორიზონტალები, ჩნდება დამატებითი, ნახევარრეგისტრები. წმინდანების მთელ სიმაღლეზე გამოსახვასთან ერთად ხშირდება ნახევარფიგურული გამოსახულებები. ფიგურული გამოსახულებები თანაბათან იყავებენ ორნამენტის ადგილს, რომელსაც ძველი მაორგანიზებელი როლის ნაცვლად (როგორც, მაგ., XI ს-ის ძეგლებში იყო) რჩება მოკრძალებული მეორეხარისხოვანი როლი. ეს მოვლენა ორნაირად შეიძლება აიხსნას: ერთი მხრივ, წმინდა მხატვრული ასპექტით — მხატვრისათვის კედელი აღარ არის არქიტექტორული, განსხვავებული ნაწილებისაგან შემდგარი მთელი, ზოგჯერ იგი ხალიჩის მსგავსი ზედაპირის როლში გამოდის. მეორე მხრივ, თავს იჩენს წმინდა ესთეტიკურ-ფილოსოფიური საწყისებიც — ად

ამიანის გამოსახულება თანდათან უფრო მეტად ექცევა შუა საუკუნეთა მხატვრის ყურადღების ცენტრში. ეს მომენტი, ქართული კედლის მხატვრობისათვის უაღრესად არსებითი, გაცილებით მეტად იჩენს თავს ცალკეულ ნმინდანთა გამოსახულებების განხილვისას. ამ პერიოდის მოხატულობებში (განსაკუთრებით მეაფიოდ ჩანს ეს ყინწვისის მისია — მათი ნმინდანები ცოცხალი ადამიანები არიან, ადამიანური განცდების დალი რომ აღბეჭდვიათ).

VIII-IX საუკუნის და შემდეგდროინდელი ბიზანტიის ხელოვანთა დარად, საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება სახე-ხატს ეთმობოდა, მაგრამ არ იყო ყურადღების გარეშე დარჩენილი სხვა ესთეტიკური პრობლემებიც. სავსებით მართებული მოჩანს დაკვირვება იმის თაობაზე, რომ „Традиционная эстетическая категория „прекрасное“ занимает скромное место в трактатах иконопочитателей. Здесь они во многом опираются на соответствующие идеи патристики и скорее всего уточняют отдельные положения своих предшественников, чем вносят в них что-либо новое.

К материальной красоте они относятся холодно, хотя и не отрицают ее. Иоанн Дамаскин, защищая живописные изображения, призывает иконоборцев не хулиить материю, „ибо нет ничего презренного в том, что произошло от Бога“ (ვ. ბიჩოვი).

აუცილებლად აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის უკვე გამოკვეთილი სიახლეები ჩანს მოხატულობათა იკონოგრაფიაშიც, ანუ მათ შინაარსში. გარდა ნინა საუკუნეებში მიღებული სცენებისა, ახლა დიდი სიყვარულით გამოსახავენ სიმბოლურ სიუჟეტებს, რომლებიც სხვადასხვა საღვთო ნიგნის ტექსტის ინტერპრეტაციას წარმოადგენს; დიდი რაოდენობით გამოსახავენ აგრეთვე ძველი აღთქმის სცენებს, რომლებიც მსხვერპლის იდეას უსვამენ ხაზს. ამით ისინი კიდევ უფრო განადიდებენ ქრისტეს ცხოვრებას.

ვფიქრობთ, მოხმობილი მასალის გათვალისწინებით, შესაძლებელი ხდება ძველი

ქართული ფერწერისათვის, მისი ჩასახვა-განვითარება-ევოლუციისათვის თვალის გადევნებით იმის თქმა, რომ მეტ-ნაკლებად თვალსაჩინოებით ის (ძველი ქართული ფერწერა) აღბეჭდილია ეტიკეტურობით, სათანა-დოდ შემუშავებული და დადგენილი ნე-კანონებით.

აუცილებლად გვესახება ერთი, შეიძლება, ითქვას, მრავლის გამაერთიანებელ-შემაჯამებელი მოსაზრების მოხმობა: „ჭადარი მარტო მხატვრობის კი არა, მუსიკალური ესთეტიკის საუფლოცაა. მისი სივრცეც მხოლოდ ფრესკათა განლაგებისათვის კი არ იგება, არამედ სიტყვისა და საგალობლის მოსმენისათვისაც. შესასვლელის თავზე, ხალხისათვის ზურგსუკან პატრონიკება და აქ დგას გუნდი. პატრონიკებან ხმა საკურთხევლისაკენ მიდის, მერე გუმბათამდე ადის და დაბლა ეშვება. ასეთი სივრცე ხმას სასურველ ხანგრძლივობას ანიჭებს“ (რ. სირაძე) ამგვარი პრინციპების, წესების, კანონიკურობის რეალობა თავისთავად მიგვანიშნებს შუასაუკუნეობრივი სისტემის არსებობაზე ქართულ საეკლესიო ხელოვნებაში.


ქრისტიანული ტაძრის იერ-სახე საუკუნობით იქმნებოდა, თითოეული ქვეყანაში და სხვადასხვა ეპოქაში იძენდა თავისებურ ხასიათს.

ეკლესია-მონასტრებისათვის რომელიმე ნმინდანის ღირსყოფის მიზნით სახელის მიუკუთვნების წესი სათავეს იღებს დევნილობის ეპოქიდან, როდესაც საკურთხევლის ქვეშ მოქცეული იყო მავანი წამებულის სარკოფაგი. მოგვიანებით ტაძრები შენდებოდა არა მხოლოდ რომელიმე წმინდანის, არამედ იესო ქრისტეს ღირსახსოვრად, ქრისტიანული დღესასწაულების (შობა, აღდგომა, ხარება და ა. შ.) სახელდების ნიშნად.

ნებისმიერ ტაძარში შესვლისას სრულიად იოლია იმის დადგენა, თუ ვის ან რის ძლვნადაა აგებული (სამწუხაროდ, ყველა ჯერ კიდევ არაა ამ მხრივ სათანადოდ გაცნობიერებული); დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ „სატაძრო“ ხატი ჩვეულებისამებრ განთავსდება განსაკუთრებულ კიოტში (სახატეში), მარჯვნივ...



ლეიტონ დავით გუბარეძე



ლევან ბრეგაძე

## პრიორიტეტი

ერთი გამორჩეული წიგნის მაღაზია იყო თბილისში, „მეგობრობა“ ერქვა (ბოლო დროს მელიქ აზარიანცის სახლის პირველ სართულზე ედო ბინა) — იქ საზღვარგარეთის სოციალისტურ ქვეყნებში გამოცემული ლიტერატურა იყიდებოდა, ასეთ ქვეყანათა შორის კი ერთი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკაც იყო, მოგეხსენებათ. ჰოდა, გერმანულენოვანი კლასიკა და გერმანულად თარგმნილი მთელი მსოფლიო ლიტერატურა შემოდიოდა ამ გზით საბჭოთა კავშირში — წიგნები, უძვირფასესი თავისი შინაარსით და უიაფესი შესაძენად (ხელოვნურად ფასადა კლებული, როგორც იმუამინდელ „სოციალისტურ“ სისტემას შეეფერებოდა!). ეს იყო სამოთხე გერმანულის მცოდნე წიგნის მოყვარულთათვის!

60-იანი წლების მეორე ნახევრიდან ამ არხით შემოდინება დაიწყო გერმანულმა და გერმანულად თარგმნილმა საჭადრაკო ლიტერატურამ, რომლის თვალიერება და ზოგი მათგანის შექმნა პირადად ჩემთვის იმითიც იყო საინტერესო, რომ მათში ხშირად წააწყდებოდით ქართველი მოჭადრაკის, სამეგრელოს მთავრის დავით დადიანისა და ეკატერინე ფავჭავაძე-დადიანის ვაჟის, ანდრია დადიანის კომბინაციებს, რომელთათვისაც რუსულ საჭადრაკო ლიტერატურაში გზა დახშული იყო (მათ ავტორს უცხოური გამოცემები ხან სახელითა და გვარით იხსენიებდნენ, ხანაც მარტო წოდებით — „ფონ

მინგრელიენ“ ან „ფონ“-ის გარეშე — „მინგრელიენ“).

საქმე გვაქვს უიშვიათეს, შეიძლება უნიკალურ, მოვლენასთან: იმის გამო, რომ ანდრია დადიანს (1850-1910), მოჭადრაკესა და ჭადრაკის მეცენატს, კონფლიქტი მოუხდა გამოჩენილ რუს მოჭადრაკე მიხეილ ჩიგორინთან (1850-1908), არამარტო ტაბუ დაედო ქართველი მოჭადრაკის შემოქმედებას რუსეთში, არამედ ხმა დაუყარეს, ანდრია დადიანი პარტიონებს ფულს უხდიდა და „ჩანტყობილ“ კომბინაციებს ახორციელებდა (როგორმე ხომ უნდა გაემართლებინათ დადიანის მომხიბლავი კომბინაციების უგულებელყოფა!). სამაგიეროდ ამ ტაბუს გასამართლებლად პერიოდულად ქვეყნდებოდა რუსი ოსტატების მიერ ხელმოწერილი დადიანის სალანძლავი სტატიები, ისეთი სიძულვილით აღსავსე, რომ გაოცდები და ეჭვიც შეგეპარება მათი ავტორების გულწრფელობაში! (საბჭოთა ხანაში ანდრია დადიანი მიუღებელი იმის გამოც შეიქნა, რომ ქართველი მოჭადრაკე ამავდროულად „უბრნყინვალესი თავადი“ (Светлейший Князь) დადიანი-მინგრელსკი გახლდათ!).

დიდი გარლევევა იყო ამ თვალსაზრისით თენგიზ გიორგაძის წიგნის „თამაშობს ანდრია დადიანი“ გამოცემა „ლელოს“ ბიბლიოთეკის სერიით 1972 წელს, რომელშიც ქართველი მოჭადრაკის ოცი პარტია შესული და მისი რეაბილიტაციის მოკრძალებულ

მცდელობასაც ნახავთ იქ (რამდენადაც, რა დოზითაც), ეს იმ დროს შესაძლებელი იყო, — ცხადია, მხოლოდ ქართულენოვან სივრცეში!).

იმ გერმანულ წიგნებში, მაღაზია „მეგობრობაში“ რომ ვიძენდი, ანდრია დადიანის ისეთი კომბინაციებიც მინახავს, ჩინებულად კომენტირებული უცხოელი ავტორების მიერ, რომლებსაც თენგიზ გიორგაძის წიგნში ვერ ვპოულობდი. გული მწყდებოდა: მე-19 საუკუნეში ერთადერთი გამოჩენილი მოჭადრაკე ეს გვყავდა, და საქართველოში, რომელიც მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში მსოფლიო საჭადრაკო ცხოვრების ერთერთი უაქტიურესი მონანილე და საჭადრაკო, მოდის „კანონმდებელიც კი გახდა, უცხოეთზე ნაკლებად რატომ უნდა ყოფილიყო ცნობილი ქართველი მოჭადრაკის შემოქმედება!

ამის შესახებ დავწერე კიდეც. მოთმინების ფიალა მაშინ ამევსო, როდესაც უნგრელი ავტორის, ემილ გელენსეის, წიგნის 1980 წლის მეშვიდე გერმანულ გამოცემაში ამოვიკითხელამის ხვეწნა იმის გამო, რომ, პირცუფიმცევის დაცვაში შესაძლებელი ერთი მომბიბლავი კომბინაციისთვის „დადიანის მახე“ გვეწოდებინა, ვინაიდან ამ მახეში პირველად მან გააბა მონინააღმდეგე (ვ. დუბრავა) 1896 წელს კიევში ნათამაშებ პარტიაში (1. კ4 დ6 2. ლ4 მდ7 3. კც4 გ6 4. მჭ კ7 5. კუ7!! მთუ7 6. მგზ+ მფე8 7. მგ და ლაზიერი დაჭრილია). მერე კი იგივე კომბინაცია სხვებმაც მრავალგზის გაიმეორეს, მათ შორის ყმანვილმა მიხეილ ტალმაც 1950 წელს. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ საბჭოთა ხანაში სწორედ მიხეილ ტალის რედაქტორობით რიგაში გამომავალმა საჭადრაკო უურნალმა („შახმატი“) 1966 წლის 24-ე წომერში (გვ. 21) გაძედა და ყრუდ, მაგრამ მაიცც ალიარა ანდრია დადიანის პრიორიტეტი: „მასტერ კურიოზოვის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ სტატიაში „სადებიუტო თავგადასავლები“, ქვესათაურით „ვინ იქნება შემდეგი?“, ნარმოდგენილია სწორედ ეს მახე და ჩამოთვლილია მისი გამოყენებით მოგებული ხუთი პარტია, რომელთა შორის პირველი დადიანი-დუბრავაა. ამ პუბლიკაციიდან ცოტა ხნის შემდეგ კიდევ ერთხელ გაბმულან ამავე მახეში შავები მინსკში 1968 წელს გათამაშებულ ლუზგინიოფეს პარტიაში. ის შეგიძლიათ იხილოთ 1978 წელს სწორედ მინსკში აბრამ როიზმანის რუსულ ენაზე გამოცემულ წიგნში „საჭადრაკო მინიატურები“, ოღონდ აქ არც

დადიანი და არც სხვა წინამორბედნი ნახსენები არ არიან.

პრიორიტეტებს, როგორც ყველგან, ჭადრაკშიც დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ სასარგებლო, დამახსოვრების ღირსი პრიორიტეტი დაფიქსირდა, მისი ავტორი უკვდავი ხდება, სხვა დამსახურება რომ არც არაფერი მოეპოვებოდეს ამ სფეროში. ვის ეცოდინებოდა დღეს ლეგალის სახელი, რომ არა პირველად მის მიერ განხორციელებული სადებიუტო კომბინაცია, „ლეგალის შამათის“ სახელწოდებით ცნობილი (ამ მოჭადრაკის სხვა პარტია არც შემორჩენილა).

ანდრია დადიანის პრიორიტეტი აქ სრულიად უეჭველია, ამიტომ — „დადიანის მახე ხომ არ გვეწოდებინა მისთვისო“, — კითხულობს უნგრელი ავტორი.

ჰოდა, ვუნწლოთ-მეთქი, ვწერდი იმ სტატიაში, რომელიც გაზიერ „მშობლიურ კერაში“ დაიბეჭდა 1990 წელს, დაწერილს ასე ვამთავრებდი: „ჯერ ჩვენ ვუწოდოთ. ცოტა რეკლამაც მივაშველოთ. მადლობა ღმერთს, თბილისი ამჟამად ის ქალაქია, საიდანაც საჭადრაკო მოდა მთელ მსოფლიოში ვრცელდება. მე, როგორც ჭადრაკის ქართველ მოყვარულს, ძალიან მინდა ანდრია დადიანის პარტიების ქართულად გამოცემულ კრებულში მისი ეს პარტიაც ვიხილო“.

და აი, შარშან, 2013 წელს, გამომცემლობა „საქართველოს მაცნემ“ დასტამბა დავით გურგენიძის დიდი (ა4) ფორმატის სამასზე მეტი გვერდის შემცველი, უხვად ილუსტრირებული წიგნი-ალბომი სათაურით „ანდრია დადიანი — ცილისნამებიდან ჭეშმარიტებამდე“, რომელშიც გამოჩენილი ქართველი მოჭადრაკის 338 (სამასოცდათვრამეტი!) პარტია, პარტიის დაბოლოება და საჭადრაკო ამოცანაა შესული! უნიკალურ მასალის მოგროვებაში ბატონ დავით გურგენიძეს, საერთაშორისო დიდოსტატს საჭადრაკო კომპოზიციაში, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს საჭადრაკო ეტიუდების შედეგაში, ჭადრაკის სამყაროში თავისი დიდი ავტორიტეტიც წაშველებია. იგი წერს: „...გადავწყვიტე ანდრიას ცხოვრებისა და საჭადრაკო მოღვაწეობის შესახებ მაქსიმალურად სრული ინფორმაცია შემეგროვებინა. ძალიან ბევრ კითხვაზე იყო საჭირო პასუხის გაცემა. დადიანის პირვენებას რამდენიმე უცხოელი ისტორიკოსიც იკვლევდა. როდესაც მათ შეიტყვეს ჩემი განზრახვა, დახმარების ხელი გამომინოდეს და სრულიად უანგარობ გამომიგზავნეს უაღრესად მნიშვნელოვანი მასალა“.

ეს წიგნი დააინტერესებს და გამოადგება არამარტო მოჭადრაკეებსა და ჭადრაკის მოყვარულებს, არამედ დიდ სამსახურს გაუწევს ისტორიკოსებსაც, კულტუროლოგებსაც — იმდენი ძვირფასი ფაქტიდა მოვლენა, ფოტო თუ ნახატია მასში წარმოდგენილ—გაანალიზებული, საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი თუ უცნობი იმდენი ადამიანის ცხოვრების საინტერესო ეპიზოდებია მოთხრობილი, იმდენი პიროვნებათაშორისი კავშირულთიერთობა შესწავლილ—გამოკვლეული და აღდგენილი, წინამორბედ მკვლევართა იმდენი ნებსითი თუ უნებლიერ შეცდომაა გასწორებული აქ!

მოძიებულია რამდენიმე მეტად საინტერესო პარალელი ანდრია დადიანის კომბინაციებსა და გამოჩენილი მოჭადრაკეების მიერ განხორციელებულ კომბინაციებს შორის, რაც საუკეთესოდ მეტყველებს ქართველი მოჭადრაკის ტალანტზე. აი, მაგალითად, ერთობ საგულისხმო პარალელი: რობერტ ფიშერს თავის წიგნში „ჩემი 60 სამახსოვრო პარტია“ რ. ბირნთან შავებით მოვებული პარტიის (აშშ ჩემპიონატი, 1963-64) ანალიზისას მოჰყავს მის მიერ ჩაფიქრებული ლამაზი კომბინაცია ორგზისი გატყუების თემაზე, რომელიც „კულისებს მიღმა დარჩა“ იმის გამო, რომ მონინააღმდეგე „დროულად“ დანებდა. ანდრია დადიანს ანალოგიური კომბინაცია 1902 წელს განუხორციელებია კოგანთან თეთრებით მოგებულ პარტიაში (სამ სვლაში შამათი კუსა და ეტლის შენირვით).

1920 წელს მსოფლიოს მეორე ოფიციალურმა ჩემპიონმა, ემანუელ ლასკერმა, უცნობ მეტოქესთან ეფექტური კომბინაცია განახორციელა ეტლისა და ლაზიერის შენირვით, რასაც პაკის სუსტ ფიგურად (მხედრად) გაცოცხლება მოჰყავა. დავით გურგენიძის სიტყვით, „შემდგომში ლასკერის ეს პოზიცია სამაგალითო გახდა. ითვლებოდა, რომ მან პირველმა მიაგნო ამ ლამაზ ჩანაფიქრს“. ანალოგიური კომბინაცია ანდრია დადიანს ლასკერზე ადრე, მე-20 საუკუნის დამდეგს განუხორციელებია: იგი შესულია ანდრია დადიანის კომბინაციათა კრებულში, რომელიც 1903 წელს კიევში გამოიცა ფრანგულ ენაზე. თუმცა დავით გურგენიძემ ა. დადიანისა და ე. ლასკერის ამ კომბინაციათა არქეტიპს მე-19 საუკუნის ამერიკული გაზეთის ფურცლებზე მიაკვლია: პირველად ამგვარი რამ ვინმე ოლივერ ლაბონეს „ჩაუდენია“.

ცოტა არ იყოს, სათუოა პარალელი რობ-

ერტ ფიშერის მიერ თეთრებით პალ ბენკოს წინააღმდეგ განხორციელებულ კომბინაციას (აშშ ჩემპიონატი, 1963-64) და იმ კომბინაციას შორის, ანდრია დადიანის მიერ სოფ. აბასთუმანში უცნობ მოჭადრაკესთან მოვებულ პარტიაში რომ გვხვდება. მართალია, ა. დადიანის კომბინაციის პირველი წყნარი სვლა — ეტლის შენირვა (ეტლი f H6) — ზუსტად მეორდება ფიშერთანაც და მსგავსება თავიდან გამაოგნებელ შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ ეს კომბინაციები იდეის მხრივ ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან: ფიშერის კომბინაციის იდეა გატყუება და ბლოკირებაა, დადიანის კომბინაციისა კი — გატყუება და დაცვის განადგურება; ეტლის შენირვის მიღების შემთხვევაში ფიშერთან თეთრუჯრედოვანი კუ ებმება გადამწყვეტი იერიშში, დადიანთან — შავ უჯრედოვანი კუ; გარდა ამისა, დადიანთან მოვების სხვა გზაც არსებობს.

(ეტლის ეს შენირვა ფიშერის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სვლათაგანია. იგი შეამკვს ეპითეტით „ცეცხლოვანი“, „ნაპერნებულების მფრქვეველი“ (antil 1 ating). პოზიცია, რომელშიც ეს სვლა გაკეთდა, გამოსახულია ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში გამოშვებულ ერთ-ერთ საფოსტო მარკაზე. ერთ ვებგვერდზე კი, რომლის სათაურია „ვაჭრობა ბირჟაზე — არასტანდარტული შეხედულება“ („Торговля на бирже — нестандартный взгляд“), მარკეტინგის შემსავლელთ ფიშერის ამ კომბინაციის მეშვეობით განუმარტავენ მსხვილ ინვესტორთა ისეთი „სვლების“ არსა, რომლებიც თავიდან მათვის თითქოსდა წამგებიანი ჩანს, მაგრამ „შემდეგ ირკევა, რომ [ამ „სვლის“ შედეგად] წვრილი და საშუალო სპეკულანტების პოზიცია უიმედოა“).

რაც შეხება მიხეილ ჩიგორინსა და ანდრია დადიანს შორის კონფლიქტს, დავით გურგენიძე მათი ურთიერთობის ისტორიის დეტალურად შესწავლის შემდეგ მიხეილ ჩიგორინის განაწყენების ორ მიზეზს ასახელებს. ერთი ეს გახლავთ: როგორც ჩანს, ჩიგორინი უკამაყოფილ დარჩა იმით, რომ მონტე-კარლოს 1902 წლის ტურნირში ლამაზი პარტიისთვის დაწესებული პრიზი, 500 ფრანკი, ანდრია დადიანმა მეისონს გადასცა იანოესკისთან მოგებული პარტიისთვის და არა მას ტარაშთან გამარჯვებისთვის (ამ პარტიამ რუს ოსტატს მხოლოდ 100 ფრანკი შესძინა როტშილდის პრიზებიდან). სხვა მიზეზი ჩიგორინის განაწყენებისა, რამაც ანდრია დადიანის მიმართ წამოწ-

ყებული მისი პროვოკაციები გამოიწვია, ნიგ-ნის ავტორისა აზრით, სტეინიცისადმი (უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით: შტაინიცისად-მი) ქართველი მოჭადრაკის კეთილგანწყობა იყო, რაც დამაჯერებელი ჩანს.

ვილჰელმ სტეინიცმა (1836-1900), ჭადრაკში მსოფლიოს პირველმა ოფიციალურმა ჩემპიონმა და ერთ-ერთმა უგამონებელესმა თეორეტიკოსმა, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ჭადრაკის ისტორიაში, მსოფლიო ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ოჯახერ დაამარცხა ჩიგორინი (1889 და 1892 წლებში). ბატონი დავითის აბ წიგნში სტეინიცისა და დადიანის ურთიერთპატივისცემის მრავალი ფაქტია წარმოდგენილი, მათ შორის სტეინიცის (აგრეთვე ემანუელ ლასკერის, მსოფლიოს მეორე ოფიციალური ჩემპიონის) წერილები, ანდრიასადმი მინერილი (მანამდე ქართული ჭადრაკის ისტორიისთვის უძირფასესი ეს დოკუმენტები, ზუგდიდის მუზეუმში დაცული, თენგიზ გიორგაძემ გამოაქვეყნა თავის ზემოთ დასახელებულ წიგნში).

მსოფლიოს პირველი ჩემპიონისა და ანდრია დადიანის ურთიერთობის თვალსაზრისით უაღრესად საყურადღებოა ფაქტი, რომელსაც დავით გურგენიძემ მიაკვლია: იმ პირთა და ორგანიზაციათა ჩამონათვალში, რომელთათვისაც ვილჰელმ სტეინიცს პატივისცემის ნიშნად მიუძღვნია 1900 წელს, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, გამოცემული თავისი ბროშურა „ჩემი პასუხი ანტისემიტებს ვენაში და ყველგან, სადაც ისინი არიან“, საპატიო ადგილი უჭირავს ანდრია დადიანსაც (სია ბეჭდური სახით ერთვის ბროშურას). ვილჰელმ სტეინიცი თავის საჭადრაკო უურნალში, რომელსაც ნიუ-იორქში გამოსცემდა (ავსტრიელი ებრაელი ვილჰელმ სტეინიცი [შტაინიცი] 1883 წლიდან აშშ-ში ცხოვრობდა), აგრეთვე ამერიკული და ევროპული უურნალ-გაზეთების საჭადრაკო განყოფილებებში თავისი კომენტარებით აქვეყნებდა ანდრიას პარტიებს. აი ანდრია დადიანის ტალანტის მისეული შეფასებები, რომელთაც დავით გურგენიძის წიგნში ჩვენ კვლავ ვხედავთ პირველი რანგის გაბედულ და მახვილ გენიას”, „ბრნყინვალე და ლრმა კომბინაციის დასაწყისი“ (სტეინიცის კომენტარია დადიანის მე-14 სვლაზე სმიტენთან შავებით მოგებულ პარტიაში) და სხვ.

ეს შეფასებები მეტ წონას შეიძენს, თუ გვეცოდინება, რომ მათ ავტორს ასე ახასი-

ათებენ: „მისი ჯიუტი და მბრძანებლური ხა-  
სიათი ვერავითარ კომპრომისს ვერ ეგუებო-  
და, მისი ავტორიტარული ფსიქიკა „პარგი  
ტონის“ ჩარჩოებში ვერ თავსდებოდა. რისი  
თქმაც სურდა, იმას ის მთელი ხმით ამბობ-  
და, თავაზიანობის პროცესიული ნორმების  
უგულებელყოფით“ (ვ. ი. ლინდერი, ი. მ. ლინ-  
დერი, „ვილჰელმ სტეინიცი: ცხოვრება და  
თამაში“. გვ. 255. რუს. ენაზე).

გერმანულ ვიკიპედიაში, სადაც ღირსეულად არის შექტბული ანდრია დადიანი-მოჭადრაკე, ასეთი რამეც ამოვიკითხე: „არსებობს აზრი, რომ მისი პარტიები მთლიანად ან ნაწილობრივ კონსტრუირებულია (ანუ შეთხზულია. — ლ. ბ.). იმასაც ამბობენ, რომ სახელოვან ოსტატებთან თამაშისას წინასწარ უთანხმებდა მათ პარტიების შედეგებს (ანუ სახელოვან ოსტატებთან „ჩანყობილ“ პარტიებს გაითამაშებდა ხოლმე. — ლ. ბ.). მაგრამ ჯერ კიდევ მისი თანამედროვეების მიერ გამოთქმული ეს ბრალდებები დღემდე გამოუძიებელია“.

ეს ცილისმნამებლური ბრალდებები, რუსი მოჭადრაკების ფ. დუზ-ხოტომირ-სკის, ვ. პანოვისა და სხვათა მიერ შეთხზული, დავით გურგენიძის ნაშრომში დამაჯერებლად არის გაქარწყლებული მრავალი არაუმჯობით. შესავალშივა კითხოობა:

„საინტერესოა, დადიანის იპონებტები ვისკენ გაიშვერენ თითს, ვინ იღებდა ფულს, რომ ლამაზად წაეგო ა. დადიან-მინგრელსკი-სთან. შეიძლება ეს ყოფილიყო მოსკოვის პირველი ჩემპიონი, კონსერვატორიის პროფესორი ალექსანდრ სოლომოვცოვი? ან მდიდარი უნგრელი ბანკირი, პარიზის 1867 წლის ტურნირის გამარჯვებული იგნაციო კოლიში? ან იქნებ ცნობილი იტალიელი მაესტრო სერაფინო დიუბუა? ილია შუმოვი უბრალოდ აღარ ვახსენე. არადა თითოეულ მათგანს დადიანთან ორი ან მეტი პარტია აქვს წაგებული. დადიანის მეტოქეთა შორის ვევდებით რუსეთის იმპერიის უმაღლესი დონის ჩინოვნიკებს: საიმპერატორო კარის მინისტრს ალექსანდრ ადელბერგს, განათლების მინისტრს ანდრეი საბუროვსა და სხვებს. [...] ყველაზე ხელმოკლე მათ შორის, ვინც ანდრიასთან დამარცხდა, იყო ფ. დუბ-ხოტომირსკი — პიროვნება, რომელმაც პანოვთან ერთად უკადრისი იკადრა, მაგრამ, მისი მტკიცებითაც კი, ის უფრო ხშირად იგებდა დადიანთან, ვიდრე აგებდა“.

მიხეილ ჩიგორინის გარდაცვალების მო-  
მდევნო (1909) წელს მისი ხსოვნისადმი  
მიძღვნილი დიდი საერთაშორისო ტურნირი

გაიმართა სანკტ-პეტერბურგში. ანდრია და-დიანს სილამაზის ორი პრიზი დაუწესებია მისი მონაწილეებისთვის, ოღონდ (სრულიად გასაგები მიზეზის გამო) არაოფიციალურად, ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის გვერდის ავლით. კეთილშობილებისა და ღირსების იშვიათ ნიმუშს უწოდებს დავით გურგენიძე ანდრია დადიანის ამ ჟესტს, მიხ-ეილ ჩიგორინის დიდი ტალანტისადმი პა-ტივისცემის გამომხატველს, ჩიგორინისა, ვინაც, სარეცენზიონი წიგნის ავტორის სი-ტყვით, „აუგისა და ცილისნამების დიდი დოზა დახარჯა დადიანზე“.

\* \* \*

და ისევ „დადიანის მახეს“ დავუპრუნდეთ. ეტყობა, ბოლო დროს მაინც რაღაც შე-იცვალა ანდრია დადიანისადმი რუსების დამოკიდებულებაში. უურნალი „64 — შახ-მატნოე ობოზრენიე“ 2010 წელს მცირე პუბ-ლიკაციით გამოხმაურებია ქართველი მოჭ-ადრაკის დაბადებიდან 160 წელს, უწოდები-ათ მისთვის „რევოლუციამდელი რუსეთის დიდი საჭადრაკო მეცნატი“, დაუბრჭდავთ

ვ. დუბრავასთან მოგებული მისი პარტია, ულიარებიათ მისი პრიორიტეტი და იქვე სხვა ცხრა პარტიაც დაუსახელებიათ, რომლებ-შიც „დადიანის მახე“ გამეორებულა; მათგან უძველესი დადიანი-დუბრავას პარტიიდან სამი წლის შემდეგ არის ნათამაშები (1899 წელს), უახლესი კი — 94 წლის შემდეგ (1990 წელს). ამ ამბავს სარეცენზიონი წიგნის ავ-ტორისთვის ქართული ანდაზა გაუხსენებია: „წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარ-ჩებიანო“.

**□ 8. პირველ თავში ვკითხულობთ:** „ან-დრიას ჭადრაკის თამაში დედამ ასწავლა. 14 წლის ყმაწვილს ჰამბურგში ცნობილი ინგ-ლისელი მოჭადრაკე თომას ბერნსი ამეც-ადინებდა“. ნაცვლად ჰამბურგისა (რომელ-იც ამ ნაშრომში ხშირად იხსენიება) უნდა იყოს ჰამბურგი (ბად ჰომბურგი) — რუსი არისტოკრატიის საყვარელი კურორტი გერ-მანიაში, ჰესენის მხარეში. იქ ისვენებდა სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე ჭავ-ჭავაძე-დადიანი ოჯახის წევრებთან ერთად.



## დარინა ყურუა

### პრიალოსნის მარცვლებივით აკინძული წარსული

(ბიოგრაფიული რომანი აკაკი წერეთელზე)

ყოველდღიური წვრილმანები, თითქოს უმნიშვნელო ელემენტებად დაშლილი მოვლენები, წამებში გაბნეული ცხოვრება, კრიალოსნის მარცვლებად აკინძული წარსული... წოველებად აკინძული ბიოგრაფია უფრო ღრმა აღმოჩნდა, ახლებური, ახლობლური, თანაზიარი ანშეოსი...


წლების წინათ გალაკტიონ ტაბიძემ პოეტურად დაგვიხატა უსაყვარლესი აკაკი წერეთელი:

თეთრი ჭაღარით მოსილი თმები  
ელავდა ელვის ელვა-ციმციმით  
და მოხიბლული იყო მთიები  
დიდებულ სახის ღვთაებრივ ღიმით.

მძიმე და დაღლილ ფეხის ხმას გრძნობდა  
ნელი-ნელ მსვლელი ღრუბელი ჩუმი  
და მოძრაობდა ღამის მნათობთა  
აღლვებული ელიზიუმი.

ელგუჯა თავბერიძემ ბიოგრაფიული რომანით „აკაკის ლანდი“ პროზის ლანდში გაგვახედა: „ოთხ ათეულ წელს მიტანებული აკაკი, მაღალი, ახოვანი, მოხდენილად შეკრეჭილი შავი წვერ-ულვაშით, ფართო შუბლით, ხუჭუჭა შავი თმით, ცეცხლის მკვესავი მოსაუბრე თვალებით. ლამაზი ვაჟკაცი სწორედ მასზე შეიძლებოდა თქმულიყო. მიდიოდა, მიაცილებდა ქალების მზერა, მოდიოდა, უკვე დაჟინებით შეპყურებდნენ ქალებიც, კაცებიც... თავანეული დაბიჯებდა ყველაფრის დამნახავი, ყველაფრის შემმრჩევი თავადი წერეთელი. იყო რაღაც ღვთიური მის იერში...“

ალბათ ყველას არ შეუძლია საარქივო მასალებში მოიძიოს დოკუმენტები, რომ-



ლებიც შემდგომ ასე ცოცხლად, ასე ნათლად, თითქოს შენი თანამედროვე მწერალიაო, წარმოგასახვინებენ მწერლის სურათხატს და გააცოცხლებენ.

თვითონ ავტორისთვის არახალი, მაგრამ მკითხველისთვის კიდევ ერთი კუთხით განხილული ლიტერატურული წარსული — წოველებად აკინძული ბიოგრაფია. ჩემს თაობას და უფრო ჩემი შვილების თაობას აღარ აკვირვებს ლიტერატურის ეს ჟანრი, რადგანაც მომავალში ამ ჟანრის რომანებს მრავლად შემოგვთავაზებენ, დარწმუნებული ვარ. ევროპისა და ამერიკის გამომცემლობებში ბოლო ხანს გამოიკვეთა ტენდენცია, უბრალო, რიგით ადამიანთა მიერ მათი განვლილი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების წარდგენა მკითხველთა ფართო წრისათვის რომანისა თუ მოთხოვთ სახით.

განსხვავება რა არის? — ძალიან ბევრი, ოღონდ ახსნის გარეშე...

ლიტერატურის მაღალ მწვერვალებს მას ნუ მივაკუთვნებთ. ეს სხვაა...

არ ვისაუბრებ თვითონ პოეტის ცხოვრების დეტალებზე, არ ვისაუბრებ იმაზე, თუ რა მნიშვნელოვანი მასალები გადაგვეშალა მკითხველებს, მთავარია, რომ ახლოს გაგვაცნო აკაკი წერეთელი სულ სხვა კუთხით, თითქოს ჩვენი თანამედროვე ყოფილიყოს, ჩვენი მეგობარი, ოჯახის წევრი — ნათესავა-ად გაგვიხადა და შეგვაყვარა. და შეგვაყვარა იმიტომ, რომ გაუბრალოებით გაადიადა და აღამაღლა მკითხველის წინაშე. ყოველგვარი გადაჭარბების, შელამაზება-შეკეთების გარეშე რომ მოგვითხრო დიდი მგოსნის ცხოვრება, მისი სატკივარი, შემოქმედებითი ძიებანი, მხატვრული სურათების ძერწვა... ელგუჯა თავბერიძემ ხელშესახებად, დაგვანახა აკაკისეული ეპოქა, ჩაგვასედა მწერლის სულში, გვითხრა, როგორ გაურბოდა ზოგიერთებს, იმათ, ვინც ქვეყანას ორგულებდა, და როგორ სურდა ახლოს ყოფილიყო მამულის ერთგულ ადამიანებთან, ბევრს დასცინოდა, კილავდა, თუმცა ისიც არ ავინცდებოდა, ტალახიან დროში რომ იყვნენ დაბადებულნი.

მზერალმა დღემდე უცნობი აკაკი გაგვიცოცხლა, ის აკაკი, თანამედროვეთაგან შერისხული გიორგი ჭილაძის სასტუმროში რომ დაბინავებულიყო (ისიც, როგორ ექცეოდა, ისე, აკაკის რომ ეკუთვნოდა).

რომანში უამრავი წვრილი ამბავიცაა გახსენებული, ისინი ელგუჯა თავბერიძეს რომ არ ამოეზიდა საარქივო ან საგაზეთო მასალებიდან, იქნებ აღარავის გახსენებოდა, არადა, მათი მეშვეობით რა სახიერად იხატება აკაკი.

ზოგჯერ გულუბრყვილოც იყო, — გვეუბნება მწერალი (სხვაგვარად არც შეიძლებოდა), გულუბრყვილობაა, აბა, რა, რომ ეგონა, „იმერლებზე“ (მის რომანზე) ქვეყანა ალაპარაკდებდებაო, და ასე რომ არ მოხდა, უკვირდა. სხვა რამეს უფრო იტაცებდნენ, დროშიასავით აფრიალებდნენ, „იმერლები“ მიავინყდათ...

აკაკი ძალიან წუხდა ახალთაობაზე, დღევანდელი კვერცხი ხვალინდელ ქათამს რომ ერჩივნათ, სამშობლოს „მშენებლები“ ორად რომ გაიყვნენ, „ისინი“ და „იგინი“ დაირქევეს. ჩინ-მედლებზე მოფიქრალებს ხომ არასდროს ინდობდა. ყველაფერი ეს ისე მკაფიოდაა ნაჩვენები ბიოგრაფიულ რომანში, რომ არასდროს, არასდროს დაგვაკინტება, მუდამ გვემახსოვრება, ყველაზე დიდი ჩინი სამშობლოს მსახურება რომაა.

და ასე, როგორც ზემოთ ვთქვი, კრიალოსნის უამრავი მარცვალივით აკინძული წარსული... გულსატკივარი და სადარდებელი რომ არ აკლია — ისეთი, იმ აკაკივით, გახტანგ გურამიშვილთან ერთად რომ მიუყვება ქუჩას, ქვეყნის სატკივარით გული დამძიმებია შუასანს მიღწეულ მგოსანს, სიცოცხლის გასრულების ჟამის მომლოდინე ვახტანგი რომ ამხნევებს და მომავლისკენ ახედებს. ჩვენთვის პირიქით უნდა ყოფილიყო... საიმედო ხომ მაინც ბევრი გვაქვეს. ჩვენს მეტი ვინ მოახერხებს იმას, რომ თვითონვე ვანგრევდეთ და მაინც არ ინგრეოდეს ქვეყანა.

არც დაინგრევა არასდროს!

ისევე, როგორც კიდევ ერთი წარმატებული ცდა ჩვენი ავტორისა.

იმედი იმისა, რომ კიდევ გაგრძელდება ელგუჯა თავბერიძის ბიოგრაფიული რომანების ციკლი.



## თამარელა წონორია

### „მზე ხელისგულიდან ამოადის“

(ნუკრი ბერეთელის „ჩიხი“)

„ჩიხი“ 2012 წლის აგვისტოში გამოჩნდა დედაქალაქის წიგნის მაღაზიებში. კრებულის 64 ლექსიდან 7 უსათაუროა. „სათაურებზე საერთოდ არ ვფიქრობ, შეიძლება ლექსი დავწერო და ერთი თვის შემდეგ დავვარქვა სახელი, ანუ მოვნათლო“, — თქვა ერთხელ, პოეტური ექსპრესით მგზავრობისას. 57 ასეთი მონათლული ლექსია კრებულში. 12-ს კი სარჩევში მიყოლებით ასე იპოვით — წვიმიანი, თოვლიანი, დეკემბრის, მარტის (უმარტო), მიმწუხრის, ჯიუტი ბიჭის, ბრმა ბიჭის, ბრმა სტუმრის, გულალმა, ნაპარტახალი, ზღაპრად დაწერილი, მთასწავალა... (ალბათ, გამორჩეულობის ნიშნით, როგორც ვაჟამ თავის დროზე საუკეთესო ლექსებს სიმღერე დაარქვა და ასეთი 160 დაგვიტოვა, შემდეგ გამოცემებში მას სიმღერა უწოდეს!).

შემჩნეულია, ნებისმიერ პოეტსა თუ პროზაიკოსს გაცილებით უკეთ ეწერება ცალკეული ნაწარმოებები და თუნდაც წიგნები, რომელიც მიძღვნილია მშობლიური ადგილებისადმი; იმ კუთხისადმი, სადაც ბავშვობის წლები გაატარა და ყველაზე ცოცხალი მოგონებებიც ამ პერიოდს უკავშირდება. ამ აქსიომას უფრო ამყარებს ანრი დ. დევრეის აზრი, დაწერილი რედიარდ კიპლინგის შესახებ: „არა ადამიანს არ ღირსებია ორჯერ, ორ სხვადასხვა ქვეყანაში გამოსცადოს ბავშვობა“. ეს აზრი შესაშური უპირატესობით პოეტებზეც ვრცელდება და არც ნუკრი ბერეთელი გახლავთ გამონაკლისი, რადგან ბავშვობა ერთხელ და მხოლოდ ერთ ქვეყანაში შეიძლება განიცადო; მერე კი ყოველნაირად უნდა ეცადო (ომების, შიშის, შიმშილისა და სხვა უბედურებათა მიუხედავად) შეინარჩუნო იმ ქვეყანაში შენი ბავშვად ყოფნის დრო, რათა გახდე პოეტი. რადგან პოეტია სწორდ ის, ვის სულსაც ყველაზე მეტად მსჭვალავს ბავშვობის მოგონებანი. „მიმწუხრის ლექსში“ პოეტი წერს:



გადაგორდება ეს ზაფხულიც  
საზამთროსავით,  
ლექსად გიყვები ჩემს ცხოვრებას,  
მთვარე დაძველდა.  
ჩემი ბავშვობის ლანდი დამდევს  
თეთრი ხბოსავით  
და გალეშილი ქარი ანჯლრევს ლობეს  
საბძელთან.

ნუკრი ბერეთელიც ასეთი პოეტია „თავის მთებში შობილი“, „მთასწავალა ლექსის“ ავტორი, „ჩემს მთებში მთაზე დიდი ვარონ“, — რომ აცხადებს ერთ-ერთ უსათაურო ლექსში.

ლექსში „პირ-იქით“ ასეთ რამეს წაიკითხავთ:

მელავები მაქვს მზემდე ანვდილი,  
ნისლვამეტებული მთა მიყვარს,  
ცას რომ გადუმალავს არწივებს  
ნინ რომ დაგიდგება: „სა მიხოლ!  
ნაგიყვან“.

სხვაგან კი ასეთ შედარებას მოიხმობს, იმერეთის „გორები მახსენებს პეიზაჟს, ვან გოგის დახატულს“, ვან გოგს კი ყველაზე უხვად რაც ჰქონდა და რისი დახარჯვაც ასე ნიჭიერად შეძლო, ეს იყო მზე და მზისფერი... თუმცა კი ესეც შემოქმედებითი წვითა და ბრძოლით მოიპოვა. „მას, როგორც განდობილს, ხელენიფებოდა მზის ფლუიდები საკუთარ სისხლში მიეზიდა,“ — დაწერს ერთ-ერთ დაუმთავრებელ ესეიში გრიგოლ რობაქიძე, — მის „მზესუმზირებში“ ჩავარდნილია მზის თვალი, სასწაულებრივი და განუმეორებელი დაბადება და ამიტომაც ითვლება იგი — ყველა სხვა სურათის ჩანასახოვან ხატად.“

სწორად შეინიშნავენ, პოეტურ ცოდნას თუ მწერლურ სიბრძნეს ასაკი არ გააჩნია. ისიც დადასტურებულია, რომ სწორად აქცენტირებული შემოქმედებითი ადამიანები, ანუ სიტყვასთან მართალი, მზეგრძელნი არიან. ისინი მზის ადამიანებად ითვლებიან. „მზე ხელისგულიდან ამომდისო,“ — და ეს მხოლოდ პოეტური ფრაზა არ არის, სარწმუნოა კიდეც და ამიტომაც წერილის სათაურად გამოვიტანეთ. სხვა სტრიქონში ასეთი ვეძრება გაისმის:

და ვთხოვ ღმერთს,  
დამიბრუნოს ჩემი მზე.

ან ეს სტრიქონები როგორი სიმართლითაა ნაწერი: „უჰ, სიცხე კი არ მაქვს, — მზის დალია,“ „მზის ნარქენიაო“ — ასე წერს გრიგოლ რობაქიძე და თავისი „გველის პერანგის“ ერთ-ერთ თავსაც ასე დაასათაურებს.

პოეტის სულის ორგანული ნაწილია ის სტრიქონებიც, რითაც კრებულის პირველ ლექსი „ჩემი წიგნი“ იწყება:

ნუხელ სოფლად მოვედი...  
ჩამოვიდე მხრიდან  
მძიმე ტვირთი. მოწმე მთვარე იყო მარტო.  
და წინკართან დედა  
სველ ტკივილებს მხდიდა,  
როგორც ზამთრის წვიმით  
დამძიმებულ მანტოს.

თავისი „მძიმე წიგნით“ აქ, დედამიწაზე და იქ, თავის პოეტურ ზეცაზე, პოეტი კაცის გულით დაგვატარებს და ქმნის საკუთარი ლექსის სანოტო სისტემას — „ჩემთვის ისე-დაც ყველა ფერი შვიდი ნოტია“, საკუთარ პოეტურ სიმს აუდარუნებს, „ბრმა ბიჭის ლექსში“ და მკითხველის ყურადღებას თუ იგუმანებს, უმალ საკუთარი პოეტური სინდისივით ასუფთავებს და ანკრიალებს ამ მოუღარუნე სიმის ხმას...

პირველ კრებულს „ჩიხი“ დაარქვა, თავიდანვე გვითხრა: ჩიხში ვცხოვრობო, — ჩიხში ცხოვრება სიმშვიდესაც რომ ნიშნავს, პოეტ ესეც მოეხსენება... იგი ქრისტეს ასაკ-ში ჯერ არ გადამდგარა, ჯერ ისევ ეძებს თავის გზას, „მე რახანია საკუთარ თავს აღარ ვეჯუთვი,“ — ამიტომაც დაეჯერება: „სხვას რას დავეძებ — ჩემი თავი ვერ მიპოვნია“, ... და ხუთტაეპიანი ლექსის თითქმის დასასრულისკენ ნათქვამი სტრიქონები გასაღებია ამ კრებულის სათაურისა: როგორ საიდუმლოდ და როგორი მონდომებით გამოილოცა საკუთარი სახლისკენ მიმავალი „მზები ჯვრიანი“ და „გზაჯვარედინები“.

„მე, ჩიხში ვცხოვრობ, ან პირიქით, პირიც მიქნია ზოგჯერ ქვისაკენ და ზოგჯერ ჩემს გზებს ჯვრებად ვსახავდი. გზაჯვარედინზე დგომა ჩემთვის ფუჭი ფიქრია — ბოლოს მივხვდი და მოვაღწიე კიდეც სახლამდე.“

ოქროს ნისკარტი, პოეტო, ოქროს ნისკარტი! მართლაც, პირიც გიქნია ზოგჯერ ქვისაკენ, არავინ გამოგაყოლოს მოშურნე თვალი, მართლაც არავის ეგონო ჩიხში ან პოეტურ დეპოში შესული, პირიქით, ქუდბედიანი კაცი ხარ, რადგანა ამ კრებულის რედაქტორიც, პროფესიონალი მთარგმნელიც და ამბოხებული სიყვარულის ადრესატიც, შენი ანი კოპალიანი ახლა უკვე სახლში გელოდება (და ერთად ელოდებით პატარა ადამიანს!), რომელსაც უმრავ ლექსს უძღვნი და ერთ-ერთი გამორჩეული ასეთია: „მილიონ ფურცელზე (სალექსე) თოლიას (მილიონს) გიხატავ და გკოცნი თვალებში!“





ოსკარ უაილდი

# ადამიანის სული სოციალიზმის ღრმის

1

ახალ ცხოვრებას<sup>1</sup> ერთი უმთავრესი უპირატესობა ექნება — ის ბოლოს მოუღებს საძულველ აუცილებლობას ვცხოვრობდეთ სხვისთვის. ეს აუცილებლობა მძიმე ტვირთად დასწოლია ყოველ ჩვენგანს. იშვიათად, რომ მას გაექცეს ადამიანი.

ეს ხელენიფება მხოლოდ დარვინისდარ დიდ მეცნიერს, კიტსისნაირ დიდ მოსახნას, ფლობერივით ნამდვილ სიტყვის ოსტატს. ეს მხოლოდ მათ შეეძლოთ განზე გამდგარიყვნენ და ყური არ ეგდოთ დანარჩენი კაცობრიობისთვის; დიახ, კაცობრიობისთვის, რომელსაც, პლატონის<sup>2</sup> თქმისა არ იყოს, თავი შეუფარებისა ერთობ საცხოვრებლისთვის და რჩეულებსაც ღრიანცელით უხმობს იქითვენ. მაგრამ რჩეული განზე დგანან. ასე უნდა სრულჰყონ ის, რაც ღვთისგან ჰპოდებიათ, მათსავე საბედნიეროდ, და კიდევ უფრო — ჩვენს სასიკეთოდ.

მაგრამ ასეთი შემთხვევები გამონაკლისია. ადამიანთა უდიდესი ნაწილი იმახინჯებს ცხოვრებას სნეული და გადაჭარბებული ალტრუიზმით<sup>3</sup>. ისინი, არსებითად, იძულებული არიან ასე დაიმახინჯონ თავი, რადგან გარს აკრავთ საძაგელი სიღატაკე, სიმახინჯე, შიმშილი. ეს კი ძლიერ გვიჩუყებს გულს — გრძნობა გონებაზე ძლიერია.

ადრეც მითქვამს: გაცილებით ადვილია თანაუგრძნო ტანჯვაში, ვიდრე აზროვნებაში<sup>4</sup>. ამიტომ კეთილი, მაგრამ ბოლომდე მოუფიქრებელი განზრახვებით ცდილობენ უნამლონ ირგვლივ გამეფებულ ბოროტებას. მაგრამ მათი წამალი ვერ შველის სნებას; მხოლოდ აჭაპანურებს მას. მეტიც, ეს წამალი სნეულების ნაწილად იქცევა ხოლმე.

მაგალითად, ცდილობენ სიღატაკეს შეებრძოლონ იმით, რომ ღატაკებს ეხმარებიან ან, უახლესი მოძლველების თანახმად, ართობენ. მაგრამ ეს ვერ შველის საქმეს. მთავარია შეცვალო საზოგადოება ისე, რომ მასში სიღატაკემ ვერ იბოგინოს, ის შეუძლებელი გახდეს. ალტრუიზმი კი ხელს უშლის ამას.

ზუსტად ასე: ყველაზე ცუდი მონათმფლობელები ისინი იყვნენ, ვინც კეთილად ეპყრობოდნენ მონებს და ამით ხელს უშლიდნენ მათ ეგრძნოთ მონობის მთელი საშინელება. დღესაც ინგლისში ყველაზე დიდი მავნებლები ისინი არიან, ვინც ცდილობენ სიკეთის თესვას<sup>5</sup>.

East end<sup>6</sup>-ის განათლებულმა ადამიანებმა საგანგებოდ გამოიკვლიეს ეს საკითხი და პირდაპირ ესვენებიან საზოგადოებას აღვირი ამოსდონ თავიანთ ალტრუისტულ გაქანებას, სათნოების, გულმოწყალებისა და სიყვარულის ვნებათაღელვას. ამ განათლებულ ხალხს ის ანუხებს, რომ ამგვარი ქველმოქმედება დამამცირებელი და გამრყენელია. ისინი საესებით მართალი არიან. ქველმოქმედება ხომ უამრავი ცოდვის სათავეა<sup>7</sup>.

ერთიც უნდა ითქვას: უზნეობაა კერძო საკუთრების გამოყენება იმ საშინელი ბოროტების შესამსუბუქებლად, რომელიც კერძო საკუთრებისავე ნაყოფია. ეს უსინდისობაცად და უსამართლობაც.

ახალ ცხოვრებაში ყოველივე ეს წარსულს ჩაბარდება. ალარ იქნება ქოხმახები, აქოთებულ ძონძებით დაკონკილი ადამიანები, სნეული და მშიერი ბავშვები. საზოგადოების უსაფრთხოება ამინდზე აღარ იქნება დამოკიდებული. ყინვა ვეღარ გამორექავს

ქუჩებში ასეულ ათასობით ადამიანს, რომ-  
ლებიც ამაოდ ეძებენ სამუშაოს, ითხოვენ  
მოწყალებას და თავს იყრიან შემზარავ თავშე-  
ესაფრებთან ლუკა-პურისოფის და ბინძური  
ლოგინისოფის. ყველა მიიღებს თავის ნილ  
კეთილდღეობას და ყინვისა აღარავის შეეჭ-  
ინდება.

რაც მთავარია: ახალი ცხოვრება ინდი-  
ვიდუალიზმს დამკვიდრებს. კერძო  
საკუთრებას გადააქცევს საერთო ქონებად,  
ჯიბრს — ერთობლივ საქმიანობად და სა-  
ზოგადოებას დააბრუნებს პირველყოფილ  
სიჯანსაღეში. ცხოვრება დაუბრუნდება  
თავის მკვიდრ ნიადაგს და მისთვის ჩვეულ  
გარემოს.

მაგრამ ცხოვრების სრული გაფურჩქვნისთვის რაღაც მეტია საჭირო. დაახ, ინდივიდუალიზმს ვგულისხმობ. თუ სახელმწიფო ავტორიტარული დარჩა და, უპრალოდ, ძლევამოსილებამ ჩაანაცვლა დღევანდელ სახელმწიფოთა პოლიტიკური ძალმორჩმულობა, მაშინ სამრეწველო ტირანია დათრაგუნავს ადამიანს.

დღეს დღებით კერძო საკუთრება აფერ-  
ხებს ინდივიდუალიზმს. მოცალეობა ან  
საწადელი საქმის კეთება მხოლოდ მცირეთა  
ფუფუნებაა. უდიდესი უმრავლესობა კი მი-  
ჯაჭვულია მისთვის საძულველ სამუშაოს.  
მას, ვითარცა პირუტყვს, გაჭირვება  
მიერკება სამუშაოდ.

გაჭირვება მიუძღვის წინ, განა გული. მისი გული დიდი ხანია მოკვდა დახვეწილი მანერებისთვის, საუბრის ხიბლისთვის, ცივილიზაციისა და კულტურისთვის, სიცოცხლისა და სიხარულისთვის. მათი ერთობლივი ძალა ნივთიერ კეთილდღეობას ჰქმნის სხვისთვის. ესაა და ეს. თავიანთ შექმნილს ისინი შორიდან შესცემულიან მურით. თვითონ მათი ფასი კი გროშია.

ტყუილად ეთავსებიან ხოლმე კერძო  
საკუთრებას. ის, პირიქით, დიდი ბოროტე-  
ბაა. რამდენიმე წლის წინ აქ დადიოდა ხალხი  
და ირწმუნებოდა, საკუთრება მოვალეობებს  
წარმოშობსო. ისინი ისე წარამარა და ისე  
მოსაწყენად იმეორებდნენ ამას, რომ ბოლოს  
თვით ეკლესიამაც იწყო ამის ქადაგება. ახლა  
ამ აზრს ყველა კათედრონიდან გაიგონებ.

ეს აზრი სავსებით სწორია. საკუთრებას იმდენი მოვალეობა ახვევია ზედ, რომ კაცს მოგწყინდება. სულ მისკენ უნდა გეჭიროს თვალი; სულ საქმეზე უნდა იყო გადაგებულიდა, მაშასადამე, უსაზღვროდ მოწყენილი. საკუთრება მხოლოდ სიამოვნებას რომ გვანიჭებდეს, ვინ ოხერი იტყვოდა მასზე

უარს? მაგრამ ეს არამ კითხე მოვალეობანი პირდაპირ თავს შეგაძულებენ. არა, უნდა ვიხსნათ მდიდრები საკუთრებისგან — ამ ულმობელი ტირანიისგან!<sup>18</sup>

2

ლარიბები უფრო კეთილნი არიან, მაგრამ ისინიც შეგეცოდება კაცს. ხშირად ვიტყვით ხოლმე, რომ ლარიბები მადლიერნი არიან მოწყალებისთვის. ბევრი დიახაც მადლიერია, მაგრამ საუკეთესონი — ნურას უკაცრავად! ისინი, პირიქით, უქმაყოფილნი, დაუმორჩილებელნი და მეამბოხენი არიან.

მათ უფლება აქვთ იყვნენ ასეთინი. ისინი გრძნობენ, რომ ქველმოქმედება სასაცილოდ არასრულყოფილი ფორმაა სამართლიანობის თუნდაც ნანილობრივ აღდგენისა; ანაც გრძნობამოჭარბებული მოწყალებაა, რასაც თან ახლავს პატივცემულ ქველმოქმედის მომახმარებელი შეჭრა მათს პირად ცხოვრებაში.

ან კი როგორ უნდა იყვნენ მადლიერნი იმ ნამცეცხბისთვის, მდიდართა სუფრიდან რომ ცვივა? მათ თანდათან გაიგეს, რომ თვითონაც კარგად შეუძლიათ ისხდნენ იმავე სუფრასთან. უმაღლ პირუტყვი იქნებოდა, ვინც მათ ადგილზე თავს უკმაყოფილოდ არ იგრძნობდა.

ვისაც ისტორიაში ჩაუხედია, იცის: დაუ-  
მორჩილებლობა ადამიანის პირველყოფილი  
თვისებაა. დაუმორჩილებლობამ და ამბობ-  
მა შექმნა კაკონტრიობის დიდი კულტურა.

სანდახან ღარიბს მომტკირნეობას უქებენ. ეს სასაცილო ცაა და შეურაცხმყოფელიც. ეს იგივეა, რომ მშიერს ურჩიონ ნაკლები ჭამოს. უზნეობაა მუშის მომტკირნეობა. უმჯობესია იმათხოვროს ან მიიტაცოს. პირველი უფრო უხილათოა, მეორე — უფრო ლირსული.

არა! ღატაკი, რომელიც არაა მადლიერი  
და მომჭირნე, — პირიქით, უკმაყოფილო და  
მეამბოხეა, — კაცურ კაცად მიცვნია. მას  
იმედის თვალით გუცურიბ.

სხვაა კეთილი დატაკი. ის დიახაც შეიძლება შეგებრალოს. მაგრამ მისით ნამდვილად არ ვარ აღტაცებული. ასეთი კაცი თითქოს გაურიგდაო მტერს და იაფად, ლუპ-მა-პურზე მიჰყიდაო თავისი ადამიანური უფლებები. ამიტომ ის საოცრად ბრიყვი ბრძანდება.

მე კიდევ მესმის იმ ადამიანისა, ვინც მოი-  
წონა კერძო საკუთრება და სიმდიდრის და-  
გროვება. მესმის მეტეი, თუ მას შეუძლია ამ  
პირობებით ლამაზი და გონივრული ცხ-

ოვრება მოიწყოს. მაგრამ მე ვერ გამიგია: რანაირად შეიძლება ეთანხმებოდე იმ კანონსა და პირობებს, რომლებმაც დაგაბეჩავა და მიწასთან გაგასწორა?!

მაგრამ ამის ახსნა არც ისე ძნელია. სიღაფაკე იმდენად დამამცირებელია და იმდენად ადამბლავებს ადამიანის ბუნებას, რომ არცერთ კლასს არასოდეს ბოლომდე არ ესმის თავისი უბედურება. ამას ისინი სხვების სგან იგებენ და, უმეტეს შემთხვევაში, არ იჯერებენ.

რასაც ბობოლები ამბობენ მოქადაგეთა ნინააღმდეგ, წმინდა წყლის სიმართლეა. ეს ისინი, მოქადაგენი, მოდიანო ხოლმე საზოგადოების სრულიად კმაყოფილ ფენებთან და თესავენო შიგ უკმაყოფილების მარცვალს. ეს მართლაც ასეა შეთქი და ამიტომაცა ეს ხალხი ასე აუცილებელი. მათ გარეშე ჩვენს დახშულ პირობებში საქმე წინ ვერ წააწევდა.

ამერიკაში მონობისთვის ბოლო არც მონათა მოძრაობას მოუღია და არც თავისუფლების რაიმე წყურვილს მათი მხრიდან. ეს მოქადაგეთა ფარულმა მუშაობამ ჰქნა; ადამიანებისა, ვინც თვითონ არც მონები ყოფილან, არც მონათმფლობელები და, მაშასადამე, პირადად არც ყოფილან დაინტერესებული ამ საკითხით. ესენი, რა თქმა უნდა, აბოლიციონისტები<sup>9</sup> იყვნენ, რომლებმაც აანთეს პირველი სანთელი და ააგორეს ეს საქმე.

ერთიც არის: თვით მონებისგან მათ არც მხარდაჭერა მიუღიათ და არც თანაგრძნობა. ხოლო ომის მერე, როცა მონები სრულიად განთავისუფლდნენ და შეეძლოთ თავისუფლად დახოცილიყვნენ შიმშილისგან, ბევრი მათგანი, თქვენ წარმოიდგინეთ, სწუხდა კიდეც ახალი ვითარების გამო.

ჭკუადამჯდარ კაცს ფრანგული რევოლუციის ყველაზე ტრაგიულ ფაქტად ის კი არ წარმოუდგება, რომ მარია ანტუანეტა მოჰკელეს დედოფლობის გამო, არამედ ის, რომ ვანდეის მშეირი გლეხები ნებსით ეგებებიდნენ სიკვდილს ბატონყმობის საძაგელი საქმისთვის.

ახალი, სოციალისტური ავტორიტარიზმი არავის სჭირდება. ცუდია, რომ ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი მართლაც დამონებულია. მაგრამ გულუბრყვილობაა ცდილობდე საქმის გამოსწორებას ... მთელი საზოგადოების დამონებით. ყოველ ადამიანს უნდა შეეძლოს აირჩიოს საქმიანობა. აქ სრულიად დაუშვებელია რამენაირი ძალა-დობა. თავსმოსვეული შრომა ბოროტებაა

ყველასთვის და თავისთავადაც.

არა მგონია ჩვენს დროში ვინმე სოციალისტი მართლა ფიქრობდეს, რომ ზედამხედველი ყოველ დილას სახლებს ჩამოივლის და შეამონმებს: შეასრულეს თუ არა მოქალაქებმა თავ-თავისი რვასაათიანი სამუშაო დღე. კაცობრიობამ, მადლობა ღმერთს, განვლო ეს ხანა და ასე მხოლოდ იმათ ეპყრობა, ვინც — სხვათაშორის, სრულიად თვითნებურად — დამნაშავეებად შეურაცხავს.

მე მეჩვენება, რომ სოციალიზმი აშკარა ძალადობას მაღავს თავის თავში. ეს კი სრულიად მიუღებელია. ყოველი გაერთიანება უნდა იყოს ნებაყოფლობითი. მხოლოდ ასეთ გაერთიანებებშია ადამიანი მშვენიერო.

მაგრამ ინდივიდუალიზმი დღესდღეობით კერძო საკუთრებაზე ჰკიდია. მაშ როგორდა იხილების ის ამ დანესებულების წაშლით? პასუხი ძალიან უბრალოა. მართალია, რომ არსებულ პირობებში ცოტანი ახერხებენ საკუთარი სახსრებით თავისი ინდივიდუალობის გაშლას: ბაირონი, შელლი, ბრაუნინგი, ჰიუგო, ბოდლერი... ამათგან არცერთს არცერთი დღე არ უმუშავია გასამრჯელოსთვის. მათ არ ემუქრებოდათ გაჭირვება და ეს მათი უდიდესი უპირატესობა იყო. მაშ იხილების თუ არა ინდივიდუალიზმი ამ უპირატესობის გაუქმებით? აირას ეხება კითხვა.

ინდივიდუალიზმი დიახაც მოიგებს. ახალ პირობებში ის უფრო განთავისუფლდება, დაიხვენება და გაძლიერდება. მე არ ვგულისხმობ ზემოხსენებულ ოსტატთა ინდივიდუალიზმს; ვგულისხმობ სხვა, არანაკლებ დიად ინდივიდუალიზმს, კაცთა მთელ მოდგმაში რომ ღვივის. კერძო საკუთრება აზიანებდა მას; ათანაბრებდა ადამიანს თავის ქონებასთან. ამით ინდივიდუალიზმის მიზნად იქცეოდა გამორჩენა და არა განვითარება. ადამიანს ეჩვენებოდა, რომ მთავარია გქონდეს; არა ის, რომ იყო. ადამიანის სიდიადე ის კი არაა, რაც მას აქვს, არამედ ის, რაც თვითონ არის<sup>10</sup>.

კერძო საკუთრება აფერხებს ნამდვილ ინდივიდუალიზმს. სამაგიეროდ ის ცრუ ინდივიდუალიზმს ჰქმნის. ის ხელს უშლის საზოგადოების ერთ ნაწილს თვითდამკვიდრებაში. ხელს უშლის იმით, რომ აიძულებს იშიშილობს. მაგრამ ის არანაკლებ უშლის ხელს მეორე ნაწილის თვითდამკვიდრებასაც. ხელს უშლის იმით, რომ არასწორ გზაზე აყენებს.

მართლაც, პიროვნება ისეა შეპყრობილი საკუთრების ფლობით, რომ ინგლისურ კანონმდებლობას საკუთრების შელახვაზე დიდი დანაშაული არა ეგულება რა. მას

უფრო მკაცრად განსჯის, ვიდრე პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულს. საკუთრება აქ დღემდე რჩება სრული მოქალაქეობის საზომად.

ფულისთვის შრომაც დიდად ამცირებს და თრგუნავს კაცს. ჩვენს დროში საკუთრებით მოიხვეჭს სახელი, პატივი, ტიტულები და მრავალი სასიამოვნო რამ. მაშრავასაკირია, თუ ადამიანი, რომელიც ბუნებით პატივ-მოყვარეა, მიზნად ისახავდეს ქონების და-გროვებას?

ამიტომაც განაგრძობს იგი გულის გამან-ყალებლად და მოსაწყენად მის გროვებას; მას მერეც, რაც მოიხვეჭა გაცილებით მეტი, ვიდრე სურდა; უფრო მეტიც, ვიდრე სჭირდება ცხოვრებით ტკბობისთვის; ხშირად კი იმაზე მეტიც, ვიდრე ოდესმე უოცნებია. ადამიანი მზადაა სულიც კი დალიოს მეტისმეტი შრომისგან, ოღონდაც გაინაღდოს საკუთრება. არც არავის უკვირს ეს, იმდენ უპირატესობას იძლევა საკუთრება ცხოვრებაში.

დიდად გულსატკენია, რომ ასე უკულმარ-თად მოწყობილა საზოგადოება. ადამიანი იძულებულია შეეკედლოს ბუნაგს, სადაც არ ძალუდს თავისუფლად განავითაროს თავის თავში ყოველივე საუკეთესო, საუცხოო, მო-მხიბვლელი, დიდებული; სადაც ის ვერა გრძნობს ნამდვილ ტკბობასა და სიხარულს.

ერთიცაა: მოცემულ პირობებში ის სრუ-ლიად ბედის ანაბარაა. ვინმე მდიდარი ვაჭარი მუდამ იმ გარემოებებზე ჰყიდია, რაზედაც ხელი არ მიუწვდება. მხოლოდ იმის გამო, რომ ქარი სხვა, არასასურველი მხრი-დან დაუბერავს ან ამინდი უცაბედად შეიცვ-ლება, მისი ხმალი შეიძლება ქვესკნელში დაინთქას, ხოლო საქმენი მისნი უსაშველოდ აირიოს. ამით ის გაკოტრდება და დაკარგავს მთელ თავის საზოგადოებრივ მდგომარე-ობას.

არადა არაფერს არ უნდა შეეძლოს ადამი-ანისთვის ვნების მოტანა, თვით მის გარდა. ადამიანის კეთილდღეობა არ უნდა ეკიდოს გარემოებებზე. ადამიანი ნამდვილად მხ-ოლოდ იმას ფლობს, რაც თვით მასშია. ხოლო რაც გარეთაა, ფრიად უმნიშვნელოა.

კერძო საკუთრების მოშლა ნამდვილ, მშ-ვენიერ, ჯანსაღ ინდივიდუალიზმის მოვიტანდა. აღარავინ გაიფუჭებს ცხოვრე-ბას ნივთებისა და მათი სიმბოლოების

გროვებით. მხოლოდ იცხოვრებენ! ცხოვრე-ბაზე მშვენიერი არაფერია. ადამიანთა უმე-ტესი ნაწილი კი მხოლოდ არსებობს<sup>11</sup>. ესაა და ეს.

### 3

ესეც ვიკითხოთ: გვინახავს კი ოდესმე პიროვნების სრული მოფენა შემოქმედების ფარგლებს გარეთ? — არა, არასოდეს!

ცეზარიო, ამბობს **მომზენი**<sup>12</sup>, იყო ნამდ-ვილი, სრული ადამიანი.

კი, ბატონო, მაგრამ რაოდენ არაუზრუნ-ველყოფილი ბრძანდებოდა ეს ცეზარი! სა-დაც ხელისუფალია, იქვეა მუდამ ხელისუ-ფლების მტერიც. ძალიან სრულყოფილი იყო ცეზარი, მაგრამ მეტისმეტად ფათერაკიანი გზებით ვიდოდა მისი სრულყოფილება.

მარქუს ავრელიუსიც სრულებრივი კაცი გახლდათო, იტყვის **რენანი**<sup>13</sup>.

ვეთანხმები, დიდი იმპერატორი ამავე დროს სრულყოფილი კაცი იყო. მაგრამ რაოდენ აუტანელი იყო ის დაუსრულებელი მოთხოვნები, მას რომ უყენებდნენ? ო, როგორ ირყეოდა იგი ძალაუფლების უღე-ლევეშ! მას ესმოდა, თუ რა ძნელია ამ უზარმაზარი და თვალუწვდენელი ქვეყ-ნების ზიდვა ერთი კაცისთვის.

მე სრულყოფილ ადამიანად ის მიცვნია, ვინც სრულყოფილ პირობებში ვითარდება; ვინც არ დაჭრილა, არ იტანჯება, არ დამახ-ინჯებულა, საფრთხე არ ემუქრება. ადამი-ანთა უმეტესი ნაწილი იძულებულია სულ ბრძოლოს. ის სანახევროდ ამ ბრძოლაში იფიტება.

ბაირონის პიროვნება, სიტყვაზე, საშინ-ლად დაქანცა ბრძოლამ ინგლისელთა სიბრიყვესთან, მუზმუზელობასთან და თვალთმაქცობასთან. ასეთი ბრძოლა ყოველთვის როდი აკაუებს ადამიანს. ის ხშირად ასუსტებს ხოლმე. ამიტომ თვით ბაირონმაც კი ვერ მოგვცა ის, რაც შეეძლო მოეცა.

შელლიმაც ბაირონივით სასწრაფოდ გა-უტია ინგლისიდან. მას იმან უშველა, რომ არ ყოფილა ბაირონივით ცნობილი. საბედნი-ეროდ, ინგლისელებს ნარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, თუ რამხელა პოეტი იყო შელლი. ეს რომ არა, ისე ჩაფინდებოდნენ კბილები-თა და ბრჭყალებით, რომ სულს ამოხდიდნენ.

მაგრამ ის არ ყოფილა მეთქი გამოკვე-თილი ფიგურა საზოგადოებაში, რის გამოც, ნაწილობრივ, ასცდა სასჯელი. და მაინც: ამბობის ნაპერნეკალი ბაირონისაზე არანაკ-ლებ იელვებს შელლის ლექსში.

მე კი მოგახსენებთ, რომ არა ჯანყი, არამედ სიმშევიდეა სისრულის ნიშანი<sup>14</sup>. ო, რა მშვენიერი იქნება ნამდვილი ადამიანი, როცა ვიზილავთ მას! ის იყვავილებს პუნქტივად და უბრალოდ, ვითარცა ყვავილი ან ხე. განხევთქილება უცხო ხილი იქნება მისთვის. არა-სოდეს შეეცდება იგი კამათსა და დარწმუნებას. არ მოჰყება დასაბუთებას, ყველაფერი ეცოდინება რაკი.

და მაინც: არაფერში დასჭირდება მას ცოდნა, სიბრძნე ეყვარება ოდენ. ის არ გაიზომება ნივთიერი დოკლათით. არაფერი ექნება და მაინც ყველაფერი ექნება მას. ხოლო თუკი წარმომევენ რაიმეს, მაინც ბევრი დარჩება; იმდენად მდიდარი იქნება იგი.

სხვებს დაანებებს თავს და არ მოითხოვს, რომ სხვები ჰგავდნენ მას. ყველა ეყვარება, რაღაც ყველანი სხვადასხვანაირნი იქნებიან. თავს კი დაანებებს მეტეს სხვებს, მაგრამ ყველას დაეხმარება. აკი ყოველი მშვენიერი გვშველის ხოლმე. უბრალოდ, იმიტომ, რომ ის ასეთია. მშვენიერი იქნება ადამიანი, ბავშვივით მშვენიერა!<sup>15</sup>

#### 4

ადამიანის განვითარებას ქრისტეს სარწმუნოებაც შეენევა, თუ ადამიანები მოისურვებენ ამას. ხოლო თუ არ მოისურვებენ, უმისოდაც იოლად გავლენ. ადამიანი მაინც განვითარდება.

მას არ შეაშფოთებს წარსული. ის არ შეინუხებს თავს ფიქრით: მართლა მოხდა ესა და ეს, თუ არ მომხდარა? არც კანონებს დაგიდევს რომელიმეს, გარდა თავისი საკუთარი კანონებისა. ავტორიტეტიც თვითონვე იქნება თავისი თავისთვის. მაგრამ ეყვარება ყველა, ვინც ძალა შეჰმატა. ხშირად გაიხსენებს მათ. მათგან ერთერთი კი ქრისტე იქნება უთუოდ.

„შეიცან თავი შენი!“ — ასე ენერა ძველი მსოფლიოს კარიბჭეზე. ახალი მსოფლიოს კარიბჭეზე სხვა რამ ეწერება: „იყავ ის, რაც ხარ!“. ქრისტეც ხომ ამ მარტივ მცნებას ასწავლიდა? ქრისტეს საიდუმლოც ესაა.<sup>16</sup>

როცა იესო ლაპარაკობდა დატაკებზე, უბრალოდ, ადამიანებს გულისხმობდა. ხოლო როცა მდიდრებზე ლაპარაკობდა, ის გულისხმობდა სულ სხვას — ადამიანებს, რომლებსაც არ განუვითარებიათ თავიანთი ინდივიდუალობა.

იესოც ჩვენსავით ნივთებით მოჯადოებულ საზოგადოებაში ცხოვრობდა. მისი ნაქადაგები სახარება სულაც არ მოუწოდება ცუდი, არაჯანსაღი კვებისკენ, დაკონკ-

ილი ჩაცმისკენ, საძაგელ პირობებში ცხოვრებისკენ. ის სრულიადაც არ კრძალავდა ჯანსაღ, სასიამოვნო, წესიერ პირობებში ცხოვრებას.

ასე არ ფიქრობდნენ იმ დროს იქ, იუდეაში. მით უფრო არ ფიქრობენ ასე ახლა აქ, ინგლისში. ჩრდილოეთისკენ უფრო ჭირს ცხოვრების ნივთიერი მოწყობა. ჩვენი საზოგადოება წარმოუდგენლად უფრო რთულია და გაცილებით მეტ უკიდურესობებს ამჟღავნებს ფუფუნებაშიც და სიღატაკეშიც, ვიდრე ძველი მსოფლიოს ნებისმიერი საზოგადოება.

იესომ უთხრა ადამიანს: „შენ მშვენიერი ხარ. განივითარე თავი. იყავ, რაცა ხარ. ნუ გგონია, რომ მოხვეჭა ან გარეგან სიკეთეთა დაუფლება გიშველის. შენი ლირსება შენშივეა. ოღონდ კი მიაგნო მას და შენ აღარ ისურვებ სიმდიდრეს. ნებისმიერ მდიდარს გაძარცვავენ, ნამდვილად მდიდარს კი — ვერა. შენი სულის საგანძურში უძვირფასე-სი განძებია, რასაც ვერავინ წაგარმევს. შეეცადე შენი ცხოვრება ისე ააგო, რომ ვერანაირმა გარეშე ძალამ ვერა დაგაკლოს რა. ასევე შეეცადე იხსნა თავი საკუთრებისგან. ის თავს გიკრავს მდაბალ საზრუნავებში, დაუსრულებელ ჭაპანნცყვეტაში, განუწყვეტელ უსამართლობაში. საკუთრება ყოველ ნაბიჯზე აფერებს ინდივიდუალიზმს.“

იესოს არასოდეს უთქვამს, თითქოს ღარიბები უთუოდ კარგები არიან, ხოლო მდიდრები — მაინცდამაინც ცუდნი<sup>17</sup>. ეს არ იქნებოდა მართალი. მდიდართა ფენა, პირიქით, უფრო ზნესრული, განათლებული და წესიერია. საზოგადოებაში მხოლოდ ერთი კლასი ფიქრობს დღენიადაგ ფულზე. ეს ღარიბებია. მათ არც შეუძლიათ სხვა რამებზე იფიქრონ. სიღარიბე ამითაა დაწყევლილი.

იესო გვასწავლის: ადამიანი სისრულეს აღწევს არა იმით, რაც აქვს; ასე განსაჯეთ, არც იმით, რასაც იქმს. არა, ის სისრულეს აღწევს მხოლოდ იმით, რაც არის.

აი იესოსთან მოდის მდიდარი ახალგაზრდა, ყოვლად წესიერი მოქალაქე, ვისაც არ დაურღვევია თავისი ქვეყნის არცერთი კანონი და თავისი რჯულის არცერთი მცნება. მას სავსებით ეუუთვნის პატივისცემა, ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით.

იესო კი ეუბნება მას: „უარჲყვავ საკუთრება. ის ხელს გიშლის სრულქმნაში, გამუხრუჭებს, ფეხებში გებლანდება. არ სჭირდება მეტეის შენს პიროვნებას. მხოლოდ შენშივე და არა სადმე სხვაგან პპოვებ იმას, რაც ნამდვილად ხარ და რასაც ნამდვილად ექებ.“

თავის მეგობრებსაც იმასვე ასწავლის: „იყავით, რანიცა ხართ და არასოდეს შეინუხოთ თავი გარეგან სიკეთეთა გამო. რაღაა ადამიანისთვის გარეგანი სიკეთე? ადამიანი თავადაა სრულყოფილება. ასეთი მცნებით ხალხში რომ გახვალთ, დიდ წინააღმდეგობებს წააწყდებით. ამას წყალი არ გაუვა. ქვეყანას სძულს ინდივიდუალიზმი. მაგრამ ამან არ უნდა შეგაკრთოთ. მშვიდად იყავით და გაქვითკირდით საკუთარ თავში. მოსასხამს წაგარომევნე? თქვენ პერანგიც გაატანეთ. ამით აჩვენებთ, რომ ნივთები არად გილირთ. შეურაცხყოფას მოგაყენებუნე? იმითვე ნუკი გადაუხდით. აკი ადამიანთა ნათქვამი არ ცვლის ადამიანს. ის რჩება იმად, რაც არის. საზოგადოების აზრი არაფერს ნიშნავს. თუნდაც რომ ძალა იხმარონ თქვენზე, ძალითვე ნუ უპასუხებთ. თავს ნუ გაუყადრებთ მოძალადეს. ადამიანი ფრიად იდუმალი ქმნილება. ის არასოდეს გაიზომება თავისი ქცევით. ის შეიძლება იცავდეს კანონს და იყოს კი არამზადა. ხოლო შეიძლება არღვევდეს მას, მაგრამ იყოს მშვენიერი. ის შეიძლება იყოს ცუდი, როცა ცუდს არაფერს სჩადის. შეიძლება სცოდავდეს საზოგადოების მიმართ და სწორედ ამით თავის ღირსებას ამჟღავნებდეს.“

ერთ ქალს წაასწრეს მრუშობაზე. ჩვენთვის უცნობია მისი სიყვარულის ამბავი. მაგრამ ეს სიყვარული ძლიერი უნდა ყოფილიყო, რადგან იესომ თქვა: „ცოდვები ეპატია არა იმისთვის, რომ მოინანია, არამედ იმის გამო, რომ მისი ტრფობა ესოდენ ძლიერი და მშვენიერია!“

მერე იესოს სიკედილამდე ცოტათი ადრე, ეს ქალი სადღესასწაულო თავყრილობაზე ეახლა მას და ძვირფასი ნელსაცხებლები აპკურა თმაზე. იესოს მეგობრებმა უსაყვედურეს ქალს, მფლანგველობაა ეს; ამ ნელსაცხებლებზე დახარჯული ფულით გაჭირვებულთ დაეხმარებოდიო.

იესო არ დაეთანხმა ამ მოსაზრებას. მან შენიშნა, რომ ადამიანთა ნივთიერი მოთხოვნილებანი დიდია და აღუვსებელი, მაგრამ მათი სულიერი შეჭირვებანი ბევრად უფრო საჭიროობოა და ერთ მშვენიერ, ღვთაებრივ წამში პიროვნება შეიძლება სრულიად განინმინდოს.

ქვეყნიერება დღემდე ეთაყვანება იმ ქალს, ვითარცა წმინდანს.

ინდივიდუალიზმისთვის უცხოა ჩვენებური ოჯახი და ქორწინება, რაკი ისინი პიროვნებაზე მაღლა დგებიან და თავის უფლებას უზღუდავენ მას. იესოს დიდებულად ეს-

მოდა ეს. მან უარჲყო ოჯახის უფლებები პიროვნების მიმართ. „ვინაა დედაჩემი? ვინაა ჩემი ძმები?“ — იკითხა მან, როცა მოახსენეს მათი მოსვლის ამბავი.

ერთ-ერთმა მონაფემ სთხოვა გაეშვა მამის დასასაფლავებლად. „დაე მკვდრებმა დამარხონ მკვდრები!“ — იყო შემზარვი პასუხი. ის არ სცნობდა არავის უფლებებს პიროვნების მიმართ.

მაშ ასე: ქრისტეს რომ დავემსგავსოთ, სრულიად უნდა ვიქცეთ იმად, რაც ვართ. ადამიანი შეიძლება იყოს დიდი პოეტი ან დიდი მეცნიერი, უნივერსიტეტის ჭაბუკი სტუდენტი ან სოფლელი მწყემსი, შექსპირისოდენა დრამატურგი ან სპინოზასხელა ღვთისმეტყველი, კონდარზე მოთამაშე ბავშვი ან ტბის მებადური. სულერთია, ვინ არის იგი, ოლონდ კი სრულპოფდეს თავის თავს, საკუთარ სულს.

## 5

ცუდია მიბაძვა ყოველი — გინდა ზნეობაში, გინდა ცხოვრებაში.

იერუსალიმის ქუჩებში დღესაც დადის ერთი შერეკილი და მხრებით ეზიდება ხის მძიმე ჯვარს. ის მიბაძვით დაუშნოებული ცხოვრების სიმბოლოა.

მამა დამიანე ბაძავდა ქრისტეს და სტუმრობდა კეთოვანებს. ამგვარი მსახურება გამოხატავდა ყოველივეს, რაც კი საუკეთესო იყო მასში. მაგრამ ის უფრო ახლოს როდი იყო ქრისტესთან, ვიდრე ვაგნერი, ვინც თავისი სული აღბეჭდა მუსიკაში; ან შელლი, ვინც სული თავისი ლექსად აქცია.

ადამიანები როდი უნდა იყვნენ ერთნაირნი. სრულყოფილება იმდენივეა, რამდენიც — არასრულყოფილი ადამიანი. სანამ ადამიანი ემორჩილება ქველმოქმედების მოთხოვნებს, ის ჯერ კიდევ შეიძლება რჩებოდეს თავის უფალ პიროვნებად. მაგრამ ვინც ერთფეროვნების მოთხოვნებს ემორჩილება, მას მოქრილი აქვს გზა თავის უფლებისკენ.

ასეა, კერძო საკუთრების უარყოფით ჩვენ მივაღწევთ ინდივიდუალიზმს. ამას ბუნებრივად მოჰყვება სახელმწიფოს უარყოფა. სწორად ბრძანა ერთმა ბრძენმა, ქრისტემდე რამდენიმე საუკუნით ადრე: ბუნებრივია თავის თავს მინდობილი საზოგადოება, მაგრამ ვინმესგან მართული საზოგადოება კი აუტანელია. დიახ, მმართველობის ყოველგვარი ფორმა ნაკლოვანია.

დესპოტიზმი უსამართლობაა ყველას მიმართ; მათ შორის, თვით დესპოტის მიმართაც. იქნებ ეს დესპოტი რაღაც უკეთესისთვის

იყო მოწოდებული? ოლიგარქია უსამართლოა უმრავლესობის მიმართ, ოხლოკრატია — ზოგიერთების მიმართ.

დიდ იმედებს ამყარებდნენ დემოკრატიაზე. მაგრამ დემოკრატია, უბრალოდ, ნიშნავს ხალხის მიერ ხალხის მართვას ხალხის სახელით; თანაც — ხელკეტით.

ყოველგვარი ძალაუფლება დამამცირებელია. ის ამცირებს იმასაც, ვის მიმართაც იყენებენ მას, და იმასაც, ვინც იყენებს მას. როცა მას იყენებენ მოძალადურად, უხეშად და სასტიკად, ეს კარგია; აღშფოთდებიან ადამიანები და გაღვივდება ინდივიდუალიზმი — ძალაუფლების მესაფლავე ნამდვილი<sup>18</sup>.

როცა მას იყენებენ შედარებით რბილად და ჯილდოების თანხლებით, ეს რყვნის ქვეყანას. ამ დროს ხალხი ვერ აცნობიერებს უღლის სიმძიმეს და ცხოვრობს მდაბალ კეთილდღეობაში. ის მოშინაურებულ ცხოველივითაა, რომელსაც ეფერებიან. მას ვერ შეუგნია, რომ ცხოვრობს სხვისი აზრებით, სხვის მსგავსად; აცვია, როგორც იტყვიან, სხვისი გამონაცვალი და არასოდეს არაა ის, რაც თვითონაა; არცერთი წუთით!

„ვისაც სურს იყოს თავისუფალი, — ბრძანა ერთმა მოაზროვნემ, — არ უნდა დაემსაგავსოს სხვას!“ ხელისუფლება კი იაფად მოისყიდის ხოლმე ხალხს და ცდილობს ნასუქალ პირუტყვად მის გადაქცევას.

ხელისუფლებას თან მიჰყვება დასჯაც. ეს იქნება უზარმაზარი მოგება, რაიც ძნელია გადაჭარებით შეაფასო. როცა კითხულობ ისტორიას, — ბავშვებისთვის შელამაზებულს კი არა, არამედ ნამდვილს, პირველწყაროში, — ბოროტმოქმედთა დანაშაულზე მეტად მათი სასტიკი დასჯა აღგაშფოთებს. კანონიერი დასჯა ბევრად უფრო ვნებს საქმეს, ვიდრე შემთხვევითი ბოროტმოქმედებანი.<sup>19</sup>

დასჯა ამრავლებს დანაშაულს.<sup>20</sup> უახლეს კანონმდებლობებში ეს გაითვალისწინეს და სასჯელის შემცირება გადაწყვიტეს, რამდენადც კი შესაძლებელია.

მართლაც, ყველაზნ, სადაც კი შემცირდა დასჯა, დადებითმა შედეგებმაც არ დააყოვნა. ნაკლებია დასჯა, ნაკლებია დანაშაული! როცა სულ აღარ იქნება დასჯა, დანაშაულიც მთლად აღიკვეთება. ხოლო თუ სადმე შემორჩება, მას ექიმები განიხილავენ, ვითარცა შეშლილობის სამწუხაო შემთხვევას; შეშლილობისა, რასაც მზრუნველობითა და გულისხმიერებით უნდა ვუზამლოთ.

ვისაც ჩვენს დროში დამნაშავეებად

რაცხენ, სულაც არ არიან დამნაშავენი. თანამედროვე დანაშაულის მამა შიმშილია და არა ბოროტება. კაცმა რომ თქვას, სწორედ ესაა მიზეზი, რომ ჩვენი დამნაშავეები სულაც არ არიან მიმზიდველნი ფსიქოლოგურად. არც საოცარი მაკეტებია ისინი და არც საშიში ვოტრენები. ისინი ჩვეულებრივი, წესიერი, ბანალური ადამიანებია,<sup>21</sup> ოღონდ ულუკმაპუროდ დარჩენილნი. მოისპობა კერძო საკუთრება და მას თან მიჰყვება გაჭირვებაც და დანაშაულებრივი ზრახვებიც. აღიკვეთება მეთქი დანაშაული.

რაღას იზამს სახელმწიფო, როცა მართვას დაანებებს თავს? ის გადაიქცევა თავისუფალ გაერთიანებად, რაიც მოაწესრიგებს შრომას; დაამზადებს და გაანაწილებს აუცილებელ ნივთებს. სახელმწიფო გააკეთებს იმას, რაც სასარგებლოა, ინდივიდი კი იმას, რაც მშვენიერია.

## 6

დღეს მრავალ სისულელეს გაიგონებ ხელით შრომის უპირატესობაზე. ნამდვილად კი მასში არაფერია ღირსეული და მისი უმეტესი ნაწილი სრულიად დამამცირებელია. ადამიანს ამცირებს მისთვის უსიამოვნო საქმის კეთება. ხელით შრომა კი, უმეტესად, ასეთია. სხვა რაღა უნდა დაერქეას ქუჩის ხევტას დღემირვასათო, როცა აღმოსავლეთის ქარი ჰქრის? საშინელებაა ხვეტავდე და გიხაროდეს. ადამიანი ცოტა უკეთესისთვისაა შექმნილი.<sup>22</sup> ასეთ სამუშაოს კი მანქანა უნდა ასრულებდეს.

ყოველ ერთფეროვან და მოსაწყენ სამუშაოს მანქანა უნდა ასრულებდეს მეთქი. დღეს მანქანა ადამიანს ეჯიბრება და ამარცხებს კიდეც. ბუნებრივ პირობებში კი მანქანა მოემსახურება ადამიანს. ეჭვი არ მეპარება, რომ სწორედ ესაა მანქანის მომავალი.

ხეები მაშინ იზრდებიან, როცა მებაღეს სძინავს. ასე იქნება ცხოვრებაშიც. უღიმღამო საქმეებს მანქანა შეასრულებს, ხოლო ადამიანები იმხარულებენ და ცხოვრებით დატებებიან.<sup>23</sup> ადამიანის დანიშნულება ესაა და არა შრომა. ის უნდა ჰქმნიდეს ან კითხულობდეს მშვენიერ ნანარმოებს ან, უბრალოდ, უჭვრეტდეს ბუნებას აღტაცებითა და სიხარულით.

ცნობილია, რომ ცივილიზაციას მონები სჭირდება. ბერძნები არ ცდებოდნენ ამ მხრივ. თუ ბინძური, საძაგელი და მოსაწყენი სამუშაოების შესასრულებლად მონები არაა, მაშინ აზროვნება და კულტურა

სრულიად შეუძლებელი გახდება.

მაგრამ ადამიანის მონობა უზნეობაა. მეტიც, მონას ვერ დაენდობი, გილალატებს. მომავალი მექანიკურ მონობას, მანქანების მონობას ეკუთვნის. როცა მეცნიერებს აღარ გაგზავნიან East end-ში, მათვის საძაგლი კაკაოსა და ცუდი საბნების დასარიგებლად, მათ ექნებათ თავისუფალი დრო საოცარი და მშვენიერი საგნების შესაქმნელად. ამით თვითონაც გაიხარებენ და სხვებსაც გაახარებენ. ყოველ ქალაქში, ყოველ სახლში იქნება ძალის დიდი მარაგი. ადამიანი, საჭიროებისამებრ, გარდაქმნის ამ ძალას სითბოდ, სინათლედ, მოსახმარად.

ეს უტოპიაო, გვეტყვიან.

ვუპასუხებ: მსოფლიოს გეოგრაფიული რუქა, რომელზეც უტოპა არაა აღნიშნული, თვალის შევლების ლირსიც არაა. მასზე სწორედ ის ერთადერთი ქვეყანა გამორჩენილი, რისკენაც ილტვოდა კაცთა მოდგმა გაჩერინის დღიდან. როცა კაცობრიობა გადასხდება მასზე, მერე კიდევ უკეთესს შენიშნავს და კვლავ აუშვებს ძლევამოსილ აფრებს!

პროგრესი უტოპიების განხორციელებაა, სხვა კი არაფერი.

## 7

სხვისთვის მუშაობით კაცი საკუთარ თავს ვერ განავითარებს. ამიტომაც ვერც ვერაფერს შეჰქმნის.

თუ საზოგადოება, ან მისი ძალოვანი ნაწილი, ან რომელიც გნებავთ ხელისუფლება, შეცდება დაუნესოს ხელოვანს მისი საკეთებელი, ხელოვნება საგსებით დაიღუპება, ან უხეშ და მდაბალ ხელოსნობად გადაგვარდება.

ხელოვნების ქმნილება ინდივიდუალობის შედეგია. მისი მშვენიერების წყარო ერთადერთია: ავტორი ისეთია, როგორიც არის. მას არაფერი ესაქმება იმასთან, თუ რა სურთ სხვებს.<sup>24</sup>

იმ წამიდან, როცა ხელოვანი იწყებს სხვათა სურვილებისთვის ანგარიშის გაწევას და ცდილობს მოერგოს მათ, ის აღარაა ხელოვანი. ის უკვე მოსაწყენი და გასართობი ხელოსანია; პატიოსანი ან ცბიერი ვაჭარია. მას აღარა აქვს უფლება ერქვას ხელოვანი. ხელოვნება ინდივიდუალიზმის ყველაზე ელვარე ფორმაა, რასაც კი იცნობს კაცობრიობა.

საზოგადოება ცდილობს ზემოდან შეხედოს ხელოვნების ნანარმოებს. უზნეოცაა ეს და სასაცილოც. მაგრამ რა გაეწყობა, სა-

ზოგადოება ყველა დროში ცუდად იყო აღზრდილი. ის ყოველთვის პოპულარობას ითხოვდა ხელოვნებისგან. უკანასკნელს მისი უგემოვნობა და ბრიყვული პატივმოყვარეობა უნდა დაეკმაყოფილებინა; მოეთხოო მისთვის ის, რაც მანამდეც სმენია; ეჩვენებინა ის, რისი ყურებაც უკვე მობეზრდა; გაერთო იგი, როცა ზედმეტი ჭამისგან მოთენთილია, და გაეფანტა მისი აზრები, როცა ის გადაიღალა თავისივე სიბრიყისან.

მაგრამ ხელოვნება არასდროს არ უნდა ცდილობდეს პოპულარობას. პირიქით, საზოგადოება უნდა ცდილობდეს გახდეს მხატვრული. აქ დიდი განსხვავებაა. მეცნიერისთვის რომ ეთქვათ, შენი ცდების შედეგები და მიღებული დასკვნები არ უნდა ცვლიდეს გავრცელებულ წარმოდგენებს, ხალხურ ცრურნებებს; ფილოსოფოსისთვის რომ ეთქვათ: გადაწვდი, ბატონო, აზრის უმაღლეს სამანებს, მაგრამ კეთილი ინებე და ის დასკვნები მიიღე, რასაც უბირი და ყოვლად უაზრო ადამიანები იცავენო, მეცნიერიც და ფილოსოფოსიც ღიმილისგან ხომ ვერ შეიკავებდნენ თავს?

დიდი ხანი არაა, რაც ჩვენ გამოსვლა დავიწყეთ პუბლიკის, ეკლესისა და მთავრობის წესიდან. ისინი ძველებურად ველარ ერევიან ჭვრეტისა და აზროვნების ინდივიდუალობაში. მაგრამ ეს უღელი ჯერ კიდევ გვაწვება. მეტიც, თავს გვაბეზრებს, შეურაცხევყოფს და გვამწარებს.

ინგლისში ხელოვნების ის დარგები ჰყვავის ხოლმე, რომლებსაც საზოგადოება არ ეტანება. ამის მაგალითი პოეზიაა. ინგლისელებს მშვენიერი პოეზია პქონდათ იმიტომ, რომ ხალხი მას არ კითხულობდა და, მაშასადამე, ვერც ექნებოდა მასზე რაიმე ზეგავლენა. საზოგადოებას პოეტების შეურაცხევყოფა უყვარს, რადგან პოეტები ინდივიდუალური ხალხია. ოღონდ შეურაცხევოს, მერე კი ანებებს თავს.

რომანი და დრამა ჩვენში გაცილებით მეტად აინტერესებთ. ამიტომ შედეგმაც არ დააყვნა: არცერთ ქვეყანას არა აქვს ისეთი ცუდი რომანი, ისეთი ბრიყვული და უხასი პიესები, როგორიც ინგლისს.

სხვაგვარად არც იქნებოდა. პუბლიკის იდეალი ისეთია, რომ ვერცერთი ჭკუათმყოფელი ხელოვანი მას ვერ გაჰყვება. ძალიან ადვილიცად და იმავდროულად ძალიან ძნელიც პოპულარულ რომანისტად ყოფნა.

ადვილია იმიტომ, რომ პუბლიკის მოხვენები ერთობ შეზღუდულია. მათი დაკმაყ-

ოფიციალური შეუძლია სრულიად საშუალო ნიჭის და უკიდურესად უკულტურო გონიერას. ძნელი კი იმიტომა, რომ ასეთი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მწერალმა ძალა უნდა დაატანოს თავის ტემპერამენტს; უნდა წეროს არტისტული ტკბობისთვის კი არა, არამედ გაუნათლებელი ხალხის გასართობად.

მაშასადამე, მან უნდა ჩატკლას თავისი ინდივიდუალობა, დაივიწყოს თავისი კულტურა, მოსპოს თავისი სტილი და უპატრონოდ მიაგდოს ყოველივე კარგი, რაც უბოძებია მისთვის ბუნებას.

ერთი სიტყვით, პოპულარულ მწერლად ყოფნა ერთობ ადვილია საშუალო ნიჭის მწერლისთვის, მაგრამ ძალიან ძნელია სიტყვის ნამდვილი ოსტატისთვის.

დრამის საქმე შედარებით უკეთაა. თეატრის პუბლიკას, მართალია, გასაგები ამბები უყვარს, მაგრამ სამაგიეროდ არ უყვარს მოსაწყენირამ. ფარსი და კომედია ყველაზე პოპულარულია სცენურ ქმნილებებს შორის, რადგან ისინი ყველაზე გასაგებია.

პუბლიკა განსაკუთრებით სიახლეს მტრობს.<sup>25</sup> ხელოვნების შინაარსის გაფართოებას ის ვერ იტანს. არადა ხელოვნების განვითარების ერთადერთი გზა ესაა. არ უყვარს მეთქი პუბლიკას სიახლე იმიტომ, რომ ეშინია მისი. აქ მას აღიზიანებს ინდივიდუალიზმი — ხელოვანი თვითონ ირჩევს სიუჟეტს და ისე განმარტავს მას, როგორც სურს.

ამაში პუბლიკა თავისებურად მართალია. ხელოვნება ინდივიდუალიზმის მწვერვალია; ხოლო ინდივიდუალიზმი შექმნები კი არა, დამანგრეველი ძალაა. სწორედაც ესაა მისი წარუვალი ლირსება. ის ანგრევს ტიპის ერთფეროვნებას, ჩვევის ტირანიას და ამით წინ ელობება ადამიანის გადაქცევას მანქანად.

პუბლიკა სიამოვნებით იღებს უკვე ცნობილს, რადგან არ ძალუდს მისი შეცვლა; ოღონდ არა იმიტომ, რომ ძალიან აფასებს მას. ის მთლიანად უღებს გულის კარს თავის კლასიკოსებს და არასოდეს აფასებს მათ. ის აღიარებს მათ, ვითარცა ერთგარ გარდუვალობას; ხოლო რაკი ვერაფერს უხერხებს, ისლა დარჩენია გაპყვიროდეს მათ შესახებ.

არ ვიცი, უცნაურია ეს თუ არა, მაგრამ კლასიკოსების ასეთი აღიარება დიდად საზიანო რამ გახლავთ. ვგულისხმობ ბიბლიისა და შექსპირის ყოვლად უკრიტიკო აღიარებას ინგლისში. რაც ეხება ბიბლიას, ამ საქმეში ეკლესიის ავტორიტეტია გარეული. ასე რომ, აქ ყველაფერი მზესავით ნათელია.

შექსპირის გამო კი დაბეჯითებით უნდა ითქვას: პუბლიკას მისი ქმნილებების არც ღირსება გაეგება, არც ნაკლოვანება. ღირსება რომ ესმოდეს, დრამის განვითარებას წინ არ აღუდგებოდა. ნაკლი რომ ესმოდეს, მით უმეტეს, მიემხრობოდა დრამის განვითარებას.

ფაქტი კი ერთია: პუბლიკა კლასიკოსებს ყველგან და ყოველთვის ხელოვნების დასამუხრუჭებლად იყენებს. ის შეურაცხვეტყოფს კლასიკოსებს ავტორიტეტად მათი გადაქცევით. ის იყენებს ავტორიტეტს ხელებტად, რათა დააფრთხოს ხელოვანთა ახალი თაობები და ხელი შეუშალოს სილამაზის თავისუფალ და ნაირ-ნაირ გამოხატვას.<sup>26</sup>

პუბლიკა ეკითხება ხელოვანს, ამა და ამ მწერალივით რად არ დახატეო. ამა და ამ მხატვარივით რად არ დახატეო. ის კი არ იცის, რომ ასეთ შემთხვევაში ხელოვნებისგან არა დარჩებოდა რა. ახალი სილამაზე სძულს პუბლიკას. ის მწარდება, ჩიხში ექცევა და მაშინვე იშველიებს ორ ბრიყვულ გამოთქმას: „ეს გაუგებარია!“ და „ეს უზნეოა!“

ნეტა რას გულისხმობს?

როცა ამბობენ, რომ ნაწარმოები გაუგებარია, ეს ნიშნავს: ხელოვანმა შექმნა სრულიად ახალი რამ.

როცა ნაწარმოებს უზნეობად აცხადებენ, ეტყობა, ხელოვანმა შექმნა ღრმად მართალი რამ.

პირველ შემთხვევაში სტილი აღიზიანებთ, მეორეში — შინაარსი.

ამ სიტყვებს ისინი გაუცნობიერებლად, როყიოდ ისვრიან, ვითარცა აჯანყებული ბრბო — ქვებს. ამ საუკუნეში მე არ მეყულება არცერთი ნამდვილ პოეტი და მწერალი, ვისთვისაც ბრიტანულ პუბლიკას საზიმოდ არ მიერთმიოს უზნეობის ატესტატი. ეს ატესტატები ჩვენში წარმატებით ცვლის იმას, რასაც სათრანგეთში აკადემიის ფორმალური აღიარება ჰქვია. ამიტომ, საბედნიეროდ, ჩვენში, ინგლისში არაა საჭირო მსგავსი დაწესებულება.

ამ გამოთქმების გამოყენებისას ჩვენი პუბლიკა ძალიან ხშირად წინდაუხედავადაც იქცევა. თუ მან უორდსვორტს უზნეო პოეტი უწოდა, ეს ასეც იყო მოსალოდნელი — უორდსვორტი პოეტი იყო! მაგრამ როცა ის ჩარლზ კინგსლეის აცხადებს უზნეო მწერლად, ეს უკვე გაუგებრობაა — კინგსლეის პროზა არც ისე უზადო.

რა ვუყოთ, პუბლიკაც ცდება ხოლმე. ერთი აღილუია მღვდელსაც კი შეეშლება.

ნამდვილ ხელოვანს ყოველივე ეს ნაკლებად აწუხებს. მას სწამს მხოლოდ საკუთარი თავისი. ის ხომ სრულიად ისეთია, როგორიც არის. თუ ინგლისში ხელოვანმა შექმნა ნაწარმოები, რაიც მაშინვე სცნო პუბლიკამ გასაგებ და მაღალზნებრივ ნაწარმოებად, ეს ხელოვანი უნდა დაფიქტდეს: ჰქმნიდა თუ არა ამ ნაწარმოებს მართლა თვითონ? ან ხომ არაა ეს ნაწარმოები მისთვის სრულიად შეუფერებელი, მეორეხარისხოვანი, წყალწყალა?

კაცმა რომ თქვას, ხელოვანი ინგლისში რამდენადმე მოგებულიც კი რჩება იმით, რომ მას თავს ესხმიან. ამით კარგად იკვეთება მისი ინდივიდუალობა. მართალია, თავდასხმები ერთობ უხეში, თავხედური და ზიზღის ღირსია, მაგრამ აბა რა სინატიფეს უნდა ელოდე უხამსი გონებისგან და რომელ კარგ მანერებს — სოფლელისგან?

უხამსობა და სიბრივე თანამედროვეობის ორი შუქურ-ვარსკვლავია. გულსატკენია, აბა რა! მაგრამ ეს მაინც ასეა. ეს შესასწავლია, როგორც ყოველივე დანარჩენი. რად ღირს თუნდაც ის, რომ თანამედროვე უურნალისტები პირად ცხოვრებაში მუდამ ბოდიშ უხდინა მას, ვის წინააღმდეგაც პრესაში გაილაშქრეს.

## 8

ეს რამდენიმე წელია ხელოვნების სალანდლავ ლექსიკონს კიდევ ორი ზედსართავი მიემატა: „არაჯანსალი“ და „ეგზოტიკური“. უკანასკნელი გამოხატავს სოკოს მძვინვარებას უკვდავი, ნატიფი, მშვენიერი ორქიდეას წინააღმდეგ. სიტყვა „არაჯანსალი“ კი უფრო დაწვრილებით გარჩევას მოითხოვს. ეს საინტერესო სიტყვაა; იმდენად საინტერესო, რომ იმ ხალხმა, ვინც მას იყენებს, არც იცის მისი მნიშვნელობა.

ხელოვანის ნაწარმოები არაჯანსალია, თუ მისი სტილი გასაგები, ძველმოდური და უხამსია, ხოლო შინაარსი შერჩეულია მეტისმეტად ფრთხილად. ფრთხილადაა შერჩეული არა იმიტომ, რომ ხელოვანს სიამოვნებს ასე, არამედ იმიტომ, რომ პუბლიკას აწონებს თავს გამორჩენის მიზნით.

ამიტომ პოპულარული რომანი, რასაც პუბლიკა ჯანსალს უწოდებს, სრულიად არაჯანსალია. ხოლო პუბლიკის მიერ არაჯანსალად შერაცხული რომანი დიდი ყურადღების ღირსია. ეტყობა, ის სრულიად ჯანსალი ქმნილებაა.

მე არ მანუხებს ამ სიტყვების ბოროტად გამოყენება პუბლიკის მიერ. პუბლიკისთვის

ხელოვნება იმდენად უცხო ხილია, რომ სწორედაც საკვირველი იქნებოდა მის მიერ ამ სიტყვების სწორად გამოყენება.

ეს სრულიად მარტივად აიხსნება — ავტორიტეტის ბარბაროსული გაგებიდან. საზოგადოებას ავტორიტეტი რყვნის. ამიტომ მას არ ძალუს გაიგოს ან დააფასოს ინდივიდუალობა. ავტორიტეტს რომ ვამბობ, საზოგადოებრივ აზრს ვგულისხმობ — ამ ბებერ ურჩხულს. ის მიწივი შორსა დგას პატიოსნებისგან; მაშინაც, როცა ბოროტი თუ კეთილი განზრახვებით ცდილობს ხელოვანის მოქმედებაზე ზედამხედველობას, და მაშინაც, როცა ბოროტად განუზრახავს ხელოვნების თვით იდეის შეცვლა.

საზოგადოებრივ აზრს ისევ საზოგადოების ფიზიკური ძალადობა სჯობს. ეს ძალა ზოგჯერ სასარგებლო და ლამაზიც კია. საზოგადოების აზრი კი ნიადაგ ბრიყვულია. ხშირად იტყვიან, რომ ძალა საბუთი არაა. მაგრამ გააჩნია, რის დამტკიცებას ცდილობენ. ბოლო ასწლეულებში ძალიან ბევრი საკითხი გადაიჭრა საფრანგეთსა და ინგლისში შიშველი ძალადობით. თვით რევოლუციის სისასტიკეშიც კია რაღაც დიადი.

მაგრამ ერთ ავადსახსენებელ დღეს პუბლიკამ შენიშნა, რომ კალამს რიყის ქვაზე მეტი ძალა აქვს და მის მოხვედრას ისევ ის სჯობია, აგურის ნატეხი გითავაზონ. ეს საბედისწერო დღე იყო. საზოგადოება შეუჩნდა უურნალისტს, გაიცნო იგი, განავითარა მისი უნარები და აქცია თავის მოუღლელ მსახურად; მსახურად, ვისაც კარგად უხდიან.

სამწუხაროა ფრიად! ბარიკადებთან კეთილშობილება და სიმამაცე მოგხიბლავს ხშირად. მაგრამ რა ჰყორია ერთი იმ მონინავე სტატიაში სიყალბის, სიბრიყვის, თვალთმაქცობისა და ყბელობის გარდა? ჰოდა როცა ეს ოთხი მანკიერება ერთიანდება, იქმნება საშიში ძალა და ცხვება ახალი, საძაგელი ავტორიტეტი.

ძელიად ადამიანებს აწამებდნენ. ახლა მათ პრესას აწვდიან. ეს, ცხადია, წინ გადადგმული ნაბიჯია. მაგრამ სამაგიეროდ პრესა რყვნის. ვიღაცამ, თუ არ ვცდები, ბერკაზ<sup>27</sup>, პრესას მეოთხე ხელისუფლება დაარქვა. თავის დროზე ეს მიგნებულად იყო ნათქვამი. მაგრამ ახლა პრესა, ალბათ, ერთადერთი ხელისუფლებაა. მან გადაყლაპა დანარჩენი სამი.

მართლაც, ზედა პალატის ლორდები სდუმან. სულიერ ლორდებს აღარაფერი აქვთ სათქმელი. ქვედა პალატასაც იგივე

სჭირს, ოღონდ არ მალაგს ამას. ბურთი და მოედანი პრესას დარჩა. ის გვმართავს ჩვენ. ამერიკაში პრეზიდენტი ოთხი წელი მართავს, პრესა კი — მუდამ.

საბედნიეროდ, ამერიკაში პრესამ ბოლომდე გამოიჩინა თავი. ამას ბუნებრივად მოჰყვა აღშფოთება. ამიტომ მას ქველებური ძალა აღარ შემორჩა. ინგლისური პრესა კი უხეშობის ამგვარ ექსცესებამდე არ მისულა, ზოგიერთი საყოველთაოდ ცნობილი შემთხვევის გამოკლებით. ამიტომ ის რჩება ძლიერ იარაღად და თვალსაჩინო ძალად.<sup>28</sup> ჩვენი პუბლიკა გამოირჩევა დაურწყულებელი ცნობის მოყვარეობით: იცოდეს ყველაფერი, გარდა იმისა, რისი ცოდნაც მართლა ღირს. პრესამ ეს იცის და ვაჭრის ალლოთი აკმაყოფილებს პუბლიკის მოთხოვნილებას.

ძველად ხალხი უურნალისტებს ყურით აკრავდა ბოძებზე. ეს სისაძაგლი იყო. ჩვენს დომში უურნალისტებს სასახლის ჭუჭრუტანებზე აქვთ ყური მიდებული. ეს გაცილებით უარესია. არაა საჭირო მიაწოდო პუბლიკას კაცთა და ქალთა კერძო ცხოვრების ამბები. აქ პუბლიკას სრულიად არაფერი ესაქმება.

საფრანგეთში ეს საქმეები უკეთაა მოგვარებული. იქ უურნალისტებს ნებას არ რთავენ გამოაქვეყნონ სასამართლოში გარჩეული წვრილმანები და გაართონ ამით საზოგადოება. იქ ზღუდავენ უურნალისტს და სრულ თავისუფლებას აძლევენ მწერალს. ჩვენთან კი პირიქითაა: ვზღუდავთ ხელოვანს და სრულ თავისუფლებას ვაძლევთ უურნალისტს.

ინგლისური საზოგადოებრივი აზრი ცდილობს გზები შეუკრას მწერალს; უურნალისტს კი ნებას რთავს ილაქლაქოს ათასი უხამსობა. ასეა, ჩვენი უურნალისტები ყველაზე სერიოზულნი არიან დედამინის ზურგზე, ხოლო ჩვენი გაზიერები — ყველაზე უწესო.

ხელოვება უნდა ბატონობდეს მაყურებელზე და არა მაყურებელი ხელოვნებაზე. მაყურებელი ვნებითი მხარე უნდა იყოს; ვიოლინოს უნდა ჰგავდეს, რაზეც მსახიობი უკრავს. რაც უფრო მეტად დათრგუნავს იგი თავის ბრიყვულ აზრებს ხელოვნების მავნებლობის შესახებ, მით უფრო გაიგებს და დააფასებს ხელოვნების ნაწარმოებს.

ეს ეხება განათლებულ მაყურებელსაც. მისი აზრები ნარსულის ხელოვნებიდან ამოიზარდა. მაგრამ ახალი ხელოვნება სწორედ იმითია კარგი, რომ არა ჰგავს ნარსულის ხელოვნებას. მაშ როგორდა შეიძლება მისი გაზომვა ნარსულის ნიმუშით? ამით ხომ

სწორედ იმას დავიწუნებდით, რაც მას დასტურ ამშვენებს და ხელოვნების ნამდვილ ქმნილებად ხდის?

ნამდვილი ხელოვანი საერთოდ არ უწევს ანგარიშს პუბლიკას. მისთვის არც არსებობს პუბლიკა. მას არა აქვს ხაშხაში ან თაფლისკერები ურჩეულის დასაშოშმინებლად და მასთან სალოლიავოდ. ეს საქმე მას პოპულარულ უურნალისტისთვის მიუნდია. ის თავისი სიამოვნებისთვის წერს. არც როდის-მე იკითხავს, თუ რა სიამოვნებს პუბლიკას. ის მიაბიჯებს პირდაპირ, იმხნევებს თავს და ჰქმნის თავის ნაწარმოებს.

ასეთია ჩვენი ჯორჯ მერედითი.<sup>29</sup> თავიდან არავინ ეკარებოდა მას. მაგრამ ის აინუნშიაც არ აგდებდა ამას. მერე ზოგიერთებმა შენიშნეს და ყური მიუგდეს. ამას არ შეუცვლია იგი. მერე და მერე აღიარეს. ის კი იგივეა მარად და მარად — შეუდარებელი რომანისტი!

## 9

შემოქმედება ავტორიტეტს ვერ შეურიგდება.

ხანდახან იკითხავენ: როგორი მმართველობა უფრო აძლევს ხელს ხელოვანს? ამ კითხვაზე ერთადერთი პასუხი არსებობს — ყველაზე უპრიანი მმართველობა ხელოვანისთვის ისაა, რომ არავითარი მმართველობა არ იყოს.

ამბობენ, დესპოტიზმის დროს ხელოვანი საუკეთესო ნაწარმოებებს ჰქმნიანო.

ეს, ნანილობრივ, მართალია — დესპოტი შეიძლება კულტურული იყოს. აი ბრძო კი მუდამ უკულტურო. იმპერატორი ან მეფე შეიძლება დაიხაროს და ფუნჯი მიაწოდოს მხატვარს. მაგრამ ბრძო თუ დაიხრება, მხოლოდ — ტალახის სასროლად. ბრძოს ამისთვის არც კი სჭირდება დახრა. ის ხომ იმთავითვე წუმბეშია.

დესპოტი სამარირია. ერთი სხეულის ტირანია, მეორე — სულისა, მესამე — ერთისაც და მეორისაც. პირველს მეფე ჰქვია, მეორეს — ხუცესი, მესამეს — ხალხი. მეფე შეიძლება კულტურული იყოს და სწორედ ესაა საშიში. მაგონდება დანტე ალიგატორი სევდიან დღესასწაულებზე ვერონეში და ტორკვატო ფასსო ფერარის საგიუვეთში. ხელოვანს ის ურჩევნია, არ ცხოვრობდეს მეფებთან, შორს ეჭიროს თავი მათგან.<sup>30</sup>

ხუცესნიც ყოფილან კულტურულინი. მათ შორის უარესნი სწორედ კულტურულინი იყვნენ. ცუდ მდვდლებს ისევე ვნებიანად უყვარდათ სილამაზე, როგორც კარგებს

სძულდათ აზრი. პაპების ცოდვებისგან დიდადა დავალებული კაცობრიობა. სამაგი-იეროდ მათი სიწმინდე თვითონაა გამოუვალ ვალში კაცობრიობასთან. მართალია, ვატიკანმა შეინარჩუნა მქუხარე მჭერმეტყველება და დაჲკარგა მეხთამტყორცნელი კვერთხი, მაგრამ არცერთ ხელოვანს არ უურჩევდი პაპებთან ცხოვრებას.<sup>31</sup>

ერთმა პაპმა კარდინალთა კრებას მოახ-  
სენა ჩელინის<sup>32</sup> გამო, რომ საერთო კანონე-  
ბი და საერთო ავტორიტეტი ასეთი ხალხ-  
ისთვის არ შექმნილა. მაგრამ ეს ის პაპი იყო,  
ვინც ციხეში ჩააგდო ჩელინი და იქამდე  
აყურყუტა იქ, სანამ დიდი მოქანდაკე  
ჭკუიდან არ შეიძალა. მას მოეჩვენა, რომ  
მზეს უყვარდა. ამიტომ გაურბოდა მას ერთი  
კოშკიდან მეორეში ქონგურ-ქონგურ  
ცოცვით. ერთხელაც, დილის ჰაერისგან  
მოთენითილი, ჩამოვარდა და დახეიბრდა.  
მევენახემ ვაზის ფოთლები დააფინა და ურ-  
მით მიჰვარა ხელოვანი თაყვანისმცემელს,  
ვინც სიკვდილამდე უვლიდა.

რა არის ხალხი და მისი ავტორიტეტი? ხალხის ავტორიტეტი ბრმაა, ყრუა, საძაგელია, სასაცილოა, გასართობია, არასერიოზულია, უხამსია. მასთან ხელოვანის ცხოვრება არანაირად არ შეიძლება. ის ჰგავს უგულო ჯამბაზს და უსულო ქურუმს. გებრალებოდეთ იგი, ვისაც სილამაზე გიყვართ! თვით მას სილამაზე არ უკვარს. მაგრამ ნეტავ თვითონაც ეპრალებოდეს თავი.

აღორძინების ხანა დიადი იყო მიტომ, რომ არ ზრუნავდა სოციალური საკითხების მოგვარებისთვის. ის მხოლოდ ინდივიდის თავისუფალ განვითარებას ესწრაფოდა. ამ-იტომაც ჰყავდა დიდი მხატვრები და დიდი ადამიანები.

ლურ XIV-მ კი შეკვეთა თანამედროვე სახე-  
ელმწიფო და მოსპო ხელოვანის ინდივიდუ-  
ალობა. ხელოვნება გაკოტრდა, იქცა მოსან-  
ყენ განმეორებად და ერთფუროვნებად.

მაგრამ არც წარსულია მთავარი და არც ანგელოზი. მთავარია მომავალი. მართლაცდა რა არის წარსული? ეს ისაა, რაიც არ უნდა ყოფილიყო. რაღაა ანგელოზი? — ის, რაიც არ უნდა იყოს. მხოლოდ მომავალია ჩვენს ხელთ და ის ხელოვანმა უნდა შექმნას.

დროა უარვყოთ ყოველი მეცნიერული სქემა (კხოვრების შესახებ).

სქემა კი ისაა, რაც უკვე იყო ან არის, ანდა  
არსებული პირობებიდან გამომდინარებს.  
მაგრამ სწორედ ეს პირობებია უარსაყოფი.  
მასთან შეგუებული ყოველი სქემა ყალბი და  
უგუნური იქნებოდა. როცა ეს პირობები

ალიგვება პირისაგან მიწისა, მაშინდა შეიცვლება ადამიანის ბუნება.

ადამიანი იცვლება. აი ერთადერთი სიმართლე, რაიც თქმულა ადამიანის ბუნების გამო. ფეხს წაიტეხს ყველა სისტემა, რომელ-იც ამას არ გაითვალისწინებს. ლუი XIV-ს კი ურყევად სწავლა, რომ ადამიანის ბუნება არასოდეს შეიცვლება. ეს მისი შეცდომა იყო. ამ შეცდომას მოჰყვა საკვირველი შედეგი — ფრანგული რევოლუცია.<sup>33</sup> სამთავრობო შეცდომებს საკვირველი შედეგები მოსდევს ხოლმე.

10

ინდივიდუალიზმი როდი მოგვევლინება სწავლი, პირულებული ფრაზებით მოვალეობის შესახებ; მოვალეობისა, რასაც სხვები ითხოვენ, რაღა თვითონ სჭირდებათ. არც საძაგელი, თვალთმაქცური თავგანწირვის სახით გამოგვეცხადება იგი. ასეთი თავგანწირვა ველური სიმახინჯის გადმონაშთა.

არა, ინდივიდუალიზმი არაფერს მოგვთხოვს. ის თვით ჩევენი ნების ამოქმედება იქნება. ეს ის მიზანია, რასაც ყოველი განვითარება ესწრაფვის. ეს ის შინაგანი დანაწევრებულობაა, რისკენაც მიიწვევს ყოველი ორგანიზმი. ეს ის სისრულეა, რაითაც გვხილოავს სიცოგნილის ყოველნაირი სახეობა.

ინდივიდუალიზმი არანაირ ძალას არ ატანს ადამიანს. პირიქით, ასწავლის, რომ საზიზღარია ძალადობა. არც სიკეთისკენ მოგვიწოდებს, გვიწოდა თუ არა. მან იცის ერთი რამ: ადამიანი კეთილია, თუ ძალას არ ატანენ, თავს ანებებენ.

ინდივიდუალიზმი მხოლოდ შეგნიდან ხარობს. სიცოცხლის ყვავილის დიადი გზა ინდივიდუალიზმია. სადაც კი ინდივიდუალობას გზებს უხერგავენ, იქ მხოლოდ სწეულებასა და სიკვდილს თესავენ.<sup>34</sup>

არც ეგოისტური იქნება ეს ინდივიდუალი იზმი და არც პირფერული. შემჩნეულია, რომ უზომო ტირანია სიტყვების უბრალო, პირვანდელ შინაარსს აუკულმართებს. შერევაილიაო, იტყვიან ჩვენს დროში ადამიანზე, თუ ის საკუთარი გემოვნებით იცვამს; ისე, როგორც თვითონ მოსწონს. არადა ასეთი ქცევა ხმო სრულიად ბუნებრივია? განა შერევაილობა, პირიქით, ის არაა, რომ ჩავიცვათ სხვისი გემოვნებისამებრ; ისე, როგორც უმრავლესობას მოსწონს? უმრავლესობის აზრი ხმო მეტისმეტად ბრიყვალია?

ვთქვათ და ადამიანი ცხოვრობს ისე, როგორც მას მიაჩნია თავისი პიროვნების

გაშლისა და განვითარებისთვის საუკეთე-სოდ. ვთქვათ და თავისი ცხოვრების მთავარ მიზნად საკუთარი თავის განვითარება დაუსახავს. ასეთ ადამიანს მაშინვე მიაწე-ბებენ ეგოისტის იარღიყს. არადა ეს ხომ ის გზაა, რითაც უნდა იაროს ყველამ?

ეგოიზმი ის კი არაა, რომ ცხოვრობ საკუ-თარი სურვილისამებრ. ეგოიზმია მოითხო-ვო, რომ სხვებმაც იცხოვრონ შენი სურვილ-ისამებრ. ეგოისტობა როდია თავი დაანებო ადამიანებს და აღარ ჩაერიო მათ ცხოვრე-ბაში. ეგოისტი სულ იმის ცდაშია, რომ თავისი გარშემო ერთფეროვნება გაავრცელოს. ინ-დივიდუალისტი კი, პირიქით, შექხარის მრავალფეროვნებას და ამკვიდრებს მას.

საკუთარ თავზე ფიქრი და ზრუნვა ეგოიზმი როდია. ვინც თავის თავზე არ ფიქრობს, ის არც არაფერზე ფიქრობს. მა-გრამ არ უნდა ითხოვდე, რომ სხვებიც ზუს-ტად შენნაირად ფიქრობდნენ და აზროვ-ნებდნენ. აი ეს იქნებოდა ეგოიზმი.

ან კი რად უნდა ითხოვდე ამას? თუ სხვა ადამიანს ფიქრი საერთოდ ძალუძს, ის, უეჭველია, განსხვავებულად იფიქრებს. ხოლო თუ მას არა აქეს ფიქრის უნარი, მა-შინ სისულელეა მას მოსთხოვო ფიქრი. წითელი ვარდი ეგოისტი როდია, თუ სურს წითელ ვარდად ყოფნა. მაგრამ საშინლად ეგოისტი იქნებოდა, თუკი ისურვებდა, რომ ყველა ყვავილი ბალში უთუოდ წითელი ყო-ფილიყო და უთუოდ ვარდი.

ინდივიდუალიზმის პირობებში ყველა ადამიანი სრულიად ბუნებრივი და სრული-ად არაეგოისტი იქნებოდა. მათ სწორად ეცოდინებოდათ სიტყვების მნიშვნელობა და ხორცს შეასხამდნენ მათ თავიანთ მშვენიერ, თავისუფალ ცხოვრებაში. ადამიანები აღარ იქნებოდნენ ისეთი ეგოისტები, როგორიც დღეს არიან. ეგოიზმი მათ აღარ მოჰყერი-და სიამოვნებას.

## 11

ინდივიდუალისტი თანაგრძნობისკენაც ბუნებრივად და თავისუფლადაა მიდრეკილი.

დღემდე თანაგრძნობის უნარს განვი-თარება არ განუცდია. ადამიანი, უმეტესად, ჭირში თანაუგრძნობს მოძმეს. მაგრამ ეს როდია ნამდვილი თანაგრძნობა. ყოველი თანაგრძნობა მშვენიერია, მაგრამ ტანჯვა-ში თანაგრძნობა — ყველაზე ნაკლებად. მას ეგოიზმის სუნი დაჰკრავს. უპირატესად, საკუთარი უსაფრთხოებისთვის ზრუნვა გამოკრთის აქედან. ჩვენ გვეშინია, რომ თა-ვად შეიძლება აღმოვჩნდეთ კეთროვანის თუ

უსინათლოს მდგომარეობაში და ვაითუ არავინ მოგვეხდოს!

ინდივიდუალისტი კი თანაუგრძნობს არა მხოლოდ ტანჯვაში, არამედ, უპირველესად, სიხარულში, მშვენიერებაში, ძალაში, სიჯან-სალეში, თავისუფლებაში. ადვილია მე-გობარს ტანჯვაში თანაუგრძნობ. მაგრამ იმ-ისთვის, რომ ნარმატებაში თანაუგრძნობ მას, საჭიროა მეტისმეტად დახვენილი სული; სული ნამდვილი ინდივიდუალისტისა.

თანამედროვე კონკურენციის მტვერსა და ლრიანცელში ასეთი თანაგრძნობა, რა თქმა უნდა, იმვიათია. მას გზას უხშობს ერთ-ფეროვნების, აგრეთვე წესებისადმი მორ-ჩილების უზნეო იდეალი, ყველგან რომ გაბა-ტონებულა; ინგლისში კი — განსაკუთრე-ბით.

მწუხარებაში თანაგრძნობა, ცხადია, მუ-დამ იარსებებს. ეს ადამიანის ერთერთი უპ-ირველესი ინსტინქტია. გამოკვეთილი ინდი-ვიდუალობის, ეგრეთნოდებული მაღალი ჯიშის ცხოველებს ეს ინსტინქტი საერთო აქვთ ჩვენთან. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ სიხარულში თანაგრძნობა ამრავლებს სიხარულს ქვეყნად; მწუხარებაში თანა-გრძნობა კი არ ამცირებს მწუხარებათა ჯამს. ის გვეხმარება უბედურების გადატანაში, მაგრამ უბედურება მაინც რჩება.

ჭლექიანს თანაგრძნობა ვერ მოარჩენს. მას მხოლოდ მეცნიერება უშველის. როცა სოციალიზმი სიღარიბის პრობლემას გადა-წყვეტს, ხოლო მეცნიერება — ავადმყოფო-ბისას, სენტიმენტალისტების ასპარეზი შეიკვეცება და თანაგრძნობაც უფრო ჯან-სალი გახდება. ადამიანს გაახარებს სხვათა მხიარული ცხოვრება.

მხოლოდ სიხარული იქნება მომავალი ინ-დივიდუალიზმის ნავსაყუდელი და ნამდვილი სტიქია<sup>35</sup>. ქრისტეს არანაირად არ უცდია სა-ზოგადოების გარდაქმნა. მაშასადამე, ინდი-ვიდუალიზმი, რაიც მან უქადაგა ადამიანს, გათვლილი იყო მწუხარებასა და განმარტე-ბაზე. ქრისტიანი უნდა განუდგეს საზოგა-დოებას და შორს განაპირდეს. მაგრამ ად-ამიანი, თავისი ბუნებით, საზოგადოებრივ-ია. უდაბნოც კი, ბოლოს და ბოლოს, ხალხ-ით გაივსო. ბერიც თავის პიროვნებას ამკვი-დრებს, ოღონდ მნირი სახით.

მეორე მხრივ, საშიში ისაა, რომ მწუხარე-ბას საკვირველი ხიბლი ახლავს და ადამიანი მასში უკეთ ამჟღავნებს თავს. საეჭვო ღირ-სების მჭერმეტყველნი და მოაზროვნენი ხშირად იღაშერებენ მაღალი ტრიბუნებიდან და კათედრებიდან ტრიბობის იდეალის წინა-

აღმდეგ. სიხარულის და სილამაზის იდეალი ერთობ იშვიათია მსოფლიო ისტორიაში, მაგრამ მწუხარებისადმი თაყვანისცემა კი — გაცილებით ხშირი.

შუა საუკუნეებითავისი წმინდანებითა და წამებულებით, თვითგვემით, საკუთარი თავისადმი ქრილობის მიყენების ველური ჟინით, სხეულის დასერვითა და გამათრახებით — აი ეს შუა საუკუნეებია ნამდვილი ქრისტიანობა. ასევე: შუა საუკუნეების ქრისტეა ნამდვილი ქრისტე. ხოლო როცა გამოკრთა რენესანსის სხივი, სიცოცხლისა და სიხარულის ახალი იდეალები, ადამიანებს უკვე აღარ ესმოდათ ქრისტე.

ამში თვით ხელოვნება გვარჩნებს. აღორძინების მხატვრები ქრისტეს გამოსახავდნენ ტოლებთან მოთამაშე პატარა ბიჭუნად, ანდა დედის მიერ ატატებულ ჩვილ ბავშვად, ვინც ულიმის დედას, ყვავილს, ნათელ ჩიტუნას; ან კიდევ — კეთილშობილ, ამაღლებულ გმირად, ამაყად რომ ჰკვეთს ქვეყნიერებას; საოცარ მოლანდებად, რაღაცნაირ ექსტაზში რომ დგება მკვდრეთიდან.

ჯვარცმულსაც თავისებურად გამოსახავენ მას — ბოროტი ადამიანების მიერ ნაგვემ მშვენიერ ლვთავებად!

კაცმა რომ თქვას, აღორძინების მხატვრებს ნაკლებად იზიდავდა იგი. მათ ადამიანი უფრო ხიბლავდა; მიწიერ სიმშვენიერეს გამოსახავდნენ მითი. ბევრ რელიგიურ სურათს ხატავნ ისინი; იმდენად ბევრს, რომ ერთი და იმავე ტიპის და მოტივის გამეორება მოსაწყენი გახდა და საზიანი შეიქნა ხელოვნებისთვის.

ყოველთვის ასეა, როცა პუბლიკა ბატონად დაგისკუპდება ხელოვნებაში. დასანანია ფრიად!

მაგრამ აღორძინების მხატვრების ნამდვილი სულისკვეთება სიუჟეტში როდი ჩანს. რაფაელი მართლაც დიადია, როცა პაპის პორტრეტს ხატავს, მაგრამ ნაკლებია მადლონებისა და ჩვილი იესოს გამოსახვისას. ქრისტეს აღარაფერი აქვს სათქმელი აღორძინების ხანისთვის. რაღა უნდა უთხრას მან იმ დიად ხანას, რამაც ახალი, მისგან სრულიად განსხვავებული იდეალი მოიტანა?

ამიტომ თუ გვინდა ქრისტეს მართალი გამოსახულება, შუა საუკუნეების ხელოვნებას უნდა მივაკითხოთ. იქ ქრისტე დამახინჯებული და დასახიჩრებულია. არ გესიამოვნება მისი შეხედვა, რადგან სიხარულს მხოლოდ სილამაზე განიჭებს. მისი

ტანისამოსიც დასვრილია, მაშინ როცა სამოსელიც სიხარულს უნდა ჰყენდეს.

არასმენება ის, მაგრამ სულით მშვენიერი; სულით ლვთაებრივი. არც საკუთრება სჭირდება, არც ჯანმრთელობა. იგი ღმერთია, რომელიც თავის სისრულეს ტანჯვაში აღწევს.<sup>36</sup>

## 12

ადამიანის ეცოლუცია ძალიან ნელა მიმდინარეობს. საზღვარი არ აქვს მის უსამართლობას. ამიტომ ტანჯვა თან სდევს მთელ მის ისტორიას. მაშრავასაკვირია, თუ ტანჯვა რელიგიურ მცნებადაც იქცა?

დღესაც კი, მსოფლიოს ზოგიერთ ადგილას, ქრისტეს მოძღვრება საჭიროა. ვეჭვობ ვინმეს შეეძლოს თანამედროვე რუსეთში სრულყოფა ტანჯვის გაუვლელად. რუსების ხელოვნება, თავისი ხასიათით, შუა საუკუნეებს ეკუთვნის, რადგან მასში ტანჯვის მოტივი სუფევს.

ჩვეულებრივი რუსისთვის კი მწუხარება სრულყოფის ერთადერთი გზაა. თუ რუსი ბედნიერად ცხოვრობს დღევანდელი რუსული მმართველობის პირობებში, მას უთუოდ სწამს: ადამიანს არა აქვს სული! ხოლო თუ აქვს, არა ღირს მისი განვითარება; ნიპილისტია იგი და უარყოფს ყოველივე ავტორიტეტს, რადგან ავტორიტეტი ბოროტებად მიაჩნია. ის მიესალმება ყოველგვარ ტანჯვას, რადგან ნამდვილი ქრისტიანი გახლავთ. მას ჭეშმარიტება ტანჯვაში ეგულება.

ოღონდ ქრისტეს ხელი არ აღუმართავს ავტორიტეტზე. ის სცნობდა რომის იმპერიის ხელისუფლებას და ისდიდა ხარკს. ის ემორჩილებოდა ებრაული ეკლესის ავტორიტეტს და მის ძალადობას. მას არ ჰქონია საზოგადოების გარდაქმნის არანაირი გეგმა.

თანამედროვე მსოფლიოს კი გეგმები აქვს. მას განუზრახავს სილარიბის და მისაგან მომდინარე ტანჯვის მოსპობა. მას სურს თავის დახსნა მწუხარებისგან და აქედან მომდინარე ტანჯვისგან. საშუალებად კი სოციალიზმი და მეცნიერება უფიქრია. მისი საბოლოო მიზანი კი ინდივიდუალიზმია, სიხარულში გამოხატული. ბევრად უფრო ფართო, სრული და მშვენიერი იქნება ეს ინდივიდუალიზმი, ვიდრე ოდესმე ყოფილა.

არა, ტანჯვა როდია სისრულის უმაღლესი მწვერვალი. ის მხოლოდ წინასწარი პროტესტია და უსამართლო, არაჯანსაღ, დამამცირებელ გარემო პირობებს უკავშირდება.

როცა წყენა, აგადმყოფობა და უსამართლობა მოიკვეთება, აღარც ტანჯვა იქნება. მისი საკეთებელი საქმე დასრულდება. დიდი იყო ეს საქმე, მაგრამ ის თითქმის დასრულდა. ტანჯვის ველი დღითი-დღე იკვეცება.

ადამიანი ამ გზას დაადგა და არც შემცადარა. ასეა, რადგან არც ტანჯვა უძებნია როდისმე და არც ტკბობა. ის სიცოცხლეს ეძებდა ნიადაგ. მას სურს იცხოვროს ნათელი, სრული, სისხლსავსე ცხოვრებით. როცა ის შეძლებს იცხოვროს ისე, რომ არც სხვა შეავინროოს და არც თვითონ შეიზღუდოს სხვისგან, მაშინ მისი ცხოვრება სიხსრულად გადაიცევა.

ის უფრო ჯანმრთელიც იქნება, უფრო მხეც, უფრო კულტურულიც და, მაშასადამე, უფრო ემგვანება საკუთარ თავსაც. ტკბობა ბუნების მიერ მომარჯვებული საზომია; მისგან მონონების ნიშანია. როცა ადამიანი ბედნიერია, ის სრულ თანხმობაშია საკუთარ თავთანაც და სხვებთანაც. ახალი ინდივიდუალიზმი სრული თანხმობა იქნება.

ამას ესწრაფოდნენ ბერძნები, მაგრამ მიაღწიეს მხოლოდ აზრში. ეს იმიტომ მოხდა, რომ მათ მონები ჰყავდათ და ისინი არჩენდნენ.

ამ თანხმობას უმიზნებდა აღორძინებაც, მაგრამ მიაღწია მხოლოდ ხელოვნებაში. ეს იმიტომ მოხდა, რომ ამ ხანაშიც იყვნენ მონები — ადამიანები, რომლებიც შიმშილით იხოცებოდნენ.

ახლა კი ეს დიადი თანხმობა სრულად განხორციელდება და მისი წყალობით ყოველი ადამიანი მიაღწევს თავის სრულყოფას.<sup>37</sup>

ახალი ინდივიდუალიზმი ახალ ელინიზმად მოგვევლინება.

### კომენტარები

ოსკარ უაილდის ეს ეტიუდი პირველად შურნალ „Fortnightly Review“-ს 1891 წლის თებერვლის ნომერში დაიბეჭდა სათაურით „The soul of man under socialism“. ოთხი წლის შემდეგ ის გამოქვეყნდა ცალკე წიგნაკად, ოღონდ არა გასაყიდად. ამჯერად მისი სათაური იყო „The development of individualism in the life“. მწერლის სიკვდილის შემდეგ კი იგი რამდენჯერმე გამოიცა. ჩემი თარგმანი შესრულებულია 1904 წლის იშვიათი გამოცემიდან — ეტიუდი გამოიცა ლონდონში სულ 250 ცალად. წიგნი აღმოვაჩინე 2001 წელს მოსკოვში, ნაცნობი ბუკინისტის ოჯახში. იგიქსეროქსით გადავიდე და ვთარგმნე.

დიდი მწერლისა და მოაზროვნის ამ ნაკლებად ცნობილი, ხოლო ქართველი მკითხველისთვის

თითქმის უცნობი თხზულების ქართული თარგმანი პირველად სრულდება. ვფიქრობ იგი დააინტერესებს და მოეწონება მკითხველს. თარგმანი შესრულებულია ოდნავ შემოკლებით და თავისუფლად. შევეცადე დამერთო რამდენიმე აუცილებელი კომენტარი, რადგან ჩვენი მწერალი პარადოქსების დიდოსტატი იყო და მისი აზრები თითქმის არასოდეს არ უნდა გავიგოთ პირდაპირი მნიშვნელობით.

1. ოსკარ უაილდი იმ მწერალთა და მოაზროვნეთა რიგს ეკუთვნის, რომელთა შემოქმედებაში პირველ ადგილზე ზნეობის პრობლემა დგას. მას ეჩვენებოდა, რომ ადამიანი არასწორად ცხოვრობს და აუცილებელია მისი გამოღვიძება, გზაზე დაყენება. ამავე დროს სჯეროდა, რომ ამაში არაფერია შეუძლებელი, მიუღწეველი. პირიქით, დამდგარია კიდეც ისტორიული მომენტი ადამიანის ასაღორძინებლად, კაცობრიობის „ახალი ცხოვრების“ დასაწყისად.

ასეთი იდეა ოსკარ უაილდს ერთგვარ წინასწარმეტყველად და „ზნეობრივ მოძღვრად“ ხდის — მწერლის უმთავრესი იდეა ადამიანის სულიერი ცხოვრების გარდაქმნაა, ადამიანის „განთავისუფლებაა“.

წინასწარვე უნდა ვთქვათ: ოსკარ უაილდი, რაოდენ მოულოდნელიც უნდა იყოს ეს მისგან, სოციალიზმის მომხრეა. ოღონდ მისი სოციალიზმი ერთგვარი „ესთეტიური სოციალიზმია“, ადამიანის დახვეწილ მხატვრულ გემოვნებაზე დამყარებული და ორიენტირებული. ამის გამო სოციალიზმს ის ახალ ინდივიდუალიზმს უწოდებს. თუ სოციალიზმს ასე გავიგებთ, მაშინვე აშკარა ხდება: ამგვარი „სოციალიზმი“ მწერლის თითქმის მთელ შემოქმედებას გასდევს და ღრმად გამსჭვალავს.

2. ოსკარ უაილდი მაღალ შეფასებას აძლევდა ბერძნულ ფილოსოფიასა და საერთოდ მთელ ბერძნულ კულტურას. პლატონი მას გამორჩევით უყვარდა, ვითარცა ფილოსოფოსი და პოეტი. მოცემულ შემთხვევაში ის გულისხმობს პლატონის დიალოგს „სახელმწიფო“, სადაც დახატულია სახელმწიფოს მოწყობის უტოპიური სურათი. ადამიანებს ბაჟვობიდან მოსწყვეტენ იჯახს და ზრდიან ყაზარმებში, სამხედრო ყაიდის „საერთო საცხოვრებლებში“. აქ მათი ინდივიდუალობა იზღუდება სახელმწიფოსადმი უპირობო მსახურებით.

ასეთ პირობებში ადამიანის ინდივიდუალობას, საკუთარ თავში ყოფნასა და განვითარებას ენინააღმდეგება საზოგადოება, ადამიანთა ერთგვაროვანი მასა. ინდივიდუალობა რაღაც დანაშაულად ჩანს, ხოლო საკუთარი თავის ჩაკვლა და სხვისთვის ცხოვრება — ნორმად. უაილდი დარწმუნებული იყო, რომ ეს მახინჯი სტანდარტი ადამიანთა ცხოვრების წესად და მათივე უბედურებების მთავარ წყაროდ ჩამოყალიბდა.

3. აქ უაილდი მისასვე თანამედროვე დიდ პროფესია, გერმანელ ფილოსოფოს ფრიდრიხ ნიცშეს მოგვავრენებს. ნიცშეს სძულდა თანალმობა, ალტრუიზმის ეს მთავარი წყარო. აი, რას ამბობს

იგი თავის სკანდალურ წიგნში „ანტიქრისტე“: „თანალმობა ჰყალას სიცოცხლეს, ხდის მას უარყოფის ღირსად. თანალმობა ნიჰილიზმის პრაქტიკა... ის ქირურგიულადაა ამოსაკვეთი... არაფერია ჩვენს სწეულ თანამედროვეობაში ქრისტიანულ თანალმობაზე უფრო სწეული“ (ფრიდრიხ ნიცშე, თხზულებათა ორტომეული, ტომი მეორე, გამომცემლობა „მისლ“, მოსკოვი, 1990, გვ. 636).

4. შეადარე ჟან-ჟაკ რუსოს: „ადამიანის გულის თვისებაა დაყენოს საკუთარი თავი მასზე უფრო ბეჭინერ ადამიანის ადგილას კი არა, არამედ მასზე უფრო შესაცოდებლის ადგილას“ (ჟან-ჟაკ რუსო, ემილი ანუ ალზდის შესახებ, თბილისი, 1949, გვ. 352). ადამიანებს ტანჯვაში თანაგრძნობა უფრო ეადვილებათ, რადგან მას სიხარულზე უკეთ იცნობენ. ოსკარ უაილდს ეჭვი ეპარება ამ გრძნობის სიჯანსაღეში, რადგან ის ხელს უშლის ადამიანს სიხარულის გაზიარებაში და შეიცავს ფარულ კმაყოფილებას სხვისი ტანჯვით.

ამას მკაფიოდ გახაზავდა ნიცშე: „თანალმობისკენ მიღრეებილი ნატურები მუდამ მზად არიან დაეხმარონ ჭირში მყოფს. მაგრამ მათ იშვიათად შესწევთ უნარი გაიზიარონ სიხარული. სხვისი ბეჭინერება მათ თითქოს უსაქმოდ ტოვებს და ისინი ზედმეტნი ჩანან, ვეღარ გრძნობენ თავიანთ უპირატესობას და ამიტომ აშკარად ეტყობათ უკმაყოფილება“ (ფრიდრიხი ნიცშე, ორტომეული, ტ. I. გამომცემლობა „მისლ“, მოსკოვი, გვ. 399).

5. შეადარე ბჟაგვან შრი რაჯნიშის (ოში) აზრს: „ექიმებს შეუძლიათ დროზე ადრე გამოგასალმონ სიცოცხლეს. სიკეთის მოესველებსაც ძალუქთ იმაზე ადრე მოგვლან, ვიდრე საჭიროა. სიკეთის მოესველი ყოველთვის საშიშნი არიან... რელიგიური ადამიანი საპირისპიროდ ირჯება: ის ფიქრობს: მერომ ცუდი ვარ, ამიტომ არის მსოფლიო ცუდი. მე ვთესავ მასში ბოროტებას. მე უნდა შევიცვალო, რომ მსოფლიოც გადასხვაფერდეს“ (ოში, მდოგვის მარცვალი, გამომცემლობა „სავანეთა“, თბილისი, 1994).

6. East-end — ლონდონის დასავლეთი რაიონი, რომელიც სამრეწველო რევოლუციის ეპოქაში ემიგრანტების უდარბებებს დასახლებად ითვლებოდა, ფეხენებელური West-end-ის საპირისპირო დანართით. „East-end“-ის განათლებულ ადამიანებში „მწერალი გულისში ხალხს, ვინც სამრეწველო ინგლისში არსებულ სიღარიბებს პრობლემაზე ფიქრობდნენ და მის დასაძლევად ნაირნაირ სოციალურ პროგრამებს ამუშავებდნენ.

7. თითქოს თვითმიზნური პარადოქსია, არადა სრული ჭეშმარიტებაა. ქველმოქმედება უაილდს, ისევე როგორც ნიცშეს, სძაგს ორი მიზეზის გამო. ერთი მხრივ, ის აზარმაცებს ქველმოქმედების ობიექტს, ადაბლავებს მის აზროვნებასა და ნებისყოფას, ჰქოლავს ადამიანში პიროვნული ლირსების გრძნობას. მეორე მხრივ, ის უსინდისო თვალობაშიც სავალობაა — სხვებზე ზრუნვის ნილაბქვეშ მალავს სოციალური უთანასწორობის სამუდაოდ შენარჩუნების წადილს.

8. უაილდის ამ აზრის გასაგებად მიზანშე-ნონილია განვასხვაოთ გარეგანი და შინაგანი

მოვალეობანი. გარეგანი მოვალეობანი ადამიანისთვის გარედან წაყენებული მოთხოვნებია მეორე ადამიანის, სოციალური ჯგუფის, ბიუროკრატიული აპარატის, რაგინდარა კორპორაციის მიერ. ეს ინსტანციები, ცხადია, საკუთარი ინტერესებიდან ამოდიან და არ ითვალისწინებენ ამათუ იმ ინდივიდის ინტერესებს. ამიტომ მათი მიღება და მათდამი მორჩილება იძულებითა. შინაგანი მოვალეობა, საიდანაც კანტის ეთიკა ამოდის, ადამიანის შინაგანი ნორმა. მას გონება შეიმეცნებს ქცევის საყველოთ კანონად. ამიტომ მსადამი მორჩილება თავისუფლებას უდრის და, კონკრეტულად, გრძნობებზე გონების ბატონობის სახეს იღებს.

ოსკარ უაილდს, მოვალეობის უარყოფის დროს, მხედველობაში აქვთ გარეგანი მოვალეობა. მაგრამ მისითვის არც „შინაგანი მოვალეობაა“ მისაღები. უკანასანელი მას ისევ გარეგანი მოვალეობის სახეცვლილ ფორმად მიაჩნდა, ხოლო გონების ბატონობა გრძნობებზე — ადამიანის დამახინჯებად.

ეთიკაში ოსკარ უაილდი „ჰედონიზმის“, „დახვენილი ინტელექტუალური სიამოვნების“, „გრძნობადი მორალის“ მომხრეა და იმთავითოვე შორს დგება „გონების ეთიკისგან“, „იმპერატიული მორალისგან“. ის, თავისი მრნამსით, კათოლიკეა და ენინაალმდეგება პროტესტანტულ, პურიტანულ მორალს.

9. ტერმინი „აბოლიციონიზმი“ ნაწარმოებია ლათინური სიტყვისგან „აბოლიტიონ“, რაც გაუქმებას ნიშნავს. ასე ენოდა XVIII—XIX საუკუნეების ჩრდილოეთ ამერიკაში მიმდინარე მოძრაობას ზანგების დამამცირებელი, რასისტული კანონის გაუქმებისთვის. აბოლიციონისტები ზანგების მონაბის ნინაალმდეგ მებრძოლი საზოგადოების წევრებს ერქვათ.

უაილდი უარყოფს კანონზომიერების არსებობას ისტორიაში და ისტორიულ მოვლენებს „მოქადაგე ადამიანთა“ ენერგიული ძალისხმევის შედეგად თვლის.

10. შეადარე მაისტერ ეკაპარტს: „ხამს ნაკლები ვიზუიტორთ იმაზე, თუ რა ვქნათ. მეტი ფიქრი იმის შესახებ გვმართებს, თუ რანი ვართ თავად“. არტურ შოპენკაურმა „ცხოვრებისეული სიბრის აფორიზმებში“ ერთმანეთისგან არსებოთად გამიჯნა „ის, რაც არის ადამიანი“ და „ის, რაც აქვს ადამიანს“. მან ადამიანის ეს ორი განზომილება სხვენებულ თხზულების ორი მთავარი პარაგრაფის სათაურებად გამოიტანა. ამასთანავე, უპირობო უპირატესობა პირველს მიანიჭა.

იგივე სულისკვეთება ახალგაზრდა კარლ მარქსის სახელგანთქმულ „ფილოსოფიურ-ეკონომიკურ ხელნაწერებში“: „რაც უფრო მწირი ხარ შენ თვითოონ, მით უფრო ნაკლებად არსებობ, მაგრამ მით უფრო მეტი შეიძლება გქონდეს“. 1935 წელს ფრანგმა ფილოსოფოსმა გაბრიელ მარსელმა გამოსცა წიგნი სათაურებით „ყოფნა და ქონა“. საინტერესოა, რომ მოგვიანებით, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, გერმანელ-ამერიკელმა ფილოსოფოსმა ერის ფრომმა გამოაქვეყნა

წიგნი ამავე სათაურით. ორივეგან ყოფნა ქონებაზე მაღლაა დაყენებული და ამის დავინცება ჩვენი დროის ერთეულ მთავარ მანკირებადა მიჩნეული.

**102** მაგრამ დაბჯითებით უნდა ითქვას: ყოფნა და ქონა დასავლურ აზროვნებაში ყველაზე არსებითად პირველად **სტოლები** განასხვავეს. მათ ბეჭითად გახაზუს „ქონებასთან“ ადამიანის კავშირის სრული შემთხვევითობა. ქონება, საკუთრება შემთხვევითია, დროებითია. მასთან თავის გაიგივება ქრობას გვიქადის. ჩვენ გვეკუთვნის მხოლოდ ჩვენივე თავი და ნამდვილად მის მიმართ ვარსებობთ. ამგვარი, „შინაგანი ადამიანის“ პრინციპი ქრისტიანობაში სწორედ სტოლებიდან გადავიდა.

როგორც ვხედავთ, დიდი მოაზროვნები, მათ შორის ოსკარ უალდი, ამ საკითხში სრულიად ეთანხმებიან ერთმანეთს.

**11.** დაკვირვებული მკითხველი აქ საანტერესო პარალელს შენიშნავს: უაილდის ფრაზა „ცოტანი ცხოვრობენ, უმეტესობა კი არსებობს!“ არც ისე ორიგინალურია. ამას ჩვენშიც და დანარჩენ მსოფლიოშიც წარამარა იმეორებენ; ოღონდ გულისხმობენ იმის სრულიად სანინაალმდევოს, რასაც ირლანდიელი მწერალი ამბობს.

უაილდი „ცხოვრებაში“ გულისხმობას ადამიანის მიერ საკუთარი თავის შექმნას, განვითარებასა და ამით ტკბობას, ხოლო „არსებობაში“ — საკუთრებისთვის ბრძოლას. მდაბიო მასა კი „ცხოვრებაში“ გულისხმობს ქონებით ტკბობას, ხოლო „არსებობაში“ — ყველაფერ დანარჩენს. როგორც ვხედავთ, აფორიზმი ორივე შემთხვევაში ერთნაირად უღერს, მაგრამ შინაარსი სრულიად განსხვავებული და ერთმანეთის სანინაალმდევოა.

**12.** თეოდორ მომზენი (1817—1903) — გამოჩენილი გერმანელი მეისტორი. შეიმუშავა ისტორიული კვლევის მყარი კონცეფცია, რომლის თანახმადაც ისტორიის მეცნიერებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ზუსტი და ვრცელი ფაქტობრივი მასალის მოპოვებას და დიდ სიფრთხილეს განზოგადების დროს.

ამ მეთოდოლოგიური კონცეფციის გარშემო ჩამოყალიბდა ეგრეთნოდებული „მომზენის სკოლა“ ისტორიის მეცნიერებაში. სხვათაშორის, ამ სკოლის წარმომადგენლად ითვლება ივანე ჯავახიშვილი. მომზენი, ძირითადად ძველი რომის ისტორიაში მუშაობდა. იქიდან აიღო და განავითარა „დემოკრატიული მონარქიას“ იდეა. ამ იდეას საუკეთესო განხორციელებად მიაჩნდა იულიუს კეისრის დიქტატურა.

**13.** უოზეფ ერნესტ რენანი (1823—1892) — ფრანგი ფილოლოგი და მწერალი. მეტადრე იტაცებდა გამოჩენილ პიროვნებათა ცხოვრება. განსაკუთრებული დიდება მოუტანა წიგნმა „იესოს ცხოვრება“.

**14.** ეთოკის ისტორიაში აშკარად იყვეთება „მეამბოხისა“ და „მშვიდის“ დაპირისპირება. ამბოხს აღმერთებდნენ: ჰერაკლიტე, ფიხტე, ნიცშე, ბაი-

რონი, კამიუ... სიმშვიდეს ანიჭებდნენ უპირატესობას: ლაო-ძი, სოკრატე, სტორელი ფილოსოფოსები, გოეთე... გვახსოვს, ჩვენმა ახალგაზრდა თავადმა ილია ჭავჭავაძემ მეამბოხე თერგი არჩია მშვიდ მყინვარი.

ამბოხი და სიმშვიდე არსებობის ორი მეტაფიზიკურ განზომილებაა. პირველი გამოხატავს საზღვრებში დაუტევლობას, უსასრულობას, მეორე — ზომიერებას, სისრულეს. ამბოხი გრძნობისმიერია, სიმშვიდე — გონებისმიერი. მეამბოხე დამოუკიდებლობას აღმერთებს, მშვიდი — თავისუფლებას. ადამიანები, მათი ტემპერამენტის მიხედვით, ან ერთს ამჯობინებენ, ან მეორეს. სანგვინიკოს უაილდს სიმშვიდე უყვარს. მას ჭავჭავაძება, როგორც ბაირონს — წყვდიადში ჩაფლულ ბობოქარ ოკეანიდან.

**15.** შეადარე ნიცშეს იგავს „სამი მეტამორფოზისთვის“ თხზულებიდან „სე ამბობდა ზარატუსტრა“. სულის განვითარება სამ საცეხურს გაივლის. ჯერ აქედემია ის, მოვალეობის ტვირთს ეზიდება. შემდეგ ლომად გადაიქცევა — ძირს დაანარცხებს მოვალეობებს და საკუთარ ნებას აღმართავს სახელმძღვანელოდ. უმაღლეს საფეხურზე კი ბავშვია — შემოქმედი, მოთამაშე, სიხარულით აღსავსე.

ხოლო ბევრად უფრო ადრე ჰერაკლიტე ეფესონელს ბუნების უზენაესი კანონზომიერება ბავშვის თამაშად მოეჩვენა: „დრო ბავშვივით თამაშობს, შაშის კოჭებს აქეთ-იქით ალაგებს: ბავშვის მეუფება!“

**16.** „შეიცან თავი შენი!“ („Gnosi sauton“) — ძველი ბერძნული მცნება, რაოც დელფის სამისნოზე ენერა და შემდეგ სოკრატემ თავისი ეთიკური მოძღვრების მთავარ მონოდებად აქცია. ორივე შემთხვევაში იგულისხმებოდა: ადამიანი უფრო ღრმა და მაღალ განზომილებას შეიცავს, ვიდრე მისი ცხოვრების სახით ჩანს. ხოლო როცა ადამიანი ამას შეიცნობს, ის ძირფესვიანად შეიცვლება და ზნეობრივად იცხოვრებს.

ადვილი შესამჩნევია, რომ საკუთარი თავის ამგვარი შემეცნების საპოლოო მიზანი და შედეგი საკუთარი თავის ძირფესვიანად შეცვლაა, „ბუნებრივ-საზოგადოებრივი არსების“, „ზნეობრივ არსებად“ გადაქცევას, საკუთარი თავის ხელახლა დაბადება და შექმნას.

ისე ჩანს, რომ ყოველივე ეს ერთობ სხვაა, ვიდრე შემეცნება; და რომ „შეიცან თავი შენი!“ არაა სწორი მონოდება. მართლაც, როგორდა შეიძლება შევიცნო ის, რაც ჯერ არ არის და უნდა შეიქმნას? ამიტომ ზოგჯერ ხსენებული მონოდება იცვლება ახალი, თითქოს უფრო სწორი მონოდებით: „შეჰემენ თავი შენი!“. ანტიკური მცნების ამგვარ სახეცვლილებას გხედავთ დასავლეთის პროტესტანტულ კულტურაში — იოჰან გოტლიბ ფიხტესთან, გოეთესთან, სიორენ კირკეგორთან...

უაილდი ამ მცნებას უფრო პარადოქსულად, გამომწვევად გამოთქვამს: „იყავ ის, რაც ხარ!“. „საკუთარი თავი“ იმთავითვე არსებობს ძირე-

ულად, ფუნდამენტურად, ოღონდ საზოგადოება ცდილობს და გვასწავლის მის ჩაქოლვას. ადამიანმა, საზოგადოების საპირისპიროდ, უნდა სცადოს და ისნავლოს მისი გადარჩენა და განვითარება. ესაა ადამიანის უმთავრესი საქმე, მისი ცხოვრების მთავარი ამოცანა და აზრი.

ეს მცნება ეხმაურება აღმოსავლურ, განსაკუთრებით დაოისტურ ეთიკას, რომელიც არ გვირჩევს „აქტივობას“, კონფუციანურ „რეფორმატორობას“ და მოგვიწოდებს „უქმობისკენ“ („უვეი“), იმადან დარჩენისკენ, რაც ვართ, და იმის შენარჩუნებისკენ, რაც „არის“. ქართველმა მნერალმა ჯემალ ქარჩხაძემ მას „მეთერთმეტე მცნება“ უწოდა და ამ სათაურით მოთხოვთ დაწერა.

17. ოსკარ უაილდი დენდია და უჭირს სიმდიდრის უარყოფა. სიმდიდრე მას საკუთარი თავის განვითარების პირობად მიაჩნდა. მავრამ სიმდიდრის მოპოვება, მისი შენარჩუნება და გაზრდა ისეთ განუწყვეტელ ძალისხმევას ითხოვს და ამიანისგან, რომ გამორიცხული ჩანს დრო დარჩეს საკუთარი თავის განვითარებისთვის; მეტიც, საერთოდ გაჩნდეს ამგვარი იდეა მდიდრის ცნობიერებაში. ვფიქრობთ, ამ საკითხში მარქსმა ბევრად უფრო ღრმად ჩაიხედა, ვიდრე ირლანდიელმა პოეტმა.

ხოლო რაც ეხება სიმდიდრისადმი ქრისტეს დამოკიდებულებას: ეს დამოკიდებულება სრულიად განსხვავებული იყო იმისგან, რაშიც უაილდი ცდილობს დაგვარებულნოს: „უმალ აქლემი გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი შევა ღვთის სასუფეველში“ (მათე 19, 24).

18. უაილდის ანარქიზმი აშკარაა. ეს ჩანს მის ყველა ნაწარმოებში და პირადი ცხოვრების სტილშიც. სახელმწიფო, თუ „საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიას“ დავუკერებთ, ადამიანმა თავისი დასაცავად გამოიგონა. მავრამ თანდათან სწორედ სახელმწიფოსგან ადამიანის დაცვა იქცა უპირველეს საჭირობოტო საკითხად. ამან ნარმოშვა ანარქიზმი და ვეჭვობ სხვა მწერალს გამოეხატოს იგი უაილდზე უფრო კოლორიტულად.

სახელმწიფო ადამიანის სამართავად არსებობს. ამით ის იმთავითვე უკრძალავს ადამიანს მის მთავარ საქმეს — მართოს და განავითაროს საკუთარი თავი. უაილდი იმდენად „გამოუსწორებელი ანარქისტია“, „რომ „კარგ“ სახელმწიფოს „ცუდი“ სახელმწიფო ურჩევნია, ხოლო „თაფლისკვერით“ მართვას — „მათრახით“ მართვას.

19. შეადარე ფილოდორ დოსტოევსკის გმირს „იდიოტიდან“ — თავად მიშენს, ვინც ამტკიცებს, რომ მკვლელის სიკვდილით დასჯა მის მიერ ჩადენილ დანაშაულზე უფრო მეტი სისასტიკეა. მას უფრო მეტი ბოროტება ატყდება თავზე, ვიდრე თვითონ დაატეხა სხვას. ამიტომ ფორმულის „კბილი კბილის წილ, თვალი თვალის წილ!“ სამართლიანობა მოჩვენებითია, როცა ამ ფორმულას სახელმწიფო იყენებს. უაილდი, როგორც ვხედავთ, სავსებით იზიარებს ამ თვალსაზრისს.

20. შეადარე ლაო-ძის: „რაც მეტია კანონი და ბრძანება, მით მეტია ქურდი და ავაზაკი“ („დაო დე ძინ“, ლექსი 57).

21. ნამდვილი უაილდური პარადოქსი! ასეთი აზრებისთვის ოსკარ უაილდს ცინიკოსადაც კი მიიჩნევდნენ. ეს „უკუღმართი მწერალი“ ზოგჯერ სრულიად სერიოზულად ამჟღავნებდა ერთგვარ პატივისცემას დამნაშავებისადმი. ცნობილია მისი უკვდავი პარადოქსი: „თუ მართალია, რასაც ინგლისის გაუსაძლის საპატიმროების შესახებ ჰყვებიან ხოლმე, მაშინ მე დაბეჯითებით ვაცხადებ: ინგლისი არაა ღირსი ჰყავდეს პატიმრები!“. გულისხმობდა მათ, ვინც არღვევენ კანონებს მორჩილებისადმი სიძულვილის და არა გაჭირვების გამო.

შეიძლება გაგვახსენდეს ჰეგელი. ის აქებდა ბიბლიურ ცოდვით დაცემას, რადგან იგი მიაჩნდა ადამიანობის დასაწყისად. ღვთისადმი დაუმორჩილებლობით ადამშა თავისს ნება დაადასტურა და იქცა თავისუფალ ქმნილებად, ადამიანად. გვახსოვს: ძეველ აღთქმაში ღმერთს მასთან მებრძოლი იაკობი უყვარს და არა მისი ძმა, „მშვიდობიანი“ ესავ.

ფილოდორ დოსტოევსკი იწონებდა ღვთის გმობასაც, თუ ამას თან ახლდა ძლიერი, თავისუფალი ნება. აი, რას ამბობს იგი თავის თანმედროვე ათეოსტებზე: „ეს საცოდავები არ იცნობენ იმ ძალასაც კი ღვთის უარყოფისა, რაიც ასე ბოძოქობდა ჩემში ნლების მანძილზე“.

მეოცე საუკუნის სახელგანთქმული ინდოელი გურუ ბპაგვან შრი რაჯნიში (ოშო) გვთავაზობს საინტერესო განმარტებას იქსოს იგავისა გზადანეული ცხვრის შესახებ. ავდრიანი ღამის წვერამში გონიერმა მწყემსმა თავი მიაჩნება 99 ცხვარს და მეასე, გზადანეული ცხვრის საძებრად გაეშურა, იპოვა იგი და უთხრა, მე შენ დანარჩენ 99-ზე მეტად მიყვარსარო. ოშოს განმარტება ასეთია: იქსოს ის ერთი ცხვარი უყვარს გამორჩეულად, რადგან ის მეამბოხეა — არ დადის გატკეზნილ გზით, არ ცხოვრობს გარედან დადგენილ წესებით. ის ცდილობს თვითონ გაჭრას გზა და არღვევს წესს, აშავებს.

ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ადამიანი დამაშავებობას უნდა ესწრაფოდეს. არა, მიზანი განწმენდა და ნმინდანობაა, მაგრამ ნმინდანობისკენ მიმავალმა „დანაშაულის სკოლა“ უნდა გაიაროს. ამით სწავლობს იგი დამოუკიდებლობას და თავისუფლებას, რაიც ძალათა სიჭარბის, ენერგიის ნიშანია.

„მიმოხედვეთ გარშემო, — ამბობს ოშო, — ის ადამიანები, ვისაც კარგ ხალხად თვლით, თითქმის ყველობის სუსტები არიან. მათი კარგი თვისებები მათი ძლიერებიდან კი არა, სისუტიდან მომდინარეობს. ისინი კარგები არიან, რამეთუ ვერ ბედავენ იყვნენ ცუდები. რა სათნოებას უნდა ელოდეთ მათი სისუსტისგან? სათნოება ხომ პირთამდე საეს ძალიდან მოედინება და მხოლოდ მაშინაა ჭეშმარიტი, თუ სიცოცხლისუნარიანია და ნიაღვარსა ჰყავს!

ამიტომ, როცა ცოდვილი წმინდანად გარდაისახება, მის სინმინდეს თავისი ძლიერება ექნება. საშუალო ადამიანი თავისი სისუსტის გამოხდება წმინდანი. მისი სინმინდე მკვდარი და უფერულია, უსიცოცხლოა. თქვენ შეგიძლიათ თქვენი სისუსტის გამო იქცეთ წმინდანად, მაგრამ მაშინ კი არ პოულობთ, არამედ ჰკარგავთ ჭეშმარიტებას. ხოლო თუ სიძლიერის გამოხდებით წმინდანი, მხოლოდ მაშინ აღწევთ ჭეშმარიტებას. თუ ადამიანი იმიტომ იქცევა კარგად, რომ არ შეუძლია იყოს ცუდი, ის არაა ჭეშმარიტად კარგი. გახდება თუ არა ძლიერი, ის მაშინვე ცუდ ადამიანად გადაიქცევა. მიეცით ძალაუფლება და ნახავთ: ძალაუფლება დაუყოვნებლივ გააფუჭებს მას” (ოშო, მდოგვის მარცვალი, თბილისი, „სავანეთა“, 1994, გვ. 145).

22. შეადარე არტურ შოპენპაუერი: „ხუთი წლის ასაკიდან მოწყო ქალალდის სართავ ან სხვა რომელმც ფაბრიკაში; იჯდე იქ ჯერ ათი, მერე თორმეტი, ბოლოს კი თოთხმეტი საათი ყოველდღე და ასრულებდე სულ ერთსა და იმავე უმარტივეს მოძრაობებს — ეს მეტისმეტად ძეირი გადასახადია იმ სიამოვნებისთვის, რასაც სულის მოთქმა ჰქვია. მაგრამ სწორედ ასეთია მილიონების სხვედრი და მას ჰგავს ხვედრი სხვა მილიონებისაც“ (არტურ შოპენპაუერი, ცხოვრებისეული სიბრძნის აფორიზმები, გამომცემლობა Carpe diem, თბილისი 2012, გვ. 154).

23. ოსკარ უაილდი ოპტიმისტია — სწამს ადამიანისა. მას სჯერა, რომ თავისუფალ დროს, მოცალეობას ადამიანი შემოქმედებისა და ცხოვრებით ტკბობისთვის გამოიყენებს. მაგრამ უფრო სწორი ჩანს სენეკა, ვინც ამბობდა: ძელია სიმშვიდე მოცალეობის უამს! შრომა ცუდია, მაგრამ მოცალეობა უარესია. ის ჰპადებს მოწყენილობას. თავისუფალი დრო სიკეთეა მხოლოდ სულიერი სიმდიდრის, კერძოდ, ინტელექტის სიჭარბის შემთხვევებში. მაგრამ ინტელექტი, ჩვეულებრივ, ნების მსახურა, ანუ მცირე რაოდენობით რგებაა ადამიანის მოდგმას. ამიტომ მოცალეობა მისთვის ტანჯვა, ხოლო შრომა — ყველაზე აფი და სასარგებლო გასართობი.

რამდენად გამართლდა უაილდის პროგნოზი მანქანის მომავლის შესახებ? ჯერჯერობით პირიქით უფროა: მანქანამ დამორნა ადამიანი. ჯერ ერთი, მან უმუშევრობა გამოიწვია. მეორეც, მან გარემო გაბინძურა. მესამე, მანქანური შრომა ადამიანის შემოქმედებაზე მაღლა დადგა, რის გამოც ადამიანი არასრულყოფილ, მეორეხარისხოვან მანქანას დაემგვანა.

24. ეს არაა გულგრილობისკენ მოწოდება. უაილდი მოუნოდებს ჭეშმარიტების ერთგულებისკენ. შემოქმედებისას პოეტმა უნდა იხელმძღვანელოს მხოლოდ ღვთით ბოძებული და არა სხვისი გემოვნებით. თითქოს ეს სადაც არც უნდა იყოს, მაგრამ დემოკრატიულ საზოგადოებაში ხმათა უმრავლესობა იქცევა ულტიმა რატიო — დ. ოსკარ უაილდი წინაარ გრძნობს, რომ დიდი ხელოვნების ადგილს უტიფრად იკავებს „პოპუ-

ლარული ხელოვნება“. ხელოვნება მასების განსაჯელი ხდება.

შეადარე ალექსანდრ ჟუშკინის ლექსი „პოეტს“: „პოეტო, ნუ დაპკანებალებ ხალხის სიყვარულს. აღტაცებულთა ყიუინა მსწრაფლ გადაივლის. ბრიყვის განსჯასაც და ბრძოლის სიცილსაც გაიგონებ, მაგრამ იყავ მტკიცე, მშვიდი, პირქუში. შენ მეფე ხარ, იყავ მარტოკა! იარე თავისუფალ გზით, საითენაც გული გაგინებს; სრულჭყავ საყვარელ ფიქრთა მონაგარი და ნუ გინდა ჯილდო კეთილმობილურ გმირობისთვის. ეს ჯილდო შენმივეა; შენ თავადა ხარ საკუთარ თავის მსაჯული უზენაესი. შენზე მკაცრად ვინდა განსაჯოს შენნი რულუნებანი? ხომ მოგწონს იგი, მსაჯულო პოეტო? მაშ ლანძლოს იგი ბრძომ, შებილოს შენი საკურთხეველიც, სადაც წმინდა ცეცხლი ანთია, და ბავშვურ სიანცით არყიოს ტახტი შენი!“.

25. სიახლისკენ უაილდის ბეჯითი მოწოდება ძალიან ფრთხილად უნდა გავიგოთ. „სიახლე სიახლისთვის“, უხამისი „ინვაციები“, „ეპატაზები“ წმდგომი სიახლის იდენ პალატივებია და სწორედ ისაა, რასაც უაილდი ებრძების. სიახლეში ჩვენი პოეტი გულისხმობს მხოლოდ ინდივიდუალობას, შინაგან განცდასა და დანახვას. თუ რამე მართლაც თვითონ განიცადე, მისი გამოიქმაუთ სიახლე იქნება. ახლებურად თქმას კი არ უნდა ცდილობდე, არამედ თვითონ უნდა განიცდიდე. ხოლო როცა ახლებურად თქმას ცდილობ, სწორედ მაშინ „ძველებურად“ ლაპარაკობ.

26. უაილდი სწორად შენიშნავს: ავტორიტეტი ჰყალავს ინდივიდუალობას და ამით ვნებს შემოქმედებას. მაგრამ არ უნდა დაგვავინყდეს: ავტორიტეტი სასარგებლოცა და, მაშასადამე, მისი უარყოფა სახიფათოა. ავტორიტეტი ალკვეთს თვითნებობას და უწესრიგობას, რასთანაც ასე ახლოსაა ადამიანთა „საერთო საცხოვრებელი“.

მთავარი აქ ისაა, რომ ავტორიტეტის გარეშე ცხოვრება შეუძლებელი ჩანს. სიტყვაზე: რუსთველის ავტორიტეტმა რამდენადმე შეაფერება პოეზია, სამაგიეროდ შესაძლებელი გახადა კარგისა და ცუდის მეაფიოდ გარჩევა. როცა ავტორიტეტი არ არსებობს, მაშინ „კარგი“ იქცევა „ცუდად“ და „ცუდი“ — „კარგად“. აი ამ აზრ-გაგებით, მდაბიო იქცევა ავტორიტეტად. ჯანსაღი ავტორიტეტის წინააღმდეგ ლაშქრობას გონჯი ავტორიტეტისკენ მივყავართ.

27. ედმუნდ ბერკი (ურკე) (1729-1797) — ირლანდიელი მოაზროვნე და საზოგადო მოღვაწე, ინგლისის პარლამენტის წევრი, პოლიტიკოსი, განმანათლებლური ხანის პუბლიცისტი, ბრიტანული კონსერვატიზმის იდეური მამამთავარი. ერთი იმ იშვიათ მოაზროვნეთაგან, ვინც უარყოფითად შეხვდა საფრანგეთის დიდ რევოლუციას. მან მაშინვე იგრძნო, რომ ეს იყო ბრძოლის აღზევების დასაწყისი დასავლურ ცივილიზაციაში.

ბერკს ეკუთვნის ჩვენი დროის რამდენიმე პოპულარული ფრაზა: „პრესა მეოთხე ხელისუფლე-

ბაა”, „არაფერია იდეალურ დემოკრატიაზე უფრო სამარცხვინო დედამიწის ზურგზე!“, „ნარმატების სანინდარი ტალანტი კი არა, მისი არქონაა“.

29. ჯორჯ მერძითი (Meredith) (1828-1909) — ინგლისელი მწერალი და პოეტი, ეგრეთნოდებულ პრერაფაელიტთა თანამოაზრე. მისი ყველაზე ცნობილი რომანებია: „რიჩარდ ფევერელის განსაცდელი“, „ივენ ჰარინგტონი“... სახელი გაითქვა აგრეთვე პოეტური კრებულით „თანამედროვე სიყვარული“.

30. შეადარე სენტრენცია დიდი ს პარსულ პოეზიდან: „ნუ ჩაუკდები, ლექსისკაცო, ხელ წიფეს ნავში!“. პოეტ მურმან ლეპანიძეს ლექს აქვს დანერილი ამ ს პარსული სიბრძნის გამო:

ოსკარ უაილდი გულისხმობს, რომ დანტემ და  
ტასსომ თავის თავზე ინვნიეს „ხელმწიფის ნავში  
ჩაჯდომის“ მთელი უბედურება. დევნილი და დიდ  
თავდას შეხიზული დანტე „სამგლოვარო დღე-  
სასწაულებს“ მართავდა დაკარგვულ თავისუ-  
ფლების გამო; ხოლო ფერარას ჰერცოგის კარის  
პოეტობამ საგიშეთამდე მიიყვანა დიდი ტორკვა-  
ტო ტასსო.

31. შეადარე კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენას“ იდეა: ხელასუფლება და ეკლესია ერთნაირად მტრობს შემოქმედებას. მიზეზი ორივეგან ერთია: ხელოვანი ღმერთთან მორკინალი ასკონია!

იმავე მიზეზით პლატონი თავისი „იდეალური სახელმწიფოდან“ აძევებს პომეროსასა და ჰესიოდეს. სახელმწიფო კანონით შეკრულ მახინაა, პოეტის ერთადერთი კანონი კი ყოველგვარი კანონისგან თავისუფლებაა, მისი უსასრულო ფანტაზია.

32. ბენედიქტო ჩელინი (1500-1571) — იტალიელი მოქანდაკე, ოქრომჭედელი და მწერალი, მიქელანჯელოს მონაცემის მანიერიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი.

33. የመጋገር ህጻልፍዎች ስምያዎች በፊት የሚከተሉ ነው፡፡

სალინა მოკლედ რომ ვთქვათ, აქ იგულისხმება ერთადერთი რამ: ადამიანი „ტრანსცენდირებს“ (კარლ იასპერსი), ანუ გადის ნებისმიერი საზღვროდან. საზღვრიდან გასვლა, თავის უფლება მისი უღრმესი არსია. უაილდა შენიშვნავს: იმ-

მართალია, დიდი ფილოსოფოსები ადამიანთა უცვლელობასაც ამტკიცებენ, მაგრამ იგ-ულისხმება: უცვლელია სწორედ ადამიანის კვალიტადობა.

34. უაილდი ეხება ეთიკის წყველ პრობლემას: საიდან მომდინარეობს ადამიანის და საზოგადოების განუწყვეტლი წინააღმდეგობა და, აქედან, ადამიანის ტანჯვა? „საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიის“ მომხრენი ამბობენ: ამ წინააღმდეგობაში ადამიანია დამნაშავე. ის თვითნებურად არღვევს სხვის „ბუნებრივ უფლებებს“ და აუცილებელი ხდება მისი შეზღუდვა გარედან. ეს კი უკარსად ამძაფრებს თვითნებობისკენ სწრაფვას, რადგან უკანასკნელს ემატება კანონისადმი სიძულვითი.

უაილდი სანინააღმდევეო აზრს ემხრობა: ხსენებულ წინააღმდევეობაში საზოგადოება სტყუის. ის იმთავითვე ინდივიდის მტერია და გარედან ზოუდას მას. ეს კი ინვენტის ინდივიდის მწვავერეა აქციას და აჩაღებს მტრობას. ადამიანი ბუნებით კეთილია და ეთიკაც უნდა დაემყაროს მისი თავის-უფალი განვითარების იდეას. მეორდება **ლამძის** სიბრძე: რაც უფრო მეტია კანონი, მით მეტია დანამაული. როცა შეწყდება „სოციალური აქტივობა“, ყველაფერი სრულიად მარტივად გადაწყდება და დალაგდება.

როგორც ჩანს, ყველა დროის ეთიკა იქმნება ორი მიღებომიდან. ერთინი ამონდიან ადამიანისადმი უნდობლობიდან (კონფუცი, პლატონი, იესო, შოპენბაუერი), მეორენი კი — ადამიანისადმი ნდობიდან (ლათ-ძი, ბუდა, რუსო...). მსკარ უაილდი აკარად მეორეთა მხარესაა.

35. შეადარე ძველი ათენის ეპიკურელთა საძმოს მთავარი პრინციპი, რაც მათი სკოლის ბჭეზე ყოფილა აღბეჭდილია: „კეთილღ მგზავრო, შენ აქ გელოდება ადამიანურ სათხოებათაგან უმაღლესი — სიხარული!“. მათ სწამდათ, რომ ადამიანთა ცხოვრებას ყველაზე მეტად სიხარული აკლია. თანამედროვე ფსიქოანალიზიც დღვევნდელი ადამიანის უმთავრეს ეთიკურ პრობლემად უსიხარულო ცხოვრებას თვლის.

ოსკარ უაილდი დიდად აფასებდა ეპიკურელ-  
თა ეთიკას და თავის მრნამსს, „ახალ ეპიკურელო-  
ბას“ ხანუ, ახალ ჰიონოზიში, „აწოლიბოა“

36. ქრისტეს უაილდისეულ განმარტებას საინტერესოდ ეხმაურება რუსი ფილოსოფოსისა და რელიგიური მთაზროვნის, ვასილი როზანოვის (1856-1919) თვალსაზრისი: „ქრისტე არასოდეს იცინოდა. — შენიშნავს როზანოვი. — ამიტომ განა ცხადი არ არის, რომ გოგოლისთვის, ვითარცა ქრისტიანისთვის, სიცილი დანაშაულს ედრებოდა?! მე ვერ ვიხსენებ მომღიმარ ქრისტეს. სახარებას სევდისა და მწუხარების ბეჭედი აზის. კი, არის მასში სიხარული, მაგრამ — სრულიად თავისიპური, უსულთადმულო, ზეჯირი;

სიხარული, რაიც დედამიწაზე და კაცობრიობაზე განუზომლად მაღლა დგას...

კი, ეკლესია მღვდლებს ქორნინების ნებას რთავს, ოლონდ — შეყვარებულობისა და არჩევა-

ნის გარეშე; მღვდელმა უნდა იქორნინოს უბრალოდ ვინმეზე, თანაც დაუყოვნებლივ. საქმროს საცოლე იმაზე მეტად არ უნდა უყვარდეს, ვიდრე ოფიცერს — ჯარისკაციო...

სახარებაში არც სიცილია, არც შეყვარებულობა. მათი ერთი წვეთიც კი საკმარისია, რომ ამ საკვირველი წიგნის ყველა გვერდი დაიფერფლოს და „განიპოს კრეტსაბმელი“ ქრისტიანობისა...

გოგოლიც და საზოგადოდ ლიტერატურაც, ვითარცა თამაში, სიცელქე, ღიმილი, სიკოხტავე და ყვავილი ადამიანის ცხოვრებისა, სრულიად შეუთავსებელია „მონოყვავილთან“ — უტკბეს იესოსთან“ (გიორგი ხეოშვილი, ვასილი როზანოვი, თბილისი, 2013, გვ. 137-139).

37. სკარ უაილდს ადამიანი ესმის როგორც

„ერთი“, ბუნებისგან ჩამოსხმული ზოდი, რაიც გახეთქა საზოგადოებამ. ასეთ ადამიანს ჰეგელი „ხელოვნების მშვინიერ ქმნილებას“ უწოდებდა და ბერძნულ კულტურაში ეგულებოდა იგი აქილევსის, ალექსანდრეს, ანტიგონეს სახით...

შეიძლება შევეეამათოთ ცისფერსისხლიანი დენდის ამ რზმენას რუსი დემონის, დოსტოევსკის მეთაურობით. იქნებ ადამიანი, ცნობიერების პატრონი, „ორი“ უფროა, ვიდრე „ერთი“. ასეთ შემთხვევაში წინააღმდეგობა და ტანჯვა მისი ბუნება იქნება, ხოლო მისი „გავანსაღების“ მცდელობა — შეუძლებლის დემონური ნადილი.

მაგრამ ყველაფერი ეს შორს სცილდება ცოდნის საზღვრებს, ვითარცა სფერო რწმენისა. ამიტომ ისლა გვრჩება ვთქვათ: ნეტარ არიან მორწმუნები!

## თარგმნა და კომენტარები დაურთო ზურაბ ხასაბაძე



# ოქროს და ვერცხლის პოეზია

107

გთავაზობთ XIX - XX საუკუნეების დიდი რუსი  
პოეტების რჩეული ლექსების თარგმანებს. ბევრი  
ლექსი პირველად ითარგმნა ქართულ ენაზე.

## ალექსანდრ პუშკინი (1799 - 1837)

### წინასწარმეტყველი

ბნელ უდაბნოში უქმად ვიარე,  
სულით მწყურვალი მარტო ვედინე,  
და სერაფიმი მე ექვსფრთიანი  
გამომეცხადა გზაჯვარედინზე.  
სიზმარ-ცხადივით მჩატე თითებით  
ჩემს თვალებს მისწვდა გაბედითებით,  
შევიტრთხიალე, როგორც არწივმა  
და თვალისჩინი ჩემი გაბრნყინდა.  
მერე შეეხო ის ჩემს სასმენელთ  
და ქვეყნის ჩქამი აღძრა ასევე:  
ცათა ზრიალის ხმა ჩამესმოდა  
და ანგელოზთა მთაზე ხარება,  
და ძრომიალი ზღვაში ქვემძრომთა,  
ვაზის შეთვალვა, მსხმოიარება.  
აღარ დამცალდა მერეც ლოდინი,  
ბაგე გამიხსნა და ეს ცოდვილი  
ენა ამართვა მოლაზლანდარე,  
ფუჭსიტყვაობას რომ ვერ ამთავრებს;  
მერე იმასაც კი შევესწარი -  
მიბომა ბრძენი გველის ნესტარი,  
მერე მახვილი დამცა მკერდამდი  
და გულის ნაცვლად მე ნაღვერდალი  
ჩამიდგა მკერდში თავის მარჯვენით  
და უდაბნოში ოხრად დარჩენილს  
გამესაუბრა მერე გამჩენი:  
„ალსდექ, ქვეყანა მოვლე ყოველი,  
წინასწარმთქმელო, ფერით ულევი,  
და აღასრულე ნება ცხოველი,-  
სიტყვით აღანთე კაცთა გულები“.

\*\*\*

დროა მნათობის ჩასვენებისა,  
ულურჯეს ზღვაზე საღამო ხანს ჩამოწვა ნისლი,  
ო, იხმაურე, იხმაურე, აფრავ, ნებისად,  
ო, დაღვრემილო ოკეანევ, იღელვე რისხვით.

გავცქერი ნაპირს და შორ საწიერს  
 და ვხედავ გრნეულ, ულამაზეს სამხრეთის მიწას,  
 ნაღველი მძალავს და მეც იქით ვისწრაფვი იმწამს,  
 მოგონებებმა სანატრელი ხმა მომაწიეს.  
 ვგრძნობ, ისევ ისე დამისველდა თვალი კურცხალით,  
 მიბნედილია სული და იწვის,  
 არ მიღველფილა ის ოცნება ჯერ კიდევ, ვიცი,  
 ვიგონებ გიუმაჟ ტრფობას გულმწყრალი.  
 ვიგონებ ტანჯვას, იმ ტკბილ-მწარეს — გულს რომ ეღირსა,  
 მაცდურ იმედთა შევიქენ ღირსი,  
 ო, იხმაურე, იხმაურე, ქარო, ნებისად,  
 ო, დაღვრემილო ოკეანევ, იღელვე რისხვით.  
 ჩემო ხომალდო, მაზიარე იმ შორ მხარეს და  
 მიმანდე ზღვების სურვილებს მხურვალს,  
 ოლონდ ნუ მიმგვრი სანაპიროს, სადაც დანესტრა  
 გული მშობლიურ ჯანღების ურვამ.  
 იქ ნუ მიმიყვან, სადაც ენთო ვნება უზღველი  
 და გრძნობებს ცეცხლი ვეღარ ჩავუქრე,  
 სადაც ჩუმ-ჩუმად მიღიმოდნენ ნაზი მუზები,  
 სადაც დავტოვე ჩემი ადგილ-მამული წყნარად  
 და თავი სულ სხვა ბილიკებს ვანდე.  
 მე თქვენც დაგტოვეთ, ო, ნილხვედრნო ტკბილი ცხოვრების,  
 მეგობრებო და სიჭაბუკევ, წამის მენილევ!  
 თქვენც ბანოვანნო, ო, ვისთანაც დაუცხრომელი  
 ვნება მტანჯავდა და მას შევწირე  
 მსხვერპლად სილადე, სიჩაუქე, სულიც, სახელიც...  
 მე დავივიწყე ყმაწვილქალნი მოღალატენი,  
 ოქროცურვილი გაზაფხულის თანამზრახველნი...  
 მაგრამ იმ ძველი ტრფობის ნაღველი,  
 ის ღრმა ჭრილობა, ის ნაჭდევი გულისღელვისა  
 ვერ მოვირჩინე, ჯავრი მკლავს მისი,  
 ო, იხმაურე, იხმაურე, ქარო, ნებისად,  
 ო, დაღვრემილო ოკეანევ, იღელვე რისხვით.

### ყვავილი

წიგნში ჩარჩენილ ხმელ ყვავილს ვხედავ,  
 დავიწყებიათ, გასვლია ყავლი,  
 უცნაური მხვდა ოცნება ხვედრად,  
 შევეხე რა ამ ჩამომჭვნარ ყვავილს.

სად ყვავილობდა, რომელ გაზაფხულს?  
 ან ალალბედად და ასე უცებ  
 მისი მოწყვეტა ვინ განიზრახა,  
 ან ვინ ჩააწნა ამ წიგნის ფურცლებს?

სახსოვარია იქნებ იმ დღეთა,  
 როცა სატრფოსთან შეყრა აღირსა

განგებამ, ანდა ერგუნა ხვედრად  
გაყრა და უამი ხეტიალისა?

სად გაქრნენ? - მათი კვალიც არ მოჩანს -  
ის ბანოვანი ან ის ყარიბი?  
იქნებ ორივე უკვე ჩამოჭკნა,  
როგორც ეს ხმელზე ხმელი ყვავილი?

\*\*\*

საქართველოს მთებს ნთქავს წყვდიადი შემომთალხველი,  
ლამეს არაგვის ზათქი გასერავს,  
სევდა მერევა მე მსუბუქი. ნათელია ჩემი ნაღველი,  
ნაღველი ჩემი შენით სავსეა.

ო, შენით მხოლოდ... მწუხარების უამს ასე დამდგარს,  
ასეთი მშვიდი ყოფა უცვნია,  
გულს კი კვლავ უყვარს, ცეცხლის ალი ედება რადგან,  
რომ არ უყვარდეს არ შეუძლია!

\*\*\*

ყოფნა — ამაო ეს საჩუქარი  
ვინ მისახსოვრა? ვინ, ვინ ინება?  
ან ვინ მარგუნა ხვედრი მწუხარე -  
გაქრობა — მკაცრი ეს განჩინება?

შეწევნით მტრული ძალაუფლების  
გამომარიდა არყოფნას, ვიცი,  
სულში ვნებათა მომცა სუფევა,  
გონება ეჭვით ამიგსო ციმციმ.

ახლა მიზანიც არ გამაჩინია,  
გული — ფუჭია, უქმი — გონება,  
და თან მომყვება მუდმივ აჩრდილად  
აბეზარ დღეთა ერთფეროვნება.

\*\*\*

მე თქვენ მიყვარდით. სიყვარულის ძალით შეძრული  
ჯერ არ ჩამქრალა ჩემში ცეცხლის ნიშატი, ვხედავ,  
მაგრამ მე თქვენი შეშფოთება არ მსურს, მერწმუნეთ,  
მცირეოდენი შეწუხება არ მინდა მეტად.

განგებამ უხმო, უიმედო გრძნობა მაღირსა,  
ვდუმდი, ხან შიში, ხანაც ეჭვი მახლდა რადგანაც,  
მე თქვენ მიყვარდით ისე წრფელად, ისე ფაქიზად,  
რომ ღმერთმა ქნას და შეგიყვაროთ სხვამაც ამგვარად.

\*\*\*

ძვირფასო, გვედრებ, ნუ გამაგონებ  
ქართულ სიმღერას ნაღველმორეულს,  
მე ის შორეულ ნაპირს მაგონებს,  
სხვა ცხოვრებას და ნაპირს შორეულს.

რა ვქნა, თუ მე ამ დამთრგუნველ ხმაზე  
დავიწყებული ამიცხადდება:  
სტეპია, ლამე და მთვარე სავსე  
და შორეული ქალის ხატება.

ეს მოჩვენება უძვირფასესი —  
უჩინარდება, როცა შენ გიმზერ,  
მაგრამ სიმღერა როცა ჩამესმის —  
ჩემ თვალწინ ელავ ისევ და ისევ.

ძვირფასო, გვედრებ, ნუ გამაგონებ,  
ქართულ სიმღერას ნაღველმორეულს,  
მე ის შორეულ ნაპირს მაგონებს  
სხვა ცხოვრებას და ნაპირს შორეულს.

\*\*\*

მე ქუჩაში ვარ, ან ტაძრად თუნდაც,  
მრავლად არიან სადაც მლოცველნი,  
ან ყმაწვილთ შორის; ასეა მუდამ,  
შეპყრობილი ვარ ჩემი ოცნებით.

მე ვამბობ: სწრაფად იცვალნენ დრონი  
და თუმცა აქ ვართ და ვართ მრავალნი,  
ყველანი წავალთ და უკვე მგონი  
გვიახლოვდება უამი მავანის.

და ჰა, მარტომდგარს შევყურებ მუხას,  
ტყეთა პატრიარქს მივესალმები,  
ჩემს უამსაც გალევს, — ვამბობ და ვწუხვარ, —  
როგორც გალია უამი მამების.

ბალლი, ჰო, ბალლი როცა მიჭირავს,  
ო, მეპატიოს, ვამბობ მოწყენით —  
შენთვის და ჩემთვის თავი იჩინა  
დრომ — ყვავილობით და ფოთოლცვენით.

ომში თუ ზღვაში? სად აღმასრულებს,  
ბედისწერა რას მარგუნებს ხვედრად?  
განსასვენებელს ვპოვებ სასურველს?  
ჩემს გაციებულს რა ელის ცხედარს?

გვამს უტყვის და უგრძნობს, არც რის დამნახველს  
ელის შხოლოდლა კუბოს ფიცარი,  
და მაინც ჩემად ვცნობ იმ სანახებს,  
სიყმაწვილიდან რომ შევიცანი.

სამარის კართან დაუთრგუნველი  
მსურს ენთოს ყოფნა, როგორც სანათი  
და კიაფობდეს გულგრილ ბუნების  
ცხოველმყოფელი ხიბლი მარადი.

## ბულბული და ვარდი

ამ გაზაფხულზე ღამე აფენს სიწყნარეს ბაღნარს,  
აღმოსავლეთის ბულბული ვარდს უგალობს ლალად,  
მაგრამ, ვაი რომ, ეს გალობა და ეს სიმღერა  
ვარდს არ აბრუებს, თვლემს და ძილში ოდნავ ირჩევა.  
შენც ასე უმღერ ცივ არსებას, შენ ხარ პოეტი  
და ეს სიმღერა არის მისთვის მიეთ - მოეთი.  
გულს ვერ უტოკებ, ვერ აფხიზლებ და ვერ აღვიძებ,  
ყვავილობს, მაგრამ ვერ გპასუხობს შენს დაძახილზე.

## ქარიშხალი

ო, შენ იხილე ქარაფზე მდგარი  
ქალწული თეთრი შესამოსელით,  
როცა უკუნში მძვინვარე ქარი  
ნაპირს არბევდა ყოვლის მომსრველი.  
როცა ცარგვალზე შუქმა იელვა  
და გააპრწყინა ქალი ალისფრად,  
და საბურველი აუფრიალა  
გამუდმებულმა ქროლვამ ქარისამ.  
მშვენიერია ზღვა ნაქარევი  
და უკუნი ცაც, ელვა რომ ხაზავს,  
მაგრამ ის ქალი, მდგარი ქარაფზე  
მიჯობს ქარიშხალს, ცასაც და ზღვასაც.

\*\*\*

კვლავაც ისა ვარ, რაც ვიყავი, ძვირფასო, უნინ,  
უზრუნველი და მოტრფიალე. ძმანო, ხომ უწყით,  
სილამაზესთან უგრძნობელი არა მაქვს ხელი  
მუდამ ვეპყრობი ჩუმი შიშით, იდუმალ ღელვით.

ვინ იცის, ტრფობამ გადამყარა ფორიაქს რამდენს,  
და ვსხმარტალებდი ისე, როგორც არწივის მართვე,  
კიბრიდას მაცდურ ბადეებში გამომწყვდეული,  
მე ვერ გამტეხა, ვიცი, მწარე შეურაცხყოფამ,  
იქით ვისწრაფვი, სადაც სულ სხვა კერპი მეგულვის...

## ევგენი ბარატინსკი (1800 – 1844)

112

### ვარსკვლავი

ეს რაოდენი ვარსკვლავებია,  
ახედე ტატინობს,  
იქ ვარსკვლავებით გარშემორტყმული  
მთვარეა მარტო.

ვარსკვლავთ შორის კი უსათნოესი  
ერთია, ერთი,  
რა აქვს ასეთი, იქნებ ნათება —  
მკაფიო, მკვეთრი?  
არა! ნუგეშს პგვრის ციმციმი მისი  
მეგობრებს გაყრილს  
და მზერა მზერას ვარსკვლავზე ხვდება  
აწვდილი მაღლით.

ვარსკვლავი ბუუტავს, ფიქრიანია  
და არ ელვარებს,  
მზერას უგზავნის პასუხად მზერას  
ნაზად მღელვარე.

მას თვალს ვაყოლებთ უძრავ ღამეში  
დამდგარნი მზირად  
და მივაცილებთ თვალმიღევნებით  
ცის თაღზე ხშირად.

ამოირჩიე შენი ვარსკვლავი?  
ახედე ტატინობს?  
იქ მრავალს იტევს თავის წიაღში  
ცარგვალი ფართო.

შენ ნურავის ნუ შეემსჭვალები  
ხელდახელ, უცბად,  
ნუ მიგიზიდავს ყველაზე მკვეთრი  
ვარსკვლავი სულსწრაფს.

ის აირჩიე, ვინც ფიქრს ასხივებს  
და არ ელვარებს,  
ვინც მზერას მზერით პასუხობს მუდამ,  
ნაზად მღელვარე.

# მიხაილ ლერმონტოვი

(1814 – 1841)

## პოეტი

113

ოქროს ვარაყში ჩაჭედილი მახვილი ელავს,  
სატევარია დაუძრახველი,  
აღმოსავლეთში გამოკვერეს ჯადოთი ძველად  
და მტერს ატყვია მისი ნახმლევი.

ის ემსახურა თავგანნირვით მორკინალ მხედარს  
და არ ყოფილა წილის მხვენარი,  
ბევრი მხედარი აჩესა და აქცია ცხედრად,  
ჯავშანი გაჭრა, როგორც ზენარი.

მონაზე უფრო უმორჩილესს, მონურად მორჩილს,  
სიტყვებს უზღავდნენ შეურაცხმყოფელს,  
ის გაკვესავდა და მის მიერ გზადაგზა მოჭრილ  
მომხვდურთა თავებს ერთურთს აწყობდნენ.

თერგის ნაპირას მოთარეშე ერთმა კაზაკმა  
აართვა იგი ბატონის ცხედარს,  
მას აქეთ უკვე ველარავინ ველარ დასაქმა,  
სომხის ფარდულში ის ეგდო ერთხანს.  
სასტიკ ომებში დაილენა მისი ქარქაში,  
და ძველ ომებში თავების მკვეთელს,  
ან უსახელოს და უგნებელს გააქვს კაშკაში,  
და სატევარი ამშვენებს კედელს.

ან ალარავინ ალარ ეძებს — არ მიარნევენ  
წვეულებებზე — არც არავინ ალარ მოძებნის,  
ან ალარავინ არ კითხულობს მის ძველ წარწერებს,  
განთიადისას ცხარედ მლოცველი.

და შენც, პოეტო, ამ გულაზიზ საუკუნეში  
დაკარგე შენი დანიშნულება,  
ღირსებას ოქრო ანაცვალე, დაგმე ნუგეში  
ხალხისა, შენთვის სიკეთეს რომ არ იშურებდა.

შენმა მხნე სიტყვამ ვაჟკაცს უდრეკს და არმოშიშარს  
მამულის სარგოდ სისხლი ადინა,  
შენ ხალხს უნდოდი, ვით გუნდრუკი მლოცველს ლოცვის უამს,  
ხოლო მეღვინეს — თასი ნადიმად.

შენი მხნე სიტყვა, ვით ღვთის სული მოკვდავთა ზედა,  
ქროდა და ჟღერდა სიყვარულის წილ,  
კაცთა გულებში ვეჩეს კოშკის ზარივით მედგრად  
ხმა სიკეთისა რეკლა ურიცხვი.

დღეს კი მოგვყირჭდა ეგ უბრალო, ამაყი უღერა,  
დღეს ყელთამდე ვართ ფუჭი ქადილით,  
ძველი ქვეყანა თუმცა ძველი ელფერით ელავს,  
ეგ ელვარება ყალბია და არანამდვილი.

წინასწარმტკმელო ლაფდასხმულო, ვაითუ არ ქნა,  
აღარ ჩასჭიდო მახვილს მტევანი,  
და არ გააძრო შურისგებით შეძრულმა ქარქაშს  
ჩაჟანგებული ეგ სატევარი?!

## იალქანი

შორს იალქანი ციმციმებს თეთრად,  
ცისფერი ბინდი ახლავს შორეულს,  
იმ სიშორეში რას ეძებს ნეტავ,  
ან აქ რა დარჩა ბინდ-ბუნდმორეულს?  
ლივლივებს ტალღა, ქმუის ზღვაური,  
ანდა ჭრიალებს და იღუნება,  
ბედნიერებას ის არ გაურბის,  
არც მისი ძებნა მოეცუნება!  
მის ფერხთით ტალღა კამკამებს უხმოდ,  
ლაჟვარდს სხივების ციალი შვენის,  
ის კი, მშფოთვარე, ქარიშხლებს უხმობს,  
თითქოს ქარია მომტანი შვების!

\*\*\*

გტოვებ, რუსეთო, ჭუჭყით მოსვრილო,  
ბატონების და ყმების ქვეყანავ,  
თქვენც, მუნდირების ჯავშნით მოსილნო,  
შენც, ხალხო, ყმობა რომ შეგეყარა.

კავკასიონის დიდი კედელი  
დამიცავს, რათა შენი ფაშების  
ვერ მომწვდეს თვალი ყოვლისმხედველი,  
ვერც ყური — ყოველ ჩქამის დამჭერი.

\*\*\*

მე მარტოდმარტო დავადგები გზას უჩუმარი,  
ქვა-ლორდიანი გზა ნისლებში ჩაფლული ბრნყინავს,  
ჩუმია ღამე. უდაბნო ლმერთს უსმენს მდუმარი,  
ვარსკვლავი ვარსკვლავს ესიტყვება შორს ცათა შინა.

გაბრნყინებული ცის თაღია, წყნარი წიაღი,  
მინას ცისფერი შუქი ადგას და თვლემს ყოველი,  
მე კი რა დარდი მეძალება, ან რას ვინაღვლი?  
რა მენანება აგრერიგად, ან რას მოველი ?

ამ ცხოვრებისგან ხომ არაფრის მომლოდინე ვარ,  
აღარ მადარდებს მე ჩავლილი წლები წინარე,  
თავისუფლება და სიმშვიდის ნელი დინება  
მინდა და მსურს, რომ მივიდრიკო თავი მძინარემ.

ოღონდ არ მინდა, რომ დადუმდეს ირგვლივ ყოველი,  
მსურს და მწადია საუკუნოდ ვიძინო ისე,

რომ მკერდში დუღდეს სასიცოცხლო ძალა ცხოველი  
და რომ ვსუნთქავდე და ვერწყმოდე სიცოცხლეს მისებრ.

რომ მთელი დღე და მთელი ღამე ალერსით სავსე  
მე ჩამესმოდეს სიყვარულის ტკბილი ზღაპარი,  
და მარადმწვანე შრიალებდეს მუხა ჩემს თავზე,  
შრიალებდეს და ზედ მაფენდეს ჩრდილთა საფარველს.

\*\*\*

მთაზე ჩრდილოეთში ფიჭვი დგას მაღალი,  
ალსავსე თვლემით და თრთოლვით,  
ირწევა და ფიფქი ზედ გადანაყარი  
თითქოს სამოსია თოვლის.

უდაბნო ესიზმრა ამ ფიჭვს შორეული,  
სადაც მზე სხივებს ჰავენს მრავლად,  
იქ კლდეზე მწუხარე, ჩუმი და ეული  
ყვავილობს ნარნარი პალმა.

## ფიოდორ ტიუტჩევი

Silentium!

ხმას ნუ გაიღებ, დადუმდი, დაცხრი,  
რა სურვილიც გაქვს, ოცნება რაც კი,  
დე, ყველამ უხმოდ და უხმაუროდ  
შენს სულის ფსკერზე იმოგზაუროს —  
შეავლე ფრთხილად მზერა სათუთი,  
როგორც ვარსკვლავებს, და გთხოვ, დადუმდი.

როგორ ამოთქვას, გულს რაც სწადია,  
კაცთაგან ზრახვას შენსას ნამდვილად  
გაიგებს თუნდაც ერთი მათგანი?  
ყალბია აზრი გამონათქვამი.  
იდუმალ წყაროს ნუ აამტუტებ, —  
სჯობს დაენაფო და სჯობს დადუმდე.

იცხოვრე შენი არსების შიგნით,  
სადაც იდუმალ და გრძნეულ ფიქრის  
ქვეყნიერება მოგფენს ნათებას,  
ის ხომ დღის შუქზე გაიფანტება  
და ხმაც ჩახშობს უიდუმალესს...  
უსმინე მას და იყავ მდუმარე.

\*\*\*

არის მცირე დრო ადრეული შემოდგომისა,  
დრო სულ ხანმოკლე და მომზუსხავი,  
როცა სინათლე ბროლისებრი ლაშვარდს მოიცავს  
და მიმწუხრს შუქი ახლავს უზღვავი.

სადაც თავთავებს მიაპნევდა ნამგალი გზნებით,  
იქ ისადგურებს სიცარიელე,  
კვალში გაბმულა სიფრიფანა ობობას ქსელი  
და წვრილი ძაფი სხივზე იელვებს.

ჩაჩუმდა სივრცე, არ ჭაჭანებს არსად ფრთოსანი,  
ზამთრამდე, ვიცი, არ გაავდრდება,  
და წყნარ, მთვლემარე ველებსა და მინდვრებს ადნება  
ლაუგარდი თბილი და სხივოსანი.

\*\*\*

მოედინებით თქვენ, ცრემლებო ადამიანის,  
როცა ჟამია ადრეული ანდა გვიანი....  
და განუწყვეტლივ ცვივა თქვენი ცხარე კურცხალი —  
აურაცხელი, აუთვლელი და აუწყავი.  
მოედინებით გამუდმებით და მოღვარღვარებთ,  
ვით შემოდგომის წვიმის თქეში ნაშუალამევს...

## ივან ბუნინი

(1870 – 1953)

\*\*\*

ის თვლემდა, როცა მე ფეხაკრეფით  
შევედი მასთან, სავსე მთვარე კი  
ფანჯრიდან ჩანდა, გადახდილ საბანს  
ეფინა შუქი, ვით ანარეკლი.

პირალმა მძინარს და მოცულს სიზმრით  
მკერდზე ებნია ნათელი მთვარის,  
და როგორც წყალი, სურაში მდგარი,  
სიზმარში იდგა სიცოცხლე მისი.

## სტეპში

წუხელის სტეპში შორეული სანახებიდან  
მე შემომესმა წეროების გადაყივლება;  
ეს რა ხმა იყო! ველური და მსუბუქად  
მულერი, რომელიც მდორედ გადაევლო  
გარინდულ ველებს... გზა მშვიდობისა!  
მიდიან და სულ არ ანაღვლებთ ამ მიდამოდან  
გადახვეწა ნაუცბათევი. ასეა, რადგან  
იმ მოლურჯო, თბილ ზღვების მიღმა  
მათ ელოდებათ გაზაფხული ცხოველმყოფელი,  
ჩვენ კი მოგველის პირქუში და კუმტი ზამთარი.  
გადახმა ველი, ტყე ჩაყრუვდა და გადაყვითლდა.  
მერე დაბერა შემოდგომის ნოტიო ქარმა,  
ზემოთ ღრუბლები შეჰყარა და ქვემოთ ჩირგვებში  
ცხოველებისთვის გამოხშირა საძრომ-სავალი;  
მჭკნარი ფოთლები მიაფინა ყველა ხეობას,  
ყველა ხევსა და ყველა ღრანტეს და უკუნეთში,

ისეთ წყვდიადში, თითს რომ თვალთან ვერც კი მიიტან,  
შუალამისას მოშრიალე, დაბურულ ტყეში  
წყვილად გაკვესავს მოციმციმე და მოკიანთე  
მგლების თვალები... ჰო, ამჟამად ეს მწყალობელი  
მშობელი მხარე გულს ვერაფრით ვერ მოგიფონებს!  
და მაინც, მაინც, მიმომფრენო ფრინველნო, გწამდეთ,  
თქვენი წკრიალა დაძახილი შურს არ აღმიძრავს,  
არ მეხარბება მე ეგ ლალი გადაყივლება,  
თქვენი ამაყი აღმაფრენა და მკვირცხლი სრბოლა.  
აქ ყრუ ნაღველი სუფევს ყველგან. უკვე მოგველის  
ყოვლისმომცველი წუხილი და დაღვრემილობა,  
როდესაც სტეპში ათევს ღამეს ყომრალი ნისლი  
და გარიურაჟი უკუნეთში სჭივის ოდნავლა.  
და სქელ ბურუსში გორაკები გამოკვალთულა.  
ო, მომყივანო წეროებო, მე მაინც მიყვარს  
ეს მშობლიური ველ — მინდვრები და ლაჟვარდები,  
ეს უპოვარი სოფელია ჩემი მამული,  
კვლავ ვუბრუნდები ნაცნობ ნიალს და დაქანცული  
ამ უთავბოლო მარტოსული წანალის შემდეგ  
ვგრძნობ მის მშვენებას მოწყენაში და,  
ამავე დროს, ბედნიერებას მგვრის მისივე მწუხარე ხიბლი.

დროდადრო თბილი ნიავქარი წამოუბერავს,  
მზე გამოსხლტება და კაშკაშა ნათელს მოაფენს  
მოწყენილ სტეპს და ძველ კარ-მიდამოს,  
და ტყის ნოტიო ხმელ ფოთლებსაც გადაელვრება.  
ო, რა შვება და რა ხალისი მოიცავს მაშინ  
ამ არემარეს, ფრინველებო, წეტავ განახათ,  
ნეტავ იცოდეთ, არყისხის შავ და მეჩერ ტოტებს  
და მათ ოქროსფერ ფოთლებს შორის რა მოალერსე  
ცა აენთება! ამნაირ დროს მსურს ხეტიალი....  
ვგრძნობ ვერხვის სურნელს და შაშვების ჭახჭახი მესმის.  
ზოგჯერ შორეულ ხუტორისკენ გავეშურები  
და ვხედავ, მწვანე ჭირნახული როგორ ხასხასებს,  
როგორ კრთის მზეზე ნახნავების ხავერდოვნება,  
შორს კი ვრცლად გაშლილ, მოოქროვილ ნაქერალებზე  
გამჭვირვალე და სხივოსანი ბურუსი წვება.

და მესმის, ჩემი გაზაფხული მეხმიანება,  
მე ჩემი შორი სიყმანვილის ძახილი მესმის,  
ო, მიმომფრენო ფრინველებო, ცის გადამსერნო,  
რა ნაღვლიანად გაცილებდით ჩრდილოეთისკენ!  
მე მაგონდება ბედნიერი ყმაწვილკაცობა,  
განვლილი დრო... თუმც, რაც დამშორდა, არ მენანება,  
რაც მიინურა, ის უთქმელად მარხია გულში,  
ხოლო ხიბლი კი ყველგან ახლავს ქვეყნიერებას.  
ის ჩემთვის მუდამ ნანატრი და მიმზიდველია:  
მუქლურჯ ზღვებს მიღმა გაზაფხულის ამზეურება  
და ჩრდილოეთის ჩამქრალი და მწირი ველები,  
და ისიც, რაც თქვენ ვეღარაფრით ვერ განუგეშებთ,  
მოხეტიალე ფრინველებო, ვეღარასოდეს -  
ენითუთქმელი მორჩილება მწუხარე ხვედრის!

\*\*\*

ამ ბაღში უკვე ფოთოლი ცვივა...  
 ამ ბილიკებზე, ვინ იცის, ღმერთო,  
 თუ მე რამდენგზის მივლია წინათ  
 რიურაჟზე, როცა მზე ოდნავ ენთო.  
 ბრუნავს და ბრუნავს გუნდი ფოთლების  
 როცა აწყდება ქარი ხმაურით  
 და ბაღს მოიცავს ჯერ შეშფოთება,  
 მერე დაღვრემა არაქაური.  
 მე მიყვარს, მიყვარს, მე ვარ ჭაბუკი  
 და სიხარული მახლავს თავნება,  
 რა ბედენაა ქარი ჩაუქი,  
 ან შემოდგომის ნისლოვანება.  
 მე ქარს გავყვები, რადგან ქარია,  
 მას მიაქვს ჩემი წრთელი სიმღერა.  
 მივალ, მივდივარ და მიხარია,  
 გული მიღელავს!  
 ამ ბაღში უკვე ფოთოლი ცვივა...  
 ისევ მშფოთვარე ქარით მოცული,  
 ამ ხეივნებში დავდივარ მწირად,  
 ძველ ხეივნებში, სულ მარტოსული!  
 პო, სიყვარულმა კვლავ მომიხელა,  
 გარემომიცვა მძაფრმა სურნელმა,  
 ისევ მწადია შევთხზა სიმღერა  
 მე, ბედნიერმა და უზრუნველმა.  
 მაშ, გული რატომ მეთანალრება,  
 შენ, ვინც მინაღვლი, ნეტავ, სადა ხარ?  
 ძველ ხეივანში ქარი აღელდა  
 და ეს ფოთლები ქრიან ქარდაქარ.  
 ცრემლი მომადგა დარდის მზიდველი,  
 ბაღს ახლავს ჭმუნვა არაქაური  
 და ქარს ფოთლები მიაქვს ყვითელი  
 წყნარი ხმაურით!

## მიხაილ კუზმინი

(1872-1936)

\*\*\*

„ალექსანდრია“ — მეტყვიან და ვხედავ მაშინვე  
 სახლს და თეთრ კედლებს, ქათქათა კედლებს,  
 ლევკოიონის კვლებს და ბაღჩას პანაწკინტელას,  
 შემოდგომის მზეს, ქანცმილეულს საღამოს პირზე  
 და შორეული ფლეიტების ულერა ჩამესმის.

„ალექსანდრია“ — მეტყვიან და ვხედავ მუდმივად  
 ვარსკვლავიან ცას მიყუჩებულ ქალაქის თავზე,  
 კუშტ კვარტალებში მობანცალე მთვრალ მეზღვაურებს  
 მროვავ ქალიშვილს, ტანს რომ არხევს თავგამეტებით  
 და მესმის ხმები დაირის და დავიდარაბის.

„ალექსანდრია“ — მეტყვიან და ვხედავ მკაფიოდ  
მწვანე ტალღებში მერამული მზის ჩასვენებას  
დიდრონ, მკენარა, გამეჩხრებულ ვარსკვლავთა კრებულს,  
ლამაზ წარბებქვეშ წაცრისფერი თვალების წათელს,  
რომელთაც ვხედავ მაშინაც კი, როცა არავინ  
არ მეუბნება ამ ერთ სიტყვას — „ალექსანდრია“.

\*\*\*

ვეშურებოდი, იყო ლამე და იყო ჯანლი,  
მე მაცილებდნენ მეგობარი და ჩემი ძალლი.

და ორთქმავლები უსტვენდნენ და არბევდნენ წყვდიადს,  
შენ კვლავ ერთგული თუ იყავი ისე, ვით წინათ?

წვებოდა ნისლი და ვფიქრობდი: ნუთუ ამ წყვდიადს  
მხოლოდ ტყუილი და სიცრუე მოჰყვება წყვილად?

ეს ორი შემწე: მეგობარი და ჩემი ძალლი  
მე მაცილებდნენ და წავიდნენ... და დარჩა ჯანლი.

\*\*\*

თვალს მჭრის პირველად ამოწვერილ ფოთლის სიმწვანე,  
მზის მწველი სხივი კვლავ ეცემა ჩემ წინ მიწაზე.

გადამავიწყდა წაკითხული წიგნი ყოველი,  
შთამბეჭდაობა ახლდა თუმცა ძალზე ცხოველი.

ვინც ზღურბლს გასცილდა, გზას დაადგა შეუჩერებლივ,  
ვინც გაიღვიძა, მან განაგდო ნისლი ჩვენების!

ცისკრის ვარსკვლავი... ცარგვალი ხომ მისი ბუდეა,  
ის, რაც გარდახდა, არასოდეს არ დაბრუნდება.

გახსენი შუბლი, რას მიქვია ცრემლის ღვარღვარი,  
მინდორ — ველებზე, სად ალვები დგანან მაღალი.  
ჩვენ რაც გზად გვიძევს, ნაგრძობია და განზრახული,  
ლამეს დღე მოსდევს, ზამთრის ყინვებს კი — გაზაფხული.

თუ დავიღალეთ, ჩამოვსხდებით გზად ნირუცვლელნი,  
რომ დარჩენილი წავიკითხოთ წიგნში ფურცლები.

შენ ხომ ცხოვრების მთხზველი არ ხარ, შენ ხარ მკითხველი,  
მოთხოვობის ბოლო უცნობია და ვერ მიხვდები.

## ინოკენტი ანენსკი

(1855 – 1909)

\*\*\*

სამყაროთ შორის მხოლოდ ერთის შემყურევიყავ, ახლაც ერთ ვარსკვლავს შევციცინებ, ჩემი შემწეა, არა იმიტომ, რომ ის მნუსხავს, ანდა ის მიყვარს, არამედ ვიცი, სხვებთან ყოფნა ტვირთად მექცევა.

და თუ მომაშოთ მწარე ეჭვმა სწეულის დარად, მჯერა, ვარსკვლავი გამიქარნყლებს, დამხსნის კირთებას, არა იმიტომ, რომ ის ნათელს ასხივებს, არა! არამედ მასთან მყოფს სინათლე არ დამჭირდება.

## ალექსანდრ ბლოკი

(1880–1921)

\*\*\*

ტაძარში იმათზე გალობდა ქალწული, ვინც უცხო მხარეში გახიზნა იღბალმა, ყველაზე, ვინც შუა ზღვაში გასული, ვინც უსიხარულო ხვედრით ვერ იხარა.

ხმა ზეაზიდული იპყრობდა გუმბათს, შუქი ეღვრებოდა მხარზე ვით წყალობა, და ყველა უსმენდა ბინდში და სდუმდა, და თეთრი კაბა მზის სხივზე გალობდა.

და თითქოს ყველასთვის მზე კვლავაც აღმოხდა, ყურეს შეეხიზნა ხომალდი რამდენი, ვინც უცხო მხარეში იყო და დაღონდა ყველამ მოიხვეჭა თითქოსდა ნათელი.

სხივი ნაზი იყო და ხმა კი ნარნარი, ხოლო იქ, მაღლა კი, მეუფის კარებთან მისანი ბავშვი ტიროდა - არავინ არ დაბრუნდებაო, ამას მწუხარებდა.

## სიკვდილზე თქმული

სულ უფრო ხშირად ამ ქალაქში დავეხეტები, სულ უფრო ხშირად ვხედავ სიკვდილს და მეღიმება მე გონივრული გაღიმებით. რა მოხდა მერე თუკი ასე მსურს, თუ დამყვება ჩვეული ფიქრი, რომ თავის დროზე მეც მეწვევა ალბათ სიკვდილი. ამასწინათ იპოდრომის შემოგარენში მივაბიჯებდი. კამკამა და ოქროცურვილი დღე მთვლემარებდა გზისპირ მიყრილ ქვების გროვაზე და გზატკეცილის მომიჯნავე ყრუ მესერს მიღმა ლორთქო სიმწვანე ხასხასებდა. იქ მოალერსე

მზის მკრთალ სხივებში თავჩახრილი თვლემდა თავთავი  
და გაზაფხულზე გაბნეული ბაბუაწვერა,  
ხოლო შორს, თვალისგანვდენაზე მოლაზლანდარე  
მოდასაყოლილ უქნარათა ბრბო უსახური  
ბრტყელ სახურავქვეშ ტრიბუნაზე შეყუულიყო.  
ვხედავდი ბრბოში მოფრიალე პანია ალმებს  
და ჯამაათსაც ღობებზე ყინჩად შემომსხდარს.

მივაბიჯებდი. ჩამესმოდა სწრაფი ჯირითი  
მსუბუქ მიზაზე, უსწრაფესი ფლოქვების ჩქამი.  
მერე მომესმა უეცარი წამოძახილი —  
ჩამოვარდაო, გაჰყვიროდნენ მოთვალთვალენი,  
და მეც მაშინვე შევდგი ფეხი პანია კუნძზე  
და ეს სურათი ერთბაშადვე შემომეფეთა:  
თავაზყვეტილი უოკების მძაფრი ჭენება  
და მათ ზურგსუკან მოჯირითე ეული ცხენი  
და ჰაერშივე ატყორცნილი მისი უზანგი;  
არყის ხეების მოშრიალე გვირისტის მიღმა,  
აქვე, ჩემ თვალწინ, ჩემ მახლობლად ეგდო უოკეი,  
ეცვა ყვითელი უნიფორმა, ბალახში ინვა,  
როგორც დაეცა, გაუნძრევლად ეგდო პირალმა,  
შეღრმავებული ცარგვალისკენ პირმიქცეული,  
გეგონებოდა, ასე ინვა დასაბამიდან —  
ხელები ფართოდ, უზრუნველად გადაეშალა,  
ცალი მუხლი კი შერჩენოდა ოდნავ მოხრილი.  
თითქოს ამგვარად უკეთესად მოწყობილიყო.  
მოსეირენი გამორბოდნენ მისკენ საშველად  
და უკვე ეტლიც მოიწევდა ნელი ტაატით.  
მოირბინეს და აიტაცეს ხელში უმალვე.  
მჭიდროდ მიტმასნილ და ჭუჭყიან, ვიწრო კაბის ქვეშ,  
ასილაქებდნენ ბავშვებს და თან ნადავლს ართმევდნენ,  
ართმევდნენ ნაფოტს, აგურსა და ნათალ ძელურებს.  
და ამ მძიმე ტვირთს თვინიერად ეზიდებოდნენ,,  
ხოლო ბავშვები, მოფუთფუთე ჯგროდ შესეულნი,  
კვლავ იპარავდნენ; ზოგი — აგურს, ზოგი კი — შეშას.

უცბად მომესმა დგაფუნი და წამოყვირება, —  
ჩამოვარდაო, დაიძახეს ნავის კიჩოდან,  
მუშას ურიკა დაეგდო და ხელგამვერილი  
მიანიშნებდა მდინარისკენ დაძრულ ჯამაათს,  
და ეს ჭრელი ბრბო, პერანგებში გამოწყობილი,  
ეშურებოდა გამალებით იქითკენ, სადაც  
ნარიყ ქვებთან, იქ, ბალახებში, ზედ მდინარესთან  
ეგდო ბოთლი და მავანი კი ბარჟას ათრევდა.

და იქვე, იქვე, იმ ნაპირთან, წყალში ასვეტილ  
ხიმინჯებს შორის ტივტივებდა ადამიანი,  
ეცვა პერანგი, შარვალი კი შემოსცვეთოდა  
და ირწეოდა სულ ოდნავად წყლის ზედაპირზე.  
მუშები მჭიდროდ და ღონივრად ჩაებლაუჭნენ,  
ამოათრიეს გაშხვართული, წოწოლა ტანი,  
რომელსაც წყალი დასდიოდა ნიალვარივით,

ამოათრიეს და გაშოტეს სანაპიროზე.  
 პოლიციელი დიდრონ ქვებზე ხმალს აკვესებდა,  
 მერე გაშოტილს დაებჯინა, მიაყურადა,  
 სველ მკერდზე დიდხანს მიბჯენილი აყურადებდა,  
 ასე ბეჯითად გულისცემას უსმენდა ალბათ.  
 სხვები კი, სხვები, ბრძოს ბორიალს გამოხიზნულნი  
 ქარაფშუტულად რატრატებდნენ გაუთავებლად,  
 რას არ ამბობდნენ და ვის აღარ ჩაჰკირკიტებდნენ -  
 ვაითუ, წყალმა დასცადაო, გაიძახოდნენ,  
 მერე ისიც თქვეს, იქნებ მეტი მოუვიდაო,  
 მერე კი ყველა უხმაუროდ შემომეცალა,  
 და მეც ჩემი გზით უდრტვინველად წამოვეხეტე,  
 წამოსულს ამყვა მთვრალი მუშის ნასაუბრევი -  
 ღვინო არისო ყველას ხელის მომთავებელი,  
 ღვინო ღუპავსო დღეცისმარე ადამიანებს.

წავალ და კიდევ სხვა მხარისკენ წავეხეტები,  
 ვიდრე მზე ბრნყინავს და ჰაერში ვიდრე ხვატია  
 და ვიდრე ზანტად რიალებენ თავში ფიქრები.

გულო, გამიძეხ შენ მეგზურად და წინამძღოლად,  
 ოღონდაც სიკვდილს მომღიმარებ ადევნე თვალი,  
 ვიცი, რომ დაგლლის ჩემეული დალხენილობა,  
 ასეთ სიყვარულს და სიძულვილს ვერვინ გაუძლებს,  
 მე რომ ვიტვირთე და ჩემს წიაღ რომ დავატარებ.

მინდა, რომ ყველას ჩაგცეროდეთ ჯიქურ თვალებში,  
 ვსვამდე ღვინოს და ქალებს ამბორს არ ვამადლიდე,  
 და სურვილების მხურვალებით ავავსო მწუხრი,  
 როდესაც ხვატი არ მანებებს დღისით ოცნებას  
 და თან ვმდეროდე ცხოველმყოფელ, ძლიერ სიმღერებს,  
 და ქარის ქროლვას მარადიულს ვაყურადებდე.

## ნიკოლაი გუმილიოვი (1886 – 1921)

### ჟირაფი

მე ვატყობ, ეგ მზერა დღეს დარდმა რა მწარედ დადალა,  
 რა შნო აქს მაგ ხელებს, მუხლებზე მოქდობილს, რა შნო და ჯავარი.  
 იცი, ჩადის ტბასთან, შორს, ქვეყნიერების გადაღმა  
 ერთი ჟირაფია უნატიფესი და სულ მარტო მავალი.  
 და მისი ტანია გრაციით ალსავსე, ნაზი და წერნეტა, —  
 ტყავი მოხატული, თითქოს ხატავდაო ყალამი გრძნეული,  
 მთვარე თუ გაბედავს, რომელიც ტბის ტალღებს უსიტყვოდ ეწვევა,  
 მასთან შედარებას — მთვარე, მოლივლივე ტალღებში მსხვრეული.  
 ჟირაფი შორიდან მსგავსია ფრიალა ფერადი აფრების,  
 გარბის და, ფრინველს ჰეგავს, ლაუკარდებს ლალად რომ მიარღვევს,  
 და ქვეყნიერებაზე მართლაც სილამაზე არის დამზაფვრელი,  
 როცა ის თავს აძლევს ბინდის ჟამს მღვიმეთა უდაბურ წიაღებს.

ჩემს მახსოვრობაში ზღაპრები ასხმულა მშვენიერ მძივებად, -  
შავი ქალიშვილის, ვნებით ანთებული ჭაბუკი ბელადის,  
მაგრამ რად არა გწამს ქვეყნად არაფერი შენ გარდა წვიმების,  
ო, ძალიან დიდხანს შენ იყავ ჩაფლული ნისლებში ყელამდე.  
როგორ მოგიყვები მე ამბავს შორეულ ტროპიკულ ბალების,  
იქ რომ პალმებია და სურნელოვანი ბალახი მრავალი,  
შენ სტირი... იცი, შორს ელავენ ჩადის ტბის ტალღები  
და იქ უირაფია უნატიფესი და სულ მარტო მავალი.

## სონეტი

ავად ვარ: გული დამიმძიმა ხშირმა ნისლებმა,  
მომძეზრებია ქალიც, კაციც, ყველა საგანი,  
მე სადედოფლო ალმასები დამესიზმრება,  
სისხლში მოთხვრილა ჩემი ფართო იატაგანი.

მაქვს მოჩვენება ნალდი, არა სიზმრისმაგვარი,  
თათარი იყო ნინაპარი ჩემი ელამი,  
მძვინვარე ჰუნი... შემეყარა სწება ვერანი  
საუკუნეებგამოვლილი, ვით ნიავქარი.

ვდუმვარ და ვწვალობ, დაიხიეს უკან კედლებმა  
და ოკეანეს თეთრ ქულებად ქაფი ედება,  
გრანიტზე წვება საღამოხანს მზის შუქი მოკლე,

ქალაქს ცისფერი გუმბათები შვენის მაღალი,  
ყველგან ყვავილობს ჟასმინი და ყვავის ბაღნარი,  
მავანს ვებრძოდი და ... ჰო, მართლა! მეც იქვე მომკლეს...

## ვლადიმირ ხოდასევიჩი

\* \* \*

კვლავ ნაზი ხმა მდევს ყოვლით  
და კვლავ დუმილი მიხმობს,  
ვხედავ დაბლობზე თოვლი  
დევს — ფანჯრის მინებს მიღმა.

საათის ჩქამიც მახლავს,  
ლექსიც შრიალებს ოდნავ,  
ბედიც მიღიმის ახლა  
და აღარ მაკრთობს ცოდვა.

ყველა დავტოვე, შინ ვარ,  
ჩავლილის არ მწყინს ჩავლა,  
აქ სულს ვამყოფებ მშვიდად,  
სიხარულს სევდა მსჭვალავს.

უცნობ ოცნებებს ვუხმობ,  
მანთებს ახალი სხივი,  
ვარდებს გაფანტავს მწუხრი  
თოვლზე და უხმოდ ღვივის.

## ანა ახმატოვა

(1889 – 1966)

\*\*\*

ოცდაერთი. ორშაბათი. ღამე.  
დედაქალაქს სურს ღამესთან შეყრა,  
ვაღაც ყბედმა თქვა ასეთი რამე:  
სიყვარული არსებობსო ქვეყნად.

და ირწმუნა მცონარების გამო  
ყველამ ეს და ამ ნათქვამით ცხოვრობს —  
გაყრა სძულს და ისევ შეყრას ღამობს  
და სიყვრულს უკმევს გუნდრუკს მხოლოდ.

მაგრამ ზოგჯერ გაფხიზლდება მთვრალიც  
და სიმართლე შეატოკებს მავანს,  
მეც როგორლაც ამეხილა თვალი  
და მას აქეთ ავადა ვარ, ავად.

## ლოთის ცოლი

„და მიიხილა ცოლმან ლოთისამან  
მართლუკულმართ და იქმნა იგი  
ძეგლ მარილისა.“  
დაბადება.

და ლოთი მართალი ანგელოზს ღმერთისას  
ნათლით შემოსილი მიჰყვება მთისკენ,  
ცოლი კი, რომელიც კერას შეეთვისა,  
შფოთავს და განგაშით აღძრულ ხმას ისმენს:  
„არ არის გვიანი, იქნები ცოდო,  
თვალი არ შეავლო მშობლიურ სოდომს,  
არ არის გვიანი, მერნმუნე, ჯერაც,  
უკუგამოხედე ეზო-კარს, კერას,  
სადაც მღეროდი და სადაც ძაფს ართავდი  
და ლოთის შვილები ამრავლე მართალის.“  
მოხედა — ტკივილით მზერანართმეული  
გაქვავდა. თვალისჩინს უხშობდა დარდი,  
ქვამარილის სვეტად ექცა მას სხეული,  
მინას შეეზარდა ფეხები მარდი.  
ვინმემ კი იგლოვა? თუ ხსოვნა ფერფლია?  
ხუთუ მსხვერპლთა შორის ის მცირე მსხვერპლია?  
ვინც თავი შესწირა მოხედვას ერთადერთს,  
მას ვერ დავივიწყებ ვერასდროს, ღმერთმანი.

\* \* \*

შენ თვითონვე გამომიგონე, ასეთი ხომ არავინაა,  
რომ არ შეგეთხზე, ასეთს ქვეყნად ვერვის ჰპოვებდი,  
ეს მოჩვენება იქცა შენთვის მშფოთვარ ბინადრად —  
ვეღარ გიშველის ვერც ექიმი და ვერც პოეტი.

ჩვენ შევხვდით, როცა უამი იდგა გაუგონარი,  
ქვეყნიერების უძლურება ვიგრძენ სიცხადით,  
სვედავსილობის უამი იდგა, უამი მგლოვარი,  
და მაშინ მხოლოდ საფლავები იყო ცინცხალი.

წყვდიადში ნევის ზვირთს კუპრივით თალზი ებურა,  
ყრუ კედელივით იწვა ირგვლივ ლამე მაღალი,  
ხედავ შენ, რა დროს მოგაწვდინე ხმა უნებურად!  
მე ხომ თვითონვე არ ვიცოდი, რას ვიზრახავდი.

და მოხველ, თითქოს შორს ვარსკვლავმა გზა გაგიბრნყინა,  
შენ - ტრაგიკული შემოდგომის წიაღს წვეული,  
იმ უკაცრიელ სახლში, სადაც გაქრა პირწმინდად  
და გაიფანტა ლექსთა გუნდი ნაცრადქცეული.

\* \* \*

უცბად დადუმდა სახლში ყოველი,  
ყაყაჩოს მოსწყდა ბოლო ფურცელი,  
თვლემა მერევა ყოვლისმცყრობელი  
და ამ ადრეულ უკუნს ვუცქერი.

კარია მჭიდროდ გადარაზული,  
ჩუმი ქარია, შავი საღამო,  
სად არის ჩემი საქმრო წასული,  
ვინ მანუგაშოს, რამ გამახაროს?

ის იდუმალი არ ჩანს ბეჭედი,  
და მოლოდინის ვრჩები ბინადრად,  
იმ სიმღერას კი, გულში შეჩენილს,  
სხივი ჩაუქრა და სულ მინავლდა.

\* \* \*

ჰო, შენ გგონია - მეც სხვას ვედრები,  
რომ დავიწყება ჩემიც ეგების,  
ლანგს დავიკანრავ გმინვით, ვედრებით  
და ქურანა ცხენს ქვეშ გავეგები.

ან პურის ნაფშვენს შელოცვილ წყალში  
ხვეწნით გამოვთხოვ მკურნალს მაშინვე,  
ჩემს სურნელოვანს ცხვირსახოცს გავშლი  
და შენ გიბოძებ ამ ძღვენს საშინელს.

წყეულიმც იყავ! ნაძრახ სულს აღარ  
მივიჩნევ ჩემი შეხების ღირსად,

ანგელოზისას ვფიცავარ ბალნარს,  
სასწაულმოქმედ წმინდა ხატს ვფიცავ,  
ვფიცავ ღამეებს, დაჩნეულს დაღად,  
რომ შენკენ აღარ ვიპრუნებ პირსაც!

\*\*\*

ჯერარნახულმა შემოდგომამ აიწვდინა გუმბათი მაღლა,  
არდაბნელება იმ გუმბათის ებრძანათ ღრუბლებს,  
უკვირდა ყველას: სექტემბერი გასრულდა ახლა,  
არც თოშიაო და არც ნესტი ამ უამთა ზღურბლზე.  
ზურმუხტისფერმა გადალეკა სიმღვრივე არხთა,  
ჭინჭარს რა სუნი ელვრებოდა, ვარდივით მფეთქავა!  
ალისფერ რიურაჟს სულთამხუთავს ის გრძნება ახლდა,  
რაც შთავიბეჭდეთ ჩვენ ცხოვრების ბოლომდე ერთად.  
მზე ბრდღვიალებდა მეამბოხე, ქალაქის შიგნით,  
გაზაფხულივით შემოდგომა ეტრფოდა ხარბად,  
ენძელა კრთისო, იფიქრებდი, თეთრი, ვით ფიფქი...  
და პა, შენც მაშინ მოადექი წყნარად ჩემს პარმალს.

\*\*\*

უუმური წვიმა ცრიდა,  
ფეხი მოერთხა წკვარამს,  
გზად გამოგყვეთო, მინდა, —  
შემომთავაზა წყნარად.  
კი დავყაბულდი, მაგრამ  
არ შემიხედავს მისთვის,  
ასე ვიგონებ ჩამქრალ  
გზას, შემობურულს ნისლით.  
ჯიუტი რიხით ულერდა,  
მგზავრის სიმღერა ლალი  
და გავიარეთ ერთად  
საკმევლის მსგავსი ჯანლი.  
და გზა როდესაც შეწყდა —  
მახსოვს, უძველეს კართან,  
ჩემი მეგზური შეცბა —  
მომიტევეთო, მკადრა.  
ჯვარი მაჩუქა თითბრის —  
ძმად დავიგულე ღვიძლი,  
ყველგან ჩამესმის თითქმის  
ჰანგი, სტეპში რომ იძვრის.  
მსურდა შინ შვება მეგრძნო,  
ჯავრი მელავს ცრემლის მგვრელი,  
დავეძებ უცნობ მეგზურს  
ხმა მომაწვდინე — გელი!

\*\*\*

და აპა, ისიც — შემოდგომის ყრუ პეიზაჟი,  
რომლისაც ასე მეშინოდა მთელი ცხოვრება,  
ცა უფსკრულსა ჰგავს — მოგიზგიზე, აბოლებული,  
ქალაქის ჩქამი სამუდამოდ უცხოა თითქოს

და იმქეყნიდან აღწევს ტანჯვით ყურთასმენამდე.  
 რასაც ვებრძოდი გამუდმებით ჩემს არსებაში  
 სხვად იქცა იგი, შეიძინა სულ სხვა ცხოვრება,  
 ამ ბრმა კედლებად წარმომიდგა და ამ შავ ბალჩად...  
 ხოლო იმ წუთში ჩემ ზურგსუკან, ყოფილი სახლის  
 დაუვიწყარი, ერთადერთი ძველი ფანჯარა  
 იმზირებოდა მონკურული, მწყრალი თვალივით.  
 და თითქოს უკვე გარდასული თხუთმეტი წელი  
 გრანიტის თხუთმეტ საუკუნედ გამომეცხადა,  
 თუმცა მეც უკვე გრანიტივით მტკიცე ვიყავი:  
 მევედრე ანდა ზღვათა მეფის ასულად მრაცხე -  
 წარბს არ შევიხრი... სულერთია, არ მინდა, არა...  
 მაგრამ მინდოდა, რომ მერწმუნა დაბეჯითებით -  
 ამგვარი... ანდა უარესი.... ან უკეთესი.  
 ყველაზე უფრო სასტიკი კი ის წამი იყო,  
 როცა ჩემი ხმა ამოირხა უკუნეთიდან:  
 „თხუთმეტი წლის წინ შენ სიმღერით ევედრებოდი  
 ზეცას, ვარსკვლავთა და წყალთა გუნდს აღტაცებული  
 სალმით შეემკოთ საზეიმოდ უამი შეყრისა  
 იმასთან, ვისაც განუდექი, ვინც მიატოვე...“

და აპა, შენი მშვენიერი ვერცხლის ქორწილი -  
 მოუხმე სტუმრებს, იზეიმე კდემამოსილმა!“

\*\*\*

გულში მზის ხსოვნა იავარიქმნა,  
 გაყვითლდა მდელო.  
 ქარი დაბერავს ნაადრევ ფიფქებს,  
 ნელ-ნელა, წყნარი.

ვიწრო არხებში გარინდებულა,  
 დამდგარა წყალი!  
 ჩქამი არ იძვრის კვლავინდებურად  
 დუმილის მხარეს!

მარაოსავით ტოტებს გადახრის  
 ტირიფი შორით,  
 არა, არ ვნანობ, რომ არ გავხდი  
 მე თქვენი ცოლი.

გულში მზის ხსოვნა იავარიქმნა,  
 რაა? წყვდიადი?  
 ამ ერთ ლამეში ჩამოვა ფიფქი  
 აქ მირიადი.

\*\*\*

ჰო, ამ წიგნებში მე მიყვარდა ბოლო ფურცელი,  
 სადაც ჰკარგავდა ჩვეულ ელფერს გმირთა ცხოვრება,  
 და წლებიც, წლებიც გარდასული, აღურიცხველი  
 თანდათან უფრო მიქარწყლებდა მწვავე სიბრალულს.

ასე მეგონა, თვით ავტორსაც სულ უნებლიერ  
დავიწყებოდა, ამბის თხრობა რითი დაიწყო.  
მარადისობა დაბერდაო, რა კარგად უთქვამო.  
ცოტა ხანიც და გასრულდება ეს ყველაფერი.  
და იმ ავტორსაც მარტოობა მოიცავს სრულად.  
თუმც ნირს არ იხდენს, კვიმატია და ენამნარე!  
შეუნდე ღმერთო! ის დაეძებს დიდებულ ფინალს,  
ვთქვათ, ასეთნაირს:  
უცნობ ქალაქში, ორი ბინის სუფთა კედლებზე  
ასევე უცნობს მიუხატავს თურმე პროფილი,  
არც მამაკაცის და არც ქალის, თუმც იდუმალი.  
ამბობენ, როცა სხივთა წყება მიმობნეული  
შუაზიურ, დაბლა მავალ, მომწვანო მთვარის  
მოულოდნელად გადაუვლის გარინდულ კედლებს,  
დაღამებულზე, ჰო, მით უფრო ახალწლის ღამეს  
მოისმის ხოლმე რაღაც სუსტი, უძლური ჩქამი, -  
ქვითინის ანდა ლაპარაკის მსგავსი ფუსფუსი...  
მაგრამ მობეზრდა უკვე ყველას ეს სასწაული,  
აქაურები მიეჩივნენ, უცხო კი არ ჩანს,  
და ისიც კი თქვეს, რომ ორთაგან ერთ-ერთ ბინაში  
დაწყევლილ პროფილს თურმე ნოხი ააფარესო.

\* \* \*

და დამეცა ქვადქცეული სიტყვა  
ჯერაც ცოცხალ, ჯერაც მფეთქავ მკერდზე,  
არაუშავს, ხომ ვემზადე დიდხანს,  
ჰოდა, ბედთან გამკლავებას შევძლებ.  
უამრავი საქმე მელის ახლა,  
მე ცხოვრებას დღეს ხელახლა ვიწყებ,  
მახსოვრობას გულში დავცემ ლახვარს,  
რათა სული უგრძნობ ლოდად იქცეს.  
თორემ.... ჩემი ყრუ ფანჯრების მიღმა  
მოზეიმე ზაფხულის დღე ბრწყინავს,  
ხომ ვწინასწარმეტყველებდი იღბალს -  
სხივმოსილ დღეს და ცარიელ ბინას.

\* \* \*

საღამო არის ყრუ და მზიანი,  
აპრილი თბილი და თვინიერი,  
შენ მრავალი წლით დააგვიანე,  
მაგრამ მე მაინც ვარ ბედნიერი.

დამიჯექ გვერდით სახტადქცეული,  
მომაპყარ მზერა ნაირ-ნაირი,  
აი, ცისფერი ჩემი რვეული  
დამშვენებული ბავშვურ შაირით.

ო, მომიტევე, (არ მსურდა წყენა!)  
თუ ნაკლებ ვიყავ მზესთან წილობით,

თუკი მრავალი ვიგულვე შენად  
და მერე ჩემთვის ჩუმად ვტიროდი.

\*\*\*

მე მესმის მოთქმა მოლალურთა მუდამ მწუხარე,  
ჩემი სალამი ამ თიბათვეს და დარებს მზიანს,  
წყვილი თავთავი, ქარმა თავი რომ გადუხარა,  
ცელმა სისინით მოცელა და ყანაში ყრია.

მოუფრიალებს ქარი კალთებს მაღალ მთიბავებს  
ქარდაქარ და თან ალმებივით გაჰკიდებს ცერად,  
მე კი უნებურ ეჟვნის ტკბილი უღერა ვინატრე  
და მტვერწაყრილი წამწამიდან ხანგრძლივი მზერა.

აღარც ალერსი მსურს პირფერი და აღარც ლიქნა,  
რადგან გუმანით უცილობელ წყვდიადს მოველი,  
მაინც მობრძანდი, თვალი ჰკიდო სამოთხეს იქნებ,  
სადაც ვიყავით ჩვენ ნეტარნი და უზრუნველნი.

## ბორის პასტერნაკი

(1890 – 1960)

### აგვისტო

მზემ ამჯერადაც არ გაგვანბილა  
და გარიურაჟზე ასე თანდათან  
ფარდას დაჲყვა და დივანს გასცილდა,  
ზაფრანის ზოლად შემოანათა.

მცხუნვარე იყო, წითლად ღვიოდა,  
მახლობელ ტყეს და სახლებს დაეცა,  
სველ ბალიშზეც კი გამოსჭვიოდა  
მისწვდა წიგნებს და კედლის მხარესაც.

და გამახსენდა, თუ რა მესიზმრა,  
რად აჩნდა ბალიშს ცრემლი მცირედი,  
სამგლოვიარო ჩუმ პროცესიას  
მოსდევდით ერთად — მე მაცილებდით.

ერთ თქვენგანს, მავალს კენტად თუ წყვილად,  
წამოაგონდა, შეეკრა სუნთქვა,  
რომ ეს დღე — ექვსი აგვისტო ძველით  
ფერისცვალებად უფლისად უთქვამთ.

ამ დღეს თაბორი ასხივებს ნათლით,  
შუქთა ნაკადი დასდის უზღვავი,  
და შემოდგომას ახლავს სხვა მადლი, —  
სასწაულქმნილი და მომნუსხავი.

თქვენ დაფხავებულ კორომს გამოსცდით —  
მეჩერი იყო და გაქელილი,  
უბადრუკი ტყე სასაფლაოსი —  
წითლად ღვიოდა თაფლისკვერივით.

კენწეროებს თუ თვალს აავლებდი,  
ზედ თავზე ჩანდა ცა მედიდური,  
გადაყივლება სოფლად მამლების  
სივრცეში იყო გადახიდული.

მომჩერებოდა სიკვდილი, იმ წამს  
გეგონებოდა მიწის მზომელი,  
და მაზომავდა სამარის მიწას,  
ჩემთვის საფლავის გათხრის მდომელი.

მერე კი ყველამ არსებით მთელით  
შეიგრძნო უცბად ხმა შემპარავი,  
ჩემი ხმა ჟღერდა — წინასწარმთქმელი,  
ხმა ადრინდელი, გაუბზარავი:

„მშვიდობით, ცაო, ფერისცვალების,  
ამ უკანასკნელ ჟამთა სიავეს  
დამხსენ და ჩემი მწარე წამება  
ქალის ალერსით კვლავ დამიამე.

წლების სიმწარევ, წარუხოცელო,  
გემშვიდობები ამიერიდან,  
შენც, ქალის მზერავ და გამოწვევავ,  
იმ ქალის, რომლის ბრძოლის ველი ვარ;

გემშვიდობები, ფრენის სილალევ,  
ქროლვა რომ გიბყრობს და არ ნელდება;  
სამყაროვ, ქმნილო სიტყვის წიაღში,  
სასწაულო და შემოქმედებავ!“

## მაგდალინელი

შეღამდება და ჩემი დემონიც  
აქვეა, განვლილს საზღაურს ვუზღვავ,  
მე წარსულს ვსინჯავ მწარე გემოთი  
და გარყვილების ხსენება მსუსხავს,  
რადგანაც კაცთა ჟინს დავემონე,  
ქარაფშუტობა შევიტკებე ურცხვად.  
გადის წამები და ჩქარა სულაც  
დადგება ჟამი დუმილით სავსე,  
მაგრამ მანამდე ავსებულ სურას —  
ამ ჩემს სიცოცხლეს დავამსხვრევ ქვაზე.  
ჩემო მოძღვარო, მხსნელო იესო,  
ჩემს სამკვიდრებელს, მჯერა, ბოლომდე  
მარადისობის მადლი მიეცხო,  
თითქოს სათხეველს ამოჰყოლოდეს  
მარადისობა, ჩემსას, იესო.

რა არის ცოდვა, მითხარი, გვედრებ,  
 რაა სიკვდილი ან ჯოჯოხეთი,  
 რადგან მერგუნა ასეთი ხვედრი —  
 შემოგეხვიე შენ და მოხვევნით  
 შემოგეზარდე, როგორც ხე ნედლი  
 და გულში ჯავრიც ჩამყვა ოხერი.  
 გონდაკარგული შენ გადმოგხედავ  
 შენი ტერფები მიძევს მუხლებზე,  
 ჯვარს მოვეხვიე ოთხად განტოტვილს —  
 ალბათ, ვსწავლობდი ჯვარის მოხვევნას  
 და დასამარხად შენს ტანს ვამკობდი.

### თოვს

თოვს, თოვლია ირგვლივ, თოვლი,  
 ფანჯრის მიღმა, გარეთ იკრებს  
 ქარი თავაწყვეტილ ფიფქებს  
 და ყვავილებს შეძრულს ქროლვით.

თოვს და ფიფქი ქროლვას ჰყვება  
 და ამ ქროლვის გამჩალებლის  
 ყველა დაპყოლია ნებას, —  
 ქარი თოვლის ფანტელს იფენს  
 და ეს ქროლვა იპყრობს კიბეს  
 და დათოვლილ გზაჯვარედინს.

თოვს, თოვლია ირგვლივ, თოვლი,  
 და ეს ფიფქთა შეკონება  
 მოქრის იმნაირი თრთოლვით,  
 თოვლი სულ არ გეგონება,  
 თითქოს ძირს ეშვება ზეცა  
 დაკემსილი ტანსაცმელით,  
 თოვლს ბურუსი ეფონება,  
 აღარ ჩანს თვალგასაწვდენი.

თითქოს ახირებულ მავანს  
 ემსგავსება ცა და თავად,  
 რაც დატოვა უკვე სხვენი,  
 რაღაც უცნაური ცვენით  
 მოსდევს კიბეს შემპარავად.

იმიტომ, რომ დრო არ ითმენს  
 და ცხოვრებაც აღარ იცდის,  
 დღეებია უკვე შობის,  
 სულ ცოტაც და არცთუ შორი  
 ღამე დგება ახალი წლის.

კი აღარ თოვს, უკვე ბარდნის,  
 ძალზე ხშირი ცვივა თოვლი,  
 და იქნებ დროც ასე გადის, —  
 მძიმედ ანდა სწრაფი ქროლვით,

მსგავსად ცვენის ანდა ვარდნის.  
 წლებიც ასე გადის იქნებ,  
 როგორც ფიფქი მისდევს ფიფქებს,  
 პოემაში — სიტყვა სიტყვებს,  
 დროც ამგვარად გადის იქნებ?!

თოვს და ფიფქი ქროლვას ჰყვება  
 და ამ ქროლვის გამჩალებლის  
 ყველა დაპყოლია ნებას,  
 ათოვს თოვლში ფეხით მავალს,  
 განცვიფრებულ ხეებს მრავალს  
 და დათოვლილ გზაჯვარედინს.

### ოსიპ მანდელშტამი (1891 - 1938)

\*\*\*

რა ვუყო სხეულს, რაც მებოძა, რაც მე მეკუთვნის,  
 რაც ურღვევია, ერთიანი, მტკიცედ შეკრული.

ჩუმი ცხოვრების წუთი წილმხვდა განუკითხავი,  
 ვის, ვის ვუმადლო ამის გამო, გვედრებ, მითხარი?

მებალეც ვარ და ყვავილადაც ვარ აქ მოსული,  
 და არ ვარ ქვეყნის ამ დილეგში მე მარტოსული.

მარადისობის მინას ჩემი სუნთქვაც ედება,  
 მას ჩემი სითბო დაორთქლავს და დაებედება.

მინის ზედაპირს იმნაირად მოაზარნიშებს,  
 მისი მნახველი ვერ მიხვდება, ვის რას ანიშნებს.  
 დრო ედინება მღვრიე, მაგრამ უამთა სიავე  
 მას ვერას ავნებს, — ვერც წაშლის, ვერც გაანიავებს.

\*\*\*

ფილის რვა საათს აჩვენებს ტაძრის  
 უშველებელი, მძიმე ისარი,  
 ვთვლებთ და ჩვენებად გვიელავს თვალნინ  
 არენი უცხო ქალაქისანი.

წნული კალათა დააქვთ მსახურებს,  
 ედავებიან ვაჭრებს ქალები,  
 ხოლო მტრედები კი მოფაფხურე  
 კრიახით წყვილ ფრთას აფართქალებენ.

პურების გროვა, თევზის სხმარტალი,  
 დახლი ხილით და ხვავით აივსო,  
 და გლეხი თითქოს ქვაა ნათალი,  
 ფერები — მუქი და სახალისო.

თითქოს ამ სურათს მოავლო ნისლმა  
 თავისი ბადე ვერდამფარავი  
 და მოედანი ამ დილასისხამს  
 არის ვაჭრობის წმინდა კარავი.

\*\*\*

მყიფეს და მტანჯველს, ამ შენს ხატებას  
დავეძებ ნისლში და ვერ ვეხები,  
უფალო-მეთქი, დამცდა შემთხვევით,  
არ ვაპირებდი თუმც ღალადებას.

და ღვთის სახელი — ფრინველი დიდი  
მკერდიდან უმალ ამოფრთხიალდა,  
უკან გალია დარჩა ღია და  
ნინ კი შეგუბდა ნისლი და ბინდი.

\*\*\*

მთვარე არ არის, მოკიაფე ციფერბლატია,  
რა დავაშავე, თუკი ვგრძნობ, რომ ისევ ანთია  
ვარსკვლავთა ხომლი, ცამ რომ ბნელში გადაისროლა.

მძულს ქედმაღლობა ბატიუშკოვის, როცა მავანმა  
ჰკითხა, თუ ახლა რა დროაო, ამპარტავანმა  
მიუგო მოკლედ და უბრალოდ: „მარადისობა“:

\*\*\*

ცაო, სიზმარში გნახავ-მეთქი, მითქვამს ღალადით,  
არ შეიძლება სულ ბოლომდე ჩაქრე, ვით კვარი,  
დღე დაიფერფლა უეცრად, ვით თეთრი ქაღალდი,  
რა ცოტა იყო გაფანტული ფერფლიც და კვამლიც!

## მარინა ცვეტაევა

(1892 – 1941)

\*\*\*

ო, ღმერთო ჩემო, მზე ცივდება ორი თანდათან:  
ერთი - ჩემს მკერდი, მეორე კი — მაღლა ცარგვალთან.

და ეს ორი მზე — ჩემს გარეთ და ჩემში შიგნითაც  
მაგიშებდა და ამ სიგიშის წიაღ მიმგვრიდა.

ორივე ქრება და ეს ქრობა მტკივა ნაკლებად,  
რომელიც უფრო მხურვალეა, ჯერ ის ჩაქრება.

\*\*\*

ჩემს ლექსებს წრფელი შთაგონებით შეთხზულთ ადრევე,  
როცა პოეტი არ მეგონა თავი აშკარად,  
იმგვარად მომწყდართ, შხეფები რომ სცვივა შადრევნებს  
ან ნაპერწკლები — ბნელში მაშხალას!

ლექსებს, ტაძარში შეცვივნულებს ეშმაკუნებად,  
რომელთაც დახვდათ მთვლემარება, სივრცე კამკამა,  
სიჭაბუკეზე და სიკვდილზე შეთხზულთ უნებურ,  
თითო რომ არვინ არ მიაკარა!

ლექსებს ფარდულში მტვერი რომ ჭამს და ნესტი მქისე, (იქ ხომ ყველასგან გარიყულნი თვლემენ უთქმელად), ვით თავანკარა, უძვირფასეს ღვინოებს ისე, თავისი ჟამი, მწამს, დაუდგებათ.

## გიორგი ივანოვი (1894–1958)

\*\*\*

თითქოს დაეძებს და ბილიკს ვერ აგნებს, საით მიქრის ნეტავ თეთრი ბედაური, მზიანი დარია და ბალში პერანგებს გაზაფხულისწინა ურჟოლა გადაუვლის.

გამოვეთხოვე და დავტოვე რუსეთი, (გზადშეყრილ პოლარულ განთიადს ვუმზერდი). მგზავრობის წამები წამნამზე უმაღლი გაქრა და მერგუნა მე ყრუ და მდუმარი ეს ორმო ევროპის, ვით ნავსაყუდარი.

ეჱ, მენალვლა მაინც, მაგრამ არ ვინალვლი, — ცხოვრება დავკარგე, სიმშვიდეს ვინახავ, მკვდარ მეგობრებისგან მოწერილ ბარათებს მე შვებამოგვრილი დავწვავ და ავანთებ, ამ ცისფერ თოვლზე ავანთებ ჩირალდანს.

\*\*\*

დაივიწყებენ სინაზეს და სასოწარკვეთას, ნდობაც, ლალატიც ცის ნამივით უხმოდ გაქრება, ყველაფერს მკაცრი გულგრილობის ტალღა წალეკავს იმათი, ვინც კი ჩვენს შემდგომად მოვლენ ამქვეყნად. საფლავი ოხრად დაუგდიათ, ჰყვავის ჟასმინი. სმელი გვირგვინის ქარს არ უჭირს უკვე მიგნება, ცაც კი კრიალებს — და რაც იყო, ხვალ და მას მერე იმისი მსგავსი არაფერი აღარ იქნება.

\*\*\*

ჩვენ სულებს ვგავართ, ჩვენი კვალი არივ-დარიეს, თითქოს ვიხსენებთ სააქაოს, გვახლავს უკუნი, უფრო ნეტარად და უფრო ყრუდ, ყოველნამიერ, კვლავაც პეტერბურგს მოვიგონებთ გულდათუთქულნი.

ქვეყნად მრავალი ქალაქია, მწამს, მშვენიერი, თუმც რაა ჩვენთვის! მხოლოდ იმას ვიხსენებთ ხშირად, რა უბედურნი ვიყავით და რა ბედნიერნი ნისლში გახვეულ იმ ქალაქში ჩვენ ნევის პირას.

\*\*\*

ტყუილად დაღვრილა სისხლი, სევდაც, ერთგულებაც ვის რაში არგია, და მაინც, ძვირფასო ჩემო, ცხოვრება ძალიან, ძალიან კარგია.

ხეები უჩუმრად შრიალებენ,  
ჩვენს თავზე ირაოს კრავენ თოლიები,  
ზღვაში ალმაცერად იალებენ  
სხივები და მზესაც წაიყოლიებენ...

\*\*\*

იქნებ რუსეთი ნათელია, არაწყვდიადი,  
მაგრამ ვაითუ არც ყოფილა და არცკი არის.

არც მწუხრი მდგარა ნევისპირას და არც შუქ-ჩრდილი  
და იქნებ თოვლზე არ კვდებოდა თვითონ პუშკინი.

არც კრემლია და პეტერბურგიც არსად გეგულვის,  
ტრამალებია და ზედ თოვლი ზვინად შედგმული.

თოვლია, თოვლი და თან ლამე მოითალხება,  
ეს ის თოვლია, რომ არ დნება, რომ არ გალხვება.

თოვლია, თოვლი და უკუნი ყოვლისმპყრობელი,  
ამ დუმილმა და თოვლმა შთანთქა ქვეყნად ყოველი.

რუსეთი იქნებ მკვდრადყოფნაა, დუმილი ძილში,  
მაგრამ რუსეთი იქნებ მხოლოდ შიშია, შიში.

ტყვიაა ანდა ბანრის ყულფი, რაც მას შეშვენის  
და მუსიკა გამთიშავი, ჭკვიდან შემშლელი. -

კატორლის თავზე გათენებაც, ტყვიაც, ბანარიც,  
ენა ვერ იტყვის, იქ რა იყო, ანდა რაც არის.

## სერგეი ესენინი (1895-1925)

\*\*\*

თანმიმდევრობით ვეშურებით და ფეხაკრეფით,  
წავალთ მადლმოსილ და ჩუმ მხარეს, არ დავახანებთ,  
და მეც თანდათან ამ ქვეყნიდან ავიბარგები,  
წავიყოლიებ ჩემს უბადრუკ ბარგი-ბარხანას.

რარიგ მიყვარდა მშობლიური ტყეები არყის,  
მინა და ირგვლივ განფენილი ვრცელი ველები,  
მითხარი, როგორ არ ვუმზერდე უმნარეს ნალვლით,  
გუნდი რა მადლით იმოსება იქ წამსვლელების.

ყოველი სულის მე ხორცშესხმა მნუსხავდა ძალზე,  
ტანს რომ მოიყრის და ხელითაც რომ შეეხები,  
და ვხედავ ცხადად, განტოტილან ვარდისფერ წყალზე  
გადმოხრილი და მომზირალი თავქვე ვერხვები.

ფიქრს მივცემივარ სიწყნარეში მე ხომ მრავალგზის,  
ვთხზავდი სიმღერებს, რაც ვისურვე, ის ამისრულდა,

ამ კუშტ და პირქუშ ქვეყანაზე ასე მავალი,  
ბედნიერი ვარ, რომ ვსუნთქავდი მე თავისუფლად.

ბედნიერი ვარ, რომ ყველა ქალს ჩემს ამბორს ვატან,  
ყვავილებს ვაბნევ ბალახებში გამოხვეული,  
მე მქონდა რიდი ცხოველების, ჩემს უმცროს ძმათა,  
ვერ ვიმეტებდი ვერასოდეს სულკურთხეულებს.

ტყე არ ყვავილობს იმქვეყნად და თავაღერილი  
გედის ყელივით ჭვავი, ვიცი, არსად წერიალებს,  
ამიტომ, როცა წარმავალთ გუნდს მიაქვს წერილი,  
ვუმზერ, ტანში მცრის, მაძაგძაგებს და მაჟრიალებს.

ვიცი, იმქვეყნად არ იქნება მწიფე ყანები  
და ვერ ვიხილავ სიბნელეში ოქროს ნაქერალს,  
და ამიტომაც ყველა იმ კაცს ვეთაყვანები,  
ვინც აქ მეგულვის, ვინც ჩემ გვერდით ცხოვრობს ამქვეყნად.

## ვლადიმირ ნაბოკოვი (1899-1977)

### ტრამვაი

ღამისგამპობი და გამგმირავი  
ზარ-ზანზალაკით გაინკრიალებს,  
ბორბლები გაჰქუს გრგვინვა-გრიალით,  
ელავს სარკმელი — ხატი ბრწყინვალე.

რიცხვი უნთია ცეცხლოვან შუბლზე,  
იქვე — წარწერა სამოთხის ნიშნით,  
და წამით როგორ იხუვლებს, უმზერ,  
მერე... ქალაქი ინთქმება ძილში.

და როცა ამ ხმებს აკრეფს წყვდიადი,  
როცა გრიალი ჩამესმის ყურში,  
უკან მოჰყვება ნაპერწკლიანად  
ტრამვაის გრგვინვას გიზგიზი ლურჯი.

გადაიქუხებს იგი მეხივით  
და ერთ საათში, რომ ვთქვა სიმართლე,  
ლურჯი სხივების მკვეთრი გრეხილი  
შენს ფანჯარაში ელავს სინათლედ.

### სამშობლოს

ამ ღამით უნდა ვიფიქრო და ვნიო თუთუნი  
და გაკვამლულმა ვისაუბრო შენთან დუდუნით.

რა სიწყნარეა! სადლაც თაგვი გაიფხაკუნებს,  
ფანჯრიდან ურიცხვ სახურავს და ვარსკვლავს გავყურებ.

ეს მერამდენედ მოვისინჯე გულის ფიცარი,

და ეპ, სამშობლოვ, იგი მხოლოდ შენად ვიცანი.  
შენი ჰერი ჩემი მკერდის შიგნით შემღწევი,  
მე ხომ უკანვე დაგიბრუნე ჩემივ ლექსებით.

კოცონს და მღვივან ხელისგულებს რა დამავიწყებს -  
ბზობის ლურჯ ღამით ელვარებას რომ მივაფიცხე.

ჩემმა ტერფებმა შენი მიწა მოისაკლისა,  
და ნეტავ შენთან შეხვედრა და შერწყმა აღირსა.

ჩემი სხეული არის მხოლოდ შენი ხატება,  
სული კი ცაა, ნევის თავზე რომ გაცხადდება.

გავაბოლებ და წამოვწები ძილად მიგვრილი,  
და კვლავაც შენი გაზაფხული მანთებს ფიქრივით:

ნარმომიდგება სახლის კუთხე, ხსოვნის ნიშანი, -  
მუხა და იქვე დავარცხნილი ფოცხით ქვიშანი.

\* \* \*

შენ გულწრფელობა ჩემთვის ასხივე,  
ამას გთხოვ, რადგან შენლა შემომრჩი,  
სახლი დაიწვა, ტყე გადასხიპეს,  
რა დარჩა წარმტაც გარეშემოსი?

იქ ოცნებობდა არყის ხე წლობით,  
უკაკუნებდა ხეს ხეკაკუნა,  
სადღა ვიპოვი დაკარგულ ძმობილს,  
ქვეყნის დაკარგვაც ბედმა მარგუნა.  
გადავეხლართე სიზმრებში აჩრდილს,  
ცხადში მეძავებს გადავენანი,  
და სიმღერები გავფანტე ზღვაში  
მთებსაც ვუბოძე და მთაც შევძარი.

ახლა წარსულზე ვფიქრობ და მცივა,  
ცეცხლთან ჩამომჯდარს, ალით შემოსილს,  
შენ გულწრფელობა მარგუნე წილად,  
ამას გთხოვ, რადგან შენლა შემომრჩი.

## ნომერი სასტუმროში

ეს საწოლია? მიჭირს გარკვევა,  
უხალისოა ყვითლად აჭრილი  
შპალერი. სკამი, მრუდე სარკეა...  
შევდივართ მე და ჩემი აჩრდილი.

ფანჯარას შევხსნი და გადმოწვება  
სინათლე, თავქვე ჩამონაღვარი,  
და მდუმარება თითქოს მოცელა  
ძალების ღრენამ. ყეფენ ძალები.

მე თვალს მიშტერებს ერთი წერტილი  
და ვხედავ, დაძრა ბნელმა წიაღმა

მთვარე — შეკრული თაფლის წვეთივით,  
ოქროსფერ შუქით რომ უბრნყინავდა...

## წყნარი ხმაური

აქ, ამ ზღვისპირა ქალაქში ჭია  
მოწყენილობის გულს რომ მიღრღნიდა  
გაქრება, როცა მოვისმენ შრიალს  
ლია სარკმელში ზღვათა სიღრმიდან.

თუკი მივუგდე ყური კირკიტა,  
ხმელეთზე მსუნთქავს დავიჭერ ჩქამებს,  
ეს ზღვის ხმა არის — წყალთა სიღრმიდან  
სულის საოხად აგზავნის ღამე.

ეს ხმა მოჰყვება ამ მშვიდ ტაროსებს,  
დღე გადის, გრძნობა მრჩება ისეთი, —  
თითქოს ფაქიზი მინის თაროზე  
ცარიელ ჭიქის წყარუნს ვისმენდი.

და მერამდენედ, უკვე ვინ იცის,  
უკუნ ლამეში სარკმელს გავალებ  
და მარტო ვრჩები ზღვასთან პირისპირ,  
ვუჭვრეტ უწყნარეს ქვეყნის სანახებს.

და უკვე მესმის არა ზღვაურის  
ჩქამი, არამედ სულ სხვა ხარება, —  
ჩემი სამშობლოს წყნარი ხმაური,  
მისი გულისთქმა და მღელვარება.

მას ერწყმის ხმები და ელფერები  
ადრე რომ შეწყდა და ვინახავდი —  
პუშკინისეულ ლექსთა ჟღერება  
და ხშირი ტევრის დრტვინვა-ლალადი.

ამ ბგერებს მაღლი სდევს უცნაური —  
დევნილისათვის ლოცვა-კურთხევა,  
ოღონდ არ ისმის წყნარი ხმაური  
დღისით, ფუსფუსში ქრება უთქმელად.

სამაგიეროდ ღამის უკუნში  
ისევ იღვრება ეს ხმა გრძნეული —  
ჩემი სამშობლოს წყნარი გუგუნი  
უკვდავებიდან გამოღწეული.

## საიდუმლო სერობა

მკაცრი ვახშმობის დრო არის ახლა,  
დროა ღალატის წინასწარჭვრეტის,  
ღამის მარგალიტს მოელის დაღვრა,  
რომ ოღეანდრამ აპკუროს წვეთი.

რა უჩურჩულეს ერთმანეთს ყურში?  
მთვარე ადნება ქრისტეს, ვით ვერცხლი,  
პეპლებს შერუჯავს სინათლე ურჩი  
და ჰეგავს მლოცველებს სანთლების ცეცხლი.

## სამოთხეში

სალამი-მეთქი და ის ფრთოსანი —  
სიკვდილი შეხსნის სამოთხის ჭიშკარს,  
მაგრამ იქაც კი გასაოცარი  
ტყე შეირხევა სიცოცხლის ნიშნად.

დამუნჯებული შევირბენ ტევრში  
და მივამურებ ჩემს სახლს მიწიერს,  
ისევ ადრეულ სამყოფელს შევრჩი,  
მისი ტკბილ — მწარე ხვედრი ვიწვნიე.

ფანჯრიდან სხივად გამომებნევი  
ბაბუანვერავ, ციურ მადლივით,  
მინის ქვეშ ფრთაა ჭრელი პეპლების  
და დგას საწოლი ხისგან გათლილი.

და ჰა, მიწიერ პოეტად დავრჩი,  
გადავშლი რვეულს, ვფიქრობ, დავდივარ.  
ღმერთს თუ ეტყვიან, ღმერთი თუ განმსჯის,  
არ შემომწყრება, ვიცი, ნამდვილად.

## ნიკოლაი ზაბოლოცკი (1903 - 1958)

### დამშვიდობება მეგობრებთან

გრძელ პიჯაკებით და შლიაპების ფართო ფარფლებით  
და მაგ ლექსების განუყრელი თქვენი რვეულით,  
სულ ერთანად გაიფანტეთ ირგვლივ ფერფლივით,  
იასამნების ფურცლებივით მიმობნეულნი.

თქვენ იქ ხართ, სადაც იხლიჩება, ანდა მოცვივა  
ყოველივე და ილუფება, ატყვია ბზარი,  
სადაც ცის ნაცვლად ყრუ სამარის ერთი ბორცვია,  
იქვე კი მოჩანს უმოძრაო ორბიტა მთვარის.

ეს რა უცნაურ, გაუგებარ ენაზე მდერის  
მწერთა სინკლიტი, რას ზუზუნებს უხმო ამალა,  
ხოჭო — კაცუნას დაუვლია ფარნისთვის ხელი  
და თავის მოძმეთ ეგებება შუქის ამარა.

როგორ ხართ, ქვეყნის ჭირ-ვარამს რაც ჩამოეხსენით,  
ხსოვნა კი შეგრჩათ? სამახსოვრო გქონდათ რამდენი,  
თქვენს ძმად ქცეულა ჭიანჭველა, ხშირი ფესვები,  
ბალახ-ბულახი, ოხვრა და მტვრის კორიანტელი.

მიხაკი ანდა იასამნის ფურცლის სისველე,  
ანდა ნაფოტი არის ახლა თქვენი დობილი,  
და თქვენს ენას კი აღარ ძალუძს, რომ გაიხსენოს  
დატოვებული უკვე ზემოთ ძმა განდობილი.

მას აკი თქვენკუნ არ მოუხმობს ჯერ არაფერი,  
თქვენ კი წახვედით, გაქრით უცბად ლანდადქცეულნი,  
გრძელ პიჯაკებით და შლიაპების ფართო ფარფლებით  
და მაგ ლექსების განუყრელი თქვენი რვეულით.

### ფასანაურის ლამე

ბრწყინავდა ლამე და შვენოდა ფანდურს ჟღარუნი,  
მთვარემ მოძებნა სიყვარულის წმინდა ალაგი  
და მიგალობდნენ ბულბულები მე სიყვარულით  
ფასანაურში, სადაც მოჰქუს ორი არაგვი.

ჯვრის უღელტეხილს დავეთხოვე და წამოვედი,  
ჯვრის უღელტეხილს, მაისში რომ ყინული ჯავშნავს,  
და დავიღალე იმგვარად, რომ ველარ ვპოვებდი  
ძალას და ხალისს, ყველაფერი ზურგსუკან დამრჩა.

ბულბულის ჰანგით რეტდასხმულმა გავიძრე ტანზე,  
ხელში ფარანი მოვიმარჯვე დედიშობილამ  
და ვით ქალწული, უშმაგესი სურვილით სავსე  
შემომეხვია მდინარე და შვება მომფინა.

და მე ვიწექი, ქვებს ვეჭიდე დაღლილი რწევით,  
ტალღა სკდებოდა ჩემს თავზე, ვით მძვინარე მეხი,  
და ირწეოდნენ მდინარეში ნასობი ქვები,  
ირწეოდნენ და ლუდლულებდნენ კვლავაც ჩემ ფერხთით.

მე შევცეკეროდი შორ ათინათს წყლის პირზე დახრილს,  
შუქის ნაწრეტებს, შუქის თამაშს, შუქის ზიგზაგებს,  
და მოიწევდა ნაპირიდან ვეება ძაღლი,  
იზღაზნებოდა მედიდურად მდინარისაკენ.

და მეც ავედი ჩუმ ნაპირზე გულით უძრავი,  
ძლიერი, სუფთა, მიწიერი და უდრტვინველი,  
ვეება ძაღლი, ამაყი და შეუმუსრავი,  
ჩემ წინ დაუშვა და გაყუჩდა, როგორც ფრინველი.

და იმ წყნარ ლამეს, წყნარ ბაღებში ფასანაურის,  
ვიგრძენ მსუსხავი, უცაბედი ზვირთთა სიცივე,  
გულს ჩამეწვეთა წმინდა ბგერა არაქაური,  
თითქოს ყმაწვილმა პირველკოცნის სიტკბო ვიწვნიე.

## იოსიფ ბროდსკი (1940 – 1996)

### თანამედროვე სიმღერა

141

ჩვენ, ნორმალურ ადამიანებს, აზრადაც არ მოგვდის, რომ შეიძლება შინ დავბრუნდეთ და სახლის მაგივრად ნანგრევები დაგვხვდეს. არა, ჩვენ არ ვიცით, როგორ შეიძლება დაკარგოთ ხელი და ფეხი ტრამვაის ან მატარებლის ბორბლებქვეშ. ამგვარი ამბები ჩვენამდე ავბედით ჭორებად თუ აღწევს. არადა სწორედ ეს არის უბედურების გარდუვალი პროცენტი, ეს არის ვარდი უბედურებისა.

კაცი ისევ მოდის ნანგრევებთან,  
ის აქ იყო გუშინნინ და გუშინ  
და ხვალაც აქ იქნება.  
მას იზიდავს ნანგრევები.  
ის ამბობს:  
თანდათან,  
თანდათან ისწავლი ბევრ რამეს,  
ისწავლი ამ აგურის ნაფშვენებში  
შენი დახეული ალბომის და მაღვიძარას პოვნას,  
მიერჩევი ყოველდღიურად აქ სიარულს,  
მიერჩევი იმ აზრს, რომ ნანგრევები არსებობს.  
ზოგჯერ ფიქრობ, რომ ასეც უნდა იყოს,  
და იმასაც ფიქრობ, რომ ყველაფერი აითვისე,  
ამიტომაც იოლად ესაუბრები ქუჩაში უცნობ ბავშვს  
და ამ ყველაფერს უხსნი. ასეც უნდა იყოს.  
კაცი ისევ მოდის ნანგრევებთან,  
მოდის მაშინ, როცა სიყვარულს მოინატრებს,  
როცა ხელახლა დაქოქავს მაღვიძარას.  
კაცი ისევ მოდის ნანგრევებთან,  
დიდხანს იქექება ჯოხით სველ შპალერებში და  
აგურის ნატეხებში,  
ნელში იხრება, სწორდება და აკვირდება.  
ვიღაც აშენებს სახლებს,  
ხოლო ვიღაც მუდმივად ანგრევს მათ, ვიღაც  
კვლავ აშენებს.  
ქალაქების მოზღვავება ყველას ოპტიზმით გვავსებს.  
ნანგრევებში მდგარმა კაცმა თავი ასწია და შენიშნა,  
ეს ადამიანები არ ტირიან.  
ლვთის მადლით, მრთელ და საღსალამათ  
ნაცნობებთან სტუმრად ყოფნის დროსაც  
ისინი უხალისოდ უმზერენ ფოტოალბომებს და ამბობენ:  
„დღევანდელ დღეს არ გვჭირდება ფოტოალბომები!“  
შეიძლება ბევრი რამ ხელახლა ააშენო და კვლავ  
დაანგრიო  
და მერე კვლავ ააშენო.  
არაფერია უფრო საშინელი, ვიდრე ნანგრევები  
კაცის გულში,  
არაფერია ნანგრევებზე უფრო საშინელი,  
რომელთაც ეცემა წვიმა და გვერდს უქცევენ  
ახალთახალი ავტომობილები,

რომელთაც აჩრდილებივით უვლიან გარს  
გულგატეხილი ადამიანები და ჩაფეზუტიანი ბავშვები,  
არაფერია ნანგრევებზე უფრო საშინელი.  
ნანგრევები აღარ ჰგვანან მეტაფორას,  
ისინი თანდათან პირვანდელ სახეს იღებენ  
და იქცევიან სახლებად.

## ოდისევის ტელემაქეს

დასრულდა უკვე ტროას ომი, ტელემაქ ჩემო,  
ვინ გაიმარჯვა, აღარ მახსოვს და აღარ ვიცი,  
ალბათ ბერძნებმა, ვინაიდან მხოლოდ მათ ძალუძთ  
სხვათა მინაზე თავის მკვდრების ასე გაფანტვა.  
გრძელი გამოდგა მეტისმეტად გზა შინისაკენ,  
ვიდრე იქ უქმად ვირჯებოდით, მანამდე თითქოს  
პასეიდონმა გამალებით გაჭიმა სივრცე,  
და ახლა უკვე ვეღარ ვიგებ, სად ვიმყოფები,  
რაღაც ჭანჭრობი კუნძულია, ეკალ-ბარდებში  
ჩაფლული ბალი, ფიცრულები, ღორის ჭყვიტინი,  
ქვა-ღორლი ყრია, კიდევ ვიღაც დედოფალია...  
ყველა კუნძული ერთმანეთს ჰგავს, ტელემაქ ჩემო,  
როცა ნიადაგ გზაში ხარ და ხარ მოგზაური,  
თავგზა გებნევა, აბა, ტალღებს რა დათვლის ზღვაში,  
როცა პორიზონტს გაჰყურებ და ცრემლი გდის თვალზე  
შორსგანვდენილი მზერისაგან. ყურთასმენას კი  
ზღვის ცხოველების გამყივანი ხმა ეფეთება,  
არა, არ მახსოვს, რით დამთავრდა ომი, ტელემაქ,  
და შენ რამდენი შეგისრულდა, აღარც ის ვიცი.

ჩემო ტელემაქ, გაიზარდე, მოისხი მადლი,  
კაცმა არ იცის კიდევ სადმე თუ შევეყრებით,  
შენ აღარა ხარ ის ყმაწვილი, რომლის თვალწინაც  
მე მომიწია დაურვება მძვინვარ ხარების,  
აღარ ვართ ერთად პალამედეს გამოისობით,  
თუმცა ეს იქნებ ყველასათვის უმჯობესია:  
ოიდიპოსის ვნებათაგან შენ თავდახსნილი  
უცოდველ სიზმრებს ხედავ ახლა, ტელემაქ ჩემო.

## საშობაო ვარსკვლავი

სიცივე აზრობდა მიდამოს იქ, სადაც მეტწილად სიცხეა,  
სადაც სულ ვაკეა გაშლილი და შემაღლება არ იწყება,  
სადაც უდაბნოს შესაფერი ზამთარში დაქროდა ქარბუქი,  
ამ ქვეყნის მხსნელად იქ ყრმა იშვა და იშვა ის გამოქვაბულში.

ეჩვენა მას მკერდი დედისა დიდონი და უზარმაზარი,  
ხარის ნესტოები, მოგვებიც: კასპარი, მასთან ბალთაზარიც,  
კიდევ მელქიორი და ძლვენიც, ბაგაში რომ დააბინავეს,  
ყრმა პანია იყო, ვარსკვლავიც, წერტილს მიაგავდა ბრწყინვალეს.

ვარსკვლავის მუდმივი ნათება და არა კრთომა და კაშკაში  
გაფანტულ ღრუბლებშიც ატანდა და ყრმის სასთუმალთან ბაგაში,  
თითქმის თვალუწვდენელ სიღრმიდან, არათუ უბრალოდ შორიდან  
აღწევდა და იჭვრიტებოდა. და ეს მზერა იყო მშობლისა.

143

\*\*\*

ძვირფასო, მე გვიან საღამოს სახლიდან გამოველ,  
ოკეანისპირა ნიავქარი ქროდა, მქონდა განზრახული  
მეხილა მზის ჩასვლა — ჩინური მარაო, იმ ნასაღამოვებს  
შორს ჩანდა ღრუბელი, ვით ფორტეპიანოს მძიმე თავსახური.

შენ ამ ოცი წლის წინ პირს იტკბარუნებდი მეტნილად ფინიკით,  
მღეროდი, ხატავდი, ბლოკნოტში შემოგრჩა მრავლად ნახატები,  
ჩემთან თავს იქცევდი. მერე შეეყარე ინჟინერ-ქიმიკოსს  
და გამოთაყვანდი. შენი წერილები მასვე ღალადებენ.

ახლა კი ამბობენ, რომ ეკლესიებში ესწრები სამძიმარს,  
პროვინციაში და მეტროპოლიაში, და მარტო სრულიად  
აცილებ მეგობრებს და მე მიხარია, რომ არის მანძილი,  
რომლის წარმოდგენაც ჩვენ შორის არსებულ მანძილზე რთულია.

უკვე არაფერი აღარ მაკავშირებს — ცუდად ნუ გამიგებ —  
შენს ხმასთან, სხეულთან, სახელთან... ძვირფასო, იცოდე:  
თუ გსურს დაივიწყო შენი ერთი ცხოვრება — არ ხდება სხვარიგად,-  
კიდევ ერთი უნდა იცხოვრო. და მე ის ვიცხოვრე.

და შენც გაგიმართლა: ფოტოზე აღბეჭდილს გნახავენ, გჯეროდეს,  
ლალი, დამცინავი და თან ახალგაზრდა იქ მუდამ იქნები,  
რადგან მახსოვრობას დრო-ჟამი ვერ აკლებს ვერაფერს ვეროდეს,  
წყვდიადში ვეწევი და ხრწნილოვან ჰაერს ვისუნთქავ მიქცევის.

**თარგმნა ანდრო ბუაჩიძემ**





ანდრე მორუა

## დონ ჟუანი ანუ ცხოვრება ბაირონისა რომანი



### X მოცალეობის ჟამი

პოეტი რომ გახდე, ან შეყვარებული უნდა იყო, ან უბედური. მე ერთიც ვიყავი და მეორეც, მაშინ დავწერე „მოცალეობის ჟამს“.

#### ბაირონი

1806 წლის ბოლოს ბაირონი საუსუელში ჩავიდა; მისის ბაირონი მძვინვარე სცენებით შეეგება: პიგოტის განცვიფრებული შვილების თანდასწრებით, ბაირონს მაშა და აქანდაზი ესროლა. ბიჭი მაშინვე გაიქცა და თავშესაფარი მეგობრებთან ითხოვა. მერე დედა ალარც უნახავს, ისე წავიდა ლონდონში. ლონდონიდან პიგოტს მოსწერა: „მადლობელი ვარ, ჩემი ძვირფა-

სი ალექტოს<sup>40</sup> ბოლო თავგადასავალი თავშესაქცევად რომ მიამბეთ, ალბათ, უკვე იწყებს თავისი სიგიშების შედეგების გაცნობიერებას. ეს-ეს არის მისგანაც მივიღე სინაულით სავსე უსტარი, რომელზეც, რადგან მისი დევნისა მეშინია, ძალიან თავშეკავებულად ვუპასუხე... მისმა ნაზმა უღურტულმა, ალბათ, მსმენელი აღაფრთოვანა... განსაკუთრებით მელოდიური იყო მაღალი ნოტები და მათი მოსმენა სასიამოვნო იქნებოდა მთვარის ქათქათა შუქზე... მერწმუნეთ, დედათქვენმა დიდი სამსახური გამინია; თქვენ და მთელ თქვენს ოჯახს მხურვალე მადლობას ვუძღვი იმ თანაგრძნობისთვის, ჩემდამი რომ გამოიჩინეთ, როცა მისის ბაირონ F uriosა-სგან<sup>41</sup> დამალვას ვცდილობდი. ოო, მე რომ არიოსტოს<sup>42</sup> კალამს ვფლობდე, ანდა დანტეს აჩრდილმა მუზა მანვიოს, ეპიკურ პოემაში აუცილებლად აღვენერდი იმ დაუვიწყარი ღამის ჭექა-ქუხილს, რამეთუ მხოლოდ ჯოჯოხეთის შემქმნელს შეუძლია მსგავსი სცენების შთაგონება“.

ვაჟკაცური, ოღონდ მწარე იუმორია. დედა-რეგენტი ლონდონში ჩაჰუკა კვალდაკვალ; შეხვედრა რამდენიმე საათს გაგრძელდა, რის შედეგადაც „უწესრიგოდ უკან დაიხია, ბრძოლის ველზე არტილერია და რამდენიმე ტყვე დატოვა“. ბაირონმა ალაფი მოაგროვა და რამდენიმე კვირით სუსექსის პლაჟებს მიაშურა, მერე გაროგეტშიც იმოგზაურა, ჯონ პიგოტთან ერ-

41. შმაგი /იტალ./.

42. ლუდოვიკო არიოსტო /1474—1533/ — იტალიელი პიგოტი და მომღერალი.

თად. პიგოტი, ელიზაბეთის ძმა, სტუდენტი მედიკოსი, სასიამოვნო და კულტურული ახალგაზრდა კაცი იყო. ბაირონის ეკიპაჟმა ძალიან გააოცა: კარეტის კარებზე ბაირონების ღერბი იყო გამოსახული და დევიზი *Cæde Bir ion* ენერა; კარეტას გრუმიც ახლდა, რომელსაც ორი ცხენი მოჰყავდა. კარეტაში პიგოტისა და ბაირონის გარდა, კამერდინერი ფრანკი და ორი ძალიც იჯდა. ნიუფაუნდლენდი ბოტსვაინი და ბულდოგი ნელსონი.

რატომ დაჲყავდა მთელი ეს ამალა ბაირონს, თანაც ისე, რომ მათი რჩენის არანაირი სახსარი არ გააჩნდა? გასაოცარი უუნარობით გამოირჩეოდა — არ შეეძლო ცხოვრებიდან მოქმედობინა ის, რაც თუნდაც შემთხვევით მოხვდებოდა მასთან. ოდესლაც, რაღაც კაპრიზის გამო, კამერდინერი გაიჩინა, ცხენები, ძალები; და ასევე დარჩნენ მის ცხოვრებაში. ფეტიშისტი გახლდათ და იმიტომ. გამოუსწორებელი სანტიმენტალიზმი აიძულებდა ყველაფერს შესჩეროდა, რაც გარს ერტყა. ჯონ პიგოტი გამჭრიახი ჭაბუკი ბრძანდებოდა და ხშირად თვალს ადევნებდა ბაირონის გაუბედაობას. სასტუმროს საერთო დარბაზში სადილობისას ბაირონი მუდამ ცდილობდა სწრაფად გასცლოდა იქაურობას, რათა სასტუმროს ნომრისთვის თავი შეეფარებინა. არანაკლებ იყო გაოცებული პიგოტი, როცა აღმოაჩინა, რომ მის მეგობარს, მოქეიფის სახელდავარდნილს, ეზიზლებოდა ღვინო და მკაცრ დიეტას იცავდა. ისე ჩანდა, მხოლოდ ლექსების წერა ანიჭებდა სიამოვნებას, ცხენის ჭენება და ქალების შორიდან ყურება. მიუხედავად მერი ჩავორსთან უილბლო სიყვარულისა, ძველებურად მგრძნობიარე იყო ქალური ხილისადმი. პიგოტთან იმ კაცის როლს თამაშობდა, რომელსაც სიყვარულის სახიფათობა შეგნებული აქვს, იცნობს ქალებს და სძულს ისინი.

— მათზე გამარჯვების საშუალება, ძვირფასო პიგოტი, არის არა ის, რომ გვიყვარდეს ისინი, არამედ არად ჩავაგდოთ“.

„გეყოფა, პიგოტი, ნუგეცოდება, ეგ შენი ტურფა; დაივიწყე დარღი და სევდა! და თუ მაინც გსურს, შენ მისი ტრფობა, ესეც იცოდე, კოპნია ქალის სიყვარული არ შეიძლება. აბა, მაშრავენათ, ძვირფასო ჩემო? წადი და ნახე, სხვა, მეორე; ეს გაიბეროს, გაიბუროს, ძალას ვინ ატანს? ორი დღით მაინც მიატოვე — და მერე ნახავ, ის გაგიღ-

იმებს; მერე კი კოცნე და კოცნე, რამდენიც გინდა, გული იჯერე“.

რატომ არ გამოიყენა ეს მიამიტური და მფრთხელი რჩევა, როცა მ.ე.ჩ. უყვარდა?

ბოლოს, ორივე მეგობარი საუსუელში დაბრუნდა და ბაირონი დროებით შემორიგებულ დედა-რეგენტთან დასახლდა. უბედური ქალი შეძრნუნდა, როცა ბაირონი ორი მსახურით, მთელი საჯინიბოთი და საძალლეთით კარს მიადგა. სიტყვის თქმა ვერ გააძედა, შეცდუნებულმა საკუთარ თავს მაინც უთხრა, მთელი ეს ურდო აქ როგორ იცხოვრებსო. ბაირონი ბუნებით პირდაპირი კაცი იყო, არ მალავდა ამ ოჯახური დაახლოების მიზეზს. ყველაფერი გაფლანგა, რაც მევახშებისგან მიიღო. ფული არც მოგზაურობისთვის ჰქონდა და არც კემბრიჯში დასაპრუნებლად. საუსუელის ერთადერთი სატყუარა ის იყო, რომ აქ შეიძლებოდა ისე ეცხოვრა, არაფერი დაეხარჯა. ერთი სიტყვით, რამდენიმე დღის შემდეგ მისთვის დამახასიათებელი გასაოცარი პასიურობით საუსუელს შეურიგდა, ჩვეულ, ყოველდღიურ, უფერულ რუტინაში გადაეშვა და იმაზე უარესად როდი იგრძნო თავი, ვიდრე ტრინიტში, თავის ოთახში გრძნობდა.

ცხოვრებაში ახალი მიზანი გაუჩნდა — პოეტი უნდა გამხდარიყო. ეს იდეა ელიზაბეთ პიგოტიმ შთაგონა. ერთხელ ქალმა ლექსები წაუკითხა, ბაირონმა უთხრა: „მეც ვწერ“ და დელაუერისადმი მიძღვნილი ლექსი წაუკითხა. ელიზაბეთი აღფრთოვანებული დარჩა. ერთხელ, როცა ბერნის უკითხავდა, ბაირონს ლექსის რიტმი მოენონა და მაშინვე დაწერა იმავე ზომის ლექსი Hill 1 of A mesl ey:<sup>43</sup>

„სად გაიარა უზრუნველმა ბავშვობამ ჩერმა. ენსლის მთები, დაღვრემილნო, ტანაძშიშველნო, სად ქარიშხალნი მოზიმზიმენი ეხეთქებიან შენს აბურგნულ კლდეებს და ღრეებს; სად მდებარეობს თავშესაყარი ლანდების მირიადების, რომელთა ხილვაც ყოველ წამს მხიბლავს; და მათი ღიმილის უდარდელ ცეცხლში ჩამოქნება სამყარო ცისა!“

ელიზაბეთი ლექსით აღტაცებული დარჩა; ბაირონის მოგონებებმა უბედურ სიყვარულზე კი გული აუჩვილა. ელიზაბეთი მისი ნამდვილი მეგობარი იყო. ქალი მის

43. ენსლის სერები (ინგლ.)

მოკრძალებას დასცინოდა /კუმბრიჯელი დენდი მძიმე წუთებში ზოგჯერ ისევ ჩურჩულებდა: „ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი...“/. ელიზაბეთი ამხნევებდა; შესთავაზა, ლექსებს გადაგინერ და დასაბეჭდად მოგომზადებო.

იმ დღიდან დაინყო კიდეც ბაირონისთვის საყვარელი საქმიანობა. ღამდამობით მუშაობდა, გვიან წვებოდა, უფრო გვიან დგებოდა. სახლიდან გამოვიდოდა, ქუჩას გადაივლიდა, ელიზაბეთთან შევიდოდა და სამუშაოს აძლევდა. იქ ყოფნისას, თუ სტუმარი ვინმე გამოჩნდებოდა, მორცხვი პოეტი თავს ფანჯრიდან გაქცევით შველოდა, მეორე მეგობართან, საუსუელ ახალგაზრდა მღვდელთან, მამა ბეკერთან მიღიდიდა, გონებადამჯდარ მოსაუბრესთან, რომელთანაც ბაირონს ხშირად ხანგრძლივი საუბრები ჰქონდა სამყაროზე, ბედისხერაზე. ბეკერი ცდილობდა შეეგონებინა მისთვის, რომ განგებამ, ის რომ უჩიოდა, გულუხვად დააჯილდოვა ყოველგვარი სიკეთით: დაბადებით, გონებით, მომავალში სიმდიდრით და, რაც მთავარია, ნიჭით, რომელიც სხვა ადამიანებზე აღამაღლებს. „ოო, ძვირფასო ბეკერ, — უცნებოდა ნაღვლიანად ბაირონი, — თუ ეს, — თითი შებლთან მიჰქონდა, — სხვაზე მამაღლებს, მაშინ ეს /ფეხს აჩვენებდა/ ყველაზე დაბლა მაყენებს“. წინადღეს მიცემული რჩევების პასუხად ხშირად მიჰქონდა ბეკერთან ლექსები:

„მეგობარო, ვიცი, გინდა, რომ ადამიანებთან ვიყო — არ შემიძლია. თუმც, შენს ხმას ვცნობ, სურვილიც ვიცი, მაგრამ მარტობა სუნთქავს ჩემს მკერდში. როგორ მივიდე მათთან? ისინი მძულან; მნარენაღველიც ვიგემე და სიტყბოებაც სიყვარულისა. ჭაბუკ მეგობრებთან აზრასც ვეძებდი. მაგრამ ჩემს აღტეინებას მატრონებმა მსჯავრიდასდეს და მაღლე მეგობრებიც გამოიცვალნენ“.

ამ საუსუელურ თავშესაფარში თავს ისე გრძნობდა, როგორც ბექერი განდეგილი, რომელსაც სიბრძნემ და უბედურებებმა მიზანთრობდა ჩაუგესლეს. სადილობისას დედა-რეგენტის პირდაპირ იჯდა; ჭამისას კითხულობდა, რათა დედა იძულებული გაეხადა ჩუმად ყოფილიყო. როცა კარგ გუნებაზე იყო, დედის წინ სასადილო ოთახის კარს ერთი ზარ-ზე იმით აღებდა და აცხადებდა: „მობრძანდება დიდად პატივცემუ-

ლი კიტი გორდონი!“ სადილის შემდეგ დროს სპორტს უთმობდა: ცურავდა, ყვინთავდა, მეგობრებს ნივთებს ართმევდა და მდინარეში ისროდა, მათი იქიდან ამოღება კი დიდ სიამოვნებას ანიჭებდა. საუსუელელებს თავზარსა სცემდა — თავის ბალში პისტოლეტიდან ისროდა და საკმაოდ თავზეხელალებულად დააქროლებდა ცხენს. ამ ვარჯიშების მთავარი მიზეზი გახდომა იყო. მკაცრი ვარჯიშები და თამაშები მის რეჟიმში შედიოდა. კრიკეტს უილეტსა და პალტოში ჩაცმული თამაშობდა, დღეში ერთხელ ჭამდა, ხორცის ჭამის უფლებას საკუთარ თავს არ აძლევდა, არც ლუდს ეკარებოდა; ამ აკრძალვის ფასად აღწევდა იმას, რომ ნეკნები უჩინდა და სახის ნაკვთების მშვენიერ დახვეწილობას ინარჩუნებდა.

საღამოობით მეგობრებთან მიღიოდა, პიგოტთან ან ლიკროფტთან. საუსუელში ბევრი ახალგაზრდა ქალი იყო; მოასწრო და ბევრი გაიცნო; ისინი უკვე აღარ აშინებდნენ. წესს უყენებდა და როგორც ჯონ პიგოტს ურჩია ერთხელ, ყველას ეარშიყებოდა; ლექსებს უგზავნიდა; მათ კოცნასაც იმსახურებდა; სამოვგარულო სპექტაკლებშიც მონაწილეობდა; დაბალი წრის ერთ გოგონასთან, ვინმე ოქროსთმიან მერისთან, ფრიად ინტიმური ურთიერთობაც ჰქონდა; გოგონამ კულულიც აჩუქა; ამ კულულს ბაირონი სიამაყით აჩვენებდა თავის უფრო მოკრძალებულ მეგობრებს ანა ჰაუსონსა და ჯული ლიკროფტს. საუსუელელ ერთ ქალბატონს დიდი აქატი ჰქონდა, რომელიდაც გათხრების დროს ნაპოვნი. ამ აქატს თავისი ხელსაქმის კალათში ინახავდა. ერთხელ ბაირონს უთხრა, თილისმააო, მფლობელს სიყვარულისგან იცავს.

— მომეცით ეგ თილისმა, — ფიცხადნამოყვირა თურმე ბაირონმა, — ზუსტად ის არის, რაც მე მჭირდება!..“

საუსუელის ერთფეროვანი ცხოვრება ბაირონს მუყაითად მუშაობის შესაძლებლობას აძლევდა. მსუბუქი სატრფიალო თავშესაცევები მოწყენის საშუალებას არ იძლეოდა და ლექსების სიუშეტადაც ადგებოდა. კარგად მუშაობდა. დელაუერის, კლერის, დორსეტისადმი მიძღვნილ ძველ ლექსებს, კატულუსის, ვირგილიუსის თარგმანებს, ნიუსტედურ ელეგიებს, სატრფიალო ლექსებს აგროვებდა და ზოგსაც ასწორებდა. კრებული საკმაოდ დიდი გამოუვიდა. ავტორი სასიამოვნო გაოცე-

ბით კითხულობდა თავისი ქმნილებებს. ვინ იცის, ამ პატარა წიგნმა სახელი გაუთქვას! ელიზაბეთ პიგოტს ეს სჯეროდა.

ლექსები ნიუარკსელ გამომცემელ  
რიჯის მისცა გამოსაცემად. პირველი ორი  
ეგზემპლარი პიგოტსა და ბეკერს მიართვა.  
ეფექტი ძალან შორს იყო იმისგან, რასაც  
ელოდა. მღვდელმა ლექსები წაიკითხა,  
მერისადმი მიძღვნილმა სტროფებმა  
თავზარი დასცა და წიგნის გავრცელება  
დაუშევებლად მიიჩნია. საცოდავმა ბაირონ-  
მა ქებას რომ ელოდა, ბეკერისგან მიიღო  
მკაცრი დარიგება და თხოვნა, ლექსები გა-  
ნადგურეო. ბაირონმა მთელი გამოცემის  
განადგურება აღუთქვა და აღთქმა იმავ სა-  
ლამოს შესარულა. ყველა ეგზემპლარი დაწ-  
ვა, გარდა იმისა, ჯონ პიგოტს რომ გაუგ-  
ზავნა, რომელიც იმ დროს ედინბურგის  
უნივერსიტეტში სწავლობდა და /რაოდენ  
სასაცილოც უნდა იყოს/ ბეკერისთვის  
ნაჩექარი ეგზემპლარისა. საკუთარ პირვ-  
ელ წიგნზე უარის თქმა — მკაცრი გამოც-  
და იყო ახალგაზრდა ავტორისა. ბაირონმა  
ეს მსხვერპლი გმირულად გაიღო.

შემდეგ ერთი დღეც არ დაუკარგავს, ისევ მუშაობას შეუდგა. საცოდავ მერისად- მი მიძღვნილი ბეჭერული ლექსები გაანად- გურა. და რამდენიმე კვირის შემდეგ უკვე მზად ჰქონდა ახალი კრებული — „ლექსე- ბი სხვადასხვა თემაზე“, რომელიც 1807 წლის იანვარში გამოიცა. კრებული უჩვეუ- ლო უმნიკვლობითა და სიმკაცრით გამ- ოირჩიოდა.

ნიგნები კემპრიჯელ მეგობრებსა და  
საუსუელელ ნაცნობებს დაურიგა. კემპრ-  
იჯიდან გულის გასახარებელი მიღოცვა  
მიიღო. საუსუელში კი ქარიშხალი ამოვარ-  
და. ლიკროფტის ოჯახი აღელდა. ერთ  
ლექსში ჯულიეტაზე იყო ღაბარაკი. მათი  
ჯულიეტა ხომ არ არის? მეორე ლექსიც,  
ჭაბუკი ბაირონის საყვარელი ირონიული  
ტრიით /ქედმაღლურ-აგდებული დამოკ-  
იდებულება სიყვარულისადმი/ დანერილი,  
როგორც ეტყობა, ესეც ჯულიეტას ეძღვნე-  
ბოდა. ყოველ შემთხვევაში, საუსუელში ასე  
ღაბარაკობდნენ. ეს კი დაუშვებელი იყო.  
ჯულის ძმამ, კაპიტანმა ლიკროფტმა  
ბაირონისგან ახსნა მოითხოვა. ბაირონმა  
რჩევისთვის ბეკერს მიმართა. მათ ერთად  
შეადგინეს ფრიად წინდახედული პასუხი,  
მაგრამ ინტერპრეტაციის უგვანო სტილმა,  
ფარისებრობა სიმორჯვები და ჩეზებმა,

რამდენიმე კვირა კიდევ შეფერხდა, ლექსების ახალი კრებული რომ დაემთავრებინა, შევსებული და „ფართო ჰუბლიკისთვის“ განკუთვნილი. სათაური სხვა მისცა. წიგნს ასე ერქვა: „მოცალეობის უამს“ — ავტორი ჯორჯ გორდონ ლორდ ბაირონი. არასრულწლოვანი“. „არასრულწლოვანი“ საკმაოდ საინტერესოდ ჟღერდა. შესავალიც დაწერა. ვარაუდობდა, რომ ამ შესავალს მკითხველი ავტორისადმი შემწყნარებლურად უნდა განხენყო: „ეს ლექსები — იმ ჭაბუკის უდარდელი საათების ნაყოფია, რომელმაც ეს-ეს არის გადააბიჯა ცხრამეტ წელს... ეს განმარტება იქნებ ზედმეტიცაა, რადგან ლექსები უმნიშვარ გონებას თავადვე ამჟღავნებს... წიგნის შინაარსმა შეიძლება ზოგიერთ ჩემი ასაკის ახალგაზრდას კმაყოფილება მიანიჭოს; ყოველ შემთხვევაში, იმის იმედი მაქვს, რომ მას უწყინარად მიიჩნევინ. ჩემს მდგომარ-

ეობაში ნაკლებ მოსალოდნელია ჩემი შეხედულებებით მკითხველის სამსჯავროზე კიდევ გამოვიდე... დოქტორი ჯონსონი ერთი ჩემი კეთილშობილი წინაპრის პოეტურ ნაწარმოებებზე ამბობდა: „როცა მაღალი წარმოშობის ადამიანი ლიტერატურულ სარბიელზე გამოდის, იგი მკითხველის კეთილგანწყობას იმსახურებს“; ცხადია, ამ აზრს კრიტიკოსებისთვის დიდი წონა არ ექნება, მაგრამ სხვანაირადაც რომ იყოს, არ ვისურვებდი ასეთი პრივილეგით სარგებლობას...“. წიგნი გამოვიდა თუ არა, 1807 წლის ივნისში ლონდონში გაემგზავრა, რათა პირადად ედევნებინა თვალი წიგნის მაღაზიებში კრებულის განაწილებისთვის.

საამჟრია, როცა ოცი წლისა ხარ და ივნისის ერთ მმვენიერ დღეს ლონდონში აღმოჩნდები, მცირეოდენი თანხითა და ახალგამოცემული წიგნით. „ცხვრის თვინიერი ხასიათების“ მანდილოსანი თავისი ჩრდილოურ სამფლობელოებში მარტო დარჩა; ის წყეული საუსუელიც საღლაც შორს იყო უკვე; დედოფალმა ელიზაბეთმა კი გულლია და გულმართალი უსტარი მიიღო: „საუსუელს, ამ შეჩვენებულ ადგილს, სამუდამოდ დავემშვიდობები. ყოველ შემთხვევაში, ასე ვფიქრობ მე. თქვენ გარდა, კაციშვილს პატივს არ ვცემ. გამოგიტყდებით, თქვენ ერთადერთი გონიერი მეგობარი იყავით და მუდამ დიდად გაფასებდით, ვიდრე მთელ მაგ ნახირს, რომელთა წვრილმანი სისუსტეებითაც ვერთობოდი... თქვენს საქმეს მოსცდით და ჩემთვის, ჩემი ხელნაწერებისთვის იმაზე მეტი იღვანეთ, ვიდრე მილიონმა მაგ თოჯინამ შეიძლება გააკეთოს. დამიჯერეთ, ამ ცოდვის ბუნავში, ერთი წამით არ დამვიწყებია თქვენი კეთილშობილება და, იმედი მაქვს, ოდესებ შევძლებ დაგიმტკიცოთ ჩემი მადლიერება!“ ის გულწრფელი იყო, არაფერს გრძნობდა, გარდა ზიზლისა, ყველა იმ ჯულიეტასადმი, მერისადმი, მოფერების ხებას რომ აძლევდნენ. „ცხოველური ინსტინქტები“, სიამაყე იძულებულს ხდიდა მათზე ებატონა, წინ დამდგარიყო მათზე, მაგრამ სულის იდუმალ ტაძარში პატარა შოტლანდიელი კალვინისტი ფარულად ეთაყვანებოდა სისპეტაკეს.

მთელი მისი ფიქრი მხოლოდ ერთით იყო დაკავებული: „მოცალეობის უამი“ სახელგანთქმულ პოეტად თუ აქცევდა. წარუმატებლობაზე ჩივილის უფლება არ ჰქონდა, რადგან ლონდონის ერთმა მაღაზიამ

რამდენიმე წიგნი უკვე გაყიდა და კიდევ მოითხოვა. ნიუარკსელმა გამომცემელმა რიჯიმ ორ კვირაში თრმოცდათი ცალი გაყიდა. ცხადია, მკითხველი ძირითადად საუსუელის მცხოვრებნი იყვნენ და, მიუხედავად სიძულვილისა, ახალგაზრდა ავტორს ძალიან აინტერესებდა იმათი აზრი. „ქალებიდან წიგნი ვინ იყიდა? — ეკითხებოდა ელიზაბეთს, — საუსუელში ჩემი ლექსები მოსწონთ?“.

გაცილებით ძნელი იყო ამ საშინელი და უჩინარი არსებების — ლონდონის მკითხველის — აზრის გაეგბა. ბაირონმა წიგნი ლორდ კარლაილსაც გაუგზავნა. იმან თავაზიანი წერილი მოსწერა, ისეთი, როგორსაც ჩვეულებრივ წერენ ხოლმე, როცა წინასწარ უკვე განზრახული აქვთ წიგნი არამცთუ წაიკითხონ, არც გადაშალონ. ერთმა ბიძაშვილმა, ალექსანდრ გორდონმა უთხრა, რომ დედამისმა, ჰერცოგინია გორდონმა „წიგნი იყიდა, აღფრთოვანებული დარჩა, ისევე როგორც მთელი საზოგადოება და ისურვა ავტორთან თავისი ნათესაობა გამოეცხადებინა“. მაგრამ მისი უგანათლებულესობა ცოლის სურვილს არ აჰყოლია და ჭაბუკი ნათესავისთვის არც მიპატიუება გაუგზავნია. „წიგნის მაღაზიების ყველა ვიტრინაში ჩემს სახელს ვხედავ, ვდუმვარ და ფარულად ვტკბები ჩემი დიდებით“. ერთმა წიგნის მაღაზიამ შვიდი ცალი გაყიდა.

„შვიდი. დიდებულია“. — უთხრა მაღაზიის პატრონმა. ბაირონმა მისი ნათქვამი მთელი გულით დაიჯერა.

გამრჯვე ავტორმა იზრუნა და წიგნი ყველაზე მოდურ კურორტებზე თვითონვე გაგზავნა. „კარპენტერმა /მურის გამომცემელი/ მითხრა, რამდენიმე დღეა ყველა წიგნი გაიყიდა, მოთხოვნა კიდევ იყო, მაგრამ ვერ დააკმაყოფილეს. ჰერცოგი იორკელი, მარკიზი ჰედფორტი, ჰერცოგინია გორდონი და სხვანი, მყიდველთა რიცხვში იყვნენ; ამბობენ, ზამთარში მოთხოვნა უფრო დიდი იქნება, საერთოდ, ზაფხული ცუდი დროა, რადგან ლონდონიდან ყველა მიემგზავრებაო“. რამდენიმე კრიტიკოსმა, „მოცალეობის უამის“ გამოსვლა აღნიშნა. „ერთ უურნალში შემაქეს, მეორეში გამლანდეს. ამბობენ, რომ ეს კარგია და წიგნის გასაღებას უწყობს ხელსო, იწვევს კამათს და დავიწყებას ხელს უშლისო. ყველა დიდ ადამიანს, ყველა დროში, ეს ხვდომია წილად. ამას

ვერ აარიდებს თავს ყველაზე მოკრძალებული ადამიანიც კი. მე ამ საკითხს ფილოსოფიურად ვუდგები“.

ძველებურად ძალიან მარტოსული იყო. იშვიათი სტუმარი თუ გამოჩნდებოდა მის ლონდონურ სახლში / „დორანთ-ოტელი“, ელბერმელ-სტრიტი/. მისი ბებერი მასწავლებელი, ჰაროული ჰენრი დრური ამაოდ ცდილობდა მის ნახვას. ერთხელ დალასი ეწვია, თავი შორეულ ნათესავად გააცნო: მისი და ცოლად ჰყოლია ბაირონის ბიძას, ჯორჯ ანსონს. დალასი რომანებს წერდა და ფრანგულ წიგნებს თარგმნიდა. ის სერიოზული კაცი იყო და მიიჩნევდა, რომ მწერლის მოწოდება „ლეთისმეტყველისა და მორალისტის თანაშემწეობა“ იყო. „მოცალეობის უამის“ გამოსვლა ახლობლებისგან შეიტყო და შეიძინა კრებული; როცა ნაიკითხა, ბაირონს მისწერა: „მილორდ, რამდენიმე დღის ნინ თქვენი ლექსები გამომიგზავნეს. ისეთი სიამოვნებით ნავიკითხე, რომ გადმოცემასაც ვერ შევძლებ; შეუკავებელ სურვილს ვგრძნობ ჩემი აღტაცება გაგიზიაროთ თქვენი კეთილშობილური და ასე ჭეშმარიტი პოეტური გონების გამუღავნების გამო... თქვენი ლექსები, მილორდ, არა მარტო მშვენიერია, არამედ ამაღლებული გრძნობებით მოგიზგიზე გულსაც აჩენს და სათნოების გულისხმიერ ხმასაც“. ცოტა არ იყოს, უცნაური წერილია, — ასე უნდა ეფიქრა ჭაბუკ ცინიკოსს, მაგრამ დალასი პირველი მწერალი იყო, ვინც მის ქმნილებას ყურადღება მიაქცია, ამიტომ დაჯდა და ფრიად თავაზიანი წერილი მისწერა:

„თუმცა კრიტიკოსებმა ჩემდამი იშვიათი ლმობიერება გამოიჩინეს, მაგრამ უნდა ვალიარო, რომ იმ ადამიანის ქება, გენიალურად რომ ითვლება, უფრო მსიამოვნებს... სამწუხაროდ, სათნოებაზე ჩემი უფლების გაცხადება იმდენად სუსტია, რომ არ შემოძლია თქვენი ქათინაურის მიღება. ჩემი ხანმოკლე ცხოვრების მოვლენები რამდენადმე უჩვეულო იყო, თუმცა სიამაყემ, ადამიანები ღირსებას რომ ეძახიან, ხელი შემიშალა რაიმე სისაძაგლით ჩირქი მომცხოვრებობის სახელისთვის, მაინც გარყვნილებისა და ორგულობის ტრფიალის სახელი დამივარდა... რაც შეეხება მორალს, კონფუცის ვამჯობინება, ათ მცნებას, სიკრატეს — ნმინდა პავლეს /თუმცა ქორწინებას ორივე ერთნაირად უყურებს/. რელიგიაში

კათოლიკების ემანსიპაციას ვემზრობი, მაგრამ პაპს არ ვაღიარებ. საერთოდ კი, სათნოებას ხასიათის ელემენტად მივიჩნევ, გრძნობად და არა პრინციპად. მიმაჩნია, რომ ჭეშმარიტება ღვთაებრიობის მთავარი ატრიბუტია, რომ სიკვდილი — მარადიული ძილია, ყოველ შემთხვევაში, ხორცისთვის მაინც. აი, მოკლე დასკვნა, ბოროტი ლორდ ჯორჯ ბაირონის გრძნობებისა, მანამდე, ვიდრე ახალი სამოსელი არ შემიძენია, შეამჩნევდით ალბათ, ძალიან ცუდად ვარ ჩაცმული“. ამ წერილმა ღრმააზროვანი დალასი აღტაცებაში მოიყვანა და გააოცა.

აბა, რა შეიძლება იყოს უფრო მიმზიდველი, ვიდრე მწერლად ქცევის პერსპექტივა? ბაირონი უკვე მომავლის სამუშაო გეგმას ადგენდა. ოცნებობდა, ლექსად აემეტყველებინა შოტლანდიური ძველი თქმულებები, ეთარგმნა ძველი ბალადები, რომელსაც მერე გამოსცემდა სათაურით „შოტლანდიური არფა“ ან სხვა სათაურს დაარქევდა, უფრო ორიგინალურს. ეპიკურ პოემაზეც ფიქრობდა — ომის თემაზე, მაგრამ ამას სულ ცოტა სამი-ოთხი წელი სჭირდებოდა... ან იქნებ, ვულკან ჰეკლაზე ეცადა სტანსების წერა? პოეტური დიდების მოლოდინში მოცურავის დიდების დამსახურებას ლამობდა. ჯეკსონის მეთვალყურეობით, ტემზა გადაცურა. კრიტიკოსმა ლიპანტმა, ბანაობის შემდეგ ტანთრომიცვამდა, შორს ადამიანის თავი დაინახა, რომელიც წყლის ზედაპირზე ხან გამოჩებოდა, ხანაც ქრებოდა ტივტივასავით, ხაპირზე კი ვიღაც ფრიად შთამბეჭდავი გარეგნობის კაცი, თვალს ადევნებდა მოცურავეს. ნაპირზე მდგომი კაცი მისტერ ჯეკსონი გახლდათ, სახელგანთქმული და საზოგადოებაში მიღებული მოკრივე; ტივტივა — ჯორჯ გორდონ ბაირონი, არასრულწლოვანი.

## XI

### ტრინიტის მუშკეტერები

რა ქნას, რა გააკეთოს ცხოვრებაში? არ შეიძლება მთელი სიცოცხლე იცურაო და ლექსები წერო. ივნისის ბოლოს უნივერსიტეტში გაემგზავრა; მასთან საბოლოო გამოთხვება ჰქონდა ჩაფიქრებული; ისევ ნახა ტრინიტის მშვენიერი ეზო, მდინარე კემის აბალახებული სანაპირო. ისეთი გა-

ნაზებული, დასუსტებული დაუბრუნდა უნივერსიტეტს — ანგელოზს ჰერცოგი; ვერც აღმზრდელებმა, ვერც მეგობრებმა, ვერც შევიცარმა მასში მათი ყოფილი სტუდენტი, ის მსუქანი ბიჭი ვერ იცნეს. მკაცრი რეზი-მისა და სპორტის წყალობით მისი სახე ჭა-ბუკი ასკეტის სახეს დაემსგავსა: „შიგნიდან განათებულ ალებასატრის მშვენიერ ლარ-ნაკს“ ჰერცოგი. ნაბლისფერი, სპილენძისა-ფრად ელვარე თმა /რაც ასაკი ემატებოდა, ნაკლებ მწითური ხდებოდა/ და ნაცრ-ისფერდაკრული ცისფერი თვალები, მოუს-ვეხრად რომ იცქირებოდნენ გრძელი, შავი, ნახევრად დაშვებული ნამნამებიდან, უკეთ აჩენდა მის, თითქმის, გამჭვირვალე სახეს. სტუდენტთა შორის, ცნობისმოყვარეობით რომ უყურებდნენ, ერთი ახალგაზრდა შეამჩნია, გაუბედავად რომ ათვალიერებ-და. ის ნაცნობად ეჩვენა: ედელსტონი იყო მომღერალთა გუნდიდან, რომელთანაც ოდესლაც მეგობრობდა. ისიც კემბრიჯის დასატოვებლად ემზადებოდა: თავის შესან-ახად ფული აღარ ჰქონდა და ლონდონის სავაჭრო სახლში კლერკად უნდოდა მუშაო-ბის დაწყება. ამ შეხვედრამ ბაირონი ძალიან აალელვა, შესთავაზა, იმ სავაჭრო სახლში პაის შევიტან კომპანიონი რომ გახდე ან, როცა სრულწლოვანი გავხდები, ჩემთან დასახლდი ნიუსტედშიო. დედოფალ ელიზ-აბეთ საუსუელელსაც აუწყა, ამ ისევ აფეთქებული გატაცების ამბავი: „ცხადია, მიყვარს. თანაც ისე მიყვარს, ჯერარც ერთ ადამიანს რომ არ ჰყვარებია; არც დრომ, არც მანძილმა ჩემს გრძნობებზე /რომელ-იც ასე ცვალებადია/ ოდნავადაც არ იმო-ქმედა... ბოლოს და ბოლოს, ჩვენი ურყევი ერთგულება განითლებას აიძულებს ლედი ელეონორა ბუტლერსა და მის პონსონბს, პილადესა და ორესტეს. <sup>45</sup> მგონი, ის უფრო შეყვარებულია, ვიდრე მე. გასულ წელს, კემბრიჯში, ყოველდღე ვხვდებოდით ერთ-მანეთს, ზამთარ-ზაფხულ, ერთი წუთი მოწ-ყენა არ გვიგრძნია, დაშორებას მუდამ ვნანობდით. იმედი მაქვს, ოდესმე ერთად გვნახავთ. ის ერთადერთი არსებაა, რომელსაც პატივს ვცემ, თუმცა ბევრი ვინმე მომწონს“. ლედი ელეონორა ბუტ-ლერი და მის პონსონბი მანდილოსნები ბრ-ძანდებოდნენ, სახელგანთქმული იმით,

რომ ოცდაათი წელი ერთად იცხოვრეს გა-ნუშორებლად, მამაკაცის სამოსითა და გაპუდრული პარიკებით დადიოდნენ, ზუს-ტად ისევე, როგორც სამსახურიდან გასუ-ლი ორი ბებერი კლერიკალი. <sup>46</sup>

როცა ბაირონი კემბრიჯიდან წავიდა, მისი დიდებულად მოწყობილი ოთახები, მე-ორე სტუდენტს მეტიუზს მისცეს, უკანდაბ-რუნებული ბაირონი მეტიუზს გაეცნო და სასიამოვნო კაცად ეჩვენა. მეტიუზი ერუ-დიტი იყო, გონებამახვილი და არცთუ ცუდი მწერალი, თანაც ორ ენაზე, ლათინურად და ინგლისურად წერდა. ქედმაღალი კაცის სახელი ჰქონდა დავარდნილი, თუმცა ბაირონს თბილად ექცეოდა. ბაირონს ოთახებს რომ აძლევდა, კლასის დამრიგე-ბელმა გააფრთხილა: „მისტერ მეტიუზ, გირჩევთ, ოთახებს გაუფრთხილდეთ, რად-გან ლორდი ბაირონი, სერ, აულაგმავი ვნებების ახალგაზრდაა“. ამ ფრაზამ მეტი-უზი აღაფრთოვანა. როცა რომელიმე მე-გობარი ეწვეოდა, აფრთხილებდა — კარის სახელურს ფრთხილად მოჰკიდე ხელი, „რადგან ლორდი ბაირონი, სერ, აულაგმა-ვი ვნებების ახალგაზრდაა“. თავისი „პა-ტრონი“ ფრიად თავშესაქცევად მიიღო და გამქირდავად უამბო მის „აულაგმავ ვნებე-ბზე“. მეტიუზთან გაიცნო კიდევ რამდენიმე ინტელექტუალური სტუდენტი და აღ-მოაჩინა, რომ ამ წრეში შეიძლებოდა კემბრ-იჯში ცხოვრება და გაცილებით სასიამ-ოვნოც იქნებოდა, ვიდრე უნივერსიტეტში ჩამოსვლის პირველ წელს. მიდრეკილება — ინტელექტუალური ცხოვრებისკენ უბი-ძგებდა, ღირსების პირობითი გაგება კი — თავაშვებულებისკენ. ახალ ამხანაგებში ქარაფშუტულისა და გონების პიკანტურ-ობის ის შერწყმა დაინახა, რომელიც საშუ-ალებას იძლეოდა ჭკვიანნი გამოჩენილ-იყვნენ და არც ღირსება დაეკარგათ. ადრე როგორ ვერ გაიცნო ისინი? კემბრიჯში მისი მოსვლის პირველ წელს, მათ, უბრალოდ, ეზიზღებოდათ ბაირონი. აბა, მაშინ რას ნარმოადგენდა? ერთი სქელუა ბიჭი იყო, ხეიბარი, მორცხვი და მედიდური, არც რამე დამსახურება ჰქონდა, რაც მასთან ამხ-ანაგობას გაამართლებდა. გაურბოდნენ. ახლა სხვა იყო — ის ღერძების წიგნის ავ-ტორი ბრძანდებოდა. ეს წიგნი კი კემბრიჯ-

ში ყველამ წაიკითხა; თანაც ლამაზი ბიჭი იყო. ის წრე, რომელიც მისთვის ოდესლაც ჩაკეტილი გახლდათ, ახლა ხელგაშლილი დახვდა. ამას მიხვდა, გაიხარა და გადაწყვიტა, ოქტომბერში კემბრიჯს ერთი წლით დაპრუნებოდა.

დაბრუნდა, თავისი ოთახები დაიბრუნა და ამ ვიწრო წრის განუყრელ წევრადაც იქცა. უპირველეს ყოვლისა, აქ მეტიუზი იყო, რომლითაც ბაირონი აღფრთოვანებული გახლდათ. მეტიუზი ყოველგვარი თავშესაქცევი გართობის დიდი მოყვარული ბრძანდებოდა, თუმცა ერუდიტი იყო, მაგრამ კრიუც უყვარდა და ცურვაც. ოღონდ, ვაივაგლახით ცურავდა, წყლიდან ძალიან მაღლა ეჭირა თავი. ბაირონმა, ცურვის ექსპერტმა, უთხრა კიდეც, ოდესმე დაიხრჩობი, თუ წყალზე სწორად თავის დაჭერას არ ისნავლიო. თავის მხრივ, მეტიუზი დიდი გამჭრიახობით აკრიტიკებდა ბაირონის შეხედულებებს და საბოლოოდ ამოძირვა მასში ის, რაც აბერდინიდან შემორჩა; არაფრის სწამდა — ღმერთსაც დასცინოდა და ეშმაკსაც. ბაირონს, ვოლტერის გავლენით, ვოლტერს კი ძალიან ბევრს კითხულობდა, დიდი ხანია უკვე ღმერთისა აღარ სჯეროდა, თუმცა, საკუთარ თავში შემისრალაც უცნაურ გრძნობაზე გამარჯვება ვერ შეძლო. მეტიუზის გაბედული მსჯელობები მის სკეპტიციზმს ამტკიცებდა. ამ წრეში, მეორე ახლო მეგობარიც ჰყავდა და ის სულ სხვა ყაიდის ყმაწვილი იყო. ჯონ კემ ჰობპაუზი, ბრისტოლელი მსხვილი კომერსანტის ვაჟი, ნონკონფორმისტთა<sup>47</sup> ოჯახიდან, ვიგების პოლიტიკაში მონინავე შეხედულებების მომხრე, მეტიუზივით ერუდიტი იყო; მსხვერპლშენირვის წარმოშობის მიზნის შესახებ თემაზე მუშაობდა /რაზეც ბაირონი ამბობდა: „თქვენი თემა ღორმულელობაზეა“/. ჰობპაუზი ამ წრის ყველა თავშესაქცევში მონაწილეობდა, ოღონდ რაღაცა დოზით თავშეკავებულად და სიფრთხილით, რაც მეტიუზის არ ჰქონდა. ისინი ცურვით იყვნენ გატაცებულნი, ეს კი ნადირობით. ამან, რაღაცა დონით, მათ შორის განსხვავება განსაზღვრა კიდეც. არც მეტიუზის ტონი იყო სულმთლად ისეთი,

როგორიც შეიძლებოდა ჰობპაუზის მოსწონებოდა. თავად მორწმუნე არ იყო, მაგრამ რელიგიას დიდი სერიოზულობით ეკიდებოდა. ურყევი ლიბერალი გახლდათ; სტუდენტებთან ლიბერალური კლუბიც ჩამოაყალიბა და „მეგობრული საზოგადოებაც“, რომელიც რამდენიმე თვის შემდეგ დაიშალა, რადგან კრებებზე ბევრს ჩხუბობდნენ. ბურბონები სძულდა, ბაირონს სწრაფად დაუახლოვდა, რადგან მის თაყვანისცემას ნაპოლეონისადმი იზიარებდა.

ხასიათით, მიდრეკილებებით ჰობპაუზი სერიოზულ ცხოვრებას ამჯობინებდა; უფრთხილდებოდა იმ პატარა პოლიტიკურ გავლენას, რომელიც უკვე მოეპოვებინა უნივერსიტეტში. ის ნაკლს პირდაპირ გეტყოდათ, მაგრამ გეტყოდათ მხოლოდ თქვენ. ეს დირსეული ქცევა იყო. მეტიუზი და ჰობპაუზი ერთმანეთს მქირდავ წერილებს უგზავნიდნენ: „თქვენი ღვარძლიანი ხასიათი, ჰობპაუზი...“. უნივერსიტეტში ბაირონის ყოფნის პირველ წელს ჰობპაუზის ეზიზღებოდა ეს კოჭლილორდი, რომელიც ასე უცნაურად იპყრობდა ყურადღებას თავისი თეთრი შლაპითა და ღია ნაცრისფერი კოსტიუმებით; მაგრამ ჰობპაუზის პოეზია უყვარდა და „მოცალეობის უმში“ ტალანტის დაბადების ნიშნები აღმოაჩინა. ბაირონის დიაცურ კაპრიზებს ახლა უკვე მამაკაცის ალერსიანი შემწყნარებლობით უყურებდა. ბაირონის მეგობრების ამ პატარა წრეში, იგი ჯანსაღ აზრს განასახიერებდა, მეტიუზი კი — ფანტაზიას.

იმ ოთხი მუშკეტერიდან, 1808 წელს ტრინიტში რომ მბრძანებლობდა, მეოთხე სკროპ დევისი იყო. თავისი ზნე-ჩვევებით, მანერებით, თავის დაჭერით, ბრიუმელს, დენდების მეფეს ჰგავდა. მის ტანსაცმელში მყვირალა არაფერი იყო. მშვიდი, თავშეკავებული, გონებამახვილობით სავსე, მუდამ მშრალი, დამცინავი ტონით ლაპარაკობდა, შეუდარებელი ენაბრგვილობა განსაკუთრებულ ხიბლს ანიჭებდა. დევისი დიდი მეტოქე იყო ბაირონისა ცურვასა და ყვინთვაში. დროის დიდ ნაწილს ბანქოს სათამაშო მაგიდასთან ატარებდა; ხშირად იგებდა, რადგან მშვიდი და ალლოიანი მოთამაშე იყო. ოღონდაც სკროპ დევისისთვის თავი მოეწონებინა და ბაირონმაც დაიწყო თამაში; ამის გამო, ჰობპაუზისგან კარგი ჭკუის დარიგებაც მიიღო: „არა, ნამდვილად

47. სექტანტი, დისიდენტი. კონფორმიზმის მონინააღმდეგე...

უნდა მიატოვოთ. ყველას თვალწინ, მთელი ღამები ყველაზე მდაბალ კომპანიაში უნდა ატაროთ, ამაზე შემაცბუნებელი და სამარცვინო სხვა რაღა შეიძლება იყოს?“ მაგრამ ამ წრეში ჰობჰაუზი უმცირესობა იყო, იმ წელს კი ტრინიტში ცხოვრება ბობოქობდა. კიდევ ერთი მეგობარი გაიჩინა ბაირონმა — მოთვინიერებული დათვი. რომელილაც ხელმძღვანელმა პკითხა თურმე, რა უნდა უყო ამ დათვსო. „კათედრის კანდიდატად მოვამზადებო“. — მიუგია ბაირონს. პასუხი, ცხადია, არ მოეწონათ. ლონდონიდან ბაირონთან სავახშმოდ ჩამოდიოდნენ ჟოკეები, მოთამაშები, ქალები. მიუხედავად ამისა, ჰობჰაუზი მაინც აღერსიანად და პატივისცემით ექცეოდა. ამ ჭაბუქში, ბავშვობაში რომ არავის აღუზრდია, ბევრი კეთილშობილება იყო. გარდა ამისა, უსაზღვრო სიმამაცეც აღმოაჩინა — მზად იყო სხვისი გულისთვის თავი გაეწირა, და კიდევ ერთი დიდებული თვისება — იმ ადამიანებისადმი სიკეთე, ვინც მასზე დაბლა იდგა. ყოველ ტრიმესტრში თავის ასოციაციურ ფუნქციან სარჩოდან ნიუსტედელ ბებერ მსახურს მურეის ხუთ ფუნქს აძლევდა. მძიმე პავშვობიდან დაჰყვა ღარიბებისადმი სიბრალული. ბევრ ფულს არიგებდა, თვითონ უგროშოდ რჩებოდა. სესხულობდა, ვალები კატასტროფულად იზრდებოდა. „ტიტულის გაყიდვა ხომ არ მომინევს? — ეკითხებოდა ჰანსონს, — რა ლირს ბარონეტობა? თხუთმეტი ფუნქტი? მაინც ფულია იმ ადამიანისთვის, ვისაც ამდენი პენიც არ უდევს ჯიბეში“. 1809 წლის იანვარში, მევახშეებისა სამი ათასი ფუნქტი მართებდა, ოთხმოცი ფუნქტი მისის ბაირონისა, ათასი ფუნქტი კი სხვა ქალებისა. „ჩვენში დარჩეს და, არაჩვეულებრივ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. ყველა ჩემი ვალი რომ აღინუსოს, ჩემს სრულწლოვანებამდე, აღბათ, ცხრა თუ ათი ათასს მიაღწევს“. მუშაობას ქარაფშუტულ ქცევებს ანაცვლებდა. „მოცალეობის უამის“ გამოცემა გასაღდა. მეორეს ამზადებდა, მაგრამ პოეტი მასში ახალგაზრდა კაცის კაპრიზებს ემორჩილებოდა, გატაცების ან სიძულვილის სწრაფვას ატანილი ლექსებს ანადგურებდა, ახალს უმატებდა. ვიღაცამ უთხრა, უურნალ „ედინბურგ რევიუში“ /შოტლანდიელი ვიგების პრესის მსხვილი ორგანო/, შენს წინააღმდეგ ბოროტი, სალანდავი სტატია

მზადდებაო. ვიღაცას ისიც გაეგო, ამ სტატიიდან ამონაწერები ლედი ჰოლანდს აქვსო. ამ ამბავშა ბაირონს გული დაუმიმა, მაგრამ თავდასხმას მხნე განწყობილებით ელოდა. ბეკერს მისწერა: „მისის ბაირონს უთხარით, ძალიან არ გაპრაზდეს და მათი მხრიდან ყველაზე ღვარძლიანი თავდასხმის მოემზადოს“.

უურნალის ნომერი მხოლოდ 1808 წლის თებერვლის ბოლოს გამოვიდა. ბაირონმა გადაშალა და წაიკითხა:

„ამ ჭაბუკი ლორდის პოეზია იმ თარგს ეკუთვნის, რომლის არსებობის დაშვება არც ლმერთს შეუძლია და არც მოკეთავთ. დანაშაული რომ შეარბილოს, ეს კეთილშობილი ავტორი, უპირველეს ყოვლისა, თავის უნლოვანებას აცხადებს. იქნებ ამით სურს თქვას: დატკბით, აი, როგორ წერს არასრულწლოვანი! აი, ლექსები, თხუთმეტი წლის ასაკში დანერილი. ესენი კი თექვსმეტი წლის ასაკშია შექმნილი! მაგრამ, ვაი, რომ ყველას გვახსოვს პოპის მიერ თორმეტი წლის ასაკში დანერილი. ესენი კი თექვსმეტი წლის ასაკში ბებერილი ლექსებიც; ჩვენ სულაც არ გვაოცებს ამ ახალგაზრდა კაცის მიერ დანერილი ასეთი ლექსები და ჩვეულებრივ მოვლენად მიგვაჩინია, რადგან ათი ოდნავ განათლებული ინგლისელიდან ცხრა ლექსებს წერს; და თვით ეს მეათეც კი ლორდ ბაირონზე უკეთეს ლექსს დანერს“. მერე ეს ანონიმი კრიტიკოსი იმასაც საყვედურობს, წიგნის ყდაზე ლორდის ტიტულის მინერაც არ დავიწყებიაო. ჭკუას ასწავლიდა, გარითმვის ცოდნა და ტერფის დათვლა პოეზიის ხელოვნების დაუფლებას როდი წიშავსო, და სტატიას მისი წინააღმდებრივი ბიბის დამცინავი კომენტარით ამთავრებდა:

„როგორიც უნდა იყოს ჩვენი დასკვნები ამ კეთილშობილური წარმოშობის ჭაბუკის ლექსებზე, ალბათ, უნდა მივიღოთ ის, რასაც გვთავაზობენ და ბედნიერად ვიგრძნოთ თავი, რადგან ეს ბოლო იქნება, რასაც მისგან ველით. როგორც თვითონ აცხადებს, ამ ლექსების გამოცემიდან არანაირ სარგებელს არ ელის; წარმატება ექნება თუ არა, საეჭვოა, რომ კვლავ მოწყალე თვალით შეხედოს საკუთარი თავის მწერლის როლში გამოსვლას. მივიღოთ ის, რასაც გვთავაზობენ და ვიყოთ მადლიერნი. რა უფლება გვაქვს ჩვენ, საცოდავ არსებებს, რაღაც მოთხოვნები წავუყენოთ?

ისედაც პატივდებულნი ვართ ამ კაცისგან, რომელიც ლორდის ტიტულს ატარებს, სხვენში არ ცხოვრობს, რადგან ნიუსტედის სააბატოში მბრძანებლობს“.

მკაცრი სტატია იყო. ასეთი დაუინებული მანერით ჭაბუკს უსაყველურო წარმოშობა, იგივე სნობიზმია, ოღონდ პირუკუ, მაგრამ არანაკლებ უაზრო, ვიღრე ჩვეულებრივი სნობიზმი. თუთ სტატიის ტონში მუდავნდება ზომისა და სამართლიანობის უქონლობა. ბაირონი განცვიფრებული დარჩა. ვიღაც ნაცნობი ზუსტად იმ დროს შესულა ითახში, როცა ბაირონს სტატიის კითხვა დაუმთავრებია, ასეთ მდგომარეობაში რომ დაუნახავს, უკითხავს:

— დუელში ხომ არ გამოგინვიერს?

ჰობჰეუზს უთქვამს, თვითმკვლელობიდან შორს აღარ იყოო. სალამოს, სკროპ დევისთან ვახშმობისას, მრისხანება რომ ჩაეხშო, სამი ბოთლი ღვინო დალია თურმე, მაგრამ მხოლოდ მაშინ დამშვიდდა, როცა თავისი აღშფოთება ლექსად გამოხატა. პირველი ოცი სტროფის შემდეგ ოდნავ შვება იგრძნო.

ვინ იყო ამ უაზრო თავდასხმის ავტორი? ბაირონი დიდხანს იყო დარწმუნებული, რომ იგი უურნალის მთავარი რედაქტორი ჯეფრი ბრძანდებოდა. სინამდვილეში კი, ჰენრი ბროუგვემი გახლდათ, ენციკლოპედიური ბოლმის ადამიანი, რომელიც ისეთივე უსამართლობით აკრიტიკებდა სწავლულ ფიზიკოსსაც, როგორც პოეტს, რომლის სტატიაც იუნგის<sup>48</sup> ტალღისებური სხივების თეორიაზე, თავისი უმეცრული სიმკაცრით არ ჩამოუვარდებოდა „მოცალეობის უამის“ შესახებ დაწერილ სტატიას. თუმცა ამ წერილმა ცოტა რამ თუ დააკლო ბაირონის რეპუტაციას. სახელგანთქმული პოეტი ვოდსვორთი<sup>49</sup> ჩარლზ ლემთან<sup>50</sup>. მივიდა უურნალით და უთხრა:

„— ამ ადამიანების ატანა აღარ შემიძლია. შეიძრალეთ, ბატონებო, ახალგაზრდა კაცმა, ლორდმა, ლექსების პატარა წიგნი გამოსცა და თავს ისე ესხმიან, თითქოს

48. ტომას იუნგი /1773-1829/ — ინგლისელი ფიზიკოსი, ექიმი, ასტრონომი.

49. უილიამ ვოდსვორთი /1770-1850/ — ინგლისელი პოეტი, რომანტიკოსი.

50. ჩარლზ ლემი /1775-1834/ — ინგლისელი მწერალი.

თუ სხვენში არ ცხოვრობს, უფლება არა აქვს პოეტი გახდეს. მე კი ვამტკიცებ, თუ ამ ახალგაზრდამ წერა გააგრძელა, მისგან პოეტი გამოვა“.

ბაირონს უნდოდა, რაც შეიძლებოდა სწრაფად დაემთავრებინა და დაეპეჭდა სატირა თავის მტრებზე. საბედნიეროდ, მიხვდა, რომ უფრო გონივრული იქნებოდა მოეცადა, ყველაზე საუკეთესო პასუხი დიდებული პოემის დაწერა იქნებოდა. „გული მტკივა, რომ მისის ბაირონი ასეა შეწუხებული. მე რაც შემეხება, „ქალალდის ამ ჭურვებმა“ მასხავლა, რომ შემდეგი შემოტევისთვის მზად უნდა ვიყო“. ამ ამბის წყალობით კი, კიდევ ერთი მეგობარი შეიძინა. ფრენსის პოჯსონმა, კინგ-კოლეჯის ახალგაზრდა პროფესორმა წერილი მისწერა, რომელითაც სიმპათიება და თანაგრძნობას უცხადებდა.

1808 წლის 4 ივლისს, ბაირონმა უნივერსიტეტში „აგისტერ რტიუმ“-ის ხარისხი მიიღო და კემბრიჯი დატოვა. ბოლო წლებში ძალიან შეიცვალა. ჰაროუ სანტიმენტალური და შეყვარებული მეგობრობის ხანა იყო; კემბრიჯმა ინტელექტუალურ მეგობრობას აზიარა; ცინიზმის, სიცივის, ვაჟუაცობის ამ ატმოსფეროში ადვილად სუნთქვდა. ჰობჰეუზთან, დევისთან, მეტიუზთან შეეძლო ისეთი ყოფილიყო, როგორიც მას ეგონა, რომ იყო სინამდვილეში: თავისი კალვინიზმისგან გამოთავისუფლებული, სიყვარულში მსუბუქი და, ბოლოს და ბოლოს, თავისუფალი. მაგრამ, განა შეიძლება ასეთი ბავშვობის შემდეგ თავისუფალი იყო?

## XII

### გაპრიალებული თავის ქალა

ჩვენ იმით ვტკიბებით, რაც ჩვეულებრივის ზღვარს მიღმა გადის, თუნდაც ეს უბედურება იყოს.

შატობრიანი

უკვე რამდენიმე თვე იყო, რაც მისის ბაირონი, საუსუელის თავის ხმაურიან თავშესაფარში, შვილის დაბრუნებასა და მისი სრულწლოვანების შესრულებას მოუთმენლად ელოდა. მისდამიც იგივე

გრძნობა ჰქონდა, ოდესლაც თავისი საზარელი ქმარი რომ აღუძრავდა. ეშინოდა მისი, ალმერთებდა და სწყევლიდა. როგორი იქნებოდა და რას იზამდა, გორდონებთან ნაჯვარი ეს ახალი „ბირონი“, როცა სამულობელოს დაეპატრონებოდა? შეშლილ ჯეკთან შეზავებული როგორი ავლორდი გამეფდებოდა ახლა ნიუსტედში? ამ ყაირათიანმა ქვრივმა, შოტლანდიელმა, ერთი სუ ვალიც რომ არ ჰქონდა და თავისი ას ოცდათხუთმეტი ფუნტი ნლიური შემოსავლით ცხოვრობდა, რატომ უნდა ატაროს მუდამ პასუხისმგებლობა, ამ მოლანგველთა ჯიშის მამაკაცების მაგიერ? ბაირონის არასრულწლოვანების ბოლო თვეებში ჰანსონს მლელვარებით სავსე წერილებს უგზავნიდა.

„რაც უნდა დაჯდეს, აუცილებელია როჩდელის საქმე მოგვარდეს, რათა ბაირონმა შემოსავლების გამოყენების უფლება მიიღოს, თუ არადა, რაიმე სისულელეს ჩაიდენს. თუმცა ძალიან კარგი იზრისა ვარ ჩემს შეიღიზე, რაც უნდა თქვან, მაგრამ ვიცი, როცა საქმე ფულს ეხება, ჭკვიანი ადამიანები ყოველთვის როდი არიან წინდახედულნი“.

რწმუნებულები, რომელთაც როჩდელის ტვირთის ტარება ჰქონდათ მინდობილი, მისგან მრისხანე და შეურაცხმყოფელ წერილებს იღებდნენ: „სიმართლეს გეტყვით: ჰანსონთან ერთად, რატომ ძარცვავთ ჩემს ვაუს?“ იქნებ, მართალიც იყო, მაგრამ ასეთი უხეშობით რწმუნებულებს იცილებდა, როგორც ოდესლაც სამუდამოდ ჩამოიშორა ლორდი კარლაილი. მათ „ბაირონების საქმეები“ ყელში ამოუვიდათ. ჰანსონმა წერილის კიდეს მიაწერა: „რა უსირცხვილობაა!“ დიახ, უსირცხვილო იყო ეს საცოდავი ქვრივი-რეგენტი, მაგრამ მეტი რაღა დარჩენოდა? არც ლობიერება გააჩნდა, არც მოქნილობა, მასში გორდონების სისხლი ჩემფდა, თვით სიცოფე, და თანაც ამდენი საზრუნავი ჰქონდა. მაგალითად, ლორდი გრეი რესინი ბაირონის ჩამოსვლამდე უნდა გაეძევებინა სააბატოდან, „რადგან არაფრის გულისთვის არ მსურს ისინი ერთმანეთს შეხვდნენ; ერთმანეთი სძულო და დარწმუნებული ვარ, მათ შორის ჩეუბიც გაიმართება, რაც, შეიძლება, სამწუხარო შედეგით დამთავრდეს“. ერთმა ღმერთმა იცის, ლორდმა გრეიმ ნიუსტედი

რას დაამსგავსა. „მე ჯერ არ მინახავს, მაგრამ ყველა ამბობს, საშინელებაო. როგორ შეიძლება, კაცმა, თავი რომ ჯენტლმენად მოაქვს, ნასვლის შემდეგ სახლი ასეთ მდგომარეობაში დატოვოს“.

ყველაზე მეტად კი ეს კითხვა აწუხებდა: ახლა, როცა ბაირონმა სწავლა დაამთავრა, დაუძახებდა კი დედას ნიუსტედში საცხოვრებლად და მეურნეობის გასაძლოლად?

„ძვირფასო მილედი, — ნერდა შვილი, — ამჟამად, არც ჰანსონისთვის და არც არავისთვის საწოლები არა მაქვს... ვცხოვრობ ჩემი ჩვევების შესაფერისად და, რამდენადაც შესაძლებელია, სრულ მარტოობაში. როცა ოთახები გაკეთდება, ბედნიერი ვიქნები გიხილოთ ჩემთან. ახლა კი ორივესთვის ეს ყველაფერი შეუფერებელი და უსიამოვნოა. არ მინყინოთ, რომ გადაწყვეტილი მაქვს სახლს საცხოვრებლად ვარგისი სახე მივცე. მარტში /ან არა უგვიანეს მაისში/ სპარსეთში მივემგზავრები; თქვენ კი ჩემი სახლის დიასახლისი გახდებით ჩემს დაბრუნებამდე“.

ნიუსტედი, მართლაც, წარმოუდგენლად გავერანებული დახვდა. მისი მუხა პარკში, ხე, რომელთანაც მისი ბედისწერა იყო დაკავშირებული, კვდებოდა სარეველა ბალახში მიმქრალი. ფრთხილად გამოათავისუფლა, მოუარა, სიცოცხლე დაუბრუნა. მთელი სააბატოს შეკეთება გააკოტრებდა, თანაც ამაო შრომა იქნებოდა. საწოლი ოთახი მოიწყო, რომლის შუაშიც სვეტებიანი, ჩარდახიანი უზარმაზარი საწოლი იდგა, ჩინური გასანევი ფარდებით; ეგდლებზე რამდენიმე პორტრეტი დაკიდა დიდებულ, ცისფერ კოსტიუმში გამოწყობილი მოკრივე ჯეკსონისა; ბებერი მურეისა, ერთადერთი არსებისა, რომელიც უყვარდა, „თავის ძალლთან ერთად“; ჰაროუს დაკემბრიჯის კოლეჯების ხედებისა: კინგ-კოლეჯისა, ტრინიტ-კოლეჯისა, იეზუიტების კოლეჯისა. უცნაური მოთხოვნილება ჰქონდა — უზდოდა მიჩვეული კერპებით ყოფილიყო გარშემორტყმული; იმიტომ ხომ არა, რომ ბავშვობაში მარტოობისა და მიტოვებულის გრძნობებით ცხოვრობდა? იმით იწყებდა, რომ ახალი ადგილი, ახალი ადამიანები სძულდა. მაგრამ, როგორც კი შეეთვისებოდა, შეეგუებოდა, ისინი უკვე უყვარდა, როგორც საკუთარი თავის შემადგენელი ნაწილები. ფანჯრიდან ალელ-

ქაშებული ტბა ჩანდა, გედები, ბოროტი ლორდის ქონგურდაპილული სიმაგრე, ხე-ებგადაჩეხილი, უმშვერეერესი გორები... საწოლიდან კარი მოჩვენებების ოთახში გადიოდა, ცარიელ, ქვის იატაკიან ოთახში, სადაც, დროდადრო, მშიშარა მსახური გოგო ბარტყულიან ბერს გადაწყდებოდა ხოლმე. შიგა კიბე სხვა ოთახში ადიოდა, სამუშაო ოთახადაც რომ ემსახურებოდა და სასატუმროდაც. რამდენიმე ითახი მეგობრებისთვის მოაწყო-შეაკეთა. დანარჩენი — უზარმაზართაღოვანი დერეფნები, ურიცხვი სენაკები, სახლს რომ ერტყა — ისევ მიტოვებული და ცარიელი დარჩა.

ო, როგორ უყვარდა ნიუსტედი! ოცნებებით არ იღლებოდა, ხან დივანზე იწვა მთელი დღე და ლექსებს თხზავდა, რითმებს ეძებდა, ხან ბაღში იყო და იქ წერდა, ოდესაც ავლორდის მიერ გადაჭრილი მუხის კუნძს დაყრდნობილი, ახლა ხავსმოკიდებული ბუნებრივ პიუპიტრად რომ ადგებოდა.

არ სურდა მეზობელი ციხე-დარბაზების მფლობელების გაცნობა; ვიღაცები ეწვივნენ კიდეც, მას საპასუხო ვიზიტზე არც უფიქრია. ენსლიდანაც მიიღო სადილად მიპატიჟება. ჯეკ მასტერსმა, ერთხელ, შემთხვევით მინდორში რომ გადაეყარა, კეთილი კაცის მოურიდებლობით მიიწვია, თუმცა მისი წარსული გატაცების ამბავი იცოდა. ბაირონს უნდოდა საკუთარი თავი გამოეცადა და შეხვედროდა თავის მ.ე.ჩ.-ს, ახლა მისის ჩავორს-მასტერსად რომ ქცეულიყო.

„ამას წინათ, ერთი ქალის გვერდით ვიჯექი სადილად, რომლის ისეთი ერთგული ვიყავი ბავშვობაში, როგორი ერთგულებაც მხოლოდ ბავშვებს შეუძლიათ, და უფრო მეტადაც, ვიდრე თავს ნებას მისცემს მოზრდილი მამაკაცი. გადავწყვიტე, თავი მამაცურად დამეჭირა და ცივად მულაპარაკა. მაგრამ, როგორც კი ის დავინახე, მთელი სიმამაცე და უდარდელობა სადაც გაქრა; გასაღიმებლად ბაგე ერთხელაც ვერ გავხსენი, არამცთუ სალაპარაკოდ; მიღედისაც ისევე უაზროდ ეჭირა თავი, როგორც მე, რითაც საზოგადოების ყურადღება უფრო მეტად მივიპყარით, ვიდრე ძალადაუტანებელი გულგრილობით რომ მოვქცეულიყავით. ეს ყველაფერი ძალიან მიამიტურად გეჩვენებათ... ღმერ-

თო, რა სულელები ვართ! ბავშვებივით სათამაშოზე ვტირით, მანამდე არ მოვისვენებთ, ვიდრე არ გავტეხავთ, მაგრამ, სამუხაროდ, იმ ბავშვებივით, მისი თავიდან მოშორება და ცეცხლში ჩაგდება არ შეგვიძლია“.

ძიძამ ორი წლის გოგონა შემოიყვანა. ბაირონი დაიტანჯა, როცა ბავშვის ნორჩ სახეზე მამამისის მკაცრი, მომხილავი ნაკვთები შეამჩნია, და თვალები, თვალები, რომელთა ცქერითაც ხშირად ტკბებოდა დიადემის გორაზე. შეჰყურებდა მის ქმარს, ენერგიულ კაცს, ახლახან მოკლულ მელაზე რომ ლაპარაკობდა და თავს იმით იწონებდა, რობიზონ კრუზოს გარდა, წიგნი არ გადამიშლია. იქვე, საძალლეში ძალლები ყეფდნენ. მერი ენი ჩუმად იჯდა, მალულად უყურებდა ბაირონს, შეამჩნია, ლორდი ჩამოთხელებულიყო, გალამაზებულიყო. ნიუსტედში დაბრუნებული ბაირონი დივანზე დაეცა და ლექსი დაწერა:

ბედნიერი ხარ და ვგრძნობ, რომ უნდა მეც ბედნიერი ვიყო შენსავით:  
მიჩვეულია სიყვარულს მუდამ  
შენს ახლოს გული დაუგემავ.

შენი ქმრის ხვედრი ბედია სრული —  
ჩემში შორეულ ტკივილთა მჩენი —  
შეიძულებდა მას ჩემი გული,  
რომ სიყვარული არ ჰქონდეს შენი.

მე შენი ბავშვი როდესაც ვნახე,  
ვსცან დამსხვრეული ოცნება ჩემი  
და მის მომდიმარ, მამის მსგავს სახეს,  
ვაკოცე, თუმცა რა მეკოცნება!

მე მას ვაკოცე და ვემალები  
მას, რის ატანაც უფრო ძნელია:  
მას ჰქონდა შენი წყნარი თვალები, —  
შენსავით კარგი და საყვარელი!..

მერი, მშვიდობით! განვშორდეთ უნდა,  
რომ დავიწყებას მივსცე წარსული:  
მიჩვეულია სიყვარულს მუდამ  
შენს ახლოს ჩემი მშფოთავი სული.

მეგონა დღემდე, რომ სიამაყეს  
შეეძლო ძლევა ჩემი არსების,  
მაგრამ სანამდის ვხედავ შენს სახეს

ბავშვური ცეცხლი გულშივ დარჩების.  
მე ვიყავ მშვიდი და მოგონება  
რეკავდა თითქოს ისევ იმ ზარით...  
სულ სხვაა ახლა შენი მონება:  
ჩვენ შევხვდით —  
მაგრამ არც შევიძარით.

შენ იქ შეავლე თვალი ჩემს სახეს,  
იგრძენ შეხვედრა ჩვენი გულების  
და იმ თვალებმა კვლავ დაგანახეს  
მხოლოდ სიმშვიდე განწირულების.

შორს! შორს! ჩემს გულში  
მარად მძინარე  
შორის სიზმარი ალარ დაიძერის  
და დავინწყების ზღაპრულ მდინარეს  
გაჰყენეს ეს გული ან სულ დაიმსხვრეს".<sup>51</sup>

არავისი ნახვა არ სურდა, თავისი კემბრიჟელი მეგობრების გარდა. ძალიან უნდოდა მათთვის თავისი სააბატო ეჩვენებინა. პირველი ჰობპაუზი ჩაუვიდა: ერთმანეთს ბუზღუნითა და უხეში სინაზით შეხვდნენ. ჯერ ორნი იყვნენ, მოხუცი ცოლ-ქმარივით გვერდიგვერდ მუშაობდნენ; ბაირონი სატირას თხზავდა, რომელიც დღითიდლე შხამიანი ხდებოდა; ბაირონმა ლექსის თხზვის ავადმყოფობა ჰობპაუზსაც გადასდო და ისიც ფილოსოფიურ ლექსებს წერდა, როცა მუშაობა მოსწყინდებოდათ ტბაზე საყვინთად მიდიოდნენ, თუ გრილი ამინდი გამოერეოდა, მინისქვეშა აუზში ბანაობდნენ; ბაირონმა მონასტრის სარდაფი აქცია აუზად; ბოტსვანის განრთვინით ერთობოდნენ; ბაირონი ჩაცმული ხტებოდა წყალში, თავს იკატუნებდა ვიხრჩობიო, რათა ძალი იძულებული გაეხადა გადაერჩინა იგი. მაგიდასთან მოხუცი მურეი ემსახურებოდათ. ბევრჯერ უნახავს ჰობპაუზს, ბაირონს ჭიქა მაღერით აუგსია და მისი სკამის უკან მდგარ მურეისთვის მიუწვდია, სახე სიკეთით გაბადრვია და უთქვამს: „თქვენი ჯანმრთელობისა იყოს, მოხუცო მეგობარო“.

სასიამოვნო ცხოვრება ჰქონდა, ოლონდენსლთან მეზობლობა გულს უმძიმებდა. საუკეთესო საშუალება გაქცევა იყო და

51. ლექსის სათაურია „ბედნიერი ხარ“, თარგმნა გივი გაჩილაძემ.

ისიც, გაზაფხულზე, გამგზავრებაზე ოცნებობდა. თავისი განზრახვის შესახებ ენსლშიც თქვა. მერიმ მიამიტად ჰკითხა, წასვლას რატომ ისწრაფვიო, პასუხი ლექსად მიიღო:

ცოდვილი, ნამით, შეჩერდა ზღურბლზე,  
როცა განდევნეს ედემის მხრიდან,  
ტანჯვა-ნამება ენერა შუბლზე,  
გარდასულ დღეთა ნყურვილი  
ღრღნიდა.

მოჰყვა ხეტიალს უცხო მხარეში,  
და გრძნობაც თითქოს უფრო განაზდა;  
შევბას ხედავდა ნებით თარეშში,  
მოიგონებდა ნარსულს ანაზდად.

დე, ასე იყოს, მშვენებავ ჩემო!  
აღარ ვიხილავ შენს სათნო სახეს;  
ოხვრა ნარსულზე მე ბედად მერგო,  
ტანჯვის სანინდრად არ მინდა მყავდე.

მოწყვდები ყოველს! ისე არ მოხდეს,  
რომ ვერ დავუსხლტე ცდუნების ძალას —  
მიჭირს, ვუმზერდე ჩემსა სამოთხეს  
და არ ვინდომო იქ დავრჩე მარად.<sup>52</sup>

თავი შეიკავა და ჰობპაუზს ლექსი არ აჩვენა, რადგან სანტიმენტალობა და „უაზრო ჯიში დედაკაცისა“, თავზარს დასცემდა. ყველაზე მეტად, პოეტთა შორის პოპი უყვარდა, თავშეკავებული და სიტყვამახვილი კლასიკოსი.

ბოტსვანი გაცოფდა. ბაირონი ისე უვლიდა, როგორც ავადმყოფ მეგობარს, შიშველი ხელით წმენდდა ღია პირიდან გადმოსულ ქაფს. ნიუფაუდლენდი სიკვდილამდე ერთგული დარჩა, არავინ დაუქენია. როცა ძალი მოკვდა, ბაირონმა თქვა: „ახლა ყველაფერი დავკარგე, ჩემი ბებერი მურეის გარდა“. ჩემი ძალლის გვერდით მინდა დავიმარხო, დიდი ხანია ამას ამბობდა. ახირებული და მისთვის დამახასიათებელი ყოყოჩიბით ბრძანა — აკლდამა სააბატოს დანგრეული ეკლესიის საკურთხევლის ადგილზე აეგოთ. დიდი, მრგვალი საფეხურები ლამაზ კვარცხლბეკთან ადიოდა,

52. ლექსის სათაურია „ლედის, რომელმაც მკითხა, თუ რატომ მივემგზავრები ინგლისიდან გაზაფხულზე“, თარგმნა ინესა მერაბიშვილმა.

სადაც ანტიკური ურნა იდგა. კვარცხლ-  
ბეკის ერთ ფილაზე წარწერა ამოკვეთეს:

აქ განისვენებს  
ნეშთი არსებისა,  
რომელმაც საკუთარ თავში გააერთიანა  
უქედმალალო სილამაზე,  
უუხეშო ძალა,  
სიმამაცე სისასტიკის გარეშე.  
და ყოველგვარი ადამიანური სიკეთე,  
ცრურნებების გარეშე.  
ეს საქებარი სიტყვები, უაზრობა იქნე-  
ბოდა,  
ადამიანის საფლავზე რომ იყოს ამოტვ-  
იფრული,  
მაგრამ ჩვენ მხოლოდ ჯეროვან ვალს  
მივავებთ  
ბოტსვანის, ძალლს,  
დაბადებულს კუნძულ ნიუფაუნ-  
დლენდზე, 1803 წლის მაისში.  
გარდაცვლილს ნიუსტედის სააბატოში,  
1808 წლის 18 ნოემბერს.

ბაირონმა ჯო მურეის უთხრა, ამავე აკ-  
ლდამაში დაგასაფლავებო. ჯო მურეის გან-  
საკუთრებული აღფრთოვანება არ გამოუხ-  
ატავს.

— დარწმუნებული რომ ვიყო, — უპა-  
სუხა მან, — მისი უგანათლებულესობაც აქ  
დაიკრძალება, კიდევ არა უშავს რა, თორემ  
სულაც არ მინდა აქ მარტო ვიწვე, ამ ძალლ-  
თან ერთად“.

1809 წლის 22 იანვარს ლორდი ბაირონ  
ნიუსტედელი სრულწლოვანების შეს-  
რულებას ზეიმობდა. სააბატოს ეზოში,  
ვასალებისთვის, მთელი ხარი შეწვეს; სალ-  
ამოს მეჯლისი მოაწყვეს და პატივცემულ-  
მა ჰანსონმაც კი იცეკვა. ის ლონდონიდან  
ჩამოვიდა, რათა ამ ზეიმზე თავისი მა-  
ღალეობილობილი კლიენტის წარმომად-  
გენელი ყოფილიყო. მისის ბაირონმა თავი-  
სი გულისწყრომა, ამ მეტისმეტი ხელგაშ-  
ლილობის გამო, მკაცრი წერილით გამოხა-  
ტა. რაც შეეხება ჭაბუკლორდს, ის იმ დღეს  
ლონდონში სადილობდა — ერთი ბოთლი  
ელი<sup>53</sup>. ედგა, ერთი კვერცხი და ბეკონის პა-  
ტარა ნაჭერი. სადილი მწირი გახლდათ,  
ესეც უკვე დარღვევა იყო ბაირონის მკაც-

რი დიეტისა. ამ საზეიმო დღემ მელანქოლია  
მოჰყვარა. ოდესლაც ნანობდა, ბავშვი რომ  
ალარ იყო, ახლა კი უკვე ჭაბუკიც აღარ  
არის. წინადღით, თავისი კემბრიჯელი მე-  
გობრის ლონგის სიკვდილი გაიგო, ლისაბ-  
ონისკენ მიმავალი ხომალდის დაღუპვას  
შეენირა. ბაირონმა თავისი ძველი სახ-  
ელმძღვანელი შცრიპტორეს გრაეცი გად-  
მოიღო, რომლის ყდაზეც, ოთხი წლის წინ,  
ჰაროუში ყოფნისას წააწერა: „ჩემგან  
მარცხნივ უილდმენია, მარჯვნივ ლონგი“,  
— და მიუმატა: „E heu fugaces, P o st uta! P o s-  
t uta! L abut ur anni ...“<sup>54</sup>. 1809 წლის იანვარი.  
ოთხი კაციდან, რომელთა სახელებიც აქა  
წერია, ერთი მოკვდა, მეორე შორეულ მხ-  
არეშია. ყველა სადღაცაა, არადა, ჯერ ხუთ  
წელსაც არ გაუვლია, რაც სკოლაში ერთად  
ვიყავით, არც ერთი ჯერ ოცდაერთი წლ-  
ისაც არ არის“.

სასაფლაომ მეტისმეტად ადრე დაატყო  
თავისი ანაბეჭდი ამ ჭაბუკის ცხოვრებას.  
ახლა, იმ უცნობი პიჩის საფლავზე მჯდარი  
კი აღარ იძირებოდა ოცნებებში, არამედ  
ბოტსვანის საფლავზე დადიოდა, სხ-  
ვანაირად რომ ვთქვათ, თავის საფლავზე,  
თავისი გაუჩინარებული მეგობრების  
საფლავებზე, თავისი ბავშვური სიყვარუ-  
ლის უხილავ საფლავზე. ასეთი ყოფილა  
ცხოვრება — ბაირონი უბედურებებისთვის  
არის განწირული. მაშასადამე, ბედს უნდა  
შეერკინოს. დალასი, მოკრძალებული  
დალასი, სრულწლოვანების გახდომის  
დღის მისალოცად მისული, გაოცებული  
დარჩა მისი ბრწყინვალე მჭევრმეტყვე-  
ლებითა და რელიგიურ თემებზე მეტის-  
მეტად თავისუფალი მსჯელობებით.

ახლა ისლა რჩებოდა, როდის დატოვებ-  
და ინგლისს. ჰობჰაუზი შეპირდა მოგზაუ-  
რობაში გამოგყვებით. საით წავიდეს?  
ბაირონმა ჯერ არ იცოდა. აღმოსავლე-  
თისკენ — სპარსეთში, ინდოეთში თუ  
ტროპიკებში? სულერთი იყო, ოღონდაც  
ინგლისს განშორებოდა, მოგონებებს გან-  
შორებოდა. არაფერი აკავებდა. ქვრივი-  
რეგნტი რაღაც მითიურ პერსონაჟად  
იქცა. მას დარჩებოდა ნიუსტედი, ვიდრე  
ლორდი მოგზაურობაში იქნებოდა. რამ-  
დენიმე გადაუდებელი საქმის მოგვარებალა

53. ღია ფერის, სქელი და მაგარი ინგლისური  
ლუდი.

54. „ვაი, რომ პოსტუმეი! პოსტუმეი! გარბიან  
სწრაფი წლები...“. /ჰობჰაუზის ოდა/.

რჩებოდა მხოლოდ.

უპირველესად, სატირა უნდა გამოექვეყნებინა; დამთავრებულიც ჰქონდა თითქმის. შხამით სავსე ბრნეული ნაწარმოები; ისეთი დამცინავი, რომ დალასს, რომელსაც გამომცემლის მონაცემების დაავალეს, დიდხანს მოუწია სირბილი, ვიდრე ვინმეს იპოვიდა, ვინც მის დაბეჭდვაზე დასთანხმდებოდა. მასში არა მარტო შოტლანდიელი კრიტიკოსები იყვნენ მკაცრად განსჯილნი, არამედ ინგლისელი პოეტებიც; ტომას მურიც არ დაინდო, ასე რომ უყვარდათ ჰაროუს მოწაფებს; თავის მეურვე ლორდ კარლაილსაც გაჰკრა კბილი; მრავალი მიზეზი ჰქონდა მასზე ნაწყენი ყოფილიყო. გარდა იმისა, რომ კარლაილმა „მოცალეობის ჟამის“ მიღების შემდეგ, საკმაოდ ცივი, ბანალური წერილი გამოუგზავნა, თავი აარიდა ერთ მცირე თხოვნასაც: სრულწლოვანი გახდა და ბაირონს ოფიციალურად უნდა დაეკავებინა თავისი ადგილი ლორდთა პალატაში; ჩვეულებრივ, ამ ცერემონიაზე ჭაბუკე ლორდებს ვინმე ნათესავი ან მეგობარი ახლდათ ხოლმე. ბაირონმა კარლაილს მისწერა. კარლაილმა მხოლოდ რჩევები გამოუგზავნა წერილობით. 13 მარტს ბაირონი ლორდთა პალატაში თავისი ადგილის დასაკავებლად მარტო წავიდა.

დაუზარებელმა დალასმა, ასეთი მაღალი ნარმოშობის ახალგაზრდა კაცისადმი, თანაც ასეთი ნიჭიერისადმი, ასეთი უყურადღებობით შეცდუნებულმა, ის ჰარლამენტამდე მიაცილა. იმ დღეს ბაირონმა უფრო მეტად იგრძნო მარტოობა. მაღალი ნარმოშობა და სახელი უდიდეს პრივილეგიას ანიჭებდა. იმ დროს ინგლისს მცირერიცხოვანი დიდგვაროვანი ოჯახების შთამომავალნი მართავდნენ. ცხადია, ჭაბუკი ბაირონი მიამიტურ კმაყოფილებას განიცდიდა, რომ ლორდია. ოლონდ, მდგომარეობა ფრიად საპატიო მანძილზე აყენებდა ამ სასიამოვნო საზოგადოებისგან: ჰქონდა ტიტული, მაგრამ ტრადიციები არ ჰქონდა, კავშირები არ ჰქონდა, არც ქონება ჰქონდა.

ვესტიბიულში მოხელე დახვდა, რომელიც პალატის თავმჯდომარესთან წავიდა ბაირონის მოსვლის მოსახსენებლად. ბაირონმა მატყლის ტომარას ჩაუარა, რომელზეც პალატის თავმჯდომარე, ლორ-

დი ილდონი წამოჭიმულიყო და კრებას უძლვებოდა, მაგიდას მიუახლოვდა, სადაც ფიცი უნდა წარმოეთქვა. მოკლე ცერემონია სწრაფად დამთავრდა, პალატის თავმჯდომარემ თავისი დასაჯდომი მიატოვა, ბაირონთან მივიდა და ხელი გაუწოდა. ბაირონმა თავი ცივად დაუკრა, თავმჯდომარის განვდილ ხელს თითისწვერებით ოდნავ შეეხო. თავმჯდომარე შეურაცხეყოფილი სახით თავის ადგილს დაუბრუნდა. ბაირონი ოპოზიციის ერთ-ერთ თავისუფალ სკამზე დაუდევრად ჩამოჯდა, რამდენიმე წუთის შემდეგ ადგა და წავიდა. დალასთან დაბრუნებულმა თქვა:

„— მაგრად რომ ჩამომერთმია ხელი, იფირებდა, მათ ბანაკში ვარ. მე კი მინდა, არანაირი საქმე არ მქონდეს არც ერთ მხარესთან... ახლა სამოგ ზაუროდ წასვლა შემიძლია“.

ორი კვირის შემდეგ მისი სატირა დაიბეჭდა; დიდი წარმატება ჰქონდა. თუმცა წიგნი ავტორის ხელმოუწერლად გამოვიდა, მაინც ყველა ლიტერატურულ წერში ლორდ ბაირონის სახელს წარმოთქვამდნენ — ვინ სიძულვილით, ვინ აღტაცებით, ყველა ერთად კი — გაოცებით. რევანში აღბული იყო, ჰარტია მოგებული და ამ ქვეყანაში უკვე აღარაფერი ესაქმებოდა. გასამგზავრებელი ფულილა აკლდა. თორმეტი ათასი ფუნტი ვალი ჰქონდა. მოგზაურობისთვის საჭირო ოთხი ათასი ფუნტი ვის ესესხოს? ჰანსონს უბრძანეს ფულის შოვნა; უკიდურეს შემთხვევაში, ერთ-ერთი მაულის გაყიდვაც შეიძლებოდა, ოღონდ ნიუსტედისა არა, არამედ როჩდელისა. „მოხდეს, რაც მოსახდენია, ნიუსტედი და მე როგორმე გავუძლებთ ან ერთად დავიღუპებით. ახლა აქ ვცხოვრობ და ისე მივერგიე, რომ ვერანაირი ძალა, ვერც ახლა და ვერც მომავალში, ვერ მაიძულებს ჩემი მემკვიდრეობის ეს უკანასკნელი ფესვი გავყიდო. ყველა სიძნელეს სიამაყე ამატანინებს. მისტერ ჰანსონი ამაზე საქმოსანივით მსჯელობს, ჩემში კი ღირსების გრძნობა ლაპარაკობს და ნიუსტედს არ გავყიდი“.

საუკეთესო გამოსავალი მდიდარ მემკვიდრე ქალზე დაქორწინება იქნებოდა. ასეთი იყო მისის ბაირონის აზრი, რომელსაც მიაჩნდა, რომ მისი ვაჟი აუცილებლად დაიღუპებოდა, „თუ ქვანახშირის მაღარები ოქროს ქვიშრობად არ იქცეოდა ან თავის

საქმეებს ძველებური მეთოდით არ გამოასწორებდა და არ დაქორნინდებოდა ორასი ან სამასი ფუნტი მზითვის მქონე ქალზე... საჭიროა, გაზაფხულზე ცოლად მდიდარი ქალი მოიყვანოს; სიყვარულით ქორნინება — სისულელეა. თავის სასარგებლოდ უნდა გამოიყენოს ის ნიჭი, რითაც უფალმა და აკილდოვა“. ბაირონი: „ვიცი, ეს ყველაფერი დამთავრდება ვინმე ოქროს თოჯინაზე ჩემი ქორნინებით ან შუბლში ტყვიით. რომელით, ამას მნიშვნელობა არ აქვს. ბოლო, შეიძლება ითქვას, ერთნაირია“. საკითხი მოულოდნელად გადაწყდა — სკროპ დევისს ესესხა ფული. დევისი, სიტყვა-მოსწრებული, ენაბორძიკა დევისი, ლონ-დონშიც ისევე თამაშობდა, როგორც კემბრიჯში, უზარმაზარ თანხებს იგებდა და აგებდა. არცთუ იშვიათად, ამხანაგებს იგი ლონდონის რომელიღაც სათამაშო სახლში დაუტოვებიათ, დილით კი, რაღაც სასწაულით, სახლში აღმოჩენილა. ერთხელ, დღისით-მზისით მძინარისთვის მიუსწრიათ, საწოლის გვერდით ათასფუნტიანებით სავსე დამის ქოთანი უნახავთ, ღმერთმა იცის, როგორ მოგებული და სკროპმაც არ იცოდა სად მოიგო. აი, ასეთ, ერთ ბედნიერ დილას, შეძლო და მან ბაირონს მოგზაურობისთვის საჭირო თანხა ასესხა.

გამგზავრების ნინ ბაირონს ნიუსტედში  
თავისი კემბრიჯელი მეგობრების ვიწრო  
ნრის შეკრება უნდოდა, რომელთა ბასრად  
ალესილმა ჭკუამაც ჩამოაყალიბა მისი  
გონება. 1809 წლის მაისში, ქარაფშუტა მე-  
ტიუზი და ჭკუადამჯდარი ჰიპოპაუზი საა-  
ბატოში ჩავიდნენ სტუმრად. გიუჟური მხ-  
იარულების დღეები გაატარეს. ამ ადგ-  
ილების გარეგნულ სიმკაცრეს, მოჩვენებას,  
ვითომდა ციხე-დარბაზში რომ დასეირნობ-  
და, თავისი კონტრასტით, ახალგაზრდების  
მხიარულ ნამონეცებებში თავისი ელფ-  
ერი შეჰქონდა. შესასვლელში, კიბის მარ-  
ჯვნივ, დერეფნის კენ გასასვლელში,  
ჯაჭვით დაბმული დათვი იჯდა, მარცხნივ  
კი — ნაგაზი. თუ ვინმე სახლში შევიდოდა,  
ცხოველებისთვის ნარმატებით რომ დაედ-  
ნია თავი, ახალგაზრდა მსროლელების მხ-  
იარულ მარაქაში მოხვდებოდა, ციხე-დარ-  
ბაზის თაღებქვეშ ჰისტოლუტის სროლით  
რომ ირთობდნენ თავს. გვიან დგებიდნენ.  
საუზმე მაგიდაზე ელოდათ, ვიდრე ყველა

თავს მოიყრიდა. მერე კითხულობდნენ, ფარიკაობდნენ, პისტოლეტიდან ისროდნენ, ცხენით სეირნობდნენ, ტბაზე ერთმანეთს ნიჩბების მოსმაში ეჯიბრებოდნენ, დათვთან თამაშობდნენ. მეტიუზმა, პარკში ბოტსვანის საფლავის ქვის ერთ ფილაზე მიაწერა: „ჰოდპაუზს, ღორს“. სადილობდნენ შვიდ, რვა საათზე. სადილის შემდეგ, ხელიდან ხელში გადადიოდა ადამიანის თავის ქალა. რომელილაც ბერის თავის ქალა, რომლის ჩონჩხიც ერთხელ მებალემ მინის თხრის დროს იპოვა. ბაირონმა ნოტინგემში ოქრომჭედელს დაუკვეთა — ამ თავის ქალისგან თასი გამიკეთეო. ოქრომჭედელმა გულმოდგინედ გააპრიალა და კუს ფორმის თასად დაუბრუნა. ამ თასის საპატივსაცემოდ ბაირონმა ლექსი დაწერა:

ყურძნის შუშუხუნი და წრიალი  
სიამით მავსებს,  
შლამსა და ლორწოს ჭია-ღუის  
ეს სჯობს, ვინამე,  
დე, აზარფეშად გამოვადგე  
ღმერთების სასმელს,  
ვიდრე გამომლრნას და მაქციოს  
ჭიამ მინად მე.

ერთ დროს ბრნეინავდა ამ ქალაში  
ჭკუა-გონება,  
ახლა კამკამა და ელვარე დვინო  
ციაგობს,  
განა ეს არ სჯობს იმ ქვესკნელში  
მორჩილ მონობას,  
ქვეწარმავალთან გატარებულ უამს  
უსიამოს.<sup>55</sup>

დეკორაციის სისრულისთვის, სტუმრები ბერის ტანსაცმელსაც იცვამდნენ; ბაირონი წინამძღვარი იყო ნიუსტედისა

55. თარგმნა ინესა მერაბიშვილმა.

ანუ, როგორც მეგობრები ეძახდნენ, თავის ქალის წინამძღვარი და ჯვრით ხელში კრებულს უძლოდა. ნიუსტედის მარანი არცთუ ცუდი იყო, ხოლო მსახური გოგოები ახალგაზრდებს სიამოვნებაზე უარს არ ეუბნებოდნენ. ბაირონი მშვენიერი მსახური გოგოების კოლექციით ამაყობდა, რომლებიც მეზობელ სოფლებში შეეგროვებინათ. ამ თავისუფალ ტრადიციებს ფეოდალურად, იდეალურად, ამასთან, სასიამოვნოდ მიიჩნევდა. ადგილობრივი მაცხოვრებლების აზრით, სააბატო ახალი ბოროტი ლორდის თავშესაფრად იქცა; ნიუსტედის ცხენებმა კი ენსლის საქორწინო გზა დაივინყეს.

ასე გავიდა მთელი მაისი. გადაწყვიტეს, ივნისში ჰოპპაუზი და ბაირონი გიბრალტარში ერთად გამგზავრებულიყვნენ, იქიდან მალტაში და მერე აღმოსავლეთში. გამგზავრების წინაც ვერ მოახერხა ბაირონმა დის — ოგასტას ნახვა. ის 1807 წელს ცოლად გაპყვა თავის სახელგანთქმულ ბიძაშვილს, პოლკოვნიკ ლის, მისი უდიდებულესობის პრინც-რეგენტის ფავორიტს და სიქს-მაილ-ბოტომში დასახლდნენ, ნიუმარკეტის ახლოს. ერთი წლის შემდეგ ქალიშვილი შეეძინა და ბაირონმა მისწერა:

„მადლობელი ვარ თქვენი, ბიძობა რომ მარგუნეთ; ამჯერად, მისი სქესი მომიტევებია, მაგრამ მეორე დისწული ვაჟი უნდა იყოს... მისის ბაირონი ჩამოვიბერტყე, უკვე ოთხი წელია. აღარ ვაპირებ მისი უდლის ქვეშ დაბრუნებას. არც პატიება შემიძლია ამ ქალისა და არც მასთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრება. არსებითად კი, ძალიან უბედური კაცი ვარ, ასე მგონია, ბუნებით, ბოროტი გული არა მაქვს, მაგრამ იგი ისე დაჭყლიტეს, დაგრიხეს, გათელეს, რომ ახლა მთის ძირივით მტკიცე გახდა“. როცა მისი სატირა გამოქვეყნდა, ოგასტა ლორდ კარლაილის მხარეზე დადგა და ლორდმა ბაირონმა ეს არ აპატია. ასე განყდა კიდევ ერთი კავშირი.

ოღონდ ეს „მთის ძირივით მტკიცე“ გული, ძალიან მგრძნობიარე იყო. ბაირონმა მოგზაურობაში თან წაიღო მეგობრების პორტრეტები. ფეტიშისტი ბრძანდებოდა და საკუთარი სანტიმენტალური მუზეუმის ეჭვიანი მცველი. მან, საკუთარი ხარჯით, იმ დროის საუკეთესო მხატვარს დაუკვეთა ეს პორტრეტები. ამ გამგზავრებიდან დრამა-

ტული მოვლენა რომ შეექმნა, მისი გუნების ფერი, ისურვა მეგობრებსაც გაეზიარებინათ მისი მელანქოლიური განწყობილება. მაგრამ ისინი მხიარული ბიჭები იყვნენ: სიამოვნებით დააჭენებდნენ მის ცხენებს, სვამდნენ მის ლვინის, ეალერსებოდნენ მის მსახურ გოგოებს, მაგრამ ფარისევლურ ცრემლის ლვრაზე უარი თქვეს. როგორც ოდესაც ჰაროუში კლერს საყვედურობდა ცივი ხარო, ახლა ასევე მთელ სამყაროს უჩიოდა. დალასმა ბოლო დღეებში ღრმა მიზანთრობიაში ჩავარდნილი ნახა; ცხოვრება ეზიზლებოდა, რადგან ნაწარმოების გამომისდამილანძვას არ იშურებდნენ; უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ეშინოდა ქალებისა და მეგობრობაზეც ჰირქუშად მსჯელობდა, როგორც რომელილაც ტიმონ ათენელი<sup>56</sup> თავისი გამოქვაბულის ზღურბლთან.

გამგზავრების წინ ბოლო იმედგაცრუება ლორდ დელაუერის გულცივი დამკიდებულება გახლდათ. მაინც გაუცვალეს ერთმანეთს ჰორტრეტები, თავთავისი ლერბებით დამშვენებული. დელაუერი უსულგულო კაცი აღმოჩნდა.

„— წარმოიდგინეთ ერთი, — უთხრა დალასს, — დელაუერს შევხვდი, ერთი საათით შემოიარე-მეთქი, ვუთხარი. ბოდიში მომიხადა, არ შემიძლიაო. და იცით, რა მიზეზით? დაუჯერებელია! დედამისსა და კიდევ ვიღაც ქალბატონებს მაღაზიებში უნდა გავყველო! თან იცის, რომ ხვალ მივემგზავრები; მთელი ნლით ვშორდებით ერთმანეთს; შეიძლება აღარც დავბრუნდე! მეგობრობა! არა მგონია, თქვენი და კიდევ რამდენიმე ახლობლის გარდა, იქნებ, დედაჩემისაც, კიდევ ერთი ადამიანი მოიძებნოს, ვისთვისაც სულერთი არ იქნება, რა მომივა!“

ამ შემთხვევამ მასზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. მთელი ცხოვრება ახსოვდა ეს წყენა, ლორდმა დელაუერმა რომ მიაყენა და გამგზავრების წინ მიატოვა, რათა ვიღაც მანდილოსნებს მაღაზიებში გაპყოლოდა. ვიდრე ამ ძალლებს სალაფავს აძლევ, პირი, თვალები და გულიც კი ადამიანური აქვთ. მაგრამ, როგორც კი იყნოსებენ მათი გართობის მეგობარს სიკვდილი,

56. ტიმონ ათენელი — შექსპირის ამავე სახელწოდების პიესის გმირი.

გამგზავრება ან გაკოტრება ემუქრება, მაშინვე „ბედის ანაბარა ტოვებენ ლატაკს“. დელაუერი, ცხადია, არც კი ეჭვობდა, რომ მისი ეს ბანალური ქცევა, ასეთი მძიმე ფიქრების საგანი შეიქმნებოდა.

მეტიუზი უკეთ მოიქცა. გამგზავრების წინ, ჰობპაუზისა და ბაირონს დიდებული სადილი გაუმართა. ამ ორმა, მოგზაურთა ტონი უკვე აითვისა და ერთმანეთს ხუმრობანარევი, მოურიდებელი, ოდნავ ხელოვნური ხმით ელაპარაკებოდნენ. გამგზავრებისას ბაირონმა მერი ენს სტანსი მოუძვნა:

„მორჩა, გათავდა. ქარიშხალი თეთრ იალქანს გაბეჭდულად ბერავს; მაიქროლებს ჩემს გემს, ანძებს დრეკს და უსტვენს. მიმაქროლებს ნაღვლიანს და უნუგეშოს, რადგან მხოლოდ მე ერთს მიყვარს იგი“.

ეს ნამდვილი გრძნობა იყო? მართლა იმიტომ წავიდა, რომ ისევ უყვარდა და ძალა აღარ ჰქონდა მის სიახლოვეს ეცხოვრა? ადამიანი ასე მარტივი არ არის. როცა მეტიუზთან და ჰობპაუზთან ერთად სადილობდა, როცა სიცილით სკროპ დევისის შეუდარებელ ენის ბორძიკით ლაპარაკს უსმენდა, სულაც არ ფიქრობდა მისის მასტერზე. მაგრამ ენსლური დღები ყველაზე მკვეთრ მოგონებად ჩარჩა მის ნაღვლიან და მშვენიერ მოგონებათა შორის, საიდანაც თავის საამო ოცნებებს ხაპავდა.

### XIII

#### ჩაილდ ჰაროლდის პირველი მოგზაურობა

1809 წლის 26 ივნისს, პატარა ნავსად-გურ ფალმუსში, ორი მეგობარი კაპიტან კიდის გემში ჩასხდა, რომელიც ლისაბონში მიდიოდა. ჰობპაუზი ფიქრებით უკვე არქეოლოგიურ ჩანაწერებს აკეთებდა, თანასობით ბუმბული მიჰქონდა, ორი გალონი<sup>57</sup> მელანი და რამდენიმე დასტა საწერი ქაღალდი. ბაირონი მსახურთა მთელი კორტეჟის მაგნიტურ პოლუსს წარმოადგენდა. მოხუც მურეის გიბრალტარამდე უნდა მიეცილებინა იგი. მთელი მომსახურება

57. თხევადი და ფხვიერი სხეულების საწყაო სხვადასხვა ტევადობის (3,5-დან 4,5 ლიტრამდე).

ვილიამ ფლეტჩერს ჰქონდა დაკისრებული, ნიუსტედელ კამერდინერს. ის ახალი დაექორწინებული იყო, განუწყვეტლივ ბუზღუნებდა და ცოლს, სალის, იხსენებდა. ახალგაზრდა ჰაუი, ფერმერის ვაჟი, რობერტ რაშტონი, რომელსაც ყველა ბობს ეძახდა /ბაირონს მოსწონდა იგი, „რადგან ჩემნაირი უმეგობრო, მარტოხელა სულიერი მგონია“. და ჰაროლები დოქტორ ბუტლერის რეკომენდაციით მიღებული გერმანელი კამერდინერი ავსებდნენ მის ამალას.

ჰოჯსონმა მიიღო კომიკურად აღწერილი გამგზავრების შთაბეჭდილებები და ვაჟაცური საქციელი ჰობპაუზისა, რომელმაც პირველივე საუზმე ამოანთხია.

„ბედს მოუპრიანა და საცოდავი მეითხველის საშველად მოვიდა — ჰობპაუზმა ხელიდაბორკა, ნერა არ შეუძლია, მელნის შადრევანი შეწყდა... მე რაც შემეტება, ინგლისადაუნანებლად ვტოვებ, დაბრუნებით კი სიამოვნების გარეშე დავბრუნდები; ადამივით, რომელიც პირველია, ვისაც გაძევება მიესავა, მაგრამ ევა არა მყავს, არც ისეთი ვაშლი გამისინჯავს, მუავე რომ არ ყოფილიყო“.

მისის ბაირონმაც მიიღო გამოსამშვიდობებელი წერილი: „ჩემს წინაშე მთელი მსოფლიოა. სინანულის გარეშე ვტოვებ ინგლისს და უმცირესს სურვილიც არა მაქვს, ისევ ვიხილო, რაც რამ მასშია, გარდა თქვენი და თქვენი ამჟამინდელი რეზიდენციისა. გულწრფელად თქვენი ერთგული...“.

დედას დაუტოვა დათვი, ნაგაზი და ლამაზი მსახური გოგოები.

მოგზაურობა ადვილი არ გამოდგა. ლისაბონიდან ჩვენმა მოგზაურებმა ევროპა მოის ქარცეცხლში გახვეული იხილეს. უიუნის ფრანგულმა არმიამ ადგილი ინგლისელებისას დაუთმო, გენერალ კროუფორდისა სარდლობით. ჰობპაუზი, ლიბერალური კლუბის პრეზიდენტი, ქვეყნის წესრევულებებით შოკირებული იყო. ტირანული სამღვდელოება კანონებს აწესებდა. ეკლესიებში მკერდზე მეტალის პატარა თევზებებდადგმული მიცვალებულები ესვენა; მათ მანამდე არ ასაფლავებდნენ, ვიდრე მღვდლისთვის მისაცემი საკმარი თანხა არ მოგროვდებოდა. ინკვიზიცია გაუქმებული არ იყო. მამაკაცებს ქუჩებში აჩერებდნენ და ჯარისკაცებად მიჰყავდათ. ბაირონი ჰობპაუზზე ნაკლებ თავშეკავებული იყო, ძალ-

ადობას არც საკუთარი თავის მიმართ ითმენდა და არც სხვისა, ის მზად იყო აჯანყება ექადაგა, მაგრამ ადამიანთა ცხოვრების სიბერიავესა და პორტუგალიის პეიზაჟების სილამაზეს შორის კონტრასტმა გაიტაცა; მოსწონდა ფორთოხლის ხეები, ნარინჯისფერ ველებზე ოქროსფრად რომ იწონებდნენ თავს, კლდის თავზე გადმომდგარი მონასტრები. „ბედნიერად ვგრძნობ თავს; მიყვარს ფორთოხლები; დამახინჯებული ლათინურით ველაპარაკები ბერებს, ესმით, რადგან მათ ლათინურსა ჰერაკლისტებით დავდივარ; მდინარე ტახუსი გადავცურე; ვირით ან ჯორით დავდივარ და პორტუგალიურად ვიგინები. ფალარათი მაქვს; ქინქლები მებენენ. მერე რა? როცა ადამიანები სიამოვნებისთვის სამოვზაუროდ მიდიან, მათ კომფორტი არ უნდა ეძებონ“.

ლისაბონიდან სევილიაში ცხენებით წავიდნენ. გზის გასწვრივ წამდაუნუმ ჯვრები ხვდებოდათ. ყოველი მათგანი მკვლელობის აღმნიშვნელი იყო. ჯარისკაცთა რაზმიც შეხვდათ, რამდენიმე ჯამში მიჰყავდათ სევილიაში ჩამოსახრჩობად. ამ ქვეყნის ცხოვრებაში, სადაც სიკვდილი და სიყვარული ყოველ ნაბიჯზე გხვდებათ, რაღაც ცხოველური იყო, უშუალო, რაც ბაირონს იზიდავდა. დედას მისნერა, მშვენიერი ესპანელი ქალების სახლში გავჩერდიო; „საერთოდ კი, ძალიან სასიამოვნო ხალხია, დიდი შავი თვალები აქვთ და მშვენიერი აგებულება. უფროსმა თქვენს უღირს ვაჟს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია — გამომშვიდობებისას დიდი სინაზით აკოცა, მანამდე კი კულული წააჭრა სამახსოვროდ, თავისიც აჩუქა, სიგრძით დაახლოებით სამი ფუტისა, რომელსაც გიგზავნით და გთხოვთ ჩემს ჩამოსვლამდე შეინახოთ. მისი ბოლო სიტყვები ეს იყო: „მშვიდობით, კარგო ბიჭო, ძალიან მომწონხარ!“ შემომთავაზა, ჩემს ოთახში იცხოვრეო, მაგრამ სათხოებამ იძულებული გამხადა უარი მეთქვა. მან გაიცინა და მითხრა, ალბათ, შეყვარებული გყავსო ინგლისში; მერე დაუმატა, მეც მალე მივთხოვდები ესპანეთის არმიის ოფიცერსო“. მერე, კადიქსის გავლით: „ო, ძვირფასი კადიქსი, სადაც იმდენი ესპანელი ქალია“, ორივე მგობარი გიბრალტარისკენ გაემართა. იქ დამორდნენ მოხუც მურეისა და ჭა-

ბუკრაშტონს, რომლებიც ამ მოგზაურობამ ძალიან დაღალა. ბაირონმა ისინი მისის ბაირონს გაუგზანისტედში: „გთხოვთ, რობერტზე იზრუნოთ, რომელსაც პატრონის ხელი მოაკლდება. საცოდავ ბიჭს უმცირესი სურვილიც არა ჰქონდა ჩემგან წასულიყო“.

გიბრალტარიდან მალტისკენ მიმავალ ხომალდზე პოპკაუზმა სწრაფად მოიპოვა მგზავრების სიმპათია, ძალზე გულზიარი კაცი გახლდათ, ყველასთან მეგობრობდა, სალამოობით, სადილის შემდეგ, ანეკდოტებს ჰყვებოდა /ბაირონი შორიდან უსმენდა და ამჩნევდა, ეს ანეკდოტები სკროპ დევისისა იყო/. ბაირონი ნაკლებად მოსწონდათ, რადგან მუდამ განმარტოებული იყო, თითქმის არაფერს ჭამდა, მაგიდიდან ყველაზე ადრე დებოდა და მიდიოდა. ყველასგან შორს ეჭირა თავი, დიდხანს გაჰყურებდა ზღვას, თითქოს კლდეთა პირქუშ პოეზიას ინოვსო. როგორც კი ჩამობნელდა და ხომალდზე სანთლები აანთეს, გემბანზე, დაეკილი იალენების გროვაზე დაჯდა და დიდხანს, დიდხანს უყურებდა ზღვის ტალღებზე მთვარის სხივების თამაშს. თანამგზავრები მის სწრაფვას მარტობისკენ სიძულვილს მიაწერდნენ და აძაგებდნენ; ამჩნევდნენ მის ალმაცერ, უნდო, მოუსვენარ მზერას. არაბუნებრივად ეჭირა თავი. თვითონაც უხერხულად გრძნობდა თავს და ნერვიულობდა.

მათ რომ მისი ქცევის იქით დაფარული ლელვა გამოეცნოთ, ხეიბრის ავადმყოფური მორცხვობა, შეეციდებოდათ. ბაირონი ვარსკვლავებისა და ტალღების უსიტყვო სამყაროში ეძებდა თავშესაფარს, იმიტომ, რომ ადამიანებისა ეშინოდა. უყურებდა, როგორ მიაპობდა ხომალდის ცხვირი ზყალს და ეგონა, რომ ყოველი ახალი ტალღა მის უბედურებებსაც შორს წაიღებდა. ზოგჯერ თავის უიღბლო ჭაბუკობას უფიქრდებოდა, ოღონდ, ახლა თითქოს ვიღაც სხვა უცნობზე ფიქრობსო. რატომ არ დაწეროს პოემა ამ მოგზაურობაზე? ბავშვობიდან დაგროვილი ძლიერი გრძნობები მის მშფოთვარე სულს უერთდებოდა და მდუღლარე ლავას ემსგავსებოდა. გონებაში ხატავდა გმირს, რომელსაც ძველ საგვარეულო სახელს დაარქმევდა — ჩაილდბურუნს და ის ბაირონი იქნებოდა, ბაირონი — იმედგაცრუებული, იმედდაკარგული,

სასონარკვეთილი, ისეთი, როგორსაც ჰობ-ჰაუზი არ იცნობდა და რომ სცნობოდა, მაინც ვერ გაუგებდა... ხომალდი ირწეოდა მთვარის შუქტე.

მოგზაურობის მესამე დღეს, რამდენიმე მგზავრი პისტოლეტიდან ბოთლებს ესროდა და ამით ირთობდა თავს. ბაირონმაც სცადა ბედი და მისი ნასროლი ყველაზე მარჯვე გამოდგა. თავი ბედნიერად იგრძნო. ჰობჰაუზი, რომელიც რაღაც გულუბრყვილი ხუმრობისთვის მაგრა შეახურა, ახალ მეგობრებს ალერსით, ოღონდ მთარველური შემწყნარებლობით უქნებოდა, ბაირონს ბავშვით უნდა მოექცეო.

მაღლატაზე ბაირონმა, ვიღაც ბერთან არაბულის შესწავლა დაიწყო, პლატონური სიყვარულის გაკვეთილები კი მისის სპეჩერს ერთმატმა მისცა. ქალს მთელი რიგი რომანტიკული თავგადასავლები ჰქონდა, ნაპოლეონის ჯარისკაცებს დაეპატიმრებინათ კიდეც, მერე ვიღაც იტალიელმა კეთილშობილმა გაათავისუფლა და რაინდული პატივისცემით მოექცა, „მასში არის რაღაც სილფიდური“.<sup>58</sup> მისი მშვენიერი, ახლომხედველი თვალები მამაკაცებს ურნმუნიდ და შიშით შეჰყურებდა. ბაირონი მისით მოხიბლული იყო, მაგრამ მისი ახალგამომცხვარი სიყვარულის ფილოსოფია უფლებას არ აძლევდა სისუსტეს აპყოლოდა.

„მარმარილოს გული“ — ასე უყვარდა ახლა საკუთარი თავის წარმოდგენა, სრული მფლობელი ყოვლისა — ოღონდ მოინდომოს და — მფლობელიც ცდუნებათა ხელვნებისა, რომელიც სხვა არაფერი იყო, თუ არა ქალების სიძულვილი და საკუთარი თავის რწმენა. იმ „უნაზესმა“ არსებამ მიიღო მისგან დიდი ყვითელი ბრილიანტი, ბეჭედში ჩასმულს რომ ატარებდა. ქალის ახლომხედველი თვალები ბაირონს ერთხანს ართობდა. მაგრამ ამ ახალ კალიფსოსთან<sup>59</sup>. დაშორება არ გასძნელებია.

ალბანეთი იმ დროს უცნობი ქვეყანა

58. სილფიდები /სილფები/ — კელტურ და გერმანულ მითოლოგიაში, ზოგიერთი ევროპელი ხალხის შუასაუკუნეების ფოლკლორში მსუბუქი, მოძრავი არსებები ორივე სქესისა, რომლებიც ჰაერის სტიქიას განასახიერებენ; ჰაერის სულები.

59. კუნძულ ოგიგიაზე მცხოვრები ფერია. ას შვიდი წელი ჰყავდა თავისევსი გამოქვაბულში

იყო. ველური მთები ბაირონს შოტლანდიას აგონებდა. მამაკაცები ქვედა კაბებს ატარებდნენ, შოტლანდიელი მთიელებივით, მოსასხამებს კი თხის ტყავისას. თავისი სიმამაცითა და სიმკაცრით ქებულმა იანინის ფაშა,<sup>60</sup> ინგლისის რეზიდენტის მიერ ახალგაზრდა ინგლისელი არისტოკრატის ჩამოსვლაზე გაფრთხილებულმა, ჩვენს მოგზაურებს მიწვევა გაუგზავნა. ბაირონი აღფრთოვანებული იყო აღმოსავლური ფუფუნებით — ამოქარგულკამზოლიანი ალბანელები, მაღალქუდიანი თათრები, შავკანიანი მონები, ცხენები, დოლები, მოლები მეჩეთების მინარეთებიდან რომ გაჰკიონდნენ: „არ არსებობს ღმერთი, გარდა ალაპისა“. მრისხანე ალი-ფაშა სამოცდაათი წლის პატარა მოხუცი აღმოჩნდა, თეთრწვერიანი, თავაზიანი, ლირსეულ მანერებიანი. თუმცა ყველასთვის ცნობილი იყო, რომ თვალს არ დაახამხამებდა, მტერს ისე შეწვავდა ან დუშინ ქალს ტბაში ჩახრჩობდა, თუკი მის გულს ვერ მოიგებდნენ. ბაირონს ჰქონდა, ასე ახალგაზრდამ სამშობლო რატომ დატოვეო, მერე დაუმატა, პატარა ყურებით, ხუჭუჭა თმით და ხელის სითეთრით, მაშინვე შევიცანი შენში მაღალი წარმოშობის ადამიანი. ეს წინადადება ბაირონს ისე მოენონა, რომ რამდენიმე თვე ყველა წერილში წერდა. ალი-ფაშა, ჭეშმარიტი ზელიუკო,<sup>61</sup> დიდხანს იყო ბაირონის ერთ-ერთი გმირი. ალაუფლებისადმი სიყვარული, მორალური და საზოგადოებრივი პირობითობებისადმი ზიზლი, საიდუმლოებით იყო გარშემორტყმული და, საერთოდ, ალი-ფაშას მთელი სახე ბაირონში ნამდვილ სიმპათიას იწვევდა. ყაჩალი, კორსარი, ავაზაკთა ბრძოების ბელადი — ამ გარიყულთა წრის ადამიანები ბაირონს იზიდავდა, მათში პირფერობის წინააღმდეგ საკუთარი პროტესტისა და სიმამაცისადმი თავისი თაყვანისცემის გამოძახილს პოულობდა. სიმპათია

დამწვდეული, მხოლოდ ღმერთების ბრძანებით გაათავისუფლა იგი.

60. იანინას ფაშა — ალი-ფაშა /1741—1832/ — თურქი. თესალიის ქალაქ იანინას ფაშა, ცნობილი თავისი დესპოტიზმით და ბოროტებით. თესალია ისტორიული ოლქია საბერძნეთისა.

61. ზელიუკო — თურქეთის მმართველი დინასტია XI—XIII საუკუნეებში.

ორმხრივი გახლდათ. ფაშამ გამცილებელი და შეიარაღებული ხალხი გამოუგზავნა, უკან დასაბრუნებელ გზაზე თანმხლებლად.

ველურ ქვეყანაში შეიარაღებული ველური დაცვის თანხლებით მგზავრობა — გაბედული, მაგრამ მაცდუნებელი წამოწყებაა. ბაირონს ბავშვობიდანვე სამხედრო ცხოვრებისთვის დაბადებულად მიაჩნდა თავი. არაფრის ეშინოდა. უყვარდა ალბანელები, უბრალო, ერთგულ ადამიანებად მიაჩნდა. იანინაში დაინყო თავისი „ჩაილდ-ბურუნის“ წერა, პირველი სიმღერის შემდეგ „ჩაილდ-ჰაროლდად“ რომ იქცა. სპენს-ერული<sup>62</sup> — სტროფებით, ცხრა ხაზიანით წერდა, მისი აზრით, ეს შეეფერებოდა თხრობის სიცხოველეს. ჰობჰაუზი კი მოთხრობებისთვის აკეთებდა ჩანანერებს.

ალბანეთიდან საბერძნეთში ზღვით აპირებდნენ გამგზავრებას, მაგრამ მეზღვაურთა უვიცობამ და ქარიშხალმა ხელი შეუშალათ: „კაპიტანისა და მეზღვაურთა უმეცრებით კინალამ დავიღუპე თურქულ ხომალდზე, თუმცა ქარიშხალი არც ისე ძლიერი იყო. ფლეტჩერი ღრიალებდა და ცოლს უხმობდა. ბერძნები ყველა წმინდანს ევედრებოდნენ, მუსულმანები კი ალაპს. კაპიტანი თვალცრემლიანი ღრიალებდა, ღმერთს ევედრეთო“. აფრები დაიგლიჯა, ხომალდის მართვა შეუძლებელი გახდა; ფლეტჩერი არცთუ უსაფუძვლოდ ყვიროდა: „ყველანი ამ წყლის საფლავში ჩავრჩებით“. ბაირონი ხეიბრობის გამო მეზღვაურებს ვერ ეხმარებოდა. ფლეტჩერის დასაწყნარებლად ამაოდ გაისარჯა, დაიღალა, ალბანურ ლაბადაში გაეხვია, გემბაზე მიწვადა, მიუხედავად დიდი ხიფათისა, დაიძინა. როცა გაიღვიძა, ქარიშხალი ჩამდგარიყო, ხომალდი ნაპირთან იდგა, სადაც მათ სულიოტები<sup>63</sup> დახვდნენ; მთიელები იყვნენ, შეურიგებელი ტრმი, რომლებმაც მოახერხეს და დამოუკიდებლობა შეინარჩუნეს. მათ გულილიად მიიღეს დაზარალებულები, ტანსაცმელი გაუშრეს, დააპურეს,

პატივსაცემად კოცონის ირგვლივ ცეკვებიც გაუმართეს. როცა ბაირონმა ბელადს რამდენიმე ცეხინი<sup>64</sup> შესთავაზა, ამან ამაყად უპასუხა: „მე თქვენი მეგობრობა მსურს და არა ფული“. ეს სიტყვები ბაირონს მოეწონა. აღტაცებული დარჩა ამ ძლიერი ვნებების ადამიანებით, რომლებსაც სიყვარულიც შეეძლოთ და მოკვლაც. მისი ზიზღი რელიგიებისადმი იზრდებოდა. ბოლო თვეებში ის შეხვდა კათოლიკეებს, პროტესტანტებს, მუსულმანებს, მართლმადიდებლებს და ყოველ მათგანში ადამიანის ცხოველური ბუნება დაიხსნა: „ძალიან მიყვარს ალბანელები. ყველა მაპმადიანი როდია, ქრისტიანული სარწმუნოების მიმდევარი თემებიც არიან. მაგრამ რელიგია ცოტა რამეს თუ ცვლის მათ ქცევასა და ჩვევებში“. თავის წერილებში ბაირონს ძალიან უყვარდა ნიუსტედელ ვილიამ ფლეტჩერის ალნერა, ალბანეთის მთებში ქოლგისქვეშ რომ ემალებოდა წვიმას და თავის ახალ მსახურს, ადგილობრივ მცხოვრებს, აულელვებელსა და დიდებულ ადამიანს ადარებდა. „ფლეტჩერი, როგორც ყველა ინგლისელი, თურქებით უკმაყოფილოა, თუმცა, მას შემდეგ, რაც ვეზირმა ოთხმოცი პიასტრი<sup>65</sup> აჩუქა, ოდნავ შეურიგდა მათ. უკვე აღარაფერზე ჩივის, გარდა სიცივის, სიცხისა და ტალახისა. გამბედაობა არ ჰყოფნის, თანაც ავაზაკებისა და ქარიშხლის ეშინია...“.

მას შემდეგ, რაც ზღვამ მათ ზურგი აქცია, გადაწყვიტეს საბერძნეთში ხმელეთით ნასვლა. საოცარი გასეირნება იყო — ცხენებით მთებში! საღამოობით გამყოლი სულიოტები მღეროდნენ, ბაირონი კი, მთარგმნელის დახმარებით, ამ სიმღერებს ლექსებად აქცევდა. ბოლოს, ვაკეზე დაეშვნენ და პატარა ქალაქ მისოლუნგში შეჩერდნენ. ისინი უკვე საბერძნეთში იყვნენ.

ბაირონი გულაჩუყებული იყო. ბავშვობიდანვე, პოეტებმა და ისტორიკოსებმა ასწავლეს ამ ქვეყნის სიყვარული. ახლა იმედი არ გასცრუებია. ჩრდილოეთის მკაცრ კლიმატს, ნისლში გახვეულ პეიზაჟებს, განუწყვეტლივ მსრბოლავ ღრუბლებს შეჩვეული თვალისოფას, ინდიგოსფერიცა,

62. ედმუნდ სპენსერი, ინგლისელი პოეტი / დაახლ. 1552—1599/. მის სახელთანაა დაკავშირებული ინგლისური სონეტის განვითარება შექსპირამდე და ე. ნ. სპენსერის სტროფების დამკვიდრება ინგლისურ პოეზიაში.

63. მთიელი ალბანელები.

64. ძველებული ვენეციური ოქროს მონეტა.

65. ლითონის ფული თურქეთში და ზოგ სხვა ქვეყანაში.

კამპფირვალე ჰაერი, კლდოვანი მთები — ოდნავ უანგისა და ზაფრანის ფერდაკრული — სინათლისა და ბედნიერების სურათს წარმოადგენდა. ლეპანტოს ყურე გადაჭრა, ჯერ პატრასამდე, გამაგრებულ თეთრ ქალაქამდე, მერე სხვა მიმართულებით იარა, პარანასის<sup>66</sup> ძირამდე რომ მიეღწია. გამცილებლის ყოველი სიტყვა რაღაცას ახსენებდა. აქ იყო სამყოფელი მელეაგრო-სისა<sup>67</sup> და ატლანტესი<sup>68</sup> იქ არიმანის ტახისა.<sup>69</sup> შორს, გამოკვეთილი ჰელიკონის თოვლიანი მწვერვალი ჩანდა; ო, რა ამაღლელვებელი იყო პითიას<sup>70</sup> მღვიმესთან მინაზე წოლა. დელფონსში ჰობჰაუზმა და ბაირონმა ტაძრის სვეტებზე თავიანი სახელები ამოჭრეს. უზარმაზარი ჩიტებით თაგს დასტრიალებდნენ. ბაირონს არწივები ეგონა, ჰობჰაუზმა უთხრა, კაკაჩები არიანო. როცა ათენს მიუახლოვდნენ, ჰობჰაუზიც კი აღელდა. ამაღლელვებელმა ასოციაციებმა ამ ადგილების ბუნებრივი ხიბლითითქოს კიდევ უფრო გააძლიერა. ვაჟვაცობა, თავისუფლების სიყვარული, სილამაზის

66. ქველი ბერძნების რწმენით, მუზებისა და აპოლონის სამყოფელი. პარნასის მთის ძირას მდგბარეობდა დელფოს /დელფო – ბერძნული რელიგიის ცენტრი ფოკიდაში/ სამისნო და აპოლონის ტაძარი. გადატანითი მნიშვნელობით პარნასი პოეტების გაერთიანებას, თავყრილობას ენოდება, პარნასელები კი — პოეტებს. ხშირად ლექსებს პარნასის ყვავილებს უწოდებენ, მუზებს კი პარნასელ დებს.

67. ମେଲ୍ଲାଗୁର୍ଣ୍ଣାରୀ /ଦେରନ୍ଦ୍ରୀ— ଏକ ପରିବହନ ଯେତା  
ଲୋଶ୍ଚରଣବିଳା ମରନାନ୍ତିଲ୍ଲେ ଏରତଥେଲ ମେଲ୍ଲାଗୁର୍ଣ୍ଣାରୀରେ  
ମାମାସ ଡାକ୍‌ବିନ୍ଦୁଧା ଏକଟ୍ରେମିଡ୍ୟୁଲେସାଟାର୍ଜୀରେ ମୁଖ୍ୟମାନ  
ଶେରିର୍ବାଦା ଗୁର୍ଜାଗୁର୍ଜବୁଲମା ଲମ୍ବରଟକାଲମା ମିଳି କ୍ଷେତ୍ର-  
ଅନାଶ ସାଶିନ୍ଦ୍ରାଲ୍ଲି, ଏ.ବ୍. କାଲିଫରନ୍ସିଆ ତୁବାନୀ ମୁଖ୍ୟମାନ  
ସାଶିନ୍ଦ୍ରାଲ୍ଲିରେ ରନ୍ଦ୍ରା ମେଲ୍ଲାଗୁର୍ଣ୍ଣା ଗ୍ରାନିଥାର୍ଜ୍ବା, ତୁବାନୀ  
ମୁଖ୍ୟମାନ ମେଲ୍ଲାଗୁର୍ଣ୍ଣା— କ୍ଷେତ୍ରକୁ ପରିବହନ କରିବାକୁ  
ପରିବହନ କରିବାକୁ କ୍ଷେତ୍ରକୁ ପରିବହନ କରିବାକୁ କ୍ଷେତ୍ରକୁ ପରିବହନ କରିବାକୁ

68. მრავლის მომტენი გოლიათი. პრომეთეს  
ძმა, ღმერთებს აუჯანყდა. ღმერთებმა იმით  
დასაჯეს, რომ აიძულეს მხრებით ცის თაღი  
დაემაგრებინა.

69. ძეველი ირანული ბოროტის ული. ბერძნები არიმანიოსს ეძახნენ. აქ შეიძლება კალიფონის ტახს გულისხმობს ავტორი.

70. აპოლონის დელფოს სამისნოს ქურუმი. /  
აპოლონის ამ ტაძარს პითონიკი ენობოდა/.

თაყვანისცემა, მჭევრმეტყველება —  
საუკეთესო ადამიანური გრძნობები, ამ  
მშრალსა და სუფთა მიწაზე დაიბადა.

ბოლოს, 1809 წლის 24 დეკემბერს, ფიჭვებისა და ზეთის ხილის ხეებს შორის ცხენებით ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ, ერთმა გამცილებელმა დაიძახა:

— ბატონი, ბატონი, სოფელი!

ეს ათენი იყო. შორს, ველზე, მაღალი  
კლდეების ძირას, პატარა ქალაქი ჩანდა,  
უფრო შორს კი, ქალაქის იქით — ზღვა.

გამცილებელი მართალი იყო: იმ დროს  
ათენი დიდ სოფელს ჰეგავდა. თურქები,  
ქალაქის მპყრობელნი, გამარჯვებულებივ-  
ით იქცეოდნენ და არა როგორც  
მმართველნი — ქალაქი ბედის ანაბარა იყო  
მიტოვებული. ბაზრის ახლოს, მთავარ კაფ-  
ეში, თურქი აღები ფეხმორთხმული ისხდ-  
ნენ და ყალიონს მხიარულად აბოლებდნენ.  
თურქული გარნიზონი აკროპოლში იდგა.  
ბაირონი და ჰობპაუზი ოტომან მმართველს  
ეწვივნენ და საჩუქრად ჩაი და შაქარი მიარ-  
თვეს. ამ დამშეულმა ფაშამ კარგად მიიღო  
ისინი, წაიყვანა და თეთრი, დანგრეული  
ტაძარი დაათვალიერებინა.

— აჰ, მილორდ, — წამოიძახა ფლეტ-  
ჩერმა, — რა მშვენიერი ბუხრები გაკეთდე-  
ბოდა ამ მარმარილოსგან!

ბაირონი პერიკლეს<sup>71</sup> გახსენებამ უფრო ააღელვა, ვიდრე პართუნონის სილამაზე.

— მართლაც ძალიან დიდებულია, —  
თქვა პობჰეზმა. — ანსიონ ოუსე-ს<sup>72</sup> მახ-  
სენებს, — მშრალათ თქვა პაირობმა.

ამ ადგილების წარსულმა სიდიადემ და ახლანდელმა უბადრუკობამ ძალიან ააღელვა. ნიუსტედმა ხომ არ შთაუნერგა დანგრეული სასახლეებისადმი და იმპერიებისადმი სიყვარული? მათში იდუმალ სიმბოლოს ხომ არ ხედავდა საკუთარი ბედისას? არა, უფრო რთულად და სერიოზულად გახლდათ საქმე. მისი სიმამაცე, მისი დაუკმაყოფილებლობა, მოხეტიალე ცხოვრებისკენ სწრაფვა, მასში მოქმედებისთვის დაბადებულ ადამიანს ამჟღავნებდა. და მან ეს იცოდა. აღფრთოვანებითა და შურით ადევნებდა თვალს ნაპოლეონს, მეტეორიკით რომ ჯათაიძროლა; მაგრამ

71. პერიკლე — ძველი საბერძნეთის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე /გ. ნ. 490-429/.

72. የወጪውን አገልግሎት በመስቀል የሚያስፈልግ ይችላል.

სახიჩრობამ ბაირონი სხვა არსებობისთვის განირა, და ჩასწოდა ბაირონი, ერთდროულად, ადამიანური ქმედების სიდიადესაც და უძლურებასაც. ოდესლაც, ჰაროუში, საფლავებს შორის ჯდომა უყვარდა, ახლა დაზგრეულ კოლონებს შორის ხეტიალი შეუყვარდა, უსასრულო სასაფლაოზე, კიპარისებსა და ფიჭვებს შორის რომ გადაჭიმულიყო, გიბრალტარიდან ჰელესპონტამდე.<sup>73</sup>

თუ პორტუგალიელ ხალხთა მონობა მასში აღმფოთებას იწვევდა, აქ, მიღებიადეს<sup>74</sup> და თემისტოკლეს<sup>75</sup> სამშობლოში, მრისხანება იპყრობდა. ჩაილდ ჰაროლდის ხელნაწერი ამბოხებისკენ მოწოდებით ივსებოდა: „ჩაილდ ჰაროლდი“, II სიმღერა, სტროფი XXIII.

„რა უნდა ვქნა? — უთხრა ერთხელ ახალგაზრდა ათენელმა, როცა ბაირონმა უსაყვედურა მონურად რატომ იქცევითო.

— მონავ, — იყვირა ბაირონმა, — ღირსი არა ხარ, ბერძენი გერქვას! რა უნდა ქნა? შური იძიე.

ის, ბაირონი, ამას გააკეთებდა. *C ede Biron.*

ჰობჰაუზმა და ბაირონმა მეზობელ სახლებში იქირავეს ოთახები. ბაირონი ინგლისის ვიცე-კონსულის ქვრივის, ქალბატონ თეოდორ მაკრის სახლში მოხვდა; გადახურული აივანი შიდა ეზოს გადაპყურებდა, სადაც ლიმონის ხე იდგა და სამი გოგონა თამაშობდა. ბაირონმა მათი შეყვარების შემთხვევა ხელიდან არ გაუშვა.

„კანალამ დამავიწყდა, სიგიუმდე შემიყვარდა სამი პატარა ათენელი, სამი და. ამავე სახლში ცხოვრობდენ. ამ ღმერთქალების სახელებია: ტერეზა, მარიანა და კატინკა - არც ერთს ჯერ თხუთმეტი წელი არ შესრულებია“.

უფროსს, ტერეზას, ლექსი უძლვნა:

განშორების უამი დადგა,  
ათენელო ქალნულო!

73. დარდანელის სრუტის ქველი სახელნოდება.

74. მიღებიადე — ათენელი მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე (დაახლ. ძვ. ნ. 550-489).

75. თემისტოკლე — ქველი ათენის მხედართმთავარი, სახელმწიფო მოღვაწე /დაახლ. ძვ. ნ. 525-460/.

გული, გული დამიბრუნე, გთხოვ, არ ამითვალნუნო. თუმცა, ის ხომ შენ გეეუთვნის, შენი ტრფობით ამაყობს, ვიდრე წავალ, შემოგვიცებ, ზომ მუ, სის აღაპო.<sup>76</sup>

სიმართლე რომ ითქვას, ტერეზა ჰაროლდს უფრო უყვარდა, ვიდრე ბაირონს. თუმცა, აღმოსავლური წესის თანახმად, ბასრი ხანჯლით მკერდსაც განიგმირავდა, რასაც გოგონა აღუშფოთველი სიმშვიდით მიიღებდა, როგორც თავისი სილამაზისთვის ლირსეულ საჩუქარს.

ატიკაში მოგზაურობისას ბაირონსა და ჰობჰაუზს ფრანგი კონსული ფოველი ახლდათ. ზეთისხილის ბაღებისა და ოქროსყვავილა მდელოების გავლით სუნიონის კონცხზე ჩავიდნენ. ტაძრის თეთრ სვეტებს შორის „იისფერი ზღვა“ ჩანდა. ერთ-ერთ სვეტზე მარადიულმა მოწაფე ბაირონმა თავისი სახელი წააწერა. მერე, მარმარილოს საფეხურზე ჩამომჯდარი უკაცრიელი კონცხის სიჩუმით ტკბებოდა, სადაც იყო მხოლოდ ის და ტალღები. ძალიან ბეჭინიერად გრძნობდა თავს. ეს მარადიული გაზაფხული, ეს უღრუბლო ცა, ღვთაებრივი ეჩვენებოდა. ბერძნები შეიყვარა. „ამბობენ, უმადურები არიანო. მაგრამ, განავინმეს, უმცირესი სამსახური მაინც გაუწევია ბერძენი ხალხისთვის? განა თურქების მადლიერნი უნდა იყვნენ, რომლებიც ჩაგრავენ; ინგლისელების, რომლებიც ძარცვავენ და აკროპოლიდან ხელოვნების უკვდავი ქმნილებები მიაქვთ; ფრანგების, რომლებიც მხოლოდ რჩევებს იძლევიან, დახმარებით კი არ ეხმარებიან?“ ბაირონი საშინლად განრისხდა, როცა მოწმე გახდა, ლორდ ელგინის აგენტებმა, რა უბოდიშოდ დაამახინჯეს პართენონის ტრიგლიფი,<sup>77</sup> თურქი მმართველიც კი ატირდა, როცა მის თვალწინ დაამსხვრიეს ერთ-ერთი ფრონტინი. მიუხედავად იმისა, რომ ბერძნები ასე უყვარდა, ის მაინც აგრძელებდა

76. „ზომ მუ, სის აღაპო“ /ბერძ./ — ნიშნავს „ჩემო სიცოცხლევ, მე შენ მიყვარხარ“. ლექსი თარგმნა ინგლის მერაბიშვილმა.

77. სწორკუთხა, ვერტიკალური, ოდნავ გადანეული ფილა, აქვს ორი მთელი და კიდეებში ნახევარ-ნახევარი ლარი.

თურქებთან მეგობრულ ურთიერთობას. ქალაქის პრეფექტმა, მეტისმეტი თავაზიანობით, ფლეტჩერის თანდასწრებით, ბრძანა ჯონის ორმოცდაათი დარტყმით დაესაჯათ ვიღაც მოქალაქე, რომელმაც ინგლისელს შეურაცხყოვა მიაყენა. „ინგლისში, დესპოტიზმზე რა აზრიც უნდა მქონდეს, უცხოეთში მას თავისი უპირატესობა აქვს“, — კამაყოფილებით შენიშნა ჰობაზუზმა.

მოგზაურის შეჩერება ძნელია. ინგლისური ხომალდი „პილადე“ სმირნაში მიდიოდა. ამ ხომალდს გაჰყვნენ. მენამული, ოპალისფერქოჩრიანი ტალღები მათ კუნძულებს შორის მიაქროლებდა. სმირნაში დაამთავრა ბაირონმა პოემის მეორე სიმღერა. ჰობაზუზი მოწონებით არ გამოხმაურებია.

— გადაჭარბებული გრძნობა. დეკლამაცია, — თქვა მან.

ის პოპს ამჯობინებდა. თვით ბაირონი, XVIII საუკუნის პოეზიის თაყვანისმცემელი, ცოტა გაოცებული იყო თავისი ემოციების გამოხსატველობის უშუალობით. მან ხელნაწერი ჩემოდნის ძირში ჩაჩრუთა და დიდების მოსაპოვებლად სხვა საშუალებაზე დაიწყო ფიქრი.

ფრეგატი, სმირნადან კონსტანტინოპოლში რომ მიჰყავდა ისინი, კუნძულ ტენედოსს მიადგა. აქედან მშვენივრად ჩანდა დარდანელი, ორი კონტინენტის გამყოფი ვიწრო სრუტე. აქ ზღვა მაღალ, შიშველ ნაპირებს შორის მოლივლივე ვიწრო მდინარეს უფრო ჰეგავდა. მაში, ეს არის ჰელესპონტი, ლეანდრომ<sup>78</sup> რომ გადაცურა, რათა შეყვარებული ენახა? ბაირონმა გადაწყვიტა თავადაც ეცადა მისი გადაცურვა. ორჯერ სცადა. პირველი ნარუმატებლად, მეორე, 3 მაისს, ნარმატებით დაგვირგვინდა. ევროპიდან აზიისკენ გა-

78. აბიდოსელი ჭაბუკი, რომელსაც აფროდიტეს ქურუმი ჰერო შეუყვარდა. ჰერო ჰელესპონტის სრუტის მეორე მხარეს, ევროპის ნაპირზე, ქალაქ სასტოსში ცხოვრობდა. მასთან შესახვედრად ვაჟი ყოველდამე ზღვას გადაცურავდა ხოლმე. ჭაბუკს გზა რომ არ აბნეოდა, ჰერო კოშკზე ჩირალდან ანთებდა. ერთ ღამეს ქარმა ჩირალდანი ჩააქრო, ლეანდროს გზა აერია და დაიხრიო. დილით ჰერომ კოშკის ძირას ზღვიდან გამორიყული სატრფოს გვამი ნახა. ჰერო ზღვაში გადავარდა და თავი მოიკლა.

ცურა და წყალში საათ-ნახევარი დაჰყო. თანამგზავრმა, მისტერ ეკენჰენდმა ხუთი წუთით გაასწრო. არც ერთ მოცურავეს დაღლილობა არ უგრძნია, ცოტას კი კანკალებდნენ. ბაირონი უჩვეულო სიამაყით აღივსო. დედას მისწერა, ჰოჯსონსაც, ყველას, რომ ჰელესპონტი გადაცურა, და ეს გმირობა, ფლეტჩერის წუნუნი და მისი პატარა ყურების ალი ფაშასეული შეფასება, მისი წერილების საყვარელი თემა გახდა.

„იმით დავიწყებ, რომ — თუმცა ამის შესახებ მხოლოდ ორჯერ მოგწერეთ, — აბიდოსიდან სესტოსში გავცურე. ამას იმიტომ ვიმეორებ, რომ საკადრისი პატივისცემით განიმსჯავლოთ ამ საარაკო საქმის გმირისადმი, რადგან ამ დიდებით უფრო მეტად ვამაყობ, ვიდრე პოლიტიკური, პოეტური თუ ორატორული ნარმატებებით“.

ტენედოსში ყოფნისას ბაირონმა ტროანახა. იდას მთებმა, ტროას ველის თავზე რომ აღმართულიყო, ჰაროუს სერები გახსენა. ქალაქიდან აღარაფერი შემორჩენილიყო, გამარჯვებულთა საფლავების მაღალი ბორცვების გარდა. ინგლისური სოფლების დანიურ ყორდანებს რომ ჰეგავდა. თავისი თაობის ერთგული ბაირონი, პატივს რომ მიაგებდა გარდასულ დროთა და გმირთა თვინიერ ძილს, აქილევსის საფლავთან ფიქრებში ჩაიძირა. მერე აფრაგაშლილმა ფრეგატმა მიმართულება კონსტანტინოპოლისკენ აიღო და 1810 წლის 13 მაისს, სერალსა<sup>79</sup>. და შეკიდ კოშკს შუა ჩაუშვა ღუზა. სტამბოლში ბაირონი აღაფრთოვანა ლანდშაფტმა — სასახლებით მოფენილმა ევროპისა და აზიის ნაპირებმა და წმინდა სოფიის ტაძრის მბრწყინავმა გუმბათმა. წმინდა სოფიის ტაძარი ლონდონის წმინდა პავლეს ტაძარზე უარესი ეჩვენა. „კონივით<sup>80</sup> ვაზროვნებ“, — განაცხადა მან. და მართალიც იყო. „ჰობაზუზმაც შეამჩნია, რომ აღმოსავლური ბაზრები, საკმაოდ მოუწყობელია იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ლონდონის მაღაზიებს არიან მიჩვეულნი“. მაგრამ სასიამოვნო იყო კაშკაშა წითელი ფერის მუნდირის ჩაცმა,

79. ოსმალეთის სულთნის სასახლე და ჰარამბანა.

80. ლონდონურ დიალექტზე, ღარიბთა კვარტლების მკვიდრი მოსახლეობა.

ბუმბულიანი ქუდის დახურვა და სულთნების საფლავებს შორის გასეირნება იანიჩარის<sup>81</sup> თანხლებით, რომელიც ბაირონმა დაიკირავა. ელჩმარობერტ ედერმა და მისმა მდივანმა კანინგმა<sup>82</sup> მოგზაურები ისე მიიღეს, როგორც მალალი წრის სტუმრები. ისინი სულთან-ფაშას წარუდგინეს. სასახლეში ცერემონიული ვიზიტის დროს, ბაირონი და კანინგი, ეტიკეტის გამო შეკამათდნენ: კანინგმა არ ისურვა ბაირონის უკან სიარული. ბაირონმა კორტეჟი დატოვა. მერე სამი დღე იფიქრა და ფრიად კეთილშობილური წერილი მისწერა, რომელშიც თავს იდნაშაულებდა.

ბოსფორს ზევით აუყვებოდა, დიდხანს იჯდა ხოლმე სიმპლეგადების<sup>83</sup> ცისფერ ფრიალოებზე, რომლებიც, გადმოცემის თანახმად, ყურის შესასვლელს იცავდნენ და, როცა გემი შევიდოდა, სწორედ მაშინ იძვროდნენ ადგილიდან მის გასაჭყლეტად. არაფერს აკეთებდა, ენეოდა, ცხენით დადიოდა, აზის მტკნარ წყალში ბანაობდა და თავს ბედნიერად გრძნობდა. მარტო ფლეტჩერი ალიზიანებდა: „მისი განუწყვეტელი წუნუნი, ბიფშტექსისა და ლუდის მონატრება. მისი იდიოტური, ბრმა ზიზლი ყოველგვარი უცხოურისადმი, სრული უუნარობა, დაიმახსოვროს თუნდაც რამდენიმე სიტყვა რომელიმე ენაზე, — მას, როგორც ყველა ინგლისელ მსახურს, ნამდვილ ტვირთად აქცევს. გარნმუნებთ, ძალზე მოსაწყენი მოვალეობაა, როცა მის მაგივრად რაიმეს ახსნა მიწევს: ხან კარგი პირობები სჭირდება /იმაზე უკეთესი, ვიდრე მე/, ხან ფლავის ჭამა არ შეუძლია, ხან ღვინო არ მოსწონს, ხან საწოლია ცუდი და ასე, დაუსრულებელი სია საჩივრებისა, ოჩან ცხენსა ჰეგავს!! — შეიძლება ეს ყველაფერი უცხოსთვის სასაცილოა, მაგრამ პატრონისთვის გაუთავებელი უბედურებაა“.

81. ოსმალეთში პრივილეგიური ქვეითი ჯარის /IV-XIX სს/ ჯარისკაცი.

82. ჯორჯ კანინგი /1770-1827/ — ინგლისის სახელმწიფო მოღვაწე.

83. პონტოს ზღვის შესასვლელში მცურავი, მოძრავი მითიური კლდეები. როგორც კი მათ შორის რამე მოხვდებოდა, ერთმანეთს სწრაფად ეჯახებოდნენ მის გასასრესად. როცა არგომ სიმპლეგადებს გაასწრო, კლდეებმა მოძრაობა შეწყვიტეს.

ბოლოს, 1810 წლის 24 ივლისს, ბაირონმა და პოპკაუზმა კონსტანტინოპოლი დატოვეს, ჰობპაუზი ინგლისში ბრუნდებოდა. ბაირონს ათენში უნდოდა შევლა. მთელი წლის განმავლობაში ერთად ყოფნა და მოგზაურობა მათი მეგობრობის მკაცრი გამოცდა იყო, ერთმანეთს გულკეთილად დასცინოდნენ, მაგრამ სულის მოთქმა სასურველი იყო.

ბაირონი - დედას: „ძალიან მიხარია, რომ ბოლოს და ბოლოს მარტო ვრჩები. დავიღალე ჩემი თანამგზავრით, არა იმიტომ, რომ სხვაზე უარესია, არამედ იმიტომ, რომ ბუნებით მარტოობისკენ ვარ მიდრეკილი, და ეს მიდრეკილება ყოველდღიურად უფრო მიძლიერდება“.

განშორება გულისშემძვრელ-პათეტიკური გახლდათ. ჰობპაუზმა ეს თავის დღიურში აღნერა: „დღეს, ამ უცნაურ ახალგაზრდა კაცს დავემშვიდობე და ეს უცრემლოდ არ მომხდარა. ქვის ტერასაზე, ზღვის უბის გამოსასვლელთან, ყვავილების პატარა თაგული გავიყავით. ალბათ, ეს უკანასკნელი იქნება, რასაც მასთან ერთად ვინანილება...“. წერილი, რომელიც ჰობპაუზმა ბაირონს ამ დაშორების შემდეგ მისწერა, შემდეგი პოსტსკრიპტუმით მთავრდება:

„თქვენი თაიგულის ნახევარს მანამდე ვინახავდი, ვიდრე სრულიად არ დაჭკნა, მაშინაც კი გადასაგდებად ვერ გავიმეტე. ამის ახსნა არ შემიძლია. მგონი, ვერც თქვენ შეძლებთ“. ბაირონი უფრო მეტად უყვარდა, ვიდრე თვითონ ამბობდა. მოგზაურობისას მიაჩნდა, რომ მასთან ცხოვრება ძნელი იყო, რომ იგი თავგუნება და ეჭვიანი კაცი გახლდათ, იმავ დროს, მოუგერიებელიც. რაც შეეხება ჩაილდ ჰაროლდს, სანტიმენტალურს ლექსებში, სულაც არ იყო სანტიმენტალური პროზაში:

„თქვენი ბოლო წერილი თაიგულის შესახებ პათეტიკური პოსტსკრიპტუმით მთავრდება; გირჩევთ, თქვენს მომავალ რომანში ჩართოთ. ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ამდენი მშვენიერი გრძნობა გაგაჩნდათ, და მჯერა, ხუმრობა ინებეთ. მაგრამ მე ხომ ხუმრობა მიყვარს“.

ათენში მეორედ ჩასვლისას კაპუცინების მონასტერში დაბინავდა. უმშვენიერესი ადგილი იყო: პირდაპირ ჰიმეტი<sup>84</sup> იყო ალ-

84. მთა ატიკაში.

მართული, უკან აკროპოლი, მარჯვნივ იუპიტერის ტაძარი, მარცხნივ კი — ქალაქი „აი, ადგილი ეს არის. თვალწარმტაცი სანახაობა! მსგავსს ვერაფერს ნახავთ ლონდონში!“ პატარა, მრგვალი ტაძარი ბერებს ბიბლიოთეკად ექციათ. იგი ბალს გადაჰყურებდა, სადაც ფორთოხლის ხეები იდგა. მონასტრის ცხოვრება დიდი სინმინდით არ გამოირჩეოდა. გარდა *Patre Abbat e<sup>85</sup>* აქ იყო *maul e<sup>86</sup>* ექვსი *zagazzi -iota<sup>87</sup>*. აქედან სამი კათოლიკე იყო, სამიც მართლმადიდებელი. ბაირონი ბავშვებს შორის კრივში შეჯიბრებებს აწყობდა და მამანინამძღვარი გახარებული იყო, როცა კათოლიკები იგებდნენ. აქ ცხოვრება კოლეჯის ცხოვრებას ახსენებდა, მხიარულს, ხმაურიანს, თავაწყვეტილს, და ბაირონიც, მუდამ ნაღვლიანად რომ იხსენებდა თავის ჰაროუელ მეგობრებს, ბავშვური სიხარულით გადაეშვა ამ ცხოვრებაში. მაშინვე მფარველური სიყვარული გაუჩნდა ჭაბუკ ნიკოლა ჟიროსადმი, ახალი ედელსტონისადმი, ფრანგული ნარმოშობისა და საბერძნეთის ქვეშევრდომი რომ იყო. ის იტალიურად ლაპარაკობდა და ბაირონსაც ასწავლიდა ენას. „მე მისი „*Patre*“, მისი „*A me*“ ვარ, და ღმერთმა უწყის, კიდევ რა. ორი საათის წინ გამომიცხადა, ჩემი ყველაზე დიდი სურვილი შენთან ერთად მსოფლიოში მოგზაურობააო, მერე დაუმატა, ჩვენ არა მარტო ერთად უნდა ვიცხოვროთ, არამედ ერთადაც უნდა დავიხოცოთო...“.

მთელი დღეები განუწყვეტელი ხორხოცი იდგა. ბაირონი დილით ამ ონავრების ყვირილში იღვიძებდა: „*Venite abasso*“.<sup>88</sup> ინტრიგებიც არ აკლდა: ტერეზა მაკრის დედილო კვლავ გამოჩნდა სცენაზე. „ისეთი სულელია, რომ ნარმოიდგინა, მის შვილს ცოლად ნავიყვან. არა, უკეთესი გასართობი მაქეს“. ფლეტჩერმა, ცოლიანმა კაცმა, რომელიც თავის სალისთან განშორებით იტანჯებოდა, ბერძენი ქალი გაიჩინა საყვარლად. ორივე ალბანელმა მსახურმა და მთარგმნელმა მის მაგალითს მიბაძა. „გაუმარჯოს სიყვარულს! — სწერდა ბაირონი ჰიპერეზებს, — ავად თუ კარ-

გად, ყველასთან ვლაყბობ, კატეხიზმოდან ლოცვებს ვთარგმნი, ჩემს გაკვეთილებზე ყველანაირი უმსგავსობა ხდება. ხილით ვძლებით, ერთმანეთს ქერქებს ვესვრით, ვთამაშობთ; მოკლედ, ისევ სკოლაში ვარ, ისევ პატარა წარმატებები მაქვს, დროს ვფლანგავ, როგორც მაშინ“. საღამოობით მამანინამძღვარი თურქი წარჩინებულებისთვის დიდებულ მიღებებს აწყობდა: მუფთები<sup>89</sup> და ათენის გუბერნატორი ერთად ლოთობდნენ, მუჰამედს აინუნშიც არ აგდებდნენ და ატიკური<sup>90</sup> ზეიმები დიდებულად აღინიშნებოდა.

ცხადია, პირების უბის გადაცურვაც საჭირო იყო. ნიკოლო ძალზე ცუდად ცურავდა. როცა ბაირონი ჯებირიდან გადახტა შორიახლო მდგარი იალქნიანი გემიდან, ვიღაცამ ინგლისურად გადმოსძახა. მარკიზი სლიგო აღმოჩნდა, ბაირონის სკოლის ამხანაგი ჰაროუდან. თავისი ბრიგაით,<sup>91</sup> ლედი ესთერ სტენჭოპთან ერთად ჩამოსულიყო. ამ შეხვედრამ ბაირონი გახარა; მათთან ერთად რამდენიმე ექსკურსიაც მოაწყო, მაგრამ ამ ინგლისელებთან თავს არც ისე თავისიუფლად გრძნობდა, როგორც თავის პატარა იტალიელებთან. ლედი ესთერი საკმაოდ მკაცრად ექცეოდა: „ძალზე ბიზიერი გამოხედვა აქვს. თვალებიც ერთმანეთთან ძალიან ახლოს აქს და შეერთებული წარბები... ხასიათი უცნაური: განზრახ დიდსულოვანია, განზრახ ხარბია; ერთხელ ძალიან ნაღვლიანი იყო და ვერავინ გაბედა დალაპარაკება; მეორე დღეს ყველასგან მოითხოვდა, მეხუმრეთო“. ვინც კი მას შეხვედრია, ხასიათის ამ თვისებებს ყველა ამჩნევდა. საკუთარ თავში იყო ჩაკეტილი, სხვათა გრძნობების გაგების არანაირი უნარიარ ჰექონდა. თავისი კაპრიზები აუცილებლობად მიაჩნდა ყველასთვის; მიამიტურად აღშფოთდებოდა ხოლმე, როცა სხვათა მხიარულება ანდა ნაღველი უადგილოდა უდროო ეგონა. საკუთარ თვალში კი, როცა სადღაც ჰიმეტსა და აკროპოლს შორის ყალიონს აბოლებდა

89. მუსლიმანთა ღვთისმეტყველი. სასულიერო პირი.

90. ელინთა რვა მთავარი მხარის უმნიშვნელოვანები ნაწილი. დედაქალაქი ათენი.

91. ორანძიანი სამხედრო ან კომერციული ხომალდი.

85. მამანინამძღვარი.

86. სკოლა

87. ბიჭი

88. ჩადით ქვევით.

და ულვაშებზე ხელს ისვამდა, ეს ყველაფერი სრულიად ბუნებრივი მოვლენა იყო, როგორც მთებს შორის აღმართული კლდე; მიამიტი ხალხი მოსწონდა, რომელიც ამ საკმაოდ ციცაბო კლდეს აღფრთოვანებითა და გაოცებით შეჰყურებდა.

საკმარისი იყო ინგლისელებს შეხვედროდა, რომ მთელი თავისი არამყარი ბედნიერება თავზე ჩამოქცეოდა. მათ ბაირონი იმ საზოგადოებაში გადაჟყვავდათ, რომელიც მასში გამოკვეთილ შიშს იწვევდა და გაურკვეველ პატივისცემასაც. როცა ბავშვებთან ან მსახურებთან მარტო არ იყო, განუწყვეტლივ აფიქრებდა და მოსვენებას არ აძლევდა, რას იფიქრებენ ჩემზე. საკუთარი თავი ახირებულ, მანია კაცად მიაჩნდა. ბავშვური ცრულწმენები ჰქონდა, უცნაური ჩვევები, მაგალითად, დატენილი დამბაჩა მუდამ საწოლის თავთან ედო. მომეტებული მგრძნობიარობა ისეთი ქცევებისკენ უბიძებდა, რომელთა დაფარვაც სხვათა თვალისგან უნდოდა. ჰობპაუზიც კი ავიწრიებდა, და თუ ფლეტჩერი ხშირად აღიზიანებდა, ესეც მხოლოდ იმიტომ, და მნიშვნელოვან წილადაც იმიტომ, რომ ეს ნიუსტედელი სანჩი, ამ ათენურ გიუმაჟურ ცხოვრებაში, ფორთოხლის ხეებს, მორჩილ ბიჭებსა და თურქებს შორის, თუმც სასაცილო ჩანდა, მაგრამ მაინც ბრიტანული პირობითობების საშიში გუშაგი გახლდათ.

ათენში ყოფნისას ბაირონი რამდენჯერ მეჩავიდა მორქაში, მოიარა ტრიპოლისი და მუდამ პატრასში ჩერდებოდა, სადაც ინგლისელი კონსული, მისტერ სტრანე ცხოვრობდა, რომელიც ასევე მისი ბანკირი იყო. მუდამ იხიბლებოდა ნავსადგურით, სადაც მოხატული, აფრააშლილი გემები, აგამერნონის ფლოტს რომ ჰგავდა, თეთრი ქალაქის მისადგომებთან იდგნენ.

მაგრამ ეს არ იყო ჯანსაღი ადგილი. როგორც კი მისოლუნგიდან ქარი ამოვარდებოდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ქინელები მრავლდებოდა, მალარია მძვინვარებდა. ბაირონი, რომელსაც, როგორც შეეძლოთ, ისე მკურნალობდნენ, ცოტას დარჩა, არ მოკვდა. აბა, ამ უბედურ ავადმყოფს რა შეეძლო ექიმ-მკვლელების ნინააღმდეგ? ახალგაზრდობა, ბუნება და იუპიტერი ბაირონის გამოჯანმრთელებისთვის იბრძოდა, ექიმი რომანელი კი —

პირიქით. ფლეტჩერმა თავი დაკარგა, აღარ იცოდა, რა ექნა. საბედნიეროდ, მსახურმა ალბანელებმა თვითონ იკისრეს ბაირონის მოვლა და ექიმს დაემუქრნენ, თუ ჩვენიპატრონი მოკვდა, მოგკლავთო. მუქარამ გაჭრა, თუ იუპიტერი დაეხმარა, იქნება ახალგაზრდობაც... ბაირონი ბოლოს მაინც გამოჯანმრთელდა. ავადმყოფობის დროს დარნმუნდა, როგორ არ აფასებდა სიცოცხლეს. ზღვით ორი თვის მოგზაურობა აშორებდა სამშობლოს, ის კი აქ იწვა და ციებცხელებიანი კანკალებდა. „სიკვდილს ველოდი, როგორც ტკივილისგან გათავისუფლებას; არანაირი სურვილი არ მქონდა სიცოცხლისა; მტკიცედ მწამდა, რომ ღმერთი, რომელიც სასჯელს გვიგზავნის ამ ცხოვრებაში, სიკვდილის უკანასკნელ თავშესაფრად დაღლილ სულებს გვიტოვებს“. მერე ბერძნულად მიანერა: „ისინი, ვინც ღმერთებს უყვართ, ახალგაზრდები კვდებიან“.

კაპუცინების მონასტერში გაფითორებული და გატეხილი დაბრუნდა. რეჟიმს, საკუთარ თავს რომ დაუნიშნა, სიგამხდრისა და სილამაზის შესანარჩუნებლად, არ შეეძლო მისი ჯანმრთელობის გაკაუება: კვირაში სამჯერ თურქული აბანო, დასალევად ძმარნარევი წყალი, მყარი საკვებიდან კი მხოლოდ ბრინჯი. მთელი ზამთრის განმავლობაში თითქმის ისევე ცხოვრობდა, როგორც ავადმყოფობამდე. ცოტაც იმუშავა, ორი სატირა დაწერა, ერთი ჰოპის სტილში, ჰორაციუსის პერიფრაზი; მეორეში, „მინევრას წყვლა“, განრისხებული ესხმოდა თავს ლორდ ელგინს. ერთხელ კაპუცინ მამა ბავლე დ'ივრეს სთხოვა, სენაჟში ცხოვრების უფლება მომეციო. იქნებ ბერული ცხოვრება ნაღვლიანი აზრებისა და მოწყენისგან გათავისუფლებაში დახმარებოდა. უთხრა, მორწმუნე არა ვარო. სთხოვა, ჯვარცმა მომეციო და თვალცრემლიანი ეამბორა. რელიგიაც, ისევე, როგორც ყველაფერი ამქვეყანაზე, მისთვის, უპირველეს ყოვლისა, ძლიერი შეგრძნება უნდა ყოფილიყო.

აი, ჰანსონი კი ფულს არ უგზავნიდა და თავისი კლიენტისგან ნიუსტედისა და როჩდელის დაცვას მოითხოვდა, რომლებსაც მევახშებიდა კანონის ხალხი ემუქრებოდა. სამწუხაროდ, დაბრუნება საჭირო იყო. ფლეტჩერი, ბარგითა და მისის

ბაირონისადმი წერილით, დასაზვერად ადრე გაგზავნა:

„თქვენს მზრუნველობას ვანდობ ჩემს წიგნებსა და ქალალდებით სავსე რამდენიმე სკივრს. გთხოვთ, რამდენიმე ბოთლი შამბანური დამიტოვოთ, რადგან წყურვილით ვკვდები... დარწმუნებული ვარ, სახლი სავსე გაქვთ იდიოტი დედაკაცებით, რომლებიც მხოლოდ ჭორებითა და სკანდალური საქმეებით არიან დაკავებულინი...“.

ფლეტჩერს მოგზაურობა მოუხდა; ახლა უკვე ნაკლებად ჰეგვადა კუნძულებს. „მას შემდეგ, რაც გამოცხვა, შეინვა, მოიხარშა და ყველა მხოხავი ქმნილებები დაღრღნა, ფილოსოფოსობა დაიწყო. გარდა დახვეწილობისა, უდრტვინველობაც შეიძინა და დაბრუნებისას თავისი მრევლის მშვენება გახდა, მომავალში კი ფრიად წარჩინებული პერსონაჟიც ფლეტჩერების ოჯახურ ქრონიკებში“.

კამერდინერის გაგზავნიდან რამდენიმე დღის შემდეგ, თავად პატრონიც ფრეგატით დაადგა გზას. ნიკოლო ჟირო მალტამდე აცილებდა. ბაირონს თან ორი ახალი ბერძენი მსახური მიჰყავდა. ერთი ალბანელი მსახური, რომლის დატოვებაც მოუხდა, თვალცრემლიანი გავარდა ოთახიდან. „როცა მახსენდება, ინგლისიდან გამომგზავრებისას ყველაზე ახლობელმა და კეთილშობილმა მეგობარმა ბოდიში როგორ მომიხადა, მოსვლა ვერ შევძელი, რადგან ნათესავ ქალებს მაღაზიებში უნდა გავყოლოდიო, და ახლანდელს წარსულს ვადარებ, სირცხვილის გრძნობაც მეუფლება და გაოცებაც“.

მალტიდან მგზაურობა ოცდათორმეტ საათს გაგრძელდა. ბაირონი მარტო იყო, საინტერესო თანამგზავრები არ ჰყავდა, მაგრამ ამ მარტობით ტებებოდა. ერთი სიტყვით, დასაჩივლი არაფერი ჰქონდა თავის მოგზაურობაზე: თურქული ხომალდი ძლიერ გადაურჩა ქარიშხალს და თვითონაც გადაარჩა დაღუპვას; მალტაზე ქმრიანი ქალი შეუყვარდა; სტუმრად მიინვიეს ფაშასთან; ათენში სამი ბერძენი ქალი უყვარდა; დარდანელი გადაცურა; დაწერალექსები; პატარა ბერთან იტალიურს სწავლობდა; უმშვენიერესი პეიზაჟები ნახა, გონებაში გმირული სახეები აღუდგა და ექვსიოდე თვით ისევ ბავშვობას დაუბრუნ-

და. საუბრობდა ფრანგებთან, იტალიელებთან, ბერძნებთან, თურქებთან, ამერიკელებთან და მათ აზრებსა და ჩვევებზე შეეძლო ემსჯელა. მთელი საუკუნე ყალიონით ხელში ლონდონის კლუბებში რომ მჯდარიყო ან სადღაც, საგვარეულო მამულში ემთქნარებინა, ამდენ საინტერესო ნაცნობს ვერასოდეს გაიჩენდა.

ის, ვინც ვინმეს ცხოვრებას თვალს ადევნებს, აღმოაჩენს, თანამიმდევრულ დანაშრევებს, რომელიც დროით მტკიცდება და ხასიათს განსაზღვრავს: თავდაპირველ საგვარეულო შრეზე — გორდონების შმაგი ზნე და ბაირონების მგრძნობიარე ტემპერამენტი — ახალი შრე დაიღექა: ბაირონის ფიზიკური ნაკლი, რომელიც ყველაფრისადმი სიძულვილს უნერგავდა, და სილამაზე, რომელიც შურისძიების შესაძლებლობას აძლევდა. შეზღუდული და პირქუში რელიგიის ზემოდან, პირველი შოტლანდიელი აღმზრდელებისგან რომ აითვისა, დაშრევდა, ოღონდ არ მოუსპია, კემბრიჯელი სტუდენტების ვოლტერიანული დეიზმი, ჭაბუკის გულუბრყვილო სანტიმენტალიზმის ზევით კი — მძაფრი იუმორი აღმოჩნდა. სამყაროზე წარმოდგენა, რისგანაც მისი შინაგანი ბუნება ყალიბდებოდა, უბრალო იყო. დედამიწა ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო შექმნა ღმერთმა, რომელსაც, როგორც ჩანს, ჩვენი ტანჯვა საერთოდ არ ენალვლება. ადამიანები, თავიანთ ვნებებსა თუ ბედისწერას გამოდევნებულნი, სასიამოვნო შეგრძებებისენ ილტვიან, რაც გონივრულია; ან სახელს ეძებენ, რაც არაგონივრულია. მეფეები, იმპერიები აღზევდებიან, მერე დაბლა ეცემიან ტალღებივით. ყველაფერი ამავებაა, გარდა სიამოვნებისა.

აღმოსავლეთში მოგზაურობამ, ამ, მისთვის მართალი, დოქტრინის რეალურობა დაუმტკიცა. ყველგან, სადაც გაიარა, ნახა, რომ ცხოვრება მკაცრია, ყველასთვის დამახასიათებელია ბინიერება, ხოლო სიკვდილი წუნია არ არის და მუდამ მზად არის მოსასვლელად. მუსულმანთა ფატალიზმი მისი ფატალიზმი განამტკიცა; ქალებთან მათი დამოკიდებულება მოსწონდა. რელიგიათა უსაზღვრო უმრავლესობამ მათივე სისუსტეში დაარწმუნა. თან ეჭვიც გაუჩნდა, ურყევი რომ ეგონა. ამ ხანგრძლივი განმარტოებისას, საკუთარ თავზე

რამდენიმე ჭეშმარიტება შეიცნო. ახლა გაიგო, რომ შეუძლია ბედნიერი იყოს, ოღონდ კანონგარეშე არსებობით. მან ის ქვეყნები შეიყვარა, სადაც არავისთან არაფერი აკავშირებდა და მასთანაც არავის არაფერი ესაქმებოდა. მანძილმა ზიზლი ასწავლა. განა შეიძლება ინერვიულო ვიდაც პედანტის მიერ დაწერილი სალანძღავი სტატიის გამო, როცა მისგან გაშორებს ხმელთაშუა ზღვა და ატლანტიკის ოკეანე, როცა ჰიპერბოლური<sup>92</sup> პრესის ქუჩილს ახმობს ჰელესპონტის ღრიალი? ახლა, როგორც კი მისი საქმეები ინგლისში ცუდად წავა, მან უკვე იცის, რომ თხუთმეტიოდე დღის ზღვით სავალზე, მარადიულ ცისფერ ცისქვეშეთში, თეთრი კუნძულებით.

ფრეგატის გემბანზე მდგარი ბაირონი უყურებდა, როგორ აღიმართებოდა და ეცემოდა ტალღები. ამ გრძელი გზის ბოლოში ვინ ელის? დედა? არ აპირებდა მასთან დიდხანს დარჩენას.

„კეთილი ინებეთ და ნიუსტედში ჩემი ოთახები მომიმზადეთ. მხოლოდ სტუმარივით მიყურეთ. აუცილებლად მიმაჩრია გაცნობოთ, რომ დიდი ხანია ვეგეტარიანელი ვარ, ხორცს არ ვჭამ, არც თევზს. იმედი მაქვს, იზრუნებთ და კარტოფილის, ბოსტნეულისა და ბისკვიტების საჭირო რაოდენობას მოიმარავებთ. ღვინოს არ ვსვამ. ორი ხანში შესული ბერძენი მსახური მახლავს... ვფიქრობ, სტუმრები სიცოცხლეს არ მომინამდავენ; თუ ვინმე მოვა, თქვენ მიიღებთ, რადგან არ მსურს, ვინმე მყუდროება დამირღვიოს. იცით, არასოდეს მყვარებია საზოგადოება, ახლა კი უფრო ნაკლებად მიყვარს, ვიდრე უნინ“.

ერთადერთი მისი საზრუნავი ფერმის გაყოფა იყო ვინმე ბ.-სთან, ფლეტჩერისთვის პატარა კარ-მიდამო რომ მიეცა.

„მხოლოდ მისტერ ბ.-ს სამეფოს გაყოფით დავექმაყოფილდები /ბონაპარტესავით/ და მარშალ ფლეტჩერს სამთავროს მიცემ. იმედი მაქვს, ჩემს პატარა იმპერიასა და მის ბედშავ ეროვნულ მოვალეობებს ფრთხილი ხელით მართავთ“.

დედის გარდა, კიდევ ვის ნახავს? ჰობ-ჰაუზს? ჰობჰაუზზე არაფერი იცოდა. ხმები მოსდიოდა, ჯარისკაცის საშინელი ტანსაცმელი ჩაიცვაო. ჰოჯსონს? დიახ,

ცხადია, მაგრამ ჰოჯსონი ფარისეველი გახდა. ოგასტას? მას დაი თავისი, თითქმის დაავიწყდა კიდეც. რისთვის მიდის, რა უნდა გააკეთოს იმ ქვეყანაში? ნიუსტედის ფერმერებისგან ბეგარა მოაგროვოს, როჩდელის ქვანახშირი გაყიდოს და ოღონდონში ვალები გადაიხადოს? კიდევ ვის ნახავს? აა! დალასს, მუდამ მხიარულსა და პატივცემულ დალასს! ჩასვლამდე რამდენიმე დღით ადრე დალასს მისწერა:

„ორი წლის განშორების შემდეგ, ისევ ინგლისისკენ მომავალ გზას ვადგავარ. ყველაფერი ვნახე, რაც რამ ღირსშესანიშნავია თურქეთში, ტროაში, საბერძნეთში, კონსტანტინოპოლში და ალბანეთში. არა მგონია, ისეთი რამ გამეუეთებინა, რაც სხვა მოგზაურებისგან განმასხვავებდა; გარდა სესტოსიდან აპიდოსში გაცურვისა, რაც გმირობაა, თანაც ფრიად ღირსეული, ჩვენი დროის ადამიანისთვის“.

## ნაცილი მეორე

ნაზიდა მოსიყვარულე გულით დაიბადა, მაგრამ გადაჭარბებულმა ექსპანსიურობამ და მგრძნობიარობამ თანატოლების დაცინვა დაატეხა თავს. ამაყო იყო და პატივმოყვარე, თუმცა ბაგშვივით უნევდა ანგარიშს სხვათა აზრს. ამიტომ საკუთარი თავი მიაჩინა, გულმოდგინედ დაეფარა ყველაფერი, რაც, მისი აზრით, შეიძლება სამარცხვინო სისუსტედ გამოჩენილიყო. მიზანს მიაღწია, მაგრამ გამარჯვება ძვირად დაუჯდა. შეძლო და სხვათაგან დაფარა თავისი მეტისმეტად მგრძნობიარე გულის მოძრაობა, მაგრამ ამის გამო ასჯერ უფრო მეტად იტანჯებოდა, ვიდრე იმისგან, რასაც ფარავდა.

მერიმე

უდიდესი არსი ცხოვრებისა — გრძნობაა. იგრძნო, რომ ვარსებობთ, თუნდაც ტანჯვაში. აკი, მხოლოდ ეს „მტანჯველი სიცარიელე“ გვიბიძებს თამაშისკენ, ბრძოლისკენ, მოგზაურობისკენ, თავშეუკავებლობისკენ. ამა თუ იმ მიზნისკენ სწრაფვის მძაფრ შეგრძნებაშია მთელი სიხარული; იმ მღელვარებაში, რომელსაც მის მისაღწევად განიცდი.

ბაირონი

## ტიმონ ნიუსტედელი

— რასა ძლიერ, რომანტიკას?  
— არა, მოწყენილობას.

ჰემინგუეი

„რედიშ-ოტელში“ გაჩერდა, სენტ-ჯეიმს-სტრიტზე. დედას საჩუქრად შალი და ვარდის ზეთი ჩაუტანა, პოპკაუზის მარმარილო, თავისთვის კი ატიკური ციკუტით<sup>93</sup> სავსე ჭურჭელი, ოთხი ათენური თავის ქალა და ცოცხალი კუები. დალასი, რომელიც უკვე რამდენიმე დღეა ელოდა მის ჩამოსვლას, მაშინვე ეწვია. ბაირონი კარგ გუნებაზე იყო და ხალისით ჰყვებოდა თავისი მოგზაურობის ამბებს. დალასმა ჰკითხა, მოთხრობები ხომ არ ჩამოიტანეო. არაო, უპასუხა, არც ვაპირებ მოთხრობების წერასო, დაუმატა. მისი თემა — სატირაა და კიდევ რაღაც ახალი: პორაციუსის „Artefactualia“-ს პერიფრაზი. ნაწარმოები წარმატებულად მიაჩნდა, დალასს ხელნაწერი წასაკითხად მისცა კიდეც და სთხოვა, ხვალ შემოიარეო.

მთელი დღე პორაციუსის ამ წაბაძვის კითხვაში გაატარა დალასმა. უყვარდა ჭაბუკი ბაირონი; ძალიან უნდოდა ამ ნანარმოებში რამე ლირსება დაენახა, მაგრამ როგორი იმედგაცრუება დაეუფლა! ნუთუ ეს არის, რაც ორი წლის ხეტიალმა და თავგადასავლებმა მისცა? ცივი იმიტაციები, მძიმე სატირები, არავითარი ახალი ფორმები. მეორე დღეს „რედიშ-ოტელში“ შეცბუნებული გამოცხადდა, რამდენიმე გაუგებარი ქათინაურის შემდეგ ჰკითხა, კიდევ რამე ხომ არ დაგინერიაო? ცხადია, დაწერა რამდენიმე პატარა ლექსი და საკმაოდ ბევრი სტროფი პოემისა, რომელიც მის მოგზაურობებს ეხებოდა. წასაკითხად არა ლირსო, დაუმატა. მაგრამ ისიც უთხრა, თუ გაინტერესებს, მზად ვარ გაჩუქო, და ჩემოდნიდან მთელი შეკვრა დაწერილი ფურცლები ამოილო. დალასს იმის თქმაც მოუნია, ვეცდები, რაც შემიძლია მალე დავაბუჭდვინოო პერიფრაზი, და იღლიაში „ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობის“ ხელნაწერ-

93. ჭაობის მრავალნლიანი მცენარე, რომელიც ციკურტოქსინს შეიცავს.

ამოჩრილი წავიდა.

ბაირონი, ბოლოს და ბოლოს, ამ ლექსებში თვით ბაირონი გამოჩნდა; იმ ლექსებში, რომლებიც ასე აგდებულად მოიხსენია. აქ იყო დედამისიც, დაც, ძველი სააბატოც, რომლის პირქუში ქვის თაღები „ცრურწმენათა თავშესაფარს წარმოადგენდა, ახლა კი პაფოსელ<sup>94</sup> ქალწულთა მხიარული კისკისი ისმის“. ცხადია, პოემა ცოტა გაუმართავი იყო, ცხადია, ცოტა უგეგმოდაც დაწერილი, ცხადია, პაფოსელი ქალწულები — გლეხის გოგოები იყვნენ, ხოლო ცოდვის ლაბირინთი — სოფლური დღესასწაულის ბალაგანი, მაგრამ ამ ამაღლებულ ენთუზიაზმში ჭეშმარიტი გრძნობა იღანდებოდა. დალასმა ბაირონული მიზანთრობია იცნო, მისი ავხორცული მოწყენილობა, პირქუში ტკბობა, რასაც კაცობრიობის საწუთო უწოდა.

დალასი აღფრთვანებული იყო და ალარ გადადო, თექვსმეტშივე, სალამოს, წერილი მისწერა ბარონს, რომელიც იმავე საათს ჰაროუში გაემგზავრა.

„თქვენ მშვენიერი პოემა დაწერეთ, საუკეთესო მათ შორის, რაც წამიკითხავს. ისე ვარ აღტაცებული „ჩაილდ ჰაროლდით“, რომ თავს ვეღარ ვანებებ“.

როცა ბაირონი ნახა, გაოცებული დარჩა იმ გულწრფელი, გულგრილი ტონით, როგორითაც ამ პოემაზე თქვა: „მასზე რაც გნებავთ, ყველაფერი შეიძლება ითქვას, ოღონდ პოეზია მაინც არ არის“. მან პოემა იმ კრიტიკოსს აჩვენა, მის ნდობას რომ იმსახურებდა. კრიტიკოსის პასუხი უარყოფითი იყო. განა დალასმა ფურცლების არშიებზე შენიშვნები არ წაიკითხა? აი, პორაციუსის მიბაძვის გამოსაცემად კი, რაც შეიძლება მალე უნდა იპოვოს გამომცემელი, ეს მართლაც მნიშვნელოვანი ნაწარმოებია. დალასი თავისას არ იშლიდა: „თქვენ „ჩაილდ ჰაროლდი“ მაჩუქეთ, ეჭვიც არ მეპარება, რომ მშვენიერი რამეა და გამოვცემა კიდეც“.

ბაირონმა დედას მისწერა, ჰანსონი ლონდონიდან არ მიშვებს, რაღაც ქაღალდებზე ხელი მაქს მოსაწერი და

94. ქაღაქი და სამეფო კვიპროსის დასავლეთ ნანილში მიკინურ ეპოქაში. პაფი — პაფოსელი ქაღლმერთი /აფროდიტე/, რომელსაც ქ. პაფოსში ტაძარი ჰქონდა.

როგორც კი გავთავისუფლდები, ჩამოვალო. საკმაოდ ცივი წერილია იმ შვილის კვალობაზე, რომელიც ორწლიანი განშორების შემდეგ დაბრუნდა. წერილი ასე იწყება: „ძვირფასო მიღედი“, ბოლო წინადადება კი დიდსულოვნად უღერდა: „ნიუსტედი თქვენ სახლად უნდა მიიჩნიოთ და არა ჩემად. მე იქ მხოლოდ სტუმარი ვარ“. გაეხარდა კი ამ მარტოხელა მატრონას შვილის დაბრუნება? ამ ორი წლის განმავლობაში ბევრი უსიამოვნება შეხვდა. ნიუსტედში ყოფნის დროს ცდილობდა ისე ეცხოვრა, სიამყის გამო, შვილს არაფერი დაკლებოდა. პენსიით საკუთარ თავსაც ინახავდა და მსახურსაც, მებალისთვის კი აღარ ჰყოფნიდა. ჰანსონს შესთავაზა, მებალე გაათავისუფლეო. „მებალეობა ლორდ ბაირონის შემოსავლებს არაფერს მატებს, რადგან ბალში არაფერი მოდის, რისი გაყიდვაც შეიძლება“. და ჰანსონს გასავლის ანგარიში გაუგზავნა:

ბალის ხარჯები — 156 ფუნტი
დარაჯი — 39 "
ჯო მურე — 50 "
მსახური გოგო — 30 "
ნაგაზი — 20 "
დათვი — 20 "
გადასახადები — 70 "
—
სულ — 385 ფუნტი

არ ჰქონდა 385 ფუნტი შემოსავალი. რა ექნა?

„რამდენადაც შემეძლო ჩემი ხარჯი შევამცირე. თითქმის ერთი წელია, რაც მსახური დავითხოვე. ორი ძალი ფერმერებს მივეცი, მუქთად ინახავენ. დათვი კი, უბედური ცხოველი, ერთი თვის წინ მოულოდნელად მოკვდა“.

კეტრინ გორდონისთვის დამახასიათებელი წერილია. ეკონომია რომ გაეწია, მსახური დაითხოვა, დათვს კი ბოლო დღემდე უფრთხილდებოდა.

რაც ბაირონი გაემგზავრა, მხოლოდ იმასდა ფიქრობდა — შვილს ველარ ვნახავო. ლონდონიდან წერილი რომ მიიღო, მოახლეს უთხრა თურმე: „ახლა, ბაირონის ჩამოსვლამდე რომ მოვკვდე, რა უაზრობა იქნება“. — იმავე კვირას ავად გახდა; მსუბუქი უქეიფობა იგრძნო; სიმსუქნის წყალო-

ბითა და ერთი გაუთვალისწინებელი გარემოების გამო, ცუდად შეუტრიალდა საქმე. ავეჯის გადამკვრელისგან ანგარიში მოუტანეს, რამაც გააცოფა, ტვინში სისხლი ჩაექცა და გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა.

ამ დროს ბაირონი დალასს ეკინკლავებოდა და ვიღაც პამფლეტისტს დასდევდა, შეურაცხყოფა რად მომაყენეო. ნიუსტედში და როჩდელში გასამგზავრებლად ემზადებოდა, როცა დედის ავადმყოფობის ამბავი გაიგო. მეორე დღეს, 1 აგვისტოს, მისი სიკვდილის ამბავიც მოუტანეს. ბაირონს ყოველთვის სწამდა საბედისწერო დამთხვევებისა. ბაირონების ბედისწერამ დაბრუნებისთანავე ყველაზე მკაცრი, ყველაზე წარმოუდგენელი კატასტროფა მოუმზადა. გზიდან პიგოტს მისწერა:

„ჩემი საცოდავი დედა გუშინ გარდაიცვალა. მივემგზავრები, რომ საგვარეულო აკლდამამდე მივაცილო. უკანასკნელი წუთები, მადლობა ღმერთს, მშვიდი ჰქონია. მითხრეს, არც ძალიან უწვალია და არც გაუგია თავისი მდგომარეობათ. ახლა ვგრძნობ მისტერ გრეიის ნათქვამის სიმართლეს: ყოველ ჩვენგანს მხოლოდ ერთი დედა ჰყავსო. დაუ, განისვენოს მშვიდად“.

როცა სააბატოში ჩავიდა, მსახურებმა უამბეს, რატომაც ჩაექცა სისხლი. ლამით მოახლეს, მისის ბაის, ოხვრა და კვნესა შემოესმა, ოთახში შევიდა და ბაირონი მიცვალებულის გვერდით დაინახა.

— აჲ, მისის ბაი, — უთხრა ტირილით, — ერთი მეგობარი მყავდა ამ ქვეყანაზე და ისიც დავკარგე.

მუდამ, დიდი ჩხუბის დროსაც კი, თავიანთი ნათესაური ბუნების მტკიცე კავშირს ინარჩუნებდნენ. მისის ბაირონი მოკვდა და სიკვდილმა ეს არსება ნაღვლიანი და ჰოეტური ფიქრების ობიექტად აქცია. ბაირონი მოგონებებში ჩაიძირა. იმავე საღამოს ჰობჰაუზის მისწერა:

„ვუყურებ ამ ხრწნად მასას, რომელიც ოდესლაც არსება იყო, საიდანაც მე გამოვედი, და საკუთარ თავს ვეკითხები, მართლა ვარსებობ და მან მართლა შენწყვიტა არსებობა? დავკარგე ის, ვინც სიცოცხლე მომცა. ბევრი სხვაც დავკარგე, ვინც ამ ცხოვრებას ბედნიერებით მივსებდა. არც იმედი მაქს, არც შიში იმისა, რაც საფლავებს იქით მელის“.

დასაფლავების დღეს პროცესის გაყოლება არ ისურვა. ზღურბლზე იდგა და უყურებდა, ფერმერები როგორ მიასვენებდნენ ჰაკნალ ტოკარდის პატარა ეკლესისკენ დედამისის ცხედარს. მერე ჭაბუკ რობერტ რამტონს დაუძახა, ვისთან ერთადაც კრივში ვარჯიშმობდა ხოლმე და უბრძანა, ხელთათმანები მომიტანეო. მხოლოდ შეუპოვარი დუმილი და მრისხანება, დარტყმებისას რომ იგრძნობოდა, ამხელ-და მის განცდას.

ორი დღის შემდეგ გაიგო, რომ მეტიუზი  
კემში დაიხრჩო. წყალმცენარეებში გახ-  
ლართული, ამაოდ ცდილობდა თურმე გათ-  
ავისუფლებას; დაღუპულიყო აუტანელი და  
საშინელი აგონით. რამდენჯერ უთქვამს  
მისთვის ბაირონს:

— საძაგლად ცურავთ, მეტიუზ. როდის-  
მე დაიხრჩობით, თუ ასე მაღლა დაიჭერთ  
თავს.

დაბრუნებაც ამას ჰქვია. დედა მეგობარ-  
თაგან ყველაზე ნიჭიერი იყო... უჩინარი  
მტერი მკაცრად და სწრაფად ურტყამდა.  
„დარტყმები ისე სწრაფად მოჰყვა ერთიმე-  
ორეს, რომ დარეტიანებული ვარ. თითქოს  
რაღაც წყველამ მიწია მეც და ჩემს ახ-  
ლობლებსაც. დედაჩემი უკვე ცხედარია;  
ერთი ჩემი საუკეთესო მეგობარი დაიხრ-  
ჩი... რა ვთქვა, რა ვიფიქრო, რა ვქნა?  
მიცვალებულებმა მშვიდად განისვენონ!  
სიბრალული ვერ გააცოცხლებთ. წასულე-  
ბი შევიცოდოთ და ცხოვრების მოსაძყნენ  
რუტინას დავუპრუნდეთ იმის რწმენით,  
რომ ჩემც ერთ მშვენიერ დღეს მოსვენებას  
მივიკიმით“.

თავის უზარმაზარ სააბატოში მარტო დარჩენილს, უჩვეულო თილისმებით გარშემორტყმულს — აქეთ ბერის თავის ქალა, ათენელების თავის ქალები, იქით ბოტსვანის საყელო — ახსენდებოდა მხ-იარული საღამოები, ჰობჰაუზთან და მეტი-უზთან რომ ატარებდა ამ ოთახში. ჰობ-ჰაუზს მისწერა, ჩამოდი, მეტიუზის შესან-დლობარი დაკლიოთო.

„გრძნობათა ეს გადმოფრქვევა  
მიცვალებულებამდე თუ ვერ აღწევს,  
ცოცხლებს ხომ მაინც ანუგეშებს, რადგან  
სიკეთების მხრივ მათვის თუ შეუძლია  
პირობების მიყენება“.

ჰამოსვლის მოლოდინში მარტო იყო თავისი ძალებით,

ზღაპრებით, კუებითა თუ „სხვა ბერძნებით“ გარშემორტყმული და წერდა:

„ოცდასამი ნელია მარტო ვარ,  
სამოცდაათისა რომ გავხდები, რა შეიცვ-  
ლება? მართალია, საქმაოდ ახალგაზრდა  
ვარ, შემიძლია ყველაფერი თავიდან დავი-  
წყო, მაგრამ უკან ვიღას დავიბრუნებ?”

ისევ შეუყვარდა ოცნება, იწვა დივანზე  
და თამბაქოს ლეჭავდა — ეს ახალი ჩვევა  
შიმშილს უკლავდა. შეეძლო მეზობლებთან  
სტუმრად ევლო, მაგრამ „გულლია ცხოვე-  
ლი არა ვარ. გრაფინიებისა და სასახლის  
კარის ქალბატონებს შორის თავს უხერხუ-  
ლად ვიგრძნობ, განსაკუთრებით ახლა,  
როცა შორეული ქვეყნებიდან ახალი დაბ-  
რუნებული ვარ, სადაც წესად არ არის ქა-  
ლის გულისსოფის ბრძოლა, უკან დევნა მხ-  
ოლოდ იმიტომ, რომ მასთან იცეკვო, და  
ნება მისცე თავგზა აუბინის /საქვეყნოდ/  
მამაკაცს. ასე რომ, ჩემს თანდაყოლილ უნ-  
დობლობასა და ორწლიან ხეტიალს ანგარი-  
ში უნდა გავუნიო“.

არა, ცხადია, მერი ჩავორსს არშიყობას  
არ დაუწეუბს. „სხეულის კომფორტზე“ უკვე  
იზრუნა. პაფოსელ ქალწულთა გუნდი  
გაითანგტა. ისინი მაინც დაბრუნა, ვინც  
უფრო ლამაზი იყო. თავისი სამფლობელო  
ხელახლა დაასახლა. „კაკბების სიუხვეა,  
კურდღლები ძალიან კარგები არიან, ხოს-  
ბები ცოტა უარესი, აი, გოგოები კი... კვლავ  
ნესრიგის ერთგულმა, ახლახან ბრძანება  
გამოვეცი და ჩაჩები ავკრძალე; აკრძა-  
ლულია თმის შეკრეჭა; კორსეტები დაიშვე-  
ბა, ოღონდ წინიდან ძალიან ვიწრო არ უნდა  
იყოს... ლუცინა<sup>95</sup> თავისი მფარველობის  
ქვეშ აიყვანს საწოლთა ყველა გამშლელს  
თუ ამდღაგებელს“. როგორც შუა საუკუნეე-  
ბის მოქანდაკეთა ქმნილებების სიკვდილ-  
ის როკვაში, ასევე ნიუსტედშიც ჭაბუკური  
შიშველი სხეულები თავის ქალებსა და ჩონ-  
ჩხებს შორის თა კოხტაობთა.

ცოტას მუშაობდა. ახალ ლექსებს არ წერდა. იმით ერთობოდა, რომ „ჩაილდ ჰაროლდ“ პროზაულ შენიშვნებს ურთავდა, რომელიც საკორექტუროდ გამოუგზავნეს. მორნმუნე, ღვთისმოსავმა დალასმა თავისი მოსაზრებები მოაყოლა „ჩაილდ

95. ქორნინებისა და შვილიერება-მშობიარობის ქალღმერთი. ზოგან საშინელი სიზმრების ქალღმერთიც.

ჰაროლდის“ ზოგიერთ სტროფზე. სხვა-დასხვა რელიგიაზე მსჯელობებისას მათ სიცრულეზე საერთო დასკვნას აკეთებდა:

„თუ სუსტ ადამიანებს, გარყვნილებს, შეუძლიათ ერთიმეორის მიყოლებით იცვა-ლონ რელიგიები, თუ ოუბიტერს, მუპამედს ერთიმეორის მიყოლებით შეუძლიათ დაუ-უფლონ გახრწნილი ადამიანების წარმო-სახვას, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ქემმარ-იტი რელიგია არ არსებობს... თუ თავის ქალა, დიდებული ობიექტი მორალური გან-სჯებისთვის, ჭითაა გამოხრული და არც ერთ ბრძენს, არც ერთ წმინდას ან სოფისტს მისი აღდგენა არ შეუძლია, ეს როდი ნიშნავს, რომ უფალი ღმერთის ძლიერება შეზღუდულია, და რომ სხეულს, ხრწნისთვის განწირულს, უხრწნელად აღ-გენა არ ძალუდს.“

ამის შემდეგ ბაირონმა სულის უკვდავ-ების იდეა აღადგინა და ზოგიერთი სასიამოვნო ჰიპოთეზის გვერდით მიუჩინა ადგილი.

შიგადაშიგ მეგობრის ხსოვნისადმი მიძღვნილი სტროფები დაუმატა. მისის ბაირონს, უინგფილდს, მეტიუზს სტანცები უძღვნა, ეპიტაფიებიც. ბაირონის მიცვალებულებს ედელსტონიც მიემატა, ბიჭი კემბრიჯის ქოროდან, ის, სარდიონის პატ-არა გული რომ აჩუქა. იგი 1811 წლის მაისში გარდაიცვალა. მასაც დაუწერა სტრიქონები, ლექსიც — დამსხვრეულ გულზე, წერილი თირზას%. სხვა დრო რომ ყოფილიყო, უფრო დიდხანს იგლოვებდა, ალბათ, მაგრამ ახლა „თითქმის დაკარგა უნარი მწუხარებისა და ყელში ამოუვიდა საშინელებები“. იმდენი სარწმუნო რამ მოხდა, განა ეჭვი არ უნდა შეპეარვოდა ბედის-წერის მისდამი მტრულად განწყობაში? ახლა თითქმის დარწმუნდა კიდეც, ყველა,

96. ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა, მკვლევარმა და ბაირონობლოგმა, ქალბატონმა ინესა მერაბიშვილმა, მრავალი წელი შეალია ლორდ ბაირონის ცხოვრებისა და შემოქმედების კვლევასა და თარგმნას. მანვე აღმოაჩინა რომ თირზასადმი მიძღვნილი ლექსების ადრესატი ქართველი ტყვევი გოგონაა.

(იხ. ინესა მერაბიშვილის წიგნი „ბაირონი ქართულად“, „ლექსები სიმართლე ბაირონის შესახებ“. გამომცემელი — საქართველოს ბაირონის საზოგადოება).

ვინც მას შეიყვარებდა, განწირული იყო.

დაბრუნების შემდეგ რამდენიმე წერილი გაუგზავნა თავის ნახევარდას, ოგასტას. არ უნახავს, მაგრამ იცოდა, ქალი უბედური იყო. პოლკოვნიკი ლი, ასე რომ ესწრაფვოდა მის ქმრობას, ერთი ქარაფშუტა ბანქოს მოთამაშე კაცი აღმოჩნდა. წელიწადის ათ თვეს არ ჩანდა, მხოლოდ იმიტომ ჩადიოდა სახლში, ნიუ-მარკეტში დოლი წაეგო და ცოლი ხელახლა დაეკრისულებინა. „ახ-ლობლებს ვარგავ, — წერდა ბაირონი დას, — თვეენ კი იმრავლებთ. ამ ორიდან რომეულია კარგი, მხოლოდ ღმერთმა იცის...“. მათი მიმოწერის ტონი შეიცვალა. ბაირონი უკვე აღარ იყო ჭაბუკი ძმა, რომელსაც მხარდაჭერა სჭირდებოდა. თუმცა ოგასტა ოცდაშვიდი წლისა იყო, ბაირონი მასზე უფროსად გრძნობდა თავს და ნაზად, მშობელივით ექცევოდა. „ლამე მშვიდობისა, შვილოჩემო“-ო — ასე ამთავრებდა თავის წერილებს. ოგასტას, ცოტა არ იყოს, შიში გაუჩინდა ძმისა, რომელიც ახლა უკვე უცნობი და შორეულ ქვეყნებში მოგზაურობის შარავანდედით დამშვენებული იყო. „თვეენთან გამოსაგზავნი წერილი დავიწყე, მერე დავხიე, შემეშინდა — აბეზარი არ გამოვჩენილიყავი“. მაინც წერდა გრძელ, ბუნდოვან, ქალურ წერილებს; წერას განუწყვეტლივ აწყვეტინებდა ხან ბავშვების ყვირილი, ხან მსახურთა წუნუნი, ხელფასის გადაუხდელობას რომ ჩიოდნენ. წერილი სავსე იყო მრავალწერტილით, ძახილის ნიშნით, გახაზული სიტყვებითა და წინადადებებით. ქალი დაჟინებით ურჩევდა — ცოლი შეირთეო.

„მიხარია, მშვენიერი სქესისადმი ცუდი აზრები რომ შეიცვალეთ და მზადა ხართ, ცოლი მოიყვანოთ. ვისურვებდი, კაპიტალის გარდა სხვა ღირსებიც ჰქონდეს, თუმცა, ცხადია, კაპიტალიც აუცილებელია“.

მან უპასუხა:

„რაც შეეხება ლედი ბაირონს, როცა ისეთს ვიპოვი, რომელიც მდიდარი იქნება და ჩემი შესაფერი, საქმაოდ სულელიც, ჩემს ცოლობას რომ მოინდომებს, შესაძლებლობას მივცემ უბედური გამხადოს, თუ მოახერხებს, რა თქმა უნდა. მაგნიტი, რომელიც მიზიდავს, ფულია. რაც შეეხება ქალს, სულერთია, რაც უფრო ასაკოვანი იქნება, უკეთესი, რადგან იმედი მაინც

მექნება, რომ მალე ამაღლდება ზეცად... ჩემს ჯანმრთელობას კითხულობთ; ზომი-ერად გამხდარი ვარ, რასაც ვარჯიშითა და თავშეკავებით ვახერხებ. არა მგონია, ჩემი მოგზაურობიდან რამე სასარგებლო მიმე-ლო, გარდა ორი ენის ზედაპირული ცოდ-ნისა და თამბაქოს დეჭვის ჩვევისა“.

სასიამოვნო პოზა იყო; კაცებისა და ქალების სიძულვილის უფლება რომ ჰქონ-ოდა, საკმაოდ მკაცრი მარტოობით იხდი-და საფასურს, მაგრამ ამ სიძულვილში იყო თავისებური მიმზიდველი მხარეები. ის ლორდი იყო, ბაირონი, ბარონი ბაირონ როჩდელი, ტიმონ ნიუსტედლენდის სიკვდილის შემდეგ აღარავინ უყვარდა, მხოლოდ მისი ხსოვნა ასულდგმულებდა, კიდევ — ხელზე მიჩვეული ფურირემი და სამი ბერძნული კუ. დაქორწინდება ფულიან დედაბერზე, რაც შეეხება მის საკუთარ ქონებას... ფრი-ად საყურადღებო ანდერძი შეადგინა: ნიუსტედს ჯორჯ ენსონ ბაირონს აძლევს; როჩდელი უნდა გაიყიდოს; აღებული ფულ-იდან დიდი თანხა, შვიდი ათასი ფუნტი, სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ, ათენელ ნიკოლო ქიროს უნდა გადაუხა-დონ; ფლეტჩერს, მურეისა და ბერძენ მსახ-ურს დემეტრიუს ზოგრაფს, თითოეულს, ორმოცდაათი ფუნტი მისცა წელინადში; პაჟს — რობერტ რაშტონსაც ამდენივე პლუს ათასი ფუნტი სრულწლოვანების მიღწევისას; ნიუსტედის ნისქვილი ფლეტ-ჩერს უანდერძა, ბიბლიოთეკა — ჰობ-ჰაუზსა და დევისს. მინანერიც გაუკეთა:

„მსურს ჩემი სხეული ნიუსტედის ბაღში, აკლდამაში დაიმარხოს, ყოველგვარი წესე-ბის დაცვისა და გაცილების გარეშე. ჩემს საფლავზე სახელისა და ასაკის გარდა არაფერი ეწეროს. მსურს, ჩემი ერთგული ძალი იმავე აკლდამაში დარჩეს“.

რემუნებულები ამ ბოლო პუნქტზე შეედავნენ, მაგრამ ის თავისას მოითხოვდა დაუინებით.

ოქტომბერსა და ნოემბერში რამდენ-ჯერმე ჩავიდა ლონდონში; შობას ისევ ნიუსტედში დაბრუნდა. ზამთარი ძალას იკრებდა; ველები თოვლმა დაფარა; დაცა-რიელებულმა სააბატომ სასიამოვნო მელანქოლიური სახე მიიღო. ორი მე-გობარი ეწვია: ჰარნესი, კოჭლი ბიჭი, ჰაროუში რომ მფარველობდა ბაირონი, და

კემბრიჯელი ამხანაგი ჰოჯსონი, რომელიც მღვდლობისთვის ემზადებოდა. ჰარნესი ოცდაერთი წლისა იყო, ბაირონი ოცდასა-მის, ჰოჯსონი ოცდარვის. სამმა კვირაშ ძალიან სასიამოვნოდ გაიარა. ბაირონი „ჩალდ ჰაროლდს“ ასწორებდა; ის ორიც იქვე მეცადინეობდა; საღამოობით პოე-ზიასა და რელიგიაზე საუბრობდნენ. ბაირონს ეგონა, მოგზაურობის შემდეგ სრულიად განსაზღვრული შეხედულებები ჩამოუყალიბდა რელიგიაზე: „თუ სადმე ტიმბუკტუში ან რომელიმე *Terra incognita*-ზე ადამიანებს არასოდეს გაუგიათ გალი-ლეველები და მათი წინასწარმეტყველი და მაინც შეუძლიათ შევიდნენ ზეციურ საუ-ფლოში, მაშინ რაღა საჭიროა ქრისტიანო-ბა? თუ გადარჩენა არ ძალუძთ, მაშინ რა-ტომ არ არის ყველა ქრისტიანი? სიმკაცრეა მაინც, იუდეაში გააგ ზავნო საქადაგებლად კაცი და სამყაროს უზარმაზარი ნაწილი ისე დატოვო — ზანგები და სხვა — ისეთივე შავად, როგორიც მათი კანია, სინათლის ერთი სხივის გარეშე, რომელიც ოდნავ წამონევაში მაინც მიეხმარებოდათ. ვინ დაიჯერებს, უფალმა ადამიანები იმისთვის განსაჯოს, რომ მათ არ იციან ის, რაც მათ-ვის არასოდეს უსწავლებიათ?“.

ჰოჯსონი, მიუხედავად იმისა, რომ მღვდლობისთვის ემზადებოდა, ხედავდა, ბაირონის დაძვრა მისი მეტაფიზიკური პოზიციიდან საკმაოდ ძნელი იყო, რადგან ბაირონს, კაცმა რომ თქვას, არანაირი პოზიცია არ ჰქონდა: „პლატონის მიმდე-ვარი არა ვარ, საერთოდაც, არავინ არა ვარ, მაგრამ ვამჯობინებ, რაც გნებავთ, ის ვიყო, ოღონდ არ მივეკუთვნებოდე არც ერთ იმ სამოცდათორმეტი სექტიდან, რომლებიც მზად არიან ერთმანეთი დაწყვიტონ უფლის სიყვარულის სახელით... რაც შეეხება თქვენს უკვდავებას, თუ უნდა გავცოცხლ-დეთ, მაშრალად ვკვდებით? თქვენ ამბობთ, რომ ჩვენი ჩონჩხები ერთ მშვენიერ დღეს აღსდგებიან, მაგრამ ისინი, განა ამად ღი-რან? ყოველ შემთხვევაში, თუ ჩემი ჩონჩხი აღდგება, იმედი მაქეს, ორ ფეხს მივიღებ, ოღონდ იმაზე უკეთესს, რომელიც ბოლო ოცდაორი წლის განმავლობაში მქონდა, ან, ეს კი უკვე ძალიან უაზრობა იქნება, შემჩა-რონ იმ რიგის კუდში, რომელიც სამოთხის კარიბჭესთან შეიქმნება“.

არდადეგების შემდეგ სტუმრები წავიდ-

ნენ და ისევ მარტო დარჩა, სატრფო-მსახურმა გოგოებმაც კი მიატოვეს, რადგან ის იყო გაიგო, რომ ერთი მათგანი, რომელიც ცოტა შეუყვარდა კიდეც, ვიღაც ბიჭთან დალატობდა. ცხადია, უმნიშვნელო წვრილმანია, მაგრამ თავი შეურაცხყოფილად იგრძნო.

„— თხოვნა მაქვს, — უთხრა ჰოჯსონს, როცა ეს ტრაგედია გაანდო, — არასოდეს მელაპარაკოთ ქალებზე, არც წერილებში მომქეროთ, არ შემახსენოთ ამ სქესის არსებობა“.

არა, ამ სამყაროში, მართლაც არ იყო ერთი არსებაც კი, რომლის ნდობაც შეიძლებოდა... ნალვლიანად იხსენებდა პატარა იტალიელების მხიარულ ქრიამულს ფორთოხლის ხეებქვეშ. „ნერვული ვხდები... თქვენი კლიმატი მკლავს. არც კითხვა შემიძლია, არც წერა, არც გართობა, არც სხვების გართობა. დღეები უსაქმურად გადის, ღამეები მოუსვენრად. იშვიათად მოდის ვინმე ჩემთან, როცა მოდიან, მე გავრბივარ“. რა უნდა გააკეთოს ამ ზამთრის სამარისებურ ნიუსტედში? „ჩაილდ ჰაროლდი“ გააგრძელოს? მზე და ლურჯი ცა სჭირდება: „ამ მბჟუტავ ნალვერდლებთან მჯდარს არ შემიძლია იმ პეიზაჟის აღწერა, რომელიც ასე ძვირფასია ჩემთვის“.

ძალიან ინტიმურ და ძალიან გულწრფელ წერილში, რომელიც ერთ თავის მეგობარს მისწერა, ამბობდა:

„ჩემი ცხოვრების ბოლო წლებში განუყვეტელ ბრძოლას ვენევი გრძნობებთან, რომლებმაც ასე მომინამლეს ცხოვრების პირველი ნახევარი; თუმც, ვამაყობ, რომ თითქმის გადავლახე ისინი; არის ნუთები, როცა ისეთივე მიამიტად ვგრძნობ თავს, როგორიც ადრე ვიყავი. საკუთარ თავზე ამდენი არასოდეს მილაპარაკია; არც თქვენ გეტყოდით, მაგრამ მეშინია, რომ ცოტა უხეში გამოვჩნდები, მიზეზების ახსნა კი არ მინდა. მე არ მივეკუთვნები იმ თქვენს ჯენტლმენ-დოლოროსო-ებს<sup>97</sup> რადგან ასეა, მაშინ მოდით და ახლა ვიციონოთ“. მართლაც, არასოდეს ულაპარაკია ამდენი. ამაში იყო ყველა მისი შინაგანი წინააღმდეგობის გასაღები. რამდენიმე წლის განმავლობაში ცდილობდა საკუთარ თავში ჩაეკლა ზედმეტი მგრძნობიარობა, რამაც ოდეს-

ლაც საშინელი ტანჯვა მიაყენა. მეტის-მეტად ვაჟკაცური იყო იმისთვის, რომ „ჯენტლმენი-დოლოროსო“-ს როლით დაკამაყოფილებულიყო, მაგრამ იმაში კი დარწმუნებული იყო, რომ ქალებისა და კაცების მიმართ ყოველგვარი რწმენა დაკარგა, ცდილობდა სიამოვნების კორსარად<sup>98</sup> ეცხოვრა, უსიყვარულოდ, უმეგობროდ. უბედურება ის იყო, რომ გრძნობათა ამ უმოქმედობაში საშინელ მოწყენილობას განიცდიდა.

ადამიანებს, რომლებიც იტანჯებოდნენ, მაგრამ ჩევულებამ ან თავდავიწყებამ ტანჯვისგან განკურნა, გასაოცარი უნარი აქვთ მოწყენისა. ეს იმიტომ ხდება, რომ ტანჯვა ჩვენს ცხოვრებას აუტანლად აქცევს, იმავე დროს ისეთი ძლიერი განცდებით ავსებს, რომ სიცარიელეს შეუგრძნობადს ხდის. ბაირონმა დიდი სიყვარულით დაიწყო ცხოვრება. უბედური სიყვარული იყო; მან ბიჭს სანტიმენტალურობისენ მისცა ბიძგი, რაიც მისთვის აუცილებელი გახდა მერე. როგორც ბავშვს, რომელიც ზღაპრულ სასახლეში ცხოვრობს და ათასნაირი ტკბილეულით არის განებივრებული, ყოველგვარი ჯანსაღი საკვები უფერული ჰგონია, ასევე ბაირონიც სულიერ სიმყუდროვეში ვერ გრძნობდა ცხოვრების გემოს. გრძნობდა, შეეძლო გამოდევნებოდა ყოველგვარ ძლიერ გრძნობას, დანაშაულებრივსაც კი, ოლონდ მისთვის ყოფიერების შეგრძნება დაებრუნებინა, მუდამ რომ ხელიდან უსხლტებოდა. იმ ჰოჯსონს, მხიარული იყავიო რომ არწმუნებდა, ლექსები გაუგზავნა, სადაც კიდევ ერთხელ გამოჩნდა მერი ჩავორსი. „საცოდავი ბიჭი, დარწმუნებული ვარ მსგავსს არაფერს ფიქრობს“. — მიაწერა ოპტიმისტმა და ლმობიერმა ჰოჯსონმა. მაგრამ ბაირონი უფრო უბედური და რთული არსება გახდათ, ვიდრე მისი მეგობრები ფიქრობდნენ.

გადაწყვიტა დაბრუნებულიყო და ლონდონში ეცხოვრა. იქ პარლამენტი და კორექტურა მაინც ექნება. „რაც გნებავთ, ოლონდ თავი დავალწიო ამ წყეული ზმნის — მოწყენის — უღლებას“.

ომ, ვინდა არა წერს ქალების საამებლად?

ლონდონში, უნინდელივით, მხოლოდ ჰანსონისა და დალასის საზოგადოებით როდი დაკმაყოფილდა. დალასმა „ჩაილდ ჰაროლდი“ ჯონ მარის<sup>100</sup> გადასცა, გამომცემელს, იმხანად მოდაში რომ შემოვიდა. ანუელოსთან ფარიკაობაში ან მეხტონთან პისტოლეტით სროლაში ვარჯიშის შემდეგ, ხშირად შედიოდა მარისთან. ხმაურობდა, სტამბაში მასალის შეფერხებას უჩიოდა, მერე სამიზნედ თაროზე შემოდებულ რომელიმე წიგნს აირჩევდა, ჯონით შეტევაზე გადადიოდა და იძახდა: „კვარტა, სიქტა — კვარტა, სიქტა“.<sup>101</sup> ამ დროს მარი ბაირონის მიერ მოტანილი პოემის ახალ სიმღერებს კითხულობდა. „კარგია, ხომ, მარი? კარგია?“ — ეკითხებოდა ბაირონი და წიგნთან ფარიკაობას განაგრძობდა. მარის თავისი წიგნები უყვარდა და როცა ბაირონი წავიდოდა, მშვიდად ამოისუნთქავდა ხოლმე. მარისგან ბაირონი, ჩვეულებრივ, თავის მეგობარ ტომას მურთან ერთად, სტივენსთან მიდიოდა სადილად.

ტომ მური ის ტომას ლიტლი იყო, რომლის უწყინარეროტიკულ ლექსებს რამდენიმე წლის წინ ჰაროუს მონაფეები აღფრთოვანებაში მოჰყვადა. როცა ბაირონის „ინგლისელი ბარდები“ გამოჩნდა, ამ სატირის ერთი ეპიგრამა მურს გულში მოხვდა და ჰოჯსონის მეშვეობით ბაირონს ბრძოლაში გამოწვევის ბარათი გაუგზავნა. ბაირონი ამ დროს აღმოსავლეთში გაემგზავრა. როცა დაბრუნდა, მურმა თავისი წერილი მოჰყითხა. არ მიმიღია, უპასუხა ბაირონმა. წერილი მოძებნა და თავისი სიტყვების დასამტკიცებლად მურს გაუხსნელად

99. საუცხოო წელი /ლათ./

100. ჯონ მარი — ბაირონის პირველი გამომცემელი იყო ჯონ მარი II. დღეს საგამომცემლო საქმეს უძღვება ჯონ მარი VII. მის სახლში, ალბერტ-სტრიტზე, ლონდონში, ინახება ბაირონის პირადი ნივთები.

101. ფარიკაობაში შეტევისა და უკუდარტყმების ილეთები.

გაუგზავნა. იმ დროს მური ახალდაქორწინებული იყო ერთ მომხიბლავ გოგონაზე, არანაირი სურვილი აღარ ჰქონდა ბრძოლისა და შესთავაზა, დუელი სადილით შევცვალოთ.

დიდხანს არ უფიქრია, გადაწყვიტა სადილი როჯერსთან მოეწყო, რომლის უზადო სამზარეულო ისეთივე სახელგანთქმული იყო, როგორიც მისი ლექსები. როჯერი, მდიდარი ლიბერალი ბანკირის შვილი, მამის ბანკში მსახურობდა. ოცდაშვიდი წლის ასაკში ლონდონის საზოგადოება მოულოდნელად გააოცა, როცა არცთუცუდი პოემა დაბეჭდა. პოეტი-ბანკირი — ეს რაღაც ახალი იყო, ლორდმა ილდენმა, ფულს გოზლინგთან რომ ინახავდა, თქვა:

„— თუ ჩემი ძვირფასი გოზი, არ ვიტყვი დაწერს-მეთქი, თუნდაც წარმოთქვამს ერთ გონებამახვილურ სიტყვას მაინც, მეორე დღესვე ანგარიშს დავხურავ მასთან“.

მიუხედავად ამისა, როჯერსს წარმატება ჰქონდა; ყველაზე შეუღწეველი ოჯახების კარიც კი გაუღეს ამ ახალგაზრდა, ყოვლადშეუმჩნეველ, გონებამახვილ, ჩონჩხივით გამოფიტულ და ცხედარივით გაფითრებულ კაცს. ცხედარს მოქმედების უნარი არ შესწევს. როჯერსის ქცევები მუდამ სიფრთხილითა და სინატიფით გამოირჩეოდა. მშვენიერ ადგილზე, გრინ-პარკის თავზე სახლი აიშენა; გულმოდგინედ გააწყო პოემასავით. ყველაფერი სრულყოფილი იყო: ძველი კლასიკური სტილის მშვენიერი ავეჯი, ბიბლიოთეკაში საუკეთესო ავტორების საუკეთესო გამოცემები, მაგიდებზე ალებასტრის ლარნაკები. მხოლოდ ქალები არ იყვნენ, როჯერის უცოლო კაცის ცხოვრებით ცხოვრობდა. ქორწინება მეტის-მეტად გადამწყვეტი ნაბიჯია ეს-თეტისთვის, რომელიც აუჩქარებლად ცხოვრობს.

ასე რომ, თავის საუცხოო სახლში მარტო ღებულობდა სტუმრებს, აწყობდა უნაკლო სადილებს, რომელიც პატრონის დახვეწილი და ავი გონებამახვილობით იყო შეზავებული. სიავე იმდენად ბუნებრივად გამოსდიოდა, როგორც ეგოისტობა, ოღონდ ძალზე გონივრულად განაგებდა ფულად საქმეებს, რაც მდიდარი ადამიანებისთვის, არცთუ იშვიათად, ხელსაყრელ საშუალებას წარმოადგენს გრძნობათა ეკონომიკისთვის.

როჯერსთან სადილი ხელოვნების ნიმუში იყო. მაგიდა, რჩეული სტუმრები — ყველაფერი დახვეწილობით გამოირჩეოდა. ამ შერიგების სადილზე, მან ბაირონისა და ტომას მურის გარდა, მხოლოდ პოეტი ტომას კემპბელი მოიწვია. მურსა და კემპბელს სთხოვა ბაირონის მოსვლამდე ნუ გამოჩნდებითო. იცოდა, ახალგაზრდა პოეტი კოჭლობდა და არ უნდოდა, შემოსვლისას თავი უხერხულად ეგრძნო. ბაირონის სილამაზემ, მისმა კეთილშობილურმა მანერებმა ყველა განაცვიფრა. როჯერსმა მათ სუპი შესთავაზა.

— არა, გმადლობთ, სუპს საერთოდ არ გიახლებით.

— თევზი?

— არც თევზს.

ბატკინის ხორცი შემოიტანეს. როჯერსმა იგივე პასუხი მიიღო.

— ჭიქა ღვინო?

— არა, ღვინოს საერთოდ არ ვსვამ.

სასოწარკვეთილმა როჯერსმა ბაირონს ჰქითხა, საერთოდ რას ჭამ და რას სვამო.

— არაფერს, გარდა გამომშრალი ბისკვიტისა და გაზიანი წყლისა.

საუბედუროდ, არც ერთი და არც მეორე არ აღმოაჩნდა. ბაირონმა კარტოფილით ისადილა, თევზზე თვითონვე ასრისა და ქმრით შეანელა. რამდენიმე დღის შემდეგ როჯერსი ჰობპაუზს შეხვდა, გაიგო თუ არა, რომ იგი ბაირონის მეგობარია, ჰქითხა:

— ლორდი ბაირონი თავის დიეტას დიდ ხანს გააგრძელებს?

— მანამდე, — უპასუხა ჰობპაუზმა, — ვიდრე ამაზე ყურადღებას გაამახვილებთ.

იმ დღიდან ბაირონი და მური განუყრელი მეგობრები გახდნენ. ბაირონისთან „უმეგობრო ცხოველს“ სწყუროდა ვინმესთან დაახლოება. იმ მურით ალტაცებული იყო, რომელიც იმ სამყაროში, სადაც ბაირონი არავის იცნობდა, საოცრად ძალდაუტანებლად გრძნობდა თავს. ბაირონი ხომ ნიუსტედელი სენიორი იყო, მური კი — დუბლინელი ხილით მოვაჭრის შვილი. მაგრამ მური ერთი იმ მოხერხებულ ადამიანთაგანი გახლდათ, სხვათა მოსაჯადოებლად რომ იყო დაბადებული, რომლის თავისებური თავდაჭერის მანერა აღაფრთოვანებდა ძლიერთა ამა ქვეყნისათა. ბავშვობაში პოეზიასა და მუსიკაში ნატიფი სიმსუბუქე აღმოაჩინა. თხუთმეტი წლისა

ანაკრეონს თარგმნიდა უკვე და ირლანდიური სიმღერების იმპროვიზაციებს ასრულებდა კლავესინზე. დუბლინის სალონები ერთმანეთს ეცილებოდნენ ამ ფასდაუდებელი ადამიანის მისაკუთრებაში, რომელიც საზოგადოების გართობაში შეუცვლელი იყო. ამ ბუდუარული აღზრდიდან ის მიიღო, რომ უზრუნველად მიენდო ცხოვრებას და ფუქსავატური თავგადასავლებისადმი გულწრფელი სიყვარულით განიმასჭვალა. მარის იგი არ უყვარდა, ჭორიკანად და სნობად მიაჩნდა. მაგრამ ბაირონმა მისი სახით მხიარული მეგობარი შეიძინა, რომელსაც ლორდის გვერდით ყოფნა და მასთან ერთად გამოჩენა დიდ ბედნიერებად მიაჩნდა; მუდამ მზად იყო ემდერა, ესვა, ემხიარულა. ბაირონს მური ეგონა „ყველაფრის კვინტესენცია, რაც კი რამ არის სასიამოვნო ამ ქვეყანაზე“. თითქმის ყოველ სადამოს ერთად სადილობდნენ სენალბენსში თუ სტრენსთან. ცხადია, მური სადილობდა, ბაირონი კი მხოლოდ ბისკვიტს მიირთმევდა და ეუბნებოდა:

— მურ, ძროხის ხორცის ჭამამ შეიძლება გაგანჩხლოს.

როცა ბაირონი მარტო რჩებოდა, ალფრედ-კლუბში მიდიოდა, საკმაოდ მკაცრ ლიტერატურულ ორგანიზაციაში, მაგრამ წვიმიან ამინდში სრულიად ასატან თავშესაფარში. მურისა და როჯერსის წყალობით საეჭვო სამიკიტნოებს გაეცნო, სამორინებშიც დაიწყო სიარული; საკუთარი თავიდან პურიტანის თანდაყოლილ უხერხულობას აძევებდა, ოღონდ ყველაფერი ეს ნაკლებ სიამოვნებას ანიჭებდა.

ამბობდა, ნიუსტედეს გავყიდი და სამუდამოდ კუნძულ ნაქსოსზე დავსახლდებიო. იცხოვრებდა და ჩაიცვამდა აღმოსავლურად; აღმოსავლური ლიტერატურის შესწავლას მიუძღვნიდა ცხოვრებას. ინგლისური ცივი ზამთარი, ინგლისის სულიერი ატმოსფერო აწუხებდა და აღონებდა. ეს იყო უამი ავტორიტარული პოლიტიკისა. ომი ნაკლებად შეეხო მმართველ კლასს; ისინი ისევ ისე ცხოვრობდნენ, მელიებზე ნადირობდნენ, სიყვარულს ენაფებოდნენ, და თავისუფალ დროს პარლამენტს ავსებდნენ. გარეგნული ბრძოლა მხოლოდ მიზეზი იყო აზრის თავისუფლების ჩასახშობად. კობეტმა ორი წელით ციხეში ამოჰყო თავი, იმისთვის, რომ რაღაც

სამხედრო სკანდალი გაახმაურა. ხალხის ჭმუნვა-ჩივილს, სანარმოო გადატრიალების გამორომითანჯებოდა, პატრიოტიზმზე და სახელმწიფო ბრივ აუცილებლობაზე ლაქლაქით უპასუხეს.

ლორდთა ბალატაში ახალ კანონს განიხილავდნენ, რომელიც მუშების მკაცრ ანგარიშსწორებას გულისხმობდა; იმ მუშებისა, რომლებიც აფუჭებდნენ მანქანებს, საარსებო საშუალებას რომ უსპობდა მათ. ბაირონი თვითონ იყო ასეთი შემთხვევების შემსწრე ნიუსტედში. ნოტინგემშირის მიდამოში ფაბრიკანტებმა წინდის საქსოვი ახალი დანადგარები დადგეს, რომელთა წყალობითაც მუშების შემცირება შვიდჯერ შეიძლებოდა. უმუშევრად დარჩენილებს ცხენოსანი პოლიცია ამშვიდებდა. ნოტინგემშივე გაგზავნეს დამატებით ორი სადამსჯელო რაზმი. მთავრობა მანქანების მსხვრეველების დასასჯელად სიკვდილით დასჯის შემოღებას ლამობდა. ბაირონმა ის საცოდავები თვითონ ნახა და დარწმუნდა, რომ თანაგრძობას იმსახურებდნენ, ამიტომ მათ დასაცავად პარლამენტში გამოსვლა გადაწყვიტა. მოგვიანებით ბაირონის მტრები ატყიცებდნენ, პოლიტიკური გამოსვლებით თავისი პოემებისთვის ხელსაყრელი რეკლამა უნდა გაეკეთებინაო; პოემები მალე უნდა გამოსულიყო. მაგრამ ბაირონის განზრავა უფრო მარტივი იყო. მას სიამოვნებდა ამ თავმომწონე ბატონებს შორის ამდგარიყო და ეთქვა უხეში სიმართლე მათ სიმკაცრეზე. ნოტინგემშირში რაზმის უფროსი, რომელმაც მთელი სიმკაცრით ჩაახშო მუშების გამოსვლა, იყო ჯეპ მასტერი, ადამიანი, რომელმაც მერი ენი წაართვა. მასტერი მოწყალე კაცი ბრძანდებოდა ლამაზცოლიან ფერმერებთან, მაგრამ მუშებთან უხეში იყო და დიდი აზარტით სდევნიდა მათ ბრაკონიერობისთვის. ბაირონის პირადი მოგონებები, დედის მხრიდან ოჯახური ტრადიციების გაგრძელება, ხელს უწყობდა იმას, რომ მისგან ლიბერალი ვიგი<sup>102</sup> დამდგარიყო. ლორდ პოლანდს დაუკავშირდა, რომელიც იმავე საკითხზე აპირებდა გამოსვლას.

„რედიშ-ოტელში“ დალასი მიინვიეს და

ბაირონმა ოდნავ არაბუნებრივი ხმით, სიტყვის წარმოთქმის რეპეტიცია გაიარა. მასში ლაპარაკი იყო მუშების ტანჯვაზე: „ადამიანები უეჭველად და ძირითადად იმაში არიან დამნაშავენი, რომ ღარიბები არიან. ზემოქმედების რა ზომებს გვთავაზობთ? კონვულსია სიკვდილით უნდა დამთავრდეს? ხშირად ხომ არ იხმარება თქვენს კანონებში სიკვდილით დასჯა? გვინიათ, უძედურ მშიერთ, რომლებსაც თქვენი ხიშტების არ შეშინებიათ, სახრჩობელით შეაშინებთ?“ ორატორი ბრწყინვალე გახლდათ, ოღონდ ცოტა თეატრალური. დიდი გაუფრთხილებლობა იყო ამ თავყრილობაზე იმის გამოცხადება, რომ „თურქეთის ყველაზე ჩაგრულ პროვინციაში არ შემხვედრია ასეთი უკუნი სიღარიბე, როგორიცაა ქრისტიანული ინგლისის გულში“ -ო.

ვიგების წრეში ჭაბუკი პერის სიტყვებმა ყურადღება მიიჰყორ და პოლანდ-ჰაუზში შესვლის უფლება მიიღო, რომელიც მრისხანე ლედი ჰოლანდმა ციხესიმაგრედ აქცია.

რამდენიმე დღის შემდეგ, მარიმ „ჩაილდ პარლოდის“ ორი პირველი სიმღერა გამოსცა. ბაირონს პოემის ღირსებაში ეჭვი ეპარებოდა. დალასმა მთელი პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო, მაგრამ ისიც ძალიან ლელავდა. ოღონდაც, წარმატება სრულიად მოსალოდნელი იყო. მარი, გამოცდილი და საქმიანი გამომცემელი, თავის მეგობრებში, უკვე დიდი ხანი იყო, „ჩაილდ პარლოდის“ პროპაგანდას ეწეოდა. მწერალთა და მაღალ საზოგადოებაში პოემის ნაწყვეტებს ავრცელებდა, რამაც სასურველი ნიადაგი მოუმზადა წიგნის გამოჩენას. როჯერსმა უკვე იანვარში მიიღო კორექტურა; თავისი დას წაუკითხა პოემა და თქვა: „აი, წაარმოები, რომელიც, მიუხედავად თავისი მომხიბვლელობისა, მკითხველში ვერასოდეს მოიპოვებს წარმატებას; არავის მოეწონება ეს უკმაყოფილო, მტირალა ტრინი და გმირის ცხოვრების ქარაფშუტა ხასიათი“. თითქმის დარწმუნებული იყო მარცხში, თუმცა ახალ პოეტს აქებდა და ციტატები მოჰყავდა, რაც ცნობისმოყვარებას აღძრავდა.

როჯერსი რამდენიმე ლიტერატურული სალონის მეფე იყო; კერძოდ კი, ლედი კაროლინა ლემის სალონისა და ქალის

102. ინგლისის პოლიტიკური პარტია XVII-XVIII სს. ინგლისის ლიბერალური პარტიის წინამორბედი.

ჭკუა-გონება ქებით ცამდე აჰყავდა. კაროლინას მიუტანა პოემა წასაკითხად და სთხოვა, არავის აჩვენოო. იმავე დღეს, ქალმა მთელი ქალაქი მოიარა და ყველას უამბო, ახალი პოემა წავიკითხე და შეუდარებელია. როჯერს კი გამოუცხადა:

- უნდა ვნახო. აუცილებლად უნდა ვნახო.
- მრუდე ფეხი აქვს და ფრჩხილებს იჭამს, — უთხრა როჯერსმა.
- თუნდ მახინჯი იყოს ეზოპესავით. — უპასუხა ქალმა.

მალე ყველა ქალი ამ სურვილმა შეიპყრო. ბაირონის ცხოვრება მოულოდნელად შეიცვალა ისე, როგორც აღმოსავლური ზღაპრის გმირის ბედი ჯადოსნური კვერთხის ერთი დარტყმით იცვლება. „ერთ მშვენიერ დილას სახელგანთქმულს გამომეღვიძა“, — დაწერს მოგვიანებით. ეს იყო სრულიად ზუსტი აღნერა მისი გარდაქმნისა. წინა სალამოს მისთვის ლონდონი უდაბნო იყო, ორი თუ სამი მეგობრით დასახლებული, მეორე დილით — ეს იყო ქალაქი „ათას ერთი დამისა“, სავსე ელვარე სასახლეებით, ფართოდ რომ გაელოთ კარი ახალგაზრდა სახელგანთქმული ინგლისელის წინაშე.

მაღალი საზოგადოება /ბაირონის თქმით, ოთხი ათასი კაცი, რომლებსაც მაშინ ღვიძავთ, როცა ყველა დანარჩენს სძინავები/ მიდრეკილია აღტაცებისა და ზიზღის სწრაფი მონაცვლეობისაკენ. ყოველ საღამო, დიდების ახალი ვარსკვლავი ელვისებური სიჩქარით თავის გზას გადის. თანაც ეს ის დრო იყო, როცა აღტაცება სჭირდებოდათ. საფრანგეთის რევოლუციამ და ბონაპარტმა ათასობით ახალგაზრდა ევროპელს გულში დიდი იმედები ჩაუსახა, მაგრამ ნაპოლეონმა ვერ გაამართლა. ინგლისში ცხოვრების სიცარიელის გრძნობა მძაფრად იგრძნობოდა: საზოგადოება გამოძღვა სიამოვნებით, რადგან იგი მეტისმეტად ადვილად ეძლეოდა; გაძლა სამხედრო პატივმოყვარეობებითაც, რადგან მეტისმეტად დიდხანს გაგრძელდა ომი, დაბოლოს, კონსერვატორთა მეტისმეტად დიდი ხნის ბატონობის გამო, გაძლა პოლიტიკური პატივმოყვარეობითაც.

უნიჭო ან მეტისმეტად მორიდებულმა პოეტებმა ვერ შეძლეს ამ იდუმალი იმედგაცრუების გამოხატვა. „ჩაილდ ჰაროლ-

დი“ იყო მოტყუებული თაობის ნაღვლიანი სკეპტიციზმის პირველი გამოძახილი. ბოლოს და ბოლოს, ხელოვნება შეეხო ცხოვრებას! ბოლოს და ბოლოს, ახალგაზრდა ინგლისელმა, მათმა თანამედროვემ, მკითხველის თანაზიარმა, მათ 1812 წლის ევროპა დაანახვა. ადამიანებს, ათეულობით წელი მატერიკის ცხოვრებას მოწყვეტილნი რომ იყვნენ, ალბანეთში და სულიოტებთან მოგზაურობის აღნერა უფრო მომხიბლავი ეჩვენათ, ვიდრე ინდოეთში ან წყნარი ოკეანის კუნძულებზე მოგზაურობა. „ჩაილდ ჰაროლდის“ ავტორის პოლიტიკური შენიშვნები გაბედულებითა და სიახლით აღფრთოვანებას იწვევდა. ეს ზღვის პოემა გახლდათ და ვიკინგების შთამომავალნი, კონტინენტური ბლოკადით მატერიკიდან მოწყვეტილნი, ზღვის მარილით გაჯერებულ ჰაერს ისუნთქავდენენ, რომლის უკმარისობის გრძნობაც უკვე გაუჩინდათ. კონსერვატორ-კრიტიკოსთა თავდასხმამ ბაირონის წარმატება უზრუნველყო. „კუორტერლი რევიუს“ პუბლიკაცია, რომელშიც ბაირონს ჰკიცხავდნენ იმისთვის, რომ ზიზღით გამოხატა სიძულვილი „დაქირავებული მკვლელების ხელობის“ მიმართ, სასაცილო ჩანდა: „შიშით ვეკითხებით საკუთარ თავს, — განა ასეთი უნდა იყოს სამეფო პერის შეხედულება ბრიტანეთის არმიაზე?“ საკმარისია, აგერ, უკვე ოცი წელია პოეტები კეთილგონიერების დაკანონებას ქადაგებენ. ქვეყნის ისტორიაში აუცილებლად დგება მომენტი, როცა ადამიანებს გულარხებინი რუტინაც კი ჰქანდავთ. „ჩაილდ ჰაროლდი“ ზუსტად ამ დროს გამოჩნდა ინგლისის ცხოვრებაში.

არცთუ იშვიათად ხდება, როცა წარმატებული ნანარმოების ავტორი პუბლიკას იმედს უცრუებს. ამჯერად, პირიქით მოხდა — ავტორი თავისი ქმნილების ღირსეული აღმოჩნდა. ის ძველი გვარეულობის შთამომავალი იყო და მაღალი წრე მადლიერი დარჩა, თავისი გენიით ეს კლასი რომ შეამკი. „ახალგაზრდა და ლამაზი; ლეგა-ცისფერი თვალები სიცოცხლით უბრნებინავდა გრძელი წამწამების ქვეშ...“. „სახის სიფერმკრთალე გამჭვირვალესავით ჩანდა... პირი, მომხიბლავი ქალის ბაგეს მიუგავდა, მგრძნობიარესა და კაპრიზულს“. „მისი ფიზიკური ნაკლიც კი მისდამი ინტერესს მხოლოდ აცხოველებდა. მისი

გმირის პირქუში ისტორია — მისი საკუთარი ცხოვრება იყო. ხომ ყველამ იცოდა, რომ ისიც, ჩაილდ ჰაროლდივით, საბერძნეთსა და თურქეთში მოგზაურობიდან დაბრუნდა“. მას მიაწერდნენ ნიადაგ დაღვრემილობას, განმარტოებისაკენ მიდრეკილებას, ჩაილდის უბედურებებს. ნაწარმოებში გრძნობის ხელოვნებამ რეალურის შთაბეჭდილება უნდა მოახდინოს. მაგრამ ეს შთაბეჭდილება უფრო ძლიერი და ბუნებრივია, თუ მკითხველი დარწმუნებულია, რომ ეს გრძნობა თვით ავტორისაა.

მთელი ქალაქი მხოლოდ ბაირონზე ლაპარაკობდა. თვალსაჩინო ადამიანები მის გასაცნობად საშუალებებს ეძებდნენ, სავიზიტო ბარათებს უგზავნიდნენ. სენტ-ჯეიმს-სტრიტზე მდებარე სასტუმროსთან მოგროვილი კარეტები მოძრაობას აფერებდნენ. გამომცემლობაში „ჩაილდ ჰაროლდის“ იმ ეგზემპლარს აჩვენებდნენ ყველას, რომელიც რეგენტის ქალიშვილმა, პრინცესა შარლოტამ ყდაში ჩასასმელად გამოგზავნა. თვით რეგენტმა ბაირონის გაცნობის სურვილი გამოთქვა და დიდხანს ესაუბრა მას პოეტებსა და პოეზიაზე. მალალი საზოგადოების სადილებზე განუწყვეტლივ ისმოდა „ბაირ.“, ბაირ.“. იმ დროში, ყველა სეზონს, აუცილებლად ჰყავდა თავისი პოლიტიკური, სამხედრო თუ ლიტერატურული „ლომი“, რომელიც ყველაზე და ყველაფერზე მბრძანებლობდა. 1812 წლის საღამოებზე ბაირონი ყველგან „ლომი“ იყო, რომელსაც მეტოქე არა ჰყავდა.

ქალები გულის ფანცქალით ნარმოისახა-ავდნენ ვრცელ სააბატოს, დანაშაულებრივ ვნებებსა და ჩაილდ ჰაროლდის მარმარილოსებრ გულს, მიუდგომელს, ამიტომაც განსაკუთრებულად სასურველს. მაშინვე შეტყვაზე გადავიდოდნენ, მაგრამ ეშინოდათ და ტკბებოდნენ ამ შიშით. ლედი როსბერმა მასთან საუბრისას ისეთი გულისცემა იგრძნო, რომ ძლივსლა ახერხებდა პასუხის გაცემას. ბაირონი გრძნობდა, რა შთაბეჭდილებასაც ახდენდა და ნარბშეკრული გამოხედვის პიპრიზის ძალის მოსინჯვას ცდილობდა. დალასმა ერთხელ მოისმინა, ხმამაღლა როგორ კითხულობდა ბაირონი თავის „ჩაილდ ჰაროლდს“. ეჭვი არ არის, საკუთარ თავში იმის აღმოჩენა უნდოდა, რითაც სხვები ასე იყვნენ აღფრთო-

ვანებულნი. „დარწმუნებული ვარ, — წინასწარმეტყველებდა დალასი, — მისი ჭაბუკური მელანქოლია ახლა საბოლოოდ გაიფანტება“.

დალასი ცდებოდა. ეს მელანქოლია გმირის შეუგალი თვისება გახლდათ, რომლითაც ასე აღფრთოვანებული იყო პოემის მკითხველი და ბაირონი ამას გრძნობდა. იცოდა, სტუმრად იმისთვის იწვევდნენ, რომ მასში ჩაილდ ჰაროლდი დაენახათ და ისიც სასტუმრო ოთახებში მოღუშული შედიოდა, ქედმაღალალი და ცივი თავდაჭრილობით ნიღბავდა ბაირონების თანდაყოლილგაუბედაობას. „ლორდი ბაირონი, — წერდა ლედი მორგანი, — ცივია, ჩუმი და თავშეკავებული“. სასოწარკვეთილების უამს ახლა უკვე აღარ ითვლიდა, როგორც ოდესადაც, ეღლიზაბეთ პიგოტის დროს: „ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი...“, როცა რომელიდაც ბანოვანს წარუდგენდნენ. მაგრამ იმ მშრალ ტონში, რომელიც რამდენიმე ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოთქმულ სიტყვაში მუღავნდებოდა, იფარებოდა მტანჯავი მღლელვარება. ამ ახალ სამყაროში, გაცხოველებულსა და ფერადოვანში, მას ხანგრძლივი უყურადღებობის შემდეგ რომ ესალმებოდა, არც ნათესავი ჰყავდა და არც მეგობარი. როგორც ეტყობოდა, ეს ქალები და კაცები ბავშვობიდანვე იცნობდნენ ერთმანეთს, ერთმანეთს კინიობითი თუ ზედმეტსახელებით მიმართავდნენ. მათ შესახებ არაფერი იცოდა. ეშინოდა, თავისი მანერებით, კოჭლობით სასაცილო არ გამოჩენილიყო, ეს შიში მის მიმზიდველობას ისე ზრდიდა, რომ თვითონ აზრადაც არ მოსდიოდა. როცა სხვები ცეკვავდნენ, თვითონ, ხეიბარი ფეხის გამო, განზე იდგა მოოქრული კარის ნიშაში და თავისი გმირის ნამდვილ განსახიერებას წარმოადგენდა. ოდესადაც, ხომალდის გემბაზზე მდგარი, ასე გასცეროდა შორეულ ტალღებს.

მური ბაირონთან ხანმოკლე მეგობრობის დროს მიეჩვია მასში მხიარული ამხანაგი დაენახა, რომელსაც ბავშვივით სიცილის უნარი ჰქონდა და სცადა, სასაცილოდ აეგდო მისი ქედმაღლური, მოღუშული შესახედაობა. ბაირონი უარობდა, პოზა არ არის. არა, ეს მართლაც არ იყო დაღვრემილობის ხელოვნური გამოხატულება, ის მართლა გულგატეხილი ადამი-

ანი გახლდათ. მხიარულება კი მხოლოდ გარეგნული მხარე იყო. ის უცხო კაცი იყო ამ მაღალ საზოგადოებაში. არწმუნებდნენ, ეს საზოგადოება უკვე დაიპყარიო. მას ეჭვი ეპარებოდა. ძნელად დაიჯერა თავისი პო-ემის წარმატებაც. ჰობპაუზმა ხომ უხეში გულწრფელობით უთხრა:

— პოპის შემდეგ გასაკეთებელი აღარა-ფერია-ო.

ბაირონიც ამავე აზრისა იყო. გულის სილრმეში ორივეს მიაჩნდა, რომ „ჩაროლდის“ წარმატება აიხსნებოდა გმი-რის ავადმყოფური მწუხარებისადმი მკითხველის თანაგრძნობით. მალე ჯანსა-ლი აზრი გაიმარჯვებდა, ბაირონს მიატო-ვებდნენ და ისევ თავიანთ პოპს დაუბრუნ-დებოდნენ.

მაგრამ ბაირონული ციებ-ცხელება მთე-ლი სეზონის განმავლობაში იზრდებოდა. „საუბრების, ცნობისმოყვარეობის, ენთუ-ზიაზმის საგანი ბოლო დროს — არც ესპან-ეთია, არც პორტუგალია, არც პატრი-ოტიზმი, არამედ ლორდი ბაირონია, — წერ-და ჰერცოგინია დევონბრირი, მაგიდაზე ყვე-ლას მისი წიგნი უდევს; ყველგან, სადაც უნდა გამორჩეს, ეფერებიან, უხვად ასხა-მენ ხოტბას და ცამდე აჲყავთ. ის ფერ-მკრთალია, ავადმყოფური შესახედაობის. ცუდი აგებულებისაა, მშვენიერი სახე კი აქვს. ერთი სიტყვით, ის — ერთადერთი სალაპარაკო თემაა. მამაკაცები მასზე ეჭვიანობენ, ქალები კი ერთმანეთზე“. მისი ნაცნობობის იშვიათი ბედნიერების მქონეთ — როჯერს, ტომ მურს, ლორდ ჰოლანდს — მოსვენება აღარ აქვთ, ევედრებიან, ბაირო-ნი გაგვაცანიო. ერთი პატარა გოგონა, ელიზაბეტ ბარეტი სერიოზულად ოცნე-ბობდა ბიჭურად გადაეცვა, სახლიდან გა-პარულიყო და ლორდ ბაირონთან პაჟად დაეწყო სამსახური. მაღალი წრის საზოგა-დოების სადილებზე ქალები ცდილობდნენ ადგილები გაეცვალათ, მასთან ახლოს რომ მოხვედრილიყვნენ. როჯერსი იმ დიდგ-ვაროვანი ქალების ეშმაკობებს დასცინო-და, მას რომ იწვევდნენ სადილად და სასხ-ვათა შორის ისოდ დაურთავდნენ: „გევე-დრებით, არ შეგიძლიათ, ლორდი ბაირო-ნიც მოიყვანოთ?“ გასაოცარი ბედია იმ სა-ცოდავი ხეიბრისთვის, რამდენიმე წლის წინ, ნოტინგემში, ფრთხილად რომ მიჰქო-და ექიმ-შარლატანისთვის კათხა ლუდი.

ლედი კაროლინა ლემი, რომელიც მის ნახვას ესწრაფოდა, თუნდ მახინჯი ყოფილ-იყო, როგორც ეზოპე, მას ლედი უესტმორ-ლანდთან შეხვდა. მიუახლოვდა, მის მშვე-ნიერ სახეს შეხედა, წარბების თხელ რკალს, ხუჭუჭა თმას, აქა-იქ მნითური შეფერილო-ბა კიდევ რომ შემორჩენოდა, ბაგის ოდნავ დაშვებულ კუთხეებს, წამის შემდეგ მისი რბილი ხმაც შემოესმა, ისეთი მელოდიური, რომ ბავშვები ამბობდნენ: „აი, ბატონი, რომელიც მუსიკასავით ლაპარაკობს“. ქალმა ამ გადამეტებულ თავაზიანობაში ამაყი, თითქმის გამომზვევი თვინიერება დაინახა, — შებრუნდა და გაშორდა. სალა-მოს კაროლინამ დღიურში ჩაიწერა: „ბორო-ტია და თანაც შეშლილი, რომელთანაც საქ-მის დაჭერა საშიშია“.

მეორე დღეს ქალი ჰოლანდ-ჰაუზში იყო, როცა ბაირონის მოსვლა გამოაცხადეს.

ერთმანეთს გააცნეს. ბაირონმა უთხრა:

— ჩვენ ამას წინათაც შეგვეძლო გაგვეცნო ერთმანეთი. ნება მომეცით, გავ-იგო, რატომ არ ისურვეთ?

ესაუბრებოდა და ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა, ამ მისთვის ახალი ჯიშის, პატრიც ქალს. მაღალი, თხელი, დიდი ყავ-ისფერდაკრული, მავედრებელი თვალები. ლამაზი? — არა, მაგრამ მომხიბლავი და ნაზი. ქალი თავშესაქცევ ამბებს ჰყვებოდა სასიამოვნო ხმით, ხელოვნური, ოდნავ წამლერებული, კიკინა, განელილი სიტყვე-ბით, მათ წრეში რომ იყო მიღებული. ბაირონმა ნება ითხოვა სტუმრად გენვევი-თო. სალამოს დღიურში ბაირონის შესახებ ჩანაწერის პირველივე სიტყვების შემდეგ მიაწერა: „ეს მშვენიერი, ფერმერთალი სახე ჩემი ბედისწერა იქნება“.

## XVI

### სიყვარული

არც იოსები ვარ, არც სციპიონი და შემ-იძლია თამამად ვთქვა, რომ არც ერთი ქალი არ მიცდუნებია.

ბაირონი

ბოროტი? შეშლილი? რა სწრაფად ჩამო-იყალიბა აზრი ამ ახალგაზრდა ქალმა. რა შეამჩნია, რომ ასეთი სწრაფი დასკვნა

გააკეთა? მწარე პასუხები? ლვარძლიანი ზიზღი? ტუჩების აგდებული მანქვა? ნახევრად დაშვებული ქუთუთოებიდან მოუთმენლად და მრისხანედ მომზირალი თვალები? შეშლილი? ბოროტი? ის არც ერთი იყო და არც მეორე, მაგრამ მასთან საქმის დაჭერა სახიფათო რომ იყო, ეს კი მართალია. უპირველეს ყოვლისა, საეჭვო კაცი გახლდათ, — ლრმად გულდაკოდილი ადამიანი, რომელიც გამუდმებით სიფრთხილეს იჩენდა. ვერავითარი მერი ჩავორსი ვეღარ აიძულებდა ტანჯვას; ეგონა, ქალებს უკვე იცნობდა და ისიც იცოდა, როგორ მოქცეოდა მათ. მისთვის ნაზი გრძნობების გადმოღვრის დრო უკვე გავიდა; ამ ანგელოზურმა მოდგმამ სიმკაცრე ასწავლა და ამ გაკვეთილის გამოყენებას შეძლებს.

მელბურნ-ჰაუზში პირველი სტუმრობისას /ლედი კაროლინა დედამთილთან, ლედი მელბურნთან ცხოვრობდა/ იქ როჯერსი და მური დახვდნენ. კაროლინა ცხენით სეირნობიდან ახალი დაბრუნებული იყო და ტანსაცმელგამოუცვლელად იჯდა დივანზე. როცა ბაირონის მოსვლა მოახსენეს, წამოხტა და გაიქცა. როჯერსმა თქვა:

— ლორდო ბაირონი, ბედნიერი კაცი ხართ. ლედი კაროლინა ჩევნთან გათხუპნილი იჯდა, თქვენი მოსვლა გაიგო თუ არა, წამოხტა და გამოსაპრანჭად გაიქცა“.

ბაირონმა ორივე მამაკაცის დანახვისას შუბლი შეიკრა. საერთოდ, თუ შეიძლება ამ ქალის ნახვა უცხო მოწმეთა გარეშე? ქალმა იმავე დღეს სადილად მიიპატიუა. ის მივიდა, და მალე, მელბურნ-ჰაუზში, მის გარდა, სხვას ვერავის ამჩნევდნენ.

მელბურნ-ჰაუზი ერთი ბრწყინვალე სახლი იყო მაშინდელ ლონდონში. ჰოლანდ-ჰაუზთან ერთად ვიგების ინტელექტუალურ ცენტრს წარმოადგენდა. ლემები, მელბურნელ პერებად ქცევის წყალობით, შედარებით ახალი საგვარეულო იყო, მაგრამ სრულიად ბუნებრივად, მალე დაწინაურდნენ, სახელიც მოიპოვეს და დიდებაც. XVIII საუკუნის დასაწყისში, ერთ-ერთმა ლემმა, განათლებით იურისტმა, ქონებაც იშოვა. მისმა ვაჟმა 1750 წელს მამული და ციხე-დარბაზი ბროკეტ-ჰოლი იყიდა. მილიონი ფუნტის ლირებულების მინის სავარგულებისა და ნახევარი მილიონი წერიალა

მონეტების მფლობელი, სამეფოს დაუწერელი კანონების თანახმად, ბარონეტად იქცა. ბარონეტი დაქორწინდა ელიზაბეთ მილენკზე და პარლამენტის წევრობაც მოიპოვა. პრემიერ-მინისტრმა, რომელსაც არჩევნებში ბევრი ხმა სჭირდებოდა და ისიც იცოდა, როგორ შეეგროვებინა ეს ხმები, ბარონეტი ლორდ მელბურნად აქცია. მერე, წესიერების დაცვის დიდი ხელოვნება და ჭკუის გამოჩენა დაეხმარა ლედი მელბურნს, „სახიფათო კავშირების“ გმირი ქალების მსგავსად, ყოველგვარი ხმაურის გარეშე, მღელვარედ ეცხოვრა, პრინცი უელსელი მოეხიბლა და ლონდონი დაეპყრო:

მელბურნებს ორი ვაჟი ჰყავდათ. მამას უფროსი უფრო უყვარდა, რომელიც მას ჰგავდა, დედას კი უმცროსი, რომელიც ლორდ ეგრემბონტს აგონებდა. ათამამებდა და აფუჭებდა; უდისციპლინოდ იზრდებოდა, უჩევულო მფლანგველობისა და აბსოლუტურ მორალურ „თავისუფლებაში“. მამის მიერ უგულებელყოფილი, რომელიც შინ დაუპატიჟებელი სტუმარივით იყო, თავხედ, აზრიან და გარყვნილ ახალგაზრდად ჩამოყალიბდა. 1805 წელს კაროლინა პონსონბზე იქორწინა, ლედი და ლორდ ბესბოროუების ქალიშვილზე (იმაზე, ახლა ლორდ ბაირონს რომ გაეცნო).

სიყვარულით ქორწინება და საკმაოდ გაბედულიც. კაროლინა მომხიბლავი ქალი იყო, მაგრამ ძალზე სახიფათო. დედამისმა, ლედი ბესბოროუმ, ქალიშვილის დაბადებამდე ცოტა ადრე, ნერვული დაავადება გადაიტანა და შვილის ალზრდა თვითონ ვერ შეძლო, გოგონა დეიდას, ჯორჯიანას, ჰერცოგინია დევონშირსკას ჩააბარა. ჰერცოგინია მას ისე უვლიდა, როგორც თავის შვილებს — მისი ალზრდა მსახურს მიანდო. ფუფუნებასა და უნესრიგობაში ალზრდილი გოგონა, რომელიც „ვერცხლის ჭურჭლიდან ჭამდა, რისთვისაც თვითონ უწევდა სამზარეულოში მოგზაურობა“, დარწმუნებული იყო, რომ ამ ქვეყანაზე მხოლოდ ჰერცოგები, მარკიზები და ლარიბები არსებობდნენ. „წარმოდგენა არა გვეონდა, თუ პური და კარაქი ადამიანის ხელით იქმნებოდა; არასოდეს გვიფიქრია, ჩვენს სახლში ეს ყველაფერი საიდან ხვდებოდა. გვეგონა, ცხენებს ხორცით კვებავდნენ. ათი

ნლისამ წერაც არ ვიცოდი; არც სწორი კითხვა ვიცოდი, მაგრამ ლექსებს მაინც ვწერდი და ყველა აღტაცებული იყო. მე კი ყველაზე დიდ სიამოვნებას ჩემი ძალის გაპანვა მანიჭებდა, დეზების გაპრიალება და ცხენის შეკაზმვა<sup>103</sup>. ასეთი აღზრდის შედეგი ექიმებს აშინებდა: „ლედი კაროლინა უინიანი ბავშვი იყო, ადვილად ბრაზდებოდა და ისე მოულოდნელად ეცვლებოდა განწყობილება, რომ ზოგჯერ ეშინოდათ კიდეც მისი გონებრივი მდგომარეობისა“. თხუთმეტ წლამდე მისთვის არაფერი უსწავლებიათ. მერე მოულოდნელად ბერძნულის, ლათინურისა და მუსიკის შესწავლა დაიწყო, ალაპარაკდა ფრანგულად, იტალიურად, გაიტაცა მხატვრობამ, თამაშობდა სპექტაკლებში, ხატავდა, წერდა და რამდენიმე წელში ლონდონის ყველაზე საინტერესო გოგონად იქცა.

ეზიზლებოდა ყოველგვარი „პირობითობა“. თავის წერილებს რიცხვის მაგივრად ასე აწერდა: „უფალმა იცის, რომელი დღეა“. ქმას წიგნს უგზავნიდა და თან ირჩმუნებოდა, მისი მისამართი არ ვიციო. თავისი შთაბეჭდილებებითა და განცდებით იყო სახელგანთქმული. ბიძაშვილმა ჰარიეტ კავენდიშმა, ლონდონში მიიპატიუა ბენ-ზამენ კონსტანის სიტყვის მოსამენად. „კაროლინას სიტყვის მოსამენად მოსვლა ვთხოვე, რადგან ვიცი, ატირდება და სენსაცია მოხდება“, — განაცხადა ჰარიეტმა. ყველას აღტაცებას ჰგვრიდა მისი გასაოცარი უნარი — შექსპირული ფერიდან, — მელანქოლიიდან მხიარულებაში, ძალდაუტანებელი ხუმრობიდან — პოეტურ გარინდებაში გადასვლისა. თავყანისმცემლები არიელს,<sup>103</sup> სილფიდეს<sup>104</sup> უწოდებდნენ და აღტაცებული იყვნენ ამ მომხიბლავი და გაუწინასწორებელი ქალით; უფრო დახვეწილი ადამიანები ამბობდნენ: ცოტა მანერულობა აფუჭებსო; ქალები არაბუნებრივად მიიჩნევდნენ, პოზიორიაო, მხოლოდ იმაზე ფიქრობს, ირგვლივ მყოფნი როგორ

გავაოცოო.

თავის მომავალ ქმარს, ვილიამ ლემს,<sup>105</sup> მაშინ შეხვდა, როცა ცამეტი წლისა იყო, ვილიამი კი ცხრამეტისა. გოგონას უფრო ადრე მისი ლექსები ჰქონდა წაკითხული და გაცნობის „დაუოკებელი სურვილი“ გაუჩინდა. კაროლინამ დაინახა თუ არა, მაშინვე შეუყვარდა ეს თვალებბრიალა ბიჭი, რომელსაც დენდის მანერები და აგდებული იერი ჰქონდა, რაც ძალიან უხდებოდა. ბიჭსაც მოენონა: „დევონშირ-ჰაუზის ყველა გოგოებიდან, მხოლოდ ის მჭირდება“, — განაცხადა ვილიამ ლემსა. ამ დღიდან გადაწყვიტა, რომ კაროლინას ცოლად მოიყვანდა. გოგონა დიდხანს უარობდა. „ვალმერთებდი, — გამოტყდა მერე კაროლინა, — მაგრამ ვიცოდი, საშინელი არსება ვიყავი და მისი გაუბედურება არ მინდოდა“. ბიჭიც უდრეკად ეძალებოდა და 1805 წელს გაუმართლა კიდეც.

ქორწინების დღეს კაროლინა უჩვეულოდ მომხიბლავი იყო, უჩვეულოდაც ნერვიულობდა; ეპისკოპოსზეც გაბრაზდა, ჯვარს რომ სწერდა, საქორწინო კაბა გახია, გულიც შეიღონა, კარეტაში გადაიყვანეს და დააწვინეს. უცნაური დასაწყისია, მაგრამ მის მომხიბლავ ქმარს ეტყობა ამ ცვალებადი ხასიათის ქალის გუნების გაფუჭება მოსწონდა და სიამოვნებით განაგრძობდა მასთან კინკლაობას. ვილიამ ლემს მორალი ეზიზლებოდა: „მოსაწყენი და ცუდი ტონია. შეიძლება მართალი არა ვარ, — ამბობდა ის, — მაგრამ უმცირეს სინაცვლისაც არ ვიგრძნობ, არც სინდისის ქერჯნას იმ საათებისთვის, რამაც ჭეშმარიტი სიამოვნება მარგუნა, სიგიუჟ იქნებოდა ეს თუ გარყვნილება“. ლედი მელბურნი, გამოცდილი ქალი, თავისი ვაჟის გრძნობებსაც იზიარებდა და მორალზე მის შეხედულებებსაც. ცხადია, ქალს შეუძლია ყველაფერი ჩაიდინოს დაუსჯელად, მან ეს დაამტკიცა კიდეც, მაგრამ ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, როგორ გააკეთებ. არ მოსწონდა ასე ღიად, ყველას დასანახად მისი რძალი რომ კეკლუცობდა, არც ის მეტისმეტად გამოხატული სიხარული,

103. არიელი — /ებრ. „უფლის ლომი“, უმანკოების დამცველ ანგელოზადაც ითვლებოდა, უფრო გვიან წყლის სულია.

104. ლამაზი, ჰაეროვანი ქალი. მსუბუქი მოძრავი არსებები, რომლებიც ჰაერის სტიქიას განასახიერებდნენ. ჰაერის სული.

105. ვილიამ ლემი — ლორდი ლემი, მერე ლორდი მელბურნი, მოგვიანებით ინგლისის პრემიერ-მინისტრი გახდა.

როცა სერ გოდფრიდ უებსტერის არშიყობას იღებდა. ვილიამი იცინოდა, კაროლინა კი უფრო მეტ სისულელებს სჩადიოდა.

ლედი მელბურნი, რომელიც მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე, მოქმედების სრულ თავისუფლებას წარმატებით უთავსებდა რესპექტაბელურობას, ცდილობდა, ტიტანებისთვის<sup>106</sup> ჩაენერგა მაღალი საზოგადოების სიბრძნის კანონები. ისინი ერთმანეთს შეეჯახნენ — მონიფული, მაგრამ თავშენახული „ქალი, ნათელი, ალესილი ირონიული გონებითა“ და ფერიული რძალი, რომელიც დახვენილი ალერსით უხსნიდა თავის „ძვირფას, საყვარელ ლედი მელბურნს“, რომ მისი ქცევა მისი ქმრის ქცევის შედეგია. ვილიამი კი მას ჩუმჩუმელასა და ცრუპენტელას ეძახდა, თვალთმაქციაო, ამასაც ამბობდა, და იმით ერთობოდა, რომ ისეთ რამებს ასწავლიდა, ცხოვრებაში არ გაეგო კაროლინას. ბოლოს ქალმა იფიქრა, ყველაფერი ნებადართულიაო. უცნაური კი იყო, თვით ვილიამი ჩანდა უბედური, თუმცა ცდილობდა ეს არავის შეემჩნია. რა უნდოდა? კაროლინა მისთვის დამახასიათებელი სიმსუბუქით, ოდნავ ნაღველდა კარული მხიარული გულდიაობით ეხვეწებოდა, ჩვენს ოჯახურ ცხოვრებაზე იზრუნეო. „ასე მგონია, ძვირფასო ვილიამ, ეს ერთი ხანია, ერთმანეთის მიმართ აუტანელი დამოკიდებულებები გვაქვს... გპირდები, დილდილობით ჩუმად ვიყო, სადილის შემდეგ მხიარული, მეგობრული, მამაცი, როგორც გმირი ქალი და ყველა უბედურებებს მთის ვეფხვივით შემართული შეეხვდე... ოლონდ თქვენ უნდა მითხრათ: „მეტი იფიქრეთ და ნაკლები იდავეთ“. — ქმარი იმით დაკმაყოფილდა, რომ დღიურში ჩაიწერა: „ადრე, როცა ვხედავდი ცოლ-ქმარი ცუდად ცხოვრობდა ან შვილები იყვნენ აუტანელნი, ქმარსა და მამას ვკიცხავდი. მას შემდეგ, რაც ცოლი შევირთე, მივხვდი, რომ ნააღრევი და დაუფიქრებელი აზრები მქონდა“. ასეთი იყო ცოლ-ქმრის ცხოვრება, სანაცხვროდ დანგრეული უკვე, როცა ეს გულგატებილი ქალი ლორდ ბაირონს ხვდება და მასთან აბას მეგობრულ კავშირებს.

106. ბერძული ღმერთების ურანოსის /ცის/ და გეას /მინის/ შვილები.

გამიჯნურებული აბატის, მისთვის ახალი როლი უფრო მეტად მოსწონდა, ვიდრე საჟუთარ თავს უტყვდებოდა. ისიც მოსწონდა, დილის თერთმეტ საათზე რომ მიდიოდა და მთელ დღეს ქალის ბუდუარში ატარებდა, მის წერილებს კითხულობდა, მის შვილებს ეფერებოდა, ტანსაცმელს ურჩევდა, იმ დღეს რა ეტარებინა. პირველ კვირებში მეგობრობა მელბურნ-ჰაუზში პლატონურ ხასიათს ატარებდა; ბაირონი „თავისი დაბალი, სასიამოვნო ხმით ზანტად ჰყვებოდა რაღაცას“, თან მის მუხლებზე მჯდარ კაროლინას გამხდარ, უმოძრაოთვალებიან, პატარა ბიჭს აქანავებდა, რომელიც თითქოსდა „ამქვეყნისა არ იყო“. ბაირონმა კარგად იცოდა, რომ ქალს სურდა მასში ბაირონისებური პიროვნება დაენახა და არა ბაირონი; ისიც უყვებოდა იმ წყვლაზე, მის საგვარეულოს რომ დატყდა თავს, უყვებოდა გორდონებზე, ავლორდზე, სიკვდილზე, რომელმაც ხელიდან გამოაცალა ყველა, ვინც მას უყვარდა, უყვებოდა დედისა და მეგობრების დაღუპვაზე, რომლებიც ერთ თვეში დაიხოცნენ, ასევე თავის მარმარილოსებრ გულზე და აღმოსავლეულ ლამაზმანებზე. კაროლინა სუნთქვაშეკრული უსმენდა და ფიქრობდა, როგორ არ ჰგავდა იგი ვილიამ ლემს და თანაც რა ლამაზი იყო.

უყვარდა კი ეს ქალი? მოგვიანებით იტყვის, არაო. ეს ქალი „მისი გემოვნების“ არ იყო. როგორი დახვეწილიც უნდა ყოფილიყო მისი სხეული, მაინც მეტისმეტად გამხდარი იყო იმისთვის, რომ ჭეშმარიტად მშვერიერი ყოფილიყო, და არც ქურციკის თვალები ჰქონდა, არც „მფრთხალი ანტილოპასი“ და არც ის სინატიფე პერისა, ბავშვობიდანვე რომ ეძებდა ბაირონი. მაგრამ ქალი „უსაზღვრო სიმკვირცხლის“ მფლობელი იყო და თუ სიამაყესაც ოდნავ მხედველობაში მივიღებთ, — რომ მელბურნ-პოლში შინაურ ადამიანად ექცია ბაირონი, იმ ახალგაზრდა კაცისათვის ამაზე სასიამოვნო რაღა უნდა ყოფილიყო, რომელსაც ორი კვირის წინ მხოლოდ რამდენიმე მეგობარი ჰყავდა. ცხადია, ცდუნება დიდი იყო, იმ გრძნობას აჰყოლოდა, რომელიც ქალში ასე ძლიერი ჩანდა. დალასმა ერთხელ ბაირონთან მაქმანებსა და აბრეშუმში გამოწყობილი პაჟი ნახა და ლორდიც ისე-

თი გულისყურიანი იყო, თითქოს მთელ თავის ფიქრებსა და დროს ლედი კაროლინას წერილების კითხვასა და მათზე პასუხების გაცემას უძღვნიდა. კეთილმა დალასმა თავის მოვალეობადაც კი ჩათვალა, ამ საზოგადოებისაც დაეცვა, ასე სახიფათო რომ იყო სათნო ადამიანებისთვის, იმ ქალისგან დაეცვა, რომელზეც ყველა ლაპარაკობდა, შემლილია.

არისტოკრატული საზოგადოება, რომელშიც ასე წარმატებით შედგა ფეხი და რომელმაც ჯერ კიდევ შემოინახა XVIII საუკუნის ზენ-ჩვეულებები, მგრძნობიარე საზოგადოება იყო და არა სანტიმენტალური. მას ის ბაირონი კი არ მოსწონდა, სადღაც მისი სულის სილრმეში რომ ცხოვრობდა, არამედ ბაირონი სარკასტული, გულგატეხილი, უბედურ გარემოებათა წყალობით რომ ჩამოყალიბდა. პროზაში იგი მადამ დე მერტეილს, მოხუცი ლედი მელბურნის ტონს ამჯობინებდა მისი რძლის რომანტიკულ ტონს. ლედი კაროლინა ხშირად ალიზიანებდა, ლედი შელბურნი ცოტა აშინებდა და ხიბლავდა იმ ძალდაუტანებლობით, რასაც თვითონ იშვიათად აღნევდა. სატრფიალო სეპტემბრიზმისადმი დამოკიდებულებაში ლედი მელბურნი ისეთივე როლს თამაშობდა მის ცხოვრებაში, როგორიც მეტიუზმა ითამაშა კემბრიჯში, რელიგიური სკეპტიციზმისკენ რომ უბიძგა.

„ლედი მელბურნი, რომელიც შეიძლებოდა ჩემი დედა ყოფილიყო, ცნობისმოყვარეობას მიღვიძებდა. ასეთი ცნობისმოყვარეობა ცოტა ახალგაზრდა ქალს თუ შეუძლია შთამინერვოს. მომხიბლავი ადამიანი გახლდათ — თავისებური, თანამედროვე ასპაზია,<sup>107</sup> რომელშიც ენერგიული მამაკაცური გონება ქალის სინატიფესა და სინაზესთან იყო შერწყმული. ხშირად ვფიქრობდი, ლედი მელბურნი ოდნავ ახალგაზრდა რომ ყოფილიყო, უთუოდ თავბრუს დამახვევდა“. — ლედი მელბურნის შემდეგ ოჯახში ყველაზე ძალიან კაროლინას ქმარი ვილიამ ლემი მოსწონდა, „ჩემზე აღმატებული, — ამბობდა, — როგორც ჰიპერიონი<sup>108</sup> სატ-

ირზე“<sup>109</sup>. განა ღირდა, ამ ჭკვიანი და ძლიერი ადამიანის მოტყუება, რომელიც ნდობით გიწვდის ხელს? ქალების გამცემლობა ბაირონს თავზარს სცემდა.

ის ხშირად იჩენდა ლედი კაროლინასადმი გაუგებარ სიმკაცრეს; ერთხელ, გაზაფხულზე, პირველი ვარდი და პირველი მიხაკი მიართვა:

„გავიგვ, თქვენო ბრწყინვალებავ, — უთხრა ირონიულად, — ყველაფერი ახალი და იმვიათი გყვარებიათ — მხოლოდ ერთი წამით“.

ქალმა რაღაც გასაოცარ არშიაშემოვლებულ ქალალდზე დაწერილი წერილით უპასუხა, კუთხები ნიუარებით რომ ჰქონდა შეკრული. წერილი გულშემძვრელი და იმავდროულად გამაღიზიანებელი იყო — ნაზი, მორჩილი ტონი მიკიბულ-მოკიბულ სტილში იკარგებოდა. საკუთარ თავს მზე-სუმზირის ყვავილს ადარებდა, ერთხელ რომ ნახა „და მის ბრწყინვალებაში აღმოაჩინა შუქმფინარი მზე ღვთაებრივი სილამაზისა, ერთ წამს რომ გააცისკროვნა იგი და მას შემდეგ აღარ ძალუძს ნაკლებ მშვენიერი, თაყვანისცემისა და გაღმერთების ლირსად გაიხადოს“. ამაო თავდამცირებაა: ბაირონს უყვარდა, როცა ქალები მას ისე ექცეოდნენ, „როგორც საყვარელ და ჟინიან დას“ და არა, როგორც ბატონს. ქალთა ორ უკიდურეს ტიპს აღიარებდა: „უმშვენიერეს იდეალს“ მორცხვი, უმანკო ქალისას, თვითონვე რომ შექმნა მერი ჩავორ-სისგან, რომელიც მის ნარმოსახვაში კვლავ განაგრძობდა სიცოცხლეს და ბავშვური მოგონებებიდან მარგარეტ პარკერის, მხიარული მეგობრის განსახიერებას. გაბედული ქალი, შეყვარებული, იმავე დროს სიყვარულსაც რომ მოითხოვდა, ბაირონის თვალში ზრდილობის წესების დამრღვევი იყო. როგორც ოდესალაც სამართლიანად შეამჩნია ლედი სტანპოპმა, ის ვერ ხვდებოდა სხვა ადამიანების გრძნობებს. არც სურდა მათი გაგება. ლედი კაროლინას მგზნებარე წინადადებები მისთვის იყო მხოლოდ დამღლელი ფრაზები და უხეში ხმაური, რომელიც ახშობდა მუსიკას, მისი სულის სილრმეში რომ ისმოდა. მას სიმსუბუ-

107. ასპაზია /დაახლ. 470 ნ. ჩვენს ერამდე/ — სილამაზითა და გონებით განთქმული ბერძენი ქალი. მის სახლში იკრიბებოდნენ მხატვრები და პოეტები.

108. ტიტანი, ურანოსისა და გეას შვილი.

ქე სჭირდებოდა, ძალდაუტანებლობა, მხ-იარული ფუქსავატობის მოუხელთებელ ნაღველთან შეერთებული; თაყვანისცემის კავშირები კი იზიდავდა, მაგრამ იღლებოდა და ზურგს აქცევდა.

ლედი კაროლინას შეეძლო უმშვენიერესი წერილი მიეწერა ქმრისთვის, რომელიც აღარ უყვარდა, მაგრამ ბაირონთან გასაგზავნი წერილის წერას შეუდგებოდა თუ არა, მაშინვე ძნელად დასაძლევი პათოსი იპყრობდა. უნდოდა მისი გული მოეგოდა გადაწყვიტა საზოგადოებისთვის წარედგინა იგი. აწყობდა დიდ მიღებებს, პატიჟებდა ლონდონის ყველაზე ლამაზ და ყველაზე საინტერესო ქალებს. მაგრამ სალონური ლაყბობები ყარიბს ქანცავდა, რომელიც ჯერ კიდევ ექვსი თვის წინ ნიუსტედიდან, დივანზე წამოგორებული, ყალიონს ენერდა და აკროპოლს ხედავდა; მაშინ ჩაინერა სწორედ: „რაც გნებავთ ის, ოღონდ დილიდან საღამომდე ნუ მაუღლებინებთ ამ წყეულ ზმნას — „მოწყენილობა“. ახლა კი უკვე თავის დაკარგულ მარტობაზე ნაღვლიანად ფიქრობდა.

ამასობაში, ერთი პატარა, გონიერი გოგონა ყურადღებით აკვირდებოდა. ის ლედი მელბურნის პროვინციელი ნათესავი ანაიზაბელა მილბენკი /რომელსაც ყველა ანაბელას ეძახდა/ გახლდათ; განათლებული და მორწმუნე ქალიშვილი ლონდონში ჩამოსვლისას სიძულვილის გარეშე როდი აკვირდებოდა დედაქალაქის ცხოვრებასა და თავის შესლილ ბიძაშვილს, კაროლინას. 24 მარტს დღიურში ჩაინერა: „დავამთავრე ლორდ ბაირონის „ჩაილდ ჰაროლდი“; ამ ნანარმოების ზოგიერთი სიმღერა მაღალი პოეტური სტილით გამოიჩინა“. 25-ში მელბურნ-ჰოლში დილის მიღებაზე მიიწვიეს. იქ იყო მომხიბლავი ლედი ჯერსეი, რომელიც განუწყვეტლივ ლაყბობდა და სამკაულებს აუდარუნებდა, წითურთმიანი მიმზიდველი მისის ელფინსტონი და ქალაქში აღიარებული ოციოდე კიდევ სხვა ლამაზმანი. ერთი მღეროდა. ანაბელა მილბენკს მოეჩვენა, რომ ამ ქალებსა და კაცებს ისეთი სახე ჰქონდათ, თითქოს მოვალეობის გამო სხედანო. კარო ლემმა ბაირონი დაანახვა. ანაბელას ამპარტავნად მოეჩვენა; იმისი ბაგე აქაურობისადმი განუზომელ ზიზღს გამოხატავდა. გოგონამ იფიქრა, არც ტყუის, ესენი რომ სძულს, ეს ცარიე-

ლი გართობაო. ანაბელამ იმ დღეს ბაირონის გაცნობა არ ისურვა, რადგან ყველა ქალი უაზროდ აწყდებოდა ლორდს. „რამდენიმე დღის შემდეგ ისევ შეხვდა, მორცხვი და გაუბედავი ეჩვენა და მისი ალაპარაკება გადაწყვიტა“. ბაირონმა უთხრა, „გაოცებულია, რომ ანაბელას არ ეზიზღება ეს საზოგადოება, სადაც ერთი კაციც არ მოიძებნება, რომელსაც სახლში დაბრუნებულს, გამბედაობა ეყოფა საკუთარ თავში ჩაიხედოს“—.

ანაბელას ეს წინადადება მოეწონა, რადგან იმას პასუხობდა, რასაც თვითონ გრძნობდა. ბაირონი გულწრფელი იყო. ამ აურზაურში, რომელზეც არას თქმისთვის ვაჟეცაცობა არ ჰყოფნილა, ნაღვლიანად იმ სხვა ბაირონს იხსენებდა, ნიუსტედის ბინადარ ფიქრიან ბაირონს. მაგრამ ამ პატარა უცნობ ქალს რატომ ეუბნება იმას, რასაც არავის უმხელს? ამ ქალში რაღაც უჩვეულო იყო. სახის ნორჩი ფერი, მრგვალი, ვარდისფერი ლოყები; არცთუ მაღალი, მაგრამ მშვენივრად გაწყობილი. როცა გოგონა სასტუმრო ოთახში შევიდა, ბაირონმა მურს ჰკიოთხა, რომელიმე ქალბატონის თანმხლები ხომ არ არისო.

— არა, — უპასუხა მურმა ხმადაწევით,  
— ეგ მდიდარი მემკვიდრეა, ცოლად უნდა მოყვანო და გადაარჩინო ნიუსტედი.

კაროლინა ლემთან საუბარში აღტაცებით ილაპარაკა მის მილბენკზე, ორ ბიძაშვილს შორის კაროლინასთვის ძალზე არასასიამოვნო პარალელი გაავლო. ქალმა მორჩილად მიიღო მისი შემოტევა. საკმარისი იყო ბაირონს ეთქვა ცხოვრების ასეთ წესს არ ვიწონებო, ამ ხალხმრავალ თავყრილობებსო, განსაკუთრებით კი ცეკვებსო /ძველისძველი სიძულვილი, ჯერ კიდევ ჭაბუკობის წლებიდან/, რომ ვალსები და კადრილები იმზამსვე გაქრებოდა მელბურნ-ჰოლიდან. ბაირონმა სთხოვა, ვალსი აღარ იცეკვოო. ქალმა დაუჯერა. შეყვარებული, მორჩილი მთლიანად ბაირონის მბრძანებლობის ქვეშ იყო მოქცეული. ქალი სასოწარკვეთილ და უგუნურ წერილებს სწერდა, არა მარტო სიყვარულს სთავაზობდა, არამედ თავის ძვირფასეულობასაც, თუ ფული დასჭირდებოდა.

კაროლინას საუბედუროდ, ლედი ბესბოროოუმ ამ მაკომპრომეტირებელ სტუმარს უთხრა, მიუხედავად ყველაფრისა,

კაროლინას არ უყვარხართ და მხოლოდ თავბრუს გახვევთო. ბაირონმა არ უპასუხა, მაგრამ გადაწყვიტა, უკან არ დაეხია და ერთი კვირის შემდეგ ქალი მისი საყვარელი გახდა.

სრულიად გულგრილად დაეუფლა. ყოვლად საზიზღარი, მკაცრი საყვარელი იყო, თავის სატრფოს ყოველგვარი ილუზიის გარეშე ხედავდა, იმ დაუნდობელი და ყოვლის განმჭვრტყი რეალიზმით, რომელიც ბუნებრივი ფორმა გახლდათ მისი განსჯებისა, მაშინ, როცა შეყვარებული არ იყო. „ერთი ქალიც არ შემხვედრია ისეთი გასაოცარი, ისეთი სასიამოვნო ნიჭის, როგორიც თქვენ ბრძანდებით. ყველა იმ ქალს, სამწუხაროდ, ერთი რამ აურთიანებთ — ჯანსალი აზროვნების სრული არქონა... თქვენი გული, ჩემი საცოდავო კარო /ასეთი პატარა ვულკანი!/, თავის ლავას თქვენს ძარღვებში აფრქვევს... მუდამ მიმაჩნდა, რომ ყველაზე გონებამახვილი, ყველაზე სასიამოვნო, ყველაზე შეუსაბამო, ყველაზე ძვირფასი, ყველაზე მღელვარე, ყველაზე სახიფათო, ყველაზე მომაჯადოებელი არსება ხართ ამ ქვეყანაზე... არაფერს ვიტყვი სილამაზეზე, ცუდი მსაჯული ვარ, მაგრამ ჩვენი ლამაზმანები ფერმკრთალდებიან, როცა თქვენ გვერდით არიან, მაშასადამე, ლამაზი ხართ ჭეშმარიტად ან უფრო მეტი სხვა რაღაც“. — ფრიად თავშეეავებული კომპლიმენტია. კაროლინა ნაღვლიანად იტყოდა ხოლმე: „რცხვენია, რომ ვუყვარდე, რადგან საკმაოდ ლამაზი არა ვარ“. მას ამ თავისებური ქალის ის თვისებებიც არ მოსწონდა, სხვებში აღფრთოვანებას რომ ინვევდა; კითხვით მონამლული მისი წარმოსახვა ისეთი სიყვარულის ძებნას აიძულებდა, რომანებში ამოკითხულს რომ ჰგავდა. პოეტის მიზიდვას პოეტების ციტირებით ცდილობდა. ბაირონი უგულისყუროდ უსმენდა თავისი მიჯნურის ბერძენ თუ ლათინ ავტორთა ციტირებას, მაღალი წრის ანეკდოტებს და ენსლის „ცისკრის ვარსკვლავის“ ფიქრიანი სინაზე ან აღმოსავლელი ქალების მდუმარება ასენდებოდა.

თუ ბაირონი ერთ დღეს არ გამოჩნდებოდა, კაროლინა პაჟს უგზვნიდა, სადა ხარო, პაჟები კი ქალს ბევრი ჰყავდა. ზოგჯერ თვითონაც ჩაიცვამდა პაჟის ტანსაცმელს

და მასთან თავისივე წერილი მიჰქონდა. ეს ექსცენტრულობა ბაირონს თავზარს სცემდა. კაროლინა მის კამერდინერ ფლეტჩერს დაუმეგობრდა, წერილებს სწერდა, ეველრებოდა, ბაირონის ოთახში შემიშვიო. თუ მოხდებოდა და კაროლინა იმ მეჯლისზე მიწვეული არ იყო, რომელსაც ბაირონი ესწრებოდა, არც ერიდებოდა, არც რცხვენოდა, იდგა და ელოდა ქუჩაში. „ჩვენი პატარა მეგობარი, კარო ვილიამი, — წერდა ჰერცოგინია დევონშირსკა, — მისი გულისთვის ათას გაუფრთხილებლობას იჩენს. ბოლოს და ბოლოს, ბაირონი ისევ ნაქსოსში მიემგზავრება და ქრებს შეეძლებათ მშვიდად იძინონ. არ გამიკვირდება, კარო ვილიამი უკან რომ გაპყვეს, ისეთი უგნური და გაუფრთხილებელია“.

ამ მიამიტურ თაყვანისცემას ბაირონის გული უნდა შეეძრა, პირიქით კი იყო, — ალიზიანებდა; ეგონა, სასაცილოდ გამოვიყურებიოდა, რაც ყველაზე უცნაური იყო, წყველიდა იმ სიყვარულს, რომლის ობიექტიც თვითონ იყო. ბიბლიით ნასაზრდოები მისი კალვინისტური წარმოდგენით: ლედი კაროლინა „მრუში“ ქალი იყო.

„ნაპოლეონივით, მუდამ დიდი ზიზლი მქონდა ქალებისა. — წერდა ბაირონი, — და ეს გრძნობა უცაბედად კი არ ჩამომყალიბებია, არამედ ჩემი საბედისწერო გამოცდილების შედეგია. მართალია, ჩემს ნანარმოებები ამ სქესის განდიდების ტენდენცია არის. ჩემი წარმოსახვა მუდამ ისწრაფვოდა ქალისთვის მშვენიერი იდეალის თვისებები მიმენიჭებინა, მაგრამ იმიტომ, რომ მე, როგორც მხატვარი ან მოქანდაკე, გამოვხატავ მათ არა ისეთს, როგორებიც არიან, არამედ როგორებიც უნდა იყვნენ. ამ მხრივ თურქები და აღმოსავლეთის სხვა ხალხები ჩვენზე გაცილებით უკეთ იქცევიან. ისინი კანონით გათვალისწინებული უფლებების ქვეშ ჰყავთ მოქცეული და გაცილებით უფრო ბედნიერად გრძნობენ თავს. მიეცით ქალს სარკე, რამდენიმე კანფეტი და ის კმაყოფილი იქნება“.

მაგრამ ვილიამ ლემი თურქი არ იყო და მისი დღიურებიც უფრო და უფრო მელანქოლიური ხდებოდა:

„ქორწინებაში საშინელება ის გახლავთ, რომ გარკვეული არასოდეს არაფერი არ

არის. ცოლების აზრი იმის მიხედვით იცვლება, თუ რას ამბობენ მაღალ საზოგადოებაში მის ქმარზე, და რაღაც ყველაზე ბანალური შენიშვნაც კი ბედს წყვეტს. ქორწინება მამაკაცს საზოგადოებაში თავდაცვით მდგომარეობაში აყენებს, მაშინ როცა ადრე თავდამსხმელის უპირატესობით სარგებლობდა“.

ლედი ბესბოროუ ახლა უკვე მეტად იყო  
საქმეში ჩახედული და სიძეზე ნაკლებად  
როდი სტკიოდა გული. ახალგაზრდობაში  
არც მას აკლდა ბობოქარი დღეები და  
ლორდ გრანვილთან ურთიერთობამ ხომ  
თავის დროზე ჭექა-ქუხილი ატეხა, მაგრამ  
იქამდე არასოდეს მისულა, სადამდეც მისი  
ქალიშვილი — მეტლეს ფორმა გადაეცვა,  
რათა მოულოდნებლად თავზე დასდგომოდა  
მიჯნურს, ეთვალთვალა ან წვიმის ქვეშ იმ  
სახლის შესასვლელთან მდგარიყო, სადაც  
მეჯლისი იყო გამართული. სა-  
სონარკვეთილებაში ჩავარდნილმა ლედი  
ბესბოროუმ, იმ საშინელი ამბის თაობაზე,  
ორივე ოჯახს სირცხვილში რომ აგდებდა,  
რჩევის საკითხავად ჰობჰაუზი იწვია. ჰობ-  
ჰაუზი მუდამ მზად იყო „ჭეუა ესწავლები-  
ნა“ თავისი მეგობრისთვის, მაგრამ  
ბაირონს ამისთვის ბოლო როგორ უნდა  
მოელო? ლედი ბესბოროუსავით ბაირონ-  
საც მობეზრდა კაროლინას უსაქციელობა.  
ლედი მელბურნისთვის ეს არ დაუმალავს,  
რომელიც გამოცდილი ფსიქოლოგი იყო,  
ცრურწმენისაც არა სჯეროდა რა და სიამ-  
ოვნებით მსჯელიბდა ამ აბბეზე თავისი  
რძლის საყვარელთან. ბაირონს ტომას  
მურისა და ჰობჰაუზის საზოგადოება ერჩია  
ამ თავაშვებული ქალის საზოგადოებას.

ბაირონს უფრო სერიოზული თავშე-  
ესაცევებიც ჰქონდა. მაგალითად, ანაბე-  
ლა მიღენკვმა რელიგიურ მოხსენებაზეც  
ნახა იგი, „თანაც ისე უცნაურად აურ-  
შოლებდა, როცა სიტყვა „რელიგია“ გაის-  
მოდა“. ანაბელა ლონდონში შეყოვნდა,  
ლექციების კურსს ისმენდა დედამიწის  
სიმკვრივის შესახებ. ბაირონს კურიოზუ-  
ლად მიაჩნდა ქალის ასეთი გატაცება მეც-  
ნიერებით და ლედი მელბურნთან ამ  
თემაზე საუბრისას, მის მიღენკვი  
„პარალელოგრამების პრინცესად“ მონათ-  
ლა. თუმცა, უნებლიერ, ამ გოგონასადმი,  
მშვინიერი ფიგურა რომ ჰქონდა და

დედამიწის სიმკვრივეზე მსჯელობდა, პატივისცემის ნაზ გრძნობასაც განიცდიდა.

კაროლინამ, მის მილბერგის თხოვნით, ბაირონს პიძაშვილის რამდენიმე ლექსი მისცა წასაკითხად. ლორდმა წაიკითხა და ფრიად ჩინებულადაც მიიჩნია. ცხადია, არაჩვეულებრივი გოგონაა; ვინ იფიქტებდა, ამ გარეგნულად მშვიდსა და უწყინარ ადამიანში ამდენი ძალა, აზრის ასეთი მრავალფეროვნება თუ იფარებოდა? და დასძინა: „უმცირესი სურვილიც არა მაქს ახლოს გავიცნო მის მილბერგი; დაცემული ანგელოზის კვალობაზე მეტისმეტად კარგია, და ცხადია, უფრო მეტადაც მიიქცევდა ჩემს ყურადღებას, უფრო წაკლებ სრულყოფილი... გოგონამ წაიკითხა ეს, რადგან იმიტომ იყო დაწერილი, რომ მისთვის ეჩვენებინათ. ანაბელამ ეს სიტყვები დაკმაყოფილებული ცნობისმოყვარეობის გრძნობით ჩაიწერა. ერთადერთი წაკლი ჰქონდა — მან იცოდა, რომ სრულყოფილი იყო. მშობლების მიერ გაღმერთებულ, მხოლოდ მშობილ ასულს, საზოგადოებაში გამოჩენისთანავე ხუთმა თუ ექვსმა ახალგაზრდამ მაშინვე ხელი სთხოვა, მაგრამ ის საკუთარ თავს უვრცებო ადამიანად თვლიდა. დიდსულოვანი და მგზნებარეც კი იყო ბუნებით, მაგრამ ზოგჯერ მომჭირნე, ცივი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, რადგან თავისი ქცევების გონებისთვის დაქვემდებარებას ცდილობდა. მისი მსჯელობები გაბედული და მკაცრი იყო. კარგი მათემატიკური ნიჭის ადამიანს, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ ყველაფერი ზუსტად იცოდა, კაროლინა ლემის პოეტური, ზედაპირული ერუდიცია ყოველგვარ ფასეულობას მოკლებულად მიაჩნდა. თავისი ბიძაშვილის ბავშვური ქცევები აღაშფოთებდა. მასზე ამბობდა: „ბაირონული მელანქოლიის მისი ახალი პოზა, მისსავე ჩვეულეუნირობას ხიბლს ართმევს“-ო, და კიდევ: „კაროლინა ლემი მზად არის საზოგადოებრივი აზრი ბრძოლაში გამოიწვიოს, მაგრამ ვაჟკაცობა არ ჰყოფნის უარი თქვას საზოგადოების ყურადღებაზე, მისით გაოცებაზე, შეშლილობის მწვერვალზე მყოფს, არ სურს დაეშვას დაბლა გონიერების უბრალო ბილიკით“. თვითონ კი, ცხადია, გონიერის ბილიკს მიუკვებოდა.

„თქვენი ანაბეჭა გამოცანაა, — სწერდა ჰერცოგინია დევონშირსკა თავის ვაუს, რომელსაც ანაბეჭა უყვარდა, — მოყვარული და გულგრილი, სულგრძელი და იმავდროს სიღარიბის მოშიშარი. ვერაფერს გაუგებ. იმედი მაქვს, მის გამო არ იტანჯებით; რაღაცა ყინულის ნატეხია...“.

სულაც არ იყო ყინულის ნატეხი. მასაც, ბაირონივით, ბავშვური გატაცებები ჰქონდა. ბავშვურ ოცნებებში, რომელთა ჩაწერაც დღიურში ადრე დაიწყო /წერა უყვარდა/, ყველა ისტორიული მოვლენის გმირ ქალად ჰქონდა თავი წარმოდგენილი. კეთროვანებს უვლიდა და გაჭირვებულთ იცავდა. მოგვიანებით ცდილობდა თავისი ჭირვეულობებიც დაეძლია. ეჩვენებოდა, რომ ამასაც მიაღწია.

„ლორდი ბაირონი, — აგრძელებდა ჰერცოგინია, — ცოტა ეარმუყება, მაგრამ, მეონი, მისით მაინცდამაინც აღტაცებული არ არის, აღბათ, ისე უყურებს, როგორც პოეტს; არც ლორდი ჩანს დიდად თავგადაკლული...“.

მართლა აღტაცებული იყო ლორდით, როგორც მხოლოდ პოეტით? ამაშიც შეიძლება ეჭვი შევიტანოთ. ის ნაღვლიანად უსმენდა თავისი ბიძაშვილის სკანდალური ქცევების ამბებს ლორდ ბაირონთან და ფიქრობდა: „რომ იგი /ბაირონი/ ჭეშმარიტად ნანობს ჩადენილ ცუდ საქციელს, მაგრამ ძალა არ ჰყოფნის /ყოველ შემთხვევაში, სხვისი დახმარების გარეშე/, აიძულოს თავი სხვანაირად იცხოვროს და იგრძნოს“. დაცემული ანგელოზი, ასე ამბობდა საკუთარ თავზე ბაირონი; ანაბეჭა სერიოზულად ეთანხმებოდა მას და ფიქრობდა, იქნებ, თვითონ, ჭეშმარიტ მორნმუნეს, შეეძლო მისი დახმარება, დახმარება კი ძალიან სჭირდებოდა, რათა გადარჩენილიყო ეს მშვენიერი ანგელოზი. ბაირონს მასთან ძალიან უბრალოდ ეჭირა თავი და იყო „ძალიან კარგი ბიჭი“. ოღონდ ერთი კი შეამჩნია ანაბეჭამ, ბაირონი ცოტა კეკლუცობდა, ქალებთან სხვანაირად იჭერდა თავს, მამაკაცებთან სხვანაირად. ანაბეჭა მიღენკას ლორდი ბაირონი უფრო მეტად აინტერესებდა, ვიდრე პოეტის სულის გადასარჩენად იყო საჭირო, ყოველ შემთხვევაში, ამქვეყნად მაინც.

1812 წლის აგვისტო. კაროლინა ლემის

ახირებული ქცევა უკვე აუტანელი ხდებოდა. ერთ დილას, ლედი ბესბოროუ თავის ქალიშვილთან მივიდა და ეხვეწა, ირლანდიაში გამომყევი, ვილიამიც ჩამოვა და მთელ ამ ამბებს ბოლო მოეღებაო. ამ დროს ლორდი მელბურნიც გამოჩნდა და კაროლინა სასტიკი საყვედურებით აავსო. კაროლინა გაბრაზდა და თავებულრად უპასუხა. შეშინებული ლედი ბესბოროუ, ქვევით, ლედი მელბურნის დასახახებლად გაიქცა. უკან დაბრუნებულ ბანოვანებს კაროლინა აღარ დახვდათ, ჩაუცმელი გაქცეულიყო. დამემუქრა, საყვარელთან გადავალ საცხოვრებლადო, — უთხრა მათ ლორდმა მელბურნმა. რაზეც ქმარს უპასუხია, ჯანდაბაშიც ნასულხართო.

ორივე დედა მაშინვე ბაირონთან გაიქცა; ბაირონი მარტო დახვდათ და არანაკლებ გაოცებული დარჩა, ვიდრე ეს ორი ქალი იყო. მაღალი წრის ამ ორი ქალბატონის ვიზიტი მას ძალზე თავშესაქცევი ეჩვენა. ერთი წლის წინ ხომ ამათ მასზე წარმოდგენაც არ ჰქონდათ; ახლა კი იძულებული იყვნენ მისთვის დახმარება ეთხოვათ, რათა ქმარს დაბრუნებოდა — ერთის ქალიშვილი, მეორესი კი რძალი. გასაოცარი რევანშია. კაროლინას მეტლეს ფული მისცა და მისამართი გაიგო, სადაც ქალი მიიყვანა. ვიღაც კენსინგტონელი ექიმის სახლში მიაგნო, თითქმის ძალით წამოიყვანა და მღელვარებისგან ელდანაცემ დედამისს სახლში მიჰვარა.

ეს ამბავი მთელ ლონდონს მოედო. თვით პრინც-რეგენტმა დაიბარა ლედი ბესბოროუ და განუცხადა, ორივე, დედაცა და ქალიშვილიც, შეშლილები მგონიხართ, ბაირონმა კი მთელი თქვენი ოჯახი მოაჯადოვათ. ძირითადად კი, დედების თათბირი შვილის საყვარელთან დაუშვებლად მიიჩნია: „ცხოვრებაში მსგავსი არაფერი გამიგია. დედები მესაიდუმლედ გაიხადო! რას იფიქრებდით, ოდესმე მესაიდუმლედ ლედი სპენსერი /ლედი ბესბოროუს დედა/ რომ ამერჩია?“ ლედი ბესბოროუს ეს ისე კომიკური ეჩვენა, მიუხედავად საუბრის სერიოზულობისა, სიცილი ვეღარ შეიკავა.

დედა, დედამთილი, მიჯნური, ქმარი — ყველა ეხვეწებოდა კაროლინას ლონდონიდან წადიო. ბაირონი ეუბნებოდა, შენი სიჯიუტე ამტკიცებს, რომ უნებისყოფო

ეგონისტი ხარო. ქალი არ თანხმდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ბაირონი მასთან მის-  
ვლაზე უკვე უარს ამბობდა. შემთხვევით-  
ლა ხვდებოდნენ სადმე სტუმრად, მეორე  
დღეს კი კაროლინა სწერდა, რა ლამაზი  
იყავიო.

„რა გაფითრებული იყავი; ეს სიკვდილ-ის სილამაზეა თუ მარმარილოს ქანდაკის სითეთრე; რა კონტრასტს ქმნიდა სიფი-თრესთან თქვენი ნარბები და თმა! როცა გიყურებთ, მუდაშ ტირილი მინდა; ვინმე მხატვარმა რომ შეძლოს და თქვენი სახე ასახოს ისეთი, როგორიც სინამდვილეშია, ყველაფერს მივცემდი, რაც გამაჩინა“.

გულის შემძვრელი წერილია, მაგრამ რომელი ადამიანი არ აღელდება იმ ვნებით, რომლის ობიექტიც თვითონ არის?

ბოლოს და ბოლოს, კაროლინამ გადაწყვიტა ლედი ბესბოროუსთან ერთად ირლანდიაში წასულიყო. ეს ბაირონის პირველი ავანტიურა იყო მაღალი წრის ქალთან. რაც გამოსცადა საზიზღლად ეჩვენა. სატრფო, ხარბად რომ ნოქავდა მის დროს და აზრებს, მარტოოდენ აბრაზებდა. ქალიც, რომელიც გრძნობებს გაუფრთხეობდა, მაგრამ თავგანწირვით აჰყვა, ამ ამბის შემდეგ ქანცგამოლეული, მთლად განადგურებული დარჩა. დეიდაშვილი, რომელიც ირლანდიაში დახვდათ, სწერდა:

„დეიდა კარგად გამოიყურება, საცო-  
დავი კაროლინა კი საშინელი შესახედავია;  
ისე გამხდარა, ძვალი და ტყავია, მარტო  
თვალები უელვარებს ციებიანივით... მკო-  
ნი, ძალიან ახლოა სიგიურსთან; დეიდა ამ-  
ბობს, დროდადრო ნამდვილ გიუს ჰგავ-  
სო...“

ამასობაში კი ბაირონი ლედი მელბურნს  
სწერს:

„ძვირფასო ლედი მელბურნ, ვფიქრობ,  
უკვე გაიგებდით, და არ შეწუხდებით, თუ  
კიდევ გეტყვით, რომ ორივე მშვიდობიანად  
ჩავიდა ირლანდიაში. და ახლა ზღვა თავის  
ტალღებს აგორებს თქვენსა და თქვენი  
ზრუნვის ერთ საგანს შორის; მეორე კი,  
როგორც ხედავთ, თქვენგან არცთუ შორ-  
საა. ალბათ, არ გენყინებათ თუ გაიგებთ,  
რომ სულითა და გულით მინდა ეს ყვე-  
ლაფერი დამთავრდეს, და, ცხადია, თუ ყვე-  
ლაფერი თავიდან დაინყება, დამნყები მეარ  
კიძები; არა იმიტომ, რომ სხვა მიყვარს,

არამედ იმიტომ, რომ ჩემთვის კმარა თვით  
სიყვარული; მომწყინდა სულელური რო-  
ლის თამაში; როცა უკან ვიხედები, ვხედავ,  
რამდენი დრო დავკარგე, როგორ დამენერა  
გასული ზამთრის ყველა გეგმა და ახლა ის  
ვხდები, რაც დიდი ხნის ნინ უნდა გავმხ-  
დარიყავი. ძალაუნებურად, ავტომატურად  
გიყვარდება, ისე, როგორც ცურვა. ოდეს-  
ლაც ძალიან მიყვარდა ერთიცა და მეორეც,  
უკეთ აღარ ვცურავ, თუ წყალში ჩავვარდე-  
ბი, მაშინდა გავანძრევ ხელს, აღარ შევიყ-  
ვარებ, თუ არ მაიძულებება”.

— კარგად გამიგეთ, არ მსურს მკაცრად  
მოეპყრათ ან საწყენი უთხრათ რამე. უმ-  
ცირესი სურვილიც არა მაქვს, მსგავსი  
რჩევები მოგცეთ. თქვენი მხრიდან ყოველ-  
გვარი სიკეთის გამოჩენა სასურველი იქნე-  
ბა. მაგრამ საკუთარ თავს მსხვერპლად თუ  
შესწირავთ, კეთილმოსურნეობა კი არ იქნე-  
ბა, არამედ რომანტიკა, რაც უბედურე-  
ბასთან და კატასტროფასთან მიგიყვანთ.  
თუ გულცივობის პატარა დოზას ახლა შეუ-  
ძლია ხელი შეუძალოს ასეთ დასასრულს,  
მაშინ, ჩემი აზრით, ეს სიკეთის საუკეთესო  
გამოვლინება იქნება, რადგან მისთვის მიყ-  
ენებული მცირე წყენაც კი მისი სრული  
დაღუპვისგან გადარჩენა იქნება. ისიც  
უნდა გითხრათ, რომ, ჩემი აზრით, მეტის-  
მეტად მიდრეკილი ხართ საკუთარი თავი  
დაადანაშაულოთ, თითქმს მხოლოდ თქვენ

ხართ დამნაშავე — ის კი უმანკო გოგონაა. მან ბევრი რამ იცოდა იმისთვის, რომ ფხი-ზოად ყოფილოყოფ და მისი მსხვერპლად

მიჩნევა არ შეიძლება. — და დამყოლ მა-  
მაკაცთა გამოცდილი ექსპერტილედი მელ-  
ბურნი ასკვნიდა: — მას რომ ეფიქრა, მისი  
მეგობრები ნაკლებად არიან დაინტერესე-  
ბულები მისით, მაშინ დიდი შანსი ექნებო-  
და სხვა, ახალი ოცნებით გატაცებისა;  
აქედან გამომდინარე, ყველაზე კარგი, რაც  
შეიძლება თქვენ გააკეთოთ, ქორნინებაა;  
სიმართლე გითხრათ, თქვენთვის სხვა გა-  
მოსავალსაც ვერ ვხედავ, ამ ამბიდან რომ  
თავი დაიხსნათ“.

ცოლის შერთვა... ეს იყო ის, რაც თვითონ ბაირონს სურდა. ქორწინებისა სჯეროდა; ეს იყო მისი ბოლო ილუზია. ახალგაზრდა პერმა /განსაკუთრებით კი ბაირონმა/ უნდა დალიოს, ითამაშის, მეზობლის ცოლს სდიოს, სატრფიიალო თავ-გადასავლების შემდეგ, უსიყვარულოდ კარგ, საკმაოდ მდიდარ ოჯახის შვილზე იქორწინოს, საკმაო რაოდენობის შვილები გააჩინოს, რათა ჯიშ-ჯილაგის გაგრძელება უზრუნველყოს. ასეთი იყო პირობითობა. ასეთი იყო კანონი ნიუსტედისა.

საბოლოოდ რომ დაემშვიდებინა ლედი  
მელბურნი, გამოუტყდა და საოცარი რამ  
უთხრა: ჩემი ყველაზე დიდი სურვილი  
ლედი კაროლინას ბიძაშვილზე დაქორ-  
ნინებაა; იმ მის მიღებენზე, რამდენჯერ-  
მე რომ შეხვდა ლემებთან და რომლის  
ლექსებიც წასაკითხად მისცეს. ლედი მელ-  
ბურნს უკვე აღარაფერი აოცებდა, მაგრამ  
ახლა ძალიან გაოცებული დარჩა. როგორ,  
განა ისეთი განსხვავებული ადამიანები  
კიდევ არსებობენ, როგორიც ღვთისმოსავი  
მათემატიკოსი და ჩაილდ ჰაროლდი იყო?  
მაგრამ ბაირონს ზუსტად ეს კონტრასტი  
მოსწონდა; ამ ახალგაზრდა ქალის  
თავშეკავებაც მოსწონდა; ის ერთადერთი  
იყო, რომელიც ბაირონს საპატიო მანძილზე  
აჩერებდა. „მასზე ცოტა რამ ვიცი; უმცირ-  
ესი საფუძველიც არა მაქვს მეგონს, რომ  
მის რჩეულთა შორის ვარ. მაგრამ არც  
ერთი ქალი არ შემხვედრია, რომელსაც  
ასეთ პატივს ვცემ. ერთადერთი წინააღმ-  
დეგობა — ჩემი მომავალი დედიკია, რომ-  
ლისადმიც, რაღაც გაურკვეველი ინსტინ-  
ქტით, სასიკვდილო ზიზღი მაქვს“. მეორე  
მხრივ, ლედი მელბურნის დანათესავება

აღტაცებას ჰგვრიდა. ის ერთგული იყო ამ ოჯახისა.

ლედი მელბურნმა გარანტიები მოითხოვა:

„ჩემთ საყვარელო, ძალიან მერყევი  
ხართ, როგორც იმ ფარსის გმირი /  
ფლუგერი/, ერთად რომ ვნახეთ. გახს-  
ოვთ?.. ნუთუ გგონიათ, ერთდროულად  
მასაც მოუვლით და კაროლინასაც? შეუ-  
ძლებელია. გეუბნებით, როგორც მე-  
გობარი: იარშიყეთ, რაძღვნიც გნებავთ, მა-  
გრამ რაიმე სერიოზულ ავანტიურას ნუ  
წამოიწყებთ, ვიდრე წინას პოლოს არ  
მოულებთ“.

„მეკითხებით, — პასუხობდა ბაირონი,  
— საკუთარ თავში დარწმუნებული ვარ თუ  
არა. გიპასუხებთ: „არა“. მაგრამ თქვენ  
ხართ დარწმუნებული და ეს გაცილებით  
მნიშვნელოვანია. მომწონს მილბენი, რად-  
გან გონიერი ქალია, სასიამოვნო და კარგი  
გვარიშვილი. მე კიდევ შემომრჩა რაღაც  
რწმენა ქორნინებასთან დაკავშირებით.  
რაც შეეხება სიყვარულს, ეს ყველაფერი  
ერთი კვირის საქმეა /ცხადია, ქალბა-  
ტონების გონივრული მოხანილეობით/,  
ამასთან, ქორნინება ურთიერთპატივისცე-  
მითა და ნდობით, გაცილებით უკეთესია,  
ვიდრე სიყვარულით. თანაც ის საქმაოდ  
კარგია, რომ მოყვარული ქმარი ვიყო,  
ხოლო იმისთვის, რომ მეტოქეები მოიზი-  
დოს, არც ისე დამაბრმავებელია“.

წერილში სიყვარულზე ცოტა იყო  
ლაპარაკი. ბაირონი ლედი მელბურნს სთხ-  
ოვდა ოფიციალურად მოლაპარაკებოდა  
ანაბეჭას მშობლებს, თან დაწვრილებით  
უყვებოდა რომელიღაც იტალიელი მომღ-  
ერალით თავის ახალ გატაცებაზე, „არც ისე  
ლამაზია, მაგრამ ისეთი სტილისაა, მე რომ  
მომწონს“. მას ძალიან უყვარს თავისი  
ქმარი, ესეც ღირსება იყო, რადგან „თუ  
ქალს შეუძლია უყვარდეს ქმარი, მაშინ რამ-  
დენად მეტად ეყვარება ადამიანი, რომელ-  
იც მისი ქმარი არ არის“. ამ დროს, ფლეტ-  
ჩერი ოცნებობდა თავისი პატრონი ჰოლან-  
დიელ ქვრივზე დაექორწინებინა, რომელ-  
საც „უზარმაზარი ქონება და კარგა დამ-  
რგვალებული“ ადგილები ჰქონდა. ფლეტ-  
ჩერი ცოლიანი კაცი იყო, მაგრამ აღმოსავა-  
ლეთი ჰქონდა მოვლილი, ქვრივის მოახლეს  
ეარშიყებოდა და იმედი ჰქონდა, ეს ქორ-  
ნინება მასაც წარმატებას მოუტანდა.

ჰოლანდიელი ქვრივი? მის მილბენკი? კაროლინა? იტალიელი მომღერალი? ბაირონი ერთობოდა და ელოდა, ბედი ან ლედი მელბურნი მის მაგივრად როგორ მოაგვარებდა საქმეებს. „ანაბელა ვალსს ცეკვაგს? უცნაური კითხვაა, მაგრამ ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მინდა ვიღაცამ უთხრას, რომ მის ხელს ვითხოვ. მაგრამ ძალიან მეშინია, რას იფიქრებს ჩემზე. ყველაფერი მასზეა დამოკიდებული“.

ამგვარი თავქარიანი პრეტენდენტი ქმრად შესთავაზო იმ დროის ქალებს შორის ერთ-ერთ გამორჩეულს, რომლისთვისაც ქორწინება დაურღვეველი და წმინდა საიდუმლო გახლავთ — სახიფათო პასუხისმგებლობაა. „უკეთეს გულს იმსახურებს, ვიდრე ჩემია“, — თვით ბაირონი ამბობდა კეთილგონიერების ჟამს. მაგრამ ლედი მელბურნს უყვარდა ეს ახალგაზრდა კაცი. იმის მოსმენაც სიამოვნებდა, რომ სამოცი წლის ასაკშიც სხვა ქალებს სჯობდა. იქნებ ისიც თავშესაქცევად ეჩვენებოდა, ენახა, ეს თავქარიანი დონ ჟუანი ხელში როგორ ჩაიგდებდა მის ნათესავს. „საცოდავი ანაბელა! მისი უმანკო თვალები უფრო ლამაზი გახდება, თუ თქვენ შეგიყვარებთ. თვალებისთვის ასეთი შთაგონება აუცილებელია“. ანაბელას ცოტა ტანჯვა მოუწევს? ეს მისთვის სასარგებლო იქნება მხოლოდ, — ასე ფიქრობდა ლედი მელბურნი, რომელსაც მუდამ აღიზანებდა ნაძალადევი მიამიტობა და გადაწყვიტა მოესინჯა.

ანაბელას კი სულაც არ დავიწყებია ბაირონი. ლონდონში ყოფნისას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ბაირონი მისით იყო დაინტერესებული და ფიქრობდა, მის გადარჩენას მოვახერხებო; მერე ბაირონის სკანდალურმა ურთიერთობამ კაროლინასთან ამისი იმედი გადაუწურა; მშობლებთან დაბრუნებული ცისა და ზღვის პირისპირ აღმოჩნდა; უყვარდა ხეტიალი ამ ორ უკიდევანო სივრცეს შორის. იმ სამყაროში, რომელიც ბაირონს ასე მკაცრი წარმოედგინა და ადამიანთა ტანჯვის მიმართ ასე გულგრილი ეგონა, ანაბელა ყველგან უფლის წყალობას ხედავდა! „დალოცვილად ვგრძნობ თავს, — წერდა იგი, — როცა ჩემი შემქმნელის სიკეთეს ვგრძნობ; ჩემ ირგვლივ ყველაფერს დიდი ბედნიერების გრძნობით ვუყურებ, ვფიქრობ, რომ მთე-

ლი ეს სიკეთე უფალმა ჩვენმა შექმნა“. ცდილობდა თავის დღიურში ლორდ ბაირონის პორტრეტი გადმოეცა. „ბავშვობიდანვე ვნებები ხელმძღვანელობდნენ მას. მისი ხასიათის მიდრეკილებებს შორის არის ისეთიც, რაც ქრისტიანულ პრინციპებთან თანხმობაში /„მიყვარს მაღალი ზნეობის ადამიანები, რომლებიც ჩემთვის მიუწვდომელი არიან/“. ფარულად იგი ყველა ადამიანური გრძნობისთვის მისაწვდომია, მაგრამ ბუნების უცნაური გაუკულმართების გამო, — შედეგი სიამაყისა — ცდილობს დაფაროს თავისი ხასიათის საუკეთესო მხარეები. როცა მრისხანება იპყრობს, ის კი ადვილად ბრაზდება, ღვარძლიანი ხდება და შეუძლია სძულდეს ყველაზე საშინელი სიძულვილით. მეტისმეტად მოკრძალებულია იმ ადამიანებთან, რომელთა სულიერი წყობაც მას პატივისცემას უნერგავს და თავის ცოდვებს მათთან სინაწლით აღიარებს“. — ანაბელას საკუთარი თავი ერთ იმათგანად მიაჩნდა, ვინც თავისი სულიერი წყობითაც პატივისცემას უნერგავდა. ბაირონი მოსწონდა, ცდუნებასაც გრძნობდა, მაგრამ საშიშროებაც შეგნებული ჰქონდა.

ბაირონი წინდაუხედავად მოიქცა, შუამავლად ლედი მელბურნი რომ აირჩია, რომლის აზრიც ანაბელას ნდობას არ ინვევდა. მის წინადადებას პასუხად თავაზიანი უარი მოჰყვა.

„ლორდ ბარონის პატივისცემის ღირსად არ მივიჩნევდი თავს, გულახდილად რომ არ ეთქვა სიმართლე. ვფიქრობ, ვერასოდეს მოახერხებს გახდეს იმ ძლიერი სიყვარულის საგანი, რამაც შეიძლება ბედნიერი გამხადოს ცოლქმრულ ცხოვრებაში, და უსამართლოდ მოვექცეოდი, ჩემი უარი რაღაც მიზეზებით ამესხანა, რომელიც უნებლივით თავს შეაკავებინებს თავისი ნამდვილი ზრახვებისაგან. იმ შთაბეჭდილებით, რომელიც მისი ქცევებიდან მრჩება, მზადვარ, დავუჯერო თქვენს მტკიცებებს მის სასარგებლოდ და თუ მის სიყვარულს ვერ ვპასუხობ, დამნაშავე ჩემი გრძნობაა და არა მისი ხასიათი. ამას ვამბობ და გულწრფელად ვწუხვარ იმ გულისტკივილის გამო, რომელიც შეიძლება მივაყენო, ამიტომ მის ნება-სურვილს ვანდობ, როგორი იქნება ჩვენი ურთიერთობა შემდეგში“. მოკლედ, ის უარს ამბობდა ბაირონთან ქორწინება-

## XVII

ლმერთთა მსგავსი ლუკრეცია<sup>110</sup>

ის უკვე დიდი ხანი იყო აღარ ფიქრობდა: „ნიუსტედი და მე გავუძლებთ ან ერთად და ვიღუპებით“. — მისმა ვალმა ოცდახუთი ათას ფუნგის მიაღწია. 1812 წლის სექტემბერში სააბატოს გასაყიდად საჯარო ვაჭრობა დაინიშნა. აუციონზე ერთგული ჰობპაუზი გაგზავნეს. მისტერ ჰანსონის მითითებით, მიწის მთავარი ნაკვეთის ფასი ას ცამეტ ათას ფუნგამდე ასწია, მეორე ნაკვეთისა კი ცამეტი ათასამდე, რაც თავადაც სასაცილო ეჩვენა, რადგან იმ დღეს ზუსტად ერთი შილინგი და ექვსი პენსი ჰქონდა. მამული ვინმე მისტერ კლაუტონმა იყიდა ას ორმოც ათას ფუნგად „სააბანაო და აკლდამა ავაშენე; ახლა იმ აკლდამაში წოლა აღარ მომინევს. უცნაურია, მაგრამ საკუთარი საფლავი მექნება თუ არა, იმაშიც დარწმუნებული არ უნდა ვიყო“. ბაირონი მდიდარი კაცი იქნებოდა, კლაუტონს ფული რომ მიეცა, მაგრამ ახალი მფლობელი სწრაფად მოეგო გონს — ისეთი საქმე წამოიწყო, მის შესაძლებლობას აღემატებოდა. მოხერხებული და წინდახედული საქმისანი ჰანსონი მიხვდა, რომ ის ფულის გადამხდელი არ იყო. ვიდრე ორივე მხარე კინკლაობდა, ბაირონი ისევ უფულოდ იჯდა.

ოქტომბერში, თავისი დიდების პერიოდში შეძენილმა მეგობრებმა ჯერსეიმ და ოქსფორდმა მიიპატიუეს. ლედი ჯერსეი, ერთი იმ ქალთაგანი იყო, რომლებიც მაღალ საზოგადოებაში დიდი წარმატებით სარგებლობენ, ეჭვს არაფერში იჩვევენ, რადგან თავისუფალი დრო არ ჰყოფნით. მას ყველან ხალისი შეჰქონდა, სადაც გამოჩნდებოდა; ყვავის ფრთისფერი თმა ჰქონდა, რძისფერი კანი, მუდამ მარჯანს ატარებდა, სხვა

ნაკლი არაფერი გააჩნდა, გარდა ბევრი ლაპარაკისა, რითაც სახელიც ჰქონდა განთქმული. მეგობარმა გრანვილმა „მდუმარება“ შეარქვა და გაოცებული იყო, როგორ ახერხებდა ეს ქალი ერთდროულად თავის სახლში და სხვის სახლშიც ყოფნას. ბაირონი უუბნებოდა, შენს სილამაზეს გადაჭარბებული სიცევიტით აფუჭებო; თვალები, ხელები, ენა — ყველაფერი ერთდროულად უმოძრავებდა. ბაირონის სიტყვებით რომ ვთქვათ, „უმანკოების ერთი კვირა“ მიღლტონში გაატარა.

მერე ოქსფორდებთან ჩავიდა ეივუდში. ბაირონი ლედი ოქსფორდს ლონდონში, ზამთარში, გაეცნო; კურორტზეც შეხვდენენ; როცა კაროლინა გაემგზავრა, მათ შორის მაშინვე ის უსიტყვო გაგება დამყარდა, ოდნავ გაუბედავ, მომთხოვნი ტემპერატერნის ახალგაზრდა კაცს რომ იზიდავს; მონიფული, მაგრამ ჯერ კიდევ მშვენიერი ქალი, რომელსაც სიყვარული უყვარდა და პირველი მსუბუქი ნაბიჯების გადადგმაც შეეძლო, — ლედი ოქსფორდი ორმოცი წლისა იყო. ქალი ჰეგადა „კლოდ ლორენის პეიზაჟს, რომელზეც ჩამავალი მზეა გამოსახული, რომლის სილამაზესაც განსაკუთრებული სიმშვენიერე შესძინა უკანასკნელი სხივების ნაზმა ციალმა. ქალი მადლიერი მხოლოდ პირველი და უკანასკნელი გამარჯვებით არის. საცოდავი ლედი ოქსფორდის პირველი გამარჯვება ჩემი ამ ცოდვილ ქვეყანაზე მოვლინებამდე დიდი ხნით ადრე იყო, ბოლო კი, მე ვამაყობ ამით, მე დამიტოვეს და იგი გემრიელი ლუკმა აღმოჩნდა“.

თვრამეტი წლის წინ ედუარდ ჰარლეის, ოქსფორდის გრაფს გააყოლეს ცოლად, უმნიშვნელო ადამიანს სხეულითაც და სულითაც, თუმცა იმ საგვარეულოს წარმომადგენელი იყო, რომელთა ჭკუა-გონება საქვეყნოდ გახლდათ განთქმული. ერთმა მისმა წინაპარმა საუკეთესო ბიბლიოთეკაც შექმნა, უიშვიათესი პამფლეტების კრებულებს რომ შეიცავდა, მერე გამოსცეს კიდეც „ჰარლეიმური კრებულის“ სახელწოდებით. ეს ზედმეტი სახელი შერჩათ ლედი ოქსფორდის მშვენიერ შვილებსაც, თავიანთი მამის დიდებულ მეგობრებს რომ ჰგავდნენ.

ლედი ოქსფორდმა თავისი თვის სასიამ-

110. ლუკრეცია ბორჯა / 1480-1519/ — პაპ ალექსანდრე VI-ს / როდირიგო დე ბორჯა / ასული, ამბობენ, ცოლიც და რძალიცო. პოლიტიკური მიზნების მისაღევად მამამ სამჯერ გაათხოვა.

ოვნო და ადვილ ფილოსოფიას მიაგნო. მშობლებისგან სათაკილო კაცთან, რომლის სიყვარულიც მას არ შეეძლო, ქორწინებისთვის განწირულმა, არაერთი რევანში აიღო. ამაზე უფრო სასიამოვნო მეგობარს ვერ წარმოიდგენდა კაცი. მის თვალებში ნეტარი და მეოცნებე ეშმაკუნები ხტოდნენ, მუდამ სიამეს რომ ჰპირდებოდენენ კაცს. განათლებული და ჭკვიანი იყო, ლუკრეციუსს<sup>111</sup> კითხულობდა, ეთაყვანებოდა ფიზიკურ სიყვარულს, სანტიმენტალური კი ავადმყოფობად მიაჩნდა, რომლის სიმპტომები და ხანგრძლივობა ზუსტად არ იყო ცნობილი. იმდენადვე ცვალებადი იყო, რამდენადაც ალერსიანი და თუ რომელიმე სატრფო უსაყვედურებდა, გული დამიმსხვრიერ, ის პასუხობდა, დამსხვრებული გული საჭმლის ცუდი მონელების ნიშანია.

ქალმა თავის ციხე-დარბაზ ეივუდში მიიპატიუა. ბაირონმა იქ 1812 წლის ოქტომბერი და ნოემბერი გაატარა, ამ ნაზი, განათლული და უფრო გულლია ქალის საზოგადოებაში, ვიდრე თვითონ იყო, თავს ძალზე ბედნიერად გრძნობდა. ლედი ოქსფორდი კითხულობდა, უკრავდა, ზოგჯერ წუნუნებდა, როცა მისი სატრფო ოცნებათა სამყაროში გადავიდოდა და მას მარტო ტოვებდა. ლორდი ოქსფორდი მთელ დღეებს ტყეში იკარგებოდა და ძალიან ტაქტიან ქმრად გამოიყურებოდა. ბაირონი და მისი სატრფო ლმერთებივით ცხოვრობდნენ, ტკებოდნენ თავიანთი უკვდავების ნეტარ განსასვენებელში, შორს იყვნენ ადამიანური საზრუნავისგან, მათი მწუხარებისა და ტანჯვისთვის უცხონი, არანაირი საფრთხე არ ელოდათ და თავიანთი სიხარულის სიჭარბით კმაყოფილდებოდნენ. „P r i v a t o d o l o r e o m i p r i v a t a p e r i d i s“<sup>112</sup>. ქალი ხშირად ეუბნებოდა ამ სიტყვებს თავის მიჯნურს. ბაირონი აღტაცებული იყო. სიცოცხლის მანძილზე უკვე ორჯერ — ჰაროუს სერებზე, მოგვიანებით კი აღმოსავლეთში, ამქვეყნიურ საქმეებზე უარის თქმით, ბედნიერება მოიპოვა. ამ ღვთაუ-

ბრივი ინტერლუდით ტკბებოდა. სატრფო-ალო სიგიურები არცთუ იშვიათად ჩრდილავდა გონების გასხივოსნებას. ლედი ოქსფორდი მის თვალში ისეთივე ავტორიტეტით სარგებლობდა, როგორითაც ლედი მელბურნი. ის სიამოვნებით აძლევდა ნებას ამ სკეპტიკოსებსა და ძლიერ ქალებს, ემართათ იგი.

ზოგჯერ, ეივუიდის ხიბლით გამოწვეული თვინიერი აპათიით გაოცებული, თავს ეკითხებოდა, ნეტავ, რომელ ცხოველად მაქცევს ეს ცირცეო<sup>113</sup>. ალბათ, ზარმაც ცხოველადო, ფიქრობდა, რადგან არაფერს აკეთებდა, უმშვენიერეს დღეებს მდინარეზე ან ტყეში ატარებდა ანგელოზ ბავშვებთან ერთად, რომლებიც მათ მოშიბლავ მამებს ჰგავდნენ. ლედი ოქსფორდის უფროსი ქალიშვილი, თერთმეტი წლის მომაჯადოებელი შარლოტა თითქმის შეუყვარდა. მისთვის დაწერა „ჩაილდ ჰაროლდის“ ახალი მიძღვნა. საკუთარი თავითა და სხვებით არასოდეს უგრძვნია ასეთი კმაყოფილება, და ყველა უსიამოვნება სადღაც ცხრა მთას იქით გადაიკარგა. წარმართულმა ფილოსოფიამ იმარჯვა.

ლედი კაროლინა ლემს არ უნდოდა თავი დამარცხებულად ეცნო. მან იცოდა, რომ ბაირონი ეივუდში იყო. ეჭვიანობდა. კარგად იცნობდა ლედი ოქსფორდს. რამდენიმე წლის წინ ერთმანეთს მეცნიერულ წერილებს სწროდნენ თემაზე: „ბერძნულის ცოდნა ასპეტაკებს თუ ამძაფრებს ვნებებს?“ ამ შემთხვევაში ლედი კაროლინასთვის პასუხი ეჭვს აღარ იწვევდა.

ყოველდღე აგზავნიდა წერილებს ხან ბაირონის, ხანაც ლედი ოქსფორდის სახელზე.

„დვირფასო ჩემო ასპაზია, ბაირონი ჩემზე გაჯავრებულია! გთხოვთ, უთხრათ, რომ არაფერი გამიკეთებია, რაც მას უსიამოვნებას მიაყენებდა; ისიც უთხარით, რომ უბედური ვარ, - ვიცი, არასასიამოვნი წერილი მივწერე. მაგრამ ათასჯერ ვითხოვ პატივებას. მისი წერილებიდან კარგად ვვრმნობ - მოვპეტრდი. მეტს აღარ მივწერ, თავს აღარ მოვაბეზრებ, ოღონდ სთხოვეთ, რომ ყველაფერი მომიტევოს“.

111. ლუკრეციუს ტიტუს კარუსი — რომაელი პოეტი და ფილოსოფოსი /ძვ.წ. I-ს./.

112. „დარდის გარეშე, საზრუნავის გარეშე“.  
/ლათ./

ლედი ოქსფორდმა არ უპასუხა. ლედი კაროლინა იმუქრებოდა - ჩამოვალ, ლორდ ოქსფორდს ყველაფერს მივწერ, თავს მოვიკლავო. მიჯნურები ერთად კითხულობდნენ ზიზღით სავსე ამ პათეტიკურ წერილებს. ფილოსოფოს-ლუკრეციანელებისთვის წერილების ტონი სრულიად აუტანელი იყო.

ბაირონი თავის მოკავშირეს, ლედი მელბურნს ყველა მტრული მანევრის საქმის კურსში აყენებდა:

„კაროლინა იმუქრება, თვითმკვლელობით გადაგიხდით სამაგიეროსო. მისი საქმეა... სიყვარულის ობიექტის გარეშე არსებობა არ შემიძლია. ვიპოვე ისეთი, რომლითაც სრულიად კმაყოფილი ვარ და რომელიც, როგორც მე მგონია, არანაკლებ კმაყოფილია ჩემით. ჩვენი ორმხრივი სურვილი — სიმშვიდეა და /გასული სეზონის ყველა დაუჯერებელი და წარმოუდგენელი ამბების შემდეგ/ სიმშვიდეში ორმაგ ნეტარებას განვიცდი... ძალიან დაკავებული ვარ, ცოტა დრო მრჩება ჩემთვის, იქიდან რაც მრჩება, ერთ ნამსაც არ დავუთმობ მაგ პიროვნებას. იმ შიშს ვერც კი გამოვხატავ, რომელსაც ზოგიერთი მისი ქცევა მგვრის. ეს შეგრძნება ჩემი ნაწილი გახდა და არსებობა მომიწამლა. არ ვიცი, ვინ შემიყვარდება, მაგრამ ცხოვრების ბოლო წუთამდე ეგ ქალი ჩემთვის საძულველი იქნება. თქვენ ახლა იცით, რასაც ვგრძნობ და კუბოს კარამდე ასევე დარჩება. მას ამ ფორმით არ ვეუბნები, რადგან არანაირი სურვილი არა მაქვს, გავაუბედურო. ასეთი გრძნობა მაქვს მისდამი და არ მსურს მანამდე მისი ნახვა, ვიდრე ერთად არ შეგვყრის დანტეს ჯოჯოხეთი“.

ლედი მელბურნმა სიმტკიცე მოუწონა და დაუნდობელი სიზუსტით ამხილა თავისი რძლის გუნება-განწყობილებები. ბაირონის ჯერ კიდევ შემორჩენილი გულწრფელობა და სიბრალული დიდხანს ვერ გაუძლებდა ლედი მელბურნის განაფულ სიბრძნეს.

კიდევ ერთხანს პასუხობდა ბაირონი თავშეკავებული თავაზიანობით ლედი კაროლინას წერილებზე. ბოლოს, რადგან დაუსრულებელ წუნუნს და გესლის ნთხევას აღარ მოეშვა, გაბრაზებულმა /იქნებ, ლედი ოქსფორდის კარნახითაც/ უკმეხი

წერილი მისწერა:

„ლედი კაროლინა, თქვენი საყვარელი ალარვარ. და რადგან არა ალური აბეზრობით მაიძულებთ, ვაღიარებ... ვაიგეთ, სხვა მიყვარს, ვისი სახელის თქმაც ჩემი მხრიდან უპატიოს სხვა იქნება. მუდამ მადლიერებით მემახსოვრება ის განსაკუთრებული ყურადღება, რომლითაც თქვენ პატივი დამდეთ. თქვენს მეგობრად დავრჩები, თუ თქვენი ბრწყინვალება ამას ინებებს. ხოლო ჩემი თქვენდამი კარგი განწყობის დასამტკიცებლად, თავს ნებას მივცემ და ერთ რჩევას მოგცემთ: განიკურნეთ პატივმოყვარეობისგან; იგი სასაცილოა. თქვენი უაზროპრეტენზიები სხვებთან გამოთქვით და მე თავი დამანებეთ. თქვენი მორჩილი მსახური ბაირონი“.

იქნებ ასე მკაცრად არც მოქცეოდა, ქალს რომ შეხვედროდა, რადგან კაროლინა მართლაც სიბრალულის ღირსი იყო; შეძლილივით იქცეოდა: ღილებზე „ე ცრედე ირობ“<sup>114</sup> ამოატვიფრინა, თავისი მიჯნურის ხელმონერას ამგავსებდა და გამომცემელ მარის ყალბ წერილებს სწერდა ბაირონის სურათი რომ დაეტყუებინა, რისი მიცემაც ბაირონმა არ ისურვა; ბროკეტ-ჰოლში უჩვეულო წარმოდგენა მოაწყო — ბაირონის გამოსახულება დაწვა, ხოლო თეთრებში გამოწყობილი სოფლის გოგოები კოკონის ირგვლივ ცეკვავდნენ; თვითონ პაჟის ტანსაცმელი გადაიცვა და /კოცონში კალათი ჩააგდო, რომელშიც წიგნები, ბეჭდები, წერილის ასლები და ბაირონის კულულები ენყო/, ლექსებს კითხულობდა, საგანგებოდ ამ შემთხვევისთვის რომ დაწერა.

სისულელე ჩაიდანა და ბაირონს ამ ცერემონის აღნერა გაუგზავნა; ბაირონმა კი ლედი მელბურნს გადაუგზავნა შემდეგი მინანერით: „გრძელი მოთხრობა რაღაც ფორერვერკზე, ადგილობრივი ჯენტლენების მონაწილეობით, პაჟებით, ოქროს ჯაჭვებით, ყვავილებით სავსე კალათებით, თვით მისით და სხვა სულელური ოინებით“.

1813 წლის თებერვალში, ლონდონში დაბრუნებულმა ლედი ბესბოროუმ, ბაირონის ნახვა ისურვა და კიდევ ერთხელ გაოცდა, რადგან ის ნაკლებ რომანტიკული ჩან-

და. დედები, მემკვიდრეობითობის წყალობით, ყოველთვის უხალისოდ იზიარებენ თავიანთი ქალიშვილების სიგიჟეებს. მთელი ამ ამბებით გულნატკენი იყო, მაგრამ ბოროტება თუ უკვე ჩადენილია, სასურველია, უკიდურეს შემთხვევაში, დრამა ლამაზი მაინც გამოვიდეს. წინდახედულმა ბაირონმა იმედი გაუცრუა. „ლედი ბესბოროუ შეძრნუნდა, რადგან ჩემში რომანტიკისა ვერაფერი აღმოაჩინა და აშკარად შეფიქრიანებული იყო ჩემი ქცევით“.

უნდოდა შვილი ბაირონისთვის შეეცვედრებინა; ლედი ოქსფორდი /დიდი კეთილგონიერებით/ ამას ეწინააღმდეგებოდა. ვილიამ ლემმა, როცა მტირალი ცოლი ნახა, თქვა, ბაირონი შეურაცხყოფას აყენებს კაროლინას, რადგან მისი ნახვა არ უნდაო. „მართლაც სასაცილოა, როცა მის ცოლს ველაპარაკები, თვითონ არის შეურაცხყოფილი, როცა არ ველაპარაკები, მისი ცოლია შეურაცხყოფილი“. ლედი მელბურნმა ურჩია, მონმეების თანდასწრებით შეხვდიო. ბაირონმა უპასუხა, იმ პირობით ვიქები თანახმა, თუ ლედი ოქსფორდი იქნება მოწმეო.

შეხვედრა ლედი ჰითკოტან გამართულ მეჯლისზე მოხდა. ამ მეჯლისს ლედი მელბურნიც ესწრებოდა, უზარმაზარი ბუმბულები უმშვენებდა ჭალარა თმას, მაშინ სამოცდაერთი წლისა იყო, მიუხედავად ამისა, ერთ-ერთი ყველაზე მომაჯადოებელი ქალი ბრძანდებოდა იმ საღამოსი. აქ იყვნენ ლორდი გრეი, შერიდანი. უცბად ხალხი ორად გაიყო და ყველას თვალი ცნობისმოყვარეობით მიაცქერდა ბაირონს, რომელიც დარბაზში შემოდიოდა ოდნავი კოჭლობით, გაფითრებული, „თითქმის ავბედითი სილამაზით გაბრწყინებული“. ის კაროლინას პირისპირ აღმოჩნდა, რომელიც შეშლილი თვალებით შეჰყურებდა.

ამ დროს, ორკესტრმა ვალსის პირველი ტაქტები აიღო, ოდნავ შეშფოთებულმა დიასახლისმა კაროლინას მიმართა:

— ლედი კაროლინა, თქვენ უნდა გახსნათ მეჯლისი.

— დღეს ისე მხიარულად ვარ, — წამოიძახა კაროლინამ, მერე ბაირონისკენ გადაიხარა და წასჩურჩულა. — ახლა ვალსის ცეკვა შემიძლია?

— ყველა ამ მამაკაცთან რიგრიგობით,

— სარკასტულად უპასუხა ბაირონმა. — მუდამ სხვაზე უკეთ ცეკვავდით, მე კი დიდი სიამოვნებით დავტებები თქვენი ცეკერით“.

ქალმა ერთი ტური იცეკვა, თავი ცუდად იგრძნო და მეზობელ ოთახში შეიმალა. ლორდი ბაირონიც, ვიღაც ქალთან ხელგაყრილი, იმავე ოთახში აღმოჩნდა, კაროლინა დაინახა და უთხრა:

— აღფრთოვანებული ვარ თქვენი მოხდენილობით.

ქალმა დანა აიტაცა.

— გთხოვთ, ძვირფასო, გთხოვთ, — უთხრა ბაირონმა, — მაგრამ, თუ კლასიკური ტრაგედიის გათამაშება გინდათ, საკუთარ გულში ჩაირტყით და ჩემსას ნუ შეეხებით. ჩემი უკვე განგმირულია.

კაროლინამ დაიყვირა:

— ბაირონ! — დანით ხელში ოთახიდან გავარდა და მერე, კაცმა არ იცის, რა მოხდა.

ერთნი ამბობდნენ, ყელი გამოიჭრაო, სხვები ამტკიცებდნენ, ცუდად იგრძნო თავი, წყლიანი ჭიქა რომ აიღო, გული წაუვიდა, ჭიქა გატყდა და ნამსხვრევებზე დაიჭრაო. ასე იყო თუ ისე, კაროლინა სისხლში მოსვრილი ნახეს. ამ დროს ბაირონი უკვე სხვა ოთახში იყო. როცა ეს შემთხვევა უაბდეს, მან ზიზღით უპასუხა:

— მისი ერთ-ერთი ჩვეულებრვი ფანდია.

ამ ამბავმა დიდი ხმაური გამოიწვია. პატარა გაზირები „სატირიკოსში“ ფელეტონიც დაიბეჭდა, სათაურით „Scandal um Magnat und“<sup>115</sup>:

„უპირატესობამ, რომელიც ლორდმა ბმა სხვა მშვენიერ ობიექტს მიანიჭა, ლედი კ. ლ. ისე გააშმაგა, რომ ეჭვიანობის შეტევის დროს, სადესერტო დანით, თავი დაიჭრა. ამბობენ, ქალბატონის ქმარს ბევრი თანაუგრძნებს, რომ ეს თვითმეტელობის მცდელობა ბოლომდე არ მისულა. ლედი კ. ლ. ჯერ კიდევ ცოცხალია“.

კაროლინას გამბედაობა ეყო და რამდენიმე კვირის შემდეგ ბაირონთან მივიდა. ბაირონი შინ არ დახვდა. კაროლინამ მოითხოვა, შემიშვითო, შეუშვეს, ბაირონის ოთახში ბეკფორდის წიგნი „ვათექი“ დაინახა და პირველ გვერდზე მიაწერა: „გახსოვდე“. სახლში დაბრუნებულმა ბაირონმა

115. „მაღალი წრის სკანდალი“. (ლათ.)

გადაშლილ წიგნზე ძალზე ნაცნობი ხელწერა ნახა და იქვე მიაწერა:

**მახსოვხარ მარად! მახსოვხარ მარად!**  
კიდრე არ შთანთქავს

ლეთე სიცოცხლეს,  
ვერ მოიცილებ კოშმარის მაგვარ  
სირცხვილს, სინანულს, ჩემგან იცოდე!

**მახსოვხარ მარად! ვჯეროდეს ჩემი,**  
მაგრამ შენზე ხომ

კვლავ ორნი ვფიქრობთ!  
ქმარი, რომელსაც დაადგი რქები,

და მე, რომელიც დემონად ვიცნობ!<sup>116</sup>

ეს ბაირონისთვის დამახასიათებელი მიდგომა გახლდათ — ქალების წინააღმდეგ მიმართულ საბრალდებო სიტყვაში, რომელთა ყველაზე დიდი დანაშაული სიყვარული იყო, საყვარლისა და ქმრის გაერთიანება.

ყველაფერი ყელში ამოუვიდა. თუ სიყვარული ასეთ აუცილებელ წინააღმდეგობამდე მიდის, ერთადერთი კეთილგონივრული გამოსავალია — ქალებს გაექცე. თვით ამ ბრძენმა გრძნებულმაც კი რამდენჯერ აიძულა ტანჯვა. დამოუკიდებელი და ცვალებადი, ზოგჯერ თავს ნებას აძლევდა ბაირონის სატრფოც ყოფილიყო და სხვა კაცებითაც დაინტერესებულიყო. ასეთ დროს, ლორდი ოქსფორდი უფრო მეტი თავგამოდებით გარბოდა თავის ურან ტყეებში; ბაირონი გრძნობდა, რა დაუნ-

დობელი გულახდილობით იცილებდნენ დროებით თავიდან. სიმართლეს თვით ქალისგან გებულობდა, ორმაგად სწყინდა მისი ლალატი, რადგან აღტაცებულიც იყო მისი მკაცრი გულწრფელობით:

„ვერაგიარ ხარ, მერყევი ხარ და ცვალებადი. ტკბილად კი გიყვარს, მაგრამ მალე ლალატობ ყველას...“.

ისინი სიცილიაში გამგზავრების სასიამოვნო გეგმებს ერთად აწყობდნენ. სამივე უნდა წასულიყო, მაგრამ, უცბად, ლორდ ოქსფორდს, რომელილაც ნათესავის შთაგონებით, ეჭვიანობა მოეძალა და, როგორც ეს მუდამ ხდება ხოლმე, ზუსტად იმ დროს, როცა ბაირონს თავად ჰქონდა უფრო დიდი საფუძველი ეჭვიანობისა, ქმრის ბებრული ეჭვი სწრაფად ჩააცხრო რაღაც დაბალზამებული სიცრუით. გადაწყდა ცოლ-ქმარი ერთად წასულიყო ხმელთაშუა ზღვაზე სამოგზაუროდ და როგორც ქალმა ბაირონს მისწერა, „ძალიან ბეჭნიერები იყვნენ და ბევრი, ბევრი შვილიც ეყოლებოდათ“. ისინი 1813 წლის 28 ივნისს გაემგზავრნენ. „ლედი ოქსფორდი გუშინ გაემგზავრა. ახლა, ჩემო ძვირფასო ლედი მელბურნ, ხომ შეგიძლიათ სიკეთე გამოიჩინოთ და ის აღარასოდეს გამახსენოთ? სიმართლე რომ გითხრათ, მისდამი კაროლინურად განვერწყე, რასაც არ ველოდი“.

## თარგმნა დავით კახაპერძე

გაგრძელება შემდეგ ნომერში



116. თარგმნა ინესა მერაბიშვილმა.

2014

საქართველოს გამოცემა

3

ISSN 1512-2433



ფასი 3 ლარი